ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის
ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

პაატა ცხადაია

# სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი

# VII

## სენაკის რაიონი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2013

ათასობით წლების მანძილზე შექმნილ საისტორიო წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ყველა ასპექტზე. მაგრამ არანაკლებ მეტყველია დღემდე ფუნქციონირებადი დიდი თუ მცირე ობიექტების სახელწოდებანი, ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია რეგიონების ტოპონიმური მასალის სრულად აღწერა და გამოცემა.

„სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (სერია) სწორედ ამ მიზანს ისახავს. უკვე გამოცემულია წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, მარტვილის (ორ წიგნად) რაიონების (მუნიციპალიტეტების) ტოპონიმური მასალა. ამჯერად მკითხველსა თუ მკვლევარს წარმოვუდგენთ სენაკის რაიონის ტოპონიმიას, რომელიც ჩაწერილია 1984-1986 წლებში. ავტორი შეეცადა, თითოეულ სახელწოდებასთან წარმოდგენილი ყოფილიყო ამ სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია (სოფლის შიგნით ადგილმდებარეობის მითითება), სახელის მოტივაცია, ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი... პირველ რიგში დამოწმებულია რესპოდენტთა განმარტებანი, აგრეთვე არსებული ლექსიკონები და საისტორიო წყაროები (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დეტალურად და ამომწურავად არის შესწავლილი).

რედაქტორი მერაბ ჩუხუა

რეცენზენტები: ვაჟა შენგელია
იგორ კეკელია

© პ. ცხადაია, 2013

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-147-7

ამონარიდი ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის – ვინფრიდ ბოედერის – ბარათიდან

ძვირფასო ბატონო ზაალ,

გულითადი მადლობა თქვენი საჩუქარი წიგნისა-
თვის, საიდანაც თქვენი ნაყოფიერი ღვაწლით,
[illegible]
[illegible] საინტერესო [illegible]
[illegible], თქვენი [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]

„[illegible]" წიგნი [illegible]
[illegible].
[illegible]
ვინფრიდ ბოედერი

3.IV.2004

# სენაკის რაიონის რუკა

## ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით



# წინასიტყვაობა

ცნობილია, რომ ნებისმიერი გეოგრაფიული ობიექტის (ისევე როგორც პიროვნების) სახელწოდების უმთავრესი ფუნქცია იდენტიფიკაციაა. მაგრამ, გარდა ამისა, ტოპონიმი, როგორც წესი, შეიცავს მრავალმხრივ ინფორმაციას, რაც აუცილებელია ენობრივი თუ გარეენობრივი ანალიზისათვის. ამ თვალსაზრისით, არც სენაკის რაიონის ტოპონიმია არის გამონაკლისი. ჯერ ერთი, დადასტურდა ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელთა ამოსავალი საზოგადო სახელი დღემდე ცნობილ ლექსიკონებში არაა დადასტურებული. ასეთ შემთხვევაში ფართო გასაქანი ეძლევა ცრუხალხურ ეტიმოლოგიას, რომელიც ეფუძნება ტოპონიმსა და საზოგადო სახელს შორის არსებულ რამდენიმე ბგერის დამთხვევას (ადგილობრივ მაცხოვრებელს აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება, მისი უბნის ყოველი გეოგრაფიული სახელწოდება გამჭვირვალე იყოს). ცრუხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშებს უხვად ვხვდებით გამოცემულ სალექსიკონო მასალებში. ერთ-ერთი ასეთია გეოლოგ გ. ყანდაშვილის „საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტება (საშვილიშვილო წიგნი)". დავასახელებთ ორიოდე ნიმუშს: სოფლის სახელწოდება აბედათის განმარტებისათვის ავტორი ეყრდნობა ქსე-ს, სადაც ნათქვამია: „აბედი – საგანგებოდ დამუშავებული ხის სოკო"; მსგავსადვეა „განმარტებული" ტოპონიმი ბობოთი („ბობოლი – დიდრონი ჭია-ჭუა"), სოფლის სახელწოდება გაჭედილის (მარტვილის რ-ნი) წარმომავლობა ასეა ახსნილი: „გაჭედა – ხვრელში გაჭედეს რამე", ცხენისწყლისპირა სოფლის სახელწოდება **გუგუნაყათის** დასახელებას მოსდევს ასეთი „განმარტება": „გუგუნი – ცეცხლის ხმა". ტოპონიმ **კადარის** მნიშვნელობის გასარკვევად შემოთავაზებულია: „**კად** – მოუტევა". ავტორის აზრით, ტოპონიმ ნაკიანისათვის ამოსავალია: „**ნაკი** – წელიწადზე ითქმის 366 დღე მოვალს, რომელსაც ნაკად უწოდენ" (სინამდვილეში: ნაკიანი ← ნაკიკიანი ← კიკიანი) და სხვ.

მეტად მნიშვნელოვანია მოტივაციის გათვალისწინებაც. **გეჩეხილი** მართლაც ნიშნავს ძირში მოჩეხილსაც და აჩე-

ხილსაც (ალ. ქობალია), მაგრამ რადგანაც გეჩეხილი ღელის სახელია (პირველი ნოსირი), რა თქმა უნდა, აღნიშნავს ნაგუბარს, ჯებირს ამ ღელეზე.

ტოპონიმი არა ერთ და ორ დღემდე უცნობ სიტყვას წარმოაჩენს. მრავალთაგან ერთ მაგალითს დავასახელებთ. სენაკისა და აბაშის რაიონებში დასტურდება სიტყვა **ფარტე** (არაა დაფიქსირებული არსებულ ლექსიკონებში). ასეთ შემთხვევაში ეტიმოლოგია და მოტივაცია უნდა დაეყრდნოს რესპოდენტის ინფორმაციას: „ფარტე არის დაბალი ადგილი, 4-5 მ სიფართისა, სადაც მხოლოდ ნაწვიმარი წყალი მიედინება“.

ტოპონიმიას შემოუნახავს წარმართობისდროინდელი, მაგრამ შემდგომ ქრისტიანულ კულტებთან შერწყმული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, როგორიცაა: კაპუნია, მირსა (მირსობა), ჯგირელია (ამინდის ღვთაება, რაც შემდეგ ილია წინასწარმეტყველის კულტს შეერწყა)... სამეგრელოს ტოპონიმიაში შემონახულია ტერმინები, რომლებიც ცნობილი იყო კოლხეთში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გაერთიანებამდე: **ჯგირი** (რომელიც შემდგომში შეცვალა ქართულიდან ნასესხებმა „წმინდამ“), **თანაფა** („აღდგომა“) და სხვ. სენაკის რაიონის ტოპონიმიას შემოუნახავს აგრეთვე მრავალი უცხოენოვანი მასალა: **საორგიო** (← ბერძნ. ორგია), **მაიდანი, მედანი** (არაბულ-სპარსული მაიდან), **კილიალესა** (ბერძნ. კირიე ელეისონ), რუსული იარმუკა, კაზარმა და სხვ. მრ. საერთოდ კი, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თუკი მას ჩავუღრმავდებით, კოლხთა ცხოვრების მრავალ საინტერესო ფაქტს გამოავლენს.

ვთხოვთ მკითხველს, თუ შეამჩნევს უზუსტობას სახელდებული ობიექტის განსაზღვრაში, ლოკალიზაციასა და მოტივაციაში, ან თუ მოეპოვება დამატებითი ტოპონიმური მასალა, გვაცნობოს მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, №13, თსუ VIII კორპუსი, III სართული, ოთახი 313 („ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრი“). ტელ. 225-31-78; 595 50-90-33.

პაატა ცხადაია
10 აპრილი, 2013

# ნაწილი პირველი
# (საკრებულოები, სოფლები, რესპონდენტები)

## სენაკის რაიონი

**სენაკის რაიონი** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დას. საქართველოში. შემოსაზღვრულია ჩხოროწყუს (ჩრდ-ით), მარტვილის (ჩრდ.-აღმ-ით), ლანჩხუთის (სამხრ-ით), აბაშის (სამხრ.-აღმ-ით) და ხობის (დას-ით) რაიონებით. ფართობი 521,7 კმ$^2$, რაიცენტრი ქ. სენაკი. რაიონში შედის ადმინისტრაციული ერთეულები: ქალაქის თემის საკრებულო (1), სოფლის საკრებულო (1) და 13 თემის საკრებულო. დასახლებული პუნქტების რაოდენობა აღწევს 64-ს (ერთი ქალაქი, 63 სოფელი).

რელიეფი ქმნის სამ განსხვავებულ ოროგრაფიულ ერთეულს: ა. დაბლობი, ვაკე (რაიონის სამხრ. ნაწილში, მდ. რიონის ორივე მხარეს); ბ. ბორცვიანი ვაკე (დაბალი მთების დას-ით); გ. დაბალი მთები (ეკისა და აბედათის მთები). ამ ზონაში ხშირია კარსტული ფორმები: ძაბრები, ტაფობები, მღვიმეები.

სენაკის რ-ნში ტენიანი სუბტროპიკული ჰავაა. მთავარი მდინარეებია ტეხური და ცივი, მცირე მონაკვეთზე ჩამოუდის რიონი და ხობისწყალი. ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია: ეკის ეკლესია და ციხე (შუა საუკუნეებისა), შხეფის ციხე (შუა საუკუნეებისა), ნოქალაქევი (იხ. ქსე, 11, გვ. 248-149). საბჭოთა პერიოდში ქ. სენაკს ერქვა ცხაკაია და, შესაბამისად, რაიონს – ცხაკაიას რაიონი.

1858 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ეკატერინე ჭავჭავაძე და მისი შვილები პეტერბურგს გადაასახლეს. ამის შემდეგ სამეგრელოს ყოფილი სამთავრო დაიყო სამ ოლქად: ზუგდიდის, სენაკის (იგულისხმება დღევანდელი ძველი სენაკი) და ლეჩხუმისა. სენაკის ოლქის რუსული მმართველობა დამკვიდრდა იმდროინდელი სენაკის მახლობლად – ქვაშიხორსა (1886 წლის კამერალური აღწერის ცნობარში ესაა „Сенаки, Старо-местечко“) და ახალ

ხორშში (სენაკი „Сенаки, Ново-местечко“). რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში ფუნქციონირებდა სენაკის ოკრუგი. 1867 წელს სენაკის ოკრუგს ეწოდა სენაკის მაზრა, რომელშიც შედიოდა აბაშის, მარტვილისა და ძველი სენაკის უბნები. ყოველივე ეს გაუქმდა 1930 წელს.

1868-1869 წწ. სენაკის ოლქში, რომლის უფროსი იყო კ. ბოროზდინი, შეიქმნა 28 სამამასახლისო (შემდეგში „სოფლის საზოგადოება“), ხოლო სენაკის ოლქს ეწოდა სენაკის მაზრა. ამავე პერიოდში რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. დღევანდელ ქ. სენაკში რკინიგზის სადგურის აშენების შემდეგ მაზრის ხელმძღვანელობა ძველი სენაკიდან (ახალხორი და ქვაშიხორი) გადავიდა ამ სადგურის ტერიტორიაზე და ეწოდა ახალსენაკი.

საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (გამოიცა 1930 წ.) სენაკის მაზრის სენაკის რ-ნში 15 სასოფლო საბჭოა (73 სოფელი), მოსახლეობის რაოდენობა რაიონში – 9785 კომლი, 43217 სული. 2002 წელს ჩატარებული ეროვნული საყოველთაო აღწერის თანახმად, სენაკის რ-ნის ადმ.-ტერიტ. ერთეულების რაოდენობა ასეთია: ერთი ქალაქი, 14 სოფლის საკრებულო, 63 სოფელი. სოფლის მოსახლეობა კი შეადგენს 24030 სულს. (ე.ი. მნიშვნელოვნად ნაკლებს, ვინემ 1930 წელს). მოსახლეობის 99,4% ქართულია. დაუსახლებელია 2 სოფელი.

1654 წელს შედგენილ ე.წ. ლათინურენოვან რუკაზე (გადმოაქართულა ავთ. თორდიამ) დასახელებულია სოფლები და მდინარეები (რომელთა უმეტესობა დღეს სენაკისა და აბაშის რ-ნებში შედის): ნოქალაქევი, ძიგური, ზანათი, ტეხური, აბაშა, ცილორი, შუაქალაქი, სენაკი, სიხუ. თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII საუკუნის პირველი ნახევრის რუკაზე“ აღნიშნულია დღევანდელი სენაკის რ-ნის შემდეგი სოფლები: ზანა, ხორში, სახარბედიო, სენაკი, გეჯეთი, თეკლათი და შხეფი (შხეფი ამჟამად დაყოფილია ორ უბნად: დიდი შხეფი ქ. სენაკში და პატარა შხეფი სოფ. ძველ სენაკში). (ბერაძე, ძეგლის მეგობარი, XXI).

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით, სენაკის რაიონის სოფლის მოსახლეობა შეადგენს 24030 სულს (კაცი – 11474; ქალი – 12556). სულთა რაოდენობის მიხედვით I-V ადგილზეა:

1. ძველი სენაკის თ/ს – 4011 სული.
2. ნოსირის თ/ს – 2805 ს.
3. თეკლათის თ/ს – 2500 ს.
4. ფოცხოს თ/ს – 1933 ს.
5. ნოქალაქევის თ/ს – 1561 ს.

მოსახლეობის სულადობის მიხედვით მცირერიცხოვანი სოფლებია (50 სულზე ნაკლები): ზ. ნაქალაქევი – 36 ს., საგაბესკირიო – 33 ს., საგვიჩიო – 32 ს., საადანაიო – 25 ს. დაცარიელებული სოფლებია (არავინ ცხოვრობს): საგუნიო და კვარჩხიღალი.

## ქ. სენაკი

**სენაკი** – ქალაქი დას. საქართველოში, მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირას. ქალაქში გადის თბილის-სოხუმის რკინიგზის მაგისტრალი. ზ. დ. 28 მ, თბილისიდან (რკინიგზით) 272 კმ (ქსე, 11). დამატებითი ინფორმაცია: ქალაქი ძირითადად გაშლილია ტეხურ-ცივის შუამდინარეთში, რკინიგზისა და საავტ. ტრასის ორივე მხარეს, უნაგირას მთის კალთებიდან სამხრ-ით ახალსოფლის, ხოლო დას-ით – თეკლათისა და მენჯის თემის საკრებულოებამდე, შუა ჭრის პატარა მდინარე ფიცუ. დას. სამეგრელოში ხშირია ვარიანტი სანაკი. კონტექსტი: „სანაკიშა მეურქუ“, „სანაკის ვორდი სუმარო“.

სენაკი დასახელებულია შუასაუკუნეების რამდენიმე საეკლესიო-საისტორიო წყაროში. კერძოდ: „საცაიშლო გამოსავლის დავთრის მინაწერებში“ (1616-1621 წწ.) აღნიშნულია: „სენაკს საყდარი მაცხოვრისა ორის მისის სასახლითა“ (ქსძ, III, გვ. 533); ერთი დავთარი გვამცნობს: „არის წყარიგზას და სენაკს ოთხი მსახური“ (ქსძ, III. გვ. 481). 1648 წელს ვამეხ დადიანის მიერ შედგენილ „შეწირულობის

წიგნში“ აღნიშნულია: „სენაკს საყდარი გვთხოვეთ და მოგეცით...“ (კაკაბაძე, I, გვ. 53) და სხვ. (აქ ყველა შემთხვევაში სენაკი გულისხმობს დღევანდელ ძველ სენაკს).

1872 წელს გაყვანილ იქნა თბილის-ფოთის სარკინიგზო ტრასა. რკინიგზის სადგური აშენდა სოფ. თეკლათში, სენაკის (დღევანდელი ძველი სენაკის) სამხრ-აღმ-ით, მაშინდელ სენაკის მაზრაში. 1886 წელს ჩატარებული ამიერკავკასიის კამერალური აღწერის მონაცემების მიხედვით (გამოცა 1893 წ.) სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბნის სენაკის სოფლის საზოგადოებაში უკვე გამოყოფილია სამი სენაკი: სენაკი (181 კომლი, 855 სული), სენაკი-ძველი დაბა (16 კომლი, 62 სული) და სენაკი-ახალდაბა (19 კომლი, 102 სული).

„საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში კი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი „ახალსენაკის სას. საბჭო“, რომელშიც მხოლოდ ერთადერთი დასახლებული პუნქტია – ქალაქი ახალსენაკი (1389 კომლი, 5498 სული) და „ძველი სენაკის სს“, რომელშიც შედის: კვარჩხილალი, კოტიანეთი, საჩიქობავო, ძველი სენაკი, სორტა, შხეფი მეორე. ამ ექვსი სოფლის კომლთა რაოდენობა აღწევს 638-ს (2985 სული). 1964 წლის 20 იანვარს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა შხეფის სას. საბჭო და მასში შემავალი სოფლები – შხეფი და საკინწურაშვილო ტერიტორიულად შეუერთდა ქ. სენაკს.

„ახალსენაკი“, როგორც ქალაქის ტიპის ახალი დასახლება, წარმოიქმნა 1870 წელს სოფ. თეკლათის ტერიტორიაზე. ეს იყო ამ კუთხეში კაპიტალიზმის განვითარების პირველი ნაბიჯი. მას ქალაქის სტატუსი მიენიჭა 1921 წელს. 1933-1989 წლებში ერქვა ქალაქი ცხაკაია, ხოლო შემდგომ დაერქვა სენაკი (ეპითეტის გარეშე).

1984 წლისათვის ქ. სენაკის ტერიტორია შეადგენდა 2300 ჰა-ს, ქუჩების, ჩიხების და შესახვევების რაოდენობა აღწევდა 205-ს, ხოლო გვართა რაოდენობა – 1600-ს. 1996 წელს კი ქ. სენაკში 1800-მდე გვარი მკვიდრობს. მათგან მრავალკომლიანია: ლომია – 114 კ., სახოკია – 98 კ., ტყებუჩავა – 70 კ., ჭანტურია – 69 კ., გვასალია – 63 კ., გრიგოლია

– 54 კ., სიჭინავა – 53 კ., გოგია – 45 კ., წულეისკირი – 44 კ., ხურცილავა – 42 კ., კვირკველია – 42 კ., კინწურაშვილი – 39 კ., ადამია – 38 კ., ხარებავა – 36 კ., ხარბედია – 30 კ., სანაია – 26 კ., შამათავა – 26 კ., ჯანჯღავა – 25 კ., კუჭავა – 24 კ., შურღაია – 23 კ., ცაავა – 23 კ., კვირაია – 23 კ., ნინუა – 23 კ., ლაშქარავა – 22 კ., კუპრეიშვილი – 20 კ., ხაბურზანია – 20 კ.

ქალაქ სენაკის ტოპონიმია აღწერილია 1986 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ადამია ბიჭიკო ალექსანდრეს ძე, 52 წ.
ახალაია ვლადიმერ (ხუტუ) პეტრეს ძე, 54 წ.
ბაღოშვილი პართენ კოსტას ძე, 80 წ.
გვარამია ნიკოლოზ ნესტორის ძე, 74 წ.
გუნია მიტუშა ვლადიმერის ძე, 54 წ.
დამენია ვლადიმერ ფილიპეს ძე, 72 წ.
დგებუაძე ჟორა ანდრის ძე, 53 წ.
ელიავა ვალოდია (ხუხუ) იასონის ძე, 64 წ.
კალანდარიშვილი იროდი სიმონის ძე, 76 წ.
კინწურაშვილი დიდიკო ალექსანდრეს ძე, 47 წ.
კინწურაშვილი მირიანე სიმონის ძე, 58 წ.
კინწურაშვილი მიხა ალეს ძე, 94 წ.
კინწურაშვილი მიხეილ მათეს ძე, 73 წ.
კიტია პროკობი ალექსანდრეს ძე, 73 წ.
კუჭავა კალი გერასიმეს ძე, 77 წ.
ლომია ალექსანდრე (შახურა) ივანეს ძე, 65 წ.
ლომია გრიგოლ ვარლამის ძე, 63 წ.
ლომია ივლიანე მათეს ძე, 77 წ.
ლომია ირაკლი ოლიფანტეს ძე, 78 წ.
ლომია პავლე (ბაძუ) ნესტორის ძე, 84 წ.
ნაჭყებია თათუშა სამსონის ას., 76 წ.
ნინუა არტემ დოროთეს ძე, 77 წ.
ოთხოზორია ძოკო გიორგის ძე, 82 წ.
ფარულუა ანზორ ანდროს ძე, 31 წ.
ფარცვანია ნოე იონას ძე, 68 წ.
ქაჩიბაია შალიკო ალექსანდრეს ძე, 81 წ.
ცაავა ალეკო აკაკის ძე, 24 წ.

ცაავა ანტონ ანტიფოს ძე, 64 წ.
ცაავა თომა ფილუს ძე, 72 წ.
ჭანტურია ხუტა ვლადიმერის ძე, 63 წ.
ჭითავა ავთანდილ იაკიმეს ძე, 60 წ.
ხარებავა ნიკოლოზ გაიოზის ძე, 81 წ.
ჯიჯეიშვილი ჭიჭიკო არონის ძე, 81 წ.

შხეფის მასალა ჩაიწერა შუქია აფრიდონიძემ 1970 წლის აგვისტოში.

ულრმეს მადლობას მოვახსენებ რევაზ ფაჩულიას, სენაკის რაიონის პარტიის რაიკომის მეორე მდივანს, რომელიც ორგანიზებას უწევდა ჩემს მუშაობას ქ. სენაკსა და სენაკის რაიონში.

## ახალსოფლის თემის საკრებულო

ახალსოფლის თემის საკრებულო მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, ტეხურის მარჯვ. მხარეს, ქ. სენაკსა და მდ. რიონს შუა. შედის ორი სოფელი – **ახალსოფელი** (ც.) და **ისულა**. დას-ით ესაზღვრება თეკლათის თემის საკრებულო (მდ. ცივი), სამხრ.-დას-ით – ზემო ჭალადიდის თემის საკრებულო.

ახალსოფლის სასოფლო საბჭო, როგორც საქ. სსრ ადგილობრივი ადმ.-ტერიტ დანაყოფი, თავდაპირველად დაფიქსირდა „დაყოფის“ მხოლოდ 1949 წლის გამოცემაში ზემოთ დასახელებული ორი სოფლით. საქართველოში დადასტურებულ 25-მდე სოფელ „ახალსოფელს“ შორის სწორედ ეს, სენაკის რ-ნის ახალსოფელი, არის უკანასკნელი წარმონაქმნი ამ სახელწოდებით. რესპოდენტთა გადმოცემით, ამ ახალსოფელს უწინ ძონძირი ერქვა. იგი, როგორც სოფელი, შედის 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში (იხ. Свод... 1893), საიდანაც ცხადი ხდება, რომ თეკლათის სოფლის საზოგადოებაში სხვა მრავალ სოფელთან ერთად შედის ძონძირიც და ისულაც.

1926 წლის აღწერით, სენაკის მაზრის თეკლათის სას. საბჭოში შედის 12 სოფელი. მათ შორისაა ძონძირიც (237

კომლი, 1091 სული). 2002 წელს კი ახალსოფლის თემის ამ ორი სოფლის მოსახლეობა შეადგენს 1817 მცხოვრებს (კაცი – 886, ქალი – 931).

საერთოდ კი, ვახუშტის „აღწერაში“ დასახელებულია ახალგორი, ახალდაბა, ახალქალაქი, ახალციხე... მაგრამ ახალსოფელი არსად ჩანს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ისტორიულ საქართველოში დასახლებულ პუნქტს არსად ერქვა ახალსოფელი. „ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასტურდება რამდენიმე ახალსოფელი (იხ.: ქსძ, III, გვ.,გვ.: 280, 561, 716, 729). ხოლო დღეს საქართველოში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 25-მდე სოფელს ეწოდება ახალსოფელი. რა მიზეზით შეეცვალა სახელი ძონძირს? როგორც ჩანს, მთავარი მიზეზი სახელწოდების სემანტიკა იყო: ძონძილი, ძონძირი „დაძენძილი, დაძონძილი“ წარსული დროის მიმღეობაა ზმნისა ძონძუნს „ძენძავს“ (იხ. ქაჯაია, III). შდრ. ალ. ქობალია: „**ძონძუა** – დაძონძვა, დახუნძვლა“. მაშასადამე, სემანტიკურად საჩოთირო სახელწოდება ძონძირი შეიცვალა ახალი, კომუნისტური იდეოლოგიისათვის მისაღები სახელწოდებით.

ახალსოფლის თემის საკრებულოს ორივე სოფელში 1996 წელს მკვიდრობდა 168 გვარის მატარებელი 513 კომლი. საკრებულოს მასშტაბით კომლმრავალი გვარებია: ხურცია – 41 კ., ხუნწარია – 20 კ., ნაროუშვილი – 18 კ., გოგია – 15 კ., ხოფერია – 15 კ., ჯოჯუა – 14 კ., ჯავახია – 12 კ., ქვანია – 10 კ., მურღულია – 10 კ., ლომაია – 8 კ., ტყებუჩავა – 8 კ... ცნობას ხელს აწერენ თემის საკრებულოს გამგებელი ვ. ნარმანია და ბიბლიოთეკის გამგე მ. ფაჩულია.

ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ტოპონიმური მასალის ჩაწერისას (ე.ი. 1984 წ.) იქ შექმნილი იყო ორი მეურნეობა (მეცხოველეობის მეურნეობა სოფ. ისულაში და ხეხილის სანერგე მეურნეობა სოფ. ახალსოფელში). ტერიტორია შეადგენდა 2300 ჰა-ს, ხოლო მოსახლეობა – 404 კომლს. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, ახალ-

სოფლის თემის საკრებულოში მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 1817 სულს (კაცი – 886, ქალი – 931).

## ახალსოფელი

**ახალსოფელი** – სოფელი ცხაკაიას რ-ნში, ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, სას. საბჭოს ცენტრი. ზ.დ. 20 მ, ცხაკაიადან 3 კმ (ქსე, 2). დავაზუსტოთ: სოფელი ახალსოფელი მდებარეობს ქ. სენაკსა და სოფ. ისულას შუა. უწინდელი სახელი ძონძირი (123 კომლი) პირველად დასახელებულია 1886 წელს ჩატარებული ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის ცნობარში როგორც ნაქალაქევის უბნის თეკლათის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფელი. ამავე პერიოდში, როგორც აღნიშნავს სენაკელი მასწავლებელი ს. სანებლიძე (იხ. სანებლიძე, 1890, გვ. 98), ძონძირი და ჭალადიდი ცნობილია ტყეებით, რომელიც ეკუთვნოდათ თავადებს – მხეიძეებსა და ქოჩაკიძეებს (საბჭოთა პერიოდში კი რიონის ორივე ნაპირზე ტყეები შეიცვალა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ყანებით). 1930 წლისათვის ძონძირი ისევ და ისევ თეკლათის ადმ.-ტერიტ. ორგანოში შედის 11 სხვა სოფელთან ერთად, ოღონდ თითქმის გაორმაგებული კომლთა რაოდენობით – 237 კომლი (1091 სული). შემდგომში ძონძირს ეწოდა ახალსოფელი. 1949 წელს ახალსოფელი და ისულა შედის ახალსოფლის სას. საბჭოში (იხ. დაყოფა... 1949, გვ. 104). ახალსოფელში, მდ. ტეხურის ნაპირას, ე.წ. ნანეფიშ ჭალესთან, აღმოჩენილია III-II საუკუნეებით დათარიღებული სამაროვანი.

1996 წელს ახალსოფელში ცხოვრობდა 139 გვარის მატარებელი 331 კომლი. კომლმრავალი გვარებია: ხურცია – 20 კ., ნაროუშვილი – 18 კ., გოგია – 15 კ., ჯავახია – 12 კ., ჯოჯუა – 12 კ., ხუნწარია – 12 კ., ქვანია – 10 კ., კუპრეიშვილი – 8 კ., ხუნწარია - 8 კ., კუჭავა – 7 კ.

2002 წელს ჩატარებული საქართველოს საყოველთაო ეროვნული აღწერის ცნობარის (2003 წ.) თანახმად, სოფ. ახალსოფელში მკვიდრობს 1125 სული მუდმივი მოსახლე

(კაცი – 547, ქალი – 578). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 1 ივნისს. რესპოდენტები იყვნენ:

კვაშილავა ამბაკო საბას ძე, 78 წ.
კოკაია მზიური ვლადიმერის ას., 46 წ.
ლომია ირაკლი ოლიფანტეს ძე, 76 წ.
მესხი შალვა პავლეს ძე, 73 წ.
მიმინოშვილი მიშა ტაიას ძე, 72 წ.
ნაროუშვილი ამბროსი ათანასას ძე, 58 წ.
ქადარია ამირან ალექსის ძე, 56 წ.
ხევსურიანი ხრისტო დავითის ძე, 77 წ.
ხუნწარია ანატოლი იონას ძე, 71 წ.
ხუნწარია სამსონ ლუკას ძე, 73 წ.
ჯოჯუა პლატონ ტარასის ძე, 85 წ.

## ისულა

**ისულა** – სოფელი სენაკის რ-ნის ახალსოფლის თემის საკრებულოში, მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. ზ.დ. 12 მ, სენაკიდან 4 კმ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში (ქსე, 5). დავაზუსტოთ: სოფელი ისულა მდებარეობს ტეხურისა და რიონის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ახალსოფელსა და მდ. რიონს შუა. ტეხურისა და რიონის შესართავიდან რიონ-ცივის შესართავამდე არის 4-5 კმ.

ვახუშტის საგეოგრაფიო-საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ რამდენიმეგზის არის დასახელებული ისულეთი, რომელსაც საკუთარ სახელთა საძიებელში მიწერილი აქვს „იმერეთში“ (ქსძ, III, გვ. 1029), მაგრამ კონტექსტი ცხადყოფს, რომ იგულისხმება ისულა („ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე“; ტეხური „მიერთვის ისულეთს ჩრდილოდამ რიონს“; „ხოლო ისულეთს, ტეხურის შესადინარს ქუეით, სადაც ერთვის რიონი ზღუას, აქა არს ფოთი“). იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წ. იმოგზაურა სა-

ქართველოში, სამეგრელოსა (გიულდ., 323) და ოდიშის (იქვე, გვ. 325) სოფლების დასახელებისას, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ეყრდნობა ხონის ბაზრობაზე შემთხვევით გაცნობილ მეგრელებს, რომელთაც „ამ მხარეთა სოფლები ზუსტად არ იცოდნენ", ამიტომაც სამეგრელოს სოფლების დასახელებისას (და ლოკალიზაციისას) ბევრ უზუსტობას უშვებს. კერძოდ, დასახელებულია „ისმულეთი", რომელიც, როგორც ჩანს, არის იგივე ისულა, ისულეთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისულეთი აღნიშნულია თ. ბერაძის „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე" (ბერაძე, 1970) და ვახუშტის პირველ ატლასში (1735 წ.)..

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ბერძნული „ნესოს" და ლათინური „ინსულა" ორივე კუნძულს აღნიშნავს, მაგრამ რადგანაც დღეს ისულა კუნძულს არ წარმოადგენს, ი. კეკელია ვარაუდობს: ისულა ← ისირულა „ისლნარი ადგილი, საისლე" (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 339). ეს ეტიმოლოგია რომ მისაღები იყოს, აუცილებელია, დაიძებნოს ისეთი მაგალითები, როცა **-ულა** ფუნქციით უდრის -ონა-ს. ასეთ შემთხვევაში: ისირულა „ისლნარი" → ისულა (ჰაპლოლოგიით), ან თუნდაც ოდენ „ისირულა" ჰიდრონიმის ფუნქციით. შდრ. ალ. ქობალია: „**ისულა** – იოლად განსაქერქი, სელიანი". ხალხ. ეტიმოლოგია: „ბაბუაჩემი ასი წლისა გარდაიცვალა. მისგან გამიგონია: ისულა იტალიურად ნიშნავს მწვანე მინდორს... იტალიის დედოფალი ტეხურს ამოჰყოლია გემით, ეს ადგილი უნახავს და უთქვამს, „ისულას სადილი ვჭამოთო". ამის მერე დარქმევია ისულა". ქართველი ფილოლოგისა და ისტორიკოსის ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, ბიზანტიელებს მათ მიერვე შექმნილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტისათვის უწოდებიათ ლათინური insula „კუნძული".

ისულა, როგორც სოფელი, 1886 წელს შედის სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბნის თეკლათის თემში (32 კომლი, 137 სული). „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ დაყოფის" (1930 წ. გამოცემა) მიხედვით, ისულა თეკლათის სას. საბჭოშია (105 კომლი, 457 სული). შემდგომში გამოიყო სენაკის რ-ნის ახალსოფლის სას. საბჭო ორი სოფლით: 1. ახალსოფელი –

ცენტრი (ყოფილი ძონძირი); 2. ისულა. ეს ვითარება დღემდეა შენარჩუნებული.

სოფ. ისულაში 1996 წელს მკვიდრობდა 108 გვარის მატარებელი 182 კომლი. შედარებით კომლმრავალი გვარებია: ქვანია – 10კ., ჩიქობავა – 7 კ., ღაღანიძე – 7 კ., ყურაშვილი, ჭყონია, ჩოჩია (6-6 კომლი), მურღულია, შონია, ჩიტაია (5-5 კომლი).

2002 წელს ისულაში აღირიცხა 692 მუდმივი მოსახლე (კაცი – 339, ქალი – 353). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წ. ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

პაჭკორია მელენტი საჩინოს ძე, 73 წ.

პაჭკორია მირო კაკოს ძე, 72 წ.

ხოფერია ანეტა ეგნატეს ას., 83 წ.

ხოფერია გიგანტი ბორისის ძე, 53 წ.

ხოფერია ილუშა ექვთიმეს ძე, 70 წ.

ხოფერია სერაპიონ ჯამლეთის ძე, 90 წ.

ხურცილავა ამანათი ბადურას ძე, 36 წ.

ხურცილავა დურუ კოჭოს ძე, 70 წ.

ხურცილავა შალიკო ლუდუკის ძე, 61 წ.

## გეჯეთის სოფლის საკრებულო

**გეჯეთი** – სოფელი და სოფლის თემის საკრებულო სენაკის რ-ნში, ტეხურის მარცხ. ნაპირიდან აბაშის რ-ნის საზღვრამდე, ზედა ნაქალაქევისა და ნოსირის თემებს შუა. ზ. დ. 25 მ, სენაკიდან 15 კმ. ტერიტორია 21,5 კვ.კმ. მოსახლეობა 364 კომლი (1984 წელს). აღმ-ით ესაზღვრება სოფ. წყემი. გეჯეთი აღნიშნულია თ. ბერაძის „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“ (ბერაძე, 1970). გამოთქმულია ვარაუდი, რომ XVII-XVIII საუკუნეების რამდენიმე საეკლესიო საბუთში დასახელებული მეჯეთი იგივე გეჯეთია (მაგალითად. „ოდიშს თავს მეჯეთს მამუკა გეგენავა მისის ცოლ-შვილით...“ იხ.: მხარეთმცოდნე, II, 2011, გვ. 7). გეჯეთი დასახელებულია 1717 წელს შედგენილ შეწირულების

წიგნშიც (იქვე, გვ. 45). დავით დადიანის მიერ XIX ს-ის 40-იან წლებში განხორციელებული ოდიშ-ლეჩხუმის რვა მაზრად დაყოფის ცნობარში გეჯეთი დასახელებულია სუჯუნის მაზრის სოფელთა ჩამონათვალში. ამიერკავკასიის მხარის კომლობრივი აღწერის (1886 წ. იხ. Свод… 1893) თანახმად, გეჯეთის თემის საკრებულო წარმოდგენილია ორი სოფლით: **გეჯეთი** (283 კომლი; 1512 სული) და **წყემი** (128 კომლი, 698 სული), მაგრამ საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (გამოიცა 1930 წ.) მიხედვით, ეს ორი სოფელი სხვადასხვა რაიონში მოხვდა: სენაკის რ-ნში შეიქმნა გეჯეთის სას. საბჭო, რომელშიც მხოლოდ გეჯეთი შედიოდა (389 კომლი; 1696 სული), ხოლო წყემი მოექცა აბაშის რ-ნის წყემის სას. საბჭოში სოფ. ძიგურთან ერთად. ამ წელს წყემის მოსახლეობა შეადგენდა 218 კომლს (1056 სული). 2002 წლის აღწერით, გეჯეთის ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეული შეიცავს მხოლოდ გეჯეთს (მუდმივი მოსახლეობა – 1261 სული: კაცი – 598, ქალი – 663).

გეჯეთში ისტორიულად რამდენიმე ეკლესიაა დაფიქსირებული: 1. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია საკოხიოს უბანში, სასაფლაოსთან, რომელსაც ეწოდება გოჭვილოხვამე „ნახანძრი სალოცავი“; 2. მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია საოჩიგავოს უბანში. შემორჩენილია მხოლოდ ქვის საძირკველი; 3. მისარიონის (წმ. გიორგის) სახელობის ეკლესია ჯიხირის უბანში (ჭითანავა, 2010, გვ. 419-420).

გეჯეთთან დაკავშირებული ხალხური ეტიმოლოგიები ვრცლადაა გადმოცემული ერთი მხრივ, გ. ელიავას, ხოლო მეორე მხრივ, ი. კეკელიასა და დ. ოდიშარიას გამოკვლევებში. ხალხ. ეტიმოლოგია ასეთია: ტეხურსა და აბაშას შუა თურქები იყვნენ დაბანაკებული. შემდეგ ჯარის უფროსს უბრძანებია: გეჯ გეთ, ე.ი. ნავით გადადიო. ამიტომ დარქმევია გეჯეთი. კ. ჰანი გეჯეთს აკავშირებს სიტყვა **გეჯა**-სთან (ჰანი, 1909, გვ. 34). დ. ყანდაშვილი ს.-საბას ლექსიკონზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ ტოპონიმი გეჯეთი ნიშნავს „ადგილი, სადაც ხის დიდ გობებს აკეთებენ“ (ყანდაშვილი, 2000, გვ. 20). ამასთანავე, მისაღებია გ. ელიავას

ერთ-ერთი რესპოდენტის განმარტება, რომ გეჯეთი ნიშნავს გეჯეს (პირსახელია) თის ანუ გეჯეს ოჯახს. მაშასადამე, ჯგუფური ანთროპონიმი გეჯეთი შემდგომში ოიკონიმად ქცეულა.

1996 წელს სოფ. გეჯეთში მკვიდრობდა 81 გვარის მატარებელი 445 კომლი. კომლმრავალი გვარებია: კუპრეიშვილი – 77 კ., ჩემია – 35 კ., ოჩიგავა – 32 კ., ჯღამაძე – 32 კ., თურქია – 25 კ., გეგენავა – 17 კ., კოხია – 14 კ., ალასანია – 12 კ., ბერაია – 11 კ., ბჟალავა – 11 კ., ჯოჯუა – 5 კ. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წ. ივნისში რესპოდენტები იყვნენ:

თურქია ბენედიქტე (ძუკუ) ესტატეს ძე, 83 წ.
კოპაძე ლამარა რემიკოს ასული, 28 წ.
კუპრეიშვილი იულონ ბესოს ძე, 85 წ.
კუპრეიშვილი მეგრან ილიას ძე, 49 წ.
კუპრეიშვილი ნიკოლოზ თედორეს ძე, 68 წ.
ლოლუა გაბრიელ (ქიბარი) გიორგის ძე, 75 წ.
ოჩიგავა კირილე ოტიას ძე, 86 წ.
ოჩიგავა შულია მირიანეს ასული, 52 წ.
ჩემია აკაკი სამსონის ძე, 73 წ.
ჩემია ვახტანგ ირაკლის ძე, 63 წ.
ჭეიშვილი ტრიფონ მიხეს ძე, 73 წ.
ხარებავა გრიგოლ მიხეილის ძე, 65 წ.
ჯღამაძე რევაზ (ბაბუ) გერასიმეს ძე, 33 წ.
ჯღამაძე პარმენ (პარი) მიხას ძე, 88 წ.
ჯღამაძე შოთა იონას ძე, 72 წ.

## ეკის თემის საკრებულო

ეკის თემის საკრებულო, სენაკის რ-ნის ერთ-ერთი ადმ.-ტერიტ. ერთეული, მდებარეობს მდ. ცივის ხეობასა და ეკის მთის კალთებზე. 1886 წელს ეს თემი შედიოდა სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში და მოიცავდა სამ სოფელს: **ეკი** (413 კომლი, 2382 სული), საწულეისკირო (60 კომ-

ლი, 350 სული), უფალის-კარი (103 კომლი, 558 სული). (სულ თემში: 576 კომლი, 3290 სული). 1930 წლისათვის კი სენაკის მაზრის სენაკის რ-ნის ეკის სას. საბჭოში ხუთი სოფელია გაერთიანებული: ეკი შუა (166 კომლი, 745 სული), ზემო-კარი (მაცხოვრისკარი – 155 კომლი, 689 სული); საადამიო (73 კომლი, 311 სული); საწულესკირიო (39 კომლი, 203 სული), უფლისკარი (103 კომლი, 511 სული). (სულ თემში: 536 კომლი, 2459 სული). 2002 წლისათვის კი ეკის თემის საკრებულოს სოფლებია: ეკი (ც.), საადამიო, საგუნიო, საცხვიტაო, უფალკარი (საწულეისკირიო კი მენჯის თემში შედის). ხუთივე სოფლის მოსახლეობა შეადგენს 905 სულს (კაცი – 442, ქალი – 463). ეკის ნათლისმცემლის საყდარი დასახელებულია 1707 წლის საეკლესიო საბუთში (კაკაბაძე, I, გვ. 87).

სენაკის რ-ნის ეკის თემის ხუთივე სოფელში 1996 წელს მკვიდრობდა 89 გვარის მატარებელი 287 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ადამია – 35 კ., ცხვიტავა – 15 კ., ელიავა – 12 კ., თათარაშვილი, პაჭკორია, ჩხეტია (8-8 კ.), ხუნჯუა –7 კ., გოგინაშვილი, სიჭინავა, ფარღალავა (6-6 კ.), ქვანია, ფარცვანია, შულაია, ჩიქობავა (5-5 კ.). სათანადო ცნობას ხელს აწერენ ეკის თემის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე ვ. ხორავა და მდივანი ი. ფარღალავა.

ეკის თემის სოფლების ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. იხ. რესპოდენტები სოფლების მიხედვით.

## ეკი

**ეკი** – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი სენაკის რ-ნში, მდ. ცივის მარცხ. მხარეს, სენაკ-ჩხოროწყუს საავტ. გზაზე. ზ. დ. 45 მ, სენაკიდან 12 კმ. სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მთაზე, იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო ანსამბლია შუაში აღმართული ეკლესიით (IX-X სს. ფრესკების ფრაგმენტებით), აღმ-ით კი – მაცხვარკარის ეკლესია (ვარაუდით XIII ს-ის მეორე ნახევრისა). შემორჩენილია აგ-

რეთვე შუა საუკუნეების ციხის ნანგრევი ირგვლივ შემოვლებული ღრმა და განიერი თხრილით. 1971 წელს სოფელში აღმოაჩინეს ვერცხლის მონეტები (ე.წ. „ეკის განძი“), რომლებიც მოჭრილია პართიის მეფისა და რომის რამდენიმე იმპერატორის სახელით (ყველაზე გვიანდელი მონეტა 222 წლით თარიღდება. იხ. ქსე, 4).

„ეკი“ დასტურდება XVII-XVIII სს. საეკლესიო საბუთებში. დავასახელებთ ერთ მათგანს: სავარაუდოდ 1616-1639 წწ. მალაქია კათალიკოზის მიერ შედგენილ ბიჭვინტისადმი კათალიკოზის შეწირულების წიგნში აღნიშნულია: „ეკს ორი კვამლი კაცი საკანონოში ჭილაძესა ლომკაცსა დავადებინეთ და შევიწირვინეთ“ (ქსძ, III, გვ. 502); შენიშვნა: აქვე (გვ. 500-501) ოდიშის სოფლებს შორის დასახელებულია ეკალი, რაც უნდა იყოს არა დასახელებული ეკი, არამედ ს. ეკალი აბაშის რ-ნში.

სოფელი ეკი (აგრეთვე: იმანიერი, უფალ-კარი, საწულეისკირიო) XIX ს. 40-იან წლებში შედის ზუბის მაზრაში. 1886 წელს კი ეკი სოფელი და სოფლის საზოგადოების ცენტრია სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში (თემში შედის აგრეთვე: „საწულესკირო“ და „უფალის-კარი“. იხ. ზემოთ).

რა ვითარებაა სოფ. ეკში მოსახლე პირთა რაოდენობის მხრივ? 1886 წელს ეკის მოსახლეობა აღწევდა 413 კომლს (2382 სული). 30 წლის შემდეგ კი, 1926 წელს, სოფელში ცხოვრობდა 166 კომლი (745 სული). საქმე ისაა, რომ ორ უბანს მიენიჭა სოფლის სტატუსი – ზემოკარსა (იგივე მაცხოვრისკარი) და საადამიოს. 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით (ამ პერიოდში ეკის თემის საკრებულოში ხუთი სოფელია) სოფ. ეკის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს მხოლოდ 127 სულს (კაცი – 59, ქალი – 58).

ეკი ორგანაა დასახელებული გ. ელიავას „სენაკის რაიონის ტოპონიმიაში“ (თბ., 1989), სადაც მენჯის სასოფლო საბჭოს ტოპონიმთა ჩამონათვალში ვკითხულობთ: 1. „ეკი (მაღლა) – საწულეისკიროს ცენტრი“. ამას მოსდევს რესპოდენტისეული ეტიმოლოგია: „სულ მაღლდება ამის

შემდეგ ადგილი, ამიტომ მას ეკალს ეძახიან“ (ელიავა, 1989, გვ. 42); 2. ეკის სასოფლო საბჭოს ტოპონიმთა შორის დასახელებული **ეკი** ისევ და ისევ განმარტებულია „მაღლა“ სიტყვით და მოყვანილია რესპოდენტთა გადმოცემები: 1. „იტყოდნენ სულ ეკიი-ეკიი, სულ აღმა და ამოღმაო. მართლაც ეს ადგილები სულ მაღლდება, მაღლა მიდის, ამიტომაც შეერქვაო ეკი“; 2. „აქ ამოჰქონდათ **ეკი** – ლეკი, მინერალური საღებავი და ამიტომ შეერქვა სოფელს ეკი“ (ელიავა, 1989, გვ. 81). ო. ქაჯაია განმარტავს: **„ეკალგ//ეკალუ** – ასავალი, ასასვლელი. გადატ. აღმართი“; **„ეკი** – ზევით, მაღლა... **ეკი-ეკი** – ზევით-ზევით; **ეკინელი** – აწეული“. ტოპონიმ ეკისათვის ასეთი ეტიმოლოგია მისაღები ჩანს: სოფელი მდ. ცივის ნაპირებიდან აღმ-ით სულ მაღლა-მაღლა მიიწევს. მაშასადამე: ეკალ „აღმართი“ (აქედან გამომდინარე, ნაკლებ მისაღებია ვარაუდი, რომ სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალია ლეკი „შლამი, ლექი“ → ჲეკი → ეკი. ეს ფონეტიკური პროცესი მხოლოდ ზ.-მ. თქმისათვის არის დამახასიათებელი).

ტრადიციულად სოფ. ეკში ყოველწლიურად, 29 ივნისს, იმართებოდა ჯარიანობა; ხალხი მრავალი მეზობელი სოფლიდან მოდიოდა მოსალოცავად, რასაც თან ახლდა ლხინი, თამაშობანი, ჯირითი (იხ. ვრცლად: ჭითანავა, 2010, გვ. 413). რესპ.: „ერთ დროს სოფელ ეკს ერქვა „შუა ეკი“. ზოგნი ამ სახელწოდებას დღესაც მიმართავენ, როგორც „ეკის“ ადგ. ვარიანტს. შუა ეკი იმიტომ დარქმევია, რომ გადაზომეს სოფლის ტერიტორია და შუა ადგილას ააგეს სას. საბჭოს შენობა.

1996 წელს ეკის თემის საკრებულოს სოფ. ეკში (ადგ. ვარიანტი: შუა ეკი) დადასტურდა 21 გვარის მატარებელი 135 კომლი. ამ გვართაგან კომლმრავალია: ხუნჯუა – 7 კ. და სიჭინავა – 6 კ. დანარჩენი გვარების უმეტესობა თითოორი კომლითაა წარმოდგენილი.

2002 წელს სოფ. ეკში ოდენ 127 მუდმივი მოსახლეა (კაცი – 59, ქალი – 68). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

აბურჯანია ხუნტული ლუკას ძე, 58 წ.

ადამია ტარიელ როსტომის ძე, 70 წ.
ადამია ვალიკო კინტირიას ძე, 78 წ.
ელიავა ალე თედორეს ძე, 77 წ.
ელიავა არნოლდ ვანოს ძე, 47 წ.
ელიავა გურამ იასონის ძე, 50 წ.
ელიავა ნანი მიხეილის ას., 36 წ.
თათარაშვილი ლერი პავლეს ძე, 45 წ.
კოლუა ერასტო დიმიტრის ძე, 77 წ.
მაჭავარიანი ვასილ ძუკუს ძე, 58 წ.
ნინუა დავით გიორგის ძე, 73 წ.
სიჭინავა ნესტორ იაკობის ძე, 73 წ.
ჩიჩუა ძიკა გიორგის ძე, 82 წ.

## საადამიო

**საადამიო** – სოფელი სენაკის რ-ნის ეკის თემში მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 100 მ, სენაკიდან 12 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: საადამიო მდებარეობს ეკის მთის დას. კალთაზე. აღმ-ით ესაზღვრება საჩიქობავო, სამხრ.-დას-ით – საწულეისკირიო, ჩრდ-ით – ეკი და საცხვიტაო მდ. ცივის მარცხ. ნაპირამდე.

საადამიო, როგორც სოფელი, პირველად „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ პირველ (1930წ.) გამოცემაშია დასახელებული (შედის ეკის სას. საბჭოში. მოსახლეობა – 73 კომლი, 311 სული). სახელდების მოტივაცია: სოფლის ძირითადი მაცხოვრებლები ადამიები არიან. მაშასადამე: ადამია (გვარსახელი) → საადამიო „გვარ ადამიას საცხოვრისი; ადამიებისათვის განკუთვნილი უბანი“. გვარი ადამია საკმაოდ მრავალრიცხოვანია – 247-ე ადგილი საქართველოში (2790 სული: სენაკი – 708, თბილისი – 631, ზუგდიდი – 223). სენაკის რაიონში ამ გვარს უკავია მეოთხე ადგილი (უსწრებს გვასალია, ტყებუჩავა, გოგია). სამეგრელოში გავრცელებულია ბიბლიური პირსახელები ადამა, ადამი. მათგან საგვარსახელო -ია სუფიქსის დართვით წარმოქმნილა გვა-

რი ადამია. ეკში მცხოვრები ადამიების წინაპარს, სოფელში ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, ხონში კაცი მოუკლავს და, გამოქცეულს, თავშესაფარი აქ უპოვია. ჯოლიებს მინდობიან. 1904 წლის აღწერის თანახმად, ეკში მცხოვრები ადამიების ერთი ნაწილი აზნაური ყოფილა. XVII ს-ში შედგენილი ე.წ. მათხოჯის დავთარში დასახელებულია 20-ზე მეტი საეკლესიო ყმა გვარად ადამია (იხ. პალ, I, გვ. 69-70).

1996 წელს სოფ. საადამიოში აღინუსხა 15 გვარის მატარებელი 43 კომლი. გვართაგან კომლმრავალია: ადამია – 25 კ., პაჭკორია – 8 კ. 2002 წლის აღწერის თანახმად, ეკის თემის საკრებულოს სოფ. საადამიოს მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 189 სულს (კაცი – 91, ქალი – 98). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ადამია ავთანდილ დოროთეს ძე, 59 წ.
ადამია ვლადიმერ ბათუს ძე, 80 წ.
ადამია კოლია გიორგის ძე, 88 წ.
ადამია ტარიელ როსტომის ძე, 70 წ.
ადამია ლონგინოზ გიორგის ძე, 79 წ.
ადამია ტარიელ როსტომის ძე, 70 წ.
ცხვიტავა მელორი ოლიფანტეს ძე, 35 წ.

## საგუნიო

**საგუნიო** – სოფელი სენაკის რ-ნის ეკის თემის საკრებულოში, მდ. ცივის ხეობაში. ზ.დ. 120 მ. სენაკიდან 18 კმ. სოფ. ეკიდან 4 კმ. (ქსე, 8). დავაზუსტოთ: საგუნიო სოფელია ეკის თემის საკრებულოს აღმ. ნაწილში, ეკის მთის კალთებზე, რომელსაც საგუნიოგოლა ეწოდება. დას-ით ესაზღვრება სოფლები ეკი და საადამიო, აღმ-ით – კოტიანეთი, ჩრდ-ით – უფალკარი, სამხრ-ით – კვარჩხიღალი.

გუნია მცირერიცხოვანი გვარია (772 სული საქართველოში. მათგან სენაკის რ-ნში – 181). მაგრამ ეს გვარი ცნო-

ბილი ყოფილა XVII საუკუნეშიც. 1629 წლის საეკლესიო საბუთის თანახმად, ეკის მცხოვრები იოვანე გუნია და მისი „სახლიკაცი“ თვალთვალე ოჯახითა და მამულით ლომკაც ჭილაძეს შეუწირავს ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის (პალ, 1, გვ. 741).

საგუნიო, როგორც სოფელი, თავდაპირველად მხოლოდ 1949 წელს დასახელდა ეკის სას. საბჭოს შემადგენლობაში. საგუნიოში 1996 წელს მკვიდრობდა ერთადერთი გვარი გუნია (1 კომლი). 2002 წლის აღწერის ცნობარის მიხედვით კი, ეკის თემის საკრებულოს სოფელი საგუნიო მოსახლეობისაგან დაცარიელებულია.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ვეკუა სამსონ გუდუს ძე, 82 წ.

კუჭავა ბონდო შოთას ძე, 21 წ.

ცხვიტავა თემურ ბესარიონის ძე, 52 წ.

## საცხვიტაო

**საცხვიტავო** – სოფელი სენაკის რ-ნის ეკის თემის საკრებულოში, მდ. ცივის ხეობაში. ზ.დ. 160 მ. სენაკიდან 15 კმ. ს. ეკიდან 3 კმ. (ქსე, 9). დავაზუსტოთ: საცხვიტაო ეკის მთის ერთ-ერთი მაღალი სოფელია მდ. ცივსა და დღურუს შუა. ესაზღვრება სოფლები: ეკი, საწულეისკირიო, საადამიო, დიდი ხორში.

სოფლის სახელწოდებისთვის ამოსავალია გვარი ცხვიტავა (XX ს. დამლევისათვის საქართველოში 894 სული, მათგან სენაკის რ-ნში – 134). სენაკის რ-ნში ცხვიტავათა ყველაზე მეტი რაოდენობა მკვიდრობს სოფ. ეკში (15 კომლი). რესპოდენტის ინფორმაცია: „ცხვიტავა, იგივე ცხვიტალია, აქ ძირეული გვარია“. შამადავლა დადიანის მიერ 1495 წ. შედგენილ საეკლესიო იადგარში მრავალი გვარია დასახელებული, მათ შორის წუწუნავა, ბერია, ცხუიტავა... (იხ. პალ, II, გვ. 11). არაა გამორიცხული, სხუიტავა

იგივე ცხვიტავა იყოს. გ. ელიავას სოფ. ეკის სას. საბჭოს ტოპონიმთა სიაში დასახელებულია არა ცხვიტავა და საცხვიტავო, არამედ საცხვიტიო – ცხვიტიების (გვარი) უბანი (ელიავა, 1989, გვ. 39). შენიშვნა: არაა იშვიათი, როცა ამა თუ იმ თემში (ყოფილ სას. საბჭოში) ოფიციალური ადმ.-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში სოფლად არსებულ მცირე დასახლებულ, მაგრამ არაისტორიულ პუნქტზე იტყვიან: „ეგ რა სოფელია, ჩვენ უბანს ვუწოდებთ“.

ცხვიტავები ირწმუნებიან, რომ ისინი უწინ გვარად ცხვიტარიები იყვნენ. საცხვიტაო, როგორც სოფელი ეკის ადმ.-ტერიტ. ერთეულში, პირველად, ისევე როგორც საგუნიო, გამოჩნდა საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1949 წლის ცნობარში. 2002 წელს საცხვიტაოს მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 225 სულს (კაცი – 110, ქალი – 115).

1996 წელს საცხვიტაოში აღირიცხა 20 გვარის მატარებელი 70 კომლი. ყველაზე მრავალკომლიანია გვარი ცხვიტავა – 13 კ., ხოლო შულაია და ჩიქობავა წარმოდგენილია 5-5 კომლით. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ადამია ლონგინოზ გიორგის ძე, 79 წ.
ცხვიტავა გვაჯა პავლეს ძე, 85 წ.
ცხვიტავა ჯვებე მიხეილის ძე, 69 წ.

## უფალკარი

**უფალკარი** – სოფელი სენაკის რ-ნის ეკის თემის საკრებულოში, ეკის მთის დას. კალთაზე, მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 70 მ, სენაკიდან 17 კმ (ქსე, 11). დავაზუსტოთ: უფალკარი მდებარეობს ეკუსკურსა და მის მარცხ. შენაკად ჭყონიაღელოს შუა, უფალოხვამეს გარშემო. იყოფა: ზემო უფალკარი, ქვემო უფალკარი (მათ შუაა საგრიგოლიო). საბჭოთა პერიოდში ერქვა შრომისკარი.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის (XIX ს. 40-იანი წლები) თანახმად, ზუბის მაზრაში დღევანდელი ეკის თემის რამდენიმე სხვა სოფელთან ერთად შედის „უფალკარიც“. 1886 წლისათვის კი უფალკარი (ფორმით „უფალის-კარი“) შედის სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბნის ეკის თემის საზოგადოებაში (103 კომლი, 558 სული), ხოლო საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარით (დაიბეჭდა 1930 წ.) სენაკის რ-ნის ეკის თემის საკრებულოშია (103 კომლი, 511 სული), ხოლო 2002 წელს ამ სოფლის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 364 სულს (კაცი – 182, ქალი – 182).

თავდაპირველად უფალკარი ერქვა იმ ადგილს, სადაც იდგა წმ. გიორგის ხის ეკლესია (ეკის მთაზე, საელიავოს უბანში), რომელიც კომუნისტებმა დაანგრიეს გასული საუკუნის 20-იან წლებში (მოტივაცია: სკოლის აშენების აუცილებლობა). ლექსიკური განმარტება: უფალი ძვ. ქართულში აღნიშნავდა ბატონს, პატრონს, მბრძანებელს, ხოლო ქრისტიანულ მოძღვრებაში აღნიშნა ღმერთი, უზენაესი.

უფალკარში, საელიავოს უბნის გორაზე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ყოფილა (ჭყონიაღელესა და საგუნიაღელეს შუა). სოფელში 1996 წელს ცხოვრობდა 45 გვარის მატარებელი 112 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ელიავა – 18 კ., ჩხეტია – 8 კ., პაჭკორია – 7 კ., ფარღალავა, შურღაია (6-6 კ.), გოგინაშვილი, გრიგოლია (5-5 კ.). 2002 წელს უფალკარში მკვიდრობს 364 სული მუდმივი მოსახლე (კაცი – 182, ქალი – 184).სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

აბურჯანია ხუნტული ლუკას ძე, 58 წ.
ელიავა ალე თედორეს ძე, 77 წ.
ელიავა არნოლდ ვანოს ძე, 47 წ.
ელიავა ნაზი მიხეილის ასული, 36 წ.
ზარელუა ბიქტორ კონსტანტინეს ძე, 76 წ.
თათარაშვილი ლერი პავლეს ძე, 45 წ.
კოლუა ერასტო დიმიტრის ძე, 77 წ.
მაჭავარიანი ვასილ ძუკუს ძე, 58 წ.
ჩიჩუა ძიკა გიორგის ძე, 82 წ.

# ზანის თემის საკრებულო

ზანის თემის საკრებულო სენაკის რ-ნის ერთ-ერთი ადმ-ტერიტორიული ერთეულია. აღმ-ით ესაზღვრება უშაფათის, სამხრ-ით – ხორშის თემის საკრებულოები, ხოლო ჩრდ-ით და დას-ით – ჩხოროწყუს რ-ნი. თემში შედის სოფლები: ზანა, ეწერი, საესებუო, სატყებუჩავო, საშურღაიო.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფით (XIX ს. 40-იანი წლები), ზანა სოფელია ზუბის მაზრაში (მეუნარგია, 1939, გვ. 112). ამიერკავკასიაში 1886 წ. განხორციელებული კომლობრივი აღწერის ცნობარის თანახმად, ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში შექმნილია ზანის თემის საზოგადოება ორი სოფლით ზანა დიდი (335 კომლი, 1920 სული) და ზანა პატარა (80 კომლი, 471 სული. იხ. Свод... 1893). საბჭოთა წყობილების დამდეგს სენაკის რ-ნის ზანის სას. საბჭოში ისევ და ისევ ეს სოფლებია (ზანა დიდი – 447 კომლი, 2026 სული; ზანა პატარა – 98 კომლი, 444 სული). შემდგომში ზანა პატარა, როგორც „პატარა ზანა“, შევიდა იმავე რაიონის ხორშის სას. საბჭოში, ხოლო ზანა დიდს მოეხსნა მსაზღვრელი „დიდი“.

როგორც ცნობილია, XIX ს-ში დიდი ზანის მაცხოვრის სახელობის ფერიცვალების ეკლესია, რომელიც იდგა სოფლის ცენტრში, წარმოადგენდა ე.წ. „შტატის ეკლესიას“. იგი აუშენებიათ 1848 წელს, ხოლო დაანგრიეს 1924-ში. რამდენიმე წლის წინათ ამ ნაეკლესიარზე (ეწოდება ოხვამეკარი) ააგეს ფერიცვალების სახელობის ახალი ეკლესია. ამასთანავე, პატარა ზანაში მოქმედებდა ე.წ. „ხედმიწერილი“ ეკლესია. საერთოდ კი, სოფ. ზანაში ყოველი წლის ორ აგვისტოს (ძვ.წ.) აღინიშნებოდა და დღესაც აღინიშნება ელიობის დღესასწაული, სადაც „მთელი სოფელი იკრიბება და იკვლება საკლავი, ინთება დიდი კოცონი, ციან ცეკვა-თამაში და ღამის თევა“ (ჭითანავა, 2010, გვ. 407).

„საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1987 წლის გამოცემის თანახმად სენაკის რ-ნის ზანის სას. საბჭოში შედის ზანა (ც.), ეწერი, საესებუო, სატყებუჩავო, სა-

შურღაიო. 2002 წელს ამ ხუთი სოფლის მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 1484 სულს (კაცი – 712, ქალი – 772).

## ზანა

ზანა – სოფელი და სოფსაბჭოს ცენტრი მდ. ზანის მარცხ. მხარეს, სენაკ-ჩხოროწყუს საავტ. გზაზე. ზ. დ. 160 მ, სენაკიდან 20 კმ... სოფელი აღნიშნულია იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ XVII ს-ში შედგენილ „სამეგრელოს რუკაზე“ (ქსე, 4, გვ. 480). XIX ს-ში ამ სოფელზე გაიარა შქა სამარგალოშ შარამ („შუა სამეგრელოს გზა“), რაც, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის სამხედრო გზა იყო. ამავე პერიოდში აქ ჰქონდათ დუქნები, სავაჭრო ფარდულები, ბაზარი. სოფელს ესაზღვრება: სამხრ.-დას-ით – ეწერი, დას-ით – სატყებუჩავო, ჩრდ.-აღმ-ით – საესებუო.

ზანასთან დაკავშირებული ხალხური ეტიმოლოგიები ჩაწერილი აქვს გ. ელიავას: 1. „აქ ქოთნებსა და სხვა ჭურჭლებს ამზადებდნენ... მისთვის თიხას ზელდნენ „ზანდეს“. აქედან წარმოსდგა სახელწოდება ზანა“; 2. „აქ ზანები სახლებულან. მათი ნასახლარია, ამიტომ სოფელს ზანა შემორჩაო სახელად“; 3. „დადიანი ამ გზაზე ცხენებით დადიოდა. ეს ცხენები ფლოქვებით ტალახიან წითელ მიწას ზელავდნენ. სწორედ ამ ცხენებზე ამბობდა ხალხი: „ჭითა დიხას ზანა“ („წითელ მიწას ზელენ“) და სხვ. (ელიავა, 1989, გვ. 93).

ზანაში იდგა მაცხოვრის სახელობის ფერიცვალების ეკლესია, სადაც ინახებოდა 4 საუკუნის წინათ შექმნილი მაცხოვრის ხატი ასომთავრული წარწერით. ეს წარწერა აღუდგენიათ 1847 წელს. ამ სოფელშივე ცნობილი ყოფილა მეხიურის ეკლესიაც. ზანის მოსახლეობა ყოველი წლის 2 აგვისტოს აღნიშნავდა ელიობას.

ზანა, როგორც ჩანს, უძველესი სიტყვაა. შემთხვევითი არაა, რომ სვანურში ზანარ, მგზან აღნიშნავს მეგრელს. მეგრულში ზანა ჰიდრონომენია და, როგორც ჩანს, აღნიშნავდა წყალს, ან წყლიან ადგილს, როგორიცაა ზღვისპირა

კოლხეთი. შდრ. ალ. ქობალია: „**ზანა** – წყალი; ვაკე, ბარი; წყლისპირა ბარი"; „**ზანარი** – ზანელი; ზანი; ვაკელი, ბარელი, წყლისპირელი" (ქობალია, 2010, გვ. 307). ზ. ჭუმბურიძე, ეყრდნობა რა ძველბერძნული წყაროების ცნობებს სანების, ანუ ზანების, შესახებ, ასკვნის, რომ ეს სანები//ზანები არიან კოლხები – მეგრელები და ჭანები. „ამავე ფუძეს უკავშირდება გეოგრაფიული სახელები **ზანა** და **საზანო** (ე.ი. სამეგრელო)" (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 416). გ. ბედოშვილი, ასახელებს რა ოიკონიმ ზანავს ადიგენისა და ბორჯომის რაიონებში, აგრეთვე „ქართლის ცხოვრების" ინფორმაციას, რომ ზანავი ქ. მცხეთის ერთ-ერთი (ურიათა) უბანია, სამართლიანად თვლის, რომ ზანა (და არა ზანი) ჰიდრონიმული ტერმინია და „ზანავი" უნდა გავიგოთ როგორც „წყაროები", წყარომარავალი ადგილი"(ბედოშვილი, 2002, გვ. 155-157). თუმცა კი ტოპონიმებში – ზანა, ზანათი, საზანო ზანი ეთნონიმია. თუ გავითვალისწინებთ აღმ. საქართველოს ერთ-ერთი მდინარის სახელწოდება ალაზანს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ზან** „წყალი" საერთო კავკასიური ჰიდრონომენია. კოლხეთში ზანა ეწოდება რამდენიმე მცირე მდინარეს. შდრ. ალ. ქობალია: „**ზანა** – ზანა, წყალი, ვაკე, ბარი, წყლისპირა ბარი". დაბოლოს: „შეიძლება მეგრულად ზანს ჟინო ეწოდებოდა და აქედან მივიღეთ ჟინოსქუა" (ბერძენიშვილი, 1970, გვ. 502).

2002 წელს სოფ. ზანაში ცხოვრობდა 271 სული (კაცი – 125, ქალი – 146). სოფლის ტოპონიმია აღწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბოჯგუა დავით პროკობის ძე, 73 წ.
ბოჯგუა კოლია ვასილის ძე, 73 წ.
კვაშილავა გ. 69 წ.
კვირაია შალვა ყარამანის ძე, 72 წ.
მირგატია ტარასი ივანეს ძე, 79 წ.
ტყებუჩავა ნოე აკიას ძე, 57 წ.
ღვინჯილია ნოდარ ნოეს ძე, 46 წ.
შურღაია მიხეილ მალხაზის ძე, 61 წ.
ციმინტია ფედია (ბოჩია) მიროს ძე, 56 წ.
ჯიქია ლენტერი მაკარის ძე, 62 წ.

# ეწერი

დასავლეთ საქართველოში სახელწოდება **ეწერს** ატარებს ათამდე სოფელი (სხვადასხვა რ-ნში). ერთ-ერთი მათგანია სენაკის რ-ნის ზანის თემის საკრებულოს სოფელი ეწერი. იგი მდებარეობს მდინარე ხობისწყლისა და ცივის შუამდინარეთში, სენაკ-ჩხოროწყუს საავტ. ტრასაზე, პ. ზანასა და ზანას შუა. აღმ-ით ესაზღვრება საშურღაიო. ზ. დ. 130 მ, სენაკიდან 18 კმ, სოფ. ზანიდან 1 კმ. 1864 წლის საეკლესიო-საარქივო მასალის მიხედვით, დასახლებული პუნქტი ეწერი ხორშის თემის შემადგენლობაშია (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 22). 1949 წლიდან ეწერი სენაკის რ-ნის ზანის სას. საბჭოში შედის. XIX ს-ში სოფლის სასაფლაოსთან მდგარა წმ. ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ხის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 408). ადგ. ვარიანტი: ენწერი.

ლექსიკური ერთეული ეწერი პირველად ს.-საბას ლექსიკონში გვხვდება: „**ეწერი** – ისლოვან-გვიმროვანი ტყე, ველოვანი". ერთგვარად განსხვავებული განმარტებანი აქვთ მოცემული დ. ჩუბინაშვილსა („**ეწერი** – მცირე ბუჩქი, მორჩილი ტყე, მცირე ჭალა, лесок, кустарник)" და ნ. ჩუბინაშვილს („**ეწერი** – ხშირი ჭალა, ველოვან-ნისლოვანი"). საენციკლოპედიო განმარტებანი ასეთია: **ეწერი ნიადაგი** – მჟავე ნიადაგის ტიპი... დაბალი ნაყოფიერებისა... დას. საქართველოს სუბტროპიკული ზონის ეწერ ნიადაგზე გაშენებულია ჩაი, ციტრუსები, მოჰყავთ სიმინდი და სხვ. ეწერი ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისათვის აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება, სახნავი ფენის გაღრმავება (ქსე, 4. გვ. 259). აქვეა განმარტებული **ეწერ-ლებიანი ნიადაგი** (იქვე, გვ. 260). ქეგლისეული განმარტება ასეთია: „**ეწერი** – 1. საერთო სახელი ნიადაგის სხვადასხვა ტიპისა; 2. მწირი, უნაყოფო მიწა გამოფიტულ-გამორეცხილი, მცირემოსავლიანი; 3. კუთხ. (იმერ., გურ.) დაბლობი ადგილი დაფარული ბუჩქით, ისლით და მისთ." (ქეგლ, III, გვ. 1511). კ. ჰანის განმარტებით ეწერი იგივეა, რაც რუს. Роща (ჰანი, 1909, გვ. 163).

ჩავიხედოთ მეგრულის ლექსიკონებში: ო. ქაჯაია: „**ენ-წერი, ეწერი** – ეწერი, მაღალი, მწირი და მცირემოსავლიანი ადგილი“; ალ. ქობალია: „**ენწერი//ეწერი** – ეწერი მცირე ბუჩქნარით; ახალამოწვერილი ტყით დაფარული ველი; უნაყოფო მიწა“.

ტოპონიმურმა მასალამ და რესპოდენტთა განმარტე-ბებმა გამოავლინა, რომ ენწერი მეგრულში ზოგადად ნიშ-ნავს მწირ, დაბალმოსავლიან წითელ ნიადაგს. კონკრეტუ-ლად კი მთიან სამეგრელოში ენწერი, ჩვეულებრივ, არის მაღლობი ადგილი, ვაკე-ბორცვი, სადაც კირქვოვანზე მიწის თხელი და წყალგაუმტარი ფენაა: მშრალია, წყალი არ დგება. იზრდება მხოლოდ გვიმრა. ხოლო ვაკე სამეგრელო-ში **ენწერი** წყალჩამდგარი ადგილია, ხშირად ისლნარი, და-ბალბუჩქიანი, არაღრმა ჭაობი. რესპ.: „ენწერი ისეთი ადგი-ლია, სადაც წყალი დგება და ჭეჭყობია... წნელი ბევრი მო-მიჭრია“. გ. ელიავას „სენაკის რაიონის ტოპონიმიაში“ ათამდე ენწერია დასახელებული, მაგრამ სახელდებული ობიექტის ლოკალიზაციისა და მოტივაციის გარეშე.

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით სოფ. ეწერში მკვიდრობს 307 მუდ-მივი მოსახლე (კაცი – 141, ქალი – 166). სოფლის ტოპონი-მია ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბოჯგუა იონა ანტონის ძე, 78 წ.
ბოჯგუა მოგელი მამიას ძე, 37 წ.
ბოჯგუა იპოლიტე ვლადიმერის ძე, 63 წ.
ზარანდია იაკიმე სერაპიონის ძე, 56 წ.
კვირკვაია ჯოდი თეუფანეს ძე, 57 წ.
ნაჭყებია ივლიანე პახუს ძე, 80 წ.
ტყებუჩავა გერონტი იოსების ძე, 50 წ.
ტყებუჩავა პიამა ნიკოლოზის ასული, 80 წ.
ტყებუჩავა ტაია ანდრიას ძე, 89 წ.
შონია სოლომონ დიტოს ძე, 75 წ.
წოწერია გვანჯი პეტრეს ძე, 51 წ.
ხორავა მოგელი მამიას ძე, 37 წ.
ჯალაღონია ტროფინე გრიგოლის ძე, 80 წ.

## საესებუო

**საესებუო** – სოფელი სენაკის რ-ნის ეკის სოფსაბჭოში, მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 170 მ. სენაკიდან 22 კმ (ქსე, 8). ესაზღვრება სოფ. ზანას, სატყებუჩავოს. სოფელში მცხოვრები ესებუების მამა-პაპანი სალოცავად დადიოდნენ წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯვარის ჯგეგე-გიორგის ეკლესიაში (ან აგზავნიდნენ სანთელსა და ხურდა ფულს). საქართველოში ამ გვარს ატარებს 1202 სული. ზანის თემის საკრებულოში (ძირითადად საესებუოში) XX ს. დამდეგისათვის მკვიდრობდა ესებუების 40 კომლი. რესპოდენტის გადმოცემით, ესებუა იგივე ესებიაა. სოფ. ბულიწყუში მცხოვრებნი (ხობის რ-ნი) ესებიად იწერებიან და მათს უბანსაც საესებიო ეწოდება. 1628 წელს შედგენილი საეკლესიო საბუთის მიხედვით, მარცხეულს მცხოვრები გურმიხილი ესებია ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის (პალ, II, გვ. 156). გვარსახელისათვის ამოსავალია პირსახელი ესები, რაც იოსების (ან ევსევის) ზანური ვარიანტია.

გადმოცემით, ლევან დადიანს ქრისტეშია ესებიას გარდა ბახულია მირგატია, გულისკაკა ტყებუჩავა და დოხვადი ბოჯგუა ოჯახებით უჩუქებია თავად აფაქიასათვის. რესპოდენტ ტ. მირგატიას სათანადო საბუთი უნახავს ანდრია აფაქიძის ბაბუასთან.

საესებუო, როგორც სოფელი, საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში პირველად გამოჩნდა 1949 წელს. 2002 წელს საესებუოში აღირიცხა 303 მუდმივი მოსახლე (კაცი – 145, ქალი – 158). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბოჯგუა იგორ ალექსის ძე, 44 წ.

ბოჯგუა ვალიკო ძიკის ძე (ჭიჭე ვალიკო), 69 წ.

განგავა ხუხუტი იოსების ძე, 65 წ.

კვაშილავა მიშა პავლეს ძე, 67 წ.

მირგატია ტარასი ივანეს ძე, 79 წ.

ტყებუჩავა გუდუ სილოვანის ძე, 60 წ.

ღვინჯილია ალმასხან (კოჩია) გერასიმეს ძე, 59 წ.

ყურუა ვალიკო ევგენის ძე, 54 წ.
ციმინტია ფედია ირონის ძე, 56 წ.
ჯიქია ღენტერი მაკარის ძე, 62 წ.

## სატყებუჩავო

**სატყებუჩავო** – სოფელი სენაკის რ-ნის ზანის სოფ-საბჭოში, მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 170, სენაკიდან 22 კმ (ქსე, 9). დავაზუსტოთ: სატყებუჩავო მდებარეობს ზანა-საესებუოსა (აღმ-ით) და ლესიჭინეს (ჩხოროწყუს რ.) შუა, ზანაძგის ორივე ნაპირას. დას-ით ესაზღვრება სოფ. ეწე-რი. „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში" (1930 წ.) ზანის სას. საბჭოში შედის ზანა დიდი და ზანა პატარა. 1949 წლის პირველი სექტემბრის მონაცემებით კი ზანის სას. საბჭოში გაერთიანებულია ზანა (ც.), საესებუო, სატყე-ბუჩაო, საშურღაიო, ეწერი. შემდგომ გამოცემებში სატყებუ-ჩაოს ნაცვლად დამკვიდრდა „სატყებუჩავო". ადგ. ვარიან-ტი სატყებ(უ)ჩო.

ტყებუჩავა მრავალრიცხოვანი გვარია – 2310 სული საქართველოში, მათ შორის 903 სენაკის რ-ნში (მეორე ად-გილი რაიონში. პირველ ადგილზეა გვარი გვასალია – 979 სული). გვარისათვის ამოსავალია გარეგნობის მიხედვით შერქმეული სახელი (მეტსახელი): ტყებუჩა „შავკანიანი" → ტყებუჩავა (გვარსახელი). ადგ. ვარიანტი ტყებ(უ)ჩა.

2002 წელს სატყებუჩავოში მკვიდრობს 339 მუდმივი მოსახლე (კაცი – 164, ქალი – 175). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტე-ბი იყვნენ:

ადამია შუქური აკაკის ძე, 60 წ.
აფაქიძე კოჩობა კოკის ძე, 55 წ.
აფაქიძე მიხეილ (მიშო) ანტონის ძე, 81 წ.
ნაჭყებია შოთა ბეგის ძე, 66 წ.
სიჭინავა სილო(ვან) დავითის ძე, 60 წ.
ციმინტია ვ. 54 წ.
ხუბუა ღუტუშა კოსტას ძე, 54 წ.

# საშურღაიო

**საშურღაიო** – სოფელი სენაკის რ-ნის ზანის სოფსაბჭოში, მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, ზ.დ. 160 მ, სენაკიდან 14 კმ, ზანიდან 2,5 კმ (ქსე, 9). დაზუსტება: საშურღაიო მდებარეობს მდ. ცივსა და ზანაძგას შუა, დას-ით ესაზღვრება სოფ. ეწერი. საშურღაიო, როგორც სოფელი, პირველად დასახელდა საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში (შედის ზანის სას. საბჭოში).

საშურღაიოში XIX ს-ის დამლევს იდგა შურღაიების სალოცავი – ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია. საბჭოთა პერიოდში იგი დაანგრიეს, XXI საუკუნეში კი ახალი აშენდა.

XX ს. დამლევისათვის საქართველოში ცხოვრობდა 1306 სული შურღაია, მათგან სენაკის რ-ნში – 484. გვარის ძირითადი სამკვიდროა ზანის თემი (158 კომლი, ძირითადად, საკუთრივ საშურღაიოში). XVI ს-ის ერთ-ერთ საეკლესიო საბუთში („ნუსხა ხოფის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღებისა“) დასახელებულია ესტატაი შუღლაია, რომელსაც „მართებს ხუთმეტი თეთრი“ ხობის ეკლესიის გადასახადი (ქსძ, 3, გვ. 349). არაა გამორიცხული, შუღლაია იგივე იყოს, რაც იმერული შუღლაძე (სულ 146 სული საქართველოში). საბოლოოდ შეიძლება წარმოვადგინოთ ორი ვარაუდი: 1. შუღლაძე → შუღლაია → შულღაია → შურღაია; ზოგი რესპოდენტის გადმოცემით, იმერეთიდან გადმოხვეწილა სამი ძმა შუღლაძე აქ დამკვიდრებულა. შურღაიები სწორედ მათი შთამომავლები არიან; 2. შურღულაია (მცირერიცხოვანი გვარი – სულ 195 სული საქართველოში, მათგან სენაკის რ-ნში – 64) → შურღაია (ჰაპლოლოგია: ამოვარდა -ულ კომპლექსი). ამოსავალი მეტსახელი შურღულა ნიშნავს სულმრუდეს (ჩვეულებრივ, ეშმაკი და ცბიერი კაცის ეპითეტია).

2002 წელს საშურღაიოში მკვიდრობდა 264 მუდმივი მოსახლე (კაცი – 137, ქალი – 127). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში რესპოდენტები იყვნენ:

ზარანდია პანტე მიხეილის ძე, 62 წ.
შურღაია არკადი ექვთიმეს ძე, 68 წ.
შურღაია მიხეილ მახაზის ძე, 61 წ.
შურღაია ონისპორე (ქვაჩა) ევგენის ძე, 62 წ.
შურღაია პროკოზი ლევარსას ძე, 68 წ.

## ზემო ჭალადიდის თემის საკრებულო

ზემო ჭალადიდის თემის საკრებულო – ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნის სამხრ. ნაწილში, მდ. რიონის ორივე ნაპირზე, ქვემო ჭალადიდის თემის (ხობის რ.) საზღვართან. ჩრდ-ით ესაზღვრება თეკლათის თემი. ჭალადიდი, როგორც ჩანს, თავის დროზე ეწოდა მდინარის ფართო ჭალას თეკლათიდან თითქმის ქ. ფოთამდე.

1616-1639 წლებში შედგენილ სამართლებრივ ძეგლში („შეწირულების წიგნი მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინტისადმი“) ოდიშის სოფელთა შორის დასახელებულია ჭალადიდი (ქსძ, III, გვ. 500). საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერებში გიულდენშტედტი, რომელმაც სამეგრელოსა და იმერეთის სამეფოს შორის შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მხოლოდ ხონის ბაზრობაზე გაცნობილ რესპოდენტებს დაეყრდნო, ასახელებს სამეგრელოს სოფელ ჭალადიდსაც (გიულდ., 1962, გვ. 323). ამის გარდა, ჭალადიდი მოიხსენიება 1470-1474 და 1611-1615 წლების საეკლესიო საბუთებში (იხ. ჭითანავა, 2010, გვ. 304). XIX ს-ის 40-იან წლებში კი ჭალადიდი საჭილაოს მაზრის სოფელია (მეუნარგია, 1939, გვ. 113). 1886 წლისათვის სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში შექმნილია ჭალადიდის სოფლის საზოგადოება, რომელშიც შედის სოფლები:

ჭალადიდი (ჭალადიდის მუხური) – ცენტრი (140 კომლი, 697 სული).

ფოთი პატარა (17 კ., 93 ს.).

საღვამიჩავო (49 კ., 173 ს.).

საქორქიო (79 კ., 339 ს.).

საჩაჩავო (10 კ., 39 ს.).

საჩიჩუო (77 კ., 292 ს.)

სირიაჩქონი (73 კ., 317 ს.).

„საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის მიხედვით, სენაკის რ-ნში შექმნილია ზემო ჭალადიდისა და ქვემო ჭალადიდის (ხობის რ-ნი) სას. საბჭოები, რომლებშიც გაერთიანებულია სოფლები:

ზემო ჭალადიდის სას. საბჭო (ჯამში 344 კ., 1526 ს.).

მუხური (114 კ., 463 ს.)

საგვიჩიო (87 კ., 419 ს.).

სირიაჩქონი (143 კ., 644 ს.).

ქვემო ჭალადიდის სას. საბჭო (274 კ., 1041 ს.).

საბაჟო (51 კ., 220 ს.).

საგვიჩიო (21 კ., 93 ს.).

საღვამიჩაო (39 კ., 168 ს.).

საქორქიო (80 კ., 255 ს.).

საჭოჭუო (57 კ., 264 ს.).

ჭალადიდი (23 კ., 41 ს.).

ზემო ჭალადიდის ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეულები უცვლელი დარჩა. (ამასთანავე, ქვემო ჭალადიდის სას. საბჭო შედის ხობის რ-ნში სოფლებით: საბაჟო (ც.), საგვიჩიო, საქორქიო, საღვამიჩავო, საჭოჭუო). 2002 წელსაც სენაკის რ-ნის ზემო ჭალადიდის თემის საკრებულოში შედის სამი სოფელი (მუხური, საგვიჩიო, სირიაჩქონი). მუდმივი მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 610 მოსახლე (კაცი – 301, ქალი – 309).

1996 წელს ზემო ჭალადიდის ამ სამ სოფელში მკვიდრობდა 68 გვარის მატარებელი 154 კომლი. შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: წოწერია – 10 კ., ცაავა – 8 კ., პაჭკორია და ჯანაშია – 7-7 კ., მიქავა, შეროზია და ჩიქობავა (6-6 კ.).

# მუხური

**მუხური** – სოფელი და ჭალადიდის სოფსაბჭოს ცენტრი მდ. რიონის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 15 მ. სენაკიდან 13 კმ. მუხურში დაიბადა და აქვეა დაკრძალული პოეტი გ. ჭალადიდელი (ქორჩაქიძე). (ქსე, 7). დავაზუსტოთ: მუხური მდებარეობს რიონისა და მისი მარჯვ. შენაკადის – მდ. ცივის მარჯვ. ნაპირიდან ხობის რ-ნის საზღვრამდე. მუხური თავდაპირველად დასახელებულია 1616-1631 წწ. შედგენილ „კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხაში“, სადაც აღნიშნულია: „არის მუხურს აზნაურისშვილი და მსახური 30“ (ქსძ, III, გვ. 481). XIX ს. საეკლესიო საბუთების მიხედვით ჭალადიდის მუხურში ორი ეკლესიაა.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის ცნობარის (XIX ს. 40-იანი წლები) მიხედვით, მუხური საჭილაოს მაზრის ერთ-ერთი სოფელია. აქვეა დასახელებული სირიაჩქონი, საქორჩაქიძო, საღვამიჩაო, ჭალადიდი, პატარა ფოთი. 1886 წელს ჩატარებული ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის ცნობარის მიხედვით კი, ჭალადიდის სოფლის საზოგადოებაში დასახელებულია ჭალადიდი//ჭალადიდის მუხური. სწორედ ეს სოფელი, სახელწოდებით მუხური, არის დღევანდელი ზემო ჭალადიდის ცენტრი რიონის მარჯვ. ნაპირას. ეს ვითარება შემორჩენილია დღემდე. გადმოცემით, მუხური თავდაპირველად ერქვა მცირე ადგილს რიონის მარჯვ. ნაპირზე, სადაც ამჟამად სოფლის ცენტრია.

მუხური დასახელებულია 1838, 1864, 1873 წლების საეკლესიო-საარქივო მასალებში (იხ. კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 48).

„მუხური“ ძველი ქართულის სალიტერატურო ნაწარმოებებში არ ჩანს (ვეყრდნობით ილ. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონებს). ს.-საბას, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში მუხურ სიტყვის ჩვენთვის მისაღები მნიშვნელობანი არაა დადასტურებული. ი. ყიფშიძე „მეგრული ენის გრამატიკაში“ (1914 წ.) ზუსტად განმარტავს: „მუხური – край, уголок, остров, страна“. ქეგლ-ში კი აღნიშნულია: „მუხური (კუთხ., გურ.) – კუთხე, უბანი“ (მოხმობი-

ლია ერთადერთი კონტექსტი ე. ნინოშვილის შემოქმედებიდან); სიტყვა მუხური დასავლურქართულ დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული. სხვადასხვა ავტორებზე დაყრდნობით ალ. ღლონტის „სიტყვის კონაში“ ასეთი განმარტებაა მოცემული: „მუხური (გურ., იმერ., ლეჩხ.) – უბანი, კუთხე“. მეგრულის ლექსიკონებში კი ვკითხულობთ: „მუხური – 1. კუთხე, მხარე; 2. სახლის სახურავის კუთხე (ო. ქაჯაია); 3. „მხარე, კუთხე (ქვეყნისა); მთის ყურე, ანუ სამი მხრიდან შემოზღუდული ადგილი... შენობის ყურე, წიბო; კედლების შეერთების ადგილი; გეომეტრიული კუთხე, უბანი“ (ალ. ქობალია). დაბოლოს აღვნიშნოთ კ. ჰანის შეცდომა ჭალადიდის მუხურის განმარტებისას: ჭალა „роща“, დიდი „большой“, მუხა „дуб“. მაშასადამე, ჭალადიდის მუხური ნიშნავს: „большая дубовая роща“ , 1909, გვ. 155).

ყოველივე ამის შემდეგ წარმოვადგენთ მუხურად წოდებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების რესპოდენტისეულ მოტივაციებს: „მუხური მდინარის რკალში მოქცეული ვაკეა“; „მუხური იგივე კუთხეა, ე.ი. კლდისძირას მიმწყვდეული ვაკე“; „მუხური ხშირად აღნიშნავს უბანსაც: **ჩქიმი მუხური** ჩემი კუთხეა“. მუხური სახნავია მარტვილის რ-ნის სოფ. ქვაითში. სახელდების მოტივაციასთან დაკავშირებით რესპოდენტი განმარტავს: „მომწყვდეულია დიდღალსა და ოგურგინეს შუა. ამიტომაა მუხური“ (მუხური//წკოპური ეწოდება მინდორს სოფ. ქვაითში, ღარწკუპისა და ხუფათიის შიგნითა კუთხეში. მოტივაცია: „ადგილს რომ ვიწრო კუთხე აქვს, ისაა მუხურიცა და წკოპურიც. წკოპი „წვეტია“). მარტვილის რ-ნში სოფელს ეწოდება მუხურჩა: აქ მიწაა შავი, ამიტომ დარქმევია მუხურჩა ← მუხურუჩა „შავი უბანი, შავი კუთხე“. შდრ. რაჭული: „მუხური, მუხური კრამიტი – კუთხოვანი კრამიტი, რომლითაც სახურავის კუთხეებს ხურავენ“ (კობახიძე, 1987). მ. ჩუხუას მოსაზრებით, მეგრული „მუხური“ დაკავშირებულია ძვ. ქართულ მჴარე სიტყვასთან. აქვე აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმი მუხური გვხვდება როგორც ქვემო, ისე ზემო (იშვიათად) იმერეთშიც (იხ. საქ. სსრ ტოპონიმია, I, გვ. 133; საქ. ტოპონიმია, III, გვ. 196).

მუხური, დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის თანახმად, სოფელია საჭილაოს მაზრაში. 1886 წელს ჭალადიდში (//ჭალადიდის მუხური) ცხოვრობს 140 კომლი (697 სული). 1930 წლისათვის ზემო ჭალადიდის სას. საბჭოს სოფ. მუხურში 114 კომლი (463 სული) მკვიდრობს.

2002 წლის საყოველთაო აღწერის ცნობარის მიხედვით კი, ზემო ჭალადიდის თემის საკრებულოს სოფ. მუხურში 511 მოსახლეა. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წ. რესპოდენტები იყვნენ:

აბრამია ხუტუ პავლეს ძე, 73 წ.

გარუჩავა ალექსანდრე პავლეს ძე, 83 წ.

პაჭკორია ალიოშა არსენის ძე, 47 წ.

ცაავა პლატონ ნიკოს ძე, 74 წ.

ხვიჩია ზაურ ეპიფანეს ძე, 39 წ.

## საგვიჩიო

**საგვიჩიო** – სოფელი სენაკის რ-ნის ზემო ჭალადიდის სოფსაბჭოში, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 14 მ, სენაკიდან 17 კმ, მუხურიდან 2 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: საგვიჩიო მდებარეობს რიონის მარცხ. მხარეს, სირიაჩქონიდან დასით, რიონსა და ფიჩორს შუა. „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის მიხედვით, საგვიჩიო შედის სენაკის რ-ნის ზემო ჭალადიდის სას. საბჭოში. ამ პერიოდში სოფელში მკვიდრობდა 87 კომლი (418 სული). მაგრამ 1984 წლისათვის მხოლოდ 30-იოდე ოჯახი თუ იყო დარჩენილი. 2002 წელს კი სოფ. საგვიჩიოს მუდმივი მოსახლეობა აღწევდა მხოლოდ 32 სულს (კაცი –22, ქალი – 10).

საგვიჩიო ანთროპოოიკონიმია, წარმოქმნილი გვარსახელ გვიჩიადან დანიშნულების სა-ო პრეფიქს-სუფიქსით. ეს გვარი მცირერიცხოვანია – სულ 201 სული საქართველოში (მათგან 62 ქ. ფოთში, 27 სენაკის რ-ნში). მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, გვიჩიები ქმნიან ორ სოფელს: 1. საგვიჩიო სენაკის რ-ნში, რიონის მარცხ. ნაპირას; 2. საგვიჩიო ხობის

რ-ნში, რიონის მარჯვ. ნაპირას. ეს საგვიჩიო შედიოდა ქვემო ჭალადიდის სას. საბჭოში და გამოეყო მას 1990 წელს ცალკე სას. საბჭოდ. რესპ. ვ. გვიჩია: „სვანეთიდან წამოსულა ორი ძმა გვიჩიანი. ერთი აქ დასახლებულა, მეორე – რიონს გაღმა, სადაც აგრეთვე საგვიჩიო ეწოდება. ჩვენი წინაპრები სალოცავად სვანეთში დადიოდნენ. მე აქ დამკვიდრებული გვიჩიანის მეხუთე თაობა ვარ“. გვარი გვიჩია დასტურდება XVII ს-ის საისტორიო წყაროებში: ლევან დადიანს ფოთს მცხოვრები მეთევზე სურთამა გვიჩია (ქვიჩია) შეუწირავს ბიჭვინტისათვის, ხოლო 1642 წელს ბაშს მცხოვრები გატანჯია გვიჩია – მთაწმინდის ხარების ღვთისმშობლისათვის“ (პალ, I, გვ. 634). საგვიჩიოს მთავარანგელოზის ეკლესია დასახელებულია სამეგრელოს ეპარქიის 1864 წლის აღწერის მასალებში (ჭითანავა, 2010, გვ. 68).

სოფლის ტოპონიმია აღწერილია 1984 წელს. რესპონდენტები იყვნენ:

აბრამია იპოლიტე (ღუღუნი) ლადოს ძე, 69 წ.
კარანაძე ალექსანდრე (პატუშა) ვასილის ძე, 71 წ.
მიქავა ჯაგუ კალისტრატეს ძე, 89 წ.
ნანეიშვილი ოთარ ვასილის ძე, 50 წ.
შენგელია კლიმენტი ბიტუს ძე, 79 წ.

## სირიაჩქონი

**სირიაჩქონი** – სოფელი სენაკის რ-ნის ზემო ჭალადიდის სოფსაბჭოში, მდ. რიონის ნაპირას. ზ. დ. 16 მ, სენაკიდან 15 კმ, მუხურიდან 4 კმ (ქსე, 9). დავაზუსტოთ: სირიაჩქონი მდებარეობს მდ. რიონის მარცხ. მხარეს, სოფ. მუხურის (ზემო ჭალადიდის თემის ცენტრი) პირდაპირ. იგი დას-ით გრძელდება სოფ. საგვიჩიომდე, ხოლო სამხრ.-აღმ-ით – გურიამდე. სოფელი დასახელებულია 1717 წელს შედგენილ შეწირულების წიგნში (მხარეთმცოდნე, II, 2011, გვ. 47), აგრეთვე 1733 წლის გუჯარში (კაკაბაძე, I, გვ. 143), ხოლო ამ სოფლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია – სა-

მეგრელოს ეპარქიის 1838 და 1846 წლების მასალების აღწერის დოკუმენტებში (ჭითანავა, 2010, გვ. 60-63).

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის თანახმად, სირიაჩქონი სოფელია საჭილაოს მაზრაში. 1886 წელს სირიაჩქონი (73 კ,. 317 ს.) შედის ნაქალაქევის უბნის ჭალადიდის თემში. საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემის თანახმად, სირიაჩქონში მკვიდრობს 143 კომლი (644 სული), მაგრამ 1984 წლისათვის დარჩენილია მხოლოდ 30-მდე ოჯახი.

სირიაჩქონელი პროფესორი აკაკი თოფურია წიგნში „იყო ასეთი სოფელი" (თბ., 1990) მოგვითხრობს: „დავიბადე რუსეთის მეფენამყოფ სირიაჩქონის ეკლესიასთან, განთქმული კოლხური ტყეების ახლოს, სოფლის შუაგულში" (თოფურია, 1990, გვ. 7). რას გულისხმობს „მეფენამყოფი"? პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც იმ პერიოდში კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა (და 1861 წელს ხელმწიფე-იმპერატორს მოაცილებდა კავკასიაში), აღნიშნავს, რომ იმპერატორმა გზად ნახა სირიაჩქონის ეკლესია და დიდად გაკვირვებული იყო, რომ ამ მშვენიერ ბუნებაში „ასეთი ლამაზი ეკლესია იპოვება" (იქვე, გვ. 6). სირიაჩქონის წარსულთან დაკავშირებით ა. თოფურიას წიგნიდან მცირე ამონარიდს წარმოვადგენთ: სირიაჩქონი სირიაჩქონის ბორნიდან ბოგორონამდე 10 კმ-ზე იყო გადაჭიმული. „200-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა სოფელში. მოსახლეობა მჭიდროდ, ერთმანეთის მიჯრით, თითქოს ერთ ხაზზე იყო განლაგებული. აქ იყვნენ შერეული გვარის მოსახლენი: დანელიები და სიჭინავები, ბერაიები და გელოზიები, ჯაჯავები და ჭიჭინაძეები, შეროზიები და არჩაიები, პაჭკორიები და გვაზავები, ცხვიტარიები და გულავები, ჩაჩიბაიები და ბელქანიები, იმნაძეები და თაფლაძეები, საჯაიები, ცომაიები, იოსელიანები, ცაავები, კარტოზიები..." (იქვე, გვ. 10). აქ წარმოდგენილია XX ს-ს 20-30-იანი წლების სურათი. რა ვითარებაა ამ მხრივ XX ს-ის დამლევს? 1970 წელს სირიაჩქონში ჩასული მეცნიერი იხსენებს: „ვერაფერი გავარკვიე, ნამდვილად სირიაჩქონში ვიყავი თუ ნაომარ, ნამეხარ, სიცოცხლეჩამქრალი ხუტორში. ნამოსახლარები მურყანის

კორომებით დაფარულა. აქა იქ ათიოდე კომლს თუ დაითვლი. დაწყებითი კლასებიც მიუხურავთ“ (იქვე, გვ. 137). ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც 1822 წელს იმოგზაურა საქართველოში (ორი ფრანგის დღიურზე დაყრდნობით), აღნიშნავს: ჭალადიდში ორასზე მეტი სახლია: ასორმოცი სახლი ფაზისის მარცხ. ნაპირზე დგას, ხოლო ოციოდე – მარჯვენაზე (ჟაკ ფრანსუა გამბა, 1987, გვ. 138-139). ამჟამად პირიქითაა: რიონის მარცხ. ნაპირზე, სირიაჩქონსა და საგვიჩიოში, ძალზე ცოტა ხალხი ცხოვრობს, ხოლო მდინარის მარჯვ. ნაპირზე, სადაც სენაკი-ფოთის საავტ. გზა გადის, ბევრად მეტი.

სირიაჩქონის ეტიმოლოგიისათვის: **სირი** ძველი ქართულის მხატვრული და ლექსიკოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილი და ფართოდ გავრცელებული სიტყვაა: **სირი** – ფრინველი, ჩიტი, ბარტყი (ი. აბულაძე); **სირი** – „ჩიტი“ (ზ. სარჯველაძე); „**სირი** – ჩიტი; **სასირე** – ფრინველთა ბუდე“ (ს.-საბა), დ. და ნ. ჩუბინაშვილები: „**სირი** – ჩიტი, птица, воробей“, კ. ჰანისათვის სირიაჩქონი Сириачкони, „არის „მუხა, რომელზეც სხედან ბეღურები“ (ჰანი, 1909, გვ. 130). სახელწოდების ამგვარ გააზრებასთან ახლოს დგას ა. თოფურიაც, რომელიც ეყრდნობა ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიას: „**სირი-ა-ჩქონი** – ჩიტო, აგერ ჩქონი“. შდრ. ალ. ქობალია: „**სირია** – ჩქერალი, ჭავლი, წვრილი ნაკადი. სირიაჩქონი – კუნძული ჩქერალში, წყლიანი ჭალა“. სინამდვილეში სირიაჩქონი ნიშნავს „სირიას კუნძულს ან ნახევარკუნძულს“. სირია მცირერიცხოვანი გვარია (სულ 229 სული საქართველოში, მათგან სენაკის რ-ნში – 183 სული) და ქმნის ერთადერთ მიკროოიკონიმს. ესაა სასირიო სენაკის რ-ნის სოფ. შუა ხორში (მეგრულში **სირ-** ფუძის შესატყვისია სი(ნ)ჯი. შდრ. **წყარსინჯი**: სიტყვასიტყვის „წყლის ფრინველი“. შდრ. ალ. ქობალია: „წყარსინდი//წყარსინჯი – წყლის ჩიტი, გარეული იხვი“). გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს მეტსახელი სირი. შდრ.: სირი, სირიმე სვანურში პირსახელებია. შენიშვნა: ეთნოლოგი აკ. ჭანტურია სავარაუდოდ 1921-1940 წლებში შედგენილ ეთნოგრაფიულ ლექსიკონში განმარტავს: „**ჩქონი** – მდინარის ნაპირის მდელოიანი ვაკე ადგილი ირგვლივ მცენარეებით“ (ჭანტურია, 1996, გვ. 229).

2002 წელს სირიაჩქონში ცხოვრობს 67 მუდმივი მოსახლე (კაცი – 35, ქალი – 32). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 3 ივნისს. რესპოდენტები იყვნენ:

ბერაია ჯემალ კანდიტოს ძე, 42 წ.

ინჯებაშვილი ბიძინა ამბერკის ძე, 30 წ.

ლუხავა მიხეილ იონას ძე, 78 წ.

ჯალაღონია რევაზ ალიოშას ძე, 39 წ.

ჯგერენაია რაინდი კაპიტონის ძე, 37 წ.

## თეკლათის თემის საკრებულო

თეკლათის თემის საკრებულო – ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნში, ქ. სენაკისა და მენჯის თემიდან სამხრ.-დას-ით, ზემო ჭალადიდის თემის საკრებულომდე. დას-ით ესაზღვრება ხობის რ-ნი, აღმ-ით – ახალსოფლის თემის საკრებულო. შედის სოფლები: თეკლათი (ც.), გოლასკური, რეკა, საგვარამიო, ტყირი.

თეკლათი ისტორიული სოფელია და მრავალგზის დასტურდება კარტოგრაფიულ და საისტორიო სამართლებრივ წყაროებში. 1886 წლისათვის კი შექმნილია თეკლათის სოფლის საზოგადოება, სადაც გაერთიანებულია სოფლები: თეკლათი (ც.), ძონძირი, ისულა, რეკა, სახარბედიო, შხეფი. ამ 6 სოფელში ცხოვრობს 972 კომლი (4778 სული). იხ. ცალ-ცალკე სოფლების მიხედვით.

საბჭოთა საქართველოს პირველსავე ათწლეულში სენაკის რ-ნში შეიქმნა თეკლათის სას. საბჭო და ქვედა თეკლათის სას. საბჭო (იხ. დაყოფა, 1930, გვ. 146-147). თეკლათის სას. საბჭოში შედის: ბათარია, თეკლათი ზედა, ისულა, ნატოჩაო, საგრიგოლიო, სალომიო, საკალანდარიშვილო, საქაჩიბავო, საწულეისკირიო, სახარბედიო, შხეფი, ძონძირი. ამ თორმეტ სოფელში მკვიდრობს 1474 კომლი (6890 სული). ქვედა თეკლათის სას. საბჭოში კი მოექცა სოფლები: გოლასქური, თეკლათი ქვედა, პერტული, რეკა, საგვარამიო,

ტყირი. მცხოვრებთა რაოდენობა – 583 კომლი (2729 სული). შემდგომში ამ ორ სას. საბჭოში გაერთიანებული სოფლებიდან ზოგი გაუქმდა, ზოგი ხობის რ-ნში მოექცა ან სენაკის რ-ნის სხვა სას. საბჭოში გაერთიანდა. ამის შედეგად 1949 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით თეკლათის სას. საბჭოს შემორჩა ხუთი სოფელი: თეკლათი (ც.), გოლასკური, რეკა, საგვარამიო, ტყირი. ხუთივე ეს სოფელი დღესაც თეკლათის თემის საკრებულოში შედის (მუდმივ მოსახლეთა საერთო რაოდენობა – 2500 სული (კაცი – 1231, ქალი – 1269).

XX ს. დამლევს თეკლათის საკრებულოს ზემოთ დასახელებულ ხუთ სოფელში მკვიდრობდა 167 გვარის მატარებელი 619 კომლი. თემის მასშტაბით მრავალკომლიანი გვარებია: გვარამია – 58 კ., წურწუმია – 52 კ., ლაშქარავა – 43 კ., გარუჩავა – 29 კ., ფაჩულია !9 კ., გრიგოლაია – 17 კ., არჩაია – 16 კ., კვირკველია – 15 კ., გოგოლი – 13 კ., კირტავა – 12 კ., ჭანტურია, სამინავა (11-11 კ.). სათანადო ცნობას ხელს აწერენ საკრებულოს გამგებელი ლ. არდია და მდივანი ლ. კვიკვინია.

## თეკლათი

**თეკლათი** – სოფელი და სოფსაბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, მდ. ცივის ნაპირზე. ზ. დ. 21 მ, სენაკიდან 3 კმ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XVII ს-ში (ქსე, 4). დავაზუსტოთ: თეკლათი მდებარეობს მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას, საავტ. და სარკინიგზო მაგისტრალების ორივე მხარეს. დას-ით ესაზღვრება სოფ. რეკა, სამხრ-ით – ტყირი, აღმ-ით – საგვარამიო.

თეკლათი პირველად აღნიშნულია იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ., ნეაპოლი) ტეხურის მარჯვ. მხარეს, სადაც ეკლესიის გამოსახულების თავზე არის წარწერა Tecate (შდრ.: თეკლათი აღნიშნულია თ. ბერაძის „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე". ბერაძე, 1970). 1733 წლის საეკ-

ლესიო გუჯარში ნათქვამია: „თეკლათს ერთი მოსახლე გარუჩავა ერისთავის ქალმა – დედოფალმა შესწირა...“ (კაკაბაძე, I, 1921, გვ. 131). 1696-1742 წწ. საეკლესიო-სამართლებრივ საბუთში კი აღნიშნულია: „ამას გარეთ თეკლათს ერთი მოსახლე კაცი ღვაკალაი გრიგოლია...“ (იქვე, გვ. 156). თეკლათი XV-XVII სს-ის მრავალ სხვა გუჯარშიც არის დასახელებული (სათანადო მასალა იხ.: ჭითანავა, 2010, გვ. 393). აღდგომის მეოთხე დღეს ზემო თეკლათში სცოდნიათ საეკლესიო დღესასწაული ჯარიანობა. გ. ელიავას გადმოცემით კი, თეკლათის მთავარანგელოზის ეკლესიაში აღდგომის მეორე დღეს იმართებოდა თუთაშხობა „ორშაბათობა“ (ელიავა, 1989, გვ. 26).

„ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომში თეკლათი რამდენიმეგზის არის დასახელებული. მაგალითად, 1712 წლით დათარიღებულ „შეწირულების წიგნში“ აღნიშნულია: „ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს რამდენიმე ათეული ყმა-გლეხი, მათ შორის, „თეკლათს კანდელაკის შვილი სალაყაია კოჩალეი“ (ქსძ, III, გვ. 671. იხ. აგრეთვე: გვ. 731-768). ვარიანტი თეკლანი დასტურდება იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის ბრძანებით 1737 წ. შედგენილ დას. საქართველოს რუკაზე. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს მოიარა კახეთი, ქართლი, იმერეთი და გურია, ხონის ბაზრობაზე გაცნობილ რესპოდენტებისაგან ჩაიწერს სამეგრელოს სოფლების სახელებს და მათ შორის თეკლათს (გიულდ., 1962, გვ. 323) .

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის მიხედვით, თეკლათი სოფელია საჭილაოში, სუჯუნის მაზრაში. კ. ბოროზდინი, რომელიც იყო სამეგრელოს მმართველის – ეკატერინე დადიანის მდივანი და მისი შვილების აღმზრდელი, 1857 წლიდან კი სენაკის მაზრის უფროსი, თავის მოგონებათა წიგნში „სამეგრელო და სვანეთი“ ასახელებს თეკლათს, სადაც მას, სენაკის მაზრის მმართველს, დროებითი რეზიდენცია ჰქონია.

ეტიმოლოგიისათვის: გ. ელიავა თეკლათთან ერთად წარმოადგენს მის ვარიანტებს და რესპოდენტისეულ მოტივაციებს: **თეკათი** „ეს კალთა“, **თეკმართუ** „აქ გასაყოფი“ და მოჰყავს ხალხური ეტიმოლოგიები (იხ. ელიავა, 1989, გვ., გვ. 26, 30). რესპ.: მამას ჰყოლია ორი ვაჟიშვილი. სიკვდილის წინ უფროსისათვის მიუცია სოფლის ჩრდ. ნაწილი, რომლისთვისაც ეკალი უწოდებია, რაც მეგრულში მაღლობს ნიშნავს. სამხრეთი დაბლობი ნაწილი კი მიუცია უმცროსი შვილისათვის და უთქვამს: „თეკართეს ქგდიხორია“ (ე.ი. ამ კალთაზე დასახლდიო). აქედან წარმოიშვა სოფლის სახელი თეკლათი. სრულებით მისაღებია ასეთი მოსაზრება: „თეკლათი ჯგუფურ ანთროპონიმად უნდა მივიჩნიოთ და იგივეა, რაც თეკლას ოჯახი, შთამომავლობა“. ტრანსონიმიზაციის გზით ჯგუფური ანთროპონიმი გადაიქცა ადგილის სახელად და მივიღეთ ოიკონიმი „თეკლათი“ (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 31).

XIX ს. საეკლესიო საბუთებსა და პრესაში თეკლათი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი: თეკლათი ზემო (//ზემო თეკლათი), თეკლათი ქვემო (//ქვემო თეკლათი). ქვემო თეკლათში შემორჩენილია წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიის საძირკველი მდ. ცივის მარცხ. მხარეს, სასაფლაოსთან (დაუნგრევიათ საბჭოთა პერიოდში). (ჭითანავა, 2010, გვ. 392-393). ამ სასაფლაოს დღეს ეწოდება ნაოხვამუ და იქ ყოველი წლის 4 დეკემბერს (ძვ. სტილით) იხდიან რელიგიურ დღესასწაულს (ელიავა, 1989, გვ. 31).

„საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ პირველი ცნობარის (1930 წ.) მიხედვით, სოფელი „თეკლათი ზედა“ შედის თეკლათის სას. საბჭოში, ხოლო „თეკლათი ქვედა“ – ქვედა თეკლათის სას. საბჭოში. ორივე სოფლის მოსახლეობა შეადგენს 227 კომლს (1600 სულ). 1949 წლიდან კი თეკლათი თეკლათის ადგილობრივი ერთეულის ცენტრია. 1984 წ. თეკლათის მოსახლეობა შეადგენდა 629 კომლს.

1996 წელს სოფ. თეკლათში აღირიცხა 69 გვარის მატარებელი 220 კომლი. მათგან მრავალკომლიანი გვარებია: გვარამია – 28 კ., არჩაია – 12 კ., კირტავა – 10 კ.

2002 წლის საყოველთაო ეროვნული აღწერის თანახმად, სოფ. თეკლათში ცხოვრობს 942 მუდმივი მოსახლე (კაცი – 470, ქალი – 472). სოფლის ტოპონიმია აღიწერა 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ადამია შალვა ივანეს ძე, 76 წ.
ბერიშვილი ვარლამ ბიქტორის ძე, 64 წ.
გვარამია შალვა ფარნას ძე, 74 წ.
კირტავა ბოჩია კოლიას ძე, 53 წ.
ჯორბენაძე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, 53 წ.

## გოლასკური

**გოლასკური** – სოფელი სენაკის რ-ნის თეკლათის სოფსაბჭოში, მდ. ცივის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 10 მ, სენაკიდან 8 კმ, თეკლათიდან 4 კმ (ქსე, 3). დავაზუსტოთ: გოლასკური მდებარეობს მდ. ცივსა და სოფ. ქვალონს (ხობის რ.) შუა. აღმ-ით ესაზღვრება ტყირი (ცივის მარცხ. ნაპირას), ხოლო სამხრ.-დას-ით – სოფ. მუხური. როგორც სოფელი, გოლასკური პირველად გამოჩნდა სენაკის მაზრის სენაკის რაიონის ქვედა თეკლათის სოფსაბჭოში 1930 წელს (მოსახლეობა: 123 კომლი, 591 სული). შემდგომში გოლასკური უკვე თეკლათის სას. საბჭოში შევიდა. როგორც ვხედავთ, ოფიციალურად დასტურდება ორი ვარიანტი: გოლასქური და გოლასკური.

„საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (თბ., 2009 წ.) დასახელებულია „გოლასკური“. მეგრულში გავრცელებულია როგორც სკური, ისე სქური ფორმები. ალ. ქობალიაც აღნიშნავს: „**სკური** – იხ. სქური“. სქური კი ასეა განმარტებული: „ხევი, ხევში მდინარი ღელე“... ჩვენეული გაგებით, სკური, სქური არის „წყლიან-ტყიანი ხევი, ხეობა“. რას წარმოადგენს ოიკონიმის პირველი კომპონენტი გოლა? გ. ელიავა თვლის, რომ გოლასკური ნიშნავს „მთის ნიავს“ და მოჰყავს რესპოდენტის ნათქვამი: „აქ ეკის მთიდან ქრის მთის ძალიან საამო ნიავი, მას გოლასკურს ეძახიან. ამ სახელს ატარებს აქვე

წყაროც, ძალიან ცივი და საამო“. ი. კეკელია და გ. ოდიშარია თვლიან, რომ გოლასკური//გოლასქური უნდა განიმარტოს როგორც მთის წყარო. შეუძლებელი არაა, მაგრამ, არც ისაა გამოსარიცხი, რომ ტოპონიმის პირველი კომპონენტი წარმოადგენდეს ანთროპონიმს – პირსახელს ან გვარსახელს. ქართული სინამდვილე ორივეს ადასტურებს: პირსახელი **გოლაი** დამოწმებულია XIV ს-ის „პირობის წიგნში“ (პალ, 3, 702), ხოლო **გოლავა** ერთ-ერთი მეტად მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში (სულ 90 სული, მათგან სენაკის რ-ნში – 10). როგორც **გოლაი**, ისე **გოლავაც** შესაძლოა იყოს გოლასქურის პირველი კომპონენტი: გოლაშ სკური „გოლას წყალი“ (ჰიდრონიმი) → გოლასკური (სოფლის სახელწოდება). აქვე წარმოავადგენთ ხალხურ ეტიმოლოგიას: გოლავა თუ გოლია ყოფილა წალენჯიხიდან. აქ საქონელი ჰყოლია. უკან დაბრუნებისას მოუკლავთ. ყურიც მოუჭრიათ. მოკლულის ძმას უთქვამს: გოლას ყური დაარქვითო. აქედან წარმოიშვა ადგილის სახელი გოლასკური. ყოველივე ეს მოხდა საკვირკველიოში, სოფ. ქვალონის საზღვართან.

1996 წელს სოფ. გოლასკურში მკვიდრობდა 34 გვარის მატარებელი 142 კომლი. მათგან მრავალკომლიანი გვარებია: წურწუმია – 51 კ., კვირკველია – 14 კ., სამინავა – 9კ., ბებია – 8 კ. 2002 წ. ამ სოფლის მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 360 სულს (კაცი – 181, ქალი – 179). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 1 ივლისს. რესპოდენტები იყვნენ:

არდია ლევთერი იასონის ძე, 69 წ.
არჩაია შალვა სოგრატის ძე, 74 წ.
ბაქრაძე არჩილ ერმინეს ძე, 56 წ.
კვირკველია ღუღუნი კალისტრატეს ძე, 56 წ.
შამათავა სევერიანე სვიმონის ძე, 69 წ.
წურწუმია გალაქტიონ იასონის ძე, 52 წ.
წურწუმია ვალიკო შარვანის ძე, 76 წ.

# რეკა

**რეკა** – სოფელი სენაკის რ-ნის თეკლათის სოფსაბჭოში, მდ. ცივის ნაპირას. ზ.დ. 30 მ, სენაკიდან 6 კმ, თეკლათამდე 1,5 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: რეკა უშუალოდ ესაზღვრება ხობის რაიონის სოფ. ქვალონს, მდებარეობს თბილის-ზუგდიდის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებს შუა. ესაზღვრება: აღმ-ით სოფ. თეკლათი, ჩრდით – სოფ. ბათარია.

რეკა, სოფელი სენაკის მაზრაში, დასახელებულია 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში (ჭითანავა, 2010, გვ. 75). 1886 წელს სოფ. რეკა შეტანილია სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბნის თეკლათის თემში (მოსახლეობა: 53 კომლი, 262 სული. იხ. Свод… 1893). 1930 წლისათვის სოფელი რეკა შესულია სენაკის რ-ნის ქვედა თეკლათის სას. საბჭოში (მოსახლეობა: 73 კ., 350 ს.). საბოლოოდ რეკა დარჩა სენაკის რ-ნის თეკლათის ადმ.-ტერიტ. ერთეულში.

1986 წელს სოფ. რეკაში დარჩა 6 გვარის მატარებელი 36 კომლი. მრავალკომლიან გვარად შეიძლება ჩაითვალოს: ფაჩულია – 15 კ. და გოგოლი – 13 კ. (გადმოცემით, გოგოლის წინაპრები ჩამოსულან უკრაინიდან და აქ დამკვიდრებულან, საფაჩულიოს გვერდით).

რეკა მეგრულში ლანდშაფტური ნომენია. აღნიშნავს მდინარისპირა ქვიან ადგილს (ო. ქაჯაია: **რეკა** იგივეა, რაც რეყე, რეჭეკი – მდინარის ქვიანი და ქვიშიანი ნაპირი, რიყე; კრიახი; ალ. ქობალია: „**რეკა** – რიყე“). მაგრამ ზემოთ დასახელებული სოფელი რეკა მდებარეობს ბორცვზე, რომელსაც გ. ელიავა უწოდებს „მაღალ მიწაზურგას“. რატომ? საქმე ისაა, რომ, როგორც გ. ელიავა აღნიშნავს და ჩვენმა რესპოდენტებმაც ჩაგვაწერინეს, ამ ბორცვზე მცხოვრები ფაჩულიები ესახლნენ ელიაკვარის ზემო წელზე განლაგებულ სოფ. რეკაში (ოჩამჩირის რ.-ნი), იქიდან გამოქცეულან აფხაზების შიშით და მშობლიური სოფლის სახელწოდება გადმოუტანიათ. მაშასადამე, სოფლის სახელწოდება რეკა აფხაზეთიდანაა მიგრირებული სენაკის რ-ნში. ფა-

ჩულიები XX ს-ის პირველ ნახევარშიც კი დადიოდნენ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოსალოცავად.

2002 წელს ამ სოფელში ცხოვრობს 181 სული მუდმივი მოსახლე (კაცი – 87, ქალი – 94). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

გოგოლი პეტრე (ვანიჩქა) ანდრიას ძე, 75 წ.

ფაჩულია კარლო თეოტიას ძე, 58 წ.

ფაჩულია სარდიონ მიხას ძე, 77 წ.

ჩიქოვანი დოროთე ელიზბარის ძე, 77 წ.

## საგვარამიო

**საგვარამიო** – სოფელი თეკლათის სოფსაბჭოში, მდ. ცივის ხეობაში. ზ.დ. 20 მ, სენაკიდან 3 კმ, თეკლათიდან 2,5 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: სოფელი მდებარეობს სენაკ-ზუგდიდის საავტ. გზის აღმ-ით. უწინ პირველ თეკლათსაც უწოდებდნენ; ესაზვრება: აღმ-ით – სოფ. ახალსოფელი, სამხრ-ით – სოფ. ტყირი, დას-ით – სოფ. თეკლათი.

ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარი გვარამია. XX ს-ის დამლევს საქართველოში ამ გვარის მატარებელი 1766 სული ცხოვრობს, მათგან ზუგდიდის რ-ნში – 560 და სენაკის რ-ნში – 395. XVI ს-ის ერთ საეკლესიო საბუთში დასახელებული გორამები (ქსძ, III, გვ. 349) იგივე გვარამიები უნდა იყვნენ (ქართველურ ენებში ხშირია -ვა//ო მონაცვლეობა. შდრ. პირსახელები გვარამ, გუარამ და სვანური გვარსახელი გვარამიანი). რესპ. კ. გვარამია: „გვარამიები სინამდვილეში ვართ გურამიშვილები ზესტაფონიდან. მახსოვს, 1925-26 წლებში ჩვენი ძველები იყიდიდნენ დაკოდილ ხარს ან ცხვარს და 15 ივლისს მიდიოდნენ ზესტაფონში“.

„საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში სოფ. საგვარამიო (72 კომლი, 342 სული) შედის სენაკის რ-ნის ქვედა თეკლათის სას. საბჭოში. შემდგომში თეკლათისა და ქვედა თეკლათის სას. საბჭოების ნაცვლად შეიქმნა ერთი – თეკლათის ადგილობრივი ადმ. ტერიტ. ერთეული, რომელშიც საგვარამიოს დღემდე აქვს სოფლის

სტატუსი. საგვარამიოში ყოველი წლის 4 დეკემბერს (ძვ. სტილით) აღინიშნებოდა „წმინდა ბარბალაშ დღეობა“. წმინდა ბარბალეს სახელობის ეკლესია მდგარა მდ. ცივის მარცხ. ნაპირას. დაუნგრევიათ კომუნისტებს.

1996 წელს საგვარამიოში ცხოვრობდა 67 გვარის მატარებელი 158 კომლი. მათგან ყველაზე მრავალკომლიანი გვარია: გვარამია – 30 კ. დანარჩენი: ლაშქარავა – 8კ., ბჟალავა – 7 კ., ადამია და მაქაცარია – 6-6 კ., გვასალია და კუპატაძე – 5-5 კ.

2002 წ. საგვარამიოში მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 605 სულს (კაცი – 291, ქალი – 314). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ადამია შალვა ივანეს ძე, 76 წ.

გვარამია კოლია ნესტორის ძე, 73 წ.

გრიგოლია მიხა მარკოზის ძე, 69 წ.

ლაშქარავა ბიქტორ ერმინეს ძე, 70 წ.

ლაშქარავა რამინ ერმინეს ძე, 74 წ.

ლაშქარავა სიმონ ერმინეს ძე, 70 წ.

## ტყირი

**ტყირი** – სოფელი სენაკის რ-ნის თეკლათის სოფსაბჭოში, ცივის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 15 მ, სენაკიდან 15 კმ, თეკლათიდან 2,5 კმ (ქსე, 10). დაზუსტება: ტყირი სოფელია საგვარამიოსა და გოლასკურს შუა. აღმ-ით ესაზღვრება ახალსოფელი.

ტყირი, როგორც სოფელი, პირველად გამოჩნდა „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში (შედის ქვედა თეკლათის სას. საბჭოში, რომელიც შემდგომში გაუქმდა). 1949 წლიდან კი ტყირი სოფელია თეკლათის ადმ.-ტერიტ. ერთეულში.

ეტიმოლოგიისათვის: გ. ელიავასეული განმარტება და მოტივაცია ეყრდნობა ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიებს (ელიავა, 1987, გვ. 30); ზ. ჭუმბურიძის აზრით, ამ სოფლის სახელწოდებაში ფუძის სახით, უაფიქსოდ, არის წარმოდგენილი

სიტყვა ტკირი, რაც მეგრულად „ფიქალს, ფიქალიან ადგილს (კლდეს) ნიშნავს“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 509). სხვა მოსაზრება: **„ტყი(ი)რი** – „ტყიანი ადგილი; დაბურული, უღრანი ტყე, გადაბარდული, ტკუცი ტყე“ (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 80). რესპ.: „საზღვარი ნოღვედეს დო თინა გინორტყილი ცოფუნა“. დავაზუსტოთ: მეგრულში ზმნური ფუძე **რტყუალა** აღნიშნავს: 1. გადაწვენა, გადახლართვა ეკალბარდისა და დაბალი ხეებისა ცოცხალ ღობედ → ტყირი//ტყილი – გადაწნულ-გადახლართული (ო. ქაჯაია); 2. ხლართვა, შეზრდა, ჩაწვნა, შეტყუცება; **რტყილი** – შეზრდილი, ჩაწნული, შეტყუპებული, მიტყუპებული, ცოცხალი ხეების მესერი; ტყირპი (ალ. ქობალია).

როგორც ცნობილია, მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოში მიმღეობას აწარმოებს -ილ (რტყგნს → რტყილი), ხოლო სენაკურ-მარტვილურში -ირ: რტყუნს → რტყირი. დისიმილაციის შედეგად თავკიდური რ დაიკარგა. დარჩენილი „ტყირი“ აღნიშნავს ერთმანეთში გადაწნულ-გადახლართულ, ეკალ-ბარდიან ტყეს. სამეგრელოში არა ერთ და ორ ობიექტს დარქმევია ნორტყი, რაც ეკალბარდის ხელოვნურ ღობეს აღნიშნავს.

1996 წელს სოფელში მკვიდრობდა 18 გვარის მატარებელი 101 კომლი. მათგან მრავალკომლიანია: ლაშქარავა – 43 კ., გარუჩავა – 28 კ. 2002 წ. თეკლათის საკრებულოს სოფ. ტყირში მკვიდრობდა 412 სული მუდმივი მოსახლე (კაცი – 202, ქალი – 210). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ადამია შალვა ივანეს ძე, 76 წ.
ბაქრაძე არჩილ ერმინეს ძე, 55 წ.
გვარამია კოლია ნესტორის ძე, 73 წ.
გვარამია სევერიან თეიმურაზის ძე, 73 წ.
ოთხოზორია კაკო დავითის ძე, 60 წ.
ლაშქარავა ბიქტორ ერმინეს ძე, 74 წ.
ლაშქარავა რამინ ერმინეს ძე, 70 წ.
მიმინოშვილი მიშა ტაიას ძე, 72 წ.
ხოფერია ი. 70 წ.

# ლექაქამეს თემის საკრებულო

ლექაქამეს თემის საკრებულო – ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მარტვილის რ-ნის საზღვართან. შედის 7 სოფელი: ლექაქამე (ც.), ბეთლემი, ზედა ნაქალაქევი, კვაუთი, ლეგოგიე, ლესაჯაიე, ჯოლევი. 1886 წელს სენაკის რ-ნის ჩრდ. ნაწილის სოფლები გაერთიანებულია ნაქალაქევის უბნის ფოცხოს სოფლის საზოგადოებაში. ეს სოფლებია: ფოცხო (ც.) – 150 კ., 940 ს.; ლექაქამე – 77 კ., 509 ს.; ლესაჯე – 40 კ., 220 ს.; მოხაში – 312 კ., 1780 ს.; ნასაჯოუ – 46 კ., 371 ს. (სულ 614 კომლი, 3820 სული).

საქ. სსრ. პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფით (გამოიცა 1930 წ.) ამ ტერიტორიაზე ორი სასოფლო საბჭოა შექმნილი: ლექაქამეს სას. საბჭო და ფოცხოს სას. საბჭო. ამათგან ლექაქამეს სას. საბჭოში შედის: კვაუთი – 53 კ., 274 ს.; ლეგოგინე პირველი – 103 კ., 386 ს.; ლესაჯე – 84 კ., 439 ს.; ლექაქამე – 79 კ., 372 ს.; ჯოლევი პატარა – 72 კ., 338 ს. (სულ საკრებულოში: 391 კომლი, 1809 სული).

1949 წელს გამოცემული „საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის" ცნობარიდან ჩანს, რომ სას. საბჭოების სახელდება და მათში შემავალი სოფლები ერთხელ კიდევ შეიცვალა. შეიქმნა ბეთლემის სას. საბჭო ოთხი სოფლით: ბეთლემი, ზედა ნაქალაქევი, მეორე მოხაში, ლეკოკაიე. შემდგომში გაუქმდა ბეთლემის სას. საბჭო, ხოლო სახელწოდება ჯოლევი პატარა შეცვალა ოდენ ჯოლევმა. 2002 წელს ლექაქამეს თემის საკრებულოს 7 სოფელში მკვიდრობდა 1241 მუდმივი მოსახლე (კაცი – 594, ქალი – 647).

1996 წელს ლექაქამეს თემის საკრებულოში (7 სოფელი) მკვიდრობდა 86 გვარის მატარებელი 403 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: გოგია – 43 კ., ბარკალაია – 27 კ., ჯოჯუა – 22 კ., ოდიშარია, ქაქამია – 21-21 კ., არზიანი – 18 კ., ნარსია – 15 კ., სანიკიძე და ხაბურზანია (12-12 კომლი), ქადარია – 11 კ., კარტოზია – 10 კ., ცეკვავა – 9 კ. ცნობას ხელს აწერენ საკრებულოს გამგებელი რ. მიქავა და მდივანი დ. გოგია.

# ლეძაძამე

**ლეძაძამე** – სოფელი და სას. საბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, ტეხურის მარჯვ. ნაპირას, სენაკ-დიდიჭყონის საავტ. გზაზე. ზ.დ. 160 მ, სენაკიდან 24 კმ (ქსე, 6). ჩრდ-ით ესაზღვრება ლესაჯაიე, სამხრ.-დას-ით – ბეთლემი, სამხრ.-აღმ-ით (ტეხურის მარცხ. ნაპირზე) – ზანა.

XIX ს. 40-იანი წლებისათვის ლეძაძამე შედის ზუბის მაზრაში (მეუნარგია, 1939, გვ. 112), ხოლო 1886 წელს – ნაქალაქევის უბნის ფოცხოს თემში (77 კ., 508 ს.). „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის მიხედვით, შექმნილია ლეძაძამეს სას. საბჭო და ლეძაძამე ამ ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეულის ცენტრია (მოსახლეობა: 79 კ., 372 ს.).

ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარი ძაძამია. 1996 წლისათვის საქართველოში აღნუსხულია ამ გვარის მატარებელი 1697 სული. მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს წალენჯიხისა და ზუგდიდის რ-ნებში. საკუთრივ ლეძაძამეში ეს გვარი მხოლოდ 22 სულითაა წარმოდგენილი. რესპ.: „ლეძაძამე უწინ ერქვა სოფელს გურძემია-ტეხურის წყალგამყოფ დაბალ სერზე. ძაძამიები, რა თქმა უნდა, უწინ ესახლნენ ამ სერზე, ჩვენს დროში კი ტეხურის ნაპირას ჩამოსახლდნენ. სოფელი თავდაპირველად შედიოდა ფოცხოს თემში და ცალკე სასოფლო საბჭოდ გაფორმდა 1926-27 წლებში“.

2002 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით, სოფ. ლეძაძამეში მხოლოდ 177 სული მკვიდრობს. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ძაძამია ცუღუ ყარამანის ძე, 60 წ.

ძაძამია ხუტა შალვას ძე, 44 წ.

ჯღამაძე ირან ალექსანდრეს ძე, 48 წ.

# ბეთლემი

**ბეთლემი** – სოფელი სენაკის რ-ნის ლეძაძამეს სოფ-საბჭოში, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს, გურძემიის შესართავთან. ზ.დ. 140 მ, სენაკიდან 19 კმ (ქსე, 2). დავაზუსტოთ: ბეთლემი მდებარეობს სენაკ-დიდი ჭყონის საავტ. გზაზე. აღმ-ით ესაზღვრება ზედა ნაქალაქევი (ტეხურის მარცხ. მხარეს), დას-ით – ლეკოკაიე და მეორე მოხაში. ადგ. ვარიანტი ბერთემი.

ბეთლემი, როგორც ოფიციალურად სოფლის სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტი, პირველად გვხვდება ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის (1886 წ.) ცნობარში: იგი შედის უშაფათის სოფლის საზოგადოებაში 337 კომლით (2093 სული). 1930 წლისათვის ბეთლემი 128 კომლით (559 ს.) უკვე ნოქალაქევის სას. საბჭოს შემადგენლობაშია ლებაღათურესა და საკუთრივ ნოქალაქევთან ერთად. 1949 წლისათვის უკვე შექმნილია ბეთლემის სას. საბჭო ოთხი სოფლით: ბეთლემი (ც.), ზედა ნაქალაქევი, მეორე მოხაში, ლეკოკაიე. საბოლოოდ ბეთლემი ლეძაძამეს სას. საბჭოში გაერთიანდა.

სოფელში, გურძემიის მარჯვ. და ტეხურის მარცხ. მხარეს, იდგა ჯგიმარიონის, ანუ წმინდა მარიამის, სახელობის ეკლესია (ამჟამად მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი). აქვე ახლოსაა მთა ბერნაძორი და წყარო ბერნაწყარო. გადმოცემით, აქ ბერებს უცხოვრიათ (ჭითანავა, 2010, გვ. 416).

ხალხური ეტიმოლოგიები: 1. ამ სოფელში ბევრი ბერი ცხოვრობს, მაშასადამე: ბერიშ წყუ → ბერწყუ „ბერის წყარო“, ბერნოხორი „ბერის ნასახლარი“, ბერეფიშ თემი „ბერების თემი“ → ბერთემი; 2. ძველისძველი სოფელია. სენაკებში მცხოვრები ბერები ხნოვანებითაც გამოირჩეოდნენ. ამიტომ დარქმევია ბერთემი ← ბერითემი (ე.ი. ძველისძველი თემი, ან ხნიერ ბერთა თემი); 3. გ. ელიავას მოსაზრებით, „ბერთემი, ბეთლემი ← „ბერის თემი“. მკვლევარი ეყრდნობა რესპოდენტისეულ „ეტიმოლოგიას“: „ბერი მოსულა აქ და დასახლებულა, ბაღები გაუშენებია, წყაროს წყალიც ამოდიოდა და ადგილი „წაკორტად“ (წალკოტად) უქცევია

(ელიავა, 1989, გვ. 123); საპირისპირო აზრზე დგას ო. ხუხუა: „მეგრულში ბერი აღნიშნავს ვაჟს, ბიჭს. თემი კი ზოგადი სახელია სოფლისა. მაშასადამე „ბერთემი ზანურში ნიშნავს ვაჟთა სოფელს, ახალგაზრდათა თემს" (ხუხუა, 2009). გ. ბედოშვილი კი ვარაუდობს, რომ ბეთლემი „ჩვეულებრივი რელიგიურ-საკულტო მსახურების აღმნიშვნელი ერთეული უნდა იყოს. წარმომდგარი ჩანს სახელწოდება ბეთლემი-საგან... სამეგრელოში არსებული საკულტო ნაგებობის სახელი ბეთლემი შემდგომ სოფლის საკუთარ სახელად ქცეულა ბერთემი ფორმით" (ბედოშვილი, 2002, გვ. 81). ი. კეკელია და დ. ოდიშარია აღნიშნავენ: ჩანს, რომ „აქ იდგა ბეთლემის სახელობის ეკლესია, რაც შემდეგ სოფლის სახელწოდებად იქცა" (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 16). შდრ. ზ. კიკნაძის დასკვნა: ბეთლემი (← ბეთლეხემ „სახლი პურისა"), ისევე როგორც პალესტინური წარმომავლობის სახელწოდებანი გოლგოთა, გეთსიმანია, თაბორი, ბეთანია... სწორედ პალესტინიდანაა მიგრირებული (კიკნაძე, 1987, გვ. 98-103).

ბეთლემში შემორჩენილია ჯგიმარიონის, ანუ წმინდა მარიამის, სახელობის ეკლესიის ნაშთები. ეს სასაფლაო გარშემორტყმულია გალავნით. ითვლება რომ ეკლესია შუა საუკუნეებისა იყო. ამის გარდა, სოფ. ბეთლემში ჰქონდათ სალოცავები: მისარიონიშ ოხვამე (რომელსაც წმინდა გიორგიშ ოხვამეც ეწოდება). შემორჩენილია მისი საძირკველი ლეფირცხელეს უბანში. უბანი ამჟამად დაცარიელებულია; ქრისტეშობის (მაცხოვრის შობის) სახელობის ნაეკლესიარი. მდებარეობს ჯგიმარიონის ჩრდ.-აღმით.

2002 წელს ლეძაძამეს თემის საკრებულოს სოფ. ბეთლემში მკვიდრობს 346 მუდმივი მოსახლე (კაცი – 171, ქალი – 175). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წ. ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ბარკალაია ვარლამ მამიას ძე, 77 წ.

ბარკალაია იასონ ანტონის ძე, 75 წ.

ბარძემიშვილი კალი ზოსიმეს ძე, 90 წ.

ბაღათურია ბეგლარ გიგოს ძე, 81 წ.

ბაღათურია იოსებ თეიმურაძის ძე, 83 წ.

ბაღათურია შალვა ფარნას ძე, 74 წ.
გოგინავა ნიკოლოზ ბიბლათის ძე, 77 წ.
კარტოზია ბონდო ერმინეს ძე, 49 წ.
კარტოზია ვალიკო იოსების ძე, 58 წ.
კვატიძე ფევდოტი (ფეოდი) სოლომონის ძე, 75 წ.
კირცხალია მიხეილ ლაზარეს ძე, 63
მირცხულავა რომან ალექსის ძე, 38 წ.
ნინუა ჟორჟი ილარიონის ძე, 57 წ.

## ზედა ნაქალაქევი

**ზედა ნაქალაქევი** – სოფელი სენაკის რ-ნის ლეძაძამეს სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის მარცხ. ნაპირზე. ზ.დ. 140 მ, სენაკიდან 18 კმ (ქსე, 4). დავაზუსტოთ: ზედა ნაქალაქევი მდებარეობს ტეხურის მარცხ. ნაპირსა და მიმდებარე მთის კალთებზე, მარტვილის რ-ნის სოფ. ჯოლევის საზღვართან. სოფელს XX ს-ის 30-იან წლებში ერქვა კოლდღე (← კოლმეურნის დღე).

ისტორიული წყაროების თანახმად, ახლანდელი სოფელი ნაქალაქევი იგივე უძველესი ციხე-ქალაქი ნოქალაქევია ტეხურის ნაპირას, ააგო ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ (ძვ.წ. III ს. დასაწყისში)... ციხე-ქალაქის თავდაპირველი სახელწოდება, ზ. სარჯველაძის აზრით, იყო ჯიხანქუჯი. ციხეგოჯი უფრო გვიანდელი ფორმაა. ბერძნულ წყაროებში კი გვხვდება არქეოპოლისი (სიტყვასიტყვით: „ძველი ქალაქი“). იგი ეგრისის ერთ-ერთი დიდი და ძლიერი ქალაქი იყო. მის ტერიტორიაზე ცხოვრების კვალი ჩანს ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან. ცხოვრება ინტენსიური გახდა ძვ. წ. V–IV საუკუნეებიდან... ნაქალაქევში გათხრილია IV-III სს. სამაროვანი. მიცვალებულები იწვნენ ქვევრ-სამარხებში, ჩვეულებრივ, პირში ედოთ კოლხური თეთრი (ქსე, 7, გვ. 482). ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ აღნიშნულია „და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“ (ქ. ცხ. ტ. I, თბ.,

1955, გვ. 24), რასაც სქოლიოში ახლავს შენიშვნა: „არშია-ზე: ოდიშს ნაქალაქევი“ (წარწერა თხზულების გვიანდელ ხელნაწერში). ჯუანშერის თხზულების („ცხოვრება ვახ-ტანგ გორგასლისა“) XVIII ს-ის ხელნაწერის არშიაზეც ციხე-გოჯთან დაკავშირებით სხვა ხელით და სხვა მელ-ნით წარწერილია: „ციხე გოჯი ნაქალაქევია“ (ქ.ცხ. I, 1955, 235). ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვი-დასტურებს: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქა-ლაქევი, ციხე გოჯად წოდებული. ეს აღაშენა მეფე ფარნა-ოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“ (ვახუშტი, 1973, გვ. 777).

ნოქალაქევი//ნაქალაქევის მეგრული ვარიანტია ნოქა-ლაქი, ნოქალაქენი, ნაქალაქენი. ეს უკანასკნელი ფორმა გვხვდება არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.). რა თქმა უნდა, ნო- პრეფიქსიანი ვარიანტი უწინ-დელია (წინავითარების გამომხატველი ნა- ქართულიდან შუა საუკუნეებში გავრცელებულა მეგრულში. მაგრამ ფორმა ნოქალაქევმა XIX ს-მდეც მოაღწია (იხ. ამ საკით-ხთან დაკავშირებით: შალამბერიძე, თბ., 1973).

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის (1841 წ.) თანახმად, სუჯუნის მაზრაში დასახელე-ბული ნოქალაქევი, როგორც ჩანს, მოიცავს დღევანდელი ნაქალაქევის თემის საკრებულოს სოფლებსა და ლეძაძა-მეს თემის სოფ. ზედა ნაქალაქევსაც.

რუსეთის იმპერიის მიერ ამიერკავკასიაში 1886 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის ცნობარის თანახმად (Свод... 1893), სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში შექმნი-ლია ნაქალაქევის სოფლის საზოგადოება ერთადერთი სოფლით – ნაქალაქევით (371 კომლი, 2002 სული). 1930 წელს გამოცემული „დაყოფა“ გვამცნობს, რომ სენაკის რა-იონში შექმნილია ნოქალაქევის (და არა ნაქალაქევის) სას. საბჭო, რომელშიც გაერთიანდა სამი სოფელი: **ბეთლემი** (128 კ., 559 ს.), **ლებაღათურე** (156 კ., 643 ს.), **ნოქალაქევი** (441 კ., 1812 ს.). სულ თემში 725 კ., 3019 ს.

1949 წლისათვის ნაქალაქევი დაყოფილია ორ ერთეუ-ლად: 1. ზედა ნაქალაქევი, რომელიც შევიდა ბეთლემის სას. საბჭოში; 2. ნაქალაქევის სას. საბჭო, რომელშიც შედის ჯი-

ხა, გახომელა, ძიგიდერი, ლებაღათურე, ხოლო ნაქალაქევი, როგორც სოფელი აქ არც ჩანს (სას. საბჭოში შედის).

1987 წ. გამოცემული „დაყოფის“ (მეხუთე გამოცემა) თანახმად, ზედა ნაქალაქევი ლეძაძამეს თემში შედის (ხოლო ნაქალაქევის სას. საბჭო ცალკე ადმ.-ტერიტ. ერთეულადაა ზემოთ დასახელებული ოთხი სოფლით). ადგ. ვარიანტი: ჟიმოენ ნოქალაქენი.

2002 წლის აღწერის თანახმად, ლეძაძამეს თემის სოფ. ზედა ნაქალაქევში მუდმივი მოსახლეობა შეადგენს მხოლოდ 36 სულს. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში: რესპოდენტები იყვნენ:

ზაქარაია ალე ილიას ძე, 66 წ.

კუტუბიძე ოთარ სევერიანეს ძე, 50 წ.

სანიკიძე ალე ილიას ძე, 66 წ.

სანიკიძე ირაკლი ივანეს ძე, 81 წ.

## კვაუთი

**კვაუთი** – სოფელი სენაკის რ-ნის ლეძაძამეს სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის მარცხ. მხარეზე. ზ. დ. 160 მ, სენაკიდან 23 კმ, ლეძაძამედან – 3 კმ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში (ქსე, 7). დაზუსტება: კვაუთი მდებარეობს ლესაჯაიეს აღმ-ით, ბჟერის მთის დას. კალთაზე. ესაზღვრება მარტვილის რაიონს. ადგ. ვარიანტი: კოუთი.

სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერაში მოიხსენიება კვაუთის მთავარანგელოზის ეკლესია, ხოლო 1864 წლის საარქივო დოკუმენტებში – კვაუთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ.: 59, 72, 417). ამასთანავე, XIX ს-ში სოფ. კვაუთში, ტეხურის მარცხ. მხარეს, იყო ჩიქოვანების რეზიდენცია სასახლითა და კარის ეკლესიით. როგორც ცნობილია, ლეარზიანეს უბანში, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს, სასაფლაოსთან, მდგარა მაცხოვრის სახელობის ეკლესია (დარჩა ნაშთები), ხოლო ლენარსიეს უბან-

ში, სასაფლაოსთან, მაღალ ბორცვზე – წმინდა გიორგის სახელობის ქვის ეკლესია (იქვე, გვ. 59, 73, 417-419).

სავარაუდოდ, 1681-1715 წლებში შედგენილ გიორგი ლიპარტიანის წყალობის წიგნში აღნიშნულია: „შეგიწირეთ და გიბოძეთ კვაუთს პუჭკუელა ძიმისეისშვილი“ (მხარეთმცოდნე, II, 2011, გვ. 45). კვაუთი, როგორც სოფელი, პირველად დასახელებულია დავით დადიანის მიერ ოდიშ-ლეჩხუმის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (შედის სუჯუნის მაზრაში. იხ. მეუნარგია, გვ. 113). 1886 წელს ამიერკავკასიაში ჩატარებული კამერალური აღწერის მასალებში (Свод…, 1893) კვაუთი სოფელია ნაქალაქევის უბნის აბედათის თემში (76 კომლი, 567 სული).

ოიკონიმის მოტივაციასთან დაკავშირებით გ. ელიავას რესპოდენტი განმარტავს: „...კვაუ ყოფილა აქ ვიღაც დიდკაცი, დიდი **თი** ჰქონია. ამიტომ შერქმევია ადგილს კვაუშ თი → კვაუთი“ (ელიავა, 1989, გვ. 126). შდრ.: „პირსახელ **კვაუ**-ზე თი-ს დართვით წარმოიქმნა ჯგუფური ანთროპონიმი, რაც ტრანსონიმიზაციის გზით იქცა გეოგრაფიულ სახელწოდებად. მაშასადამე, კვაუთი იგივეა, რაც „კვაუს შთამომავლობა, ოკახი, სახლობა“ (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 36). -თი ანთროპოფორმანტი წარმოქმნის ჯგუფურ ანთროპონიმს, რომელიც სემანტიკური ტოპონიმიზაციის გზით ადგილის სახელად იქცევა. დამატებით შევნიშნავთ: **თი** დაბოლოება მორფემოიდია, რადგანაც ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ფორმანტს, მაგრამ ამავე დროს შენარჩუნებული აქვს ლექსიკური მნიშვნელობაც. შდრ. ალ. ქობალია: „**თი** – ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი; ოჯახის საცხოვრისი...“ (მაგალითად: ჩქიმი თი „ჩემი ოჯახი“). ეს **თი** ტოპონიმებში ცვლის სა-ო, ლე-ე კონფიქსებს, რომელთა ფუნქციაა, გვართაგან აწარმოოს ანთროპოოიკონიმები: თოლორდათი//სათოლორდი; ლებერიე//ბერიათი... საქმე ისაა, რომ **თი**-მ გარკვეულ ტერიტორიაზე, ლექსიკური მნიშვნელობის ერთგვარად გაბუნდოვანებისა და ფუნქციურად ზოგ აფიქსთან გატოლების შედეგად, საწარმოებელ საშუალებად იწყო გადაქცევა. საზოგადოებრივ-ისტორიულმა მოვლენებმა (უკანასკნელი 50 წლის მანძილზე შეწყდა ერ-

თი გვარის მიერ ცალკე დასახლებული უბნის შექმნის ტრადიცია) შეაჩერეს და შეწყვიტეს **თი**-ს საბოლოოდ გასუფიქსების პროცესი (ცხადაია, 1985, გვ. 91).

2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ცნობარში აღნიშნულია, რომ ლეძაძამეს თემის საკრებულოს სოფ. კვაუთის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 139 სულს (კაცი – 67, ქალი – 72). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

აფშილავა შალვა უთუს ძე, 81 წ.
პირტახია იოსებ ბახვას ძე, 77 წ.
სართანია ფილპე ეგნატეს ძე, 91 წ.
სიგუა კოსტა დავითის ძე, 71 წ.
შუშანია ევტიხი (ბონდო) არისტრახოს ძე, 74 წ.
ხაბურზანია ვლადიმერ ეგნატეს ძე, 73 წ.
ჯოჯუა ალექსანდრე თეიმურაზის ძე, 83 წ.

## ლეგოგიე

**ლეგოგიე** სოფელია სენაკის რ-ნის ლეძაძამეს თემში, მდ. გურძემიის მარჯვ. ნაპირას, მარტვილის რ-ნის სოფ. კიწიის (უბანი „მეორე გურძემი") საზღვართან. ზ. დ. 170 მ, სენაკიდან 32 კმ. სოფელი დას-ით გრძელდება მდ. მეტერიამდე (რომლის იქით ფოცხოს თემის საკრებულოა). ლეძაძამეს თემში ცხოვრობს გოგიათა 43 კომლი (და აღარც ერთი გოგინავას გვარისა). მაშასადამე, ლეგოგიე არის ანთროპონიმი („გოგიათა საცხოვრისი") წარმოქმნილი სამეგრელოს ტოპონიმიაში ფართოდ გავრცელებული ლე-ე პრეფიქს-სუფიქსით. გოგია მრავალრიცხოვანი გვარია – 3729 სული საქართველოში, სამეგრელოში კი – 3395 სული (მე-20 ადგილი), სენაკის რ-ნში – 880 სული (მესამე ადგილი).

საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლისა და 2002 წლის გამოცემებშიც ლეგოგიე შედის ლეძაძამეს ადგ.-ტერიტ. ორგანოში.

ტეხურის მარჯვ. მხარეს, მაღალ ბორცვზე, სასაფლაოსთან, იდგა წმინდა ბარბარეს სახელობის ხის ეკლესია, რომელიც კომუნისტებს დაუნგრევიათ. აღუდგენიათ 21-ე ს-ში. ამ ეკლესიის დას-ით ჩანს სოფ. ალერტი და ალერტის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 419).

2002 წლის საყოველთაო აღწერამ გამოავლინა, რომ ლეგოგიეში მკვიდრობს 133 მუდმივი მოსახლე (კაცი – 66 სული, ქალი – 67 სული). სოფლის ტოპონიმია აღიწერა

1984 წ. ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბარამია ანდრო ანტონის ძე, 63 წ.

გოგია მიხეილ პავლეს ძე, 69 წ.

გოგია ივლიანე (ბოჩია) კოსტას ძე, 64 წ.

გოგია იპოლიტე სევასტის ძე, 62 წ.

მირცხულავა ტარიელ ვასილის ძე, 73 წ.

## ლესაჯაიე

**ლესაჯაიე** – სოფელი სენაკის რ-ნის ლეძაძამეს სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს. ზ .დ. 160 მ, სენაკიდან 26 კმ, ლეძაძამედან 3 კმ (ქსე, 6). დავაზუსტოთ: ლესაჯაიე მდებარეობს გურძემია-ტეხურის შუამდინარეთში, ლეძაძამესა და ლეგოგიეს შუა. ესაზღვრება: აღმ-ით – კვაუთი, დას-ით – მოხაში. ადგ. ვარიანტი: ლესაჯე. ლესაჯაიე, როგორც სოფელი, პირველად გამოჩნდა 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალებში ლესაჯე ფორმით (29 კომლი, 220 სული) და შედის ნაქალაქევის უბნის ფოცხოს სოფლის საკრებულოში სხვა სოფლებთან (ლეძაძამე, მოხაში, ნასაჯოუ, ფოცხო) ერთად. 1930 წელს გამოცემულ „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ ცნობარში ამ სოფელს ისევ „ლესაჯე“ ფორმა აქვს, ოღონდ შედის ლეძაძამეს სოფსაბჭოში (84 კ., 439 ს.), მაგრამ „დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში და დღესაც სოფელი იწოდება ლესაჯაიედ.

საჯაია მრავალრიცხოვანი გვარია – 3278 სული საქართველოში (183-ე ადგილი). სამეგრელოში მკვიდრობს

2212 სული (24-ე ადგილი რეგიონში). გვარის თავდაპირველი და უძველესი საცხოვრისია ჩხოროწყუს რ-ნის მთისძირა სოფელი თაია (105 კ. XX ს. დამლევს). გვარის ადგ. ვარიანტი საჯალია უწინარესი უნდა იყოს (პირსახელი საჯარ დამოწმებულია „ქართლის ცხოვრებაში“). სოციალური თვალსაზრისით საჯაიები აზნაურები ყოფილან. გვართაგან ამ გვარის საცხოვრისის აღსანიშნად ლე- პრეფიქსის გამოყენება მთიან სამეგრელოში რამდენიმე საუკუნით უსწრებდა შუა საუკუნეებში ქართული ენიდან ამავე ფუნქციით შემოსულ სა- პრეფიქსს.

2002 წელს ლეძაძამეს თემის საკრებულოს სოფ. ლესაჯაიეში მუდმივად ცხოვრობს 267 სული (კაცი – 127, ქალი – 140). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

არზიანი პართე ნიკოს ძე, 74 წ.
არზიანი შალვა ბიქტორის ძე, 51 წ.
გოგია ვალიკო გუძას ძე, 61 წ.
გოგია შალვა გუძას ძე, 77 წ.
ხუხუნი მაკარ ელიზბარის ძე, 83 წ.

## ჯოლევი

**ჯოლევი** – სოფელი სენაკის რ-ნის ლეძაძამეს სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის ხეობაში. ზ.დ. 160 მ, სენაკიდან 25 კმ (ქსე, 11). დაზუსტება: ჯოლევი, რომელიც ლეძაძამეს თემშია გაერთიანებული, მდებარეობს მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს, ხოლო მარცხ. მხარეს რომ სოფ. ჯოლევია, ის შედის მარტვილის რ-ნის აბედათის თემში. უწინ ოფიციალურად ეწოდებოდა პატარა ჯოლევი. არაოფიც. ვარიანტი: ჯოჲო//ჭიჭე ჯოჲო.

ჯოლევი მოხსენიებულია რუსეთის ელჩების – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის – ოდიში მოგზაურობის (1639-1640 წწ.) აღწერაში. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფით (XIX ს. 40-იანი

წლები) ჯოლევი სოფელია სუჯუნის მაზრაში (მეუნარგია, 1939, გვ. 118). 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარის მიხედვით, ჯოლევი შედის სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბნის აბედათის სოფლის საზოგადოებაში (273 კ., 1714 ს.). „საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ (1930 წ.) თანახმად, ლეძაძამეს სას. საბჭოში შედის ჯოლევი პატარა (72 კ., 338 ს.). შემდგომში ამ სოფელს „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში ეწოდება ჯოლევი (პოსტპოზიციური მსაზღვრელი სიტყვის გარეშე). ხოლო მარტვილის რ-ნის სოფელი ჯოლევი უკვე ჯოლო-აბედათის სას. საბჭოს ცენტრი გახდა (შედის: აბედათი, ლემიქავე, ლესაჯაიე, ჯოლევი). საბოლოოდ ლეძაძამეს სოფსაბჭოს (შემდგომში თემის საკრებულოს) შემადგენლობა განისაზღვრა 7 სოფლით: ლეძაძამე, ბეთლემი, ზედა ნაქალაქევი, კვაუთი, ლეგოგიე, ლესაჯაიე, ჯოლევი. XIX ს-ში ჯოლევსა და ბჟერის მთაზე გადიოდა შქა სამარგალოშ შარა, რომელიც ზუგდიდს აკავშირებდა ქ. ქუთაისთან.

ეტიმოლოგიისათვის: ჯოლო(//ჯოჲო) მეგრულში ცნობილი ლექსიკური ერთეულია: „**ჯოლა**, **ჯოლო** – სათრიელი; სათრეველა; მთიდან ხეების ჩამოსაზიდი; ღვლერჭი; ხის სათრევი მსხვილი ჯაჭვი“ (ო. ქაჯაია); ალ. ქობალიას განმარტებაც ასეთივეა: „**ჯოლა** – მსხვილი ჯაჭვი ტვირთის სათრევად; სათრიელი; ტვირთი“. სამეგრელოში დასტურდება მიკროტოპონიმები სანჯოლო, ნანჯოლშარა... ამ შემთხვევაში სახელის მოტივაცია ენობრივია, მაგრამ ჯოლევის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ავხსნათ -ევ. ამასთანავე, გ. ელიავა ასახელებს ფორმა ჯოჲოს და მოჰყავს რესპოდენტისეული მოტივაცია: „მარხილზე ჩასაბმელი ღვლეჭით ან ჯაჭვით, ე.ი. ჯოჲოთი მთიდან ხეები ჩამოჰქონდათ. ამიტომ დარქმევია სოფელს ეს სახელი“ (ელიავა, 1977, გვ. 94). მაგრამ რა გარემოებით ავხსნათ ევ სუფიქსის პოვნიერება მეგრულ ტოპონიმიაში?

2002 წელს სენაკის რ-ნის ლეძაძამეს თემის საკრებულოს სოფ. ჯოლევში მკვიდრობს 143 მუდმივი მოსახლე (კაცი – 67, ქალი – 76). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ზაქარაია ალე ილიას ძე, 66 წ.
კუტუბიძე ოთარ სტეფანეს ძე, 40 წ.
ნარსია ბორის ვასილის ძე, 68 წ.
ჩილაჩავა დათიკო იზდორეს ძე, 59 წ.
ცეკვავა ვაჟა ფილიპეს ძე, 47 წ.

## მენჯის თემის საკრებულო

**მენჯის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნში, ქ. სენაკის ჩრდ.-დას-ით, ეკის მთასა და ხობის რაიონს შუა. ჩრდ-ით ესაზღვრება ხორშის, სამხრ-ით – თეკლათის თემის საკრებულოები. 1987 წელს მენჯის თემში შედის სოფლები: ბათარია (ც.), პერტული, საგაბესკირიო, საწულეისკირიო, სახარბედიო, სკურია. „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ პირველ (1930 წ.) გამოცემაში კი არც სოფელი მენჯი ჩანს და, მით უმეტეს, არც მენჯის სას. საბჭო. 1949 წლისათვის უკვე შექმნილია მენჯის სას. საბჭო, რომელშიც შევიდა შვიდი სოფელი: ბათარია (ც.), ზედა თეკლათი, ზედა სალომიო, პერტული, საგრიგოლიო, საწულეისკირო, სახარბედიო. ამ სოფელთაგან 1930 წელს ეკის სას. საბჭოში შედიოდა სოფ. საწულეისკირიო, თეკლათის სას. საბჭოში – საგრიგოლიო, თეკლათი ზედა და საწულეისკირიო (ერთი ნაწილი), ხოლო ქვ. თეკლათის სას. საბჭოში – პერტული. მენჯი ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტია ქ. სენაკის დას. ნაწილში, მდ. ცივის მარცხ. ნაპირას (ზ. დ. 29 მ).

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის დადგენილებით სოფ. საგაბესკირიო და სოფ. სკურია გამოეყო ხობის სას. საბჭოს და მიეკუთვნა მენჯის სას. საბჭოს. ცნობილია მენჯის ცხელი სამკურნალო-მინერალური და გოგირდოვანი წყალი. მენჯი სოფელს ეწოდება ზუგდიდის რ-ნშიც, ხოლო მიკროტოპონიმად მრავალგან გვხვდება. როგორც ცნობილია, ქართ. **ვეძ(ა)** „მინერალური წყალი ან მისი ამოსავლის ადგილი“ : მეგრ. **მენჯ-ი** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 203). განმარტებასთან დაკავში-

რებით იხ.: ცხადაია (1999, გვ. 289); შდრ. გ. ელიავა: „მენჯი (← მელენ ჯიმუ „გაღმა მარილი“). (იხ. ელიავა, 1989, გვ. 39; აგრეთვე: 1977, გვ. 417, 122, 142, 157, 166).

1996 წელს მენჯის თემის საკრებულოში მკვიდრობდა 142 გვარის მატარებელი 483 კომლი. თემის მასშტაბით ყველაზე მრავალკომლიანი გვარებია: ხარბედია – 51 კ., ეჯიბია – 50 კ., გვასალია – 36 კ., წულეისკირი – 34 კ., ჭანტურია და მაშავა – 17-17 კ.

2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები გვაუწყებს, რომ მენჯის თემის 6 სოფლის მუდმივ მოსახლეთა რაოდენობა უდრის 1423 სულს (კაცი – 675, ქალი – 748).

## ბათარია

**ბათარია** – სოფელი და მენჯის სოფსაბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას, სენაკ-სოხუმის გზატკეცილზე. ზ. დ. 33 მ, სენაკიდან 4 კმ (ქსე, 2). დავაზუსტოთ: ბათარია მდებარეობს სენაკის დას-ით, სენაკ-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალზე. გადმოცემით, უწინ ერქვა გოკირილი (იხ. ტოპონიმთა ლექსიკონში).

ბათარია, როგორც სოფელი, ცნობილია 1930 წლიდან: შედიოდა თეკლათის სას. საბჭოში (მოსახლეობა: 76 კ., 359 ს.). 1949 წლიდან კი ბათარია მენჯის სას. საბჭოს ცენტრია.

ეტიმოლოგიისათვის: გ. ელიავა „სენაკის რაიონის ტოპონიმიაში“ ერთგან ასახელებს **ბათარა** ფორმას (ლოკალიზაციის გარეშე) და სახელდების მოტივაციის გასარკვევად მოჰყავს ინფორმატორისეული განმარტება, სადაც ნათქვამია, რომ ბათარია „დიდი ველია, სადაც რუსეთის ჯარს თავისი ბატალიონი დაუყენებია ქვემეხებით, თურქის ჯარისათვის ქვემეხის ცეცხლი გაუხსნია. ამიტომ ადგილს ბათარია დარქმევია“ (ელიავა, 1987, გვ. 26); აქვე (გვ. 38) დასახელებულია ფორმა ბათარია: „აქ რუსის ბატარეია მდგარა. ამიტომ ადგილს ბათარეა შერქვია“.

სინამდვილეში ბათარია, ანუ ქუფე, არის თევზის საჭერი მოღობილი ძარა, რომელშიც ქვა იყო ჩაყრილი და დამბას ჰგავდა. ზამთარში დაშლიდნენ და ქვებს შორის თავშეფარებულ თევზს ამოიყვანდნენ (ცხადაია, 2007, გვ. 83; ცხადაია, 1985, გვ. 86-92). შდრ. ალ. ქობალია (გვ. 55): „**ბათარია** – წაგრძელებული ბორცვი მცირე დიამეტრისა; პატარა თევზსაჭერი მოწყობილობა – ერთგვარი ქუფე, ოღონდ მასზე გრძელი".

XX ს. დამლევს სოფ. ბათარიაში მკვიდრობდა 91 გვარის მატარებელი 243 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: მაშავა – 17 კ., ფაჩულია – 16 კ., ეჯიბია – 15 კ., გვასალია – 13 კ., ჭანტურია და სალაყაია – 9-9 კ.

2002 წ. ბათარიის მუდმივი მოსახლეობა აღწევდა 721 სულს (კაცი – 329, ქალი – 392). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

სალაყაია ნოე გრიგოლის ძე, 76 წ.

ფაჩულია ალექსანდრე ერასტოს ძე, 69 წ.

## პერტული

**პერტული** – სოფელი სენაკის რ-ნის მენჯის თემში, მდ. სკურიის (ცივის შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 30 მ. სენაკიდან 5 კმ. ბათარიიდან 2,5 კმ (ქსე, 8). დაზუსტება: პერტული მდებარეობს სახარბედიოსა და სკურიას შუა.

პერტულის, როგორც სოფლის, ისტორია იწყება საბჭოთა საქართველოს პირველი წლებიდან. საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (1930 წ. გამოცემა) ჩვენებით, სოფელი პერტული (23 კომლი, 93 სული) შედის ქვემო თეკლათის სას. საბჭოში.

ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარი პერტია, რაც დასახელებულია ჯერ კიდევ 1621 წელს შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში" (ქსძ, III, გვ. 426), თუმცა, მიუხედავად თითქმის 400 წლიანი ისტორიისა, პერტია ვერ

იქცა მრავალრიცხოვან გვარად (XX ს. დამლევისათვის ამ გვარის მხოლოდ 588 სული დასტურდება). რესპოდენტთა განმარტებით: პეტრე ყოფილა შეძლებული გლეხი, გვარად გვასალია. მას ჩამოუყვანია ხალხი და აქ დაუსახლებია. მისი შვილი ივანე ჩვენს სოფელში პირველი კომუნისტი იყო... გვარისა და შემდეგ სოფლის სახელწოდება წარმოქმნილია მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის შესაბამისად: პეტრე → პერტე → პერტე-ა → პერტია. როგორც პირსახელს, ასევე გვარსახელს შეიძლებოდა დართოდა კუთვნილება-განკუთვნების (აგრეთვე წარმომავლობის) გამომხატველი სუფიქსი -ურ(//-ულ). მაშასადამე, პერტული ნიშნავს პერტესეულს, პერტეს საკუთრებას, პერტეს კუთვნილ ადგილს. ბოლოს კი, მეტონიმიის გზით, პერტული იქცა დასახლებული პუნქტის სახელად (შდრ. გ. ელიავას რესპოდენტის განმარტება „აქ პერტენა სახლებულა“).

1996 წ. პერტულში მცხოვრებ კომლთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ოდენ ოთხი გვარი (გვაზავა, გვასალია, საჯაია, ჭანტურია) ქმნის 18 კომლს.

2002 წ. სოფ. პერტულში მოსახლეობდა 53 სული მუდმივი მცხოვრები (კაცი – 23, ქალი – 30). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივლისში. რესპოდენტები იყვნენ:

გვასალია ტოგო დიმიტრის ძე, 62 წ.
ჭანტურია ვარლამ აკაკის ძე, 72 წ.
ხარბედია ბათლომე ილარიონის ძე, 77 წ.

## საგაბესკირიო

**საგაბესკირიო** – სოფელი სენაკის რ-ნის მენჯის სას. საბჭოში, მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, ზ.დ. 50 მ, სენაკიდან 7 კმ, ბათარიიდან 3 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: საგაბესკირიო მდებარეობს მდ. ცივის მარჯვ. ნაპირიდან ხობის რ-ნის საზღვრამდე, სამხრ-ით ესაზღვრება სკურია, ჩრდ-ით – საადანაიო, აღმ-ით – საწულეისკირიო.

საგაბესკირიო ისტორიული სოფელი ჩანს. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის (1841 წ.) ცნობარის მიხედვით, იგი შედის ზუბის მაზრაში. სამეგრელოს ეპარქიის სუჯუნის მაზრის ეკლესიათა ჩამონათვალში დასახელებულია საგაბესქირიო ფორმით (ჭითანავა, 2010, გვ. 65).

ანთროპოოიკონიმისათვის ამოსავალია გაბესკირია, მცირერიცხოვანი გვარი (სულ საქართველოში 217 სული, მათგან სენაკის რ-ნში – 130). XX ს-ის 90-იან წლებში საგაბესკიროში ცხოვრობს გაბესკირიათა 11 კომლი. გადმოცემით, მათი წინაპრები მოსულან ზუგდიდის რ-ნის სოფ. კახათიდან. სხვათა შორის, კახათში XX ს. დამლევს ცხოვრობდა გაბესკირიათა 4 კომლი. უფრო მრავალრიცხოვანია ვარიანტი გაბისკირია (443 სული საქართველოში. მათგან ზუგდიდის რ-ნში 91 სული). საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის პირველ გამოცემაში (1930 წ.) საგაბესკირიოს ჯერ კიდევ არა აქვს სოფლის სტატუსი. 1949 წელს საგაბესკირიო შედის სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში, 1987 წელს კი ეს სოფელი ახლადშექმნილ მენჯის სასოფლო საბჭოშია მოქცეული. შენიშვნა: გაბესკირი ნიშნავს გაბეს შვილს. სამეგრელო-სამურზაყანოში რამდენიმე სქირ, სკირ კომპონენტიანი გვარია დადასტურებული. ზოგ მათგანს ერთვის გვარის მაწარმოებელი -ა სუფიქსი.

1996 წელს საგაბესკირიოში მკვიდრობდა 6 გვარის მატარებელი 14 კომლი. მათგან გაბესკირიას გვარისაა 8 კომლი, დანარჩენი გვარები კი თითო-ოროლა კომლითაა წარმოდგენილი.

2002 წელს საგაბესკირიო მენჯის თემის მეტად მცირესულიანი სოფელია. მუდმივი მოსახლეობა შეადგენს მხოლოდ 33 სულს (კაცი – 16, ქალი – 17). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

გაბესკირია ერმინე მანუჩარის ძე, 77 წ.

გაბესკირია ლევთერ ივლიანეს ძე, 56 წ.

ცინაძე ზაურ შოთას ძე, 26 წ.

# საწულეისკირიო

**საწულეისკირიო** – სოფელი სენაკის რ-ნის მენჯის სოფსაბჭოში, მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 120 მ, სენაკიდან 8 კმ, ბათარიიდან 4 კმ (ქსე, 9). დავაზუსტოთ: საწულეისკირიო მდებარეობს სახარბედიოსა და საცხვიტაოს შუა, ეკის მთის კალთებზე. დას-ით ესაზღვრება საგაბესკირიო და სკურია, ჩრდ.-აღმ-ით, – სოფ. ეკი, სამხრ-ით – სოფ. სახარბედიო. ვარიანტი საწულეისქირო დასტურდება 1733 წელს შედგენილ „შეწირულების სიგელში“: ბიჭვინტისადმი შეწირულთა შორის დასახელებულია „საწულეისქიროს ერთი მოსახლე კაცი ჩილაჩავა“ (ქსძ, III, გვ. 731). სოფლის სასაფლაოსთან შემორჩენილია წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნაშთი (ხის ეკლესია დაუშლიათ 1924 წელს). ეს ეკლესია უწინ მდგარა საწულეისკირიოს მთაზე.

დავით დადიანისეული „ოდიშ-ლეჩხუმის ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ მიხედვით, „საწულეისკირო“ სოფელია ზუბის მაზრაში. რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის ცნობარის მიხედვით, სოფელი ისევ და ისევ „საწულეისკირო“ ფორმითაა წარმოდგენილი (ნაქალაქევის უბნის ეკის თემში. მოსახლეობა: 60 კომლი, 350 სული). 1930 წელს საწულეისკირიო ერქვა ორ სოფელს: ერთი ეკის სას. საბჭოშია (29 კომლი, 203 სული), ხოლო მეორე – თეკლათის სას. საბჭოში (52 კომლი, 218 სული). „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1949 წლის გამოცემის თანახმად, „საწულეისქირიო“ ერთი სოფელია მენჯის სას. საბჭოში.

საქართველოში მკვიდრობს წულეისკირთა 645 სული (მათგან სენაკის რ-ნში – 290). საისტორიო-სამართლებრივ წყაროებში დასტურდება ვარიანტები: წულისკერი (XVII ს. ბოლო მეოთხედი) და წულაისქირი (XVIII ს. დამდეგს). წულეისქირი, წულეისკირი ნიშნავს წულას შვილს. სახელწოდების მიერ განვლილი ფონეტიკური გზა ასეთია: წულაიშ სქირი „წულას შვილი“ → წულაისქირი → წულეისქირი → წულესქირი (აი → ეი → ე ახასიათებს ქვემოიმერულს. იხ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 449; ცხადაია, 2000, გვ. 160). წულეის-

კირთა რწმენით, ისინი ამ სოფლის აბორიგენები არიან, არსაიდან ჩამოსულან და ეკლესიაც აქვე ჰქონდათ.

1996 წელს საწულეისკირიოში ცხოვრობდა 18 გვარის მატარებელი 56 კომლი. მათგან 33 კომლი გვარად წულეისკირია. 2002 წ. საწულეისკირიოში 161 მუდმივი მოსახლეა (კაცი – 80, ქალი – 81). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

წულეისკირი სპირიდონ სოლომონის ძე, 74 წ.

წულეისკირი ტერენტი სოლომონის ძე, 63 წ.

## სახარბედიო

**სახარბედიო** – სოფელი სენაკის რ-ნის მენჯის სოფსაბჭოში, მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 60 მ, სენაკიდან 6 კმ, ბათარიიდან 2 კმ (ქსე, 9). დავაზუსტოთ: სახარბედიო მდებარეობს მდ. ცივის ორივე ნაპირზე, ქ. სენაკის ჩრდ.-დას-ით, პერტულსა და ბათარიას შუა. ნაწილი ეკის მთაზეა შეფენილი. სახარბედიო აღნიშნულია თ. ბერაძის „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე" (ბერაძე, 1970). ამასთანავე, სწორედ სახარბედიოშია ცნობილი დედათა მონასტერი.

დავით დადიანისეული ოდიშ-ლეჩხუმის ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, სახარბედიო სოფელია სუჯუნის მაზრაში (128 კომლი, 626 სული. იხ. მეუნარგია, 1939, გვ. 113). 1886 წელს სოფ. სახარბედიო თეკლათის სოფლის საზოგადოებაშია გაერთიანებული (128 კომლი, 626 სული). „დაყოფის" 1930 წ. გამოცემის თანახმად, ამ სოფელში მკვიდრობს 153 ოჯახი (682 სული). საბოლოოდ კი, სახარბედიო სენაკის რ-ნის მენჯის სას. საბჭოში აღმოჩნდა.

ხარბედია გვარია (1131 სული საქართველოში, მათ შორის სენაკის რ-ნში – 391). გვარის თავდაპირველი და სრული ფორმა ხარაბედია დასტურდება XVII ს. ბოლო მეოთხედში დაწერილ საბუთში, სადაც აღნიშნულია, რომ კათალიკოს დავით ნემსაძეს ბიჭვინტისათვის შეუწირავს ქრისტეშია ხარაბედია და მისი ძმა ხოსია მათი ცოლ-შვი-

ლით (ქსძ, III, გვ. 613). სოფლის სახელწოდება გვხვდება სა-მი ფორმით: 1. **სახარაბედო** (XVIII ს. პირველ მეოთხედში სახარაბედოში მცხოვრებ ხარაბედიას ემართა საეკლესიო გადასახადი „ხუთი ლოდარიკი სანთელი“. იხ. ქსძ, III, გვ. 768); 2. **სახარბედიო** (1706 წლის საბუთში. იქვე, გვ. 647. იხ. აგრეთვე გვ.: 671, 676, 731, 768, 771); 3. **სახარაბედიო** (1712 წ. შედგენილ საბუთში. იხ. იქვე, გვ. 671). (იხ. დამატებითი მა-სალისათვის: კაკაბაძე, I, გვ. 102-117; კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 68; ჭითანავა, 2010, გვ. 397-399).

ჟაკ ფრანსუა გამბამ, ფრანგმა მოგზაურმა და ვაჭარმა, ამასთანავე საფრანგეთის კონსულმა საქართველოში, 1820 წელს რედუტკალედან (ყულევიდან) სამხედრო გზით თბი-ლისისაკენ იმოგზაურა. ამ მოგზაურობის აღწერაში აღ-ნიშნულია, რომ მოგზაური რედუტკალდან სწვევია ხობს და ხობის მონასტერს, შემდეგ კი – სახარბედიოს საგუშა-გოს, რომელიც „ხობიდან მხოლოდ 8 ვერსზეა“. „სახარბე-დიო, სადაც ჩვენ შევჩერდით, წარმოადგენს დაახლოებით 200 გაფანტული სახლისაგან შემდგარ სოფელს. თითქმის ყველა სახლი საკმაოდ ამაღლებულ პლატოებზეა აშენებუ-ლი“... წვიმა-წყალდიდობის დაცხრომის შემდეგ გამბა და მისი თანამგზავრნი კაზაკთა საგუშაგოდან ცივის მარჯვ. მხარეს გადასულან, საიდანაც მდ. ტეხურამდე ექვსი ვერსი უვლიათ ტყეში (გამბა, 1987, გვ. 124-125).

გ. ელიავას ცნობით, სახარბედიო ეწოდება იმ მთის კალთებსაც, სადაც ხარბედიები უწინ ესახლნენ. სენაკის რ-ნის სოფ. სახარბედიოში ხარ(ა)ბედიების დამკვიდრებას-თან დაკავშირებით რესპოდენტები მოგვითხრობენ: „სახარ-ბედიოს პირველმოსახლენი ყოფილან ერაგიები“ (ეს გვარი დოკუმენტირებულია 1634 წ. შექმნილ საბუთში. ამჟამად კი მთელ საქართველოში ამ გვარის მატარებელი მხოლოდ 52 სულია აღრიცხული, ისიც ძირითადად სენაკის რ-ნში), შემ-დეგ კი ჩამოსულან ხარბედია და ეჯიბია“; რესპ. ბ. ხარბე-დია: „ორი ძმა ხარბედია ლეხაინდრაოდან წამოსულა (იქ ბატონი მოუკლავთ) და აქ მთებს შეჰფარებიან. იქიდან დე-დათა მონასტერში ჩამოუყვანიათ და საეკლესიო გლეხები გამხდარან. ჩიჩუებს მათი „გაკოჩანება“ (ე.ი. ყმად გახდომა)

მოუნდომებიათ, მაგრამ დედათა მონასტერს ხელი შეუშლია. მონაზვნები გაჰკიდებიან და ჩიჩუები გაუგდიათ, ხინჭკონაში წიფლის ხეზე ჯვარი ამოუკოდავთ, როგორც სასაზღვრო ნიშანი". გვარისათვის ამოსავალი ჩანს პირსახელი ხარბედი.

1996 წელს სახარბედიოში აღრიცხულია 40 გვარის მატარებელი 128 კომლი. მათგან მრავალკომლიანობით გამოირჩევა ხარბედია (45 კ.) და ეჯიბია (35 კ.).

2002 წ. მენჯის თემის საკრებულოს სოფ. სახარბედიოში მკვიდრობს 393 მუდმივი მოსახლე (კაცი – 200, ქალი – 193). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 20 სექტემბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ერაგია რაჟდენ მიხას ძე, 64 წ.
ეჯიბია ალექსანდრე (დურუ) ძუკუს ძე, 62 წ.
ეჯიბია გულადი შოთას ძე, 32 წ.
ეჯიბია ლეონტი (ხუთუ) კოწოას ძე, 62 წ.
ეჯიბია რაჟდენ მიხას ძე, 64 წ.
ეჯიბია შოთა გვადას ძე, 69 წ.
ხარბედია ბათლომე ილარიონის ძე, 77 წ.
ხარბედია ხარიტონ სიმონის ძე, 75 წ.

## სკურია

**სკურია** – სოფელი სენაკის რ-ნის მენჯის სოფსაბჭოში, მდ. ცივის ხეობაში, ზ.დ. 70 მ, სენაკიდან 8 კმ (ქსე, 9). დავაზუსტოთ: სკურია მდებარეობს ხობის რ-ნის საზღვართან საგაბესკირიოსა და პერტულს შუა. შენიშვნა: ქსე-ს მე-9 ტომში სტატიას „სკურია" მოსდევს „სკურის ციხე", სადაც აღნიშნულია, რომ ეს ციხე მდებარეობს „მდ. ჭანისწყლის მარცხ. ნაპირზე, ახლანდელი სოფ. სკურიას (ცხაკაიას რ-ნი) სამხრეთით"... საქმე ისაა, რომ სკურის ციხე, რომელიც ჭანისწყლის მარცხ. ნაპირზე მდებარეობს, წალენჯიხის რ-ნშია, ხოლო სოფელი სკურია – სენაკის რ-ნში. მათ შორის რამდენიმე დიდი თუ პატარა მდინარე და ათობით სო-

ფელია). სკურიის ძირითადი უბნებია საგვასალიო და საშურღაიო. ორივე სოფ. საგაბესკირიოს საზღვართანაა.

„საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ჩვენებით, ხორშის სას. საბჭოში შედის სოფელი სკურდი (137 კ., 633 ს.), რომელიც 1949 წელს გამოცემულ „დაყოფაში" სკურია ფორმითაა წარმოდგენილი ხორშის სას. საბჭოში. შემდგომში სკურია ახალშექმნილ მენჯის სას. საბჭოშია გაერთიანებული.

სკური, სქური, როგორც ალ. ქობალია აღნიშნავს, ხევში მდინარი ღელეა. ჩვენეული განმარტებით კი, სკური, სქური წყლიან-ტყიანი ხეობაა და სამეგრელოში მრავალგან გვხვდება ასეთივე ოროგრაფიულ-ჰიდროგრაფიული ობიექტის სახელწოდებად.

XX ს. დამლევს სოფ. სკურიაში მკვიდრობდა 9 გვარის მატარებელი 84 კომლი. მათგან მრავალკომლიანია გვარი გვასალია (14 კ.). 2002 წელს სოფ. სკურიაში მხოლოდ 62 სული მოსახლეა (კაცი –27, ქალი – 35). ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ: გაბესკირია ე. მ. 77 წ.; გვასალია ვ. ე. 74 წ.

## ნოქალაქევის თემის საკრებულო

**ნაქალაქევის (ნოქალაქევის) თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნში, ტეხურის ორივე ნაპირას. ჩრდ-ით ესაზღვრება ზედა ნაქალაქევის თემის საკრებულო. სამხრ-ით კი – სოფელი და სოფლის საკრებულოს ცენტრი გეჯეთი, აღმ-ით აღწევს მდ. აბაშამდე. შედის სოფლები: ჯიხა, გახომელა, ლებაღათურე, ძიგიდერი.

ამიერკავკასიის მხარის 1886 წლის კამერალური აღწერის ცნობარის მიხედვით, სენაკის მაზრაში შექმნილია ნაქალაქევის უბანი. მასში შედის სოფლის საზოგადოებები: აბედათის, ბანძის, გეჯეთის, ლეხაინდრავო-ონოღიის, ნაქალაქევის, ფოცხოს, სენაკის, თეკლათის, უშაფათის, ჭალადიდისა და ეკისა. ამასთანავე, ნაქალაქევის ადმ.-ტერიტ.

ერთეულში შედის მხოლოდ ერთი სოფელი – ნაქალაქევი (371 კომლი, 2002 სული. Свод... 1893), ხოლო ჯიხას, გახომელას, ლებაღათურესა და ძიგიდერს ჯერ კიდევ არა აქვთ ოფიციალურად მოპოვებული სოფლის სტატუსი.

საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის (1930 წ.) მიხედვით, სენაკის მაზრაში შექმნილია „ნოქალაქევის სას. საბჭო“, რომელშიც შედის „ნოქალაქევი“ (ც.) – 441 კომლი (1817 სული), ბეთლემი – 122 კომლი (559 სული) და ლებაღათურე – 156 კ. (643 სული). საერთო რაოდენობა ამ სოფლების მოსახლეობისა – 725 კომლი, 2019 სული.

1949 წლის 1 სექტემბრისათვის „ნოქალაქევის სას. საბჭო“ ისევ შეიცვალა სახელწოდებით „ნაქალაქევის სას. საბჭო“ (შედის. ჯიხა (ც), გახომელა, ძიგიდერი, ლებაღათურე. როგორც ვხედავთ, ქალაქი „ნაქალაქევი“ (თუ „ნოქალაქევი“) არ ჩანს. სამაგიეროდ, სენაკის რ-ნის ბეთლემის სას. საბჭოში შედის სოფელი ზედა ნაქალაქევი (აგრეთვე: ბეთლემი, მეორე მოხაში, ლესაჯაიე). 1961 წლისათვის სენაკის რ-ნში ისევ „ნაქალაქევის“ სას. საბჭოა გამოყოფილი (სოფლები: ჯიხა (ც.), გახომელა, ძიგიდერი, ლებაღათურე. ნოქალაქევი კი არ ჩანს). ეს დაყოფა შემდგომში არ შეცვლილა. 2002 წლიდან კი ამ ტერიტორიულ ერთეულს ნოქალაქევის თემის საკრებულო ეწოდება (სოფლები: ჯიხა, გახომელა, ლებაღათურე, ძიგიდერი).

1984 წელს „ნოქალაქევის“ (ადგ. ვარიანტი) სას. საბჭოში ცხოვრობდა 492 კომლი, ხოლო მასში შემავალი ოთხი სოფლის ტერიტორია შეადგენდა 16 კვ.კმ. თემის ტერიტორიაზე ორი სამეურნეო ერთეული იყო: ნოქალაქევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა და ნოქალაქევის თევზის სატბორე მეურნეობა.

ქეგლ-ში (ტ. 7) შემოთავაზებულია სტატია სათაურით „ნოქალაქევი“. აქ აღნიშნულია, რომ ტეხურის მარცხ. ნაპირას მდებარე ციხე-ქალაქის თავდაპირველი სახელწოდება იყო ციხეგოჯი. „უფრო გვიან იგი მოხსენიებულია ბერძნ. სახელწოდებით **არქეოპოლისი** (სიტყვასიტყვით: „ძველი ქალაქი“). აქედან მოდის მისი ქართული სახელი ნოქალაქევი//ნაქალაქევი“. აქვე მოთხრობილია ამ ნოქალაქევის არ-

ქეოლოგიურ შესწავლაზე, რაც დაიწყო XX ს-ის 30-იან წლებში ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით. 2001 წელს კი ნოქალაქევში ქართულ-ბრიტანულმა საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ბერძენი მეომრის სამხედრო აღჭურვილობა, რომელიც თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნით. ამასთან დაკავშირებით ვინჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ლომიტაშვილი ასკვნის: „ამ პერიოდში კოლხებს ბერძნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ მეომრის აღჭურვილობის აღმოჩენა ცხადყოფს, რომ, შესაძლოა, ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია მომხდარიყო“.

უცნობი ავტორის „დავით და კონსტანტინეს წამებაში“, რომელიც შეეხება მურვან ყრუს შემოსევისას არგვეთის მთავრების მოწამებრივ აღსასრულს (შემორჩენილია XII ს-ის მეტაფრასული სტელა), დასახელებულია ფორმა „ჯიხა ნოქალაქევისა“ (ე.ი. „ქუჯის ციხესიმაგრე“). ბერძნული ფორმა არქეოპოლისი პირველად გვხვდება ბიზანტიურ წყაროებში VI ს-ში. კერძოდ, არქეოპოლისის ბრძოლის (551 წ.) აღწერისას ავტორი, აღნიშნავს რომ ირანელებმა ვერ შეძლეს ციხე-გოჯის აღება.

იუსტინიანეს ნოველებში (VI ს.) არქეოპოლისი (და როდოპოლისი) კოლხეთის უკიდურეს და ძველ სიმაგრედ არის დასახელებული. პროკოფი კესარიელი აღნიშნავს, რომ ლაზებს მდინარის ნაპირას „ძველთაგანვე აუშენებიათ არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული“. მოსაზრებას, რომ ნოქალაქევი იგივე ციხეგოჯია, იზიარებენ პ. ზაქარაია, ო. სოსელია, ს. მაკალათია, დ. მუსხელიშვილი, თ. ბერაძე და სხვ. გიულდენშტედტი ნოქალაქევს უწოდებს ძველად განთქმულ, მაგრამ ახლა გაუდაბურებულ ქალაქს. ნოქალაქევის ციხესიმაგრის გზაზე დგას 40 მოწამეთა სახელობის ეკლესია. დ. ბაქრაძე თვლის, რომ იგი VI საუკუნისაა, მაგრამ პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე V საუკუნით ათარიღებენ.

XX ს. დამლევს ქართულ-ევროპულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნოქალაქევში აღმოაჩინა ბერძნულწარწერიანი ქვაჯვარის ნატეხი, რაც გახდა საფუძველი ვარაუდი-

სა, რომ დას. საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა III-IV სს. მიჯნაზე.

საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1987 წლის გამოცემაშიც ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულს ისევ და ისევ ნაქალაქევის სას. საბჭო ეწოდება და აერთიანებს 4 სოფელს: ჯიხა (ც.), გახომელა, ლებაღათურე, ძიგიდერი. 2002 წელს თემს უკვე „ნოქალაქევის" (და არა ნაქალაქევის) თემის საკრებულო ეწოდება და იგივე ოთხი სოფელი შედის. თემის საკრებულოს მოსახლეობა შეადგენს 1561 სულს (კაცი – 743, ქალი – 818).

1996 წელს ნოქალაქევის (და არა ნაქალაქევის) თემის საკრებულოს ოთხ სოფელში მკვიდრობდა 162 გვარის მატარებელი 794 კომლი. მათგან მრავალკომლიანი გვარებია: ბაღათურია – 51 კ., კილასონია – 29 კ., სანიკიძე – 25 კ., გაგუა და ზარქუა – 21-21 კ., ბესელია – 19 კ., ჩვამანია – 15 კ., კოკაია – 13 კ., გრიგოლია, კაკულია, მალანია – 12-12 კ. ნაქალაქევის (//ნოქალაქევის) თემის საკრებულოს სოფლებში მეგზურობას მიწევდა ნექტარ ბონდოს ძე წულაია, რისთვისაც მისი დიდად მადლიერი ვარ.

## ჯიხა

**ჯიხა** – სოფელი და ნოქალაქევის სოფსაბჭოს ცენტრი მდ. ტეხურის ნაპირას, სენაკ-მარტვილის გზაზე, ზ. დ. 100 მ, სენაკიდან 17 კმ (ქსე, 11). ჯიხა მეგრულში აღნიშნავს ციხეს. იგულისხმება შუა საუკუნეების არქიტექტურული კომპლექსი ციხე-გოჯი. იგი მდებარეობს ტეხურის მარცხ. ნაპირის მთის თხემზე (**ჯიხა** „ციხესიმაგრე" ეწოდება სწორედ ამ მაღლობსა და მიმდებარე ვაკეს – სენაკ-მარტვილის გზაზე გაშლილ დასახლებას). ისტორიული წყაროების თანახმად, ციხეგოჯი დააარსა ეგრისისა და სვანეთის ერისმთავარმა ქუჯიმ. VI-VIII სს-ში და შემდგომშიც ციხე-გოჯი ეგრისის დედაქალაქია... VIII ს-ის 30-იან წლებში ქალაქი დაარბია არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ... XVI-

XVIII სს-ში ციხეგოჯში დადიანთა რეზიდენცია იყო... აქ ბაზილიკა აუგიათ VI ს-ში, მაგრამ მოგვიანებით გუმბათოვან ეკლესიად გადაუკეთებიათ. მოტივაციისათვის: ციხეგოჯი, იგივე ციხექუჯია: ჯიხა „ციხე“ ერქვა საკუთრივ სიმაგრეს ციხეგოჯის გალავანში ჩართულ ერთ-ერთ კოშკს. ტრანსტოპონიმიზაციის ერთ-ერთი გზის – მეტონიმიის შედეგად ამ ჯიხასთან წარმოქმნილ დასახლებასაც შემდგომში ჯიხა ეწოდა. ქალაქი „ჯიხანქუჯი“, რომელიც მდებარეობს „ქვეყანასა მეგრელთასა სანახებსა ჭყონდიდისა“ პირველად მოხსენიებულია მურვან ყრუს შემოსევების აღწერისას „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში“, რომელიც მხოლოდ XII ს-ის უცნობი ავტორის მიერ გადამეტაფრასებული რედაქციითაა მოღწეული. სოფელს აღმ-ით ესაზღვრება ლებაღათურე, დას-ით – გახომელა, სამხრ-ით – ძიგიდერი, ჩრდ-ით – ზედა ნაქალაქევი.

ციხეგოჯი მრავალგზის არის დასახელებული ვახუშტის საისტორიო-საგეოგრაფიო ნაშრომში (ვახუშტი, 1973, გვ.გვ.: 101, 104, 795, 774, 777): „აწ სენაკს ზეით უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“ (გვ. 777). გიულდენშტედტს ოდიშის სოფლებს შორის (რესპოდენტებზე დაყრდნობით) დასახელებული აქვს ნაქალაქევი: „ნაქალაქევი ძველად განთქმული, ახლა გაუდაბურებული ქალაქი“ (გიულდ., 1962, გვ. 925). ქართულ საისტორიო მეცნიერებაში უდავო დებულებად ითვლება მოსაზრება (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ს. მაკალათია, დ. მუსხელიშვილი, თ. ბერაძე...), რომ ციხეგოჯი არის იგივე არქეოპოლისი, ანუ ნოქალაქევი, თუმცა გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც.

ნოქალაქევის ციხესიმაგრის ეზოში დგას 40 მოწამეთა სახელობის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც უძველესი ჩანს, კერძოდ იმდროინდელი, როცა ქრისტიანობა უკვე ფეხადგმულია ბიზანტიის იმპერიაში და ეგრისის სამეფოშიც. ეს შეეხება VI საუკუნეს (ჭითანავა, 2010, გვ. 445).

2002 წელს სოფ. ჯიხაში დაფიქსირდა 405 მუდმივი მოსახლე (კაცი – 192, ქალი – 213).

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

სანიკიძე ალექსი ნიკოლოზის ძე, 71 წ.

სანიკიძე იონა სიკოს ძე, 96 წ.

ტყებუჩავა ივანე დავითის ძე, 70 წ.

ჯიმშელეიშვილი აკაკი ფარნას ძე, 64 წ.

## გახომელა

**გახომელა** – სოფელი სენაკის რ-ნის ნაქალაქევის სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 80 მ, სენაკიდან 14 კმ (ქსე, 3). დავაზუსტოთ: გახომელა ეკის მთის აღმ. კალთაზეა განლაგებული, ბეთლემსა და კოტიანეთს შუა, სოფ. ჯიხამდე 3 კმ-ია. ადგ. ვარიანტი: გახომილა. გახომელა (//გახომილა) ეწოდება მცირე მდინარესაც, რომელიც მოედინება საარჩაიოშ გოლადან, გაივლის ამავე სახელწოდების სოფელს და ერთვის ტეხურს მარჯვ. მხრიდან საწულაიოში (ადგ. ვარიანტი „გახომილაშ ღალე“). ტეხურის მარჯვ. მხარეს, სასაფლაოსთან, რომელიც ბორცვზეა, შემორჩენილია წმინდა ელენესა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესია, რომელსაც უწოდებენ ჩე ოხვამე-ს („თეთრი სალოცავი“).

გახომელა, გახომილა ორკომპონენტიანი სახელწოდებაა: **გა** „სერი“, **ხომ(უ)ლა** „ხმელი, გამხმარი“. როგორც ცნობილია, **ხომაფა, ხუმაფა** „გახმობა“ → ხომელა, ხომილა, ხომულა, ხუმუ, ხომია (ბ.-მ. თქმაში) „გამხმარი, ძალიან მშრალი; ხმელი, უწყლო“ (ო. ქაჯაია) ვნებითი გვარის მიმღეობაა წარსული დროისა. გახომელა მშრალი, გამხმარი უწყლო სერია, რასაც აღნიშნავს გ. ელიავაც. მაშასადამე, გახომელა წარმოიქმნა როგორც ორონიმი (უწყლო, მშრალი სერი), მაგრამ იქცა ჰიდრონიმად (ღელე. ზაფხულობით კიდეც შრება), ხოლო დაბოლოს – ოიკონიმად. რა თქმა უნდა, ვარიანტი გახომელაშ ღალე მოტივირებულია იმ სერის სახელით, საიდანაც იგი ჩამოედინება.

2002 წელს გახომელაში ცხოვრობს 707 სული მუდმივი მოსახლე (კაცი – 330, ქალი – 377). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ზარანდია ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, 71 წ.

ფითურია კოსტანტინე (კიტუ) ხუხუს ძე, 72 წ.

ფითურია ოთარ ხუხუს ძე, 60 წ.

ჩიჩუა გიგლა ტარიელის ძე, 53 წ.

ხელაია მამანტი ანტონის ძე, 76 წ.

## ლებაღათურე

**ლებაღათურე** – სოფელი სენაკის რ-ნის ნაქალაქევის სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის ხეობაში. ზ. დ. 160 მ, სენაკიდან 18 კმ, ზედა ნაქალაქევიდან 3 კმ (ქსე, 4). დავაზუსტოთ: ლებაღათურე მდებარეობს აბაშა-ტარჩენის მარჯვ. ნაპირას მარტვილის რ-ნის სოფლების – სერგიეთისა და ბანძის საზღვართან. ესაზღვრება აგრეთვე: ჩრდ.-დას-ით – ზედა ნაქალაქევი, სამხრ-ით – ჯიხა, ჩრდ-ით – ჯოლევი.

ლებაღათურე, როგორც სოფელი, პირველად გამოჩნდა ნოქალაქევის სას. საბჭოში („საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1930 წ. გამოცემა). ამ პერიოდში მისი მოსახლეობა შეადგენს 136 კომლს (643 სული). სამეგრელოს ეპარქიის 1864 წლის საბუთში დასახელებულია „ლებაღათურეს მთავარანგელოზის ეკლესია“. ამის გარდა, ლებაღათურეს სასაფლაოსთან შემორჩენილია საძირკველი ქვის ეკლესიისა, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში უნდა აეშენებინათ“ (ჭითანავა, 2010, გვ. 451).

ლებაღათურე ლე-ე დანიშნულების პრეფიქს-სუფიქსითაა წარმოქმნილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელწოდება საკმაოდ ძველისძველია (სვანურ ლე- პრეფიქსს შუა საუკუნეებში შეენაცვლა სა- პრეფიქსი, რომელიც შემდგომ ქვემო სამეგრელოში გაბატონდა). ბაღათურიას გვარის მატარებელი 1819 სულიდან XX ს. დამლევს სენაკის რაიონში მკვიდრობდა 490 მოსახლე. სულთა რაოდენობით თუ

ვიმსჯელებთ, პირველ ადგილზეა ნაქალაქევი, სადაც ბაღათურიათა 51 კომლი მკვიდრობს. გვარისათვის ამოსავალია აღმოსავლური (სპარსული) სიტყვა ბაადურ („გოლიათი, მამაცი, რაინდი“) → ბაჰადურ → ბაღათურ → ბაღათურია (გვარსახელი).

2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით ნოქალაქევის თემის საკრებულოს სოფ. ლებაღათურეში მკვიდრობდა 261 მუდმივი მოსახლე (კაცი – 129, ქალი – 132). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 28 სექტემბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ბაღათურია ილარიონ (იარო) ანდრიას ძე, 79 წ.
ბაღათურია იროდ გიორგის ძე, 72 წ.
ზარქუა ანტიფო ფირუზის ძე, 69 წ.
ზაქარაია ვლადიმერ ევგენის ძე, 67 წ.
ფანცულაია აპალონ ნიკოს ძე, 84 წ.
წულაია ნექტარ ბონდოს ძე, 36 წ.

## ძიგიდერი

**ძიგიდერი** – სოფელი სენაკის რ-ნის ნაქალაქევის სას. საბჭოში, მდ. ტეხურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 80 მ, სენაკიდან 18 კმ, ნაქალაქევიდან 2,5 კმ (ქსე, 11). დავაზუსტოთ: ძიგიდერი მდებარეობს ტეხურსა და მის მარცხ. შენაკად აბაშას შუა გაშლილ ვაკეზე. ესაზღვრება: ჩრდ-ით – ჯიხა და ლებაღათურე, ხოლო სამხრ-ით – გეჯეთი. წვდება მარტვილის რ-ნის სოფლებამდე (ლეფოჩხუე-მუხურჩა). არაოფიც. ვარიანტი: ძიგუდერი.

ძიგიდერი, როგორც სოფელი, ოფიციალურად პირველად დადასტურდა 1949 წელს. იგი შედიოდა (და დღესაც შედის) ნაქალაქევის ადგილობრივ ადმ.-ტერიტ. ერთეულში. გ. ელიავა ასახელებს ვარიანტს ძიგუდერი და მიიჩნევს, რომ ეს სახელწოდება ნიშნავს „საეკლოს“ და აქვე მოჰყავს ხალხური ეტიმოლოგია: „**ძიგუდერი** („ეკლიანი“, „ძიგირონა“) ეკლნარიდანაა წარმომდგარი: ძიგირიდუ „ეკალი იყო

სულ“, ასე განმარტავს ხალხი“ (ელიავა, 1989, გვ. 108). ეყრდნობიან რა ძიგვი, ძიგი, ძიგირი, ძიგური, ძიგირონა სიტყვების ალ. ქობალიასეულ განმარტებებს, ი. კეკელია და დ. ოდიშარია აღნიშნავენ: „შესაძლებელია ოიკონიმ ძიგიდერის//ძიგუდერის სემანტიკა მართლაც ძეგვს, ეკალ-ბარდს, ჯაგს, ჩირგვს უკავშირდებოდეს და აღნიშნავდეს ძეგვიან, ჯაგიან, ეკალბარდნიან ადგილს“, მაგრამ იქვე ნათქვამია: „მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ სოფლის სახელწოდებაში გვაქვს -ერ სუფიქსი, მაშინ ამოსავალ ფუძედ უნდა მივიჩნიოთ გვარსახელი ძიგუა. ხომ არ ნიშნავს ძიგუდერი, ძიგგდერი, ძიგიდერი „ძიგუასეულს, ძიგუას კუთვნილს, ძიგუასგან მომდინარეს“ (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ.86-87). მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს რა ფუნქცია აქვს სავარაუდო გვარსახელსა და -ერ სუფიქსს შორის მოქცეულ -იდ//-უდ კომპლექსს? (რედაქტორის შენიშვნა: ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ: ძიგურერი → ძიგუდერი).

2002 წელს ძიგუდერში მკვიდრობდა 188 მუდმივი მოსახლე (კაცი – 92, ქალი – 96) სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 29 ივნისს. რესპოდენტები იყვნენ:

ბაღათურია ირაკლი (კუკუ) ილიას ძე, 62 წ.
ბესელია დავით თედორეს ძე, 65 წ.
ბესელია ხუტუ მურზას ძე, 72 წ.

## ნოსირის თემის საკრებულო

**ნოსირის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნში, მდ. ტეხურის მარცხ. ნაპირიდან აბაშის რნის საზღვრამდე. შედის სოფლები: შუა ნოსირი (ც.), ნოსირი, საბესელიო, საკილასონიო, საოდიშარიო. ტოპონიმი ნოსირი დასახელებულია 1717 წელს შედგენილ სუჯუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულობის წიგნში, სადაც აღნიშნულია „ნოსირის ეწერში შუაზედ უჩა ღელე რომ გაივლის“ (მხარეთმცოდნე, III, გვ. 47).

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის (XIX ს. 40-იანი წლები) თანახმად, სოფელი ნოსირი შედის სუჯუნის მაზრაში. 1886 წელს „ნოსირის სოფლის საზოგადოება“ პირველად დასახელებულია როგორც სენაკის რ-ნის აბაშის უბნის ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეული, რომელშიც შედის ერთადერთი სოფელი ნოსირი (მოსახლეობა – 426 კომლი, 2432 სული. იხ. Свод... 1893). მაგრამ საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (1930 წ. გამოცემა) თანახმად, სენაკის მაზრის სენაკის რ-ნში შექმნილია ნოსირის სას. საბჭო, რომელშიც შედის 8 სოფელი:

ნოსირი 2 – 111 კომლი, 512 სული.

ნოსირი 3 – 93 კომლი, 421 სული.

ნოსირი შუა – 83 კომლი, 358 სული.

საბესელიო – 84 კომლი, 391 სული.

საკილასონიო – 52 კომლი, 265 სული.

საოდიშარიო – 121 კომლი, 534 სული.

სასიმონიო – 105 კომლი, 450 სული.

სასირიო – 97 კომლი, 166 სული.

სულ ნოსირის სას. საბჭოში: 740 კომლი, 3397 სული.

ამასთანავე, რესპ. ნ. თორდიას ინფორმაციით: „ნოსირი იყო ერთი სოფელი მდ. ტეხურიდან აბაშის რ-ნის საზღვრამდე. იყოფოდა: პირველი ნოსირი (საოდიშარიო, სასიმონიო), მეორე ნოსირი (საკირცხალიო, სადუდუჩაო, სამილორავო), მესამე ნოსირი (საჩილაჩაო, საბარკალაიო, საძიძიგურო). დღეს კი სოფლების სულ სხვანაირი განაწილებაა“.

„საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1949 წლის გამოცემის თანახმად, ორი სოფლის – ნოსირისა და საკილასონიოს ბაზაზე შეიქმნა ოქტომბრის სას. საბჭო, ხოლო შუა ნოსირი, საბესელიო, პირველი ნოსირი და საოდიშარიო დარჩა ნოსირის სას. საბჭოს შემადგენლობაში. მაგრამ 1961 წლისათვის ოქტომბრის სას. საბჭო გაუქმდა – შეუერთდა ნოსირის სას. საბჭოს, რომელშიც შევიდა: შუა ნოსირი, ნოსირი, პირველი ნოსირი, საბესელიო, საკილასონიო და საოდიშარიო. მაგრამ პირველი ნოსირი ხუთიოდე წლის შემდეგ უკვე ძველი სენაკის სას. საბჭოში მოექცა ტერიტორიულად.

2002 წელს ჩატარებული საყოველთაო ეროვნული აღწერის მიხედვით, ნოსირის თემის საკრებულო რაიონში მეორე ადგილზეა მუდმივ მცხოვრებთა რაოდენობით – 2805 სული მუდმივი მოსახლე (კაცი – 1281, ქალი – 1524).

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის მასალებში აღნიშნულია, რომ 1864 წელს სოფ. ნოსირში სამი ეკლესიაა: ორი ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისა (მათ შორის ერთი სახელდებულია როგორც „კარიეთის წმ. გიორგის ეკლესია“) და ერთიც წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის ნაშთი უბან საოდიშარიოში (ჭითანავა, 2010, გვ. 72, 394).

1996 წელს ნოსირის თემის საკრებულოს ხუთ სოფელში ცხოვრობდა 231 გვარის მატარებელი 1011 კომლი. დავასახელებთ კომლმრავალ გვარებს: ოდიშარია – 124 კ (ძირითადად საოდიშარიოში), კილასონია – 82 კ (ძირითადად საკილასონიოში), ბესელია – 81 კ. (ძირითადად საბესელიოში), სირია – 59 კ., სიმონია – 33 კ., ალანია – 24 კ., კემულარია – 17 კ., სოლომონია, ბოხუა – 16-16 კ., თორდია – 15 კ., თევდორაძე – 14 კ., გეგენავა, გეგია – 12-12 კ., ჯღამაია – 11 კ., კარანაია, ბაღათურია, გულორდავა, ნიკურაძე – 10-10 კ. სხვა გვართა ნახევარზე მეტი თითო-ორი კომლითაა წარმოდგენილი. ცნობას ხელს აწერს ნოსირის თემის გამგებელი გ. მამულია. მეგზურობას მიწევდა ახალგაზრდა მასწავლებელი მურად აკაკის ძე ოდიშარია, რომელსაც ამ მეოთხედი საუკუნის შემდეგ მადლობას მოვახსენებ.

## შუა ნოსირი

**შუა ნოსირი** (ყოფ. კარიეთი) – სოფელი და ნოსირის სოფსაბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 31 მ, სენაკიდან 5 კმ, ნოსირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 0,5 კმ. (ქსე, II, 11). ადგილმდებარეობის დაზუსტება: შუა ნოსირი მდებარეობს პირველ ნოსირსა და ქ. სენაკს შუა, ნოსირის ჩრდ.-აღმ-ით.

მასში შედის სასირიო, რომელსაც უწინ სოფლის სტატუსი ჰქონდა. „ნოსირი შუა“, როგორც სოფელი, თავდაპირველად ნოსირის სას. საბჭოს სემადგენლობაში გამოჩნდა საქ. სსრ 1926 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის (გამოიცა 1930 წ.) თანახმად. ამ დროს მისი მოსახლეობა შეადგენდა 93 კომლს (358 ს.). ამის შემდეგ კი „შუა ნოსირი“ დაკანონდა როგორც ნოსირის სას. საბჭოს ცენტრი.

2002 წელს განხორციელებული საყოველთაო ეროვნული აღწერის შედეგები გვაუწყებს, რომ შუა ნოსირში 521 მუდმივი მოსახლეა (კაცი – 250, ქალი – 271). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

გაბუნია გრიგოლ ივანეს ძე, 35 წ.
გეგენავა ვალერიანე ალექსის ძე, 83 წ.
თორდია ნანი იულონას ასული, 45 წ.
კილასონია კონსტანტინე ჯამლეთის ძე, 86 წ.
მამულია გალაქტიონ ვასილის ძე, 65 წ.
ქორიძე კალისტრატე დარისპანის ძე, 74 წ.

## ნოსირი

**ნოსირი** – სოფელი სენაკის რაიონის ნოსირის სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 30 მ, სენაკიდან 5 კმ (ქსე, 7). დავაზუსტოთ: დღევანდელი ნოსირი მდებარეობს ტეხურსა და საკილასონიო-საოდიშარიოს შუა. აქვე შემოდის სასიმონიო, რომელიც უწინ ნოსირის სას. საბჭოში შედიოდა სოფლის სტატუსით. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ნოსირის განძი და ნოსირის ნამოსახლარი. ნოსირის განძი, რომელიც დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, წარმოადგენს კოლხური კულტურის აყვავების პერიოდის (ძვ.წ. VIII-VII სს.) არქეოლოგიურ განძს, რომელიც აღმოაჩინეს 1929 წელს სწორედ ნოსირში. ეს განძი შეიცავს ზოდებს, სარდიონის მძივებს, ოქროს ნივთებს... ნოსირის ნასახლარიც ანტიკური

არქეოლოგიური ძეგლია. კერძოდ, ესაა დიხაგუძუბას ტიპის სამოსახლო ბორცვი უშუალოდ ტეხურის მარცხ. ნაპირზე, მეორე ნოსირში. ბორცვი ხელოვნურია. იგი შედგება კულტურული ფენისაგან, რაც სხვადასხვა ათასწლეულებს განეკუთვნება (ქსე, 7, გვ. 480-481).

ნოსირის ეტიმოლოგიისათვის: გ. ელიავა გვთავაზობს ნოსირის ასეთ განმარტებას: „ნაისლარი; დასილული“. ამას მოსდევს რესპოდენტთა მტკიცებანი: 1. „ეს ადგილი ადიდებისას რიონსა და ტეხურს არაერთგზის მოუსილავს. ამიტომ ადგილს ნოსირს „დასილულს“ – ეძახიან“; 2. „ნოსირის ტერიტორიაზე ნასახლება სირიების გვარი. ისინი სხვაგან გადასახლებულან და ადგილს ამიტომ შერქმევია ნოსირი“; 3. „ნოსირი იგივე ნოსკირია, ე.ი. ნასაკირალი ადგილი“ (ელიავა, გვ. 33). მაგრამ სხვაგან (იქვე, გვ. 72) იგივე მკვლევარი სხვა მოსაზრებაზეც დგას: „სკირუა „დაშრობა“ → ნოსკირი „დაშრობილი“. აქაც მოხმობილია რესპოდენტის ასეთი სემანტიკა-მოტივაცია: „ადგილი ჭაობანი ყოფილა და „ნოსკირუ რე“, ე.ი. დანაშრობია, აქედან ნოსირი (ელიავა, 1969, გვ. 72). ზ. ჭუმბურიძე, განიხილავს რა ნა-//ნო- პრეფიქსიან ტოპონიმებს, ნოსირთან დაკავშირებით მოკლედ წერს: ნოსირი ნიშნავს „ნაისლარს“ (ისირი „ისლი“ → ნო-ისირ-ი „ნაისლევი“ → ნოსირი (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 481). ი. კეკელია მისაღებად თვლის გ. ელიავას ერთ-ერთ დებულებას, რომ ნოსირი არის სირიას გვარის ნამოსახლი. სირიათა სხვაგან გადასახლების შემდეგ სოფლისათვის ნოსირი უწოდებიათ. ჩვენი ჩანაწერების მიხედვით, სასირიო, დასახლებული უბანია სოფ. ნოსირში და არაიშვიათად გამოიყენება საკუთრივ „ნოსირის“ მნიშვნელობითაც. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანი იულონის ასული თორდია 1971 წელს დაწერილ „ნოსირის მოკლე ისტორიულ ნარკვევში“ (გავეცანით ხელნაწერს) ნოსირს განმარტავს როგორც „ნასილარს“ (რედაქტორის შენიშვნა: ალბათ, ნოსირ-ი უდრის სა-სირ-ი-ო-ს, ე.ი. სადაც ნო- დანიშნულების პრეფიქსი ჩანს...).

2002 წელს ნოსირის თემის საკრებულოს სოფ. ნოსირში მკვიდრობდა 737 მოსახლე (კაცი – 321, ქალი – 416).

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ალანია სერგო ვლადიმერის ძე, 62 წ.

გაბუნია გრიგოლ ივანეს ძე, 35 წ.

ოდიშარია გრიგოლ ფარნაოზის ძე, 68 წ.

სიმონია პლატონ ყარამანის ძე, 65 წ.

## საბესელიო

**საბესელიო** – სოფელი სენაკის რ-ნის ნოსირის სოფსაბჭოში, მდ. ტეხურის ხეობაში. ზ.დ. 30 მ, სენაკიდან 6 კმ, ნოსირიდან 1 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: საბესელიო მდებარეობს სარკინიგზო და საავტომობილო ტრასის ორივე მხარეს. ესაზღვრება: ჩრდ.-დას-ით – საოდიშარიო, ხოლო სამხრ-ით – ძიგური (აბაშის რ-ნი).

საბესელიო სოფ. ნოსირის ერთ-ერთი უბანი იყო XX ს-ის 20-იან წლებამდე. საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფისას სოფლის სტატუსი მიენიჭა და შევიდა ნოსირის სოფსაბჭოში (მოსახლეობა – 80 კომლი, 358 სული). ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარსახელი ბესელია (1176 სული საქართველოში, მათგან სენაკის რ-ნში – 401). XX ს. დამლევისათვის საბესელიოში მკვიდრობდა ამ გვარის მატარებელი 81 კომლი. გვარის წარმოშობის გზა ასეთია: ბესა (← ბესარიონ) → ბესელი („ბესას“ კნინობით-მოფერებითი ვარიანტი, წარმოქმნილი -ელ სუფიქსის დართვით) → ბესელია.

2002 წელს საბესელიოში მკვიდრობს 393 მუდმივი მოსახლე (კაცი – 181, ქალი – 212). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივლისში. რესპოდენტები იყვნენ:

არჩაია ლავრენტი ილიას ძე, 84 წ.

ბესელია არტემ დიმიტრის ძე, 78 წ.

ბესელია ბაგრატ ნიკოლოზის ძე, 84 წ.

ბესელია ირაკლი ალექსანდრეს ძე, 70 წ.

გაბუნია გრიგოლ ივანეს ძე, 35 წ.

გაბუნია ირაკლი ალექსანდრეს ძე, 70 წ.

# საკილასონიო

**საკილასონიო** – სოფელი სენაკის რ-ნის ნოსირის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის ნაპირას. ზ.დ. 10 მ, სენაკიდან 4 კმ, ნოსირიდან 0,5 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: საკილასონიო მდებარეობს სკურეს (აბაშის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ნოსირსა და საოდიშარიოს შუა. ისევე როგორც საბესელიო და საოდიშარიო, საკილასონიოც XX ს. 20-იან წლებამდე უბანი იყო, 1926 წლისათვის კი უკვე სოფელია ნოსირის სოფსაბჭოში (მოსახლეობა 32 კ., 205 ს.). 1949 წლისათვის საკილასონიო ახალშექმნილ ოქტომბრის სოფსაბჭოში შედის, მაგრამ რამდენიმე წელიწადში დასახელებული ადგილობრივი ადმ. ტერიტ. ერთეული გაუქმდა და საკილასონიო ისევ ნოსირის სოფსაბჭოში აღმოჩნდა.

კილასონია მრავალრიცხოვანი გვარია – 2514 სული საქართველოში (314-ე ადგილი), ხოლო სენაკის რ-ნში – 535 სული (მე-11 ადგილი). საკუთრივ ნოსირის თემის საკრებულოში გასული საუკუნის დამლევს კილასონია 82 კომლითაა წარმოდგენილი. საკილასონიო ამ გვარის მთავარი და ძირითადი სამკვიდროა მთელი სამეგრელოს მასშტაბით.

გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით რესპოდენტები გვარწმუნებენ: „ჩვენ ვყოფილვართ კერესელიძეები რაჭიდან. იქიდან გამოქცეული ოტია კერესელიძე აქ, უღრან ტყეში, გაჩერებულა. ჭადრის სამი სარი მიწაში ჩაურჭვია, ზედ ნაბადი გადაუფარებია და ღამე გაუთევია, დილით კი უნახავს, რომ ერთი ჭადრის სარი შეფოთლილიყო. იმ ადგილს ამჟამად **ჭადარჯინჯი** ეწოდება. ეს ტყე თურმე დადიანს ეკუთვნოდა. კვამლით მიაგნეს... ოტია კარგი მონადირე ყოფილა, მშვილდ-ისრით შველი მოუკლავს და დადიანისათვის მიურთმევია. დადიანს კი სანაცვლოდ უჩუქებია ტერიტორია, რასაც ერთ დღეში შემოივლიდა. ჩვენი ძველები 15 აგვისტოს სალოცავად რაჭაში მიდიოდნენ, ან აგზავნიდნენ ორ-ორ შაურს და სანთელს. შემდეგ კი კომლზე თითო მანეთი გადაუხდიათ და აქ მთავარანგელოზის ეკლესიაში ლოცვის უფლება მიუღიათ“.

გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით გ. ბედოშვილის ინტერპრეტაცია ასეთია: კილა (პირსახელი) → კილასანი (კილას შთამომავალნი) → კილასონია (ბედოშვილი, 1997, გვ. 39). ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას: დასასაბუთებელია სან → სონ-ის ფონეტიკური შესაძლებლობა (რედაქტორის შენიშვნა: ხომ არ შეიძლება ამოსავალი იყოს **კირალეისონია**).

2002 წელს საკილასონიოში მკვიდრობდა 364 სული მუდმივი მოსახლე (კაცი – 165, ქალი – 199). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივლისში. რესპოდენტები იყვნენ:

ბესელია ი. ბ., 70 წ.;

გეგენავა ვალერიააანე ალექსის ძე, 83 წ.

კილასონია გუგუშა კოსტას ძე, 70 წ.

კილასონია კონსტანტინე ჯამლეთის ძე, 86 წ.

კილასონია მიშა ტაგუს ძე, 66 წ.

კილასონია ნიკოლოზ გიორგის ძე, 62 წ.

ოდიშარია ბ. ფ., 68 წ.

## საოდიშარიო

**საოდიშარიო** – სოფელი სენაკის რ-ნის ნოსირის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის ხეობაში. ზ.დ. 30 მ, სენაკიდან 5 კმ, ნოსირიდან 1,5 კმ (ქსე, 9). დაზუსტება: მდ. ტეხურს ამ მონაკვეთზე ხეობა არ მოეპოვება (შდრ. ქეგლ, VIII: „ხეობა – ადგილი წყალგამყოფ მთებს შუა, მდინარის გასწვრივ“. საოდიშარიო კი გაშლილია მდ. მარაგანის ორივე ნაპირას, საკილასონიოსა და ზანათს შუა. აღმ-ით ესაზღვრება ზანათი, ჩრდ-ით – საბესელიო და შუა ნოსირი). მთელი სოფელი გერგობაზე (გიორგობა) დადიოდა სუჯუნაკარში. მაგრამ საოდიშარიოს თავისი სალოცავიც ჰქონდა – წმინდა სტეფანე (მარაგანის მარჯვ. ნაპირზე).

„საოდიშარიო“ სტრუქტურითა და ამოსავალი ფუძის სემანტიკით მიანიშნებს, რომ იგი ოდიშარიათა სამოსახ-

ლოა. ოდიშარია ერთ-ერთი უძველესი გვარია. მაგრამ ამ გვარის მატარებელთა რაოდენობა XX ს. დამლევს მხოლოდ 1540 სულს აღწევდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათგან 513 ცხოვრობს სენაკის რ-ნში, ძირითადად სოფ. საოდიშარიოში). ოდიშარი ნიშნავს ოდიშელს. მაშასადამე, ეს ფორმა ოდიშს გარეთ დარქმეული სადაურობა-წარმომავლობის სახელია. იგი დამოწმებულია 1792 წ. დაწერილ ერთ-ერთ საეკლესიო-სამართლებრივ საბუთში, სადაც ნათქვამია: „იმჟამს ჩიჩუამ კაციამ ოდიშარი საკათალიკოსო კაცი გაყიდა“ (სადავოა, ამ შემთხვევაში ოდიშარი გვარია, პირსახელია თუ საზოგადო სახელი). მაგრამ გვარი ოდიშარია უფრო ადრინდელ საბუთებში დასტურდება: „ჯგალის ციხის მებეგრეთა სიაში“ (1616-1621 წწ.) დასახელებულია „ულვინია ოდიშარია, რომელსაც მართებს 1 საჭმელი...“ (ქსძ, 3, გვ. 479); დაახლოებით 1680 წელს დაწერილ „შეწირულების წიგნში“ მარტვილის ტაძრისადმი შეწირულ გლეხთა შორის გვხვდება ოდიშარია ხუხუ (ქსძ, 3, გვ. 581).

გვარ ოდიშარიათა უძველეს სამკვიდროდ ითვლება ნოსირი, მაგრამ რესპ. ვ. ოდიშარია (85 წ.) გადმოგვცემს: „ჩვენი ძველები მოსულან ოდიშიდან. გერგობაზე კი დადიოდნენ სუჯუნაკარში... ქარი მონგდეს უსაშველეთგ დო თექი დორონც ოხვეწუდეს. მა ხოლო ვორექ ნაულა“. მართლაც, ოდიშარიები აქ ჩამოსულან XVIII ს-ში და აუშენებიათ ქვის ეკლესია XIX ს-ში (ჭითანავა, 2010, გვ. 395).

2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საოდიშარიოში ცხოვრობს 790 მუდმივი მოსახლე (კაცი – 364, ქალი – 426). სოფლის ტოპონიმია აღიწერა 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ალანია სერგო ვ., 62 წ.;

ბესელია ი. ა. 70 წ.

გოქაძე ვარლამ პორფილეს ძე, 70 წ.

კილასონია კონსტანტინე ჯამლეთის ძე, 86 წ.

კილასონია მიშა ტაგუს ძე, 85 წ.

ოდიშარია ავთანდილ პეხუს ძე, 73 წ.

ოდიშარია გრიგოლ ფარნაოზის ძე, 68 წ.

ოდიშარია ვარლამ სიმონის ძე, 85 წ.
ოდიშარია მურად აკაკის ძე, 60 წ.
ოდიშარია შალვა ანდრიას ძე, 82 წ.
სიმონია პლატონ ყარამანის ძე, 68 წ.

## უშაფათის თემის საკრებულო

**უშაფათის თემის საკრებულო** – ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნის ჩრდ. ნაწილში, ჩხოროწყუს რ-ნის საზღვარსა და ლეძაძამეს თემის საკრებულოს შუა. ჩრდ-ით ესაზღვრება ფოცხოს თემის საკრებულო, სამხრ-ით კი – ზანისა. შედის სოფლები: უშაფათი, ლეგოგინე, ლეკოკაიე.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის თანახმად, უშაფათი სოფელია ზუბის მაზრაში. ამიერკავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით კი ნაქალაქევის უბანში შექმნილია უშაფათის სოფლის საზოგადოება ორი სოფლით – უშაფათი (337 კომლი, 2093 სული) და ბეთლემი (136 კომლი, 775 სული). „დაყოფის" 1930 წლის გამოცემიდან ჩანს, რომ სენაკის მაზრის სენაკის რაიონში შექმნილია უშაფათის სას. საბჭო, რომელშიც სამი უბანი სოფლის სტატუსითაა წარმოდგენილი (ლებოკუჩავე, ლეგოგინე და ლეკოკაიე, მაგრამ თვით სოფელი უშაფათი კი არ ჩანს). 1949 წელს უშაფათის სას. საბჭოში შედიოდა ორი სოფელი – უშაფათი (ც.) და ლეგოგიე, ხოლო ლეკოკაიე ბეთლემის სას. საბჭოშია გაერთიანებული. 1987 წელს უშაფათის სას. საბჭოში შევიდა (და დღესაც შედის უშაფათის თემის საკრებულოში) უშაფათი, ლეგოგიე (უნდა იყოს: ლეგოგინე), ლეკოკაიე. 2002 წელს ამ სამ სოფელში აღირიცხა 926 მუდმივი მოსახლე (კაცი – 452, ქალი – 474). 1996 წელს უშაფათის საკრებულოს სამ სოფელში ცხოვრობს 69 გვარი. მათგან მრავალკომლიანია: გოგინავა – 43 კ., გაბელია – 34 კ., კორშია – 24 კ., შეროზია – 23 კ., ხორავა – 15 კ., ხაბურზანია – 12 კ., ლო-

მაია, ხურცია – 10-10 კ. ცნობას ხელს აწერენ საკრებულოს თავმჯდომარე ბ.ვ. შეროზია და გამგეობის აპარატის ხელმძღვანელი პ. ბ. გაბელია.

## უშაფათი

**უშაფათი** – სოფელი და სოფსაბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე. ზ .დ. 85 მ, სენაკიდან 27 კმ (ქსე, 8). დავაზუსტოთ: უშაფათი მდებარეობს მდ. ცივის მარცხ. მხარეს (მარჯვ. მხარესაა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ლესიჭინე). ესაზღვრება: ჩრდ-ით – სოფ. ლეგოგინე, დას-ით – მდ. ცივი, აღმ-ით – სოფ. ლეკოკაიე, სამხრ-ით – ყოფილი „შრომისკარი". სოფელში გაედინება ღელეები: მოხაშური (სათავე აქვს სოფ. მოხაშში), ეკუსქური, მეტერია, ონახუეში. სოფლის ყველა უბნის სახელწოდება წარმოქმნილია ლე-ე პრეფიქს-სუფიქსით: ლებოკუჩე, ლეგაბელე, ლეკორშიე, ლექვარცხე, ლეწითინძე, ლეხორე და მხოლოდ ორ შემთხვევაში დასტურდება ქართულიდან შუა საუკუნეებში შეთვისებული სა-ო: ლეშეროზიე//საშეროზიო, ლეხუბუე//სახუბუო. ოიკონიმის ადგილობრივი (არაოფიც.) ვარიანტია **შქა უშაფათი**.

საისტორიო წყაროში, როგორიცაა „შეწირულების სიგელი კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი" (1733 წ. 16 ოქტომბერი) გვხვდება ფონეტიკური ვარიანტი უშაბათი: „უშაბათს ლააკა ხუტა და მისი ძმა კოჩია დადიანის ქალის ნიშნათ ავიღე მათის ყოვლისფერიანად" (ქსძ, 3, გვ. 731). 1781 წელს დაწერილ „წყალობის წიგნში" ისევ ეს ფორმაა დადასტურებული: „გიბოძეთ უშაბათი..., გიორგიტას ჰქონდა სასახლე უშაბათს" (მხარეთმცოდნე, 2, გვ. 48). არაა გამორიცხული, 1678-1693 წლების „წყალობის წიგნში" დასახელებული **უშაბაკეთი** (ქსძ, 3, გვ. 616) სწორედ უშაფათს გულისხმობდეს. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის მოქმედ ეკლესიათა ჩამონათვალში დასახელებულია უშაფათის წმინდა გიორგისა და მაცხოვ-

რის ეკლესიები (ჭითანავა, 2010, გვ. 60), ხოლო 1864 წლის ერთ-ერთ ფონდში – უშაფათის მაცხოვრის ეკლესია და უშაბათის წმინდა მირიანის ეკლესია (იქვე, გვ. 66-67). ამავე წიგნის 413-ე გვერდზე სოფ. უშაფათში რამდენიმე ეკლესიაა დასახელებული: 1. ლეკორშიეს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი (მდ. მოხაშურის ნაპირას, ლეგვეშთან); 2. ლეკოკაიეს წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარი (მდ. ტეხურის მარჯვ. სანაპიროდან 2 კმ-ზე, სადაც უწინ კოკაიებისა და ბაღათურიების დასახლება ყოფილა და ეკლესიაც მათ ეკუთვნოდათ); 3. ლეგოგინეს წმინდა გიორგის ნაეკლესიარი (მდ. ხანჯარის მარცხ. მხარეს); 4. ლემალანიეს წმინდა მარიამის სახელობის ეკლესია (ლემალანიე ამჟამად შედის სოფ. ფოცხოში); 5. ლეხაბურზანიეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უშაფათი 1841 წელს დასახელებულია როგორც სოფელი ზუბის მაზრაში (მეუნარგია, 1939, გვ. 113). ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის 1886 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სენაკის მაზრის უშაფათის სოფლის საზოგადოებაში შედის ორი სოფელი: უშაფათი (337 კომლი, 2099 სული) და ბეთლემი (136 კომლი, 775 სული). საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (1926 წ., გამოიცა 1930 წ.) ცნობარი კი გვაუწყებს, რომ სენაკის მაზრის უშაფათის სას. საბჭოში შედის: ლებოკუჩე (133 კომლი, 558 სული), ლეგოგინე (100 კომლი, 449 სული), ლეკოკაიე (123 კომლი, 578 სული). ამავე დროს ბეთლემი ნოქალაქევის სას. საბჭოშია გაერთიანებული ლებაღათურესა და ნოქალაქევთან ერთად. 1949 წელს კი უშაფათის სას. საბჭოში შედის მხოლოდ უშაფათი და ლეგოგიე (უნდა იყოს ლეგოგინე). შემდგომში მათ დაემატა სოფ. ლეკოკაიე.

ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის: გ. ელიავა აღნიშნავს, რომ უშაფათი ისტორიული „არგუეთ-კლისურის" გზის ერთ-ერთი ცენტრი იყო და მკითხველს წარმოუდგენს ხალხურ ეტიმოლოგიებს: ა. უშაფათი იგივეა, რაც უშაშ თი „უშას სახლკარი"; „უშას ოჯახი" → უშაფათი (**შენიშვნა**: მაშ რაღაა უშასა და -თი კომპონენტს შუა ჩართული კომ-

პლექსი ფა?) ბ. სოფლის ერთადერთი მოსახლე უშა თურქებს მოუკლავთ. ბათი თურქული სიტყვაა და ნიშნავს დაღუპვას, მოკვლას. ე.ი. უშაფათი იგივეა, რაც „უშა მოკვდა"; გ. უშა, თათრის ჯარის სარდალი, შებმია მეგრელთა ჯარს და დაღუპულა. მისი ჯარი კი უკუქცეულა შეძახილით: უშა ბათ, უშა ბათ, ე.ი. „უშა მოკლესო" (ელიავა, 1989, გვ. 98). მიუღებელი ჩანს კ. ჰანის მოსაზრება, რომ უშაბათი მიღებულია შაბათ სიტყვაზე უ- პრეფიქსის დამატებით და ნიშნავს უშაბათოს (ჰანი, 1909, გვ. 143). ი. კეკელიასა და დ. ოდიშარიას ეტიმოლოგია: თუკი არსებობდა სახელი უშაფა ან უშაბა, მაშინ მისაღებია ეტიმოლოგია, რომ უშაფათი „უშაფას ოჯახი" ჯგუფური ანთროპონიმია, რაც ტრანსონიმიზაციის გზით ოიკონიმად ქცეულა (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 83).

2002 წელს სენაკის რ-ნის უშაფათის თემის საკრებულოს სოფ. უშაფათში (თემის ცენტრი) მკვიდრობდა 393 მუდმივი მოსახლე (კაცი – 187, ქალი – 206). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 7-9 ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ბოკუჩავა გრიშა კონდრატეს ძე, 54 წ.
გაბელია თენგიზ ლონგინოზის ძე, 37 წ.
გაბელია ღუღუნი მიხეილის ძე, 75 წ.
გაბუნია სულიკო ლევანის ძე, 48 წ.
კორშია ტატიანა კვიტინიას ას., 73 წ.
ტყებუჩავა ვალერიანე აქვსენტის ძე, 75 წ.
შეროზია აკაკი მიხეილის ძე, 75 წ.
შეროზია დათუშა იონას ძე, 57 წ.
შეროზია ნოდარ ექვთიმეს ძე, 56 წ.
ხორავა ვალერიანე პეტრეს ძე, 60 წ.

ტოპონიმური მასალის ჩაწერაში აქტიური დახმარება გამიწიეს აგრეთვე გივი კორშიამ, ვალოდია და ალეკო ტყებუჩავებმა.

# ლეგოგინე

**ლეგოგინე** – სოფელი სენაკის რ-ნის უშაფათის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხანჯარის (ცივის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ.დ. 100 მ, სენაკიდან 29 კმ (ქსე, 6). დავაზუსტოთ: სოფელს ჩრდ.-დას-ით ესაზღვრება მდ. ცივი (და ცივს გაღმა – სოფ. ლესიჭინე), აღმ-ით – სოფ. ბეთლემი.

ლეგოგინე, როგორც სოფელი, პირველად გამოჩნდა საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (თბ., 1930 წ.), ოღონდ ორ სოფლად: ერთი შედის უშაფათის სოფსაბჭოში (100 კომლი, 419 სული) ფორმით „ლეგოგინე", მეორე – ფოცხოს სოფსაბჭოში (35 კომლი, 144 სული), მაგრამ ოფიციალურად ეწოდება „ლეგოგინე მეორე". 1949 წლისათვის კი უშაფათის სოფსაბჭოში შედის ორად-ორი სოფელი – უშაფათი და ლეგოგინე.

ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარი გოგინავა, ხოლო ამ გვარისათვის – პირსახელი გოგი, რაც „გიორგის" შემოკლებული ვარიანტია და ფართოდაა გავრცელებული მთელს საქართველოში. -ინ ისეთივე სავრცობია ანთროპონიმიაში, როგორიცაა -ელ, -უნ, რაც პირსახელის შემოკლებულ ფორმას ერთგვარად მოფერებითობის ნიუანსს ანიჭებს: ბესა → ბესელი → ბესელია, გაბე → გაბუნი → გაბუნია. საქართველოში XX ს. დამლევისათვის გვარ გოგინავას ატარებდა 1016 სული, მათგან სენაკის რ-ნში – 458. თვით უშაფათის თემის საკრებულოში კი 43 კომლი გოგინავა მკვიდრობს. ეს სოფელი „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" ბოლო გამოცემებში, როგორიცაა საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. ერთეულის გამოცემები 1987 და 2003 წ. წარმოდგენილია ფორმით ლეგოგიე. მაგრამ ქსე-ს VI ტომში დასახელებულია სწორი ფორმა ლეგოგინე.

2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, სოფ. ლეგოგინეში ცხოვრობს 305 მუდმივი მოსახლე (კაცი – 156, ქალი – 149). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 12 ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ბოღაშვილი ილიკო ლუკას ძე, 68 წ.

ბოღაშვილი მიხა ნიკოს ძე, 77 წ.

გოგინავა აბესალომ გრიგოლის ძე, 32 წ.
გოგინავა დომენტი (ბაჩა) ლუკას ძე, 71 წ.
გოგინავა ლავრენტი ლუკას ძე, 73 წ.
გოგინავა პართენ ვლადიმერის ძე, 80 წ.
კუჭავა კლიმენტი დიმიტრის ძე, 64 წ.
საბახტარაშვილი ვალიკო აკაკის ძე, 76 წ.
ქადარია ვარლამ ანდროს ძე, 71 წ.
ხაბურზანია რომან მიხეილის ძე, 51 წ.
ხუნწარია დურუ ანტონის ძე, 58 წ.

## ლეკოკაიე

**ლეკოკაიე** – სოფელი სენაკის რ-ნის უშაფათის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე. ზ.დ. 120 მ, სენაკიდან 32 კმ, უშაფათიდან 7 კმ (ქსე, 6). დავაზუსტოთ: აღმ-ით ესაზღვრება სოფ. ბეთლემი, ჩრდ-ით – სოფ. უშაფათი, ჩრდ.-აღმ-ით – სოფ. მეორე მოხაში, სამხრ-ით კი სწვდება სოფ. უფლისკარამდე. ამ სოფელში ლეკოკაიე კოკაიების უბანსაც ეწოდება (მდ. ეკუსქურის მარცხ. მხარეს).

სოფელი ლეკოკაიე 1926 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, შედის უშაფათის სას. საბჭოში (123 კომლი, 578 სული), 1949 წელს კი გაერთიანებულია ახალშექმნილ ბეთლემის სას. საბჭოში, მაგრამ შემდეგ ისევ უშაფათის სას. საბჭოს დაუბრუნდა.

კოკაია გავრცელებული გვარია: XX ს. დამლევს ამ გვარს ატარებდა 1974 სული (მათგან სენაკის რ-ნში – 285). საკუთრივ ლეკოკაიეს უბანში სადღეისოდ კოკაიათა მხოლოდ 5 კომლი თუ დარჩენილი. ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებით, კოკაია მომდინარეობს კოკარიასაგან: კოკი (სოფელი ზუგდიდის რ-ნში) → კოკარი (სადაურობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი საზოგადო სახელი) → კოკარია (გვარსახელი) → კოკაია (ჭუმბურიძე, 1987). მაგრამ საისტორიო წყაროებში დასტურდება პირსახელები: კოკი, კოკა... და მათგან წარმოქმნილი გვარსახელი – კოკაია (იხ. პალ, II, გვ. 523).

2002 წელს სოფ. ლეკოკაიეში მკვიდრობდა 228 მუდმივი მოსახლე (კაცი –109, ქალი – 119). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 11 ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:

გაბუნია შოთა ბასას ძე, 67 წ.

ლაკია ჟორა ნიკოლოზის ძე, 42 წ.

ლომაია მიშა გვადას ძე, 71 წ.

ჩიჩუა ძიკა გიორგის ძე, 82 წ.

ჭაავა იასონ დიმიტრის ძე, 68 წ.

ჯოლოხავა მიხეილ ტარასის ძე, 75 წ.

## ფოცხოს თემის საკრებულო

**ფოცხოს თემის საკრებულო** მდებარეობს სენაკის რ-ნის ჩრდ.-დას. ნაწილში, მდ. ცივის ორივე მხარეს, მარტვილისა და ჩხოროწყუს რ-ნების საზღვარზე. ესაზღვრება ლეძაძამესა და უშაფათის თემის საკრებულოებს. სოფელი ფოცხო დაფიქსირებულია ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის (XIX ს. 40-იანი წლები) ცნობარში, მაგრამ 1886 წლისათვის სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში შექმნილია ფოცხოს სასოფლო საზოგადოება, რომელშიც შედის სოფლები: ფოცხო (ც.) – 150 კ., 940 ს.; ლეძაძამე – 77 კ., 509 ს.; ლესაჯე – 29 კ., 220 ს.; მოხაში – 312 კ., 1780 ს.; ნასაჯოუ – 46 კ., 371 ს. სულ ფოცხოს თემის საზოგადოებაში მოსახლეობს 614 კომლი (3820 სული. იხ. Свод... 1893).

საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წ. გამოცემის მიხედვით, ფოცხოს სას. საბჭოში შედის 7 სოფელი: ლეგოგინე მეორე – 36 კ., 144 ს.; მოხაში პირველი – 132 კ., 569 ს.; მოხაში მეორე – 118 კ., 545 ს.; მოხაში მესამე – 110 კ., 456 ს.; ნასაჯოვო – 69 კ., 293 ს.; ფოცხო პირველი – 83 კ., 388 ს.; ფოცხო მეორე – 90 კ., 439 ს. სულ ფოცხოს სოფსაბჭოში ცხოვრობს 638 კომლი (2831 სული). მაგრამ 1949 წლისათვის „დაყოფის" ცნობარით, ფოცხოს სას. საბჭოში მხოლოდ 3 სოფე-

ლია გაერთიანებული: ფოცხო, მოხაში, ლეგოგიე-ნასაჯუ (მეორე მოხაში და ბეთლემი ბეთლემის სას. საბჭოში მოექცა). საბოლოოდ ფოცხოს ადგილობრივმა ადმ.-ტერიტ. ერთეულმა მოიცვა ფოცხო, ლეგოგიე-ნასაჯუ, მეორე მოხაში, მოხაში. ეს დაყოფა დღემდეა შენარჩუნებული.

საეკლესიო-საისტორიო საბუთების თანახმად, ფოცხო იყოფოდა ორ ნაწილად: ა. **ზემო ფოცხო**, იგივე დღევანდელი მოხაში, რომელშიც შედიოდა უბნები: ლეჭე, ლეტორჩინე, ლემალანიე, ლემურღულიე, ლეგოგიე, ლექადარე, ლეხარჩილე. ზემო ფოცხოში, კერძოდ, ცხენიშში, იდგა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; ბ. **ქვემო ფოცხო**, იგივე ლემალანიეს უბანი, სადაც ბორცვზე იდგა მთავარანგელოზის ეკლესია, შუა საუკუნეებში აშენებული. ამის გარდა ფოცხოს კიდევ სამი ეკლესია ჰქონია. **ლეცურუეს** მისარიონის სალოცავი მისარიონკარში, სადაც ღვინჯილიების, ყურაშვილებისა და ჯოლოგუების საკულტო ადგილი ყოფილა; **ლეშამათეს** მიხაილ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესია XII საუკუნისაა, რომელიც 2007 წელს აღუდგენიათ (დგას მდ. ცივის მარცხ. ნაპირზე); ჯგიმარიონის, ანუ მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია ზემო ფოცხოს ლეტყებუჩავეს უბანში (ჭითანავა, 2010, გვ. 415-416). **შენიშვნა**: დასახელებული ავტორის მოსაზრებით, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ელჩობის (1639-1640 წწ.) ჩანაწერებში ნახსენები „პუდცხური" ფოცხოს ტერიტორიაზე უნდა იყოს. სინამდვილეში კი პუდცხურში იგულისხმება გალის რ-ნის სოფ. ფუწყური.

1996 წელს ფოცხოს თემის საკრებულოს 4 სოფელში მკვიდრობდა 107 გვარის მატარებელი 641 კომლი. თემის მასშტაბით კომლმრავალი გვარებია: სანაია – 66 კ., შამათავა – 50 კ., გოგია – 35 კ., ტყებუჩავა – 32 კ., ყურაშვილი – 29 კ., მალანია – 29 კ., ჭაავა – 24 კ., ტორჩინავა – კ., მირცხულავა – 20 კ., ჯოჯუა – 16 კ., მამულია – 14 კ. სათანადო ცნობას ხელს აწერენ საკრებულოს გამგებელი კ. ტორჩინავა და მდივანი ლ. შამათავა.

# ფოცხო

**ფოცხო** – სოფელი და სოფსაბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, ოდიშის ვაკეზე, მდ. გურძემის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 120 მ, სენაკიდან 25 კმ (ქსე, 10). დაზუსტება: სოფელი ფოცხო მდებარეობს სენაკის რ-ნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ჩრდ-ით ესაზღვრება ლეგოგიე-ნასაჯუ, სამხრ-ით – მოხაში, დას-ით – მდ. ცივი (ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ახუთი). სოფელში გაედინება მცირე-მცირე მდინარეები: ნისკური, კოლოპია, ხანჯარა, შებე, ცივი, მეტერია, ნოუღალი. ვარიანტი: ქვემო ფოცხო.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის თანახმად, ფოცხო სოფელია ზუბის მაზრაში. 1886 წელს ამიერკავკასიაში ჩატარებული კომლობრივი აღწერის ცნობარიდან (Свод…1893) ჩანს, რომ სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში შექმნილია ფოცხოს თემის საზოგადოება, რომელშიც შედის ფოცხოც (150 კომლი, 940 სული). საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ დაყოფით (1926 წ.) ფოცხოს სას. საბჭოში შედის ორი ფოცხო: ფოცხო პირველი (83 კომლი, 388 სული) და ფოცხო მეორე (90 კომლი, 439 სული). ამავე „დაყოფის“ 1949 წლის ცნობარი გვაუწყებს, რომ სოფელი ისევ ერთი სოფელია ფოცხოს სას. საბჭოში.

კ. ჰანის განმარტებით, სოფლის სახელწოდება ფოცხოსათვის ამოსავალია ფოცხი „грабли“, რაც ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია. სოფლის სახელწოდების წარმომავლობას ვერც ს.-საბასეული განმარტება აგვიხსნის („ფოცხი – ესე არს ბალახთ მოსაგროვებელი, გინა ჴნულთ ასაოშავი“). ერთ-ერთი რესპოდენტის მოტივაცია ასეთია: „ფოცხვერტურა ნოხვე, ღიანსგნ თინა“. სხვა რესპოდენტთა განმარტებებმა და სახელდებულ ობიექტზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ **ფოცხო არის მცირე რეჩხი,** ე.ი. მშრალი, წვრილკენჭიანი, მცირენაყოფიანი მიწა, ქვაღორღიანი ადგილი.

ფოცხოელთა მტკიცებით, მათი სოფელი ყოველმხრივ დაწინაურებული და გამორჩეული ყოფილა ზუგდიდისაკენ მიმავალ გზაზე. 1996 წელს ფოცხოში მკვიდრობდა 69 გვა-

რის მატარებელი 334 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: სანაია – 64 კ., შამათავა – 36 კ., ყურაშვილი (ყურუა) – 26 კ., დემურია – 23 კ., მირცხულავა – 19 კ., ხუბუა, შონია და ქუთელია – 11-11 კ., ღვინჯილია – 10 კ.

2002 წელს სოფ. ფოცხოს მუდმივი მოსახლეობა აღწევდა 1035 სულს (მათგან კაცი – 480, ქალი – 555). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 3-4 ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:

დემურია ევგენ იასონის ძე, 61 წ.
დემურია სევერიან კოსტას ძე, 59 წ.
კორშია გვეგვე ბათლომეს ძე, 61 წ.
მალანია ბროლიცა (პინეცი) ვლადიმერის ას., 53 წ.
მირცხულავა აკაკი სტეფანეს ძე, 73 წ.
მირცხულავა გიორგი დიმიტრის ძე, 67 წ.
სანაია ამბაკო იასონის ძე, 63 წ.
სანაია იოსებ ლაზარეს ძე, 80 წ.
სანაია რეზო ჯაგას ძე, 40 წ.
სიორდია გრიშა მარკოზის ძე, 62 წ.
ტორჩინავა ვლადიმერ პეტრეს ძე, 59 წ.
ქარჩავა ვლადიმერ დომენტის ძე, 64 წ.
ქებურია აპალონ სტეფანეს ძე, 62 წ.
ღვინჯილია შოთა ვლადიმერის ძე, 71 წ.
ყურაშვილი გივი გრიგოლის ძე, 46 წ.
ყურაშვილი ტარიელ ერმინეს ძე, 53 წ.
შამათავა დურუ კოჩას ძე, 71 წ.
შამათავა ვლადიმერ ძუკუს ძე, 75 წ.
ხუბუა შოთა ალექსანდრეს ძე, 61 წ.
ჯოლოგუა მიხეილ ტარასის ძე, 75 წ.

## ლეგოგიე-ნასაჯუ

**ლეგოგიე-ნასაჯუ** – სოფელი სენაკის რ-ნის ფოცხოს სას. საბჭოში, ოდიშის ვაკეზე, მდ. გურძემიის ხეობაში. ზ.დ. 140 მ, სენაკიდან 27 კმ, ფოცხოდან 3 კმ (ქსე, 6). დაზუსტება: ლეგოგიე-ნასაჯუ სენაკის რ-ნის ჩრდ. ნაწილის ბოლო სო-

ფელია სოფ. ალერტსა (მარტვილის რ-ნი) და სოფ. მოხაშს შუა. ესაზღვრება აღმ-ით სოფ. ლეგოგინე (ლეძაძამეს თ/ს), დას-ით – ჩხოროწყუს რ-ნი, სამხრ.-დას-ით კი – სოფ. ფოცხო. სოფელს კვეთს მდ. მეტერია, რომელიც მოედინება ალერტიდან. სოფლის სახელწოდება წარმოქმნილია ორი დასახლებული უბნის სახელწოდების შეერთებით: ლეგოგიე – გოგიების უბანი და ნასაჯუ – საჯაიების ყოფილი საცხოვრისი. ი. კეკელია და დ. ოდიშარია თვლიან, რომ ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის თანახმად, ფოცხოსა და მოხაშის გვერდით დასახელებული ნასაჯოგუ (ზუბის მაზრა) „შესაძლებელია ახლანდელი ნასაჯუ იყოს“ (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 38). 1886 წელს კი ნაქალაქევის უბნის ფოცხოს თემის საზოგადოების შემადგენლობაშია სოფ. ლესაჯეც (29 კომლი, 220 სული) და ნასაჯოუც (46 კომლი, 371 სული), ამ პერიოდში ლეგოგიე (83 კომლი, 460 სული) ალავერდთან (ე.ი. ალერტთან) ერთად შედის მარტვილის რ-ნის ნოღის სოფლის საზოგადოებაში. საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (გამოიცა 1930 წ.) ლეგოგიე პირველი და ლესაჯე შედის ლეძაძამეს სას. საბჭოში, ხოლო ლეგოგიე მეორე (35 კომლი, 144 სული) და ნასაჯოუ (69 კომლი, 293 სული) ფოცხოს სას. საბჭოშია გაერთიანებული. მაგრამ შემდგომში ლეგოგიე-ნასაჯუ, როგორც ერთი სოფელი, შევიდა (და დღემდე რჩება) ფოცხოს ადგილობრივ ადმ.-ტერიტ. ერთეულში.

XX ს. დამლევისათვის გოგიაც (3729 სული) და საჯაიაც (3278 სული) მრავალრიცხოვანი გვარებია საქართველოში. გვარ გოგიას სენაკის რ-ნში მესამე ადგილი უკავია (880 სული). 1996 წელს ლეგოგიე-ნასაჯუში მკვიდრობდა 26 გვარის მატარებელი 45 კომლი. კომლმრავალი გვარებია: გოგია – 28 კ., მამულია – 13 კ., ჯოჯუა – 16 კ., შამათავა – 10 კ. 2002 წელს ლეგოგიე-ნასაჯუში აღირიცხა 301 მუდმივი მოსახლე (კაცი – 154, ქალი – 147). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 4 ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ბერიძე ვალერიან (ვალოდია) ბათლომეს ძე, 71 წ.

გოგია აპილო თათაოზის ძე, 64 წ.

გოგია დავით რაჟდენის ძე, 48 წ.

მამულია ვარლამ ერასტოს ძე, 72 წ.
ნიკოლავა პარმენ ისიდორეს ძე, 61 წ.
შამათავა ბიქტორ ივანეს ძე, 77 წ.
ჯოჯუა ანდრო (ადო) კოწიას ძე, 70 წ.

## მეორე მოხაში

**მეორე მოხაში** – სოფელი სენაკის რ-ნის ფოცხოს სოფსაბჭოში, ოდიშის ვაკეზე, მდ. გურძემიის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 160 მ, სენაკიდან 27 კმ, სოფ. ფოცხომდე 2 კმ (ქსე, 6). დაზუსტება: სოფელი მდებარეობს უშაფათსა, ლეკოკაიესა, მოხაშსა და ბეთლემს შუა. სოფლის ძირითადი უბნებია: ლემალანიე, ლეკარტოზიე, ლეტყებჩე. მეორე მოხაში, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლებული ერთეული, პირველად გამოჩნდა საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის 1930 წლის გამოცემაში (118 კომლი, 545 სული). 1949 წელს კი მეორე მოხაში შედის ბეთლემის სას. საბჭოში. 1987 წლისათვის კი მეორე მოხაში, ისევე როგორც მოხაში, ლეკოკაიე, ლეგოგიე-ნასაჯუ და, რა თქმა უნდა, თვით ფოცხოც გაერთიანებულია ფოცხოს სას. საბჭოში.

1996 წელს მეორე მოხაშში მკვიდრობდა 23 გვარის მატარებელი 89 კომლი. მათგან მხოლოდ ორი გვარია კომლმრავალი. ტყებუჩავა – 23 კ., მალანია – 17 კ. 2002 წელს მოხაში (მუდმივი მოსახლეობა – 275 სული) ფოცხოს თემის საკრებულოშია. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის პირველ ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:
კარტოზია თინა ლავრენტის ას., 67 წ.
მალანია დიონისი (ჟორჟი) უშანგის ძე, 69 წ.
მალანია ჩოთო ვლადიმერის ძე, 77 წ.
ტყებუჩავა ნოდარ ვლადიმერის ძე, 49 წ.

# მოხაში

**მოხაში** – სოფელი სენაკის რ-ნის ფოცხოს სოფსაბჭოში, ოდიშის ვაკეზე, მდ. გურძემიის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 150 მ, სენაკიდან 25 კმ (ქსე, 7). დავაზუსტოთ: მოხაშს ესაზღვრება მეორე მოხაში, ფოცხო, ლეგოგიე-ნასაჯუ და ლეძაძამეს თემის საკრებულო. ძირითადი უბნებია: ლეტორჩინე, ლებუსკანძე, ლეშამათე, ლეხარჩილე, სამირგატიო. სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტებია: პირველი მოხაში, ზემო ფოცხო (სადაც ცხენიშში იდგა წმინდა გიორგის სახელობის ქვის ეკლესია).

სოფელი მოხაში XIX ს 40-იანი წლებიდან შედიოდა ზუბის მაზრაში, ხოლო 1886 წლიდან – ფოცხოს სოფლის საზოგადოებაში (312 კომლი, 1780 სული). საქ. სსრ პირველი (1926 წ.) ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, მოხაში დაყოფილია სამ სოფლად და სამივე შედის ფოცხოს სას. საბჭოში: **მოხაში პირველი** (132 კომლი, 569 სული), **მოხაში მეორე** (118 კომლი, 545 სული), **მოხაში მესამე** (110 კომლი, 456 სული). „დაყოფის" 1949 წლის გამოცემაში კი მოხაში შედის ფოცხოს სას. საბჭოში, ხოლო მეორე მოხაში – ბეთლემის სას. საბჭოში. 1987 წელს კი ფოცხოს ადგილობრივ ადმ.-ტერიტ. ერთეულში ფოცხოსთან ერთად წარმოდგენილია ლეგოგიე-ნასაჯუ, მეორე მოხაში და მოხაში.

მოხაშის ეტიმოლოგიისათვის: გ. ელიავას რესპოდენტები დარწმუნებულნი არიან: ა. „ამ სოფელში მოჰყავდათ მახას ჯიშის ხორბალი... ამიტომ ადგილს მახაში დარქმევია, რაც შემდეგ მოხაშად გადაუკეთებიათ"; ბ. მონადირეები აქ მოკლულ ნადირს აქვე კოცონზე მოხარშავდნენ და ჭამდნენ. ამიტომ შეერქვა მოხაშილი „ქოცოთი მოხარშული" (ელიავა, 1989, გვ. 116).

ალ. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში" განმარტებულია: „**მოხაში** – ჩამონაშალი, ჩამონამზღვლევი (კლდისა); მოხირიში, ნალექი ქვით ნაშენი, ზღავი; კლდის ნატეხივით (კაცი)". „**ზღავი** – ბოსლის იატაკი ერთმანეთზე მიწყობილი მრგვალი ხეებისა ან ფიცრებისა". ერთ-ერთი განმარტებით, ადგილის სახელწოდება მოხაში დაკავშირებულია

ხორბლის ჯიშთან „მახა“ (იხ. ზემოთ). ოღონდ მახაში → მოხაში დაუსაბუთებელია. სინამდვილეში **მახა** ხორბლის ენდემური ჯიშია, რომელიც, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოჰყავდათ. ფაქტია ბგერათშესატყვისობა: ქართ. მახა : მეგრ. მოხა. ეს მოხა ლაზურშიც ცოცხალი ფუძეა (გ. ჩიტაია). მაშასადამე, მოხაში ის ადგილია, სადაც მოხა ითესებოდა (შდრ. მახაში – სოფლები ლენტეხისა და ცაგერის რაიონებში).

1996 წელს მოხაშში აღირიცხა 29 გვარის მატარებელი 103 კომლი. მათგან მრავალკომლიან გვარებად შეიძლება ჩაითვალოს: ჭაავა – 24 კ., ტორჩინავა – 20 კ.

2002 წელს მოხაშში მკვიდრობდა 322 მუდმივი მოსახლე (კაცი – 151, ქალი – 171). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბარძემიშვილი თარაზხან პეტრეს ძე, 60 წ.
გოგია გივი მარკოზის ძე, 47 წ.
კუბეცია ლევთერ ჭიჭიკოს ძე, 60 წ.
მალანია ბორის კირილეს ძე, 40 წ.
მამულია ქუთარი ლევანის ძე, 52 წ.
მირგატია ვლადიმერ მათეს ძე, 77 წ.
ტორჩინავა ინდიკო ერმინეს ძე, 63 წ.
ტორჩინავა მურმან გრიგოლის ძე, 48 წ.
შამათავა ვარლამ (დურუ) გიორგის ძე, 67 წ.

## ძველი სენაკის თემის საკრებულო

ძველი სენაკის თემის საკრებულო ადმ.-ტერიტ. ერთეულია სენაკის რ-ნში, მდ. ტეხურის ორივე მხარეს. შედის: ძველი სენაკი (ც.), ზედა სორტა, კვარჩხიღალი, კოტიანეთი, პირველი ნოსირი, საჩიქობავო, ქვედა სორტა. ჩრდ-ით ესაზღვრება ნაქალაქევის თემის საკრებულო, სამხრ.-აღმ-ით – ნოსირის თემის საკრებულო, დას-ით – ეკის მთა, სამხრ-ით – ქ. სენაკი. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის თანახმად, სენაკი (დღევანდელი ძველი სენაკი) შედის

სუჯუნის მაზრაში. 1886 წლისათვის სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში შექმნილია სენაკის სოფლის საზოგადოება, რომელშიც შევიდა სოფლები:

კოტიანეთი – 121 კომლი, 694 სული.

საჩიქობაო – 63 კომლი, 324 სული.

სენაკი – 181 კომლი, 855 სული.

სენაკი-ძველი დაბა (ც.) – 16 კომლი, 62 სული.

სენაკი-ახალდაბა – 19 კომლი, 101 სული.

სორტა – 81 კომლი, 410 სული.

ჯამი: 491 კომლი, 2446 სული

„დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში ამ ადმ.-ტერიტ. ერთეულს უკვე ეწოდება „ძველი სენაკის სას. საბჭო“ და მასში შედის სოფლები:

კვარჩხიღალი – 24 კომლი, 114 სული.

კოტიანეთი – 171 კომლი, 816 სული.

საჩიქობაო – 52 კომლი, 245 სული.

ძველი სენაკი – 250 კომლი, 1110 სული.

სორტა – 132 კომლი, 575 სული.

შხეფი მეორე – 29 კომლი, 126 სული.

ჯამი: 638 კომლი, 2985 სული (შენიშვნა: ამ პერიოდში სოფ. შხეფი შედის თეკლათის სას. საბჭოში. ამასთანავე, შექმნილია „ახალი სენაკის სას. საბჭო“, რომელშიც შედის ერთადერთი დასახლებული პუნქტი – ქალაქი ახალსენაკი).

1949 წელს ძველი სენაკის სასოფლო საბჭოში უკვე აღარ შედის კვარჩხიღალი, ხოლო სორტა წარმოდგენილია ორ სოფლად: ზედა სორტა, ქვედა სორტა. 1987 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ძველი სენაკის სას. საბჭოში შედის 7 სოფელი: ძველი სენაკი (ც.), ზედა სორტა, კვარჩხიღალი, კოტიანეთი, პირველი ნოსირი, საჩიქობავო, ქვედა სორტა.

2002 წლის საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგების ცნობარში ძველი სენაკის თემის საკრებულოში წარმოდგენილია ზემოთ დასახელებული ყველა სოფელი, ხოლო ამ სოფლების მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 4011 სული (კაცი – 1880, ქალი – 2131), ხოლო უფ-

რო ადრე, 1996 წელს, აღნიშნულ საკრებულოში შემავალ 7 სოფელში მკვიდრობდა 247 გვარის მატარებელი 1260 კომლი. დავასახელებთ კომლმრავლობით გამორჩეულ გვარებს: ქავთარაძე – 58 კ., ჩიქობავა და ჯანჯღავა – 56-56 კ., დავითაია – 47 კ., ბარკალაია – 35 კ., ბჟალავა – 32 კ., ხუხია – 30 კ., კირცხალია – 27 კ., ჩილაჩავა – 26 კ., ჭუბაბრია – 25 კ., კუჭავა და მილორავა – 24-24 კ., გიგიბერია და ჯინორიძე – 21-21 კ., ლომაია – 20 კ., სახოკია – 19 კ., კუპრეიშვილი – 18კ., ესებუა, პირტახია და ჯაიანი – 17-17 კ., ნინუა – 15 კ., კერძაია – 14 კ., ჯაკობია, არჩაია – 13-13 კ., ძიძიგური, დუდუჩავა – 12-12 კ., გოგია, შაფათავა –11-11 კ. ცნობას ხელს აწერენ ძველი სენაკის საკრებულოს გამგებელი გ. ჯანჯღავა და მდივანი ვ. ჯინორიძე.

## ძველი სენაკი

**ძველი სენაკი** – სოფელი და სას. საბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს... ზ.დ. 38 მ, ქ. სენაკიდან 7 კმ... სოფელს თავდაპირველად ერქვა სენაკი, მაგრამ ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის (1872 წ.) შემდეგ თეკლათის ტერიტორიაზე რკინიგზის სადგურს ეწოდა ახალი სენაკი და, შესაბამისად, თავდაპირველ სენაკს – ძველი სენაკი (იხ.: ქსე, 11: ცხაკაია). დამატებითი ინფორმაცია: ძველი სენაკი მდებარეობს უშუალოდ მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირას, სენაკი-მარტვილის საავტ. გზაზე, დღევანდელ ქ. სენაკსა და სოფ. ქვედა სორტას შუა. ჩრდ.-დას-ით ესაზღვრება საჩიქობავო (ეკის მთაზე), ქ. სენაკთან საზღვარია ჭიჭე შხეფი, ისტორიული შხეფის ნაწილი, რომელსაც ერთ დროს სოფლის სტატუსი ჰქონდა. ძველი სენაკის უბნებია: საბაქრაძო, საგიგიბერიო, სადავითაიო, საქანთარიო. ადგ. ვარიანტი: სანაკი.

როგორც გ. ელიავა წერს, დღევანდელი ძველი სენაკი XIX ს. მეორე ნახევრამდე ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა აღმ. სამეგრელოს ყოფასა და ცხოვრებაში. აქ იყო სავაჭროებიც და ბაზარიც. ეს ცენტრი

მდებარეობდა სამეგრელოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯ-ვარედინზე, რასაც ქმნიდა არგვეთიდან კლისორისაკენ და ფოთიდან მარტვილისაკენ მიმავალი გზები: საშუალო საუ-კუნეებში ბერებს ეკლესიასთან სამარტვილო ოთახები, ანუ სენაკები, მოუწყვიათ და იქ ცხოვრობდნენ. გადმოცემით, აქ-ვე ჰქონიათ მოსასვენი ქოხები... ყოველივე ამის გამო დარ-ქმევია სენაკი. დღევანდელ ძველ სენაკში იმართებოდა ბაზრობა „დიდი იარმუკობა“ (ელიავა, 1989, გვ. 69-70).

სენაკი (ძველი სენაკი) მრავალგზის მოიხსენიება სა-ისტორიო წყაროებში: იტალიელი მისიონერის – არქანჯე-ლო ლამბერტის (მკვიდრობდა ენგურისპირა სოფ. წიფური-აში 1633-1651 წწ.) „კოლხეთის, ანუ სამეგრელოს რუკაზე“, აგრეთვე ამ რუკის ლათინურენოვან ვარიანტზე (ინახება პარიზის ეროვნულ მუზეუმში) ტეხურის მარჯვ. ნაპირას ეკლესიის გამოსახულების თავზე არის წარწერა Sinaghi, რაც, რა თქმა უნდა, დღევანდელი ძველი სენაკია. 1696-1762 წლებში დაწერილ „წყალობის წიგნში“ დასახელებულია სენაკი, თეკლათი, სახარბედიო და სხვ. (კაკაბაძე, I, გვ. 155). აქვეა აღნიშნული: „სენაკს გიორგი გურიული ცოლ-შვილი-თა...“ (ქსძ, III, გვ. 767).

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ ვრცლად ეხება კოლხეთის მდინარეებს... მდ. ტეხურთან და სენაკთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ტეხური შეიძლება იყოს არიანეს სიგამე... არიანე ამტკიცებს, რომ ეს მდინარე ჩაუდის ერთ ადგილს, რომელსაც მდინარის გამო ეწოდება სიგანე. ამის მსგავსი სახელი მართლა ჰქვია იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია ტეხური. ამ ადგილის სახელია **სენაკი**. ადვილად შესაძლებელია, რომ ენის განუვითარებლობის გამო სიგანე გადაიქცა სენაკად და მდინარემ რომ თავისი სახელი მისცა ამ ადგილს, ადგილმა შეინახა და თვით მდი-ნარემ გამოიცვალა ეს სახელი სხვაზედ“ (ლამბერტი, 1991, გვ. 162).

განსაკუთრებით ხშირადაა დასახელებული „სენაკი“ საეკლესიო-სამართლებრივ ძეგლებში. ერთგან ხაზგასმით არის მითითებული: „სენაკს საყდარი მაცხოვრისა“ (1657-1660 წწ. შექმნილ საბუთებში. იხ. ქსძ, 3, გვ. 533). ეს მაცხოვ-

რის ეკლესია ძველი სენაკის ცენტრში დგას სენაკ-მარტვილის საავტომობილო გზის მარჯვ. მხარეს). XIX ს-ის პირველ მეოთხედშია დაწერილი „ლევან დადიანის წყალობის წიგნი... სენაკს მცხოვრები გლეხების ბოძების შესახებ“ (მხარეთმცოდნე, II, გვ. 60-61) და სხვ.

სენაკი აღნიშნულია იმერეთის მეფე ალექსანდრე V ბრძანებით 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე, რომელიც ფეოდალური საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოსისა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 777); ეკლესია, რომელიც კათალიკოსის სამყოფელი გახდა, XVII-XVIII სს-ში, აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნის შემდეგ, არის მაცხოვრის შობის სახელობისა (სოფლის ცენტრში, ნახურის მარცხ. მხარეს). ვარაუდით იგი XVII ს-შია აშენებული (ჭითანავა, 2010, გვ. 428). 1833 წლის საარქივო მასალაში სამეგრელოს 116 ეკლესიას შორის დასახელებულია აგრეთვე სენაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და მაცხოვრის სახელობის ეკლესიები. ამათგან პირველი მდებარეობდა (შემორჩენილია კედლები) მდ. ნახურის მარჯვ. მხარეს, ხოლო მეორე – ტეხურსა და ნახურს შუა (ჭითანავა, 2010, გვ. 60).

სენაკელი მასწავლებელი ს. სანებლიძე 1890 წელს დაწერილ ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში აღნიშნავდა: „Общество Сенак получило своё название от слова “Сенаки”, т.е. келья, ибо в разных частях этого общества были разбросаны келья“. აქვეა ნათქვამი, რომ სენაკის მაცხოვრის ეკლესიაში ყოველწლიურად იმართებოდა 6 რელიგიური დღესასწაული და თითოეულს თან ახლდა ბაზრობა. ისიცაა აღნიშნული, რომ 1890 წელს სენაკის სოფლის საზოგადოებაში მკვიდრობდა 1235 კაცი და 1079 ქალი (სანებლიძე, 1890, გვ. 96).

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის ცნობარის ჩვენებით სენაკი სოფელია სუჯუნის მაზრაში. 1886 წელს რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის ცნობარის მიხედვით, ნაქალაქევის უბნის სენაკის სოფლის საზოგადოებაში

სამი სენაკი შედის: სენაკი, სენაკი-ძველი დაბა (ც.), სენაკი-ახალდაბა (Свод…1893).

საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (1930 წ.) პირველად გამოჩნდა სოფ. ძველი სენაკი და სენაკის სას. საბჭო. საკუთრივ სოფ. ძველი სენაკის მოსახლეობა შეადგენს 350 კომლს (1110 სული), ხოლო ძველი სენაკის სას. საბჭოს მოსახლეობა – 658 კომლს (2985 სული). სენაკი დასახელებულია XIX ს-ის მრავალ საარქივო დოკუმენტსა და პრესაში (იხ. კეკელია, ოდიშარია, 2010, გვ. 70-75).

ეტიმოლოგიისათვის: ი. კეკელია და დ. ოდიშარია სამართლიან ეჭვს გამოთქვამენ „სენაკის“ წარმომავლობასთან დაკავშირებულ იმ მოსაზრებაზე, რომ ტოპონიმი შედგება ორი კომპონენტისაგან: სანა//ზანა+სკი → სანასკი//ზანასკი. ეს კი იგივეა, რაც სანაშვილი, ზანაშვილი, სანაძე//ზანაძე, სანაია (უთითებენ ავტორს: ო. ხუხუა, „სანაკი“ თუ „სენაკი“? ანუ ვინ არიან სანიკები, სანიგები, სანიხები?“ ჟურნ. „სათანო“, №4, 2007).

ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვა სენაკი მრავალ ლექსიკონშია განმარტებული: ს.-საბა: „**სენაკი** – მცირე სახლაკი, მონაზვნის სადგომი“; ნ. ჩუბინაშვილი: „**სენაკი** – სამარტვილო ოთახი, მცირე სახლი“; დ. ჩუბინაშვილი: „**სენაკი** – სამარტოვო ოთახი“; ძველი და ახალი ქართული ენის ლექსიკონებში ასახულია ქართული სალიტერატურო და საისტორიო წყაროებში სენაკ- სიტყვის სემანტიკური ამპლიტუდა, მაგალითად, ი. აბულაძე: „**სენა, სენაკი** – ბერის სადგომი, ქოხი, საყუდარი“ (კონტექსტი: „იძია სენაკი მცირე და მუნ დაეყუდა“); ზ. სარჯველაძე: „**სენაკი, სენაჲ** – ოთახი“; ქეგლ.: „**სენაკი** – ცალკე ოთახი ბერისათვის, მონაზვნისათვის, განდეგილისათვის“; ალ. ქობალია: „**სანაკი, სენაკი** – პატარა ოთახი“. დაბოლოს, კ. ჰანიც მართებულად წარმოგვიდგენს ამ სიტყვის სემანტიკასაც და სახელდების მოტივსაც: „სენაკი (ქართ., მეგრ. – სენაკი келья). სენაკი – პატარა ქალაქი, დაარსდა იმ ადგილას, სადაც უწინ მონაზონთა საყუდებელი იყო (იგულისხმება დღევანდელი ძველი სენაკი). გ. ელიავაც სენაკს აღიქვამს, როგორც მგზავრთა მოსასვენ ჯიხურს, ნაგებობას. მაშასადამე, ქრისტიანობის

გავრცელებასთან ერთად ქართულში შეთვისებული „სენაკი“ ნიშნავს: მცირე სახლაკი (ქოხი) ან ცალკე ოთახი მონაზვნისათვის, განდეგილისათვის. ყოველივე ამის შემდეგ უშედეგო და უსაფუძვლოა, სენაკ სიტყვის ქართული წარმომავლობის ძიება (შდრ. სასენაკო – სასაფლაო საზარანდიოში, სოფ. ჯიხაშკარში. რესპ.: „**სენაკი** არის წვიმისაგან თავშესაფარი ან ყარაულის ღამის სათევი შენობა“).

ძველ სენაკში დას. საქართველოს მთავარი საქარავნო გზა გადიოდა და მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. როგორც შ. დადიანი იხსენებს, აქ ბერძნებიც კი მოდიოდნენ აბრეშუმის, სიმინდის შესაძენად, 1872 წელს კი თბილის-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალის ერთ-ერთი სადგური თეკლათში აშენდა, მაგრამ „ახალი სენაკი“ დაერქვა. შესაბამისად, ისტორიულ სენაკს მიემართა ეპითეტი „ძველი“. მოკლე დროში „ახალი სენაკი“ ქალაქად იქცა და ჩამოეკვეცა პრეპოზიციური მსაზღვრელი.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ძველი სენაკის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 1701 სულს (კაცი – 788, ქალი – 913). სოფლის ტოპონიმური მასალა აღინუსხა 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბაბილუა შოთა დათას ძე, 62 წ.
ბაქრაძე ივლიანე დიმიტრის ძე, 82 წ.
გიგიბერია ჟორჟი ივანეს ძე, 60 წ.
გოროზიანი ანდრო არტემის ძე, 73 წ.
იაშვილი სიმონ გრიგოლის ძე, 77 წ.
ქავთარაძე ტატაჩი სევერიანეს ძე, 48 წ.
ღადალაძე აკაკი ტაიას ძე, 73 წ.
ძიძიგური თანდიკო სანდროს ძე, 54 წ.
ძიძიგური კაპიტონ კიმოთეს ძე, 79 წ.
ჯანჯღავა ალექსანდრე მიხეილის ძე, 68 წ.
ჯანჯღავა გრიშა ბათუს ძე, 75 წ.

ამათ გარდა, მადლობას მოვახსენებ ჟორჟი ასათიანს, ამირან გუნავას და ვახტანგ ჯინორიძეს.

## სორტა

სორტა ისტორიულად ერთი სოფელი იყო და შედიოდა ოდიშ-ლეჩხუმის პოლიტიკური ერთეულის – სუჯუნის თემში (1841 წ.). ამიერკავკასიის მოსახლეობის 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარშიც (1893 წ.) სორტა ერთი სოფელია ნაქალაქევის უბნის სენაკის სოფლის საზოგადოებაში (მოსახლეობა: 81 კომლი, 410 სული). საქ. სსრ 1926 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის (გამოიცა 1930 წ.) მიხედვითაც სორტა ერთი სოფელია ძველი სენაკის სას. საბჭოში (მოსახლეობა – 132 კომლი, 575 სული). მაგრამ ამ დაყოფის 1949 წლის გამოცემაში სორტა უკვე ორ სოფლად შედის ძველი სენაკის სას. საბჭოში: ზედა სორტა, ქვედა სორტა. ამგვარი დაყოფა დღემდეა დაცული.

**სორტას** რეალური ეტიმოლოგია და მოტივაცია დადგენილი არაა. კ. ჰანი აღნიშნავს: „Сорта, მეგრული, იგივე ქართული **სველი** „სველი, სველი ადგილი, ჭაობი. სოფლის სახელწოდება" (ჰანი, 1909, გვ. 131). ალ. ქობალია განმარტავს: „**სორტა** – ხეობა, ხევი". თუმცა აქ გაუგებარია, სოფლის სახელწოდებაა განმარტებული თუ სახელდებული ობიექტია მითითებული. ცრუხალხური ეტიმოლოგიები გამოთქმულია გ. ელიავას რესპოდენტთა მიერ: 1. თურქები მოსდევდნენ და მეგრელებს უთქვამთ, „სო ვირტათია" (სად გავიქცეთო), ამიტომ დაერქვა სორტა ← სორტინა; 2. „ათაქი ჯა დოსორტით დო სორტო ქოდააწყითია", ე.ი. ხე წყება-წყება დაალაგეო, დააწყვეო (შდრ. რუს. Сортировать „დახარისხება) და ამიტომ დარქმევია სორტა. კ. ბოროზდინი აღნიშნავს: „1854 წელს აქ ჯარი ეყენა ივანე მუხრანბატონს. ამ ბანაკს სორტიანე დაარქვეს სიტყვების – „სორტა" თუ „როტა" და მუხრანბატონის სახელის „იოანეს" შეერთებით" (ბოროზდინი, 1934, გვ. 11). დაახლოებით ასეთივეა ხალხური გადმოცემაც: 1856 წელს კოტიანეთში იდგა სომეხი სარდალ კოტიანი (ამიტომ დარქმევია კოტიანეთი), ხოლო სორტაში – ასევე სომეხი სარდალი სორტიანი.

## ზედა სორტა

**ზედა სორტა** – სოფელი სენაკის რ-ნის ძველი სენაკის სას. საბჭოში, უნაგირას მთის სამხრ.-აღმ-ით, მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 80 მ, სენაკიდან 12 კმ (ქსე, 4). დავაზუსტოთ: ზედა სორტა მდებარეობს უნაგირას მთაზე, საჩიქობავოს დას-ით, მაგრამ არა ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, არამედ მოშორებით, ე.ი. მდინარის მარჯვ. მხარეს. ესაზღვრება სოფ. კვარჩხიღალს.

ზედა სორტაში, საფარცვანიოს უბანში, შემორჩენილია ეკლესია „იმარიონის“ ნაშთები. ეს ეკლესია უნდა ყოფილიყო წარმართული კერპი, რაც დიდ ქვაზე ყოფილა გამოხატული (ჭითანავა, 2010, გვ. 412).

2002 წელს ზედა სორტაში მკვიდრობდა 217 მოსახლე (კაცი – 106, ქალი – 111). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბჟალავა ტრიფონ ანტონის ძე, 73 წ.

ბჟალავა შალვა არტემის ძე, 64 წ.

მხეიძე დავით ნიკოლოზის ძე, 68 წ.

ჯინორიძე ვახტანგ ამირანის ძე, 37 წ.

## ქვედა სორტა

**ქვედა სორტა** – სოფელი სენაკის რ-ნის ძველი სენაკის სას. საბჭოში, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 30 მ, სენაკიდან 9 კმ (ქსე, 10). დაზუსტება: ქვედა სორტა მდებარეობს ტეხურის მარჯვ. ნაპირას, ვაკეზე, ძველ სენაკსა და კოტიანეთს შუა. ამ სამივე სოფელს ჭრის სენაკ-მარტვილის საავტ. ტრასა. ადგ. ვარიანტი: ქვემო სორტა. სოფლის სასაფლაოსთან შემორჩენილია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის საძირკველი.

ქვედა სორტა, როგორც სოფელი, პირველად დაფიქსირდა „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ ცნობარის 1949 წლის გამოცემაში.

გადმოცემით, 1856 წელს კოტიანეთში იდგა სომეხი სარდალი კოტიანი (შდრ. „კოტიანეთის“ ვარიანტი კოტოიანი), ხოლო სორტაში – ასევე სომეხი სარდალი სორტიანი.

როგორც ცნობილია, ქვემო სორტაში, ტეხურისპირა ველზე, ქართველთა ლაშქარი გენერალ-მაიორ ივანე მუხრან-ბატონის მეთაურობით შებრძოლებია თურქ მეომრებს და დაუმარცხებია ისინი. კ. ბოროზდინი, მოგვითხრობს რა ამ შებრძოლებაზე, ასკვნის: „ამის შემდეგ ქართველთა ბანაკს დაერქვა სორტიანე (← სორტა), ანუ როტა + ივანე, რამაც მოგვცა სოფლის სახელი სორტა“ (კ. ბოროზდინი, „სამეგრელო და სვანეთი“, გვ. 11).)

2002 წელს ქვედა სორტის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 324 სულს (კაცი – 135, ქალი – 189). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ასათიანი ჟორჟი პლატონის ძე, 71 წ.

კაკულია ოთარ აკაკის ძე, 53 წ.

მაშინაია რაჟდენ ბარნაბას ძე, 75 წ.

## კვარჩხიღალი

**კვარჩხიღალი** – სოფელი სენაკის რ-ნის ძველი სენაკის სას. საბჭოში, მდ. კვარჩხიღალის ნაპირებზე. ზ. დ. 200 მ, ქ. სენაკიდან 10 კმ, ძველი სენაკიდან 2 კმ. კვარჩხიღალში არის კარსტული მღვიმე (ქსე, 5). 1930 წ გამოცემულ „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ თანახმად, სოფ. კვარჩხიღალში მკვიდრობდა 24 კომლი (114 სული). 1949 წლის „დაყოფაში“ ეს სოფელი არ ჩანს. 2002 წლის საყოველთაო აღწერის ცნობარში კვარჩხიღალი წარმოდგენილია როგორც დაუსახლებელი სოფელი. გადმოცემით, სოფ. კვარჩხიღალის უკანასკნელმა მცხოვრებმა უჩანა გუნიამ ეს სოფელი 1977 წელს დატოვა.

კვარჩხიღალი სემანტიკურად გამჭვირვალე ჰიდრონიმია. იგი თავდაპირველად აღნიშნავდა ღელეს (შემდეგ ხეობას) და ტოპონიმიზაციის გზით იქცა ოიკონიმად. მეგრუ-

ლი ენის ლექსიკონებში ასეთი განმარტებებია: ო. ქაჯაია: **„კვარჩხი** – უკუღმართი, მარცხიანი, ონავარი, ცელქი, უწესო“; ალ. ქობალია: **„კვარჩხიღალი** – უკუღმა პირი, უკუღმართი, ცელქი“. მაგრამ საქმე ისაა, რომ კვარჩხიღალი ჯერ კიდევ 1989 წელს გამოცემულ „სენაკის რაიონის ტოპონიმიაში“ სწორად აქვს განმარტებული გ. ელიავას: **„კვარჩხიღალი** – საწინააღმდეგოდ მომდინარე ღელე: იგი არა ჩრდილოეთიდან სამხრ-ით, არამედ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიედინება“ (ელიავა, 1989, გვ. 73). კვარჩხიღალი უკუღმართი ღელეა და რესპოდენტიც ასე განმარტავს: „კვარჩხას, უკუღმართო მეურცუ“. კვარჩხიღალი ორმაგადაა „უკუღმართი“ ღელე: რელიეფის თავისებურების გამო თავდაპირველად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიედინება, შემდეგ კი უხვევს და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ განაგრძობს დინებას (იხ. უფრო ვრცლად: ცხადაია, 1999, გვ. 36; 2005, გვ. 33).

სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ: ამირან გუნია (61 წ.) და სამსონ კეკუტია (82 წ.).

## კოტიანეთი

**კოტიანეთი** (ყოფილი კოტოიანი) – სოფელი სენაკის რ-ნის ძველი სენაკის სას. საბჭოში, უნაგირას მთის სამხრ.-აღმ. კალთის ძირას, მდ. ნახურის ნაპირზე. ზ.დ. 120 მ, სენაკიდან 18 კმ (ქსე, 5). დაზუსტება: კოტიანეთს უკავია ტერიტორია ტეხურის მარჯვ. ნაპირიდან ეკის მთამდე, სორტასა (ზედა, ქვედა) და ნაქალაქევის თემის საკრებულოს შუა. სოფლის ძირითადი უბნებია: სახუხიო, საბელქანიო, საჭუბარიო.

სოფელი კოტიანეთი დასახელებულია ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (შედის სუჯუნის მაზრაში). ამიერკავკასიაში 1886 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, ეს სოფელი შედის ნაქალაქევის უბნის სენაკის სოფლის საზოგადოებაში (121 კომლი, 694 სული). საერთოდ კი, კოტიანეთი საქ. სსრ ყვე-

ლა ადმ.-ტერიტ. დაყოფის თანახმად ძველი სენაკის სას. საბჭოში შედის.

ხალხური ეტიმოლოგიები: 1. მეჯოგეს დაჰკარგვია ხბო კოტინია. ეძებდა და იძახდა, კოტინია, კოტინია. ამიტომ დარქმევია კოტიანეთი; 2. კოტია კაცს ერქვა. რუსები ეძებდნენ და მის ოჯახს მიადგნენ. იქ უთხრეს, „კოტია ნეტ". ეს სიტყვები ადგილის სახელად ქცეულა. კოტიანეთის სემანტიკა-მოტივაციასთან დაკავშირებით გ. ელიავა იმეორებს რესპოდენტთა ვარაუდებს: ა. „აქ სახლებულა ვიღაც კოტია და ყოფილა მისი **თი** „დიდი ოჯახი"; ბ. „ვიღაც დიდი და ძლიერი მეფე ყოფილა კოტატი და მის გამო დარქმევია ადგილს კოტიანეთი"; გ. „აქ კოტოებს (ქოთნებს) აკეთებდნენ" (ელიავა, 1989, გვ.77). სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ისევ და ისევ ცრუხალხურ ეტიმოლოგიასთან, რაც ემყარება სავარაუდო ეტიმონსა და სახელწოდებას შორის არსებულ რამდენიმე ბგერის ერთგვარობას და არ ექცევა ყურადღება -იან შუალედურ კომპლექსს. ერთ-ერთი ჩვენი რესპოდენტის მტკიცებით, 1856 წელს, თურქებთან ომის დროს აქ მდგარა სომეხი სარდალი კოტიანი, ხოლო სორტაში – სორტიანი (შდრ. კოტოიანი – ოიკონიმ „კოტიანეთის" ვარიანტი). თუ მართლაც ერქვა ლაშქრის სარდალს კოტიანე, მაშინ მისაღებია ოიკონიმისა და გვარის ასეთი დაკავშირება: „კოტიანეთი ჯგუფური ანთროპონიმია და იგივეა, რაც „კოტიანეს ოჯახი, შთამომავლობა". ჯგუფური ანთროპონიმი ტრანსონიმიზაციის გზით უნდა ქცეულიყო სოფლის სახელწოდებად" (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 37).

სოფლის სასაფლაოზე, შემაღლებულ ადგილას, შემორჩენილია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კედლები. იგი ტეხურის ხეობას გადაჰყურებს.

2002 წელს ძველი სენაკის თემის საკრებულოს სოფ. კოტიანეთის მუდმივ მოსახლეთა რაოდენობა შეადგენდა 709 სულს (კაცი – 339, ქალი – 370). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 23-24 სექტემბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ბელქანია მიხეილ პლატონის ძე, 75 წ.

გრიგოლია კარლო ვლადიმერის ძე, 60 წ.

კეკუა პლატონ, 48 წ.

კილასონია შალვა ანდრიას ძე, 78 წ.
ნინუა ბოჩია ყარამანის ძე, 61 წ.
შელია ზურაბ სერგოს ძე, 30 წ.
ჭუბაბრია ჭიჭიკო პოკროს ძე, 84 წ.
ხუხია ანტონ იოსების ძე, 61 წ.

## პირველი ნოსირი

**პირველი ნოსირი** – სოფელი სენაკის რ-ნის ძველი სენაკის სას. საბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ-ების ტეხურისა და აბაშის შუამდინარეთში. ზ. დ. 30 მ, სენაკიდან 7 კმ (ქსე, 8). ძველი სენაკის თემის საკრებულოს 7 სოფლიდან პირველი ნოსირი ერთადერთია, რომელიც ტეხურის მარცხ. ნაპირის ვაკეზეა გაშლილი.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის თანახმად, ნოსირი სოფელია სუჯუნის მაზრაში. ამიერკავკასიაში 1886 წ. ჩატარებული კომლობრივი აღწერის ცნობარი გვაუწყებს, რომ ნოსირი აბაშის ოლქის ნოსირის სოფლის საზოგადოების ერთადერთი სოფელია (მოსახლეობა – 126 კომლი, 2132 სული).

1930 წ. შექმნილი ნოსირის სოფსაბჭო შედის სენაკის რ-ნში და შეიცავს 8 სოფელს: ნოსირი მეორე, ნოსირი მესამე, ნოსირი შუა, საბესელიო, საკილასონიო, საოდიშარიო, სასიმონიო, სასირიო (პირველი ნოსირი კი არა ჩანს). 1949 წლისათვის კი ნოსირის სას. საბჭოში მხოლოდ ოთხი სოფელია: შუა ნოსირი (ც.), საბესელიო, პირველი ნოსირი, საოდიშარიო.

1890 წელს დაწერილ ნარკვევში „სოფელი ნოსირი“ ავტორი ვ. გაგუა აღნიშნავდა, რომ სოფლის სიძველეს ადასტურებს ძველ ეკლესიათა ნანგრევები, რომლებიც მრავლადაა ნოსირის ტყეებში. XX ს. დამლევს ნოსირში იყო სამი საშტატო და ერთი ზედმიწერილი (პირველმოწამე სტეფანეს სახელობისა) ეკლესია (გაგუა, 1890, გვ. 102-103).

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის დადგენილებით სოფელი პირველი ნოსირი გამოეყო ნოსირის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს.

რესპოდენტთა მტკიცებით, ამჟამინდელი პირველი ნოსირი მოიცავს ტეხურის მარცხ. ნაპირას მდებარე უწინდელ ორ სოფელს – მეორე ნოსირსა და მესამე ნოსირს. მეორე ნოსირში შედიოდა უბნები: საკირცხალიო, სადუდუჩავო, სამილორავო ხოლო მესამე ნოსირში – საჩილაჩავო, საბარკალაიო, საძიძიგურო.

2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები გვაუწყებს, რომ ძველი სენაკის სოფ. პირველი ნოსირის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 861 სულს (კაცი – 386, ქალი – 475). სოფლის ტოპონიმური აღწერა ჩატარდა 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

დამენია ჯემალ ალექსანდრეს ძე, 51 წ.
დგებუაძე შალვა თეუფანეს ძე, 72 წ.
ინდეიშვილი არუთინი სილიბისტროს ძე, 55 წ.
კერძაია კონდრატე დიმიტრის ძე, 81 წ.
კუპრეიშვილი ნიკიფო ბაგრატის ძე, 82 წ.
ჩილაჩავა ამბროზ გიორგის ძე, 65 წ.

## საჩიქობავო

**საჩიქობავო** – სოფელი სენაკის რ-ნის ძველი სენაკის სას. საბჭოში, ეკის მთის აღმ. კალთაზე. ზ .დ. 220 მ, ქ. სენაკიდან 5 კმ, ძველი სენაკიდან 2 კმ (ქსე, 9). ესაზღვრება: სამხრ-ით დიდი შხეფი (ქ. სენაკი), აღმ-ით – ძველი სენაკი. ადგ. ვარიანტი: საჩიქობა. სოფელი საჩიქობაო ფორმით პირველად გამოჩნდა 1886 წელს ჩატარებული ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის ცნობარში (63 კომლი, 324 სული. იხ. Свод... 1893 წ.). ამავე ფორმით („საჩიქობაო") შევიდა ეს სოფელი საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემაშიც (52 კომლი, 275 სული). საბოლოოდ დამკვიდრდა ფორმა საჩიქობავო, რომლისთვისაც ამოსავალია გვარსახე-

ლის ფორმა ჩიქობავა. საქართველოში XX ს. დამლევისათვის ცხოვრობდა ამ გვარის მატარებელი 1409 სული (მათგან სენაკის რ-ნში – 495). აქაური ჩიქობავები თვლიან, რომ მათი წინაპრები იყვნენ ჩიგოგიძეები გურიიდან. საისტორიო წყაროში ჩიქობავა პირველად დასახელებულია 1753 წელს შედგენილ საეკლესიო-სამართლებრივ საბუთში „შეწირულების წიგნი გაბრიელ ჭყონდიდლისა მარტვილის ტაძრისადმი“, სადაც ნათქვამია, რომ რობას (სოფელია ქ. აბაშის სიახლოვეს) მცხოვრები ბაძღუელა ჩიქობავა, მიქელაძეებისაგან შევიწროებული, გაბრიელ ჭყონდიდელს წაუყვანია, დაუსახლებია გამოღმა კოდორში და დაუკისრებია საეკლესიო ბეგარა – თითო მარჩილის სანთელი მარტვილის ტაძრისა და სუჯუნის საყდრისათვის (ქსძ, III, გვ. 837). XX ს-ის დამლევს საქართველოში ცხოვრობდა 1404 სული ჩიქობავა (მათგან სენაკის რ-ნში – 453 სული, ხოლო საკუთრივ სოფ. საჩიქობავოში – 56 სული).

გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმულია ორი მოსაზრება: 1. ი. მაისურაძე თვლის, რომ ჩიქობა//ჩიქვაბა მომდინარეობს პირსახელ ჩიქვა-საგან (შდრ. საკ. სახელი ჩიქვი და გვარები: ჩიქვაია, ჩიქვანაია, ჩიქოვანი) + -ბა (მაისურაძე, 1990, გვ. 200); 2. თ. გვანცელაძის დასკვნით, გვარსახელი ჩიქობავა (← ჩიქვ-ობა-ვა) უკავშირდება მოციქულია აღმნიშვნელ კოლხურ ჩიქვ- ძირს, ისევე როგორც ციქობავა, ციქობაძე, ციქუბაძე ემყარება მოციქულია აღმნიშვნელ ციქვ-ს (გვანცელაძე, 1999). სხვათა და სხვათა ვარაუდით, ჩიქობავა აფხაზურ-მეგრული გვარია. საჩიქობავოში დაიბადა და აღიზარდა მსოფლიოში ცნობილი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა.

2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ცნობარი გვაუწყებს, რომ საჩიქობავოში 139 მუდმივი მოსახლეა (კაცი – 66, ქალი –73). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბედია ტერენტი სოლომონის ძე, 69 წ.

ჩიქობავა აკაკი უშანგის ძე, 83. წ.

ჩიქობავა ანდრია დომენტის ძე, 71 წ.

ჩიქობავა იური მიხეილის ძე, 43 წ.
ჩიქობავა კოკი კიმოთეს ძე, 63 წ.
ჩიქობავა მიხეილ უშანგის ძე, 67 წ.
ხარებავა პარმენ ისიდორეს ძე, 57 წ.
ჯინორიძე ვახტანგ ამირანის ძე, 37 წ.

## ხორშის თემის საკრებულო

**ხორშის თემის საკრებულო** – ადმ.-ტერიტ. ერთეული სენაკის რ-ნის დას. ნაწილში, ეკის თემის საკრებულოსა და ხობის რაიონის საზღვარს შუა. ჩრდ-ით ესაზღვრება ზანის თ/ს, სამხრ-ით კი – მენჯის თემისა. ხორშის თემის საკრებულოში შედის სოფლები: შუა ხორში (ც.), დიდი ხორში, პატარა ზანა, საადანაიო, საგუგუნავო, ციზეთი.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის (XIX ს. 40-იანი წლები) ცნობარი გვაუწყებს, რომ ზუბის მაზრაში შედის ხორში და მეორე ხორში (აგრეთვე ზანა, ციზეთი და სააფაქიო ზანა). ხოლო 1886 წელს ხორშის სოფლის საზოგადოება შედის ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს უბანში ორი სოფლით – ხორშა (584 კომლი, 3484 სული) და ციზეთი (54 კომლი, 327 სული). მაშასადამე, ორივე სოფლის მოსახლეთა რაოდენობა ასეთია: 638 კომლი, 3611 სული.

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის (1930 წ.) თანახმად, სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში შედიოდა 7 სოფელი:

ზემო-კარი – 47 კომლი, 200 სული
საადანაიო – 51 კომლი, 405 სული
საგუგუნაო – 137 კომლი, 333 სული
სკურდი – 91 კომლი, 413 სული
ციზეთი – 138 კომლი, 589 სული
ხორშა დიდი – 89 კომლი, 438 სული
ხორშა შუა – 141 კომლი, 620 სული
ჯამი: 737 კომლი, 3298 სული

1949 წლისათვის ხორშის სას. საბჭოში შედის 5 სოფელი (შუა ხორში, ციზეთი, სკურია, საადანაიო, საგაბესკირიო), ხოლო დიდი ხორში (აგრეთვე საგუგუნაო და პატარა ზანა) გაერთიანებულია ახლადშექმნილ პირველი მაისის სას. საბჭოში.

საბოლოოდ დადგინდა და საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების ცნობარის (2003 წ.) მიხედვით, ხორშის თემის საკრებულოში გაერთიანებულია 6 სოფელი. ამ სოფლების მუდმივი მოსახლეობის რაოდებობა ასეთია: შუა ხორში – 525 სული, დიდი ხორში – 342 სული, პატარა ზანა – 223 სული, საადანაიო – 25 სული, საგუგუნავო – 99 სული, ციზეთი – 339 სული. როგორც ვხედავთ, ხორშის თემის საკრებულოში 2002 წელს 1553 მუდმივი მოსახლეა (სკურია და საგაბესკირიო შევიდა ახალშექმნილ მენჯის თემის საკრებულოში).

ისტორიული წყაროების ჩვენებანი: მკვლევარი თ. ბერაძე თვლის, რომ არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) არსებული წარწერა Coscis იგივე ხორშია. ეს აზრი გამოთქმულია „მაცნეში“ დაბეჭდილ სტატიაში „ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით“. მაგრამ ეს Coscis მდებარეობს დღევანდელი ქ. სენაკიდან სამხრ.-დას-ით, ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე, მაშინ როცა სახელდებული ობიექტი ქ. სენაკის ჩრდ.-დასითაა, დაახლოებით 15 კმ-ზე. ამის გარდა, 1655 წელსვე შედგენილი ე.წ. ლათინური რუკის („დღევანდელი სამეგრელო“) გადმომქართულებელმა ავთ. თორდიამ ეს ლათინურენოვანი წარწერა წაიკითხა როგორც „კოშკის“.

XIX ს-ის საარქივო და სტატისტიკური აღწერილობის მასალების მიხედვით, სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიათა შორის, დაწყებული 1838 წლიდან, არაერთგზის არის დასახელებული ხორშის ეკლესიები (ჭითანავა, 2010, გვ.გვ.: 54, 65, 69, 400).

„ზეპირგადმოცემის თანახმად, ხორში–მაცხოვრისკარის მაცხოვრის ეკლესია წარმოადგენს VI-IX სს. ძეგლს. იგი აგებულია ლოდი ქვისაგან. .... ამ ეკლესიის უძველესი მატიანე გადმოგვცემს, რომ მისი ასაშენებელი მასალა

ტრაპეზუნდიდან შეუძენიათ იმდროინდელ თავადიშვილებს, ჩიჩუებს. სწორედ ამიტომ დაარსებიდან დღემდე ამ ეკლესიას ეწოდება საჩიჩუოს ეკლესია“ (ჭანტურია, 1989, გვ. 182).

XX ს-ის 80-იანი წლებისათვის ხორშის სას. საბჭოს ტერიტორია შეადგენდა 50კვ.კმ-ს და განაწილებული იყო გამარჯვების სახელობის კოლმეურნეობასა (სოფლები – დიდი ხორში, საადანაიო, საგუგუნაო, პატარა ზანა) და ეთერზეთების მეურეობას შუა (სოფლები – შუა ხორში, ციზეთი).

1996 წელს ხორშის თემის საკრებულოს სოფლებში მკვიდრობდა 100-მდე გვარის მატარებელი 375 კომლი. ცნობას ხელს აწერენ ხორშის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე ბ. კანკავა და მდივანი თ. მატახერია (იხ. სოფლების მიხედვით).

2002 წელს ხორშის თემის საკრებულოს 6 სოფელში მკვიდრობდა 1553 მუდმივი მოსახლე (კაცი – 766, ქალი – 787). მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ხორშის სას. საბჭოს თავმჯდომარე რეზო ჭითავა, რომელიც თემის სოფლებში ჩემი მუშაობის უპირველესი ხელისშემწყობი იყო.

## ხორში

**„ხორში** – სენაკის რ-ნის სოფლების – დიდი ხორშისა და შუა ხორშის სახელწოდება“ (ქსე, 11). აღნიშნულია თ. ბერაძის „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“ (ბერაძე, 1970).

ოდიშ-ლეჩხუმის XIX ს-ის 40-იანი წლების ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში შესულია ორ სოფლად – ხორში, მეორე ხორში. ამ ს-ის ბოლო ოცწლეულიდან დაწყებული, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ხორშა (584 კომლი, 3484 სული) და ციზეთი (54 კომლი, 327 სული) ხორშის სოფლის საზოგადოებაში შედის (ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანი). სრულიად საქართველოს ცაკისა და საქ. სსრ სახალხო საბჭოს 1929 წლის 23 აგვისტოს დადგენილებით, სენაკის მაზრის სენაკის რაიონის ხორშის სას. საბჭო-

ში სხვა ხუთ სოფელთან ერთად შედის „ხორშა დიდი“ (83 კ., 438 ს.) და „ხორშა შუა“ (584 კ., 3811 ს.). 1949 წლის „დაყოფის“ ცნობარის მიხედვით სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში მხოლოდ ერთი სოფელია წარმოდგენილი „ხორშის“ სახელწოდებით. სამაგიეროდ შემდგომში ხორშის სას. საბჭოშიც (1987 წ.) და ხორშის თემის საკრებულოშიც (2002 წ.) ხორში წარმოდგენილია ორ სოფლად: მათგან შუა ხორშში მკვიდრობს 525 სული (კაცი – 266, ქალი –259), დიდ ხორშში – 342 სული (კაცი – 169, ქალი – 173).

ხორშის ეტიმოლოგია-მოტივაციისათვის:

1. რესპოდენტთა ერთი ნაწილის მტკიცებით „ხორში ჩხე ბორია რე“;

2. გ. ელიავა ასახელებს ფორმას ხორშა და ფრჩხილებში აღნიშნავს (ე.ი. განმარტავს): „დასახლებაზე“. აქვეა რესპოდენტისეული თვალსაზრისი: უცნობ მგზავრს ეკითხებიან, სად მიდიხარო? პასუხი მიუღია: ოხორუშა (დასასახლებელ ადგილზეო), მაშასადამე, ოხორუშა → ხორშა. „ძველ საეკლესიო და საკანცელარიო საბუთებში ადგილს ოხორშა ქვია“, – ასე ასრულებს გადმოცემას რესპოდენტი ალ. ჟვანია (ელიავა, 1989, გვ. 59).

3. ი. კეკელია და დ. ოდიშარია გამოთქვამენ რამდენიმე ვარაუდს: „**ხორში, ხორშონა** მეგრულში აღნიშნავს ქვიან ადგილსაც. მაგრამ, ამასთანავე, შესაძლებელია ოიკონიმ ხორშის ამოსავალი იყოს ხორ(ო)ში ატმის ჯიში. აქედან გამომდინარე, ასკვნიან: „მაშასადამე, ხოროში → ხორში უნდა გავიაზროთ როგორც ხორ(ო)ში ჯიშის ატმის გავრცელების ადგილი“ (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 90).

4. ალ. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია ხორში სიტყვის 25-მდე მნიშვნელობა. წარმოვადგენთ რამდენიმეს: „**ხორში** – ნაფოტი, ნათალი, თლილი ქვა... ნასახლარი, კუთხე, ყურე; ცხელი, მხუთავი, მსხვილი... ხშირმოსავლიანი ზედაპირი, ხვრიში...“; „**ხორშაკი** – ხორშაკი, მხუთავი, ცხელი ქარი“; „**ხორშონა** – ქვიანი ადგილი; ვაზის ჯიში“.

5. ყურადსაღებია ს.-საბას განმარტებანი: „**ხორშა** – ქარი შემწველი... ხორშა და ხორშაკი ქარი არს შემწველი

და მაწყინარი“; „ხორში და დანეშტებული ეწოდების სვეტ-სა სვეტთა შორის... ადგილთა ტაძრისა და მისთანათანა“.

დაბოლოს ჩავიხედოთ ქეგლ-შიც: **„ხორშა** – დანეს-ტიანებული, წამხდარი“ (წიგნი „წიგნი სააქიმოჲს“ მიხედ-ვით); **„ხორშა, ხორშაკი** – ცხელი ქარი“. ძველი ქართულის სალიტერატურო და საისტორიო მწერლობაში ხშირად გვხვდება ხორში, ხორშაკი. ი. აბულაძის „ლექსიკონში“ აღ-ნიშნულია: „ხორში – ა. უბე, კუთხე, ყურე“; ბ. ნაფოტი, ნა-თალი; გ. ხორშაკი – სიცხე (აბულაძე, 1973).

**დასკვნა:** ხორშის სახელდებისათვის ამოსავალი შე-იძლება იყოს მნიშვნელობანი: 1. საშუალო მსხვილსა და წვრილს შორის (თუკი ქვა-კენჭს ვიგულისხმებთ); 2. სიცხე, ხორშაკი; 3. ნასახლარი, ყურე, კუთხე.

საისტორიო დამოწმებანი: არქანჯელო ლამბერტის „ოდიშის რუკის“ (1654 წ.) ერთ-ერთი წარწერის მიხედვით აღადგენენ ტოპონიმ ხორშს; ლევან II დადიანის რუკაზეც არის დატანილი ხორში (ბერაძე, 1970, გვ. 47). ხორში დასა-ხელებულია XIX ს-ის რამდენიმე საეკლესიო საბუთში. კერძოდ 1838 წელს შედგენილ სამეგრელოს ეპარქიის ეკ-ლესია-მონასტერთა ჩამონათვალში დასახელებულია სოფ. ხორშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია“, ხოლო 1855 წელს – ხორშის ხელთუქმნელი მაცხოვრის ეკლესიაც (ჭითანავა, 2010, გვ. 59-65). ეს მაცხოვრის ეკლესია აშენებუ-ლია მანცხვარკარის უბანში, მდ. ხობისწყლის მარჯვ. მხა-რეს, მაღალ გორაზე. მკვლევარნი (პ. ზაქარაია, ნ. ლომოუ-რი, გ. ელიავა) თვლიან, რომ ეს ეკლესია XII-XIV სს-შია აგებული (იქვე, გვ. 402).

ხორშის თემის ტერიტორიაზე ცნობილია 7 ეკლესია. მათგან 5 წმინდა გიორგის სახელობისაა (ციზეთის, ჯვარ-კარის, პატარა ზანის, საფაჩულიოს...), აგრეთვე მაცხოვრის სახელობისა (მანცხვარკარის უბანში) და მთავარანგელო-ზისა (საადანაიოში).

# შუა ხორში

**შუა ხორში** – სოფელი და ხორშის სას. საბჭოს ცენტრი სენაკის რ-ნში, ცივისა და ხობისწყლის შუამდინარეთში. ზ.დ. 80 მ, სენაკიდან 15 კმ (ქსე, 11). დავაზუსტოთ: შუა ხორში მდებარეობს დიდ ხორშსა (სამხრ-ით) და საგუგუნავოს (ჩრდ-ით) შუა. აღმ-ით ესაზღვრება საცხვიტაო, ხოლო დას-ით – ციზეთი.

სოფელი „ხორშა შუა“ დაფიქსირებულია საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (გამოიცა 1930 წ.). შემდგომში მსაზღვრელი კომპონენტი წინ იქნა გადატანილი და დაყოფის ყველა შემდგომ გამოცემაში დამკვიდრდა სახელწოდება „შუა ხორში“.

1996 წელს შუა ხორშში მკვიდრობდა 46 გვარის მატარებელი 159 კომლი. კომლმრავალი გვარებია: გვასალია – 48 კ., კანკავა – 20 კ., სახეიშვილი – 14 კ. სხვა გვარები წარმოდგენილია თითო-ორი (იშვიათად სამი) კომლით.

2002 წელს ხორშის თემის საკრებულოს სოფ. შუა ხორშში აღირიცხა 525 სული მუდმივი მოსახლე. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ავალიანი გერმანე ალექსანდრეს ძე, 61 წ.
გვასალია გიგლა იოსების ძე, 44 წ.
გვასალია მამანტი პეტრეს ძე, 88 წ.
გვასალია ნატო ტოგოს ას., 24 წ.
გვასალია ტოგო დიმიტრის ძე, 62 წ.
გოგენია ბონდო კონსტანტინეს ძე, 59 წ.
გოგენია შალიკო ივაკის ძე, 73 წ.
გუგუნავა ბონდო კონსტანტინეს ძე, 59 წ.
რეკვავა ჟორჟი ბეგლარის ძე, 55 წ.
ღვამბერია ვიქტორ მალაქიას ძე, 62 წ.
შურღულაია ვალიკო ივანეს ძე, 61 წ.
ჭითავა რეზო ალექსანდრეს ძე, 38 წ.

## ᲓᲘᲓᲘ ᲮᲝᲠᲨᲘ

**დდი ხორში** – სოფელი სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში, ოდიშის დაბლობზე. ზ.დ. 90 მ, სენაკიდან 17 კმ (ქსე, 3). დავაზუსტოთ: დიდი ხორში მდებარეობს შუა ხორშსა (ჩრდ-ით) და საადანაიოს (სამხრ-ით) შუა. აღმ-ით ესაზღვრება სოფ. საცხვიტავო, ხოლო დას-ით – ციზეთი. „ხორში დიდი", როგორც სოფელი, თავდაპირველად დაფიქსირდა (89 კომლი, 438 სული) საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის პირველ (1930 წ.) გამოცემაშივე, ხოლო შემდეგ პოსტპოზიციურმა კომპონენტმა საზღვრულის წინ გადაინაცვლა და დამკვიდრდა ფორმა „დიდი ხორში".

1996 წელს დიდ ხორშში ცხოვრობდა მხოლოდ 18 გვარის მატარებელი 78 კომლი. კომლმრავალი გვარებია: დადიანი – 18 კ., ბუკია და პარკაია – 11-11 კ., ცხომარია – 9 კ.

2002 წელს სენაკის რ-ნის ხორშის თემის საკრებულოს სოფ. დიდ ხორშში მკვიდრობდა 342 სული მუდმივი მოსახლე (კაცი – 169, ქალი – 173). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ბუკია არჩილ ბეგლარის ძე, 64 წ.
დადიანი ალიოშა ჭიჭიკოს ძე, 50 წ.
მირცხულავა ამედი ვანოს ძე, 36 წ.
მირცხულავა ილარიონ სტეფანეს ძე, 70 წ.
პარკაია ჩერგეზი ისიდორეს ძე, 54 წ.
ქაშიბაძე ჭიჭიკო სტეფანეს ძე, 76 წ.
ცხომარია ჩახუ ანდრიას ძე, 56 წ.

## ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲖᲐᲜᲐ

პატარა ზანა – სოფელი სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში, ოდიშის ვაკეზე, ცივისა და ხობისწყლის შუამდინარეთში. ზ. დ. 150 მ, სენაკიდან 15 კმ, შუა ხორშიდან 7 კმ (ქსე, 7). დავაზუსტოთ: პატარა ზანა მდებარეობს მდ. ზანის მარცხ. ნაპირას, ხობის რ-ნის საზღვართან. ესაზღვრება:

ჩრდ-ით სოფ. ეწერი (ზანის თემი. ადგ. ვარიანტი: ზანა-ეწე-რი), სამხრ-ით – შუა ხორში, დას-ით – ციზეთი.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის თანახმად, ზანა ერთი სოფელია ზუბის მაზრაში. ამიერკავკასიის მოსახლეობის კომლობრივი აღწერის ცნობარი (ჩატარდა 1886 წ., გამოიცა 1893 წ.) გვაუწყებს, რომ ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში შექმნილია ზანის სოფლის საზოგადოება, რომელშიც შედის ორი სოფელი – ზანა დიდი (335 კომლი, 1920 სული) და ზანა პატარა (80 კომლი, 471 სული). „დაყოფის" 1930 წლის გამოცემის თანახმად, ზანა დიდი (447 კომლი, 2031 სული) და ზანა პატარა (98 კომლი, 444 სული) სენაკის რ-ნის ზანის სას. საბჭოშია გაერთიანებული, მაგრამ 1949 წელს ზანის სას. საბჭოში 5 სოფელია: ზანა (ც.), საესებუო, სატყებუჩავო, საშურღაიო, ეწერი, ხოლო პატარა ზანა (საგუგუნავოსა და დიდ ხორშთან ერთად) პირველმაისის სას. საბჭოში შედის. საბოლოოდ (1987 წლისათვის) პატარა ზანა მოექცა ხორშის სას. საბჭოში.

1996 წელს პატარა ზანაში მკვიდრობდა მხოლოდ და მხოლოდ 15 გვარის მატარებელი 49 კომლი. გვართაგან შედარებით მრავალკომლიანია ჭითავა – 26 კ., შარტავა – 12 კ., ბულიავა – 9 კ. დანარჩენი გვარები წარმოდგენილია თითო-ორი კომლით.

2002 წელს ხორშის თემის საკრებულოს სოფ. პატარა ზანაში აღინუსხა 223 მუდმივი მოსახლე (კაცი –118, ქალი – 105). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ჭანტურია ანატოლი ელიზბარის ძე, 70 წ.

ჭითავა ალექსანდრე იაკობის ძე, 78 წ.

ჭითავა კაპიტონ მელიტონის ძე, 50 წ.

ჭითავა პროკოფი ნიკოს ძე, 77 წ.

ჭითავა სოგრატ ალექსის ძე, 72 წ.

## საადანაიო

საადანაიო – სოფელი სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში, ოდიშის ვაკეზე, ცივისა და ხობისწყლის შუამდინარეთში. ზ.დ. 150 მ. სენაკიდან 12 კმ, შუა ხორშიდან 3,5 კმ (ქსე, 8). დაზუსტება: საადანაიო ძირითადად ცივის მარჯვ. ნაპირის ზეგანზე მდებარეობს და ესაზღვრება სამხრ-ით – საგაბესკირიო და საწულეისკირიო, ჩრდ-ით – დიდი ხორში, ჩრდ.-დას--ით – ციზეთი.

საადანაიომ სოფლის სტატუსი მიიღო საბჭოთა პერიოდში. საქ. სსრ ადმ.-ტერიტ დაყოფის პირველი გამოცემის (1930 წ.) მიხედვით, იგი შედის სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში და მისი მოსახლეობა შეადგენს 91 კომლს (405 სული). მაგრამ XX ს-ის ბოლო ათწლეულში სოფელი თითქმის დაცარიელდა. 1996 წელს ამ სოფელში მკვიდრობდა 6 გვარის მატარებელი 9 კომლი. მათგან ადანაია – 3 კ., შამათავა – 2 კ., ხოლო დანარჩენი გვარები წარმოდგენილია თითო-თითო კომლით. 2002 წლისათვის კი საადანაიოში 25-ოდე მუდმივი მოსახლეა დაფიქსირებული.

საადანაიო ანთროპოოიკონიმია. ამოსავალია მცირერიცხოვანი გვარი ადანაია (სულ 205 სული საქართველოში. მათგან სენაკის რ-ნში – 88). გვარს რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს: „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.) აღნიშნულია, რომ ადანაიას წყარიგზურის სასახლის „მიმდგამსა კაცსა ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა“ (ქსძ. III, გვ. 473).

საისტორიო წყაროებში პირსახელი ადანა არცაა დამოწმებული, მაგრამ, ცხადია, გვარი წარმოქმნილია ეპონიმის სახელ ადანა-საგან -ია სუფიქსის დართვით. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, სოფ. ხორშში მცხოვრები ადანაიები აზნაურები იყვნენ. საადანაიოში შემორჩენილია მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევები.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში, მეგზურობა გაგვიწია გურამ ადანაიამ (50 წ.), ხოლო რესპოდენტები იყვნენ:

ადანაია ხარიტონ პეტრეს ძე, 76 წ.

მუმლაძე ვალიკო შალვას ძე, 40 წ.
შამათავა ვერა ალექსის ას., 78 წ.

## საგუგუნავო

**საგუგუნავო** – სოფელი სენაკის რ-ნის ხორშის სას. საბჭოში, ოდიშის ვაკეზე, ცივისა და ხობისწყლის შუამდინარეთში. ზ.დ. 100 მ, სენაკიდან 14 კმ, შუა ხორშიდან 5 კმ (ქსე, 8). დაზუსტება: საგუგუნავო მდებარეობს შუა ხორშისა და პატარა ზანის აღმ. ნაწილს შუა, ცივის მარჯვ. ნაპირზე. ადგ. ვარიანტი: საგუგუნა.

სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალია გვარი გუგუნავა (შდრ. საგუგუნო – გუგუნიების (გვარია) უბანი (იხ. ელიავა, 1989, გვ. 59). ეს გვარი XX ს. დამლევისათვის საქართველოში წარმოდგენილი იყო 660 სულით (მათ შორის სენაკის რ-ნში – 186) და ერთადერთი კომპაქტური დასახლება ჰქონდა მხოლოდ ხორშის თემში (10 კომლი). მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, გვარის არსებობა ჯერ კიდევ XV-XVI სს. მიჯნაზე დაწერილ საბუთში დასტურდება: დასახელებულია აზნაურიშვილი კაკო გუგუნავა (იხ. პალ, I, გვ. 727), ხოლო პირსახელი გუგუნა დამოწმებულია როგორც უფრო ადრინდელ, ისე გვიანდელ საბუთებშიც (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 76). 1850 წელს დამტკიცებულ „იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახების“ სიაში რამდენიმე პირს ჰქვია „გუგუნა“ (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 431). გურიაში გუგუნავები იყვნენ თავადები, ხოლო სამეგრელოში – აზნაურები. შდრ. გვარსახელები: გუგუნაშვილი, გუგუნაძე.

საგუგუნავოში, ეკი-ჩხოროწყუს საავტ. გზის სიახლოვეს, მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, მაღალ გორაზე დგას დაზიანებული, გალავნით შემოვლებული ციხეკოშკი, რომელსაც პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე ათარიღებენ შუა საუკუნეებით (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 153).

1996 წელს საგუგუნავოში ცხოვრობს ოდენ 11 გვარის მატარებელი 40 კომლი. მათგან გვარ გუგუნავას ატარებს

11 კომლი, კაშიბაძეს – 5 კომლი და მიგინეიშვილს – 4 კომლი.

2002 წელს საგუგუნავოში აღირიცხა 99 მუდმივი მოსახლე (კაცი – 49, ქალი –50). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

ადანაია ხარიტონ პეტრეს ძე, 76 წ.
გუგუნავა ვერა ალექსის ას., 69 წ.
გუგუნავა ივანე ანტონის ძე, 57 წ.
პარკაია ჩერგეზი ისიდორეს ძე, 54 წ.

## ციზეთი

**ციზეთი** – სოფელი სენაკის რ-ნის ხორშის სოფსაბჭოში, ოდიშის ვაკეზე, მდ. ხობისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 160 მ, სენაკიდან 20 კმ. შუა საუკუნეების მაცხოვრის ეკლესია (ქსე, 11). დაზუსტება: ციზეთს სამი მხრით (დას-ით, სამხრ-ით, ჩრდ-ით) ესაზღვრება ხობის რაიონი (სოფ. ბიასაშონიო), ხოლო აღმ-ით – პატარა ზანა, საგუგუნავო, შუა ხორში, დიდი ხორში, საადანაიო.

ვახუშტის მეორე ატლასში (1745 წ.) ეკლესიის გამოსახულების თავზე არის წარქერა „ციზეთი“. როგორც ჩანს, ესაა დღევანდელი ციზეთის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი ხობისწყლის მარცხ. მხარეს... გადმოცემით, დადიანებს აქ ჰქონიათ სასახლე. ამასთანავე, დადიანებისა და გვასალიების წინაპრები აქ მერვე საუკუნეში დამკვიდრებულან (ჭითანავა, 2010, გვ. 402).

ციზეთი, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლებული ერთეული, XIX ს-ის 40-იან წლებში შედის ზუბის მაზრაში. ამიერკავკასიის მოსახლეობის 1886 წლის აღწერის ცნობარის მიხედვით, ციზეთი (54 კომლი, 327 სული) ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბნის ხორშის სოფლის საზოგადოებაშია (ისევე როგორც „ხორშა“). „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის მიხედვითაც, ციზეთი (138 კომლი, 589

სული) ხორშის ადმ.-ტერიტ. ერთეულშია, ოღონდ სენაკის რ-ნში. ეს ვითარება დღემდე არ შეცვლილა.

ციზეთის ეტიმოლოგიისათვის: გ. ელიავას მოსაზრებით, „ციზეთი ← ცის ზეთი“ (ელიავა, 1989, გვ. 59). აქვეა გადმოცემული რესპოდენტისეული „მტკიცება“: „ციდან ზეთი ასხამსო, იტყოდნენ. ადგილს ამიტომაც ციზეთი შეერქვა“. ალ. ქობალია განმარტავს: **„ციზი...** წვრილმარცვლიანი წვიმა... **ციზელი** „ნაწვიმარი“; **ციზაფი** „ცრა“ (წვიმისა), თქორი, ჟინჟვლა“ (ქობალია, 2010, გვ. 683). მეგრული **ციზანს//ცგზანს,** მართლაც იგივეა, რაც „ცრის“, მაგრამ ი. კეკელია და დ. ოდიშარია უარყოფენ ამ ახსნა-განმარტებას და -თი მორფემოიდის ფუნქციის გათვალისწინებით, სამართლიანად ვარაუდობენ, რომ „ციზეთი ჯგუფური ანთროპონიმია. სადაც **ციზე** პირსახელია, ხოლო -თი იგივეა, რაც ოჯახი, სახლ-კარი (კეკელია, ოდიშარია, 2012, გვ. 86).

1996 წელს სოფ. ციზეთში აღირიცხა 34 გვარის მატარებელი 99 კომლი. მათგან გვარ გვასალიას ატარებს 17 კომლი, ძიძავასა და ჩარტიას – 9-9 კომლი, გაგუასა და გრიგოლიას – 6-6 კომლი, ბერაიას – 5 კომლი. გვართა უმრავლესობა თითო-ორი კომლითაა წარმოდგენილი.

2002 წელს განხორციელებული საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო ეროვნული აღწერის შედეგებიდან ჩანს, რომ სენაკის რ-ნის ხორშის თემის საკრებულოს სოფ. ციზეთში ცხოვრობს 339 მუდმივი მოსახლე (კაცი – 155, ქალი – 184). სოფლის ტოპონიმური მასალა აღწერილია 1984 წლის ივნისში. რესპოდენტები იყვნენ:

გრიგოლია ჯემალ ვალიკოს ძე, 41 წ.
თუნთია ალეკო პახულას ძე, 68 წ.
პაჭკორია ვალიკო ათანასეს ძე, 67 წ.
სერგია იპოლიტე მალხაზის ძე, 68 წ.
ჩარტია აკვილა ტაგუს ძე, 60 წ

# ნაწილი მეორე
# (ტოპონიმთა სია)

## – ა –

**აბანა** – 1. ერქვა სამკურნალო-სააბაზანო წყალს ბუჯერის მთის ძირას, ტეხურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „აბაზანების მისაღებად აქ ახლაც მოდიან“ (კვაუთი); 2. ტყე სიხუსა და სოფ. კვარჩხიღალს შუა. აქედან კოტიანეთში გაედინება ღელე „აბანო“ (საგუნიო); 3. წყარო ნისკურის მარჯვ. მხარეს, სოფ. ლესიჭინეს საზღვარზე (ფოცხო); 4. ღელე. იგივე მერსიოლე (ძველი სენაკი) და სხვ.

**აბანა//აბანაშ წყარი** – ვოკლუზი სოსელიაშ მინდორთან. წყალი მრავალგან ამოდის, თანაც სხვადასხვა გემოსი და შედგენილობისა. ერთოდა მირსიოლეს, რომელიც აქედან მიედინება მდ. ნახურისაკენ ძვ. სენაკში. ამჟამად არხით მდ. ტეხურს ერთვის (ზედა სორტა).

**აბანა//აბანო** – ღელე, ჭვერგელის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს აბანაში, რაც ტყეა სოფ. საგუნიოში. საზღვარი ზედა სორტასთან, ერთოდა ნახურს. არხით დააკავშირეს ტეხურთან (კოტიანეთი).

**აბანაპიჯი** „აბანოსპირი“ – სახნავი აბანასთან (კვაუთი).

**აბანაფერდი** „აბანოს ფერდი“ – ფერდობი ტეხურის მარცხ. მხარეს, აბანოსა და აბანაჭალეს თავზე (ზედა ნაქალაქევი).

**აბანაშდუდი** „აბანოსთავი“ – წყარო აბანაში (საგუნიო).

**აბანაშ ენწერი** „აბანოს ეწერი“ – ფერდობები ნისკურის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**აბანაშ ტობა** „აბანოს მორევი“ – მორევი ტეხურზე, აბანას ქვემოთ (ლესაჯაიე).

**აბანაშ ფერდი//საბჟალაშ გოლა** – სერი სოფ. კვარჩხიღალსა და ჭვერგელეს შუა (ზედა სორტა).

**აბანაშ წყარი** „აბანოს წყალი“ – 1. ღელე, ტეხურის მარცხ. შენაკადი. სათავეა აბანა (კვაუთი); 2. ვოკლუზი. იგივე აბანა (ზედა სორტა).

**აბანაჭალე** „აბანოს ჭალა“ – ჭალა ტეხურის მარცხ. მხარეს, აბანოსა და კოღონას შუა (ზედა ნაქალაქევი).

**აბანო** – 1. ტყე მენჯიშ რობუს მარცხ. მხარეს. რესპ.: „აქ ერთგან ცივი წყალი ამოდის. ციების წამლად თვლიდნენ და ამიტომ დარქმევია აბანო“ (მოხაში); 2. ტყე, ფერდობი ტეხურის მარცხ. მხარეს, გერძემიის შესართავის პირდაპირ. ერთ დროს აქ სამკურნალო წყალი ყოფილა და დაკარგულა. რესპ. ი. ბაღათურია: „მოვსწრებივარ, კუტს მოიყვანდნენ, იაბაზანებდა, მორჩებოდა და თავისი ფეხით წავიდოდა. მერე კლდე მოანგრიეს და წყალი სულ დაიკარგა“ (ზედა ნაქალაქევი); 3. ღელე. იგივე აბანა (კოტიანეთი) და სხვ.

**აბანოტობა** „აბანოს მორევი“ – მორევი ტეხურზე, აბანასთან (კვაუთი).

**აბაშა** – მდინარე, ტეხურის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 66 კმ (მარტვილის, სენაკისა და აბაშის რ-ნები).

**აბაშაჭალე** – ჭალა-სახნავები მდ. აბაშის ნაპირზე (ლებაღათურე).

**აბიბოშ ნაკარუ** „აბიბოს ნაკარვალი“ – საძოვარი სოფლის სამხრ. ნაწილში (საგვიჩიო).

**აბულაძეშკარი** – სახნავი, ჩაის ფართობი გურძემიის მარცხ. მხარეს (ლესაჯაიე, კვაუთი).

**ადამიაშ ნოხორი** „ადამიას ნასახლარი“ – სახნავი საგუნიოგოლაში (საგუნიო).

**ადესა** – 1. ტყე პარკულის მარცხ. მხარეს (რეკა); 2. ტყე სოფ. რეკის საზღვართან. ადესა ვაზის ჯიშია, მარცვალი მსხვილი აქვს, შავი ან თეთრი (თეკლათი).

**ადესონი** – 1. სახნავი. იგივე ნაადესუ (პირველი ნოსირი); 2. ტყე სალომაიოში, ეკუსქურის მარჯვ. ნაპირზე (ლეკოკაიე).

**აეროდრომი** – ყოფილი სათადარიგო აეროდრომის ნაწილი ქ. სენაკის სამხრ. ნაწილში, ქუთაის-ზუგდიდის

სარკინიგზო მაგისტრალის მარცხ. მხარეს (სენაკი, საგვარამიო).

**აესანდრეშ ნოხორი** – ტყე სოფლის ცენტრ. გზაზე. აესანდრე ← ალექსანდრე (საშურღაიო).

**ავლაჩხაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სკურიის მარჯვ. ნაპირას (შუა ხორში).

**ათაიაშ ნაცალა** – სახნავი ხიშქუში. **ნაცალა** – 1. ნათიბი, თივა; 2. ნაკაფი (ისულა).

**ათანასაშ ნოხორი** – 1. სახნავი მდ. ცივის ნაპირას (საესებუო); 2. ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე).

**ათანასაშ ქუა** – ლოდი ლეტორჩინეში (მოხაში).

**ათანასაშ წყურგილე** – წყარო ლეტორჩინეში (მოხაში).

**აინეშ ნოხორი** – ჩაის ფართობი არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**აისანდრეშ ნასილა** – სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს, საზარანდიოში. აისანდრე← ალექსანდრე. **ნასილა** „სილადანაყარი" (ეწერი).

**აკაკიაშ ნაკარუ** – 1. საძოვარი სკურტის მარჯვ. ნაპირას, გურიის საზღვართან (სირიაჩქონი); 2. მინდორი ოშორთალთან (გოლასკური); 3. მინდორი. იგივე კოლონიაშ მინდორი (მუხური).

**აკაკიშ წყურგილე** – წყარო, უჩა ღალის სათავე (გახომელა).

**ალერტკარიშ მეტერია** – მდინარე. იგივე მეტერია (ფოცხო).

**ალერტნოხორი** – სახნავი მოხაშურისა და მირგატიაშ ღალის შესართავთან, ლესანთასქუეში. გადმოცემა: „ალერტი კოც ჯოხოდუა" (ლეგოგინე).

**ალესიაშ ნოხორი** – 1. სახნავი ლეკორშიეში (უშაფათი); 2. სახნავი სანინუოს უბანში. რესპ. ა. სახოკია (86 წ.): „აქ ესახლა ალექსი ნინუა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი კოლმეურნეობის საკუთრებად იქცა" (სენაკი).

**ალესიაშ ოჩხომური** – მორევი ტეხურზე. ალესია აქ ხშირად თევზაობდა ბადით. ოჩხომური „სათევზაო ადგილი" (ჯოლევი).

**ალესიაშ ღალუ** – ღელე, ნაწისქვილუშ ღალის მარჯვ. შენაკადი, სათავეს იღებს საქაჩიბაიოში (სენაკი).

**ალესიაშ წყურგილე** – წყარო გურძემიის ნაპირას ლეტორჩინეში (მოხაში).

**ალექსანდრეშ წყურგილე** – 1. წყარო გაგუაშ ნოხორის გვერდით (საესებუო); 2. წყარო საზარანდიოში (ეწერი).

**ალექსიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**ალექსიშ ჭალე** – სახნავი ნისკურის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**ალეშ ნაქვიშა „ალეს მონასილავი“** – სახნავი ლეარზიანეში (ლესაჯაიე).

**ალიაშ ჩაი** – ჩაის ფართობი საზარანდიოში (ეწერი).

**ალმასხანიშ ნოხორი** – ბორცვი ეკუსქურის მარცხ. მხარეს, საელიოს პირდაპირ (უფალკარი).

**ალონიშე** – ხეხილნარი ცივის მარცხ. მხარეს, ცენტრ. გზაზე. რესპოდენტები: 1. „ალონიშა გოლაფე თოფი დო კოჩი დუცვილუნა“ (ალიონზე გავარდნილა თოფი და კაცი მოუკლავთ); 2. „ალონიშა „განთიადისაკენ“ ერქვა ამხანაგობას XX ს-ის 30-იან წლებში“. **ალონი** „აისი, განთიადი, რიჟრაჟი, ალიონი“ (საწულეისკირიო).

**ამბაკოშ ნოხორი** – სახნავი ლემორცხულეში (ფოცხო).

**ამპარტავანი** – მდინარე. იგივე აპარტუ(მ)ანი (უშაფათი).

**ანანიაშ ნოხორი** – სახნავი. იგივე ბაბიშ ნოხორი (პატარა ზანა).

**ანდიათი** – უბანი რიონის მარცხ. ნაპირას, ცივის შესართავის პირდაპირ. გადმოცემით, ანდიათში სახლებულან გვარად ანდრიები (სირიაჩქონი).

**ანდიშ მუხური** – სახნავი კოლოპიის მარცხ. მხარეს. ანდი პირსახელია (← ანდრი//ანდრო). (ფოცხო).

**ანდიშ ნოხორი** – მინდორი საგვასალიოში (სკურია).

**ანდრიაშ ჭალე** – სახნავი ნოღაშ მეტერიის ჭალაში, ლეგოგიეს უბანში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ანდრიშკარი** – ჩაის ფართობი ლეგოგიეში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ანდრიშ ნოხორი** – ხეხილნარი ხოჯასთან (ლეგოგი-ნე).

**ანდრიშ ფონი** – ერქვა ფონს მდ. ტეხურზე (პირველი ნოსირი).

**ანდრიშ ღალგ** – ღელე სოფლის დას. ნაწილში (ლე-ძაძამე).

**ანდრიშ ღელო** – ღელე სოფლის დას. ნაწილში (ზა-თარია).

**ანდროშ წყურგილე** – წყარო სოფლის დას. ნაწილში (გახომელა).

**ანტონიაშ ჩაი** – ჩაის ფართობი ლეტორჩინეში. ანტო-ნია ერქვა იმ კაცს, ვინც ეს ჩაი გააშენა (მოხაში).

**ანტოშ ნოხორი** – სახნავი ლეგოგიეს უბანში (ლეგო-გიე-ნასაჯუ).

**ანტოშ ჭალე** – სახნავი მდ. ცივის მარცხ. ნაპირას (საესებუო).

**ანჯაფარიაშ გა** – მაღალი ბორცვი ლესიგუეში. გა „ბორცვი, დაბალი სერი“ (კვაუთი).

**აპარტუ(მ)ანი** – მდინარე, ცივის მარცხ. შენაკადი ნეძ-მუხურთან. გაივლის ღღვებუს. არის საზღვარი ზანისა და უშაფათის თემებისა. იშვიათი ვარიანტი: **ამპარტავანი** (სა-ესებუო, უშაფათი).

**აპოსტოშ ჭალე** – სახნავი ნისკურის მარცხ. მხარეს. აპოსტო პირსახელია (ფოცხო).

**არაგვეთი** – ტყე-მინდვრები და ხევ-ფერდობები კვარ-ჩხიღალის მარცხ. მხარეს (ბეთლემი).

**არახამიეფიშ რობუ//საარახამიოშ რობუ** – ხევი, ტყე ეკის მთის აღმ. კალთაზე (კოტიანეთი).

**არახამიეფიშ ღალგ** – ღელე. იგივე საარახამიოშ ღალ (კოტიანეთი).

**არდიაშ გინაცვილა** „სადაც არდია მოკლეს“ – მინდო-რი უფალკარის ეკლესიასთან. არდია გვარსახელია. აბრა-გი ყოფილა და აქ მოუკლავთ (უფალკარი).

**არდიაშ წყურგილე** – წყარო სამირგატიოში (საესებუო).

**არსენაშ ჩაი** – ჩაის ფართობი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**არტემიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**არტემიშ შეკებული „არტემის შემოკავებული“** – ჩაის ფართობი სოფ. ეკის საზღვართან (საგუგუნავო).

**არქეოპოლისი** – ციხესიმაგრე ნაქალაქევის//ნოქალაქევის ბერძული ვარიანტი (სიტყვა-სიტყვით: ძველი ქალაქი. იხ. ნოქალაქევის თ/ს).

**არჩაიაშ დიხა** – სახნავი სახორაში. არჩაია გვარსახელია (ეწერი).

**არჩაიაშ ოხვამე** – სასაფლაო საარჩაიოში (უფალკარი).

**არჩაიაშ ტყა** – ტყე ჯოლაშ გოლასა და შალამბერიაშ გოლას (ნოქალაქევი) შუა (კოტიანეთი).

**არჩაიაშ ღალღ** – ღელე, იწყება ლემანიეში. საზიარო სოფ. მოხაშთან (ლეგოგინე).

**არჩელი//არჩილი** – ღელე, ხევი სკურიის მარჯვ. მხარეს. არჩილი აქვე, ხევის პირას, მცხოვრებ კაცს ერქვა (შუა ხორში).

**არჩილი** – ღელე, ხევი. იგივე არჩელი (შუა ხორში).

**არჩილიშკარი** – ჩაის ფართობი საანთიოში (საშურღაიო).

**არჩილიშ ტყა** – ტყე ბათლომეშ ღალის მარჯვ. მხარეს (საესებუო, ზანა).

**არჩილიშ ფერდი** – ფერდობი ბათლომეშ ღალის მარჯვ. მხარეს (საესებუო, ზანა).

**არჩილიშ ღალღ** – ღელე, მდ. ცივის მარჯვ. შენაკადი (საესებუო).

**არჯამანძეშ წყუ** – წყარო, არჩაიაშ ღალის მარჯვ. შენაკადი. მეგრ. არჯამანძე ← ქართ. არჯევანიძე (ლეგოგინე).

**არჯევანძეშ ჭალე** – სახნავი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**ატამონი** – ტყე ლეხუბუეში. ატამა „ატამი“ ← ატამი (უშაფათი).

**ატანიერი** – მინდორი ჯვეშ ლებარკალაიეში (ბეთლემი).

**ატატი** – მინდორი ჩხარის მარჯვ. მხარეს. ხალხ. ეტიმოლოგია: „ტატი ქალი ყოფილა, სახლიდან გაქცეულა. აქ უპოვიათ და უთქვამთ, „ა, ტატი ამარი რენია“ (საადამიო).

**აფაქიაშ ჭალე** – სათიბი ღაჩირეს მარცხ. მხარეს. აფაქია გვარსახელია (ეწერი).

**აფაქური//აფაქურობა** – ფერდობები სახნავებით არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „აფაქური დაყოფილი იყო რამდენიმე მფლობელს შორის. ამიტომ აფაქურობაც ჰქვია“; „ცალ-ცალკე რომ ჰქონდათ სახნავად, ამიტომ ჰქვია აფაქურობა“. აფაქიძე (თავადის გვარი) → აფაქური „რაც აფაქიძეს ეკუთვნოდა“ (ფოცხო).

**აფაქურობა** – ფერდობები. იგივე აფაქური (ფოცხო).

**აფშიაშ ნოხორი** – სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**აფხაზაშ ნოხორი** – მინდორი საქაშბაძოში (დიდი ხორში).

**აფხაზურენი//ონახუეში** – ღელე. სათავეს იღებს ესაინგიეს დას. ნაწილში და გაედინება ნაქალაქევში (ზედა ნაქალაქევი).

**აქსენტიშ ნოხორი** – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**აღათიაშ ჭალე** – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**აყრატიშ ნოდიხუ** – სახნავი მარაგანის ნაპირას. ეკუთვნოდა აყრატ ოდიშარიას (საოდიშარიო).

**აშოიანჭალე** – სახნავი. იგივე გგმოხონჭალე (ლეგოგინე).

**ახალიაშ ნოხორი** – მინდორი სოფლის ცენტრში (დიდი ხორში).

**ახალსენაკი** – ერქვა რკინიგზის სადგურთან წარმოქმნილ ახალ დასახლებას და რკინიგზის სადგურს. შემდგომში ახალსენაკი დაერქვა ქალაქს. მოგვიანებით პრეპო-

ზიციული მსაზღვრელი „ახალი“ მოეკვეცა და ქალაქს ეწოდა სენაკი (სენაკი).

**ახალსოფელი** – სოფელი ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, ქ. სენაკსა და სოფ. ისულას შუა. უწინ ერქვა ძონძირი (და ბევრი დღესაც ასე უწოდებს). დას-ით ესაზღვრება თეკლათის თემის საკრებულო (ახალსოფლის თ/ს).

**ახალსოფელი** – უბანი რიონის მარცხ. ნაპირას, აბაშის რ-ნის საზღვართან (სირიაჩქონი).

**ახალხორი** – ერქვა სენაკის მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრს ფიცუსა და ტეხურს შუა... 1858 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დედოფალი ეკატერინე და მისი შვილები პეტერბურგს გადაასახლეს. სამეგრელოს სამთავრო დაიყო სამ ოლქად – ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმისა. სენაკის ოლქის რუსული მმართველობა დამკვიდრდა იმდროინდელი სენაკის მახლობლად – ქვაშიხორსა (ზ. ჭუმბურიძე: ქვაშ(ი)ოხორი „ქვის სასახლე“. 1886 წლის აღწერის ცნობარში ესაა „Сенаки, Староместечко“ და ახალხორში (ახალ(ი)ხორი „ახალი სასახლე“, იგივე „Сенаки, Новоместечко“). კ. ბოროზდინის დროს სენაკის ოლქს ეწოდა სენაკის მაზრა (გაუქმდა 1930 წელს). დღევანდელ სენაკში რკინიგზის სადგურის აშენების შემდეგ მაზრის ხელმძღვანელობა ძველი სენაკიდან (ახალხორი, ქვაშხორი) გადავიდა სადგურის ტერიტორიაზე და დასახლებას ეწოდა ახალსენაკი.

## – ბ –

**ბაბილოშ გინაჯვილა** – სახნავი საკვირკველიოში. მიწის თაობაზე ერთმანეთს წაეკიდა ორი კვირკველია და ერთმა მეორე მოკლა. ბაბილო პირსახელია (სენაკი).

**ბაბიშ ნოხორი** – სახნავი გაგუაშ ნოხორთან (საესებუო).

**ბაბიშ ნოხორი//ანანიაშ ნოხორი** – სახნავი მაღლაკონის ნაპირას (პატარა ზანა).

**ბაბულიაშ არხი** – არხი ქვაფონსა და სანას შუა. ბაბულიას აქ „კარე“ ჰქონია (სირიაჩქონი).

**ბაბუნაშენი** – სახნავი სათურქიოში. რესპ.: „ნაშენი ცოფე, სხულ დო უშქური ჩანდუა“ (გეჯეთი).

**ბაბუშ ნაშენი** – ერქვა ტყეს საკუჭაში, ნაფაცხუსთან (სენაკი).

**ბაბუშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლებოკუჩეში. ბაბუ „ბაბუა“ ხშირად გვხვდება პირსახელად ან მეტსახელად (უშაფათი).

**ბაბშონე** – ტყე ქვაფონის მარჯვ. მხარეს. ვარაუდი: ბაბშონე აღნიშნავს: ა. პირსახელი; ბ. ბაბუასეული; **ბაბუში** „ბაბუისა“ → ბაბუშონა „ბაბუშისანი“ (ჯგუფური ანთროპონიმი) → ბაბშონა → ბაბშონე (ტყის სახელი). (სირიაჩქონი).

**ბაბშონეშ ღალგ** – ღელე, სანას მარცხ. შენაკადი (სირიაჩქონი).

**ბაგიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**ბაგრატიშ ნალებუ** – ტყე ჭიჭე დღურუს მარჯვ. მხარეს. ← ლები „ჭაობი, მოშავო-მოლურჯო მიწა“ (საშურღაიო).

**ბაგრატიშ ჭორთი** – ერქვა ტყეს საგრიგოლიოში, თეკლათის საზღვარზე. ჭორთი ახალამოყრილი ბუჩქნარია (სენაკი).

**ბადიორი** – ტყე ეკის მთაზე (საწულეისკირიო).

**ბათარია** – სოფელი, მენჯის თემის საკრებულოს ცენტრი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირზე, ქ. სენაკსა და სოფ. თეკლათს შუა. ხალხ. ეტიმოლოგია: ბათარია ← რუს. батарея „ბატარეა“ (აქ რუსის ჯარი მდგარა). შდრ. ალ. ქობალია: „ბათარია – წაგრძელებული ბორცვი მცირე დიამეტრისა... ერთგვარი ქუფე, ოღონდ მასზე გრძელი“. ჩვენი გამოკითხვით, ბათარია არის ქვაყრილი, ზამთარში თევზის დასაბუდებელი (მენჯის თ/ს).

**ბათლომეშ ნაბოგუ** – ნახიდარი გურძემიაზე. **ნაბოგუ** „ნაბოგირალი“ (ბეთლემი).

**ბათლომეშ ნოხორი** – მორევი გურძემიის მარჯვ. მხარეს (მოხაში).

**ბათლომეშ ღალე** – ღელე, მდ. ცივის მარჯვ. შენაკადი. სათავეებია კიკაშ წყუ და ხასანიშ წყუ (საესებუო, ზანა).

**ბათლომეშ წყარი** – წყარო ლესამთასქუეში (ლეგოგინე).

**ბათუშ ნოხორი** – ტყე სოფლის მთავარი გზის პირას (საშურღაიო).

**ბაკუიაშ ნოხორი** – მინდორი საბარძემსქუოში. ბაკუია პირსახელია (ბეთლემი).

**ბაკურაშკარი** – ჩაის ფართობი ლეხუნწარიეში (ლეგოგინე).

**ბაკურაძეშ ნოხორი** – მინდორი დედათა მონასტერსა და ზედა სალომიოს შუა (სენაკი, სახარბედიო).

**ბაკურიაშ წყუ** – წყარო ცხიმურონის ძირას (ბეთლემი).

**ბანკიშ ტყა** – 1. ტყე ლოგინიასა და საზღვარღალს შუა (საგვიჩიო); 2. ტყე სკურეს მარცხ. მხარეს, ძიგურამდე. რესპ.: „პატონსქუაქ დაგირუუ თე დიხა ბანკის დო ფარა გაიშეღუ" (საბესელიო); 3. ტყე. იგივე დადიაშ ტყა (ეწერი, პატარა ზანა).

**ბარამიეფიშ წყურგილე** – წყარო სოფ. ნოღის საზღვართან (ფოცხო).

**ბა(რ)ბალეკარი** – სახნავი პირველი ნოსირის საზღვართან. გადმოცემით, აქ მდგარი ეკლესია წყეშში გადაუტანიათ. არქეოლოგიური გათხრებისას ბარბალეკარში აღმოუჩენიათ რომაული დასახლების ნაშთები (შუა ნოსირი).

**ბარბალეკარიშ შარა** – გზა. შუა ნოსირიდან გადის გეჯეთისაკენ (შუა ნოსირი).

**ბარბალეში** – ბორცვი, ღელე ეკის მთის დას. კალთაზე, ნაბინეხუსა და ზისხირიშ გოლას შუა. ღელე ერთვის მდ. ცივს მარცხ. მხრიდან. ბარბალობის რიტუალი საქართველოს ზოგ რეგიონში მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული, ზოგში კი – შინაური ფრინველის გამრავლებასთან. აღინიშნებოდა ახალ წელს. საკულტო რელიგიური ტერმინისათვის ამოსავალია წარმართული ღვთაება ბარ-

ბარ-ბარბარე (ბარდაველიძე, 1941, გვ. 35; მაკალათია, 1980, გვ. 57). (სახარბედიო).

**ბარბალეჭალე** – 1. სახნავი კოლოპიის მარცხ. მხარეს, სოფ. ახუთის საზღვარზე (ფოცხო); 2. სახნავი ტეხურის მარცხ. ჭალაში (პირველი ნოსირი).

**ბარგა** – 1. ერქვა ჭეჭყობ-ბუჩქნარს მენჯისა და თეკლათის თემების საზღვართან. უწინ დაბალი, მწირმიწიანი და ჭაობიანი ადგილი ყოფილა. ძირითადად საძოვრად იყენებდნენ (რეკა); 2. ტყე სოფ. სახარბედიოს საზღვართან. იქნება 30 ჰა. რესპ.: „ჭყონეფი ნოჩე დო გითნობარგინუე საქონელი. ჭვიმაშ საფარი რდჺ" (სკურია); 3. ტყე-ქვავნარი უჩა ღელეს მარჯვ. მხარეს (გეჯეთი); 4. ტყე-ჭაობი და მინდორი სოფ. რეკის საზღვარზე" (ბათარია). ალ. ქობალია: „**ბარგა** – ბარგი; საქონლის დროებითი საბანაკო ადგილი, დაბარგების ადგილი სამწყემსურის გზაზე.

**ბარკაღალჺ** – ღელე. გაედინება სოფლის ცენტრში და ერთვის ტეხურს (ჯიხა).

**ბარნობაშ ნოხორი** – საძოვარი საშარტაოში (პატარა ზანა).

**ბარცხანა** „ბაძგნარი" – ტყე ხანჯარის მარცხ. მხარეს, ლეგოგინეში, ტველეფას თავზე (ფოცხო).

**ბარცხემღალჺ** – ღელე, დღურუს მარჯვ. შენაკადი. იწყება საბულიოში. **ბარცხი,** ბარცხენი, ბარცხემი არის ჯაგი, ბაძგი, ნარ-ეკალი, ეკლიანი ბუჩქი (პატარა ზანა).

**ბარცხენი** „ბაძგი, ბაძგნარი" – ტყე უჩა ღელის ნაპირას (გეჯეთი).

**ბარცხენია** – ტყე ჭიჭე დღურუს მარჯვ. მხარეს. ბარცხინი, ბარცხენი, ბარცხვინია იგივე თაგვისარაა (საშურღაიო).

**ბარცხენიშდუდი** – ბორცვი მაღლაკონის მარცხ. მხარეს. აქვეა დიდი ხორშის ცენტრიც (დიდი ხორში); 2. ერქვა დიდ ტყეს სოფ. ისულის საზღვართან (ახალსოფელი).

**ბარწო** – ფერდობი დიდბაგასა და ბერაღს შუა, ნაქარხანთან, საადამიოშ გოლაში. ბარწო იგივე ბარცხია (საადამიო).

**ბასაშ ნადიხუ** – სახნავი სააბურჯანიოში (უფალკარი).

**ბასაშ ნოხორი** – სახნავი ეკლესიასა და ნინუეფიშ გოლას შუა (კოტიანეთი).

**ბასილკაშ ნაწისქვილგ** – ნაწისქვილარი ქვარციელში (უფალკარი).

**ბატნოხორი** – საძოვარი საკალანდარიშვილოში (სენაკი).

**ბაღათურიეფიშ ნოხორი** – სახნავი კვარჩხიღალის მარცხ. მხარეს (ბეთლემი).

**ბაღათურიეფიშ ღალგ** – ღელე ხეობით, კვარჩხიღალის მარჯვ. შენაკადი სოფ. ბეთლემში. იწყება სამალანიოსა და ლეკოკაიეს უბანს შუა (ლეკოკაიე, ბეთლემი).

**ბაღჩა** – ტყე ლებუსკაძეში (მოხაში).

**ბახვაიაშ ნოხორი** – ტყე ლეხუბუეშ სუკის კალთაზე (უშაფათი).

**ბახვაიაშ წყურგილი** – წყარო საჩიჩუოში. ბახვაია პირსახელია (უფალკარი).

**ბახვაშ ნაჩიხა** – მორევი გოჭყვადილზე. აქ იყო წისქვილის არხის სათავე (გოლასკური).

**ბახვაშ წყურგილე** – წყარო ლეგოგიეში, ნოღაშ მეტერიის მარჯვ. შენაკადი. გაედინება ოტურეშში (ლეგოგიენასაჯუ).

**ბახიაშ ნოხორი** – მინდორი ნიშიას მარჯვ. მხარეს. ბახია გვარია (ციზეთი).

**ბახური** – ტყე საგრიგოლიოში, სადაც გადის გუნური. ალბათ: ბახა (პირსახელი) → ბახური „ბახასეული“ (უფალკარი).

**ბებიაშ ნოხორი** – 1. სახნავი ლემორცხულეში (ფოცხო); 2. სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს. ბებია გვარსახელია (უშაფათი).

**ბებიაშ წყურგილი** – წყარო საცხომარიოსა და საპარკაიოს შუა (დიდი ხორში).

**ბეგი** – ჩაის ფართობი შემაღლებაზე, გურძემიაჭალესა და ლეტორჩინეშ ფერდს შუა. ბეგი იგივე ბექია, შემაღლებული ადგილი ვაკეზე (მოხაში).

**ბეგი//დიდი ბეგი** – ველი ზანაძგის მარჯვ. მხარეს. იყოფა: ჭიჭე ბეგი, დიდი ბეგი. შუაში გადის თხირღალი. რესპ.: „მუთუნ ვაჩანსგნ თი ადგილს ჯოხო ბეგი“. ალ. ქობალია: „**ბეგი** – ბექი, შემაღლებული ადგილი ვაკეში“ (პატარა ზანა).

**ბეგიაშ წყუ** – წყარო წიფანის მარჯვ. მხარეს (მოხაში).

**ბეგიშ ნაკარუ** – მინდორი ხორგიშში (მუხური).

**ბეგლარიშ შანი** – ღელე სასიმონიოში (ნოსირი).

**ბეგოიაშ ნოხორი** – სახნავი საარჩაიოში (უფალკარი).

**ბედიაშ მუხური** – სახნავი სასირიოში, ტეხურის მარცხ. მხარეს (შუა ნოსირი).

**ბეთლემი** – სოფელი ტეხურის მარჯვ. ნაპირას და გურძემის ორივე მხარეს ფოცხომდე და უშაფათამდე. ადგ. ვარიანტი – ბერთემი. ხალხ. ეტიმოლოგია: ბერიშ თემი → ბერთემი. ბეთლემი და ქრისტეს ცხოვრებასა და წამებასთან დაკავშირებული მრავალი ადგილის სახელი შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად (იხ. კიკნაძე, 1987, გვ. 92-105). (ბეთლემი).

**ბეკოიაშ ნანოხორი** – ნასახლარი ზედა სალომიოში (სენაკი).

**ბეკოიაშ წყურგილე** – წყარო სანაჭყებიოში. ბეკოია პირსახელია (ეწერი).

**ბეკუშ ნოხორი** – სახნავი შებეს მარჯვ. მხარეს. ბეკუ პირსახელია (ფოცხო).

**ბელეხეთი** – ტყე-ფერდობები სახურციოსა და სალაკიოს შუა (ლეკოკაიე).

**ბეჟაიაშ ნოხორი** – მინდორი ხობისწყლის მარცხ. მხარეს. ბეჟაია პირსახელია (ციზეთი).

**ბეჟაშ გილნათხორა** „ბეჟას ნათხარი“ – სახნავი მეტერიის ნაპირას. რესპ.: „გოთინუა ნოკობუე მეტერიაში დო გუნთხორუ“ (მეტერიის გასწორება ნდომებოდა და გაუთხრია). (ლეგოგინე).

**ბეჟაშ ნაცვილა** „ბეჟანაკლავი“ („სადაც ბეჟა მოკლეს“) – ტყე, ხევი გურძემიის მარცხ. ნაპირას, სერზე, სა-

დაც გადიოდა ზუგდიდ-ქუთაისის სამხედრო გზა (ლეჟაჟამე).

**ბეჟაშ ნაცვილაშ ღალე//ვანოშ ღალე** – ღელე გურძემიის მარცხ. შენაკადი. გაედინება ბეჟაშ ნაყვილადან (ლეჟაჟამე, მოხაში).

**ბეჟაშ ნაწყურგილე** – წყარო ხანჯარის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე).

**ბეჟაშ ნოხორი** – სახნავი ხოჯასთან (ლეგოგინე).

**ბეჟაშ წყუ** – წყარო როკიას ქვემოთ (პატარა ზანა).

**ბერაიეფიშ ნადიხუ** – სახნავი აეროდრომთან (სენაკი).

**ბერაღი//ნაბერაღი** – ბორცვი, ყველაზე მაღალი ადგილი საადამიოშ გოლას ზეგანზე (ამის მერეა საწულეისკიროშ გოლა). აქ იყო დასობილი გეოდეზიური ნიშანი – მაღალი ქვა-სვეტი, რასაც ადგილობრივნი ბერაღს უწოდებენ. შდრ. ქართ. ბაირაღი (საადამიო).

**ბერთემი** – „ბეთლემის" ვარიანტი (ბეთლემი).

**ბერიკიაშ ნოხორი** – სახნავი ხანჯარის ნაპირზე (ფოცხო).

**ბერიძეფიშ ჭალე** – სახნავი მეტერიის მარჯვ. ნაპირას (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ბერიძეშ მამული** – ბორცვი სოფლის ცენტრში, სუღირის სათავესთან (ზანა).

**ბერკარი** – ბორცვი ლებოკუჩეში (ბეთლემი).

**ბერნოხორი** „ბერის ნასახლარი" – მინდორი ნოქალაქევიშ გოლას ჩრდ-აღმ ნაწილში. გადასცქერის ტეხურის ხეობას (ბეთლემი).

**ბერღალი** „ბერის ღელე" – 1. ღელე, ფაქვის მარცხ. შენაკადი. იწყება წყურგილეში და ჩამოივლის სადავითაიოს (უფალკარი); 2. სახნავი, მცირე ღელე ტეხურის მარცხ. მხარეს, გიძე ტყასა და გუდურს შუა. რესპ.: „კილასონიეფიშ დიხა რდუ, მარა ბერს ნოღვე დო კილასონიეფი ღალას ნორზიებუენა" (საოდიშარიო).

**ბერღალიშ შანი** – ღელე, ტეხურის მარცხ. შენაკადი (საოდიშარიო).

**ბერწულონა** „ბროწეულნარი“ – საძოვარი, ჩეოდიარეს ნაწილი (ლებაღათურე).

**ბერწყუ** „ბერის წყარო“ – 1. წყარო გირგოლეთში. ერთვის ომინჯეშიშ ღალს (ზედა ნაქალაქევი); 2. წყარო ლეკარტოზიეში (← ბერიშ წყუ „ბერის წყარო“). (მეორე მოხაში); 3. წყარო პაპანწყვირში. რესპ.: „პაპაშ ენაჭყვიდა ადგილი რე“; „პაპა ეჭყვადე“ (გახომელა); 4. წყარო კვარჩხიღალის მარცხ. ნაპირზე. მოტივაცია: „ბერს აქედან ვირით ამოჰქონდა წყალი დღევანდელ ბერნოხორში“ (ბეთლემი); 5. წყარო ნაცმერის დას. კალთაზე, გოკირილიშ ღალუს მარცხ. ნაპირას (საადამიო).

**ბერჯღანი//ბერჯღონი//ჩხორკონი** – ერქვა ტყეს ლეჭეს აღმ. ფერდობზე. ამჟამად ჩაის ფართობის სახელია. რესპ.: „ბერჯღი ორე ჩხორკამი ადგილი, დაბალი ჯალეფი, ბუჩქეფი“. ბერჯღი იგივეა, რაც ჩხერკი, ჩხვერკი, ჩხეკი, ჩხორკი. ე.ი. ხის გაფარჩხული, ხმელი ტოტი, ფიჩხი (განსაკუთრებით ხშირად აღნიშნავს ხმელტოტიან ბუჩქნარს). შდრ. ალ. ქობალია: „ბირჯღალი – გაფარჩხული; ბორჯღალა“; ო. ქაჯაია: „ჩხერკი, ჩხვერკი, ჩხირკი – ხის ხმელი ტოტი (წნელი), ფიჩხის გამხმარი ფესვი, ტოტი“ (მოხაში).

**ბერჯღონი** – ჩაის ფართობი. იგივე ბერჯღანი (მოხაში).

**ბესარიონიშ ნოხორი** – ხეხილნარი სოფლის ცენტრში (მოხაში).

**ბესარიონიშ ღალგ** – ღელე, ონახუეშის მარჯვ. შენაკადი (საჩიქობავო).

**ბესაშ დიხა** – სახნავი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**ბესაშ ნაჩიხა** „ბესას ნაგუბარი“ – ღრმა წყალი, წისქვილის არხის სათავე ტეხურზე (ბეთლემი).

**ბესაშ ნოხორი** – ხეხილი საშარტაოში (პატარა ზანა).

**ბესელიაშ ზუგუ** – 1. ბორცვი მაღაიაში. „ზუგუს ზურგის უწიინა, თიცალი რე“ (საოდიშარიო); 2. ბორცვი. იგივე ზუგუ (ნოსირი).

**ბესელიეფიშ ნოხორი** – სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში (ძიგიდერი).

**ბესოშ ნოხორი** – ჩაის ფართობი კაუტიის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში).

**ბეცეში** – სახნავი ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, სოფ. სახურცილავოს საზღვართან. **ბეცე** გეჯაა (ლესაჯაიე).

**ბეჩუნიაშ ნოხორი** – სახნავი საჯანჯღაოში. ბეჩუნია ჯანჯღავას ნასახლარია (სენაკი).

**ბეჩუშ დიხა** – სახნავი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**ბეჩუშ ჭალე** – სახნავი ნისკურის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**ბიბიში** – სახნავი მდ. ცივის ნაპირას. გადმოცემით, ამ ადგილას ოდესღაც ბიბი ესახლა (საცხვიტაო).

**ბიბლაშ წყურგილე** – წყარო სუღირის მარცხ. მხარეს (პატარა ზანა).

**ბილიორი** – ტყე, ფერდობი ერაგიაშ ღალის მარჯვ. მხარეს, რეჩხს ზემოთ (საგაბესკირიო).

**ბინეხამი** „ვაზიანი" – ტყე საგარუჩას განაპირას (ტყირი).

**ბინეხნაკვათა** „ნაკაფი ვენახი" – ტყე-ფერდობი სამატახერიოშ ღალის მარცხ. ნაპირას. აქ, ტყეში, ადესის ვაზი გაუჩეხავთ. აქა-იქ ახლაცაა დარჩენილი (სკურია).

**ბიტუშ ნოხორი** – სახნავი საჩემიოში. ბიტუ ჩემიას ნასახლარია (სენაკი).

**ბიტუშ ტობა** – მორევი ტეხურზე (სენაკი).

**ბიწკიაშ ნოხორი** – ბორცვი ჩხარსა და გითოკირილიშ ღალუს შუა. ბიწკია მამაკაცის სახელია (საადამიო).

**ბიჭინიაშ ნოხორი** – სახნავი ეკუსქურის ნაპირას. ბიჭინია მამაკაცის სახელია (უფალკარი)

**ბიჭიშ ნანოხორგ** – სახნავი სოფლის დას. ნაწილში. ბიჭი პირსახელია (საკილასონიო).

**ბლიუხერი** – ჩაის ფართობი ცივის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ბლიუხერი ერქვა „სოზ-ს" XX ს-ის 30-იან წლებში" (ლეგოგინე).

**ბოგაშდუდი „ბოგირისთავი“** – სახნავი მდ. ცივის ნაპირას (საესებუო).

**ბოგაში** – სახნავი არახამიეფიშ ღალის მარჯვ. მხარეს, ფარჩხინოლის პირდაპირ. ადგილი წყლიანი და ჭანჭრობიანია და გზა ბოგირზე (მეგრ. „ბოგა)“ გადიოდა (კოტიანეთი).

**ბოგორი** – 1. ტყე მეტერიის მარცხ. ნაპირზე, ოტურეშის პირდაპირ (ლეგოგიე); 2. სახნავი. იგივე ბუგორი (პატარა ზანა).

**ბოგორონი** – 1. სახნავი სასიმონიოში, ტეხურის მარცხ. მხარეს (ნოსირი); 2. ტყე ფართო ღალის მარჯვ. მხარეს, აბაშის რ-ნის სოფ. სამარღანიოს საზღვართან. **ბოგვერი** – „ურო“ → ბოგვერონი → ბოგორონი (სირიაჩქონი).

**ბოგორონი//ჩე ოდიარე** –სახნავი სათურქიოში. ბოგორი, ანუ ჩე ოდიარე, ბალახია ერთგვარი (შდრ.: მეგრ. „ბოგვერა იგივეა, რაც ქართ. ურო“. იხ. ა. მაყაშვილი). (გეჯეთი).

**ბოგოტახირი** – ღელე, კვარჩხიღალის მარჯვ. შენაკადი ლებაღათურეში. სავარაუდოა: ბოგა გოტახირი „ბოგირი გატეხილი“ → ბოგოტახირი (ბეთლემი).

**ბოკუჩაშ ტები** – ტყე ლებოკუჩეს განაპირას (ბეთლემი).

**ბონდაშდუდი** – სახნავი ზანაძგის ჭალაში. ამ ადგილას მდ. ზანაძგაზე ბონდის ხიდი იყო გამართული (ზანა).

**ბონდო ცანაშ ნაცვანუ** – მინდორი ზურგანეშთან (საგვიჩიო).

**ბორხომი** – ტყე ჭითა ხარდანში (შუა ხორში).

**ბოხუაში „ბოხუასი“** – ბუჩქნარი, ფერდობი ეკუსქურის მარჯვ. მხარეს. ბოხუა გვარსახელია (ლეკოკაიე).

**ბუერიშ გოლა** – მთა. იწყება სოფ. კვაუთში და მიემართება ჩრდ.-აღმ-ით (კვაუთი).

**ბრიანტიშ ნოდველი** – სახნავი, ღელე გახომელას მარჯვ. მხარეს. ბრილიანტ კილასონიას ნაყანევია (გახომელა).

**ბუგორი//ბოგორი** – სახნავი სადაოს თავზე, სოფ. ზანის საზღვართან. რესპ.: **ბუგორი, ბოგორი** ბოლქვიანი ბალახია, იგივე ბოგვერი. ალ. ქობალია: **ბოგვერი** – 1. კორდი, გაკორდებული ადგილი; 2. ურო (მცენარე). (პატარა ზანა).

**ბუკიში** – ტყე-ფერდობი სახურციოში, ეკუსქურის მარცხ. მხარეს. ბუკი ფუტურო ხეა, რომელშიც ფუტკარია დაბუდებული. შდრ. ო. ქაჯაია: **ბუკი** – ჯირკი, კუნძი, ხის მორი... სკა; გამოთლილი მორი ფუტკრისათვის (ლეკოკაიე).

**ბულათიაშ ნოხორი** – სახნავი ოჩესთან, სოფ. საჯიჯაოს საზღვარზე. ბულათია პირსახელია (პატარა ზანა).

**ბულბოგა „ბლის ბოგირი“** – მინდორი ტეხურის მარჯვ. მხარეს (სენაკი).

**ბულიაღელე//ჭიჭე ღღურუ** – ღელე, ღღურუს მარცხ. მდგენელი. იწყება ნასანგუსა და ღვაბუთში. ბულია სამეგრელოში გავრცელებული გვარსახელია. დოკუმენტირებულია XVII ს-ის საეკლესიო საბუთში (საშურღაიო).

**ბულიაშ ნორტყი** – ტყე ოფაჩაფუს დას-ით, სოფელ თეკლათის საზღვართან (ახალსოფელი).

**ბულიაშ ტყა** – ერქვა ტყეს გვიმარეშთან (ტყირი).

**ბულიშჯინჯი** „ბლისძირი“ – 1. ბორცვი. იგივე ნაჯიხუ (სირიაჩქონი); 2. მორევი ტეხურზე, ჯიხირში (გეჯეთი); 3. სახნავი ეკუსქურის ნაპირზე და მორევი ეკუსქურზე (ეკი); 4. სახნავი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირზე (საესებუო); 5. სახნავი საგაგუოში (სატყებუჩავო); 6. სახნავი სოფ. ძიგიდერის საზღვართან (ჯიხა); 7. ჩაის ფართობი მოხაშურსა და მირგატიაშ ღალს შუა; 8. ჩაის ფართობი სოფ. ზანის საზღვართან (საშურღაიო); 9. ჩაის ფართობი ცანასკურის ხეობაში (უფალკარი) და სხვ.

**ბულონა** „ბალნარი“ – 1. ბორცვი ოკვაცეს მარჯვ. მხარეს (საგაბესკირიო); 2. ფერდობი ზანაძგის მარჯვ. მხარეს (პატარა ზანა); 3. ჩაის ფართობი სოფ. ეკსა და ღღურუს შუა (საგუგუნავო).

**ბულონი** 1. ბუჩქნარი ზანაძგის მარჯვ. მხარეს, საკვირაიოში (ეწერი); 2. ტყე შხეფში. ამჟამად აქ ბალი არ ხარობს (სენაკი).

**ბულდალგ** „ბლის დელე“ – დელე, საზღვარი საჯი-ჯაოსთან (პატარა ზანა)

**ბულწყარი** „ბლის წყარო“ – ფერდობი წმინდა ბარ-ბალეს დას-ით (ლესაჯაიე).

**ბურდღუიაშ წყუ** – წყარო მდ. ცივის ჭალაში (საესე-ბუო).

**ბურდღუში** – საძოვარი ცივის მარჯვ. მხარეს. ბურ-დღუს (მამაკაცის სახელია) ნასახლარია (საცხვიტაო).

**ბურღონა** – 1. საძოვარი ტეხურის მარცხ. მხარეს (საოდიშარიო); 2. საძოვარი ხიხონასთან (საცხვიტაო); 2. სახნავი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირზე. **ბურღი** ბუერაა – ხში-რი და ფართოფოთლოვანი ტყის მცენარე (საადანაიო).

**ბუჭუნაშ ნოხორი** – სახნავი ლეღვინჯილეში. ბუჭუ-ნა პირსახელია აქ მცხოვრები ღვინჯილიების წინაპრისა (ფოცხო).

**ბუხუტიაშ ნაკაზარმუ** – საძოვარი ტებთან. გადაეცა სოფ. გეჯეთს (ჯიხა).

**ბუხუტიაშ ნაკაზარმუ** – ტყე ტებიძგასთან (გეჯეთი).

**ბუხუტიშ ნოხორი** – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხა-რეს, საშეროზიოში (უშაფათი).

## – გ –

**გა** – 1. სერი ლეკირცხალიეში (ბეთლემი); 2. სერი, სახნავები უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. **გა** – ა. სერი; ბ. ურ-მის წინახიდი (უშაფათი).

**გაბედეფიშ ნოხორი** – სახნავი სოფლის აღმ. ნაწილ-ში (ძიგიდერი).

**გაბელიაშ ნოხორი** – სახნავი სუღირსა და დღურუს შუა (პატარა ზანა).

**გაბიორზენი** – სახნავი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს (საესებუო).

**გაბრიოშ ნოცონი** – ტყე საჩიქობაშ გოლაში (საჩიქო-ბავო).

**გაბრიოშ ნოხორი** – სახნავი ეკლესიასა და ნინუეფიშ გოლას შუა (კოტიანეთი).

**გაბუნიაშ ნოხორი** – ბორცვი ტეხურის მარცხ. მხარეს (ზედა ნაქალაქევი).

**გაბუნიაშ ღალგ** – ღელე, არჩაიაშ ღალის შენაკადი. გაედინება უშაფათში (მეორე მოხაში).

**გაბუნიაშ ღალგ//უჩაშონაშ ღალგ** – ღელე, ტარჩენის ზემო წელი. მოედინება სასიგუოდან (სოფ. კვაუთი), სადაც ეწოდება ოფერწიეშ ღალ. გაივლის უჩაშონას (ჯოლევი).

**გაბუნიხეშ ძუგუ** – მცირე შემაღლება საოჩიგაოში, სოფ. წყემის საზღვართან. რესპ.: „ამ სოფელში ძუგუ სხვაგანაცაა, კერძოდ, აბაშის ნაპირზე“. **ძუგუ** „შემაღლება, მცირე ბორცვი; ზურგა“ (გეჯეთი).

**გაბუჩიაშ ხაბო** – ხევი სოფლის ჩრდ. ნაწილში. გაბუჩია პირსახელია (გვარად იყო ხარბედია), ხაბო კი აღნიშნავს კლდე-ციცაბოს (სახარბედიო).

**გაგაწყუ** – ნაკადული. იწყება ოხვამეკართან და ერთვის მდ. ცივს მარჯვ. მხრიდან (საადანაიო).

**გაგიაწკვარამი** – კარსტული ჭა საადამიოშ გოლაზე. გადმოცემით, აქედან მიწის ქვეშ გადის წყალი – ჩხარის სათავე. რამდენჯერმე სცადეს ჩასვლა, მაგრამ უშედეგოდ. გაგია პირსახელია. **წკვარამი** – უფსკრული; ღრმა და ბნელი ორმო (საადამიო).

**გაგუ** – 1. ბორცვი მეტერიასა და ხანჯარას შუა. გაგუ← გაგურუ „დაბალი, ბრტყელი ბორცვი“ (ლეგოგინე); 2. ბორცვი ცივისა და ნოღალის წყალგამყოფზე. რესპ.: „გაგუ რე შემაღლებული ადგილი, ფართო დო რგვალი დუდი უღუ“ (ფოცხო).

**გაგუაშ ნოხორი** – 1. საძოვარი აბაშის მარჯვ. ნაპირზე (ლებაღათურე); 2. ჩაის ფართობი პაჭაკურის მარჯვ. მხარეს (საესებუო).

**გაგუაშ ფერდი** – ფერდობი სოფლის დას. ნაწილში (ლებაღათურე).

**გაგუაშ წყურგილე** – წყარო გაგუაშ ჭალესთან (უშაფათი).

**გაგუაშ ჭალე** – 1. სახნავი მდ. ცივის ჭალაში, დირზენს ქვემოთ (საესებუო); 2. სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**გაგუეფიშ ფერდი** – ფერდობო საჭუბარიოში (კოტიანეთი).

**გაგუეფიშ წყუ** – წყარო პაჭაკურის მარჯვ. მხარეს (საესებუო).

**გაგურა** – სერი. მეისარონიდან ეშვება სკურდისაკენ (ლესაჯაიე).

**გადელიაშ ობინეხე** – სახნავი სასახოკიოში. გადელია გვარია. ობინეხე „ვენახი; სავენახე" (სენაკი).

**გაინეშ წყურგილე** – წყარო მეტერიის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**გაიოზიშ ნოხორი** – სახნავი საგრიგოლიოში (სენაკი).

**გაიოზიშკარი** – ჩაის ფართობი ხოჯასთან (ლეგოგინე).

**გალეთი** – ჭალა-ფერდობები მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, კაჟიშ ოტახუეს გვერდით (საადანაიო).

**გამოქვაბული** – მღვიმე ჩხარის სათავესთან (საწულეისკირიო).

**გამოქვაბული//ქვაბიში** – მღვიმე გითოკირილის ჩრდ. კალთის ძირას (საადამიო).

**გამოქვაბულიშ წყარი** – წყარო. გითოკირილიშ ღალუს მარჯვ. შენაკადი. ამ ღელის მარჯვ. ნაპირასაა საგუნიო და საკუჭაო (საადამიო).

**გამუთი** – ხევი, სადაც გაედინება ფულარიაშ წყარი (ციზეთი).

**განაკე** – მინდორი, სახნავი ღალჩას ორივე ნაპირას, საოდიშარიო-ნოსირის საზღვარზე. იქნებ: განაკებუ „შემოკავებული" → განაკე (ნოსირი, საოდიშარიო).

**განაკეშ ღალგ** – ღელე, ტეხურის მარცხ. შენაკადი (საოდიშარიო).

**განგაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მდ. ცივის მარცხ. მხარეს. განგავა გვარია (საესებუო).

**განგაშ ღალგ** – ღელე, ცივის მარცხ. შენაკადი. გაივლის ჩირეს. განგავა გვარსახელია (უშაფათი).

**განიშ კანავო** „განივი არხი“ – ერთ-ერთი მთავარი წყალსაწრეტი არხი, რომელიც გადის ყულევში. სხვა არხები ამ არხს ერთვის. რუს. канава „თხრილი“ → მეგრ. კანავო „არხი“. განიში „განისა“ იმიტომაა ეს არხი, რომ აღმიდან დას-ით მიემართება და ყველა არხი მას ერთვის (გოლასკური).

**განიშ კანავო//გონთხორილი** – არხი. საზღვარი ხობის რაიონთან.. **განი** „განივი, გვერდითი“. ზოგნი ყორათის არხსაც განიშ არხს უწოდებენ. **გონთხორილი** „ნათხარი; გათხრილი“ (მუხური).

**გარამეში** – ტყე ონახვეშის მარცხ. მხარეს, ოტყობენჯის პირდაპირ (ლეკოკაიე).

**გარამი** – ბორცვი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს, ლეგაბუნიეში. **გარამი** – კარსტული ჭა; მღვიმე; ჯურღმული (უშაფათი).

**გარდეფიშ ნოხორი** – მინდორი ნიშიას მარჯვ. მხარეს. გარდავა გვარია (ციზეთი).

**გასილაშ ტები** – ტყე გურძემიის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „გასილა გვარია“. ამჟამად ეს გვარი არ ფიქსირდება (ბეთლემი).

**გაშფერდი** „სერის ფერდობი“ – სერი ეკის მთის სამხრ.-აღმ. ნაწილში, რომელსაც საჩიქობაშ გოლა ეწოდება. დასცქერის სოფელს (საჩიქობავო).

**გაცხაბო** – ხევი ოკვაცეს მარცხ. ნაპირას (საადანაიო).

**გახომელა//გახომილა** „მშრალი სერი“ – ა. სოფელი, ტეხურის მარჯვ. მხარეს. ეკის მთის კალთაზე. ესაზღვრება სამხრ-ით – სოფ. კოტიანეთი, ჩრდ-ით – სოფ. ბეთლემი; ბ. ეწოდება ღელეს, რომელიც იწყება საარჩაიოშ გოლადან. გაივლის სოფ. გახომელას და ერთვის ტეხურს მარჯვ. მხრიდან საწულაიოში (გახომელა).

**გახომილა** – სოფელი, ღელე. იგივე გახომელა (გახომელა).

**გახუნოხორი** – საძოვარი საქაშბაძოში (დიდი ხორში).

**გაჯარი** – 1. სერი სოფ. ლებაღათურესა და სოფ. ნაქალაქევის საზღვარზე (ჯიხა); 2. ჯაგნარი ფოცხოსა და საკეკუოს (სოფ. საგუნიო) შუა. რესპ.: „ტკილიანი, უნაყოფო, ქვავნარი ადგილია. ძღილი და ქუნცი ხარობს“. შდრ. ალ. ქობალია: „**გაჯარი** – კაჭარი, ქვიანი, წითელმიწა, მაგარი, ძნელად დასამუშავებელი ადგილი“ (უფალკარი).

**გებენაჩქონი** – ღელე, წყარგელეს შენაკადი (საგვიჩიო).

**გეგიამუხური** – საძოვარი წისქვილწყარის მარცხ. მხარეს. გეგია გვარსახელია (გეგე → გეგეა → გეგია). (პირველი ნოსირი).

**გედეშ ოჭყონე** – ბუჩქნარი საქანთარიოში. გედე ← გედევანი. ოჭყონე „სამუხე“. იგულისხმება მუხნარი (ძველი სენაკი).

**გედიაშ ნოხორი** – სახნავი გითოკირილიშ ღალუს მარჯვ. მხარეს. გედია პირსახელია (საადამიო).

**გელოზიეფიშ ნოხორი** – სახნავი ახალსოფელში. გელოზია გვარსახელია. 1616-1621 წწ. დაწერილ „საცაიშლო გამოსავლის დავთარში“ დასახელებულია „წყარიგზურს მცხოვრები გლეხი გელოზია“. დღეს ეს გვარი ძალზე მცირერიცხოვანია – 58 სული საქართველოში, მათგან 36 – სენაკის რ-ნში. საისტორიო წყაროებშივეა დაფიქსირებული ვარიანტები გელოზა და გეროზია (ქსძ, III, გვ. 473, 467; პალ. I, 630). (სირიაჩქონი).

**გემლაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლედემურიეში. რესპ.: „გემლა ერმინეს მეტსახელია. რატომ? არავინ იცის“ (ფოცხო).

**გერანიშ შარა** – გზა, რომელიც გადიოდა ხორშში, გაიყვანა გერანის საბჭოთა მეურნეობამ (სახარბედიო).

**გერასმეშ ნაკარუ** – საძოვარი გოჭყვადილის ნაპირას (გოლასკური).

**გერახონა** – ტყე, ფერდობი ზანაძგის მარცხ. მხარეს. შდრ. გერეხონა (პატარა ზანა)

**გერგებელალგ** – ღელე, მოხაშურის მარცხ. შენაკადი. გერგებე კაცს ერქვა. გვარად იყო გოლავა (უშაფათი).

**გერეხონა** – მორევი ხობისწყალზე. **გრეხი, გერეხი** ვაზის ჯიშია ერთგვარი, თეთრ, მსხვილ მარცვალს ისხამს (ციზეთი).

**გერზენა** „დავაკება“ – 1. ჩაის ფართობი სერზე, სახუბუოსა და საჯოლოგუოს შუა (ფოცხო); 2. დავაკება ტეხურის მარცხ. ნაპირზე (ჯოლევი); 3. მინდორი შხეფის (ქ. სენაკი) საზღვართან (საჩიქობავო).

**გერიეში//გერიეშ ნოხორი** – სახნავი ზანაძგის მარცხ. მხარეს, სოფ. ლესიჭინეს საზღვართან. გერიე (პირსახელია) აქვე ესახლა (სატყებუჩავო, საშურღაიო).

**გერიეშ ნოხორი** – სახნავი. იგივე გერიეში (სატყებუჩავო, საშურღაიო).

**გერიშ გინაცვილა** „მგელნაკლავი“ – ჩაის ფართობი სახორასა და საზარანდიოს შუა (ეწერი).

**გეროხონა** – 1. სახნავი სასახესქუოში (შუა ხორში); 2. ტუნგის ნარგავები მოხაშის საზღვართან. რესპ.: „გეროხი იგივეა, რაც გრეხი, გერეხი – ვაზის ჯიში“ (მეორე მოხაში).

**გეშქანი** – სახნავი ჭალაში, ცივის მარცხ. ნაპირზე, ხიდთან. გეშქანი, გოშქანი „შუათანა“ (საადამიო).

**გეჩეხილი** – 1. სახნავი ჭითა ღელოს მარცხ. მხარეს. **გეჩეხუა** – მიწის დამუშავება, ჩენგით გაჩორკვნა → გეჩეხილი „გაჩორკნილი“ (რეკა); 2. ღელე ბარბალეჭალეში, სკურეს მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „**გეჩეხილი** – ა. აჩეხილი, ძირში მოჩეხილი; ბ. დახვავებული“; რადგან ღელის სახელია, როგორც ჩანს, გეჩეხილი ნიშნავს ნაგუბარს, ჯებირს ღელეზე (პირველი ნოსირი).

**გეჭვილვეხი** „დამწვარი ვერხვი“ – მინდორი სუღელოს მარცხ. ნაპირას (ტყირი).

**გეჯეთი** – სოფელი მდ. ტეხურსა და მდ. აბაშას შუა. ესაზღვრება: აღმ-ით სოფ. წყემი, დას-ით – სოფ. ნოსირი, ჩრდ-ით – ნოქალაქევი (გეჯეთის თ/ს).

**გვადაიაშ ღალვ** – ღელე, გურძემიის მარცხ. შენაკადი (ლესაჯაიე).

**გვადაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი გერზენასთან (ფოცხო).

**გვადაშ ტყა** – ტყე ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**გვათუაშ ნოხორი** – მინდორი საჩარტიოში (ციზეთი).

**გვაჩიაშ ნოხორი** – ხევი ზედა ნაქალაქევის საზღვართან (ლებაღათურე).

**გვაჩილაშ ტობა** – მორევი ტეხურზე (ჯოლევი).

**გვაძაბიაშ ნოხორი** – ბორცვი საფითურიოსა და ოკატუეშს შუა. გვაძაბია გვარსახელია (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 70). (გახომელა).

**გვერდაში** – ფერდობი საბარქაიოში, სადაც გზაზე მოსახვევიც იყო (კვაუთი).

**გვერდმანათიანი** „ნახევარმანეთიანი" – ტყე, ფერდობი საბჟალაში. უყიდიათ ნახევარ მანეთად (ზედა სორტა).

**გვიარზენი** – სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს. გვია ← გვილავა (გვარსახელია). (სატყებუჩავო).

**გვიდიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მოხაშურის მარჯვ. მხარეს. გვიდი პირსახელია (ლეგოგინე).

**გვიმარეში** „გვიმრისა" – 1. ტყე სუღელოს ნაპირას. აქ ეყენათ საქონელი საგვარამოელ ლაშქარავებს (ტყირი); 2. ტყე ღორთოლის მარცხ. მხარეს (ახალსოფელი).

**გვირაბი** – გვირაბი, რომელიც ციხეგოჯს აკავშირებდა ტეხურთან. ძირითადი დანიშნულება მეციხოვნეებისა და მოსახლეობის წყლით მომარაგება იყო. ფაქტი აღნიშნულია ბერძნულენოვან წყაროებში (ჯიხა).

**გვრიტიშური** – ვაკე-ბორცვი სოფლის დას. ნაწილში. გვრიტი (პირსახელი) → გვრიტიშური „გვრიტისეული; გვრიტის კუთვნილი". იმერეთში გავრცელებულ „სეულს" მეგრულში შეეფარდება შური, შული (გახომელა).

**გიგოიაკარი** – სახნავი. იგივე სამხედრო ცვანა (ლებაღათურე).

**გიგოიაშ ნოხორი** – სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**გიგოშ ნოხორი** – სახნავი ეკის მთის კალთაზე (სახარბედიო).

**გითიში//გითიშ წყარი** – წყარო ჭყონიაღელოს მარცხ. მხარეს, ნავადაქართან (უფალკარი).

**გითიშ წყარი** – წყარო. იგივე გითიში (უფალკარი).

**გითნაჭვი** „ნახანძრი“ – ტყე ეკის მთაზე (სახარბედიო).

**გითოკირილი** „ამოკირული“ – 1. გზა კლდეში. ეს გზა ადიოდა ნაბერაღუში; 2. მინდორი საკალანდიოს თავზე (სენაკი); 3. გამოქვაბული, წყარო ნაცმერის სუკის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მენათში. აქედან გამოედინება გითოკირილიშ ღალუ. გამოქვაბული ამოშენებულია ქვითკირით. არაიშვიათად იტყვიან: ციტუნიაშ ღალ (საადამიო).

**გითოკირილიშ ღალგ** – ღელე, რომელიც ჩაუდის კინტირიაშ ჭალეს (ეკი).

**გითოკირილიშ ღალუ//ღალუ** – ღელე, ცივის მარცხ. შენაკადი ჩხარის ჩრდ-ით. სათავეს იღებს ნაცმერში (საადამიო).

**გითოკირილიშ წყურგილე** – წყარო გითოკირილთან (სენაკი).

**გითოტახილი** „გამოტეხილი“ – შესასვლელი ციხის კედელში, ტეხურის მარცხ. მხარეს. გზა იყო გაჭრილი ციხის კედელში და მიდიოდა ხიდ გოჭკადილისაკენ (ჯიხა).

**გილახონი** – სახნავი. იგივე დილახონი (პირველი ნოსირი).

**გინძე ბეგი** „გრძელი ბექი“ – მინდორი ბანკიშ ტყასთან (ეწერი).

**გინძე მინდორი//გირძე მინდორი** „გრძელი მინდორი“ – სახნავი სოფლის დას. ნაწილში. ე.წ. „მეჟევანიის“ საბუთში, რომელსაც ინახავდა ანეტა ხოფერია, დასახელებულია ნაკვეთი „გიძე მინდორი“ (ისულა).

**გინძე ტყა** „გრძელი ტყე“ – სახნავი რჩქონის გვერდით. ცოტათი ამაღლებულია ჭალაზე (ნოსირი).

**გიონოხორი** – 1. სახნავი საპაჭკორიოში, ცივის მარცხ. მხარეს, ხიხონასთან (საცხვიტაო); 2. ტყე უჩა ღალის მარცხ. მხარეს, სალომაიოსა და უბან ლეკოკაიეს შუა (ლეკოკაიე).

**გიორგიშ ბაღჩა** – ბუჩქნარი სკურიის ნაპირას. გიორგის აქ მცირე ბაღი ჰქონია. ო. ქაჯაია: „**ბაღჩა** – ბაღი, ბაღჩა“ (შუა ხორში).

**გიორგიშ ნაისირგ** „გიორგის ნაისლევი“ – სახნავი ფაქვის მარჯვ. მხარეს (უფალკარი).

**გიორგიშ ნოხორი** – 1. მინდორი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე); 2. საძოვარი ლეგაბელიეში (უშაფათი); 3. ხეხილი ჩხოჩხათიშ ღალის მარცხ. მხარეს (ზედა ნაქალაქევი).

**გიორგიშ ჭალე** – სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (საესებუო).

**გირგოლეთი** – სერი, ქარჩქაღელის სათავისა და ომინჯეეშიშ ღალის წყალგამყოფი. გირგოლა (პირსახელი ან გვარ გრიგოლავას ვარიანტი) + -ეთ (ზედა ნაქალაქევი).

**გირიონი** – ერქვა სახნავს ღელე გახომელას მარჯვ. მხარეს, ოხარდანეს გვერდით. ამჟამად აქ ტბორია (გახომელა).

**გირძეგა** – სერი. საზღვარი მარტვილის რ-ნის სოფ. ჯოლევთან (ჯოლევი).

**გირძე მინდორი** – 1. მინდორი რიონის მარჯვ. მხარეს, ფართო მინდორს ქვემოთ (ახალსოფელი); 2. მინდორი. იგივე გინძე მინდორი (ისულა).

**გირძე ნოცონი** „გრძელი ნაყანევი“ – სახნავი უჩა ღელის ნაპირას (გეჯეთი).

**გირძე ჭალე** „გრძელი ჭალა“ – სახნავი ფაქვის ნაპირას (უფალკარი).

**გირძელია ბოგა** „მოგრძო ბოგირი“ – ბოგირი საარახამიოშ ღალზე (კოტიანეთი).

**გირძონა** – ტყე ლემალანიეში. გირძონა ← გირძე ცონა „გრძელი ყანა“ (მეორე მოხაში).

**გიშაშირილი** „გამოცვეთილი, ჩაცვეთილი“ – გზა-გასასვლელი ორეკეშში (ჯოლევი).

**გიშაჭკომილი** „ამოჭმული, გამოჭმული“ – 1. გზა-გასასვლელი სერზე. სამაჭავარიანოდან გადადის საარჩაიოში (უფალკარი); 2. ვაკე-ხევი საბედიოში. რესპ.: „ჩამოიმეწყრა და ხევად იქცა“ (საჩიქობავო).

**გიშახორხილი** „გამოხერხილი“ – 1. გზა-გადასასვლელი ლარესთან (უშაფათი); 2. ნაგზაური ინჭირეშთან.

**გიშახორხილი** ზოგადად აღნიშნავს ბორცვზე ჩაჭრილ ან კლდეებს შორის გამავალ გზას (ლესაჯაიე).

**გიძე მამული** – სახნავი. იგივე შქამამული (პატარა ზანა).

**გიძე მინდორი//გგნძე მინდორი** „გრძელი მინდორი" – საძოვარი ტყეში, ცივის მარცხ. მხარეს (ტყირი).

**გიძე ტყა** – სახნავი ტეხურსა და მარაგანს შუა (საოდიშარიო).

**გიძონა** – ფერდობი ფაქვის მარჯვ. მხარეს. გრძლად დევს. მაშასადამე, გინძე ცონა „გრძელი ყანა" → გინძონა → გიძონა (უფალკარი).

**გობოგილი** „გაბოგილი" – 1. ღელე, მირგატიეფიშ ღალის მარცხ. შენაკადი (მოხაში); 2. ჩაის ფართობი ლესანაიეში, სადაც გაედინება ესავაშ ღალ (მეორე მოხაში).

**გობოგირი** „გაბოგილი" – მინდორი სურონაში (საგუნიო).

**გოგიაშ სუკი** – 1. ბორცვი სოფ. ბიის (ხობის რ.) საზღვართან (შუა ხორში); 2. სერი უჩა ღალსა და ოდოსქირეს შუა (ციზეთი).

**გოგიდერი** – ტყე, ფერდობი ლეკარტოზიეში (მეორე მოხაში).

**გოგიშ წყურგილე** – წყარო, ბარკალაღალის ერთ-ერთი სათავე სოფ. ზედა ნაქალაქევის საზღვართან (ჯიხა)

**გოგორიში** – სახნავი ცივის მარჯვ. ჭალაში. „ქალს ეკუთვნოდა და გოგორი მას ერქვა" (ეკი).

**გოგოჩი** – სახნავი სერზე. იგივე ნოხორი (ეწერი).

**გოგუაკარი** – მინდორი ლესიგუეში. გოგუაკარი გოგუას ჭიშკრის წინ მდებარე ტერიტორიაა (კვაუთი).

**გოგულიაშ ტები** – ტყე ლეტორჩინეში. გოგული არის პირსახელი, გიორგის მოფერებითი, საალერსო ვარიანტი. რესპ.: „ორიოდე კომლი, გვარად გოგულია, აქვე ესახლა, ლეკარტოზიესა და ლებარჯანიეს შუა. ამჟამად ჩაის ფართობის სახელწოდებაა". მ. მოხაშში ლეგოგულე მიკროუბნის სახელია (მოხაში).

**გოგულიაშ ტყა** – ტყე ლეგოგულიეში (მეორე მოხაში).

**გოთხორილი** „გათხრილი“ – სახნავი მაღლაკონის მარცხ. ნაპირას (დიდი ხორში).

**გოკირილი** „შეკრული, შემოკირული“ – ხიდის საფუძველი მდ. ცივზე. გადმოცემით, აქ თათრებს დაუწყიათ ხიდის გადება. ვერ მოუსწრიათ, რუსებს განუდევნიათ (ზათარია).

**გოლა//ეკიშ გოლა** „ეკის მთა“ – შხეფის მთიანი ნაწილი. ამ გოლაზეა ოზირი//ფართო წყარი (სენაკი).

**გოლასკური** – სოფელი თეკლათის თ/ს-ში, მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ტყირის პირდაპირ. ესაზღვრება: დასით – სოფ. თეკლათი, აღმ-ით – სოფ. ტყირი. თეკლათამდე 6 კმ. რესპ.: „გოლაია გვარია, წალენჯიხიდან ჩამოსულა და აქ საქონელი ჰყოლია, უკან დაბრუნებისას მოუკლავთ, ყურიც მოუჭრიათ. ამიტომაც დარქმევია გოლას ყური“. გვარები გოლაია, გოლავა, გოლაძე კიდევაც დასტურდება ოფიციალურ წყაროებში. სკური ჰიდრონომენია (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 74). (თეკლათის თ/ს).

**გოლაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მოხაშურის ნაპირას. გვარად გოლავას ნასახლარია (უშაფათი).

**გოლუაფირი** „გარშემოვლებული“ – 1. სახნავი. მორევი ცანასქურის ნაპირას. მრგვლად არის შეჭრილი ცანასკურის კალაპოტში (უფალკარი); 2. ტყე ცივის მარჯვ. მხარეს. სოფ. ეკისაგან გამოყოფს ნაწისქვილუ. სახელწოდების მოტივაცია: შესაძლოა, ტყე თუ სახნავი თხრილით ან ღობით ყოფილიყო შემოვლებული (საშურღაიო).

**გომნაკარუ** –საძოვარი ახალსოფელში. აქ მდგარა ვანის რ-ნის სოფ. გომის კოლმეურნეობის ფერმა და, რა თქმა უნდა, „კარეც“ (კარავი) ექნებოდათ (სირიაჩქონი).

**გონთხორილი** – არხი. იგივე განიშ კანავო (მუხური).

**გონწყვილი** „დამეწყრილი“ – ხევი, ღელე – ოკვაცეს მარჯვ. შენაკადი (საგაზესკირიო).

**გორგილი** „შემორგული“ – მინდორი გურძემიის მარჯვ. ნხარეს (ზეთლემი).

**გორდიელი** – ღელე, ბერღალის მარცხ. შენაკადი საკოღუოში, სათავეს იღებს დადიაშ ნატახტუს კალთებიდან (უფალკარი).

**გორდიშ ნოხორი** – ბორცვი ეკუსქურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „გორდი ერქვა აქ მოსახლე რუსს“ (ლეკოკაიე).

**გორკიღელე** – ღელე ფიჩხერში, უჩა ღელესა და მდ. აბაშას შუა. მოედინება ნაქალაქევიდან. წყემის საზღვართან ერთოდა აბაშას (გეჯეთი).

**გოროზიაშ წყურგილი** – წყარო საჩიჩუოში (უფალკარი).

**გოროხონა** – საძოვარი ლებაღათურესა და ნოჯიხენს შუა. **გოროხი** – ბელტი, მსხვილი ქვა (ბეთლემი).

**გოსოფილი** „გარღვეული“ – ღელე. ოწყარეტყადან იშოვა გასასვლელი უჩა ღალისაკენ (გოლასკური).

**გოჩეხილი** „ჩახერგილი“ – ტყე წალამონიშ ღალის ნაპირას, სადაც ხეები ყოფილა ჩაყრილი მდინარეზე გადასასვლელად (სკურია).

**გოჩნოხორი** – საძოვარი სოფლის დას. ნაწილში. გოჩი პირსახელია (საგუგუნავო).

**გოჭვილოხვამე//წმინდა გიორგიშ ოხვამე** – სასაფლაო საჯღამაიო-საკოხიოში. გოჭვილი „შემომწვარი“. თურქებს დაუწვავთ ეს ეკლესია (გეჯეთი).

**გოჭიფე** „ვიწრობი“ – სერი დიდ და ჭიჭე დღურუს შუა, სოფ. საგუგუნაოს საზღვრამდე (საშურღაიო).

**გოჭკადილი** – ძველი ხიდი ტეხურზე. გოჭკადილი „გაჭედილი, შეჭედილი“ საერთოდ ერქვა ძელ-ფიცრის საურმე ხიდს (ჯიხა).

**გოჭყვადილი** „გაწყვეტილი“ – ღელე, ცივის მარჯვ. შენაკადი ხორგიშის სამხრ.-დას. ნაწილში. ნაწვიმარზე ნოცენსაც ერთოდა (მუხური).

**გოჭყვადილი//გოჭყვადირი** „გაწყვეტილი, გამწყდარი“ – ღელე, მდ. ცივის მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „კოჩი რე გგნაჭყვადა“ (გოლასკური).

**გოჭყვადირი** – ღელე. იგივე გოჭყვადილი (გოლასკური).

**გოხინტკირი** „ჩაჭრილი“ – გზა, გასასვლელი სერზე სოფ. ჯიხას მიმართულებით. აქვეა ზედა ნაქალაქევისა და ქვედა ნაქალაქევის საზღვარი. **გოხინტკუა** „მაგარი საგნის ჩაჭრა, ჩაკვეთა“ → გოხინტკირი (ზედა ნაქალაქევი).

**გოხორხილი** „გახერხილი“ – გზა-დასასვლელი. რესპ.: „ჩაჭრეს ბარით ზანაძგა-სუღირის წყალგამყოფზე“ (პატარა ზანა).

**გრაფიშ წყარი** – წყარო ლეტყებჩეში. გრაფი ქალს ერქვა (მეორე მოხაში).

**გრიგოლიაშ ნაცვანუ** – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში (სატყებუჩავო).

**გრიგოლიშ ნაკარუ** – საძოვარი სოფ. ჭალადიდის საზღვართან (გოლასკური).

**გრიგოლიშ ნოხორი** – 1. სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს, ჭალაში (ეწერი); 2. სახნავი სასალაყაიოში (ბათარია).

**გრიგოლიშ ტობა** – მორევი მდ. ზანაძგაზე (ეწერი).

**გრიშაშ ტობა** – მორევი მდ. გურძემიაზე (ლეგოგიენასაჯუ).

**გუგერი** – სერი სოფ. ჯოლევისა და სოფ. აბედათის საზღვართან. რესპ.: „**გუგერი** ეწოდება რამდენიმე მაღალ ბორცვს ერთად. გა კი არის ერთი ბორცვი. **სუკიც** ბორცვია, ოღონდ შემაღლებული „დაბლიდან მაღლა“. საერთოდ, გუგერი რამდენიმე ობიექტს ეწოდება სამეგრელოში და ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ფართო ვაკე-ბორცვს (კვაუთი).

**გუგითი** – ხევ-ფერდობები სოფ. გაღმა საჯიჯაოს საზღვართან. გუგითი ← გუგუშ თი „გუგუს შთამომავლობა“ (დიდი ხორში).

**გუგურო** – ბორცვი ეზარქუეში (ზედა ნაქალაქევი).

**გუგურო(ნი)** – სერი ზედა ნაქალაქევის საზღვარზე, ომინჯეშის მარცხ. მხარეს (ლებაღათურე).

**გუგუროშ ფერდი** – ფერდობი ტეხურის მარცხ. ნაპირსა და გუგუროს შუა (ზედა ნაქალაქევი).

**გუგუსქუაშ ტები** – ტყე გურძემიის მარჯვ. მხარეს. გუგუსქუა გვარ გუგუშვილის (ფართოდაა გავრცელებული სამეგრელოში) არაოფიც. ვარიანტია (მოხაში).

**გუგუშ ნაფაცხუ** – ჩაის ფართობი საზარანდიოსა და სახორას შუა. უწინ აქ გუგუს (პირსახელია) ედგა ფაცხა (ეწერი).

**გუგუშ ტყა** – ტყე საზარანდიოში (ეწერი).

**გუგუშ ცხიმურონა** „გუგუს რცხილნარი“ – ტყე სა-ხორაში (ეწერი).

**გუდათრობა** – ტყე, ბორცვი ცანასკურსა და საკუჯას შუა (ეკი).

**გუდათურონი** – 1. სახნავი ლესამთასქუეში. რესპ.: „გუდა(უ)თური ვაზის ჯიშია ერთგვარი“ (ლეგოგინე); 2. ტყე გურძემიის მარჯვ. მხარეს, ტყელაშ სუკის კალთაზე (ბეთლემი).

**გუდაშ ნოხორი** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს (საშურ-ღაიო).

**გუდულიაშ ნაკარუ** – ტყე ცივის მარცხ. მხარეს. გუ-დულია პირსახელია (ისულა).

**გუდური** – ჭალა ტეხურისა და აბაშის შესართავთან (საოდიშარიო).

**გუთუშ ნოხორი** – 1. სახნავი ცხვიკიონში. გუთუ პირსახელია (უშაფათი); 2. ჩაის ფართობი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**გულიაშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი. გულია გვარსახელია (მოხაში).

**გუნური** – ღელე, ხევი, ეკუსქურის მარცხ. შენაკადი. მოედინება საგრიგოლიოდან. როგორც ჩანს: გუნია (გვარი) → გუნური „წარსულში გუნიას კუთვნილი“ (უფალკარი).

**გურამიაშ ტობა** – მორევი მდ. ცივზე (ლეგოგინე).

**გურგენიონი** – ფერდობი ზანაძგის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „გურგენი კაცს ერქვა. მისი ოჯახი ამოწყდა და ნა-სახლარს გურგენიონი უწოდეს“. როგორც ჩანს, -ონ შეიძ-ლება გამოხატავდეს ცოცხალი არსების სიმრავლესაც. მა-შასადამე, გურგენიონი იგივეა, რაც გურგენისანი (პატარა ზანა).

**გურიშიაშ ნოხორი** – სახნავი მენჯობის ნაპირას. გურიშია მამაკაცის სახელია (საგუნიო).

**გურული** – ტყე სალაკიოში (შუა ხორში).

**გურცირაშ ნოხორი** – ბორცვი, მინდორი როგუშის მარჯვ. მხარეს. გურცირა ქალის სახელია (საჩიქობავო).

**გურძემია** – მდინარე მარტვილისა და სენაკის რ-ნებში. ერთვის ტეხურს მარჯვნიდან სოფ. ბეთლემში (მოხაში, კვაუთი, ლეძაძამე, ბეთლემი და სხვ. მრ.).

**გურძემიაჭალა** – ჭალა-სახნავები გურძემიის ნაპირას (მოხაში).

**გურძემიშ მეტერია** – მდინარე. იგივე მეტერია (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**გუსქუაშ ნოხორი** – სახნავი ნასანგუსთან. გუგუშვილი → მეგრ. გუგუსქუა → გუსქუა (საშურღაიო).

**გუტიაშ წყურგილი** – წყარო სამირცხულაში (დიდი ხორში).

**გუჩუთი** – ბორცვი ლეცეკვეში, ფოცხო-ბანძის გზაზე. გუჩუ (პირსახელი) → გუჩუთი „გუჩუს შთამომავლობა, ოჯახი“ → გუჩუთი (მიკროტოპონიმი). (ჯოლევი).

**გუძაშ ტობა** – მორევი გურძემიაზე (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**გუძაშ ღალგ** – ღელე, ტეხურის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება ბჟერიშ გოლადან. გუძა პირსახელია (კვაუთი).

**გუძიაშ ჭყონი** – მუხა ქვაფონის ნაპირას. გუძია პირსახელია (სირიაჩქონი).

**გუჯარონი** – ღელე, ერაგიაშ ღალის მარჯვ. შენაკადი (საგაბესკირიო).

**გუჯაშკარი** – სახნავი ძონძირის საზღვართან. გუჯა პირსახელია (სენაკი).

**გუჯულაშ ნოხორი** – სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს. გუჯულა მეტსახელია (საშურღაიო).

**გუჯუშ ფერდი** – 1. სახნავი ზედა ნაქალაქევის საზღვართან (ლებაღათურე); 2. ფერდობი საკინწურაშვილოში. გუჯუ პირსახელია (სენაკი).

**გუჯუშ წყუ** – წყარო ხანჯარის მარცხ. მხარეს. გუჯუ პირსახელიცაა და მეტსახელიც (ლეგოგინე).

**გუჯუშ წყურგულე** – წყარო საკინწურაშვილოში (სენაკი).

**გგმოხონჭალე//აშოიანჭალე** „გამოღმა ჭალა“ – სახნავი ცივისა და მატერიის შესართავთან. რესპ.: „გგმოხონი რე აშოიანი დო გინოხონი – იშოიანი“ (ლეგოგინე).

**გგნძე მინდორი** – საძოვარი. იგივე გიძე მინდორი (ტყირი).

## – დ –

**დაბალგოლა** – გორა. იგივე დაბალთა (სენაკი).

**დაბალთა//დაბალგოლა** – გორა შხეფის ჩრდ. ნაწილში, ქალაქსა და ეკის მთას შუა. მიმდებარე მთებთან შედარებით დაბალია. რესპოდენტთა ერთი ნაწილისათვის დაბალთა არის ვაკე ეკის მთაზე, საჩიქობავოდან მონასტრამდე (სენაკი).

**დაბალი** – ხეობა, სადაც გაედინება ნაღარუ (სენაკი).

**დაბა(ლ)ია** – სახნავი მაღალიასა და ტეხურს შუა. მეგრულში მაღა(ლ)ია და დაბა(ლ)ია ოროგრაფიული ნომენებია: მაღა(ლ)ია აღნიშნავს შემაღლებულ ვაკეს, ხოლო დაბალია – მასთან შედარებით დაბალ ვაკეს (საოდიშარიო).

**დაბალჭალე** – 1. ჭალა მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას (გეჯეთი); 2. ჭალა-საძოვარი რიონის მარჯვ. ნაპირას, თეკლათის თემის საზღვართან (ისულა); 3. ჭალა-სახნავი ტეხურის მარჯვ. ნაპირას (ახალსოფელი).

**დაბლაციხეშ ნაკარუ** – საძოვარი ახალსოფლის სამხრ. ნაწილში (სირიაჩქონი).

**დადეშქელიანიშ ნადოხორგ** – სახნავი სოფ. საჩიქობავოს საზღვართან (ძველი სენაკი).

**დადიანეფიშ ნოხორი** – 1. ტყე ქუნიერის აღმ-ით (ძიგიდერი); 2. ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში (ლეძაძამე)

**დადიანიშ დოხორე** „დადიანის სასახლე“ – 1. ნასახლარი. იგივე დოხორე (სენაკი); 2. ბაღი კარიეთში (შუა ნოსირი).

**დადიანიშ ნოხორი** – 1. ბორცვი კვარჩხიღალის მარცხ. მხარეს (ბეთლემი); 2. სერი. იგივე სადადიანო (ციზეთი).

**დადიანიშ წყარი** – ღელე ლეწითინძეში, მოხაშურის ერთ-ერთი სათავე მეორე მოხაშის საზღვართან (უშაფათი).

**დადიაშ მამული** – ტყე ოფერწეიშ ღალის მარჯვ. მხარეს, ნანქარუსთან (კვაუთი).

**დადიაშ ნაინჭუ** „დადიანის ნაჭავარი“ – კარსტული ჭა სოფ. საგუნიოს საზღვართან (კოტიანეთი).

**დადიაშ ნატახტუ** – 1. მაღალი გორა ეკის მთის ჩრდ. ნაწილში, საკოღუოში, ფაქვის მარცხ. მხარეს. ტახტი „დასაჯდომი ან დასაწოლი ფართო ლოდი“. ხშირად გვხვდება ბარიდან მთისკენ მიმავალ გზაზე, სადაც შესასვენებელი ადგილია (უფალკარი); 2. მთა ეკის მთის ჩრდ. ნაწილში, ბერთემ-ნოქალაქევსა და უფალკარ-საგუნავოს შუა. აქ დადიანი დადიოდა სანადიროდ და ამორჩეული ჰქონდა ერთი ქვა, სადაც დაჯდებოდა და ჩაუსაფრდებოდა ნადირს. ამგვარ ქვას სამეგრელოში ტახტს უწოდებენ. საზიარო სოფ. უფალკართან (საგუნიო); 3. ნაგებობის კვალი საბჟალაშ გოლაში (ზედა სორტა).

**დადიაშ ტყა//ბანკიშ ტყა//მაიაშ ტყა** – რამდენიმე ასეული ჰა ტყე საჭითაში, ზანაძგასა და ხობისწყალს შუა, საჯიჯაოს საზღვართან. ეკუთვნოდა მაია დადხეს და ბანკში დააგირავა (ეწერი, პატარა ზანა).

**დადიაშ წყუ** – წყარო კაუტიის მარჯვ. ნაპირას (შუა ხორში).

**დადოდაშ ნანწყვი** – კარსტული ორმო, ღრმა და ბნელი, შხეფში, ეკის მთისწინეთში. გადმოცემით, ორი და ყოფილა: ერთი ღარიბი და მეორე მდიდარი. მდიდარი და და მისი შვილები სულ ავადმყოფობდნენ. ღარიბი და ემსახურებოდა მდიდარ დას და თავის ბავშვებს ნარჩენებით კვებავდა. ეს ბავშვები ჯანსაღნი და ჯანმრთელნი იყვნენ. მდიდარმა დამ, როგორც კი ნახა, თუ როგორ კვებავდა ღარიბი და თავის შვილებს, აუკრძალა მას ნარჩენების მოხმარება. ჭამის შემდეგ ქვაბსა და თეფშებს კარგად გაარეცხინებდა. ნარჩენი ფქვილიც კი არ მისცა. ღმერთმა მდიდარი და ჩაძირა კარსტულ ორმოში. სახლის სახურავი თურმე დიდხანს ჩანდა (სენაკი).

**დადშელი** – ტყე ეკის მთის კალთაზე. **შელი** „საზიარო“. დადი ან პირსახელია, ან მეტსახელი (ლეკოკაიე).

**დავითაიეფიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში (ლეძაძამე).

**დავითიაშ ნაწისქვილ(უ)** – მინდორი სოფ. ჭალადიდის საზღვართან (გოლასკური).

**დავითიშკარი** – მინდორი სოფ. წყემის საზღვართან (პირველი ნოსირი).

**დათაშ ღალგ** – ღელე, მდ. ცივის მარჯვ. შენაკადი (საესებუო).

**დათაშ წყურგილე** – წყარო, დათაშ ღალის სათავე (საესებუო).

**დათშაშ ნოხორი** – სახნავი სოფლის დას. ნაწილში, შქაიღალუს სათავესთან. დათშა ← დათუშა ← დავითი (სატყებუჩავო).

**დამბა** – 1. არხი. იწყება საგადელიოსა და აეროდრომს შუა. ერთვის „სლუჟის" ეს არხიც და მდ. ცივიც (ახალსოფელი); 2. მორევი ტეხურზე (კოტიანეთი).

**დამბაზენი** – სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს. მდინარეს აქ ჰქონდა დამბა. აქვე იყო რზენიც „ვაკე". მაშასადამე: დამბაშ რზენი → დამბარზენი → დამბაზენი (სახარბედიო).

**დამბაშ ტომბა** – მორევი მდ. ცივზე (ეკი).

**დამენიაშ ნოხორი** – სახნავი კადარღალის სათავესთან, საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**დამენიაშ წყურგილი** – წყარო სადამენიოში (კვაუთი).

**დამენიეფიშ მამული** – ტყე ს. თარგამეულის საზღვართან (კვაუთი).

**დამრუნი** – ფერდობი მეტერიის მარცხ. ნაპირზე, სკოლის წინ (კვაუთი).

**დანაბი** – ტყე, ხევი საარახამიოშ რობუს სათავესთან, შარვანიშ ძუგუს ქვემოთ (კოტიანეთი).

**დარისმანიშ ნოხორი** – სახნავი დღურუს მარჯვ. მხარეს. დარისმანი კაცის საკ. სახელია (საგუგუნავო).

**დარკოშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**დარსალიეფიშ ნაკარუ** – საძოვარი რიონის მარცხ. მხარეს (საგვიჩიო).

**დატოშ ნოხორი** – ფერდობი მდ. ცივის ნაპირას. დატოს ოფიციალურად ერქვა დავითი (საესებუო).

**დგებიაშ ენწერი** – ჩაის ფართობი გურძემიის მარჯვ. მხარეს (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**დგებიაშ ნოხორი** – 1. სახნავი საბოხუოში, ბარბალეკარიშ შარასთან (შუა ნოსირი; 2. ჩაის ფართობი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს (ლებაღათურე).

**დგებიაშ ჭალე** – სახნავი გურძემიის მარჯვ. ნაპირზე (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**დგებიეფიშ ნაისირგ** – საძოვარი ბჟერის მთაზე. ისირი „ისლი" → ნაისირგ „ნაისლარი" (კვაუთი).

**დგებუაძეშ ნოხორი** – სახნავი საბარქაიოში (კვაუთი).

**დედათა მონასტერი** – მონასტერი გორაზე, სადაც გადის ქუთაისის ქუჩა. აქვეა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. 1884 წლამდე ერქვა მამათა მონასტერი. უწინ მთელი ტერიტორია ეკუთვნოდა სოფ. თეკლათს. გადმოცემით, იგი თურქებს გადაუწვავთ და წასვლისას ერთი ბავშვი, გვარად ლომია, თან წაუყვანიათ. ზღვა აღელვებულა. თურქებს ღმერთისათვის უთხოვიათ, გადაგვარჩინე და იმ მონასტერს აღვადგენთ, ტყვიითაც დავხურავთო. ასეც გაუკეთებიათ. გატაცებული ბავშვი დაუბრუნებიათ. სენაკელი ლომიები იმ ბიჭის შთამომავლები არიან. ამ დედათა მომასტერში ეკლესია 1814 წელს აუშენებიათ (სენაკი).

**დედამოკა** – „დიდამოკას" იშვიათი ვარიანტი (ზედა ნაქალაქევი).

**დესიაშ ნაოსქუ** – ტყე ოტორის ნაპირას, სოფლის დას. ნაწილში. მოედინება ლადნოცონიდან. ოსქგ „საღორე" → ნაოსქგ//ნაოსქუ „ნასაღორალი". დესია პირსახელია (ახალსოფელი).

**დესიაშ ნაოსქუშ ოტორი** – ღელე. ოტორის ერთ-ერთი სათავე-მდგენელი. მოედინება ლადნოცონიდან (ახალსოფელი).

**დესიშ ნოხორი** – სახნავი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**დიაკონიშ ნოხორი** „დიაკვანის ნასახლარი“ – მინდორი კოტიანეთის სასაფლაოსთან (კოტიანეთი).

**დიანოზიშ ნოხორი** – მინდორი ონახუეშის მარცხ. მხარეს (საჩიქობავო).

**დიდამოკა** – ტეხურის ვიწრობი ჯაბახეთს ქვემოთ. სიგანე 2,5–5 მ (ქვემო ნაწილი უფრო ფართო იყო და მღვიმეც ჰქონდა), სიგრძე 50 მ-მდე. ზოგი კიდევაც გადახტებოდა ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე. ლებარდედან ხეტყეს აცურებდნენ ამ მდინარეზე, ამიტომაც კანიონი ააფეთქეს და გააფართოვეს (ზედა ნაქალაქევი). ხალხური ეტიმოლოგია: მურვან ყრუს ლაშქარს გამოქცეული ორსული ქალი ამ ადგილას გადამხტარა ტეხურზე და თავი ქუჯის ციხისათვის შეუფარებია. ამიტომ დარქმევია დიდამოკა (← დიდა მოკათუ „დედა ორსული“) (კვიმატი, 2001, გვ. 267). ვარიანტი დედამოკა (და მასთან დაკავშირებული მსგავსი ხალხური ეტიმოლოგია იხ.: ელიავა, 1989, გვ. 108-109).

**დიდამოკაშ კირდე** – მაღალი კლდე ტეხურის მარცხ. მხარეს, დიდამოკას ზემოთ. კლდეში ფუტკარი ბინადრობს (ზედა ნაქალაქევი).

**დიდბაგა** – ტყე საადამიოშ გოლაზე. **ბაგა** – საქონლისათვის შემოღობილი ადგილი (საადამიო).

**დიდგარამი** – ტყე, კარსტული ჭა ბჟერის მთაზე. აქვეა ჭიჭე გარამიც (კვაუთი).

**დიდვერხიშჯინჯი** „დიდი ვერხვისძირი“ – სახნავი გოჭყვადილის მარჯვ. ნაპირას (გოლასკური).

**დიდი ბეგი** – მინდორი. იგივე ბეგი (პატარა ზანა).

**დიდი გოთე** – 1. მინდორი ლადნოცონში. **გოთე** „სინათლიანი მინდორი ტყეში“ (ახალსოფელი); 2. ტყე ჭიჭე გოთესა და ჯალონს შუა (ისულა).

**დიდი დიმიტრიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**დიდი დღურუ** – ღელე, მდ. დღურუს მარჯვ. მდგენელი. იხ. დღურუ (საშურღაიო).

**დიდი ოლონტყეში** – საძოვარი საჭუბარიოშ გოლაზე. აქვეა ჭიჭე ოლონტყეშიც. ოლონტყეში „სატოპელა, სალაფაო“ (კოტიანეთი).

**დიდი ტები** – ტყე, ხეობა სკურდღალის მარცხ. მხარეს (ლესაჯაიე).

**დიდი შხეფი//შხეფიშ უბანი** – დასახლებული უბანი შხეფის ციხესთან. უწინდელი სოფ. შხეფის ძირითადი ნაწილი (პატარა შხეფი ტერიტორიულად სოფ. ძველ სენაკში შედის). (სენაკი).

**დიდი ჩქონი** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე. რესპ.: „**ჩქონი** – ჯაგნარი წყლისპირი ან კუნძული მდინარეზე“. შდრ.: სულხან-საბა: „**რჩქონი** – დაბალი ნაშე“ (ჯიხა).

**დიდი ცამღალგ** – ღელე. იხ. ცამღალგ (დიდი ხორში)

**დიდი ჭალე** – ჭალა. იგივე რიონჭალე (ისულა).

**დიდი ჭყონი** „დიდი მუხა“ – მინდორი ბჟერის მთაზე (კვაუთი).

**დიდი ხორში** – სოფელი მაღლაკონის ქვემო წელის ორივე ნაპირზე. ესაზღვრება: დას-ით – სოფ. გაღმა საჯიჯაო, სამხ-ით – შუა ხორში, ჩრდ-ით – პატარა ზანა, აღმ-ით – სოფ. საგუგუნაო (ხორშის თ/ს).

**დიდკირდე** „დიდი კლდე“ – კლდე საჩიქობაშ გოლას აღმ. კალთაზე, ჭიჭე კირდეს გვერდით (საჩიქობავო).

**დიდმინდორი** – 1. მინდორი ქედზე, პაპარზენთან (ზედა ნაქალაქევი); 2. მინდორი ღაჭაჭეს მარჯვ. მხარეს (სახარბედიო).

**დი(დ)ნოცონი** „დიდი ნაყანევი“ – სახნავი გარამეშთან, სოფ. ბეთლემის საზღვარზე (ლეკოკაიე).

**დიდმონია** – წყალტრიალა მორევი ტეხურზე, ჩიქვანჭალესთან. ალ. ქობალია: „**მონია** – მონიო, მდორე ტბორი; ადგილი, სადაც წყალი ნელ-ნელა ბრუნავს; წყლით მობერილი ნიავი; წყლისპირა ჩერო...“ (კვაუთი).

**დიდნაჭვი** – ერქვა ტყეს ჯაფხენსა და პარკულს შუა. ამჟამად სახნავების სახელია (რეკა).

**დიდსუკი** „დიდი ბორცვი“ – სერი, ეკის მთის კუდი კვარჩხ(ი)ღალსა და გახომილას შუა, სოფ. ეკის საზღვართან (გახომელა).

**დიდტებიშ ღალგ** – ღელე, სკურდის მარცხ. შენაკადი (ლესაჯაიე).

**დიდტყა** – ერქვა ტყეს სოფ. ლებაღათურეს საზღვართან (ჯიხა)

**დიდღალგ** – ღელე, სანის მარცხ. შენაკადი (გოლასკური).

**დილახონი//გილახონი** – სახნავი ჯიხირში. ალ. ქობალია: „**დილახონი** – ჩაქანებული ადგილი“; ო. ქაჯაია: „დილახონი – დასავლეთი“ (პირველი ნოსირი).

**დინოხონი** „ჩავარდნილი ადგილი“ – 1. ფერდობი ლენარსიესა და უჩაშონას შუა (ჯოლევი); 2. ჩავაკება საჩიქობაშ გოლაში (საჩიქობავო).

**დინოხონიშ წყურგილი** – წყარო დინოხონში (ჯოლევი).

**დინოხონტები** – სახნავი გითოკირილიშ ღალუს მარჯვ. მხარეს, ნაბრულაშის პირდაპირ. **დინოხონი** – ჩადაბლებული ადგილი, ტები „ტევრი“ (საადამიო).

**დირზენი** – სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს, სოფ. უშაფათის საზღვართან. უეჭველია: დიდი რზენი → დირზენი (საესებუო).

**დიტიშ ნოხორი** – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**დიშქაშ გიორღვაფალი** „შეშის ჩასაყარი“ – შურო ნინუეფიშ გოლას აღმ. კალთაზე (კოტიანეთი).

**დიხაგინძე** „მიწაგრძელი“ – ტყე ქვარციელის სათავესთან (უფალკარი).

**დიხაზურგე** – ბორცვი სკურეს მარჯვ. ნაპირას. მრგვლადაა შეჭრილი მდინარის რკალში. ჰგავს ხელოვნურ მიწაზვინულს (საბესელიო).

**დიხაკურძუე** – შემაღლება აბაშის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ჯარიშ კუჩხიშ ნახეკა რენია“ (ძიგიდერი).

**დიხაძუგა//დიხაძუგუ** – ბორცვი საგადელიოსა და აეროდრომს შუა. ჰგავს ხელოვნურს. დიხაძუგა, დიხაძუგუ

იგივეა, რაც დიხაზუკა „მცირე შემაღლება, მიწაზვინული“ (ახალსოფელი).

**დიხაძუგუ** – ბორცვი. იგივე დიხაძუგა (ახალსოფელი).

**დიხაძუგურო** – ორი შემაღლება სახნავებით ჭითა ღელოს მარჯვ. მხარეს. ძუგურო იგივეა, რაც ძუგა, ძურგა „შემაღლება, ბორცვი, მიწაზვინული“ (რეკა).

**დობერა** – 1. ტყე ფერდობები ლებაღათურეში (ბეთლემი); 2. სახნავი საოჩიგაოში, წისქვილიშ წყარის მარჯვ. მხარეს (გეჯეთი); 3. დაბალი ფერდობები ეკუსქურის მარცხ. მხარეს, საკუჭას სერის დასაწყისთან (ეკი); 4. სახნავები ლეხუბუეში (უშაფათი); 5. სახნავი ჭვერგელეს მარცხ. მხარეს (კოტიანეთი); 6. ფერდობები დაბალთის სამხრ. კალთების ძირას. რესპ.: „აქ უწინ ალბათ ტყე ან ჯაგნარი ყოფილა და ამიტომ დარქმევია დობერა“ (სენაკი); 7. ფერდობები მეტერიის მარჯვ. მხარეს (ლეგოგიე-ნასაჯუ); 8. ფერდობები კვაშილაშ ღალის სათავესთან (საესებუო). დობერა ეწოდება ფერდობებს აგრეთვე საადამიოში, დიდ ხორშში, ზედა ნაქალაქევში და სხვ. ო. ქაჯაია: „**დობერა** – დობირა, პატარა ეული გორაკი; დობილო“. ალ. ქობალია: „**დობერა, დობირა** – ბარი, დაბლობი, ნაყოფიერი მიწა (ეწრის ანტონიმი), წყლისპირა ვაკე, სავენახე; მაღლარი, ხეზე ასაშვები ვაზი, ბაბილოვანი“.

**დობერა ომინჯეში** – ხეობა ესაინგიეს სამხრ. ნაწილში, ნოქალაქევის საზღვართან (ზედა ნაქალაქევი).

**დობრაუჩა** – ტყე, ფერდობი ოკვაცეს მარჯვ. მხარეს. დობრაუჩა ← დობერა უჩა „შავი დობერა“ (საგაბესკირიო).

**დომეშ ნოხორი** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს (საშურღაიო).

**დომნური//დომნურიშ რზენი** – ტყე ჯოლიეფიშ გოლასა და ნინუეფიშ გოლას შუა. რესპოდენტებისათვის დომნურის სემანტიკა და მოტივაცია უცნობია (კოტიანეთი).

**დომნურიშ რზენი** – ტყე. იგივე დომნური (კოტიანეთი).

**დოხორე** „სასახლე“ – სახნავი ხაბურზონას პირდაპირ, გახომელას მარცხ. მხარეს. დოხორე მხოლოდ და მხო-

ლოს თავადის სასახლეს აღნიშნავდა. შესაბამისად, ნადო-ხორ „ნასასახლარი“ (გახომელა).

**დოხორე//ოტიაშ დოხორე//დადიანიშ დოხორე** – ერ-ქვა მინდვრებს შხეფში, ტეხურის მარჯვ. მხარეს. თავად ოტია დადიანს აქ ჰქონია დოხორე. რესპ. ა. სახოკია (86 წ.): „ნოხორი გლეხის ნასახლარია, ბატონის ნასახლარს კი დოხორე ეწოდება“ (სენაკი).

**დოხორეკარი** „სასახლისკარი“ – ტბორი დადიანიშ დოხორესთან (შუა ნოსირი).

**დოხორეშ წყურგილე** – წყარო დოხორეში (სენაკი).

**დრიმიშ ნოხორი** – 1. სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხა-რეს. დრიმი ← დიმიტრი (ეწერი); 2. ტყე სოფლის ცენტრ. გზაზე (საშურღაიო).

**დრიმიშკარი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხა-რეს. დრიმი ← დიმიტრი (ლეგოგინე).

**დუნიაშ ტობა** – მორევი მდ. ცივზე (ლეგოგინე).

**დურე** – ხევი, სახნავი მირგატიაშ ღალის მარჯვ. მხა-რეს. რესპ.: „ჭიჭე გერობია რე“. გერობია „ჩახევება“ (ლე-გოგინე).

**დურუშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მოხაშურის მარცხ. მხარეს, საშეროზიოში (უშაფათი).

**დურუშ წყურგილე** – წყარო საზარანდიოში (ეწერი).

**დურუშ ჭალე** – სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს (სა-შურღაიო).

**დუტულაშ ნოხორი** – საძოვარი ლეგაბელიეში. დუ-ტულა ← დუტა ← დიმიტრი (უშაფათი).

**დუტუშ ნოდიხუ** – სახნავი ლეშამათეში (მოხაში).

**დუტუშ ნოხორი** – ერქვა დუტუ დგებუაძე-ფულარიას ყოფილ ეზო-კარმიდამოს. აქ საბჭოთა პერიოდში ციზეთის 8-წლიანი სკოლა იყო განთავსებული (ციზეთი).

**დუტუშ წყურგილე** – წყარო ლეშამათეში (მოხაში).

**დუქანკარი** – ერქვა ნადუქნარს ტეხურის მარჯვ. მხარეს. აქ ყოფილა გზაგასაყარი სენაკ-დიდიჭყონის გზა-ზე. იყო ერთგვარი შესასვენებელი ადგილი (გახომელა).

**დუციამენჯი** – მლაშე წყალი ერაგიაშ ღალის მარცხ. მხარეს, ოთუნთეს ქვემოთ (საგაბესკირიო).

**დღვაბა** „დაგუბებული წყალი“ – წყარო, დავაკება უჩა ღალის ნაპირას (შუა ხორში).

**დღვანა** „ჭეჭყობიანი, ტალახნარი“ – ტყე-ფერდობები ეკუსქურის მარცხ. მხარეს, სალაკიოში. რესპ.: „დღვანა ტალახიან-ჭეჭყობიანი ადგილია“. შდრ. ალ. ქობალია: „**დღვანა** – საფლობი, სქელი ტალახი“ (ლეკოკაიე).

**დღვებუ** – 1. სახნავი გურძემიის ორივე ნაპირას (კვაუთი); 2. ტბორი ცანასქურის ნაპირას. წყალდიდობის შემდეგ წყალი დგება (უფალკარი); 3. ტლაპო ცივის მარჯვ. მხარეს. **დღვებუ** – ტლაპო, საფლობი; მცირე ტალახიანი ადგილი; ადგილი, სადაც ფეხი ეფლობა (საესებუო).

**დღიბუ** – ტყე-ჭაობი სოფ. გოლასკურის საზღვართან. დღიბუ იგივე დღვებუა, ე.ი. ტლაპო, ღრმა ლაფი, ჭაობნარი (მუხური).

**დღურუ** – 1. მდინარე სოფ. ეკის საზღვართან (საგუგუნავო); 2. მდინარე, ცივის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი ეკისა და ხორშის თემებისა (საცხვიტაო; 3. მდინარე. იქმნება დიდი დღურუსა და ჭიჭე დღურუს შეერთებით. ეს კი ხდება სერ გოჭიფეს ბოლოში. მარცხენა დღურუ მოედინება ნასანგუდან და ეწოდება ჭიჭე დღურუ; მარჯვენა დღურუ მოედინება სოფ. პ. ზანიდან და ეწოდება დიდი დღურუ (საშურღაიო); 4. ხევი, ღელე. საზღვარი დიდ ხორშთან. ერთვის მდ. ცივს სოფ. ეკის ტერიტორიაზე (პატარა ზანა).

**დღურუშ ჭალე** – ჭალა-სახნავი დღურუს ნაპირას (საგუგუნავო).

## – ე –

**ებაღათურე** – უბანი. იგივე. ლებაღათურე (ზედა ნაქალაქევი).

**ეგნატეშ კურთხუ** – სახნავი მდ. ცივის ნაპირას (საესებუო).

**ეგუიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლემორცხულეში. ეგუია პირსახელია (ფოცხო).

**ედუკიაშ ნოხორი** – ტყე დღურუს მარცხ. მხარეს (საგუგუნავო).

**ედუშ ნოხორი** – სახნავი ლებოკუჩეში. ედუ მამაკაცის სახელია (უშაფათი).

**ეზარქუე** – ზარქუების უბანი ტეხურის მარჯვ. სერზე (ზედა ნაქალაქევი).

**ეზიშ ოტორი** – ღელე, ოტორის ერთ-ერთი მდგენელი დესიაშ ნაოსქუსთან. ჩაუვლიდა ეზი (← ელიზბარ) გაბელიას ეზოს. მეორე მდგენელია დესიაშ ნაოსქუშ ოტორი. რესპ.: „ოტორი დაგუბებული წყალია“. შდრ. ალ. ქობალია: „**ოტორი** – უღრანი ტყე; ნატორი“ (ახალსოფელი).

**ეთოხონი** „აღმართი“ – ფერდობი სალომაიოში, უჩა ღალის მარცხ. მხარეს (ლეკოკაიე).

**ეითმეშ ნოხორი** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს. ეითმე ← ეითუმე ← ექვთიმე (საშურღაიო).

**ეკარტოზიე** – კარტოზიების უბანი ხუფათის მარჯვ. მხარეს. ლ. ღვინჯილიას მტკიცებით, გვარ კარტოზიასათვის ამოსავალია ქართული სიტყვა კალატოზი. მაშასადამე: კალატოზი→ კალატოზია → კალტოზია → კარტოზია (ზედა ნაქალაქევი).

**ეკი** – სოფელი მდ. ცივის ორივე ნაპირას. ძირითადი ნაწილი ცივის მარცხენა მხარესაა. უწინდელი სახელწოდება: შქაეკი//შუა ეკი (ეკის თ/ს).

**ეკიშ გოლა** „ეკის მთა“ – მთა სოფ. ეკის თავზე (სახარბედიო, ლეკოკაიე, საწულეისკირიო, უფალკარი, სახარბედიო).

**ეკიშ ნაკარუ** – მინდორი რიონის ნაპირას. ეკი სოფელია (ტყირი).

**ეკუსქური** – მდინარე, ცივის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ეკის მთის დას. კალთაზე, სოფ. ლეკოკაიეში. გაედინება სოფ. უფალკარში. სქური ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიული ნომენია, რადგანაც აღნიშნავს წყლიან-მდინარიან ტყე-ხეობას. შდრ. ალ. ქობალია: „**სკური, სქური** – ხევი, ხევში მდინარი ღელე“; „**სქურია** – პატარა ღელე, ნაკადული“ (ეკი, ლეკოკაიე, უშაფათი).

**ელაგინძე** „მოგრძო, წაგრძელებული“ – 1. სახნავი მდ. ცივის ჭალაში (საესებუო; 2. სახნავი ზანაძგის მარცხ. ჭალაში (პატარა ზანა).

**ელაგირძა** – სახნავი გურძემიის მარჯვ. ნაპირზე (კვაუთი).

**ელაგირძე** – 1. ჩაის ფართობი ოტურელალის მარცხ. ნაპირას. გრძლად დევს გზატკეცილთან. რესპ.: „ელაგირძა, ელაგირძე რაიმეს გვერდით გრძლად მდებარე ადგილია" (ეკი); 2. საძოვარი გურძემიის მარცხ. მხარეს, ლეტორჩინეში (მოხაში); 3. მორევი მდ. ცივზე (უშაფათი).

**ელაგიძე** – 1. სახნავი ჭითა ღელოს ნაპირას (რეკა); 2. ჩაის ფართობი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში. **ელაგი(რ)ძე** ის ადგილია, რომელიც გრძლად დევს მდინარის ან გზის გაყოლებით, ან კლდის ძირას. ეს ჩაის ფართობიც გრძლად დევს სენაკ-ჩხოროწყუს გზასა და ტყეს შუა (საცხვიტაო).

**ელაიაშ ომანე** – კლდე ხვიჩარულთან, ოროპიის მარჯვ. მხარეს. ომანე ნადირის ბუნაგია (ფოცხო).

**ელაშ ნაკარუ** – სახნავი სოფ. ისულის საზღვართან (ტყირი).

**ელახნოხორი** – საძოვარი საკალანდარიშვილოში. შდრ. ალ. ქობალია: „ელახ – აღმოსავლეთი; აღმოსახდომი ადგილი; ამოღმა"; ი. ყიფშიძე: „ელახუ//ელახგ – აღმოსავლეთი" (სენაკი).

**ელახო** „აღმოსავლეთი; მიღმა მდებარე" – საძოვარი ტეხურის მარცხ. მხარეს, სოფ. ნოქალაქევის საზღვართან. კონტექსტი: „ელახოს ვოდიარუანდით საქონელს" (გეჯეთი).

**ელახონჭალე** – 1. სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს. ელახონი „აღმოსავლეთი; აღმამდებარე" (სატყებუჩავო); 2. სახნავი ნისკურის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**ელეშ კარე** – ტყე მდ. ცივის მარცხ. მხარეს (ისულა).

**ელიეფიშ სუკი** – ბორცვი ჭვერგელესა და ეკლესიას შუა. ელია ← ელიავა (გვარსახელია). (კოტიანეთი).

**ელიორი** – ფერდობი უჩა ცურზენის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ხატი მოუყვანიათ ილორიდან, რათა ვიღაც გადაეცათ. „ელირ" ტოპონიმ ილორის აფხაზური ვარიანტია" (ციზეთი).

**ელონა** „იელნარი" – 1. ტყე სალომაიოში (ლეკოკაიე); 2. ჩაის ფართობი ლემამულესა და ლეხარებეს შუა

(ლეგოგიე-ნასაჯუ; 3. ჩაის ფართობი ლეღვინჯილეში (ფოცხო); 4. ჩაის ფართობი სუღირის ხეობაში (ზანა).

**ელონაშ ღალჾ** – ღელე, წიფანის მარჯვ. შენაკადი. გაედინება ელონიდან (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ელპიტიშ წყუ** – ღელე, ფაქვის მარცხ. შენაკადი საფარღალაში (უფალკარი).

**ემელიანეშ შეკებული** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**ე(ნ)წათი** – ფერდობები მოხაშურის მარცხ. მხარეს, ლეკორშიეში (უშაფათი).

**ენწერბეგი** „ეწრის ბექი" – შემაღლება ჩაის ფართობით სოფლის დას. ნაწილში. „**ბეგი** – კბოდე, ფლატე" (გ. ელიავა); „**ბეგი** – ბექი, შემაღლებული ადგილი ვაკეში; ჭაობით გარშემორტყმული შემაღლებული მშრალი (სათიბად და საყანედ) გამოსადეგი ადგილი" (ალ. ქობალია). (სატყებუჩავო).

**ენწერი** – 1. ჩაის ფართობი გურძემიის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი); 2. მაღლობი სამირცხულაში (დიდი ხორში); 3. სერი ცანასქურსა და ეკუსქურს შუა (უფალკარი); 4. სერი, რომელიც გადადის სოფ. სახარბედიოში. რესპ.: „ენწერი საერთოდ მაღალი ადგილია" (სკურია); 5. ტყე სკურეს მარჯვ. მხარეს, სადუდუჩაშ ტყას გაგრძელებაზე (საკილასონიო); 6. ფერდობები ერაგიაშ ღალის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ენწერი ჯოხო წყარი ვეგედგრთჷნ თიშენი, წირდე ადგილი რე. დობღურით ქუაში რახვაფის" (სახარბედიო); 7. ჩაის ფართობი მეტერიის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ენწერი რე დაბალი წყარამი ადგილი, მცირენაყოფიანი, ისგროტა ჩანს" (ლეგოგინე) და სხვ.

**ენწერნოჸონი** „ეწრის ნაყანევი" – ფერდობი ცივის მარცხ. მხარეს, უფალკარის საზღვართან (ეკი).

**ენწერფონი** „ეწრის ფონი" – სახნავი გურძემიის მარჯვ. ჭალაში (ბეთლემი).

**ენწერჸვანა** „ეწრის ყანა" – ჩაის ფართობი სოფ. ზანაძგის საზღვართან (პატარა ზანა).

**ერაგიაშ ღალი** – ღელე, ცივის მარჯვ. შენაკადი. მოედინება სოფ. სკურიიდან. ერაგია მცირერიცხოვანი გვარია

(52 სული საქართველოში, ძირითადად სენაკის რ-ნში. გვარი დოკუმენტირებულია XVII ს-ში). (სახარბედიო).

**ერაკიშ დიხა –** სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს. ერაკი პირსახელია (← ირაკლი). (ფოცხო).

**ერასტოშ ნოხორი –** საძოვარი ონახუეშის სათავესთან (საჩიქობავო).

**ერასტოშ შეკებული –** ჩაის ფართობი საზუკიოში (დიდი ხორში).

**ერზო –** საძოვარი. იგივე ორზე (რეკა).

**ერთუმეშ ნოხორი –** ტყე გაშფერდში. ერთუმე ← ექვთიმე (საჩიქობავო).

**ერიშ ნოხორი –** სერი საძიმცესქუოში (კვაუთი).

**ერმინეშ ნოხორი –** ჩაის ფართობი ლეგაბელიეში (უშაფათი).

**ერსახიშ ნოხორი –** სახნავი მაღლაკონის ნაპირას. ერსახი კაცის საკ. სახელია (პატარა ზანა).

**ერუსთუშ მინდორი –** მინდორი ლადნოჸონთან (ახალსოფელი).

**ესავაშ ღალუ –** ღელე, ნოღაშ მეტერიის მარცხ. შენაკადი (მეორე მოხაში).

**ესათი//ესათიშ ფარტე –** ღელე, ცივის მარცხ. შენაკადი. გადიოდა ფიცუსა და ღორთოლს შუა და იშლებოდა ოფაჩაფუში. ნაწილი ერთვოდა ღორთოლს მარცხ. მხრიდან. „ფარტე რე დაბალი ადგილი. ნაჭვიმორი წყარი გოფაჩილო მეურცუნ, თინა რე ფარტე. კალაპოტი ვაუღუ, სიფართა 4-5 მეტრი ქიჸიი“ (საგვარამიო).

**ესათიშ ფარტე –** ღელე. იგივე ესათი (საგვარამიო).

**ესაიაშ ფერდი –** ფერდობი წიფანას მარცხ. მხარეს. ესაია პირსახელია (მოხაში).

**ესაინგიე –** საინგიების უბანი ქვემო ნაქალაქევის საზღვართან. საინგიები წარმოშობით სანიკიძეები არიან. რესპ. ი. სანიკიძე: „ჩემი წინაპარი მოსულა ზემო სურებიდან (გურია) და იმ წელსვე დაურგავს კარტასხული. მის შვილს ერქვა გოჯოგია. მე მეხუთე მოდგმა ვარ. იმ კარტასხულის მხოლოდ გადაჭრილი ძირი შემორჩა და ხელახლა ამოუყრია ყლორტები“ (ზედა ნაქალაქევი).

**ესაკიაშ ნოხორი** – სახნავი ახალსოფელში. ესაკია გვარსახელია (სირიაჩქონი).

**ესტატეშ ნოხორი** – 1. სახნავი მეტერიის მარცხ. მხარეს (ფოცხო); 2. ფერდობი სოფლის დას. ნაწილში (გახომელა).

**ესუკია** „მცირე ბორცვი" – ბორცვი საგაბელიოში (შუა ხორში).

**ესუკიაშ ნოხორი** – მინდორი საგაბელიოში (შუა ხორში).

**ეფრემიშ წყურგილე** – წყარო, მაღლაკონის მარცხ. შენაკადი (დიდი ხორში).

**ეფროსინეშ ნოხორი** – ხეხილი საეჯიბიოში, ეკის მთის ძირას (სახარბედიო).

**ექვთიმეშ ნადიხგ** – სახნავი გურძემიის ნაპირას (კვაუთი).

**ეშათხორილი** „ამოთხრილი" – მინდორი აბაშის მარჯვ. მხარეს. ნაარხალი ადგილია (ჯიხა).

**ეწერი** – 1. სოფელი ზანაძგასა და ხობისწყალს შუა. ესაზღვრება: ჩრდ.-დას-ით – სოფ. ლესიჭინე, სამხრ.-დას-ით – სოფ. პატარა ზანა, აღმ-ით – სოფ. ზანა და სატყებუჩავო (ეწერი); 2. ტყე სკურეს მარცხ. მხარეს, სოფ. წყემის საზღვართან (პირველი ნოსირი); 3. ტყე სოფლის დას. ნაწილში (ისულა). იხ. ენწერი.

**ეჯიბიაშ ნაკარუ** – 1. მინდორი ხორგიშში (მუხური); 2. საძოვარი განიშ კანავოს ნაპირას (გოლასკური).

**ეჯიბიაშ სახურგო** – მინდორი სოფ. ზანათის საზღვართან. სახურგო „სასაზღვრო". რესპ.: „ზანათი მოხურგუდეს" (საბესელიო).

**ეჯიბური** – სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, რკინიგზის ხაზს ქვემოთ ნასილაუმდე. ეჯიბია (გვარსახელი)→ ეჯიბური „წარსულში ეჯიბიას კუთვნილი" (შუა ნოსირი).

**ვაკაციაშჯინჯი „აკაციის ძირი“** – ფერდობი უჩა ღალის ნაპირას (გახომელა).

**ვალენტი(ნ)აშ ღალი** – ღელე, გურძემიის მარცხ. შენაკადი ლეტორჩინეში. მოედინება ლეძაძამედან. ვალენტინა კაცს ერქვა (მოხაში).

**ვალენტიშ წყურგილი** – წყარო საპარკაიოში (დიდი ხორში).

**ვანოშ ტობა** – მორევი ზანაძგაზე (პატარა ზანა).

**ვანოშ ღალგ** – ღელე. იგივე ბეჟაშ ნაცვილაშ ღალ (ლეძაძამე).

**ვასილიშკარი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე).

**ვასილიშ ნაჩიხა** – მორევი გოჭყვადილზე (გოლასკური).

**ვასილიშ ნოხორი** – სახნავი ლეხორეში (უშაფათი).

**ვასილიშ წყუ** – წყარო ხანჯარის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე).

**ვატაიაშ ბოგირი** – ერქვა ბოგირს შხეფში, პატარა ღელეზე. ვატაია ჩემია აქვე ესახლა. რესპ.: „ჩქგნი ჯვეშეფი ვატაიაშ ბოგირიშ იშო ბაღანეფს ვამტენდესია. ტყა რდუა დო თურქეფიშა ოშქურუდესია“ (სენაკი).

**ვახანიარობუ** – ხევი სოფ. სამიქაოს საზღვართან. ვახანია გვარსახელია (კვაუთი).

**ვახანიეფიშ ფერდი** – ფერდობი ზედა ნაქალაქევის საზღვართან (ლებაღათურე).

**ვახუიაშ ნოხორი** – სახნავი სამალანიოში. აქ ნაპოვნია ქვევრ-სამარხები ადამიანის ძვლებით. ვახუია (←ვახტანგი) პირსახელია (ლეკოკაიე).

**ვეგი(რ)დე** – სახნავი მდ. დღურუს ნაპირზე. გრძლად დევს წყლის პირას. ვე გირძე „გრძელი ველი“ → ვეგირდე → ვეგიდე (საადანაიო, საგუგუნავო).

**ვერხიშჯინჯი** „ვერხვისძირი“ – მინდორი. იგივე საცურუოშკარი (მუხური).

**ვერხონა** „ვერხვნარი“ – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას (გეჯეთი).

**ვერხონაშ წყურგილი** – წყარო ვერხონაში (გეჯეთი).

**ვეხიშჯინჯი** „ვერხვისძირი“ – მორევი მდ. ცივზე (ეწოდება მდ. ცივის მორევს ხორგიშიც, რაც სოფ. ჭალადიდშია). (გოლასკური).

## – ზ –

**ზაკაიაშ ტები** – ტყე სოფ. ჯოლევის საზღვართან. მეგრ. ტები ← ქართ. ტევრი „დიდი ტყე“ (ლებაღათურე).

**ზაკალონი** „ბზანარი“ – 1. ბუჩქნარი გოჭყვადილის ნაპირას (გოლასკური); 2. ბუჩქნარი საშურღაიოსა და სამაჭავარიანოს შუა (უფალკარი); 3. ტყე სოფლის დას. ნაწილში (მუხური).

**ზამანიორი** – სახნავი ნაჭილუს დას. კალთაზე. რესპ.: „ზამა კაცის სახელია. აქ ნიორი დაურგავს“ (საცხვიტაო).

**ზანა** – ა. მდინარე, ზანაძგის ზემო წელი, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი. **ზან**, როგორც ჩანს, აღნიშნავს წყაროს ან ზოგადად წყალს (შდრ. ალაზან: ჯავახიშვილი, 1998, გვ. 57); ბ. სოფელი მდ. ზანას მარცხ. ნაპირას. ესაზღვრება: სამხრ.-დას-ით – პატარა ზანა, დას-ით – ეწერი, ჩრდ-ით – სატყებუჩავო, აღმ-ით – საესებუო, სამხრ-ით – საშურღაიო (ზანა).

**ზანა დიდი** – ასე ერქვა სოფელს ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში (1886 წ.)

**ზანაენწერი** – ჩაის ფართობი ზანაძგის მარჯვ. ნაპირიდან სახელმწიფო ტყემდე, სოფ. ზანას საზღვართან (პატარა ზანა).

**ზანაეწერი** – ზეგანი ზანაძგისა და ხობისწყალს შუა (ეწერი).

**ზანანწყვირი** – ჭალა ეკუსქურის მარჯვ. მხარეს, ოჩეს ზემოთ (ზანასთან არა აქვს კავშირი). (ეკი).

**ზანა პატარა** – ასე ერქვა სოფელს ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში (1886 წ.)

**ზანაშ ცვანა** – სახნავი საქოჩაქიოში. ამუშავებდა სოფ. ზანა (გოლასკური).

**ზანაძგა „ზანისპირი“** – 1. მდინარე, მდ. ზანის ქვემო წელი. საზღვარი ზანაძგასთან. ზანაძგა „ზანისპირი“ დამკვიდრდა მდინარის სახელად მას შემდეგ, რაც ზანას სოფლის სტატუსი მიენიჭა. კოლხეთში „ზანას“ სხვა რამდენიმე ღელეც ატარებს. (სატყებუჩავო, ზანა, ეწერი); 2. მდინარე, ზანის ქვემო წელი (ციზეთი).

**ზარულუაშ დობერა** – საძოვარი საჩიჩუოში. ზარულუა გვარსახელია (უფალკარი).

**ზარულუაშ წყურგილი** – წყარო საზარულუოში (უფალკარი).

**ზარქუაშ მინდორი** – მინდორი საგრიგოლიოში (სენაკი).

**ზახაშ ნოხორი** – თუთნარი სკურიის ნაპირას. ზახა მამაკაცის საკ. სახელია (შუა ხორში).

**ზედაგონი** – ჭალა-სახნავები ზანაძგის მარჯვ. მხარეს. ზედაგი ყურძნის ჯიშია, ცოლიკოურს ჰგავს, თეთრია, ხეზე ადის, არ იწამლება (პატარა ზანა).

**ზედა თეკლათი** – ერქვა ზედა სალომიოს, რაც ფერდობებზეა. უწინ სოფ. თეკლათში შედიოდა. იხ. აგრეთვე თეკლათი ზედა (სენაკი).

**ზე(დ)იდი** – სახნავი ზანაძგის მარჯვ. ჭალაში, საზარანდიოში. რესპ.: „ზეიდი ვაზის ჯიშია, თეთრ ყურძენს ისხამს“. სინამდვილეში: რზენი დიდი „დიდი ვაკე“ → ზენი დიდი → ზედიდი → ზეიდი (ეწერი).

**ზედა ნაქალაქევი** – სოფელი ტეხურის მარცხ. ნაპირიდან ჯოლევამდე. ოცდაათიან წლებში ეწოდებოდა კოლდღე (← კოლმეურნის დღე). შედიოდა ბეთლემის ს/ს-ში (ლეძაძამეს თ/ს).

**ზედა სალომიო** – დასახლ. უბანი ეკის მთის სამხრ. კალთაზე, ქ. სენაკიდან მონასტერში მიმავალ მთავარ გზაზე. გადმოცემით, ლომიები ჩამოსულან გურიიდან, სადაც გვარად ლომიძეები ყოფილან. იხ. სალომიო (სენაკი).

**ზედა სორტა** – სოფელი ეკის მთის აღმ. კალთაზე, ძველ სენაკსა და კოტიანეთს შუა, აბანაშ წყარის მარჯვ. მხარეს, ესაზღვრება სოფ. კვარჩხიღალს (ძველი სენაკის თ/ს).

**ზეინწყუ** – წყარო. იგივე ზენიწყუ (მეორე მოხაში).

**ზემიდორი** – სახნავი სხულიშჯინჯსა და შქადოკეს შუა. სავარაუდოა: რზენ მინდორი „ვაკე მინდორი" → ზემი(ნ)დორი (ბეთლემი).

**ზემოკარი** – სერი. იხ. მანცხვარკარი (ციზეთი).

**ზემო კოტიანეთი** – სოფლის კუთხე ეკის მთის აღმ. კალთებზე (კოტიანეთი).

**ზემო საჭითა** – დასახლ. უბანი. საჭითაოს ნაწილი (იხ. საჭითაო). (პატარა ზანა).

**ზემო სორტა** – „ზედა სორტას" არაოფიც. ვარიანტი (ზედა სორტა).

**ზემო უფალკარი** – სოფლის კუთხე ეკის მთის კალთაზე, ნოქალაქევის საზღვართან. წვდება კოტიანეთამდე. შედის უბნები: საჩიჩუო, საარჩაიო, საზარელუო (უფალკარი).

**ზემო ფოცხო** – სოფ. ფოცხოს ძველი სახელწოდება. ფოცხო იყოფოდა ორ ნაწილად: ზემო ფოცხო და ქვემო ფოცხო. ქვემო ფოცხოს დღეს ეწოდება ფოცხო. ზემო ფოცხო კი დაიყო სამ სოფლად: ლეგოგიე-ნასაჯუ, მეორე მოხაში, მოხაში.

**ზენიწყუ//ზეინწყუ** – წყარო, სახნავი ჩერტიშ ღალის მარცხ. მხარეს. შესაძლოა: (რ)ზენიწყუ „ვაკის წყარო" → ზეინწყუ. (მეორე მოხაში).

**ზიანდური** – ხეობა, ოხარჩალეს ხეობის ნაწილი (სიგრძე 300-400 მ.). (ჯოლევი)

**ზინაშ ნოხორი** – ბუჩქნარი სკურიიის უბანში (შუა ხორში).

**ზისხირიშ გოლა//ზგსხგრიშ გოლა** „სისხლის მთა" – მთა, ეკის მთის დასაწყისი. გადასცქერის კურორტ მენჯს. მიწას სისხლის ფერი აქვს, თითქოს აქ კაცი მოუკლავთ და სისხლი დაღვრილა. რესპ.: „გადმოცემით, აქ თათრები გა-

უწყვეტიათ და იმდენი სისხლი დაღვრილა, „ქვირა ნჩურუნდუა“ (კვიცი ცურავდაო). (სენაკი, სახარბედიო).

**ზოსიშ ნაწისქვილუ** – ნაწისქვილარი მდ. ცივის ნაპირზე. ზოსი ← ზოსიმე (მუხური).

**ზუგა** – ბორცვი სკურდის მარჯვ. ნაპირას. წყალდიდობისას არ იფარება (სირიაჩქონი).

**ზუგუ** – ბორცვი ჩაის ფართობით მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს. ზუგა, ზუგუ „მიწაზვინული; მცირე შემაღლება, ბექობი“ (გეჯეთი).

**ზუგუ//ბესელიაშ ზუგუ** – ბორცვი სახნავით ტეხურის მარცხ. ნაპირას, გინძე ტყასთან. ამ ბორცვთან დაკავშირებით ხშირი იყო ცემა-ტყეპა დადიანებსა და გლეხებს შორის. ბოლოს გლეხებმა დაისაკუთრეს (ნოსირი).

**ზუმოხონა** – ტყე ჯოჯუეფიშ ღალის მარცხ. მხარეს. ზუმოხი იგივეა, რაც ქართ. ძმერხლი (მოხაში).

**ზურგანა//ზურგანეში** – ტყე და ბორცვი, რომელიც ფარცვანიებმა გააკეთებინეს სვანებს წყალდიდობისას ჯოგის დასაცავად. აქედან ფიჩორზე ქუაფონის გავლით გადიოდა გზა გურიაში, სადაც გაჰქონდათ ზურგანეშში გამომწვარი აგური. ალ. ქობალია: „**ზურგა** – ბორცვი, გორაკი, ქედი, მიწაზვინული“ (საგვიჩიო).

**ზურგანეში** – ტყე და ბორცვი. იგივე ზურგანა (საგვიჩიო).

**ზურგანეშ ღალი** – ღელე. ერთვის საკვინოშ ღალს – ფიჩორის ტოტს (საგვიჩიო).

**ზურგაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სოფ. ზანის საზღვართან (ეკი).

**ზღვაია** – ტბა ეკის მთაზე, სოფ. საჩიქობავოს გადასახედზე. ზღვა „ზღვა“ → ზღვაია „მცირე ზღვა, ანუ ტბა“ (რამდენიმეა სამეგრელოში). (სახარბედიო).

**ზღურზღული** – ფართო ღელე ტყეში, საკვინიო ღალსა და ღანჩიროს შუა. ერთვის ღანჩიროს, ღანჩირო კი – ფიჩორს. ალ. ქობალია: „**ზღურზღული** – უხვად დინება ნაჟურისა; **ზღურზღულია** – უხვწყლიანი ნაჟური“ (საგვიჩიო).

**ზგსხგრიშ გოლა** – გორა. იგივე ზისხირიშ გოლა (სენაკი).

## – თ –

**თავარანგილოზი** – ეკლესია, სასაფლაო ოხვამეკარში (ლეკოკაიე).

**თა(თა)რსქუაშ ნოხორი** – მინდორი საჩიჩუოს ქვემო ნაწილში. თათარსქუა გვარ თათარაშვილის ადგ. ვარიანტია (უფალკარი).

**თაიაშ ნაკარუ** – 1. მინდორი რიონის ნაპირას. აქ თაიას (სოფელია ჩხოროწყუს რ-ში) კოლმეურნეობის საქონელი მდგარა საბჭოთა პერიოდში (ტყირი); 2. მინდორი სოფლის ჩრდ. ნაწილში. აქ სოფ. თაიას საქონელი იდგა და, რა თქმა უნდა, კარეც (მწყემსების ბინა) აქვე ჰქონდათ (მუხური); 2. საძოვარი ნასაპონუში. საძოვრად ჰქონდა სოფ. თაიას (ახალსოფელი, ისულა).

**თაკადარი** – სერი საადამიოშ გოლას სამხ. ნაწილში, ეკის მთაზე. აქ გადის საზღვარი ძველი სენაკის თემის საკრებულოსთან. რესპ.: „კადარი დობერაჯგუა დიხა რე, ეზუგია რე". საერთოდ, კადარი მთის სამხრეთი, მაშასადამე, მზიანი კალთაა. თაკადარი ← თაშკადარი „მთის მზიანი კალთა" (საადამიო, საჩიქობავო).

**თარანგელოზი** – ეკლესია, სასაფლაო ბჟერის მთის ძირას, საძიმცესქუოში. აქ იყო კვაუთის მთავარი სასაფლაო. შემორჩენილია თავახდილი ეკლესია (კვაუთი);

**თარანგილოზი** – 1. ნაეკლესიარი და სასაფლაო საჩემიო-საკინწურაშვილოში (სენაკი); 2. ნაეკლესიარი სკურეს ნაპირას. უწინ ბესელიების სალოცავი ყოფილა (საკილასონიო); 3. ნაეკლესიარი, სასაფლაო ლეშამათეში, ხანჯარა-მეტერიის წყალგამყოფზე (ფოცხო); 4. ნაეკლესიარი, სასაფლაო ოხვამეკართან (საადანაიო); 5. ნაეკლესიარი, სასაფლაო ოხვამეფერდში, ქვემო ფოცხოს საზღვართან (ლეგოგიე-ნასაჯუ) და სხვ.

**თარანგიოზი** – სასაფლაო, ნაეკლესიარი საოჩიგაოში. თარანგიოზი იგივე მთავარანგელოზია (გეჯეთი).

**თარაშ მოხილი** „თარას ჩამორღვეულ-ჩამორეცხილი" – კლდე სახორაში (ეწერი).

**თარია(შ)წყუ** – წყარო ლეგოგიეში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**თაუზ(ი)ერი** – ბორცვი სკვერმენჯიშღალის მარცხ. მხარეს, ლეგაბელიესა და სოფლის ცენტრს შუა (ადასტურებს მხოლოდ ორი რესპოდენტი). (უშაფათი).

**თებრონიაშ ღალვ** – ღელე, ხანჯარის მარცხ. შენაკადი (მეორე მოხაში).

**თედორეშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**თედორიკაშ ნოხორი** – სახნავი ლეკორშიეში (უშაფათი).

**თეკა(რ)თი** – სოფელი. იგივე თეკლათი (თეკლათი).

**თეკლათი** – სოფელი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, სენაკ-ხობის სარკინიგზო მაგისტრალზე. ესაზღვრება: ჩრდ-ით – სოფ. ბათარია, სამხრ-ით – სოფ. გოლასკური, დას-ით – სოფ. რეკა. იყოფა ორ ნაწილად: ა. პირველი თეკათი – სოფლის ნაწილი. იგივე საგვარამიო; ბ. მაჟია თეკათი – სოფლის კუთხე მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, რკინიგზის ხაზსა და სოფ. ბათარიას შუა. ადგ. ვარიანტი: თეკა(რ)თი. არქანჯელო ლამბერტის „კოლხეთის, დღევანდელი სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) ტეხურის მარჯვ. მხარეს ორი ეკლესიის თავზე წარწერილია „Tecati", რაც, რა თქმა უნდა, იგივე თეკლათია (ასევეა აღნიშნული ავთ. თორდიას მიერ გადმოქართულებულ ვარიანტშიც). (თეკლათი).

**თეკლათი ზედა** – ერქვა სოფელს (70 კ., 359 ს.) თეკლათის სას. საბჭოში „საქ. სსრ ადმ-ტერიტ. დაყოფის" 1930 წლის გამოცემის მიხედვით. ხოლო თეკლათი ქვედა – სოფელს ქვედა თეკლათის სას. საბჭოში (157 კ., 731 ს.). მაგრამ 1949 წლისათვის ეს ორი სოფელი წარმოდგენილია ერთ სოფლად თეკლათის სას. საბჭოში (სენაკი, თეკლათი).

**თეკლათი ქვედა** – ეწოდებოდა სოფელს. იგივე ქვედა თეკლათი (სენაკი).

**თელაშჯინჯი** „თელისძირი" – 1. სახნავი ნახარდანუსთან, სახუფერიოში (ისულა); 2. სახნავი ლაბახურის

მარცხ. ნაპირას (გოლასკური); 3. სახნავი ნოცონთან, სოფ. საბერულავოს საზღვართან (საოდიშარიო).

**თელონი** „თელნარი" – ტყე რიონის მარცხ. მხარეს (საგვიჩიო).

**თემრაზიაშ ნაგორდოუ** – მინდორი. იგივე ნაგორდოუ (გეჯეთი).

**თემრაზიშ ნაისგრგ** – სახნავი ცივის მარცხ. მხარეს (ტყირი).

**თემყვაშ ნოხორი** – 1. საძოვარი ლეგაბელიეში. თემყვა პირსახელია (უშაფათი); 2. სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს (მოხაში); 3. სახნავი ეკლესიასა და ნინუეფიშ გოლას შუა (კოტიანეთი); 4. ხეხილი ლეპიტახიეში (კვაუთი).

**თემშარა** „თემის გზა" – ერქვა სათემო გზას XIX ს-ში (სირიაჩქონი).

**თემშარა(შ)ღალგ** – ღელე, ქვაფონის მარჯვ. შენაკადი სიმონიშ ნოცონთან. გაედინება ახალსოფლიდან (სირიაჩქონი).

**თეუფანეშ ნოხორი** – 1. საძოვარი საბულიოში, სოფ. ზანის საზღვართან (პატარა ზანა; 2. სახნავი ცხვიკიონში (უშაფათი).

**თოლდუდი** „წყაროსთავი" – წყარო ნაოჩუში, სოფლის სამხრ. ნაწილში. აქ იწყებოდა წუღელო და ერთოდა მდ. ცივს. აღმ-იდან მიემართება დასავლეთისაკენ. ამიტომ ტეხურ-ცივს შუა ყველა ღელე მას ერთოდა (ისულა).

**თოლორდაშ ნაწისქვილუ** „თოლორდავას ნაწისქვილარი" – მინდორი სანის ნაპირას (მუხური).

**თომაშ ტყა** – ტყე კაჟონასთან. თომა მამაკაცის სახელია (საგუგუნავო).

**თომაშ წყურგილე** – წყარო საზარანდიოში (ეწერი).

**თორდიელი** – საძოვარი წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდ-ით. თორდია გვარია. -ელ სუფიქსი, ისევე როგორც -ურ//-ულ, აღნიშნავს, რომ სახელდებული ობიექტი ეკუთვნოდა ფუძით აღნიშნულ პიროვნებას. მაშასადამე: თორდიელი „თორდიასეული" (კოტიანეთი).

**თორდუაშ ბოგა** „თორდუას ბოგირი“ – ნახიდარი მდ. ცივზე, სასალაყაიოში. გადმოცემით, მდინარეზე ხე იყო გადებული (ბათარია).

**თორდული** – 1. ერქვა სახნავს ეკის მთაზე, სატყეოს ზონაში. შემდეგ კი ამ ადგილას კაკალი გაშენდა. თორდია (გვარია) → თორდული „რაც უწინ თორდიას ეკუთვნოდა“ (საწულეისკირიო); 2. ტყე ეკის მთაზე, სატყეო ზონაში, ზედა სალომიოს საზღვართან (სენაკი).

**თოფურიაჭალე** – ჭალა-საძოვარი რიონ-ტეხურის შესართავთან (ისულა).

**თუდოენმუხური** „ქვემო კუთხე“ – სოფლის ნაწილი სოფ. კოტიანეთის საზღვართან (გახომელა).

**თურქეფიშ ნაკეთებუ** – წყარო. იგივე ლომურიშ წყარი (შუა ხორში).

**თურქეფიშ ნახუტურუ** – ბორცვი ლომურში. რესპ.: „აქ დაუმარხავთ რუსებთან ომში გაწყვეტილი თურქები. მიწის ხვნისას ახლაც პოულობენ იმ ომისდროინდელ მასრებს“ (შუა ხორში).

**თურქეფიშ ჯიხა** – ნაციხარი სოფ. საჩიქობავოს საზღვართან (ძველი სენაკი).

**თურქიაშ ნოხორი** – მინდორი ნათხორუსთან (ძველი სენაკი).

**თურქიშ გამოქვაბული** – მცირე ხელოვნური გამოქვაბული აბანას გვერდით (კვაუთი).

**თურქიშ ნაშქვიდი** „სადაც თურქი დაიხრჩო“ – მორევი ტეხურზე, კვარჩხიღალის შესართავთან (ბეთლემი).

**თურქიშ ღალც** – ღელე, ცივის მარჯვ. შენაკადი. მოედინება სოფ. ახუთიდან (ფოცხო).

**თურქიშ წყურგულე** – ღელე, ონახუეშის მარჯვ. შენაკადი (ლებაღათურე).

**თურქულე//ნათურქული** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირას. მოქცეულია რკალში ბერღალსა და გუდურს შუა. რესპოდენტები: 1. თურქები აქამდე შემოდიოდნენ ნავებით და სიმინდს ყიდულობდნენ; 2. აქ თურქულე დამართნია საქონელს და გაუწყვეტია. თურქულე საქონლის გადამდები ავადმყოფობაა ერთგვარი (საოდიშარიო).

**თურქულეშ ტობა** – ბორცვი ტეხურზე, თურქულესთან (საოდიშარიო).

**თუჭმარა** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე).

**თხაბზონა** – ფერდობი სოფ. ეკის საზღვართან. რესპ.: „თხაბ(უ)ზონა ყურძნის ჯიშია“, თუმცა კი ამტკიცებს, რომ სწორი ფორმაა ხაბზონა და არა თხაბზონა (საგუნიო).

**თხაშ ნაციდერი** – სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს. რესპ.: „მიწის საფასურში თხა მიუციათ“ (საესებუო).

**თხელიაშ ნოხორი** – სახნავი საბოხუოში. თხელია მცირერიცხოვანი გვარია (სულ 21 სული საქართველოში). შდრ. თხელიძე იმერეთში (შუა ნოსირი)

**თხინა** „თხილნარი“ – მინდორი ვერხონასთან, ნასიბღელის ნაპირას. **თხირი** „თხილი“ → თხირონა „თხილნარი“ → თხინა (ჰაპლოლოგიის შედეგად). (გეჯეთი).

**თხირიშჯინჯი** – ბუჩქნარი საკინწურაშვილოშ გოლაში (სენაკი).

**თხირონა** „თხილნარი“ – 1. ტყე მერეში (კოტიანეთი); 2. ტყე სოფ. ისულის საზღვართან, საყვანიოს სამხრეთით (ახალსოფელი).

**თხირონა//ნათხირგ** – სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს (კვაუთი).

**თხირღალგ** „თხილის ღელე“ – ღელე. იწყება ბანკიშ ტყაში. გაედინება დიდ ბეგსა და ჭიჭე ბეგს შუა. ერთვის ხობისწყალს საჯიჯაოში (პატარა ზანა).

**თხომბოგა** „თხმელის ბოგირი“ – ტყე სანაშ ფარტეს ორივე ნაპირას (ტყირი, ახალსოფელი).

**თხორილი//თხორილობა** – 1. ხევი, სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს. ნამეწყრია. ვარაუდები: 1. **თხორილი** „თხრილი“ → თხორილობა „თხრილები“; 2. თხორილობა ← თხორილრობა „თხრილის ხევი“ (ფოცხო).

**თხორილობა** – ხევი, სახნავი. იგივე თხორილი (ფოცხო).

**თხორილღალი** „ნათხარი ღელე“ – ღელე, ოჯუმენეს მარცხ. შენაკადი (გოლასკური).

**იაგორაშ ნოხორი** – სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს (საშურღაიო).

**იაკიმეშ ნოხორი** – სახნავი საშარტაოში (პატარა ზანა).

**იაკობაშ ნოხორი** – სახნავი სახურციოში, ნაკანტორთან (ლეკოკაიე).

**იაკობაშ რობუ** – ხევი ზედა სალომიოში (სენაკი).

**იაკობაშ ჭალე** – ჭალა ზანაძგის ნაპირას (პატარა ზანა).

**იაკობაშ ჭალე** – ჭალა-სახნავი მოხაშურის მარცხ. ნაპირზე (უშაფათი).

**იაკოშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი (ბეთლემი).

**იანიშ ნოხორი** – ტყე სოფლის ცენტრ. გზაზე (საშურღაიო).

**იარმუკა** – მინდორი. იგივე ოხოჯე (ძველი სენაკი).

**იბლოშ შეკებული** „იბლოს შემოკავებული“ – ტყე სოფ. ლესიჭინეს საზღვართან (სატყებუჩავო).

**იბლოშ წყუ** – წყარო იბლოშ შეკებულთან, სოფ. ლესიჭინეს საზღვართან (სატყებუჩავო).

**იესო ქრისტე//ქირსეშ ოხვამე//ქირსეშობაშ ოხვამე** – ნაეკლესიარი, სასაფლაო ლეკირცხალიეში, ტყელაშ სუკის სერზე (ბეთლემი).

**ივაკაშ ჭალე** – სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს (მოხაში).

**ივანე ნაცმერი** – გორა. იგივე ნათისცემი (საადამიო).

**ივანეშ ნოხორი** – სახნავი ლეკორშიეში (უშაფათი).

**ივანეშ შეკებული** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**ივანეშ წყურგულე** – წყარო. ნახურის ერთ-ერთი მდგენელი (კოტიანეთი).

**ივლოშკარი** – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში (ლეძაძამე).

**ილარიონიშ მენჯი** – ტყე დღურუს ხეობაში (საშურ-ღაიო).

**ილაშ ნოხორი** – ტყე სოფლის ცენტრის ჩრდ-ით (სა-ხარბედიო).

**ილიაშ კინოკურთხუ** – საძოვარი. იგივე კინოკურ-თხუ (სახარბედიო).

**ილ(ი)კოშ ღალუ** – ღელე ზანაძგის მარჯვ. შენაკადი საზარანდიოში (ეწერი).

**იმანიერი** – მაღალი გორა. იგივე იმანიორი (უფალ-კარი, საადამიო)

**იმანიორი//იმანიერი** – მაღალი გორა ეკლესიის ნან-გრევებით საფარცვანიოში,საფარღალასა და სადავითაიოს შუა, ბერღალ-ჟვანიაშ წყუს გამყოფ სერზე.

დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობა-რის მიხედვით, ზუბის მაზრის სოფლების ჩამონათვალში გვხვდება **იმანიერი** (მეუნარგია, 1939, გვ. 112), რაც გვაფიქრე-ბინებს, რომ ასე ერქვა დღვანდელ საადამიოს ან მის ერთ-ერთ უბანს. ამგვარი დასკვნის საფუძველი: 1737 წელს შედგენილ შეწირულების სიგელში დასახელებულია „ეკის მონასტერი, იმანიერი" (ქსძ, III, გვ. 731). ეს მონასტერი დღე-ვანდელი საადამიოს ტერიტორიაზეა და ივანე ნათლის-მცემლის სახელობისაა. მაშასადამე, სავარაუდოა: იმანიერი ← ივანიერი (ივანე ნათლისმცემლისა). გ. ელიავა ეკის სას. საბჭოს ტოპონიმთა ჩამონათვალში ორგან ასახელებს იმა-ნიორს და ასე განმარტავს: ა. „იმანიორი „ნანიორალი" (ელიავა, 1989, გვ. 80) და ბ. „იმანიორი „მანცხვარიში ოხვა-მე" – მაცხოვრის ეკლესია (იქვე, გვ. 84). ზემოთ აღნიშნუ-ლი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან დაკავშირებით დ. ჭითანავა აღნიშნავს: „საადამიოში, ეკის მთაზე მდებარე-ობს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელ-საც „იმანიერსაც" უწოდებენ... ადრინდელი ტაძარი ალბათ V-VI საუკუნეებისა უნდა იყოს: ამ ადგილს ეძახიან ოცი-მეშს..." (ჭითანავა, 2010, გვ. 408). ეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია თუ ტაძარი „იმანიერი" 1707 წელს გიორგი ლი-პარტიანს ბიჭვინთის ტაძრისათვის შეუწირავს იქ მოსახლე ყმებითურთ (მათგან გვარ ადამიას ატარებს 9). ეს ეკლესია,

მძლავრი გალავნით გარშემოვლებული, დღესაც დგას საადამიოში. ნათლისმცემლის ეკლესიის სამრეკლოს კედელზე შემორჩენილ წარწერაში, რომელიც ამოუკითხავს მარი ბროსეს, მოიხსენიება „დიდი მეფე თამარ, მეუღლე გიორგისა“. აქედან გამომდინარე, ზოგი მკვლევარი თვლის, რომ აღნიშნული წარწერა თამარის ზეობის პერიოდისაა (იხ. სათანადო ლიტერატურა: ჭითანავა, 2010, გვ. 409-411). (უფალკარი, საადამიო).

**იმედი** – ჩაის ფართობი ქვემო საჭითაოში. „იმედი“ ეწოდებოდა იმ ქალთა ამხანაგობას, რომელმაც 30-იან წლებში გააშენა აქ ჩაი (პატარა ზანა).

**ინჭა** „ჭა“ – სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**ინჭირე//ოინჭირე** – ხევი სკურდის მარცხ. მხარეს. მეგრ. ინჭირი იგივეა, რაც ქართული ანწლი (ლესაჯაიე).

**ინჯგიაშ ჯაპონი** – სახნავი გურძემიის ნაპირას. ინჯგია გვარსახელია. ჯაპონი „თუთნარი“ (ლეგოგიე).

**იობაშ ეზო** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს. იობა პირსახელია (ლეგოგინე)

**იონაშ ფერდი** – ბორცვი მეტერიასა და ოტრეღალს შუა (ფოცხო).

**იოსებაშ ბერჯღონი** – ერქვა ტყეს, ბერჯღონის ნაწილს (მოხაში).

**იოსეშ ნოხორი** – ბორცვი ლესიგუეში (კვაუთი).

**იოსკაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მოხაშურის მარცხ. მხარეს. იოსკა ← იოსები (უშაფათი).

**იპოლიტეშკარი** – ჩაის ფართობი ლეგოგიეში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**იპოშ მართუ** – მორევი ხობისწყალზე. მართუ წყალტრიალა მორევია. იპო ← იპოლიტე (ციზეთი).

**ირემული** – ფერდობი ოკვაცეს მარჯვ. ნაპირას (საადანაიო).

**იროდიშ კარობა** – ჩაის ფართობი ზანაძგასა და სუღირს შუა, კარობა ნიშნავს მიმდებარე ადგილებს ან დასახლებულ პუნქტს სახლის წინა ფართო ადგილას (პატარა ზანა).

**ისლამიშ წყარი** – წყარო საკინწურაშვილოში (სენაკი).

**ისულა** – სოფელი ტეხურის მარჯვ. მხარეს, ახალსოფლიდან რიონამდე. სამხრ.-დას-ით ესაზღვრება ზ. ჭალადიდის თ/ს. რესპ.: „ბაბუასგან გამიგონია: ისულა იტალიურად მწვანე მინდორია. იტალიის დედოფალი ტეხურს ამოჰყოლია გემით და აქ უთქვამს: ამ ისულაში სადილი ვჭამოთო. ამიტომ დარქმევია ისულა“ (ახალსოფლის თ/ს).

**ისულაშ ოხვამე** – ნაეკლესიარი. იგივე წმინდა ბარბალა (ისულა).

**იულოშ ნოხორი** – სახნავი ეკლესიასა და ნინუეფიშ გოლას შუა (კოტიანეთი).

**იულოშ წყურგილე** – წყარო ლემალანიეში (მეორე მოხაში).

**იუტობა** – მორევი მდ. აბაშაზე. იუ ← იულონი (ლებაღათურე).

## – კ –

**კადარა** – ფერდობები ლეტყებჩეში, თებრონიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (მეორე მოხაში).

**კადარი** – 1. ფერდობი არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს. კადარი საზოგადო სახელია და აღნიშნავს მზისკენ მიქცეულ ფერდობს (შდრ. ანტონიმი: შქედი). (ლეგოგინე); 2. მზიანი ფერდობი ოჭაკინეს აღმ. კალთაზე. შდრ. რესპ.: „კადარი დობერაჯგურა დიხა რე, ეზუგია“ (ლესაჯაიე); 3. ბორცვი, სახნავი ლეგოგიეში (ლეგოგიე-ნასაჯუ); 4. გორა საჯოლიოსა და საკუჭას შუა (ეკი); 5. სერი გუნურსა და ჭყონიაღელოს შუა (უფალკარი); 6. ფერდობები კადარღალის სათავესთან. რესპ.: „მიუვალი ადგილი რე, ომუშებელო ვერგუ. ბჟა ირო მიკარე, ტყა მიკოჩანს“. **კადარი** – ქვიანი, კენჭიანი და მზისკენ მიქცეული უნაყოფო ფერდობი. საერთოდ. დ. ყანდაშვილი ამ სიტყვის ფუძეს ასე წარმოგვიდგენს: „**კად** – მოუტევა“ ( ?) (დიდი ხორში) და სხვ.

**კადარიშდუდი** – სახნავი საცხომარიოში (დიდი ხორში).

**კადარიშ წყურგილე** – წყარო, გურძემიაშ მეტერიის შენაკადი (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**კადარობა** – ღელე, ხეობა, ჭიჭე დღურუს მარჯვ. შენაკადი. კადარი „მზიანი ფერდობი“. -ობა ამ შემთხვევაში - ებ მრ. რიცხვის ნიშნის ტოლფასია (საგუგუნავო).

**კადარღალგ** – ღელე. მოედინება საფაჩულიოდან (დიდი ხორში).

**კადიშ ნოხორი** – ტყე სოფ. ლესიჭინეს საზღვართან (ეწერი).

**კადიშკარი** – ჩაის ფართობი სახორაში. კადი კაცის სახელია (ეწერი).

**კადრიბიშკარი** – ჩაის ფართობი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს, ცხვიკიონის პირდაპირ (უშაფათი).

**კადრიბიშ ნაჩიხა** – მორევი დღურუში. კადრიბი პირსახელია (პატარა ზანა).

**კათი** – ბორცვი სახურციოში, კოტოღალის მარჯვ. ნაპირზე. აქ ტარდებოდა ელიობა, ჯარალა. კათ- ზმნური ფუძე შეიცავს სემანტიკას: შერევა, აღრევა, შეერთება, გაერთიანება. ხოლო კათი შეიძლება ითარგმნოს როგორც „ნაერთი, ნარევი ხალხი; კრებული“. შდრ. ტოპონიმი **ნაკათი** ჩხოროწყუს რ-ნში (ცხადაია, სგს, IV, 2002, გვ. 232). (ლეკოკაიე).

**კაკაჩია** – საძოვარი ნაცხენესა და ეკუსქურს შუა. კაკაჩია გვარსახელია (უფალკარი).

**კაკირი** – ტყე საკვირკველიოსა და საწურწუმიოს შუა. **კაკუა** ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ხეზე ნაჭდევის გაკეთება“ გზის ან საზღვრის აღსანიშნად, ან ხეების გასახმობად და მიწის მოსაახოებლად. **კაკირი** „ნაჭდევი“ სათანადო მიმღეობაა (გოლასკური).

**კაკოშ ნოხორი** – მინდორი ნიშიის მარჯვ. მხარეს (ციზეთი).

**კაკოშ წყუ** – წყარო ნაჯუხურუსთან (ფოცხო).

**კაკოშ ჭალე** – სახნავი მდ. ზანის ჭალაში (ზანა).

**კაკური** – ვენახი საარახამიოსა და ფშალონას შუა ← კაკუა (გვარსახელი) ან კაკო (პირსახელი). (კოტიანეთი).

**კა(კ)უტია//კა(კ)უტიაღალგ** – ღელე. მოედინება ციზეთიდან და ერთვის უჩა ღალს მარცხ. მხრიდან. აქ ესახლა კაკუტია ჯონჯუა. საერთოდ კი რესპოდენტები ზოგ შემთხვევაში ვერ თანხმდებიან სახელდებული ობიექტის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, ვერ შეთანხმდნენ კაუტიაღალ სადაღალს ერთვის თუ უჩა ღალს (შუა ხორში, ციზეთი).

**კა(კ)უტიაღალგ** – ღელე. იგივე კაკუტია (ციზეთი).

**კაკუშ წყარი** – წყარო ზანაძგის მარცხ. მხარეს (სატყებუჩავო).

**კალამურა** „ლერწმიანი, ბამბუკოვანი, შალაფოვანი" – სახნავი ცანასქურის მარჯვ. მხარეს (უფალკარი).

**კალანდარიაშ მინდორი** – მინდორი ნიშიის სათავესთან. კალანდარია გვარ კალანდარიშვილის არაოფიც. ვარიანტია სამეგრელოში (ციზეთი).

**კალო** – მინდორი სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში. ნაკალოვარი ადგილია (სირიაჩქონი).

**კამანიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სოფ. საგუგუნავოს საზღვართან (ეკი).

**კანკიაშ ტყა** – ტყე ომინჯეშის ნაპირას. კანკია გვარსახელია (ლებაღათურე).

**კაპუნია** – სერი ნიშიის სათავესა და უჩა ღალის წყალგამყოფზე. რესპ.: „კაპუნიას ილოცავდნენ სექტემბერში, ბატკანი ან თიკანი იკვლებოდა". როგორც ცნობილია, კაპუნია წარმართობისდროინდელი კერპია, ცეცხლისა და სინათლის მბრძანებელი ღვთაებაა. ს. მაკალათია წერს: „კაპუ ანუ კაპუნია ყოფილა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ. შემდეგ ხალხს ადამიანის შეწირვისაგან თავი დაუხსნია და მსხვერპლად ღორი გაუჩენია" (მაკალათია, 1941, გვ. 308). იხ. აგრეთვე: ჭანტურია, 1989, გვ. 183; ქობალია, 2010, გვ. 354; ცანავა, 1981, გვ. 101-103 (ციზეთი).

**კაჟონა** „კაჟნარი" – 1. მინდორი საადამიოშ გოლაში (საადამიო); 2. სახნავი სოფ. საგუგუნავოს საზღვართან (დიდი ხორში); 3. ფერდობი ეკის მთის კალთაზე (სახარბედიო); 4. მინდორი ზედა სალომიოს თავზე (სენაკი); 5. მინდორი საკვაშილაში (საესებუო); 6. სახნავი საშარტაოში

(პატარა ზანა); 7. ტყე ოფუჯეშ ღალის ნაპირას (გეჯეთი); 8. ტყე სოფ. პატარა ზანის საზღვართან, საშარტაშ დღურუს ნაპირას (საგუგუნავო); 9. ჩაის ფართობი ცივის მარცხ. მხარეს, ლეგაბელიეში, აპარტუანთან (უშაფათი) და სხვ.

**კაჟოტახუე//კაშოტახალი** – ფერდობი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „კაჟის ნოტახუენა ათაქი". მაშასადამე, **კაჟიშ ოტახუე** „კაჟის სატეხი ადგილი" → კაჟოტახუე → კაშოტახალი „კაჟსატეხი" (საადანაიო).

**კარეშ ფერდი** – ბორცვი სოფლის დას. ნაწილში (ლეძაძამე)

**კარიეთი** – სოფ. შუა ნოსირის უწინდელი სახელწოდება, დღეს კი უბანი და რკინიგზის სადგური სოფლის ცენტრში. რესპ.: „სუმ ზაორთუ ცოფე დო ართი კარი ნოღვე", ე.ი. კარი ერთი ჰქონია; „მებატონე ასლან ჭილაიას გლეხებისათვის, რომელთაც დაამთავრეს მისი მამულის შემოღობვა, უბრძანებია, კარი ერთი გაუკეთეთო". ნოსირის სას. საბჭოს ტოპონიმებს შორის გ. ელიავა ასახელებს უბნის სახელწოდება კარიეთს. აქ მდგარა კარიეთის წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია (ელიავა, 1989, გვ. 33). (შუა ნოსირი).

**კარკაზია** – სერი ჭყონიაღელოს მარჯვ. მხარეს, ნაცხენეს გვერდით, უფალოხვამეში მიმავალ გზაზე. კარკაზია – დახვეული, მრავალგან გამრუდებული (უფალკარი).

**კარობა** – 1. სახნავი ისულის დას. ნაწილში. გრძელდება ღალჩამდე. დასახელებულია 1919 წ. შედგენილ ე.წ. „მეჟევანიის" საბუთში, რომელიც ინახება ანეტა ხოფერიას ოჯახში (ისულა); 2. სახნავი ლომურის ჩრდ-ით. რესპ.: „ართი კარი უღუდუ. შხვა შარა ვარდუ" (შუა ხორში); 3. სახნავი მდ. ცივსა და ერაგიაშ ღალს შუა. რესპ.: „კარი გილაბუდუა დო თიშენი გიოდვესია კარობა". აქვეა ჯაპშენი (იხ.). (სახარბედიო); 4. სახნავი. იგივე ხორგიში. რესპონდენტთა უმრავლესობის განმარტებით, კარობა არის უბნის მცხოვრებთა, ან თუნდაც რამდენიმე მეზობლის თავშესაყრელი ადგილი (ეკი).

**კარობა//ოხვამეშ კარობა** – ბორცვი ლეკორშიეში (უშაფათი).

**კარტოზიაშ ტყა** – ტყე სოფ. ჯოლევის საზღვართან (ლებაღათურე).

**კარტოზიაშ ფერდი** – ფერდობი ოფერწიეშ ღალის მარცხ. მხარეს (კვაუთი).

**კატიაშკარი** – ჩაის ფართობი ლეგოგიეს უბანში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**კატიაშ ტობა** – მორევი მეტერიაზე (ფოცხო).

**კაკო დადხეშ ნოხორი** – მინდორი რიონის მარცხ. მხარეს (საგვიჩიო).

**კაუტიაღალგ** – ღელე. იგივე კა(კ)უტია (შუა ხორში).

**კაშოტახალი** – ფერდობი. იგივე კაჟოტახუე (საადანაიო).

**კაციაშ ფერდი** – ფერდობი სოფ. ეკის საზღვართან. კაცია მამაკაცის სახელია (საგუნიო).

**კაციეშ ნოხორი** – სახნავი ხუხიეფიშ ღალის ნაპირას. აქ ესახლა კაციე დადიანი და მისი ნასახლარია. სწორედ ამ კაციეს ჩამოუყვანია სოფ. ჯვარიდან აქ მცხოვრები ბელქანიების წინაპარი (კოტიანეთი).

**კაცობაშ ნოცუნი** – ტყე ცამღალის სათავესთან. კაცობა პირსახელია (პატარა ზანა).

**კაცონი** – სახნავი აეროდრომსა და საგვარამიოს (ფიცუსა და ესათს) შუა, ოპალინემდე (საგვარამიო).

**კახიანიშ ფერდი** – ფერდობი, გაჯარის დას. კალთა (ჯიხა)

**კეკელაშ დიხა** – სახნავი ჯიხირში (პირველი ნოსირი).

**კეკუაშ ტები** – ერქვა ტყეს საკეკუოში. აქ გადიოდა ჯვარ-სენაკის საბაზრო გზა. ეს გზა გობოგირით ჩადიოდა კვარჩხიღალში, მერე გადავიდოდა ონანგერეშის მთას და ჩადიოდა უშაფათში (საგუნიო).

**კერთოლი** – სახნავი ოდოსქირეს მარცხ. ფერდობზე. რესპ. ვ. ღვამბერია: „კერთოლი ყურძნის ჯიში ყოფილა. მე არ მოვსწრებივარ“. ალ. ქობალია: „**კერთოლი** – ვაზის ჯი-

ში. კერატის თვალი“. მართლაც: მეგრ. კერი „კერატი“ → კერთოლი „კერატის თვალი“ (შუა ხორში).

**კერნა** – ტყე წიფურგეღულას გვერდით (საგვიჩიო).

**კესაშ ნოხორი** – ვენახი ქვემო საჭითაში (პატარა ზანა).

**კესაშ წყურგილე** – წყარო ომუნჩქვეშთან (კვაუთი).

**კვადაცონა** „ქაცვნარი“ – 1. ბუჩქნარი ტეხურის მარჯვ. მხარეს. ხარობს კვადაცა (გახომელა); 2. საძოვარი ტეხურის მარჯვ. ჭალაში (კოტიანეთი); 3. მინდორი ტეხურის მარცხ. მხარეს (ძიგიდერი) და სხვ.

**კვადაცონი** – ბუჩქნარი ლეჯოჯუეში, სოფ. კვაუთის საზღვართან (ჯოლევი).

**კვაზიშ ნაყვანუ** – სახნავი სოფ. უფალკარის საზღვართან. კვაზი პირსახელია (ლეკოკაიე).

**კვარაცხელიაშ კარე** – საძოვარი ეკის მთაზე (ძველი სენაკი, საჩიქობავო).

**კვარაცხელიაშ ნოხორი** – სახნავი საადამიოშ გოლაში. კვარაცხელია გვარია (საადამიო).

**კვარიათი** – ბორცვი უჩა ღალსა და ეკუსქურს შუა. ამ ბორცვზეა მაცხოვრის ეკლესია (უშაფათი).

**კვარჩხიღალგ** – ღელე ლენარსიეში. რესპ.: „მართალია, აღმ-ით არ მიედინება, მაგრამ ტყაშ მაფა იცოდა და უფრთხოდნენ. ამიტომ დარქმევია“ (ჯოლევი).

**კვარჩხიღალი** – 1. მდინარე, ტეხურის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ლეკირცხალიეში. ზემო წელზე საზღვარია სოფ. უშაფათთან. გაედინება ლებაღათურესა და ლებოკუჩეს შუა, უხვევს აღმ-ით და ერთვის ტეხურს ტეხურ-გურძემიის შესართავს ქვემოთ, აბანაფერდის პირდაპირ (ბეთლემი); 2. ღელე ფართო ხეობით, ნახურის მარჯვ. შენაკადი სოფ. ზედა სორტაში. მოედინება საადამიოშ გოლადან. კვარჩხიღალი დარქმევია ამავე ხეობაში წარმოქმნილ დასახლებულ პუნქტსაც. რესპოდენტის განმარტებით, ღელეს კვარჩხიღალი, ე.ი. უკუღმართი ღელე, იმიტომ დარქმევია, რომ მოედინება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. რესპ.: „კვარჩხაშე მეურსუ, ბჟაიოლშე“ (კვარჩხიღალი, ზედა სორტა).

**კვარჩხიდალი** – სოფელი კვარჩხიდალის ხეობაში, ეკის მთის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ამჟამად სოფელში არავინ ცხოვრობს (ძველი სენაკის თ/ს)

**კვარჩხ(ი)დალი** – ღელე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი (საგვიჩიო).

**კვატალონი** – 1. სახნავი სათურქიოში, წისქვილის-წყალსა და ტეხურს შუა. უწინ ჭაობნარი ყოფილა. რესპ.: „ხაია ჩანდგ დო კვატა ნოხვე". შდრ. ა. მაყაშვილი: „ქართ. ბუსკანტურა... მეგრ. კვატალია" (გეჯეთი); 2. სახნავი ჯიხირში (პირველი ნოსირი).

**კვატიოლი** – სახნავი. იგივე კვატიორი (ეკი).

**კვატიორი//კვატიოლი** – სახნავი ცანასქურის მარცხ. მხარეს, საკუჭასა და სანანოს შუა. კვატია ძალზე მცირე-რიცხოვანი გვარია (სულ 23 სული საქართველოში). (ეკი).

**კვაუთი** – სოფელი ტეხურის მარცხ. ნაპირას. ესაზ-ღვრება: ჩრდ-ით – თარგამეული, სამხრ-ით – ჯოლევი. სავარაუდოა: კვა (პირსახელი) → კვაუთი „კვას შთამომავ-ლობა" → კვაუთი (ტოპონიმი). (ლეძაძამეს თ/ს).

**კვაშ მამული//ცვაშ მამული** – ტყე უშაფათის საზ-ღვარზე, ადესითა და კაკლის ხეებით. კვა პატრონს ერქვა (უფალკარი).

**კვაშილაშ ნაშქვიდა** – მორევი. იგივე კვაშილაშ ნოშქვიდი (პატარა ზანა, ეწერი).

**კვაშილაშ ნოშქვიდი//კვაშილაშ ნაშქვიდა** „სადაც კვაშილა(ვა) დაიხრჩო" – მორევი ზანაძგაზე. კვაშილა(ვა) გვარსახელია (პატარა ზანა. ეწერი).

**კვაშილაშ ნოხორი** – ერქვა სახნავს სოფლის დას. ნაწილში. კვაშილა ← კვაშილავა (ახალსოფელი).

**კვაშილეფიშ ღალღ** – ღელე, მდ. ცივის მარჯვ. შენა-კადი (საესებუო).

**კვინორი** „კვერნა" – წყარო, ღელე. მოედინება კადა-რიდან. ერთვის ეკუსქურს მარცხ. მხრიდან ჭყონიშელის შესართავს ქვემოთ (უფალკარი).

**კვირკველური** – ტყე ეკის მთაზე. კვირკველია (გვარ-სახელი) → კვირკველური „რაც კვირკველიას ეკუთვნოდა" (საწულეისკირიო).

**კვირკველური** „კვირკველიასეული“ – მინდორი ეკის მთაზე (სოფ. ეკი).

**კვირკული** – ჩაის ფართობი ლეტორჩინეშ ფერდის ტერიტორიაზე. კვირკული „კვირკვიასეული“ (მოხაში).

**კვიტინიაშ ნოხორი** – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს. კვიტინია მამაკაცის სახელია (უშაფათი).

**კიდა** – 1. კლდე, რომლის ძირას მიწისქვეშა ღრმულში გაედინება კვარჩხიღალი და გამოედინება სოფ. ზედა სორტაში. კიდა (← კიდალა „კედელი“) მეგრულში აღნიშნავს ფერდობს (კვარჩხიღალი); 2. დიდი აღმართი, ფერდობი ჩხარის ზემო წელზე, ხაბოს თავზე. შდრ. ალ. ქობალია: „**კიდა** – კედელი, ჯებირი, ტიხარი“ (საადამიო).

**კიდანეძი** – ფერდობი სოფლის ცენტრში, სკოლასთან. ალ. ქობალია: „კიდა – კედელი, ჯებირი, ტიხარი“. ჩვენი დაკვირვებით, კიდა ეწოდება მცირე კედლისებურ, კლდოვან ბექსაც (მოხაში).

**კითი** – ერქვა უღრან ტყეს მდ. ცივის მარცხ. მხარეს, მუხურის საზღვრის სიახლოვეს. ხალხ. ეტიმოლოგია: „ტყეში შეშას ჩეხდნენ და ერთს კითი „თითი“ წაუჭრია“. ამჟამად სახნავებია (ახალსოფელი, ისულა).

**კითიშ ტყა** – ტყე ძუგუშ ტყას გვერდით (ტყირი).

**კიკაშ კარობა** – ვენახი საკანკაოში, ჯვარკართან. რესპ.: „კარობა რე ჩქინ წოხლე ადგილმდებარეობა. ფართო ადგილი რე“ (შუა ხორში).

**კიკაშ წყუ** – წყარო საესებუოს საზღვართან. ბათლომეშ ღალის ერთ-ერთი სათავე. კიკა პირსახელია (ზანა, საესებუო).

**კიკაჩონა** –1. ნავენახარი სალოლუოში, სოფ. გაღმა საჯიჯაოს საზღვართან (ციზეთი); 2. საძოვარი ბულიაღელეს მარჯვ. ფერდობზე. კიკაჩა, კიკაჩე ვაზის ჯიშია (საშურღაიო); 3. სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში (სახარბედიო); 4. სერი დედათა მონასტერსა და სალომიოს შუა (სენაკი); 5. ფერდობები დღურუს მარჯვ. მხარეს (საგუგუნავო); 6. ფერდობი ლომურის აღმ. კალთაზე (შუა ხორში) და სხვ.

**კიკერი** – სახნავი ოხვამეფერდში, ჯვარიშ ოხვამეს დას. კალთაზე (კვაუთი).

**კიკილური** – ფერდობი მეტერიის მარცხ. მხარეს. კიკია, კიკილია პირსახელებია (კვაუთი).

**კიმიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მოხაშურის მარჯვ. მხარეს. კიმი ← კიმოთე (ლეგოგინე).

**კიმოთიაშ ნაკარუ** – საძოვარი გოჭყვადილის ნაპირას (გოლასკური).

**კიმოთიაშ ნოდველი** – სახნავი ლეგაგუეს დას-ით. ნოდველი „რაც საყანოდ იდო; ნადები". შდრ. ალ. ქობალია: „ნოდველი – ნაყანევი". კიმოთია პირსახელია (გახომელა).

**კინაშარაშ უბანი** „რკინიგზის უბანი" – უბანი სოფლის ცენტრში, რკინიგზის ბაქანთან (ბათარია).

**კინაშარაშპიჯი** „რკინიგზისპირი" – სახნავი რკინიგზის ხაზის გვერდით (ბათარია).

**კინოკუ(ნ)ჭულია** – მინდორი ჯაფხენისა და პარკულის შესართავს შუა. კუნჭული „კუთხე" → კინოკუნჭულია „მიმწყვდეული კუთხე" (რეკა).

**კინოკურთხუ//კინოხონილი** – მცირე სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს. კურთხუ „კუთხე"→ კინოკურთხუ//კინოხონილი „ტყის, ყანის, მინდვრის მცირე მიმწყვდეული ადგილი" (საწულეისკირიო).

**კინოკურთხუ//ილიაშ კინოკურთხუ** – საძოვარი ცივის მარცხ. ნაპირას, კარობის პირდაპირ. მორფემოიდი **კინო** – მიუთითებს, რომ სახელდებული ობიექტი მიმწყვდეულია მთის ძირას, ან ყანის კუთხეში და ა.შ. (სახარბედიო).

**კინონოხორი** – ბორცვი, სახნავი ლეარზიანეში. **კინოხონნოხორი** „უკან მდებარე ნასახლარი; წინანდელი ნასახლარი; გაღმაური ნასახლარი" → კინონოხორი (ლესაჯაიე).

**კინოხონილი** – მცირე სახნავი იგივე კინოკურთხუ. **კინოხონუა** „ხვნა მცირე, მომწყვდეულ ადგილას" → კინოხონილი „მცირე მოხნული მიწა ყანის კუთხეში ან მივარდნილ ადგილას" (საწულეისკირიო).

**კინტირიაშ ფერდი** – ფერდობი ოფუჯიეს მარჯვ. მხარეს. კინტირია მამაკაცის სახელია (მოხაში).

**კინტირიაშ ჭალე** – 1. სახნავი გითოკირილიშ დალუს ნაპირას (საადამიო); 2 ცანასქურის ჭალის მონაკვეთი (ეკი).

**კინწურასქუალეფიშ ღალ** – ღელე. სათავეა მაჩარკაშ წყარი. ერთვის ტაიშ ჩეხს (სენაკი).

**კინწურესქუაშ ნოშქვიდი** „სადაც კინწურაშვილი დაიხრჩო“ – მორევი ტეხურზე, საჩემიოში. კინწურესქუა იგივე კინწურაშვილია (სენაკი).

**კიპშონე** – ღელე, ურეკიშ ღელეს შენაკადი (საგვიჩიო).

**კირდე** – კლდე ტობაღალის მარჯვ. მხარეს, საჩემიოშ გოლას ძირას (სენაკი).

**კირდეშჯინჯი** „კლდისძირი“ – მინდორი საბედიოში (საჩიქობავო).

**კირლეშ ნოხორი** – საძოვარი ლეგაბელიეში. კირლე ← კირილე (უშაფათი).

**კირნაჭვი** – მინდორი საკოღუოში. **კირნაჭი** ის ადგილია, სადაც უწინ კირს წვავდნენ (უფალკარი).

**კირცხალიაშკარი** – სახნავი. იგივე პაპაშ ნოხორი (საოდიშარიო).

**კიტაიაშ ტობა** – მორევი მდ. მეტერიაზე (უშაფათი).

**კიტაიაჭალე** – სახნავი მეტერიის მარჯვ. მხარეს (უშაფათი).

**კიტუნიაშ ნოხორი** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს. კიტუნია პირსახელია (ფოცხო).

**კიცხირაფონი** – ფონი ტეხურზე, ლეცეკვეში. აქ გადიოდა ფოცხო-ბანძის საურმე გზა. რესპ.: „კირცხიჯგუა ხრეშის დიტენდგ წყარი, სუფთა ხრეშის, შხუ ქუას ვაძირუნდი“. შდრ. **კირცხი, კგრცხი** – სეტყვა, ხოშკაკალი (ო. ქაჯაია). (ჯოლევი, ბეთლემი).

**კიცხირაჭალე** – სახნავი ტეხურის მარჯვ. ჭალაში (ლეძაძამე, ბეთლემი).

**კლასკარი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხარეს, რვაწლიან სკოლასთან. კლასი მეგრულში აღნიშნავდა სკოლას (ლეგოგინე).

**კოდმე//კოდგმე** „კბოდე“ – მორევი მდ. ტეხურზე. **კოდმე** – შემაღლებული ადგილი. განსაკუთრებით ხშირად იტყვიან მდინარის ან ღელის ჩაღმავებული ნაპირის შესახებ (ჯაჯანიძე, 1977). (გახომელა).

**კოდუმე** – მორევი ტეხურზე, გუდურთან. **კოდე, კოდმე, კოდუმე** – კბოდე, მდინარის მაღალი ნაპირი (საოდიშარიო).

**კოდგმე** – მორევი. იგივე კოდმე (გახომელა).

**კოკაშ წყუ** – წყარო, ბათლომეშ წყუს ერთ-ერთი სათავე სოფ. ზანაში (საესებუო).

**კოკი** – ბორცვი ეკიშ გოლას კალთაზე. კოკი, კონკი – ა. ნახევარკუნძული; მდინარისპირა ადგილი (ი. ყიფშიძე); ბ. ბორცვი, მთის წვერი; ხის კენწერო (სახარბედიო).

**კოკიენწერი** –. ჩაის ფართობი სოფ. დიდი ხორშის საზღვართან. კოკი ბატონიშვილს ეკუთვნოდა (პატარა ზანა, დიდი ხორში).

**კოკინა** – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში. კოკი(ნა) აფაქიძის ნასახლარია (სატყებუჩავო).

**კოკინოხორი** – 1. ბორცვი, ჩაის ფართობი ლეშამათეში (ფოცხო); 2. სახნავი სადავითაიოში (ძველი სენაკი); 3. ფერდობები სახარბედიოს აღმ. ნაწილში. კოკი პირსახელია (სახარბედიო).

**კოკიშ ნაწისქვილუ** – ნაწისქვილარი მდ. ცივზე (ფოცხო).

**კოკიშ ღალგ** – ღელე, ილკოშ ღალუს მარჯვ. შენაკადი საზარანდიოში (ეწერი).

**კოკოლაშ დიხა** – სახნავი. იგივე მატუაშ დიხა (ძველი სენაკი).

**კოლიაშ ტანიშ ობონუეში** „კოლიას ტანსაბანაო“ – მორევი მდ. ცივზე (საშურღაიო).

**კოლდღე** – ერქვა ამჟამინდელ ზედა ნაქალაქევს და დღემდე შემორჩა როგორც არაოფიც. ვარიანტი. კოლდღე ← კოლმეურნის დღე (ზ. ნაქალაქევი).

**კოლიაშ წყარი** – წყარო საგუნიოს საზღვართან (კვარჩხიღალი).

**კოლონიაშ მინდორი**//**აკაკიშ ნაკარუ** – მინდორი სანის მარჯვ. მხარეს. აქ მიწას ამუშავებდნენ გერმანელი ტყვეები. ამიტომაც დარქმევია (მუხური).

**კოლოპია** – მდინარე და უბანი. უბანი მდებარეობს მდ. ცივისა და ნისკურის შუამდინარეთში, სოფ. ახუთსა და ლესიჭინეს (ორივე ჩხოროწყუს რ.) შუა. უბანს კვეთს მცირე მდინარე, რომელსაც აგრეთვე კოლოპია ეწოდება. მოედინება სოფ. ახუთიდან, სადაც ეწოდება ხამუა. ერთვის მდ. ცივს მარჯვ. მხრიდან, საყურაშვილოს ბოლოში (ფოცხო).

**კოლოშანა** – ტყე ლეკოკაიეს უბანში, ეკუსქურის მარჯვ. მხარეს. კოლოში ვაზის ჯიშია. -ანა ხშირ შემთხვევაში ენაცვლება -ონა სუფიქსს (ლეკოკაიე).

**კოლოში** – 1. ბუჩქნარი სალაკიოში, რესპ.: „კოლოში ლეკოკაიეს უბანშიც ეწოდება ბუჩქნარს“ (ლეკოკაიე); 2. ჩაის ფართობი ტებღალის მარცხ. მხარეს (ლეძაძამე).

**კოლოშინა** – ტყე-ფერდობი როგუშის სათავესთან, სოფლის ჩრდ. ნაწილში (საჩიქობავო).

**კოლშონა** – ტყე ლექაბურზანიეში. სავარაუდოა: კოლოში → კოლოშონა → კოლშონა (კვაუთი).

**კომნაშ ჩაი** „კომუნის ჩაი“ – ჩაის ფართობი ზედა ნაქალაქევის საზღვართან (ლებაღათურე).

**კომნაციმუ**//**კომნაცომი** – ტყე საგვიჩიოს ჩრდ.-დას. ნაწილში. სემანტიკა და მოტივაცია გასარკვევია (საგვიჩიო).

**კომნაცომი** – ტყე. იგივე კომნაციმუ (საგვიჩიო).

**კონდრატეშ კურთხუ** – სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (საესებუო).

**კონდრატეშკარი** – ჩაის ფართობი ეკუსქურსა და ცივს შორის (უფალკარი).

**კონძა** – ბორცვი ზურგანეშის გვერდით. რესპ.: „სვანებმა დაიწყეს ამ ბორცვის კეთება, მაგრამ ფარცვანიებმა ფული არ გადაუხადეს და დარჩა დაუმთავრებელი“ (საგვიჩიო).

**კოპულიში** – სახნავი, ფერდობი საშურღულაიოში. კოპული პოლისემიური სიტყვაა. ნიშნავს: 1. თავი; 2. ისარი; 3. ტახტა. მიუხედავად ამისა, მოტივაცია ვერ დადგინდა (შუა ხორში).

**კორანტიაშ ნაკარგ** – მინდორი ხაიონაში. აქ კარე („მწყემსის ბინა“) ჰქონდა კორანტია საჯაიას (ტყირი).

**კორშიაშ ნოხორი** – სახნავი სოფ. წყემის საზღვართან. კორშია გვარსახელია (პირველი ნოსირი).

**კორჩიაშ ჭალე** – სახნავი მოხაშურის მარჯვ. მხარეს. კორჩია გვარსახელ კორშიას ვარიანტია, მაგრამ ქ. ფოთში დაფიქსირებულია როგორც ოფიციალური გვარსახელი (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 100). (უშაფათი).

**კოსტაშ ნოხორი** – 1. საძოვარი საშარტაოში (პატარა ზანა); 2. სახნავი ეკლესიასა და ნინუეფიშ გოლას შუა (კოტიანეთი); 3. სახნავი ლეხაბურზანიეში (ლეგოგინე).

**კოსტაშ სურკი** – ბორცვი ნოღაშ მეტერიას მარჯვ. მხარეს (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**კოსტაშ წყუ** – ტლაპო საშარტაოში (პატარა ზანა).

**კოსტაშ წყურგილე** – წყარო საზარანდიოში (ეწერი).

**კოტატიშ წყარი** – წყარო ზანაძგის მარჯვ. მხარეს. კოტატი მამაკაცის სახელია (სატყებუჩავო).

**კოტიანეთი** – სოფელი ტეხურის მარჯვ. ნაპირიდან ეკის მთამდე, სორტისა (ზედა, ქვედა) და ნოქალაქევის თემის საკრებულოს შუა. რესპ.: „1856 წ. თურქებთან ომის დროს აქ მდგარა სომეხი სარდალი კოტიანი (ხოლო სორტაში – სორტიანი)“. (ძველი სენაკის თ/ს).

**კოტო** „ქოთანი“ – მორევი მდ. ცივზე (საადანაიო).

**კოტოღალე** „ქოთნის ღელე“ – ღელე, ეკუსქურის მარცხ შენაკადი. საზღვარი სოფ. უფალკართან (ლეკოკაიე).

**კოტოწყუ** „ქოთნის წყარო“ – წყარო საგვათუოში. ამოტიხრულია ქოთანივით (ციზეთი).

**კოტური** – ფერდობი ლეპიტახიეში. ამოსავალია გვარსახელი კოტია, კოტუა ან პირსახელები კოტე, კოტა, კოტო (კვაუთი).

**კოდონა** – ბორცვი ტეხურის მარცხ. მხარეს, ებადათურემდე (40 ჰა). ამ ბორცვზეა რზენი კოდონა (ზედა ნაქალაქევი).

**კოდური** – ბორცვი უჩა დალის მარჯვ. მხარეს, ქეჯვარის გაგრძელებაზე, სოფ. კოტიანეთის საზღვართან. კოდუა მცირერიცხოვანი გვარია (213 სული საქართველოში, მათგან სენაკის რ-ნში – 106). გადმოცემით, ამ გვარის წინაპრები გამოქცეულან ილორიდან. მამა-პაპანი კიდეც დადიოდნენ ილორში მოსალოცავად აღდგომის მომდევნო კვირას. გვარის წარმომავლობა: კოდო (მეტსახელი) → კოდო-ა → კოდუა. შდრ. კოდუაშვილები ქვ. იმერეთში (გახომელა).

**კოშური** – ბუჩქნარ-ჭეჭყობი სახურციოში. კოშია//კოჩია გვარსახელი ჩანს. შდრ.: ლეკოშიე, ლეკოჩიე – ფერდობები სოფ. ახუთში. არაა გამორიცხული, კოშია გვარ კორშიას არაოფიც. ადგ. ვარიანტი იყოს. კოშური „კოშიას კუთვნილი, კოშიასეული“ (ლეკოკაიე).

**კოწიაშ მინდორი** – მინდორი სოფლის აღმ. ნაწილში (ძიგიდერი).

**კოწიაშ ნადუქანც** „კოწიაშ ნადუქნარი“ – გზისპირი ლეგოგუეში (ლესაჯაიე).

**კოწიაშ ფერდი** – ფერდობი კოლოპიაში (ფოცხო).

**კოჭერი** – ჯაგნარი საჩიჩუოში (უფალკარი).

**კოჭოდალა** – ღელე, ხეობა. საზღვარი სოფ. სკურდთან (ლესაჯაიე).

**კოხანდიერი** – ტყე-ფერდობი გურძემიის მარცხ. მხარეს, ლეშამათეს პირდაპირ (მოხაში).

**კუბეციეფიშ ღალც** – ღელე, მირგატიაშ ღალის შენაკადი. კუბეცია გვარსახელია (90 სული საქართველოში, მათგან სენაკის რ-ნში – 40). გვარი დასტურდება 1628 წლის საეკლესიო საბუთში (იხ. ცხადაია, 2000). (მოხაში).

**კუკუნიაშ ნოხორი** – მინდორი ჭინატეხირთან. კუკანია გვარსახელია (გეჯეთი).

**კუკუშ ნოხორი** – სახნავი მიშველიაშ სკურის ხეობაში (შუა ხორში).

**კუკუციშ ნოხორი** – ჩაის ფართობი უჩა ღალის ნაპირას. კუკუცი კაცის სახელია (სატყებუჩავო).

**კუპეთი//კუპეტი** – ფერდობი ლეკორშიეში, კურდღელიშ გოლას დას. კალთაზე (უშაფათი).

**კუპეტი** – ფერდობი. იგივე კუპეთი (უშაფათი).

**კუპრაშკარი** – სახნავი ტეხურის ნაპირას. კუპრა ← კუპრავა (გვარსახელია). (საოდიშარიო).

**კურდღელიშ გოლა** – სერი. იგივე კურდღელიშ ფერდი (უშაფათი).

**კურდღელიშ ფერდი//კურდღელიშ გოლა** – სერი მოხაშურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „კურდღელი სცოდნია ბევრი" (უშაფათი).

**კურთხუ** „კუთხე" – სახნავი ლეგოგიეში. წარმოადგენს „კუთხეს" მდ. გახომილასა და ფერდობს შუა (გახომელა).

**კურთხულრზენი** – სახნავი ფაქვის ნაპირას. კუთხური „კუთხის მქონე, კუთხიანი" (უფალკარი).

**კურკუცა** – 1. ბორცვი გურძემიის მარჯვ. მხარეს (მოხაში); 2. მრგვალი ბორცვი ნოხორიშ ღალის სათავესთან. ბ. კილანავა: „**კურკუცა** – ვაკეზე ეულად ამაღლებული გორაკი". ჩვენი დაკვირვებით, კურკუცა კონუსისებური მრგვალთავა მცირე ბორცვია (სენაკი).

**კურნაოთი//ყურნათი** – ხეობა გურძემიის მარჯვ. მხარეს, ცხიმურონსა და ხავტეკარს შუა (ბეთლემი).

**კურცხანა//კურცხონა** – ტყე ლეგაბუნიეში. უწინ სავენახე ყოფილა. კურცხა ფუძის მნიშვნელობა, რაც კი ტოპონიმს მიესადაგებოდა, ვერ დადგინდა (ლეკოკაიე).

**კურცხონა** – ტყე. იგივე კურცხანა (ლეკოკაიე).

**კუტალეთი** – ფერდობები ნინუეფიშ გოლას აღმ. კალთაზე. კუტალია გვარსახელიცაა და პირსახელიც. საქართველოში მკვიდრობს კუტალიათა 720 სული. გვარი მრავალგზის გვხვდება შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 102). (კოტიანეთი).

**კუჭანოხორი** – ტყე რამიშ ჯიხასა და დანაბს შუა. კუჭა ← კუჭავა (გვარსახელია). (კოტიანეთი).

**კუჭაშ დიხა** – ტყე ჩაკაბულთან (საჩიქობავო).

**კუჭულამი** – ღელე, ოგვერელალის შენაკადი. **კუჭული** თავწვრილი კონუსისებური შემაღლებაა. ღელის ნაპირას ასეთი მიწაზვინული ჩანს. მეგრულში -ამ სუფიქსი იმავე ფუნქციისაა, რაც აქვს ქართ. -იან-ს (საგვიჩიო).

## – ლ –

**ლაბახური//ლაბახურღალი** – ღელე, გოჭყვადილის მარცხ. შენაკადი ხორგიშსა და სადადიოს შუა. ლაბახუა (გვარსახელია) → ლაბახური „ლაბახუას კუთვნილი" (გოლასკური, მუხური).

**ლაბახურღალი** – ღელე. იგივე ლაბახური (გოლასკური, მუხური).

**ლადიშ ეზო** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს. ლადი ← ვლადიმერი (ლეგოგინე).

**ლადიშ ნაშქვიდი** „სადაც ლადი ჩაიხრჩო" – მორევი გურძემიაზე (ბეთლემი).

**ლადიშ ნოხორი** – სახნავი სასალაყაიოში (ბათარია).

**ლადნოტეხი//ლადნოჯონი** – სახნავი ოფაჩაფუს სამხრ-ით. უწინ დიდი ტყე ყოფილა. ნოტეხი აღნიშნავს ცალკე მდებარე ნაკვეთს. ლადი ← ვლადიმერი (ახალსოფელი).

**ლადნოჯონი** – სახნავი. იგივე ლადნოტეხი (ახალსოფელი).

**ლაზარე პაპაშ ნოხორი** – ტყე ნატებუსა და საოდიშარიოს დასახლებას შუა. ლაზარე პაპა „ლაზარე მღვდელი" (საოდიშარიო).

**ლაზარეშ ნოხორი** – სახნავი ლეკორშიეში (უშაფათი).

**ლაზარეშ ტყა** – ტყე მაღალიაში (საოდიშარიო).

**ლაზარიაშ ნოჯონი „ლაზარიას ნაყანევი"** – მინდორი წიფასა და ლეჭკერშონეს შუა (სირიაჩქონი).

**ლაზარიონი** – წყარო, ღელე, ხევი გორდიელის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ლაზარია ნოხორუენია, თქუანდეს“ (უფალკარი).

**ლაკარდა** – 1. ფერდობები სოფლის ჩრდ. ნაწილში, გაჯარის სამხრ. კალთაზე. რესპ.: „ლაკარდა საერთოდ დაბალი ფერდობია“ (ჯიხა); 2. ფერდობები საფითურიოს შემოგარენში. **ლაკადა, ლაკარდა** მზისკენ მიქცეული ფერდობია. შდრ. **შქედი** – მთის, ბორცვის ჩრდილიანი ფერდობი (გახომელა).

**ლაკარდაშ ფერდი** – სერი, ლაკარდის თავი (გახომელა).

**ლაკვიშიაშ ნოხორი** – მინდორი ლებაღათურიეში. ლაკვიშია პირსახელია (ბეთლემი).

**ლანჯიშჯინჯი** „იფნისძირი“ – სახნავი ცივის მარცხ. მხარეს (უფალკარი).

**ლანჯონა** – ტყე-საძოვარი ტებღალის მარჯვ. მხარეს. **ლანჯი** „იფანი, კოპიტი“ (ლეძაძამე).

**ლარე** – 1. დაბალი სერი გურძემიის მარცხ. მხარეს, ლებარკალაიეში. იწყება ნაშენთან და გრძელდება ჩრდ.-დას-ით (ბეთლემი); 2. სახნავი დაფერდებაზე, მოხაშურის მარცხ. მხარეს. ალ. ქობალია: „**ლარა** – სწორი, ვაკე ადგილი, გაშლილი სათიბი“. ლარე სვანურ ენაში აღნიშნავს სათიბს, მინდორს (უშაფათი).

**ლარეშ ჭალე** – ჭალა ლესასა და გურძემიას შუა (ბეთლემი).

**ლატეში** – ბორცვი საღვამბერიოსა და სკურიას შუა. ლატი „სიმინდი“ (შუა ხორში).

**ლაუნაკარუ** – საძოვარი ქვაფონის სათავესთან. ლაუ პირსახელია (სირიაჩქონი).

**ლაუშ მინდორი** – მინდორი საყურაშვილოში (საესებუო).

**ლაუშ ნაკარუ** – სახნავი ნოცენის მარჯვ. მხარეს (მუხური).

**ლაუშ ნაწისქვილუ** – მინდორი მდ. ცივის ნაპირას (ფოცხო).

**ლაფარონი** – ფერდობი ნოჭადენის აღმ. კალთაზე, სოფ. საადანიოს საზღვართან. ალ. ქობალია: „**ლაფარონი** – დაქანებული, დამრეცი ველი“. თუმცა: ლაფარონი ← ნაფარონი ← ფარონი: ა. ტევრი, ხშირი ტყე; ბ. ბოძზე მდგარი ნალია – ღომის საშრობი... (საგაბესკირიო).

**ლაფარონ(იშ)ღალეჯ** – ღელე, საფირცხელაშ ღალის მარჯვ. შენაკადი (შუა ხორში).

**ლაქაშონა** – ჭალა ზანაძგას მარცხ. ნაპირას. **ლაქაში** ისლისნაირი მცენარეა. ჭაობებში ხარობს (პატარა ზანა).

**ლახუტონა** – ხეხილნარი ცივის მარჯვ. მხარეს, დაფერდებაზე. **ლახუტი** ქვევრია. რესპ.: „თექი ნონთხორუე ოხვამალი ლახუტეფი“ (სახარბედიო).

**ლაჯანა//ლაჯონა** „კოპიტნარი“ – მინდორი მოხაშურის მარცხ. მხარეს, შქა უშაფათში (უშაფათი).

**ლაჯონა** „კოპიტნარი“ – 1. მინდორი. იგივე ლაჯანა (უშაფათი); 2. სახნავი საჩილაჩაოსა და საგუდაოს შუა (პირველი ნოსირი).

**ლეარზიანე//საარზიანო** – უბანი გურძემიის მარცხ. მხარეს, სკურდის შესართავთან (ლესაჯაიე).

**ლეარზიანეშ წყურგილი** – წყარო ლეარზიანეში (ლესაჯაიე).

**ლებარკალაიე** – ბარკალაიების უბანი გურძემიის ორივე ნაპირას. რესპ. ვ. ბარკალაია: „ბარკალაიები შოტლანდიიდან ვართ. იქიდან ორი ძმა ჩამოსულა – მოგელი და ბაბუე. გვაქვს გენეალოგიური შტოს სქემაც. მე მოგელის მეხუთე თაობა ვარ“. იხ. ვრცლად საბარკალაიოსთან (ბეთლემი).

**ლებარძემსქუე** – უბანი გურძემიის მარჯვ. მხარეს. ბარძემსქუა არის ბარძემიშვილის (გვარია) ადგ. ვარიანტი. წარმომავლობით არიან ლანჩხუთიდან. იქიდან სამი ძმა გამოქცეულა. ბერძემი მათ წინაპარს ერქვა თურმე. გურიაში ამჟამად იწერებიან ბერძენიშვილებად. იხ. ვრცლად გვარ საბარძემ(ი)სქუოსთან (მეორე მოხაში).

**ლებაღათურე** – 1. ბაღათურიების უბანი ეზარქუეს სამხრ.-დას-ით. იშვიათი ვარიანტი ებაღათურიე (ზედა ნაქა-

ლაქევი); 2. ბაღათურიების უბანი უშაფათისა და ნოქალაქევის საზღვართან, კვარჩხიღალის მარჯვ. მხარეს, ეკის მთის კალთაზე. ამ უბნის ძირითადი მაცხოვრებლები არიან „ტურაშ ცუჯი ბაღათურიეფი“. გადმოცემით, ამ შტოს წინაპარს ტურა დაუჭერია ყურებით (ბეთლემი). 3. სოფელი მდ. აბაშისა და ტარჩენის მარჯვ. მხარეს, ზედა ნაქალაქევის სამხრ-ით. ესაზღვრება: ჩრდ-ით – სოფ. ჯოლევი, ჩრდ.-დას-ით – ზედა ნაქალაქევი, სამხრ-ით – სოფ. ჯიხა. გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს: „ბაადურ მონღოლური სიტყვაა. მისგან მომდინარეობს სპარსული ბაადურ („გოლიათი, მამაცი, რაინდი“) და თურქული ბაჰადურ, რომელსაც ქართულში მოუცია ბაადურ და ბაღათურ. ბაღათურ ფორმა დამკვიდრებულა მეგრულში და მისგან წარმოქმნილა გვარი ბაღათურია. შდრ. ოსური ბაყათარ და რუსული богатырь „გმირი, გოლიათი“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 323-324). (ნაქალაქევის თ/ს).

**ლებებიე** – ერქვა ბებიების უბანს მეტერიის მარჯვ. მხარეს, სადაც შებე-ქვიშია უერთდება მეტერიას. გვარი ბებია დასახელებულია 1621 წლის საეკლესიო საბუთში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 58). (ფოცხო).

**ლებერიძე** – ბერიძეთა უბანი მეტერიის მარჯვ. მხარეს. აქაური ბერიძეების წინაპრები ჩამოსულან ლანჩხუთიდან. იქ გურიელი გადამტერებია და სამი ძმა ბერიძე გამოქცეულა. ერთი ძმა აქ დამკვიდრებულა, მეორე – თამაკონში, ხოლო მესამე – ლეძაძამეში, კერძოდ დღევანდელ ლესაჯაიეში. საერთოდ, გვარი ბერიძე საქართველოში პირველ ადგილზეა მრავალრიცხოვნობით (24797 სული 1996 წლის აღწერის მონაცემებით). იხ. უფრო ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 60 (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ლებოკუჩე** – 1. ბოკუჩავების უბანი სოფ. უშაფათის საზღვართან, კვარჩხიღალის მარცხ. მხარეს (ბეთლემი); 2. უბანი სოფლის ცენტრიდან დასავლეთით, ცივისა და მისი შენაკადის – მეტერიის მარცხ. ნაპირამდე. მდ. ცივის იქით არის ზურემი (სოფ. ლესიჭინე, ჩხოროწყუს რ-ნი). ბოკუჩავა საქართველოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია (2588 სული), სამეგრელოშიც ფართოდაა გავრცელებული (აბა-

შის რ-ნში – 637 სული, ზუგდიდის რ-ნში – 410 სული). XX ს-ის ბოლოს უშაფათში მკვიდრობდა ბოკუჩავათა 5 კომლი. XX ს. დასაწყისში აქაური ბოკუჩავები აზნაურები ყოფილან. გვარის წარმომავლობა ასეთი ჩანს: **ბოკო** (სამეგრელოში გავრცელებული პირსახელი) → ბოკოუჩა „ბოკო შავი" (ეპითეტი – მეტსახელი) → ბოკუჩავა (გვარსახელი). (უშაფათი).

**ლებუსკაძე** – ბუსკაძეების უბანი სოფლის ცენტრში, ხანჯარის მარცხ. მხარეს, ჭეფიშ ოხვამემდე. ბუსკაძე მცირერიცხოვანი გვარია (113 სული საქართველოში, ძირითადად სენაკის რ-ნში). გვარები ბუსკანაძე, ბუსკაძე, ბუსქანია, ბუსქანძე ძირითადად სამეგრელოშია გავრცელებული. ამოსავალი სახელი ბუსკი, ბუსქა მეგრულში აღნიშნავს ჩაფსკვნილ, ღონიერ კაცს (მოხაში).

**ლებჩა** – სახნავი დაფერდებაზე, საქაჩბაიოში. ალბათ: ლები უჩა „შავი ლია" → ლებჩა (სენაკი).

**ლეგაბედე** –გაბედავების უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს (ძიგიდერი, ჯიხა).

**ლეგაბელიე** – გაბელიების უბანი მოხაშურისა და ცივის შესართავთან. XX ს-ს დამლევს უშაფათში მკვიდრობდა ამ გვარის მატარებელი 34 კომლი. გვარი დასახელებულია XVII ს-ის საისტორიო წყაროებში. ს. ჯანაშია გვარ გაბელიას აკავშირებს სვანურ გვარ გაბლიანთან (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 64). (უშაფათი).

**ლეგაბუნიე** – უბანი სოფ. უშაფათის საზღვართან. ცხოვრობენ გაბუნიები. გვარი გაბუნია სულადობის მიხედვით საქართველოში 46-ე ადგილზეა, იმერეთის რეგიონში კი – მე-18-ზე (2896 სული). გეგუთს მცხოვრები იოვანე გაბუნია დასახელებულია 1578 წ. საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 291), ხოლო 1628 წლის საბუთში – საქუჩულორიოს მცხოვრები გაბუნია (პალ, I, გვ. 587). შდრ. გაბუნიანი (სვანეთი, XIV-XV სს.). ს. ჯანაშიას აზრით, გვარი წარმოქმნილია ორმაგი სუფიქსაციით: გაბ+უნ+ია (ჯანაშია, 1959, გვ. 41). (ლეკოკაიე).

**ლეგაბუნიეშ ხოფაში** – წყარო, ნაკადული. იხ. ხოფეში (ლეკოკაიე).

**ლეგაგუე** – გაგუების უბანი საკილასონიოსა და საფითურიოს შუა (გახომელა).

**ლეგაგუეშ სუკი** – სერი სოფ. ბეთლემის საზღვართან (გახომელა).

**ლეგვეში** – საძოვარი ფერდობები ლეკორშიეში, უჩა ღალის მარჯვ. ნაპირზე (უშაფათი).

**ლეგირგოლიე** – უბანი. იგივე საგრიგოლიო (უფალკარი).

**ლეგოგიე** – 1. გოგიების უბანი მეტერიის ორივე ნაპირზე, სოფ. ალერტის საზღვართან. ამ უბნიდან ალერტის ეკლესიამდე 1 კმ. იქნება (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. სოფელი მდ. გურძემიის მარჯვ. ნაპირას. გოგია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (3729 სული), სამეგრელოში უკავია XX ადგილი (2395სული), ხოლო სენაკის რ-ნში – მესამე ადგილი. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი გოგი, თუმცა გოგიაც გვხვდება პირსახელის ფუნქციით სხვადასხვა კუთხის საისტორიო საბუთებში (იხ. პალ. I, გვ. 177-179) (უშაფათის თ/ს).

**ლეგოგიე-ნასაჯუ** – სოფელი გურძემიის მარჯვ. ნაპირიდან თითქმის ნოღაშ მეტერიამდე, კიწიისა და ლეძაძამეს საზღვართან. ლეგოგიე და ნასაჯუ ამ სოფლის ორი მთავარი უბანია (ფოცხოს თ/ს).

**ლეგოგიეშ მეტერია** – მდინარე. იგივე მეტერია (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ლეგოგინე** – 1. გოგინავების უბანი სოფ. უშაფათის საზღვართან (ფოცხო); 2. სოფელი მდ. ცივისა და მეტერიის ნაპირებზე, სოფ. ლესიჭინესა და სოფ. ბეთლემს შორის. ცხოვრობენ გოგინავები (ქსე-ში შეცდომითაა შეტანილი როგორც ლეგოგიე). გვარისათვის ამოსავალია **გოგინა**, რაც **გოგის** მოფერებითი ფორმაა და მრავალგზის გვხვდება საისტ. საბუთებში (პალ, I, გვ. 687-688). (უშაფათის თ/ს).

**ლეგოგულიე** – უბანი ლეკარტოზიესა და ლემალანიეს შუა. გოგული პირსახელ გრიგოლის ადგ. ვარიანტია. მისგან შეიძლებოდა წარმოქმნილიყო გვარი გოგულია. ასეთი გვარი არც ამჟამად დასტურდება და არც საისტორიო წყაროებში გვხვდება (მეორე მოხაში).

**ლედადიანე** – დადიანების უბანი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (ფოცხო); 2. ფერდობები ცენტრ. გზაზე, ბულიაღელესა და ღალმუხურს შუა (ზანა, საშურღაიო). (გვართან დაკავშირებით იხ. სადადიანო).

**ლედემურიე** – დემურიების უბანი მდ. ცივსა და შებეს შუა. აქაური დემურიების წინაპარი ჩამოსულა სოფ. ჭუბურხინჯიდან (ფოცხო).

**ლევანაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მოხაშურის მარჯვ. მხარეს (უშაფათი).

**ლევანიშ ფერდი** – ფერდობი ნისკურის მარცხ. მხარეს, ლესიჭინეს საზღვართან (ფოცხო).

**ლევანკაშ ნოხორი** – საძოვარი ონახუეშის მარჯვ. მხარეს. ლევანკა პირსახელ ლევანის მოფერებითი ვარიანტია (საჩიქობავო).

**ლევანოჸონი** – სახნავი სოფ. ძიგიდერის საზღვართან (ჯიხა).

**ლევანტიაშ ნოხორი** – ტყე ტეხურის მარცხ. მხარეს (ზედა ნაქალაქევი).

**ლევანჭალე** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (პირველი ნოსირი).

**ლევარსაშ ნაკარუ** – მინდორი ახალსოფლის საზღვართან (ისულა).

**ლევაშ ნოხორი** – სახნავი საბულიოში (პატარა ზანა).

**ლევაშ შეკებული** – ტყე კოკიენწერში (პატარა ზანა).

**ლევთერიშკარი** – ჩაის ფართობი სახორაში. ლევთერი პირსახელია (ეწერი).

**ლეზარქუე** –ზარქუების უბანი სოფ. ზედა ნაქალაქევის საზღვართან (ჯიხა). XVII ს. საბუთის მიხედვით, ზარქუები მოსახლეობენ ქვემო იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში (იხ. ქსძ, III, გვ. 413, 429). ვარაუდობენ, რომ გვარის ფუძე ზარქ მომდინარეობს ზაქარასაგან (მაისურაძე, 1981). მაშასადამე: ზაქარა → ზაქრო → ზარქო (ბგერათგადასმა მეგრულის ფონოტაქტიკის შესაბამისად) → ზარქოა → ზარქუა.

**ლეთქფან(ი)ხეშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლეღვინ-ჯილეში. ლეთქფანიძე იყო ამ სოფელში გამოთხოვილი ქა-ლი, გვარად ლორთქიფანიძე (ფოცხო).

**ლეთქფანიხეშ წყუ** – წყარო ლეღვინჯილეში (ფოც-ხო).

**ლეკარტოზიე** – 1. დასახლ. უბანი სოფ. ბეთლემის საზღვართან (მოხაში); 2. ერქვა კარტოზიების უბანს ბეთ-ლემისა და უშაფათის საზღვართან, სადაც ერთ დროს კარტოზიების 25 კომლი ესახლა. ამჟამად კი დაცარიელე-ბულია. ლევან ღვინჯილიას მოსაზრებით: ქართ. კალატო-ზი → მეგრ. კალტოზია → კარტოზია. გვარი ფართოდაა გავრცელებული სამეგრელოში (მეორე მოხაში).

**ლეკაციე** – კაციების უბანი წყვირის მარჯვ. მხარეს. პირსახელები კაცი, კაცია ხშირია XVI-XVIII სს. საბუთებ-ში (პალ, II, გვ. 486). (ფოცხო).

**ლეკირცხალიე** – კირცხალიების უბანი კვარჩხიღა-ლის მარცხ. მხარეს, უშაფათისა და ფოცხოს საზღვრებთან (ბეთლემი).

**ლეკოკაიე** – 1. სოფელი სოფ. ბეთლემისა და სოფ. უფალკარის საზღვართან. შდრ. ლეკოკაიე – უბანი (უშა-ფათის თ/ს); 2. უბანი ეკუსქურის მარჯვ. მხარეს, შუა წელ-ზე. ცხოვრობენ კოკაიები. უბნის სახელი მთელი სოფლის სახელად ქცეულა. ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებით, კოკაია მი-ღებულია კოკარიასაგან: კოკი (სოფელი ზუგდიდის რ-ნში) → კოკარი (სადაურობის სახელი) → კოკარია → კოკაია (ჭუმბურიძე, 1987). ამასთანავე, კოკი, კოკა, კოკინა პირსახე-ლებია და მათგან ჩანს წარმოქმნილი გვარსახელები: კო-კაშვილი, კოკაისშვილი, კოკოშვილი, კოკოლიშვილი, კოკო-ლიძე (იხ. გვარების ჩამონათვალი: პალ, II, გვ. 523-524). (ლე-კოკაიე).

**ლეკოკაიეშ ხოფეში** – წყარო-ნაკადული. იხ. ხოფეში (ლეკოკაიე).

**ლეკორშიე** – კორშიების უბანი ლეხორესა და მოხა-შურს შუა. კორშია საქართველოში ერთ-ერთი მცირერიც-ხოვანი გვარია (სულ 339 სული). უშაფათში მკვიდრობს ამ გვარის მატარებელი 27 სული. კორშიათა მამა-პაპანი ჯინ-

ჯიხატის მოსალოცად დადიოდნენ ნაჯაგუში (ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. გარახა). (უშაფათი).

**ლეკორძახიე** – კორძახიების უბანი სოფ. ლებაღათურეს საზღვართან. კორძახია, ისევე როგორც კორძაია, წარმოქმნილი ჩანს პირსახელ კორძა-სგან (ჯიხა).

**ლეკუჭე** – უბანი სოფ. მეორე მოხაშის საზღვარსა და ლესამთასქუეს შუა. კუჭავა გვარია. ამოსავალი უნდა იყოს კოლხეთში გავრცელებული სახელები ან მეტსახელები კუჭა, კუჭუ. შდრ. ისტ. საბუთებში დადასტურებულია გვარები: კუჭაიძე, კუჭაშვილი, კუჭაძე (პალ, II , გვ. 545). (ლეგოგინე).

**ლეკუჭეშ წყარი** – წყარო ლეკუჭეში (ლეგოგინე).

**ლეკუხონა** – ჩაის ფართობი გურძემიის მარჯვ. მხარეს. ლეკუხა „ხეჭრელი“ (მოხაში).

**ლემალანიე** – მალანიების უბანი სოფ. უშაფათის საზღვართან. სამი ძმა მალანია წამოსულა სოფ. ჯვარიდან. ერთი აქ დამკვიდრებულა, მეორე – ნოქალაქევში, მესამე – კერცხში. სალოცავად დადიოდნენ ჯვარის ჯეგექირსეს სალოცავში, რაც ჯვარზენშია (სინამდვილეში, სალოცავი ჯეგე ჯვარზენშია, ხოლო ქირსე – სოფ. ლეშამუგეში, რაც ჯვარზენიდან 3-4 კმ-ზეა და უწინ ჯვარის თემში შედიოდა). (მეორე მოხაში).

**ლემამულე** – მამულიების უბანი ლეხარ(ე)ბესა და ოხვამეკარს შუა, ორი მეტერიის წყალგამყოფზე. მამულია გვარსახელია. პირსახელი მამული, ისევე როგორც მამულია, მამუკა, მამუნა, მამუჩა სამეგრელოშიცაა გავრცელებული და ალბათ ეპონიმსაც ერქვა. შდრ. მამულაძე (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ლემორცხულე** – უბანი ქვიშიასა და მეტერიას შუა. ცხოვრობენ მირცხულავები. მორცხულავა მათი არაოფიც. ვარიანტია. დამატებითი ინფორმაცია გვარ მირცხულავას შესახებ იხ. სამირცხულასთან (ფოცხო).

**ლემური** – სახნავი განაკესა და საალანიოს შუა (ნოსირი).

**ლენარსიე** – ნარსიების უბანი ტეხურის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „ამ უბნის ქვემოთ ტეხურის მარცხ. ნაპირზე,

არის ლეცეკვე, ხოლო შემდეგ – სოფ. ზედა ნოქალაქევი“. 1621 წლის საეკლესიო საბუთში საეკლესიო გლეხთა შორის დასახელებულია ნარსია (ქსძ, III, გვ. 412). ნარსავ პირსახელია სვანეთში. შდრ. ნარსიძე (ჯოლევი, კვაუთი).

**ლენაშ წყურგილე** – წყარო ლეშამათეში (მოხაში).

**ლენიკოლე** – უბანი ცივის მარცხ. სერზე. ნიკოლავა ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში (243 სული XX ს-ის დამლევს). ტოპონიმური მასალის ჩაწერისას (1984 წ.) ფოცხოში ესახლა ამ გვარის მხოლოდ სამი კომლი. გვარი წარმოქმნილია პირსახელ ნიკოლასაგან. შდრ. გვარები: ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი, ნიკოლეიშვილი (ფოცხო).

**ლეპიტახიე** – პიტახიების უბანი. პირტახია პიტახიას რ ჩართული ვარიანტი ჩანს, ხოლო ამოსავალი ფუძე პიტახი შეიძლება ნიშნავდეს პიტას შთამომავალს. პიტა მეგრულში ნიშნავს ძალზე პატარას, მცირეს, ნამცეცას და შეიძლება ამ მნიშვნელობით პირსახელადაც ქცეულიყო. ამასთანავე, ლაზურში პიტი თიკნის ან ბატკნის აღმნიშვნელი მოფერებითი სიტყვაა, ხოლო სვანეთში პიტო პირსახელია. იხ. გვარი პიტავა (კვაუთი).

**ლერსული** – სახნავები სიხუში, საჟვანიოსა და საკეკუოს შუა. ძველი ნასახლარებია ლერსი მეგრულში ლექსია, ხოლო ლერსული „გალექსილი“ შეიძლება მეტსახელადაც ქცეულიყო (საგუნიო).

**ლერსულიშ წყარი** – წყარო ლერსულში (საგუნიო).

**ლერჭყი** – სახნავი ლეშამათეში. **ლერჭყი** – ნერწყვი; წყალჩამდგარი ადგილი (მოხაში).

**ლესამთასქუე** – უბანი სოფ. მეორე მოხაშის საზღვართან, არჩაიაშ ღალსა და მირგატიაშ ღალს შუა. ცხოვრობენ საბახტარაშვილები. სამთასქუა ამ გვარის არაოფიციალური ადგ. ვარიანტია (ლეგოგინე).

**ლესანაიე** – სანაიების უბანი ესავაშ ღალუს ნაპირებზე და მეტერიის ორივე ნაპირას. სანაიები ყოფილან სანაძეები ხონიდან. იქ დადიოდნენ ჯინჯიხატის მოსალოცავად. სანაიების შტოგვარებია: პაპათურეფი, ლასურიათუ-

რეფი, ჯვაკალათურეფი, შაქარიათურეფი, გოჯოიათურეფი (ფოცხო).

**ლესაჯაიე** – სოფელი ტეხურსა და გურძემიას შუა. სოფლების – სკურდის, ლეგოგიესა და სახურცილავოს საზღვართან. არაოფიც. ვარიანტი: ლესაჯე. საჯაია მრავალრიცხოვანი გვარია, სამეგრელოში უკავია 24-ე ადგილი (2212 სული). გვარის თავდაპირველი და უძველესი სამკვიდროა მთისძირა სოფელი თაია (ჩხოროწყუს რ-ნი), სადაც ცხოვრობს 105 კომლი საჯაია. ისტორიულად საჯაიები აზნაურები ყოფილან. ვარიანტი საჯალია გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალია საჯარ (სახელი დამოწმებულია „ქართლის ცხოვრებაში"). (ლეძაძამეს თ/ს).

**ლესიგუე//სასიგუო** – სიგუების უბანი აბედათის საზღვართან. იხ. სასიგუე (კვაუთი).

**ლესიჭინეშ ნაკარუ** – მინდორი რიონის მარჯვ. მხარეს. აქ ზამთრობით იდგა სოფ. ლესიჭინეს კოლმეურნეობის საქონელი (მუხური).

**ლესმამული** – ფერდობი მენჯღალის მარჯვ. მხარეს (საადანაიო).

**ლეტორჩინე** – 1. სერი წიფანასა და გურძემიას შუა. ლე- პრეფიქსი მიუთითებს, რომ ეს სერი ტორჩინავების უბანი იყო. მართლაც, ეს ლეტორჩინე მოხაშის უბან ლეტორჩინეს გაგრძელებაა (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. ტორჩინავების უბანი გურძემიის ორივე ნაპირას, წიფანას შესართავთან, ბეთლემის საზღვარზე. ვარაუდი: ტორჩი (პირსახელი) → ტორჩინა (მოფერებითი ვარიანტი) → ტორჩინავა (გვარსახელი). (მოხაში).

**ლეტორჩინეშ ფერდი** – სერი ლეძაძამეს საზღვარზე (მოხაში).

**ლეტყებჩე** – ტყებუჩავების უბანი ხანჯარის მარცხ. მხარეს, მოხაშის საზღვართან. სენაკის რ-ნში ტყებუჩავას მეორე ადგილი უკავია. ტყებუჩავა „შავკანა" ალბათ შავგვრემანი კაცის მეტსახელი იყო (მეორე მოხაში).

**ლეფაციე** – ფაციების უბანი მეტერიის მარცხ მხარეს. გვარისთვის ამოსავალია სვანური პირსახელები ფა-

ცა, ფაცი. მეორე მხრივ, ფაცია მეგრულში ფაციფუცა, ფუს-ფუსა, მოუსვენარი კაცის მეტსახელია (ფოცხო).

**ლეფონა –** სახნავი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. ლე-ფონი „ლაფანი" → ლეფონონა → ლეფონა (გახომელა).

**ლეფუეში –** ღელე, ხევი. იგივე ლოფუეში (კვაუთი).

**ლექაბურზანიე –** ფერდობები ლოფუეშის სათავეებ-თან, გორებზე. აქ ესახლნენ ქაბურზანიები, რომლებიც ქვე-მოთ ჩავიდნენ და იქ შექმნეს უბანი საქაბურზანიო. შდრ. ხაბურზანია (კვაუთი).

**ლექადარე –** ქადარიების უბანი წიფანას მარჯვ. მხა-რეს, ლეშამათემდე (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ლექვარცხე –** ქვარცხავების უბანი სქვერმენჯის მარცხ. მხარეს, სოფლის ცენტრის სამხრ-ით. აქ ცხოვრობს ქვარცხავების 9 კომლი. ქვარცხავები მრავლად ცხოვრო-ბენ ზუგდიდის, მარტვილის და სენაკის რ-ნებში. 1621 წლის საბუთში დასახელებული ქვაცხა (ქსძ, III, გვ. 435) იგივე ქვარცხავა უნდა იყოს (უშაფათი).

**ლექუჩ(უ)ლორიე//საქუჩ(უ)ლორიო –** ქუჩულორიების უბანი მდ. ცივსა და ნოუღალს შუა, სოფ. უშაფათის საზ-ღვართან. წალენჯიხასა და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრები ქუჩულორიები XVIII-XIX სს. მიჯნაზე საუფ-ლისწულო აზნაურები ყოფილან (სოსელია, 1990, გვ. 97); სა-ქუჩულორიო – უბანი წყალიძგასა და გულველიკარის გვერდით – დასახელებულია 1616-1639 წწ. შედგენილ შე-წირულების წიგნში (ქსძ, III, გვ. 501). აქვეა ნათქვამი: „საქუ-ჩულორიოს ბატონმან დადიანმან ერთი სასახლე ოთხის კვამლის კაცითა მიბოძა..." (იქვე, გვ. 502). მეგრ. (გო)**ქუჩო-ლუა** „მცენარის აყვავება, კვირტებით შემოსვა" → ქუჩულო-რი „აყვავებული, აღმოცენებული" (მეტსახელი) → ქუჩულო-რია (გვარსახელი). (ფოცხო).

**ლეღვინჯილე –** ღვინჯილიების უბანი ხანჯარასა და მეტერიას შუა, ლესანაიეს ქვემოთ. რესპ.: „სამ ძმა ღვინ-ჯილიას წალენჯიხაში კაცი მოუკლავს... ერთი ძმა იქ დარ-ჩენილა, მეორე ზანაში წასულა, ჩვენი წინაპარი ბუჭუნა კი ფოცხოში დამკვიდრებულა. ჩვენზე ამბობენ: „ჯორი დუჭკა-დუნია კვარჩხიშე" და ამის გამო ღვინჯილია წალენჯიხის

ეკლესიაში თავდაყირა არის დახატული და გვარიც ქვეშ უწერია“. ვარაუდი: ღვინჯუა „მომწიფება, დამწიფება (ხილისა)“ → ღვინჯილი „მომწიფებული“ → ღვინჯილი „ჭკუადამჯდარი“ (მეტსახელი) → ღვინჯილია (გვარსახელი). (ფოცხო).

**ლეღვინჯილეშ ღალგ** – ღელე, ხანჯარის მარჯვ. შენაკადი (ფოცხო).

**ლეცურასქუე//საყურაშვილო** – უბანი არჩაიაშ ღალსა და ხანჯარას შუა, მეორე მოხაშის საზღვართან. ცურასქუა გვარ ყურაშვილის ადგ. ვარიანტია (სოფ. ფოცხოში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 29 კომლი). XV-XVI სს. საისტორიო წყაროების მიხედვით, ყურაშვილები ცხოვრობენ ლეჩხუმში. ყურა, როგორც მეტსახელი, შეიძლება ნიშნავდეს ყურიანს. იგივე ფუძეა გვარ ყურავაშიც (იმერეთში) და ყურაძეშიც (გურიაში). (ფოცხო).

**ლეცურუე** – უბანი ცივის მარცხ. მხარეს. ცურუა გვარ ყურუას (634 სული საქართველოში) ადგ. ვარიანტია. რესპ.: „ცურუები სინამდვილეში ვართ ყურაშვილები ლეჩხუმის სოფ. ოცურეშიდან. „ძველები“ კიდეც დადიოდნენ იქ. ბეჟან ცურუას დაჟინებით ბევრი ჩვენგანი ყურაშვილად ჩაეწერა“. გვარი შეიძლება განიმარტოს მეგრულზე დაყრდნობითაც, სადაც ცურუ ნიშნავს ყრუს, ხამს. გაუგებარს, უმწიფარს (უფრო ხშირად ახალგაზრდაზე იტყვიან). მაშასადამე: ცურუ → ცურუა (ფოცხო).

**ლეშამათე** – 1. დასახლ. უბანი წიფანის მარჯვ. მხარეს, სოფ. მოხაშის საზღვართან. შამათავა გვარსახელია. ამოსავალი ჩანს სვანურ-მეგრული პირსახელი შარმათა (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. შამათავების უბანი გურძემიასა და ლეჭეს შუა, ლეგოგიე-ნასაჯუს საზღვართან (მოხაში); 3. შამათავების უბანი სერზე, ცივსა და ნოღაშ მეტერიას შუა. შამათავები საქართველოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია. სენაკის რ-ნში უკავია მე-8 ადგილი (584 სული). (ფოცხო).

**ლეშეროზიე** – უბანი. იგივე საშეროზიო (უშაფათი).

**ლეშონ(დ)ე** – წყარო ლეჭეს დას. კალთაზე. უდგას ძველებური ხის „გვიმი“ (მოხაში).

**ლეცეკვე** – ცეკვავების უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს, მესხიაგამდე. ცეკვავა მცირერიცხოვანი გვარია (სენაკის რ-ნში – 116 სული). ამოსავალია პირსახელი ან მეტსახელი ცეკუ, რაც გამხდარი, ტანპატარა და მოუსვენარი კაცის ეპითეტია. ცეკუა (გვარი ან პირსახელი) → ცეკუავა → ცეკვავა (ჯოლევი).

**ლეცეკვეშ ჩაი** – ჩაის ფართობი ლენარსიეში (ჯოლევი).

**ლეძაძამე** – სოფელი ტეხურისა და გურძემიის წყალგამყოფ დაბალ სერზე. უწინ ძაძამიები ესახლნენ. ამჟამად ცენტრი ტეხურის მარჯვ. ნაპირასაა. გამოეყო ფოცხოს 1921-22 წლებში და ცალკე საბჭო შეიქმნა (ლეძაძამეს თ/ს).

**ლეწითინძე** – 1. ერქვა უბანს მოხაშურის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე); 2. წითლიძეების უბანი მოხაშურის სათავესთან, ბეთლემის საზღვარზე. როგორც ჩანს, წითინძე წითლიძის ვარიანტია (უშაფათი).

**ლეჭე** – 1. სერი გურძემიასა და წიფანას შუა, უწინ აქ ჭაავებს უცხოვრიათ (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. ჭაავების უბანი და სერი წიფანის მარცხ. მხარეს. ჭაავა → ჭაა → ლეჭე (მოხაში).

**ლეჭკერშონე** – ტყე, ღელე სანასა და ქვაფონს შუა. ერთვის ქვაფონს სუმონიშ ნოჯონთან (სირიაჩქონი).

**ლეჭოჭუე** – უბანი არჩაიაშ ღალისა და მირგატიაშ ღალის შესართავთან. ჭოჭუა გვარსახელია (ლეგოგინე).

**ლეჭყი** „ლენჭყი“ – 1. ჭეჭყობი სამირცხულაში (დიდი ხორში); 2. სახნავი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს (საესებუო); 3. ჭეჭყობი ნაარგუსუსა და ურას შუა (საადანაიო).

**ლეხაბურზან(ი)ე** – ხაბურზანიების უბანი მეტერიასა და ცივს შუა (ლეგოგინე).

**ლეხარ(ე)ბე** – ხარებავების უბანი ლებერიძესა და ლეჯოჯუეს შუა, მეტერიის მარჯვ. მხარეს. ხარება მთელ საქართველოში გავრცელებული პირსახელია. მისგანაა წარმოქმნილი გვარები: ხარებავა, ხარებაძე, ხარებაშვილი (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ლეხარჩილე** – ხარჩილავების უბანი ქვემო ფოცხოს საზღვართან. ეს გვარი ფართოდაა გავრცელებული სამეგ-რელოში (მოხაში).

**ლეხარჩილეშ ღალგ** – ღელე, ხანჯარის მარცხ. შენა-კადი (მეორე მოხაში).

**ლეხვიჩიე** – ხვიჩიების უბანი გურძემიის მარჯვ. მხა-რეს, ბეთლემის საზღვართან. სამეგრელოში ხვიჩა და ხვი-ჩია აღნიშნავს სახემცინარე, სახეგაბადრულ კაცს (მეორე მოხაში).

**ლეხორე** – ხორავების უბანი ლეგაბუნიესა და ლე-კორშიეს შუა, სოფ. ბეთლემის საზღვართან. ხორავათა ძი-რითადი სამკვიდროა სოფ. ლესიჭინე (125 კომლი). ვარიან-ტი ხვარავა დასახელებულია XVIII ს-ის პირველი ნახევ-რის საეკლესიო-სამართლებრივ საბუთში. 1904 წელს უშა-ფათში მოსახლეობენ როგორც ხორავას, ისე ხორაიას გვა-რისანი (უშაფათი).

**ლეხუბუე** – ხუბუების უბანი მისარონთან, ხანჯარი-სა და მირგატიაშ ღალის წყალგამყოფზე. გვარის ფუძეა ხუბუ, რაც ჩანს სხვა გვარსახელებშიც: ხუბულავა, ხუბუ-ლია, ხუბუნია, ხუბუტია (ფოცხო).

**ლეხუბუე//სახუბუო** – ხუბუების უბანი ლეგაბელიე-სა და ლებოკუჩეს შუა. ამ უბანშია ნეძმუხური, ჩიჩუაშ ჭა-ლე, ხურციაშ ჭალე, ნარონი, დობერა. ხუბუები მრავლად არიან ზუგდიდისა და სენაკის რ-ნებში. დავაზუსტოთ: უშა-ფათში XX ს. დამლევს მკვიდრობდა 15 კომლი ხუბუა (უშა-ფათი).

**ლეხუბუეშ სუკი** – სერი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს (უშაფათი).

**ლეხუნწარიე** – ხუნწარიების უბანი მოხაშურის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე). დამატებითი ინფორმაციისათ-ვის იხ. სახუნწარიო.

**ლეხურციე** – უბანი. იგივე სახურციო (ლეკოკაიე).

**ლეხუხუნე** – უბანი ტეხურის მარჯვ. მხარეს. ხუხუნი გვარსახელია. როგორც ჩანს, ხუხუ-სგან -უნ სუფიქსით წარმოქმნილი კნინობითი სახელი ქცეულა გვარსახელად სუფიქსის გარეშე (ლესაჯაიე).

**ლეჯოჯუე** – ჯოჯუების უბანი მეტერიის მარჯვ. მხარეს, ჯაგოლადან ლემამულემდე. ჯოჯუა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში, განსაკუთრებით, მარტვილისა და სენაკის რ-ნებში. ჯოჯო კოლხეთში პირსახელია. ვარიანტი ჯოჯუ დასახელებულია 1773 წლის საბუთში. მაშასადამე: ჯოჯო → ჯოჯოა → ჯოჯუა (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ლეჯოჯუე//საჯოჯუო** – ჯოჯუების უბანი ტეხურის მარცხ. ნაპირას, სოფ. ჯოლევის საზღვართან (კვაუთი).

**ლიზაშ ომუნჩქონა** – ბუჩქნარი საქანთარიოში. ომუნჩქვე „სამაჩვე" (თუნდაც იქ ერთი მაჩვი იყოს) → ომუნჩქონა „სადაც მაჩვი მრავლადაა" (ძველი სენაკი).

**ლიფონუანი** – ტყე ღორთოლის ნაპირებზე (ტყირი).

**ლიფონდელო** – ღელე, ქვაფონის მარჯვ. შენაკადი სუმონიაშ ნოცონთან. ლიფონი „ლაფანი" (სირიაჩქონი).

**ლოგინია** – ღელე. იგივე ლოგინიაშ ღალუ (საგვიჩიო).

**ლოგინიაშ ღალუ//ლოგინია** – ღელე. გაედინება ნაჯიხუდან. ერთვის ფიჩორს მარჯვ. მხრიდან სანას შესართავს ქვემოთ. რესპ.: „წყალს წაუღია ლოგინი და ამიტომაც დარქმევია" (სირიაჩქონი, საგვიჩიო).

**ლოგოთი** – ტყე, ფერდობი საგრიგოლიოში (უფალკარი).

**ლოლაშ წყარი** – წყარო საგუნიოს საზღვართან (კვარჩხიღალი).

**ლომაიაწყუ** – წყარო სააბშილაში (საგაბესკირიო).

**ლომეხეშ ნოხორი** – ტყე სუღირის ხეობაში. ლომაია ქალის მშობლიური გვარი იყო (პატარა ზანა).

**ლომიაგა** – სერი ოლაკვეშის მარჯვ. მხარეს. ლომია სამეგრელოში პირსახელიცაა და გვარსახელიც. ამ გვარის მატარებელთა ერთი ჯგუფი ირწმუნება, რომ მათი წინაპრები იყვნენ ლომიძეები გურიიდან (კვაუთი).

**ლომიშ ნოხორი** – მინდორი ხობისწყლის მარცხ. მხარეს. ლომი მამაკაცის სახელია (ციზეთი).

**ლომური** – სერი მიშველიაშ სკურის მარცხ. ნაპირას (შუა ხორში).

**ლომურიშ წყარი//თურქეფიშ ნაკეთებუ** – წყარო ლომურში (შუა ხორში).

**ლომძგორი//ლონძგორი** – ტყე, ფერდობი საკვირკვე-ლიოღელის მარცხ. მხარეს, საკალანდარსკუოშ ჯიხასთან. რესპ.: „ძგორი დიხა უნაყოფო დიხა რე“. გადმოცემით, აქ ესახლა ლომკაცა (სენაკი).

**ლომძგორიშ წყარი** – წყარო ლომძგორში (სენაკი).

**ლონძგორი** – ტყე. იგივე ლომძგორი (სენაკი).

**ლოფუეში//ოფულეში//ლეფუეში//ლუფუში** – ღელე, ხევი ტეხურის მარცხ. შენაკადი. გაედინება საქაბურზანი-ოდან. **ლოფო** – ღრმა ტალახი, საფლობი. ცხადია: ქართ. ლაფ-ი : მეგრ. ლოფ-ო კანონზომიერი ბგერათშესატყვისო-ბაა (კვაუთი).

**ლუბაშ ნოხორი** – სახნავი დღურუს ნაპირას (პატა-რა ზანა).

**ლუკაიაშ კარობა** – ხეხილნარი ლეხაბურზანიეში (ლეგოგინე).

**ლუკაშ წყურგილე** – წყარო სოფლის ჩრდ. ნაწილში, ნოსქედალის სათავე (საგუგუნავო).

**ლუკაშ წყურგილე** – წყარო წიფანის მარჯვ. მხარეს (მოხაში).

**ლუფუში** – ღელე, ხევი. იგივე ლოფუეში (კვაუთი).

**ლუღიში** „ლეღვისა“ – სახნავი ქვიშიის მარცხ. მხა-რეს, სოფ. ნოღის საზღვართან. აქ ე.წ. „ტყის ლეღვი“ ხა-რობს (ფოცხო).

**ლუღიშჯინჯი** „ლეღვისძირი“ – 1. სახნავი ლენარსი-ეში (ჯოლევი); 2. სახნავი მოხაშურის მარჯვ. მხარეს (უშა-ფათი); 3. ღელე, ოკარდილეშის ერთ-ერთი მდგენელი: ოჭუ-ბურონა და ლუღიშჯინჯი ერთდებიან და იქმნება ღელე ოკარდილეში (ძველი სენაკი).

**ლუღონა** „ლეღვნარი“ – ბუჩქნარი ოჩხარჩხალეშის მარჯვ. მხარეს, ზიანდურს ზემოთ (ჯოლევი).

**ლუღწყარი** „ლეღვის წყალი“ – წყარო აბანასთან (კვაუთი)

**მაგდაზენი** – სახნავი ბოგაშთან, არახამიეფიშ ღალის მარჯვ. ნაპირზე. მაგდა ქალის სახელია. ზენი, რზენი „ვაკე, დაბლობი“ (კოტიანეთი).

**მაგუიაშ წყურგილე** – წყარო გურძემიის მარჯვ. მხარეს. მაგუია პირსახელია (კვაუთი).

**მათანური** – ფერდობები სახნავ-სათიბებით ხანჯარის მარჯვ. მხარეს, ლეღვინჯილესა და ლესანაიეს შუა (ფოცხო).

**მათეიაშ ნაო(ი)სირუ** – სახნავი დათაშ ღალის ნაპირას. ოისირე „საისლე“ ეკუთვნოდა მათეიას (საესებუო).

**მათეში** „მათესი“ – სახნავი ლეცურასქუეში (ფოცხო).

**მაიაშ ტყა** – ტყე. იგივე დადიაშ ტყა (პატარა ზანა, ეწერი).

**მაიდანი** – სახნავი საფილიოსა და სახუხუოს შუა, ცივის მარცხ. მხარეს (სენაკი).

**მაკრინეშ ტობა** – მორევი მოხაშურზე (უშაფათი).

**მაკგრნეშ ნოხორი** – სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს. მაკგრნე იგივე მაკრინეა (საესებუო).

**მალაქიაშ ნოხორი** – საძოვარი საბარქაიოში (კვაუთი).

**მამეთი** – სერი საჟვანიოში. სოფ. ეკის საზღვართან (საგუნიო).

**მამიაშ ნოხორი** – ტყე ქვარციელის სათავესთან (უფალკარი).

**მამიაშ ღალგ** – ღელე, მაღლაკონის მარჯვ. შენაკადი ზემო წელზე (დიდი ხორში).

**მამუკიაშ ნოხორი** – ბორცვი საკინწურასქუოსა და სახოფერიოს შუა (სენაკი).

**მამული** – 1. ტყე ბინეხამსა და ოფაჩაფუს შუა (ტყირი); 2. ტყე ლეკარტოზიეში (მეორე მოხაში).

**მამულონი** – სახნავი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას (საესებუო).

**მა(მ)ფერი** – ტყე, ფერდობი კაუტიის მარცხ. მხარეს, საგაბელიოში. ალ ქობალია: **„მაფერი, მაფელი** – მეუფე, ტყის ქალი (იგივეა, რაც ტყაშიმაფა)“. (შუა ხორში).

**მანანაშ ნოხორი** – ფერდობი მდ. ცივის ნაპირას (საესებუო).

**მანანაშ ჭალე** – სახნავი მდ. ცივის ნაპირას (საესებუო).

**მანჩაშ ეშაღობილი** – სახნავი სასირიოში. ეშაღობილი „შემოღობილი“ (შუა ნოსირი).

**მანჩაშ ნოხორი** – სახნავი საბულიოში. მანჩა ← მანუჩარი (პატარა ზანა).

**მანცხვარი** „მაცხოვარი“ – ეკლესია, სასაფლაო სოფლის ცენტრში, ტეხურსა და მის მარჯვ. შენაკად ნახურს შუა. სრული სახელწოდებაა „მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია“. აშენებულია XIX ს. შუა წლებში (ძველი სენაკი).

**მანცხვარკარი** „მაცხოვრისკარი“ – უბანი ქორცხანის სერზე, ნიშიის სათავესა და ხობისწყლის ხეობას შუა. ესაზღვრება სოფ. გაღმა საჯიჯაოს. შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. საბჭოთა პერიოდში ეწოდებოდა ზემოკარი (ციზეთი).

**მანცხვაროხვამე//ჩარტიაშ ოხვამე** – ნაეკლესიარი საჩარტიოში (ციზეთი).

**მანცხოვარი „მაცხოვარი“** – გორა, ნაეკლესიარი საგაბუჩიოში (ლესაჯაიე).

**მაჟია ტყირი** – უბანი. იგივე საგარჩა (ტყირი).

**მარაგანი** – ღელე, იწყება საკილასონიოში, გადიოდა სოფ. ზანათისაკენ და ერთოდა მდ. აბაშას მარცხ. მხრიდან. 1937 წელს არხით ჩაუშვეს ტეხურში. ამჟამად ერთვის ნატეხირუს. შდრ. გ. გრიგოლია: მესამე ნოსირის, ზანათისა და ძიგურის ტერიტორიაზე გადის უძველესი ნაარხალი „დიდი მარაგანი“. იგი ტეხურიდან იღებს სათავეს და მდ. აბაშას უერთდება (გრიგოლია, 1994, გვ. 6). (საოდიშარიო).

**მარაგანწყუ** – წყარო. უერთდება მარიანანწყუს და იქმნება მარაგანი (საოდიშარიო).

**მარანი** – სახნავი ლენარსიეში (ჯოლევი).

**მართაშ წყურგილე** – წყარო სახუნჯუოში (უფალკარი).

**მართუ** – 1. მორევი ტეხურზე. **ირთუუ** „ტრიალებს, ბრუნავს“ → მართუუ „ტრიალა; მოტრიალე, მბრუნავი; წყალტრიალა“, როგორც ჰიდროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს წყალტრიალა მორევს (შდრ. გურ. ბრუნაო). (კოტიანეთი); 2. მორევი ტეხურზე (გახომელა).

**მარიათი** – ფერდობები ხობისწყლის მარცხ. მხარეს (ციზეთი).

**მარიამიშ მიკართუ** – ნაგზაური რიონის მარცხ. ნაპირზე, სოფ. ისულის პირდაპირ. **მიკართუ** „მოსახვევი გზაზე“; მარია ჭილაია აქვე ესახლა (სირიაჩქონი).

**მარიამიშ წყარი** – წყარო საგუნიოს საზღვართან (კვარჩხიღალი).

**მარიან(ე)თი** – ტყე, ფერდობი ლებარკალაიეში, ქაჩათიშ ღალის მარცხ. მხარეს (ბეთლემი).

**მარიანანწყუ** – წყარო-ნაკადული, უერთდება მარაგანწყუს და მერე ეწოდება მარაგანი. რესპ.: „კოჩი ნოხორუე დო დონწყვე. ცუდეშ ციცილი გიციკინანდჷ“; „ომპაშდუდი ეშაჩქუდუა დო ფიცარეფი ეშმეშუდუა“. სხვა გადმოცემა: „და-ძმა შეცდა თურმე, ღმერთმა დაწყევლა და ორივე ჩაიძირა“; ქვრივი ქალი მარიანი აქვე ესახლა (საოდიშარიო).

**მარიაშ ნოხორი** – სახნავი ახალსოფელში (სირიაჩქონი).

**მარკაშ ნოხორი** – ტყე კაკუტიაღალის მარჯვ. მხარეს (ციზეთი).

**მარკოზიაშ ნაცალა** „მარკოზიას ნაკაფი“ – ჩაის ფართობი ხანჯარის მარჯვ. მხარეს. მარკოზია ღვინჯილიას აქ ტყე გაუკაფავს (ფოცხო).

**მარკოზიაშ ნოხორი** – მინდორი საარჩაიოში (უფალკარი).

**მარკოზიშ ნოხორი** – 1. საძოვარი ღღურუს მარჯვ. მხარეს (პატარა ზანა); 2. სახნავი ლეკორშიეში (უშაფათი).

**მარნეშ ოხვამე** – ნაეკლესიარი, სასაფლაო ლემალანიეში. აქ მდგარა ხის ეკლესია მარიამ ღვთისმშობლის სახელობისა (მეორე მოხაში).

**მარტიეშკარი** – ჩაის ფართობი საჯიჯაოს საზღვართან. მარტიე პირსახელია (პატარა ზანა).

**მარუსიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლეტორჩინეში (მოხაში).

**მარშანიაშ წყარი** – წყარო ხაპიაში (ციხეთი).

**მარჯგალაიეფიშ ნოხორი** – ვენახი. იგივე მაჯარგალაიეფიშ ნოხორი (კოტიანეთი).

**მასვანჯებუ** „შესასვენებელი" – მინდორი ნოქალაქევის გოლაში. აქ გადიოდა საჩალვადრო გზა ბერთემიდან სენაკში (ბეთლემი).

**მატაშ ნაფაცხე** – ჩაის ფართობი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. მატა ქალის სახელია (სატყებუჩავო).

**მატახანა** – ტყე. იგივე მატახონა (ლეკოკაიე).

**მატახინა** – ტყე ეკის მთის კალთაზე. რესპ.: „ტყარი ხომა ნოჩანუე დო ნოცელეფს ნოტახუენა" (საწულეისკირიო).

**მატახირონი** – ხევი მდ. გურძემიის მარცხ. მხარეს (ლესაჯაიე).

**მატახონა//მატახანა** – ტყე ლეგაბუნიეში, ლეგაბუნიეშ ხოფეშის მარჯვ. მხარეს (ლეკოკაიე).

**მატახონი** – ტყე ონახუეშის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**მატუაშ დიხა//კოკოლაშ დიხა** – სახნავი მერსიოლეს მარჯვ. მხარეს. კოკოლა მატუას ეკუთვნოდა (ძველი სენაკი).

**მაფაწყუ** – 1. წყარო სახუბლაში. მაფა „მეფე; დედოფალი; ალი; ტყის მეფე". მაფაწყუ „მეფისწყარო" („დედოფლისწყარო"?), როგორც ჰიდროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს უხვდებიტიან წყაროს, სადაც სასმელად გამორჩეული წყალია. ალ. ქობალია: „**მაფაწყარი, მაფაწყუ** – წყალუხვი მდინარე; თავწყარო; ტყაში მაფას წყარო" (უფალკარი); 2. წყარო. ეკის მთის ძირას გამოდის, საეჯიბიოში. ოხოჯინასთან ერთვის მდ. ცივს (სახარბედიო).

**მაქსიმეშ კუნთხუ** – სახნავი მდ. ცივის ორ ტოტს შუა. კუნთხუ „კუთხე“ გამოცალკევებული ნაწილია სოფლისა, უბნისა, ტყისა, სახნავისა (საესებუო).

**მაქსიმეშ ღელო** – ღელე შხეფში, ტეხურის მარჯვ. მხარეს (სენაკი).

**მაქულეთი** – ტყე-ფერდობები ეკუსქურის მარჯვ. მხარეს, სალომაიოსა და ლეკოკაიეს შუა (ლეკოკაიე)

**მაღალზუგუ** – საძოვარი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს, სოფ. ბანძის საზღვართან. ზუგუ „შემაღლება, ბორცვი; ზურგა“ (გეჯეთი).

**მაღალი** – 1. მინდორი საოჩიგაოში, წყემის საზღვართან. შემაღლებული ადგილია (გეჯეთი); 2. სახნავი ფიჩხერის გვერდით (ჯიხა).

**მაღა(ლ)ია** – შემაღლებული ვაკე, უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს (საოდიშარიო).

**მაღლაკი** – ტყე წიფურგეღულასა და ნაღუმოლს შუა. რესპ.: „მაღალი ადგილი არაა და რატომ ჰქვია მაღლაკი არ ვიცით“. მაღლაკი, საერთოდ მრუდე, მოღრეკილ ღელეს აღნიშნავს (საგვიჩიო).

**მაღლაკონი** – მდინარე. იწყება ნაბურთუში. გადის სოფ. საჯიჯაოში და ერთვის ზანაძგას. ამ მდინარეში თებერვალში ზანაძგიდან შემოდიოდა თევზი, რომელსაც ერქვა მაღლაკია. ნომენის ეტიმოლოგია: **ღგლაკუა, ღგრაკუა** „გრეხა, დრეკა“ → მაღლაკია → მაღლოკია „ღრეკია, გრეხია“. რესპ.: „მაღლაკია კიბოცალი რე, წყარს ინოხე. ღაჭაჭია რე თენა“ (ჩიტსაც უწოდებენ). (პატარა ზანა, დიდი ხორში).

**მაშათი** – საძოვარი ფერდობზე, წიფანასა და მეტერიას შორის. ჯგუფური ანთროპონიმი მაშათი (← მაშა ან მაშავა) „მაშას შთამომავლობა“ კონვერსიის წესით მიკროტოპონიმად ქცეულა. მაშავა მცირერიცხოვანი გვარია, სენაკში ცხოვრობს ასამდე სული (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**მაჩარკატყა** – ტყე საკინწურაშვილოში. რუს. мочалка → მეგრ. მაჩარკა „ლუფა“ (სენაკი).

**მაჩარკაშ წყარი** – წყარო საკინწურაშვილოში. აქედან გაედინება კინწურასქუალეფიშ ღალგ და ერთვის ტაიაშ ჩეხს (სენაკი).

**მაჩაშ ჩაი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხარეს. მაჩა ქალს ერქვა (ლეგოგინე).

**მაცხვარი** „მაცხოვარი“ – ნაეკლესიარი, სასაფლაო ლეკორშიეში, ლეგვეშსა და ეკუსქურს შუა. მაცხვარი, მანცხვარი იგივე მაცხოვარია (უშაფათი).

**მაძინია(წყუ)** – წყარო, ხანჯარის სათავე ლემამულეში, ორი მეტერიის წყალგამყოფზე. რესპ.: „მაძინია ყვავილია ერთგვარი, დღე იშლება, ღამე – იხურება. მოყვითალო ფერისაა, აქ ხარობდა“ (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**მაძინიაშ ნოხორი** – 1. სახნავი გითოკირილიშ ღალუს ნაპირას. **მაძინია** პირსახელია (საადამიო); 2. სახნავი საზარანდიოში (ეწერი).

**მახაიაშ ნაშენი** – ტყე სოფლის დას. ნაწილში. მახაია პირსახელია (გახომელა).

**მახამკარამი** – ფერდობი საარჩაიოსა და საჩიჩუოს შუა. გადმოცემა: მახამი და კარამი ძმადნაფიცები იყვნენ. ტყეში თავშეფარებულებს თავს დასხმია მებატონე შეიარაღებული რაზმით და დაუხოცავს ისინი, ხოლო თავისი ქალიშვილი, რომელსაც მახამი უყვარდა“ სახლში დაუბრუნებია. დედა-დედობილს ტყეში მიუგნია დახოცილებისათვის, მწარედ დაუტირია ისინი და იქვე დაუკრძალავს, თანაც მოთქვამდა გულდათუთქული: „მახამ-კარამ, მახამ-კარამ“. ამიტომ დარქმევია ამ ადგილს მახამკარამი (იხ. ვრცლად: ელიავა, 1988, გვ. 4). (უფალკარი).

**მახარჭკინა//ხინწკონა** – სახნავი დავაკებაზე, საარჩაიოში, რაც საჭუბარიო გოლაზეა. **ხინწკი** კუნელია ერთგვარი (უფალკარი).

**მახვატელი** – 1. სახნავი ტეხურის ჭალაში. მახვატელი ვაზის ჯიშია, იგივე მაკნატუნა (პირველი ნოსირი); 2. ფერდობი სოფ. ეკის საზღვართან (საგუნიო).

**მაჯარგალაიეფიშ ნოხორი//მარჯგალაიეფიშ ნოხორი** – ვენახი საარახამიოშ წყურგილეს მარჯვ. მხარეს. მა-

ჯარგალაია, მარჯგალაია გვარ მანჯგალაძის არაოფიც. ვარიანტია (კოტიანეთი).

**მედანი** – 1. ვაკე ცომიაღალის ორივე ნაპირას, რკინიგზის ხაზის გვერდით (სენაკი); 2. ჭალა-სახნავები ცივის მარცხ. ნაპირზე, ლეცურუეში. არაბული სიტყვა მაიდან „მოედანი" მეგრულში შესულა მაიდანი, მეიდანი, მედანი ფორმებით (ფოცხო).

**მეთოიაშ მინდორი** – მინდორი ქვედა სალომიოში (სენაკი).

**მეისარონი** – ბორცვი, სასაფლაო სერზე. გადასცქერის ტეხურის ხეობას. შდრ. მისარონი (ლესაჯაიე).

**მეკამეჩეობა** – საძოვარი უჩა ღელოში. უწინ აქ მეკამეჩეობის მეურნეობა ყოფილა (ისულა).

**მელაგური//მეჲაგური** – სერი, ფერდობები ბჟერის მთის სამხრ-აღმ. კალთაზე, ქვაღრის სათავესთან (კვაუთი).

**მელანიაშ ფონი** – ფონი მდ. ცივზე (სახარბედიო).

**მელენრზენი** „გაღმა ვაკე" – სახნავი ნისკურის მარჯვ. ჭალაში (ფოცხო).

**მელენრზენიშ ტობა** – მორევი ნისკურზე, მელენრზენთან (ფოცხო).

**მელენტიშ ნაქვიშა** – მინდორი საარზიანოში (ლესაჯაიე).

**მელენტიშ ნოხორი** – სახნავი ლეხაბურზანიეში (ლეგოგინე).

**მელიკიაშ ნოხორი** – ტყე ზანაძგის ხეობაში (პატარა ზანა).

**მელტონიშ მენჯი** – ფერდობი ლეგოგიეს უბანში (ლესაჯაიე)

**მელტონიშ ნოხორი** – ტყე სალაკიოში (ლეკოკაიე).

**მენათი//ოხვამეკარი** – ტყე-ფერდობები ნაცმერის ჩრდ-ით, გორის კალთაზე. ეკუთვნოდა ნაცმერის ეკლესიას. დას-ით ესაზღვრება სოფ. კვარჩხიღალი (საადამიო).

**მენათიშ წყარი** – წყარო მენათში (საადამიო).

**მენჯი** „ვეძა"– 1. მლაშე წყალი ლებაღათურიეში და დავაკება გურძემიის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი); 2. მლაშე წყალი ლეტყებჩეში (მეორე მოხაში); 3. მლაშე წყალი, ღე-

ლე, ცანასქურის შენაკადი. მენჯი ეწოდება ვეძას ფაქვას ნაპირზეც (უფალკარი); 4. ქალაქის უბანი და ბალნეოლოგიური კურორტი ზედა სალომიოსა და ქვედა სალომიოს შუა, მდ. ცივის მარცხ. მხარეს. შემოუერთდა ქ. სენაკს 1969 წელს (სენაკი); 5. ღელე შხეფში. ჩამოედინება საჩემიოს მთიდან. მის გვერდით მიედინება ტობაღელე. მენჯის წყალი მარილიანია და საქონელი ეტანება (სენაკი); 6. ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო); 7. ტლაპო ლეშამათეში (მოხაში); 8. ტლაპო ჭვერგელეს მარჯვ მხარეს, საარაჰამიოსა და სახუხიოს განაპირას (კოტიანეთი) და სხვ. მრ.

**მენჯიეკოხუ** – ბორცვი და წყარო – დღურუს სათავე. **ეკოხგ** „აღმა, ზევით" (პატარა ზანა).

**მენჯირობუ** „ვეძისხევი" – 1. ხევი გურძემიის მარცხ. მხარეს (ლეძაძამე); 2. ხევი ლეტყეზჩეში (მეორე მოხაში); 3. ხევი ჯვეშ ლებარკალაიეში (ბეთლემი).

**მენჯიშ რობუ** – ხევი გურძემიის მარჯვ. მხარეს. ამ ხევში გაედინება მენჯღალ, რომელიც შუა ჭრის ლეშამათეს (მოხაში).

**მენჯიშ რობუშ ღალგ** – ღელე. იგივე მენჯღალ (მოხაში).

**მენჯიშ ღალგ** – ღელე, თებრონიაშ ღალის მარცხ. შენაკადი ლეტყეზჩეში (მეორე მოხაში).

**მენჯიშ წყარი** – ვეძა საძიძიგუროგოლაში (სენაკი).

**მენჯიშდუდი** – ტლაპო, მენჯის (ცანასქურის შენაკადი) სათავე (უფალკარი).

**მენჯობა** – ხევი, ღელე, ცანასქურის მარცხ. შენაკადი. გაედინება საგუნიოს დას. ნაწილიდან. რესპ.: „ბრელი დიხას ეთმჸრცუ მენჯი. ობას თიშენი გეუძინანა, დიდი ადგილი რე". რედაქტორი სვამს კითხვას: „მენჯობა ← მენჯრობა (?)" (საგუნიო).

**მენჯონა** – 1. სახნავი გურძემიის ნაპირას (კვაუთი); 2. სახნავი სკურდის მარცხ. მხარეს -ონა ძირითადად გამოხატავს თვლადი საგნის (მცენარეთა, ქვათა) სიმრავლეს. ამ შემთხვევაში ამოსავალია მენჯი „ვეძა" (ლესაჯაიე).

**მენჯღალგ//მენჯიშ რობუშ ღალგ** – ღელე ლეშამათეში. გურძემიის მარჯვ. შენაკადი (მოხაში).

**მენჯღალი** „ვეძის ღელე“ – ღელე, მაღლაკონის მარცხ. შენაკადი (დიდი ხორში, საადანაიო).

**მეჲაგური** – სერი. იგივე მელაგური (კვაუთი).

**მეორე მოხაში** – სოფელი, რომელიც მოქცეულია ბეთლემსა, მოხაშსა, უშაფათსა და ფოცხოს შუა (ფოცხოს თ/ს).

**მერაბიაშ ნაკარუ** – სახნავი სოფ. ძიგიდერის საზღვართან (ჯიხა).

**მერაბკაშ ნოხორი** – მინდორი სოფლის აღმ. ნაწილში. მერაბკა ← მერაბი (სახარბედიო).

**მერაშ ნაკარუ** – მინდორი სოფლის დას. ნაწილში (მუხური).

**მერე** – 1. ტყე-მინდორი ფერდობებითა და ნასახლარებით ზემო სორტისა და კვარჩხიღალის სასაზღვრო სერზე, სოფ. საგუნიოს საზღვართან. აქედან მოედინება ჭვერგელე. შდრ. ო. ქაჯაია: „მერე – ტბა“; მერე არის დამდგარი წყალი, მდინარე (კვარჩხიღალი, კოტიანეთი); 2. ხევი სოფ. კოტიანეთის საზღვარზე. ამ ხევში გაედინება ჟვერგელი (საგუნიო).

**მერეწყარი** – ღელე, კვარჩხიღალის მარცხ. შენაკადი. მერედან მოედინება (კვარჩხიღალი).

**მერსიოლე//აბანა//ნირსიოლე** – ღელე, ნახურის მარჯვ. შენაკადი. მოედინება სოფ. ზედა სორტის საბჟალაოს უბნიდან (ძველი სენაკი).

**მესტია** – გორა, ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში. რესპ.: „ჩაი გააშენეს, თქვეს, მაღალი ადგილია და მესტია დავარქვათო“ (სახარბედიო).

**მესხიშგა** – სერი ლენარსიესა და ლეცეკვეს შუა, მარტვილის რ-ნის სოფ. ჯოლევის საზღვარზე. სერზე ესახლა მესხი (გვარსახელია). (ჯოლევი).

**მეტერია** – მდინარე, ცივის მარცხ. შენაკადი ლებოკუჩეში, ზურემის (ს. ლესიჭინე) პირდაპირ. ხალხ. ეტიმოლოგია: „ერთი ქართველი შემდგარა ნაპირზე, შეშინებია

გადასვლისა. უთქვამთ, წყალი მეტი არაა, ნუ გეშინიათო" (უშაფათი, ლეგოგინე, კვაუთი, ფოცხო).

**მეტერია//ალერტკარიშ მეტერია//ნოღაშ მეტერია//ფოცხოშ მეტერია** – მდინარე, რომელიც ზემო წელზე ჩამოუვლის სოფლებს: ნოღა, ალერტკარი (ფოცხო).

**მეტერია//გურძემიშ მეტერია//ლეგოგიეშ მეტერია** – მდინარე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი სოფ. ლესაჯაიესთან (ლეძაძამეს თ/ს). მოედინება სოფ. კიწიიდან. ხალხ. ეტიმოლოგია: „მდინარეში კაცი იხრჩობოდა და მნახველმა გაამხნევა, „მეტ ვარე, ჭიჭე რე" (მეტი არაა, მცირეა). ამიტომ დარქმევია". ლეგოგიეშ მეტერიას უწოდებენ არა თვით ლეგოგიეს მცხოვრებნი, არამედ მოხაშისა და ფოცხოსი (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**მეტერია//ნოღაშ მეტერია** – მდინარე, შებეს მარცხ. შენაკადი ქვემო ფოცხოში. იწყება ნოღაში (ლეწიფურიეს უბანი). ორივე მეტერიას სათავე აქვს ანგესქურში (სოფ. გურძემი). (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**მეტერიაშ ჭალე** – ჭალა მეტერიის ნაპირას, სოფ. ლესიჭინეს საზღვართან (უშაფათი).

**მეტერიაჭალე** – ჭალა-სახნავები მეტერიის ნაპირებზე (ლეგოგინე).

**მეცხენეობა** – საძოვარი ახალსოფლის სამხრ-ით, სადაც ერთ დროს მეცხენეობის ფერმა იყო (სირიაჩქონი).

**მეჭკერეთი** – სახნავი, ვაკე ადგილი სამატახერიოშ ღალის მარცხ. მხარეს. რესპ.: „აქ მოსახლე კაცს ერქვა მეჭკერია, მაგრამ არავინ იცის, ეს მეჭკერია სახელი იყო თუ გვარი" (სკურია).

**მეხკალი** „ნეკერჩხალი" – ღელე. მიშველიაშ სკურის მარცხ. შენაკადი (შუა ხორში).

**მეხკალიშჯინჯი** – მინდორი საჩიქობაშ გოლაში. მეხიკალი ჩვეულებრივი ნეკერჩხალია (ა. მაყაშვილი). (საჩიქობავო).

**მეხკალონი** – საძოვარი ზანაძგის მარჯვ. მხარეს, სოფ. ზანას საზღვართან (პატარა ზანა).

**მთავარანგელოზების ეკლესია** – ეკლესია ლეშამათეში, ცივის მარცხ. ნაპირზე. XII საუკუნისაა. აღუდგენიათ 2007 წელს (ფოცხო).

**მთავარანგელოზი** – ნაეკლესიარი და სასაფლაო მენჯში (სენაკი).

**მითოტახილი** – გზის მონაკვეთი ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, ჯავახეთის პირდაპირ (ზეთლემი).

**მითოხურუ(ბ)ია** „შეღრმავება, შექვაბული" – დუბე საკინწურაშვილოს ფერდობზე. რესპ.: „მითოხურუბელი რდგ, გამოქვაბულცალო, კოც მითახუნედგ". ალ. ქობალია: „**ხურუია** – ხვრელი, სორო... ხურუ – ხეობა, ბნელი და გაუვალი ადგილი" (სენაკი).

**მიკატახალი** „მოსახვევი" – გზის მონაკვეთი ქ. სენაკის საზღვართან (სახარბედიო).

**მიკაშ ნოხორი** – სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს. მიკა კაცის სახელია (საშურღაიო).

**მიკოტახილი//მგკოტახილი** – მოსახვევი საავტ. გზაზე, ტეხურის მარჯვ. მხარეს (გახომელა).

**მიმანწყვირი** – ფერდობი გითოკირილიშ ღალუს მარცხ. ნაპირას. ნამეწყრია. მიმანწყვირი იგივეა, რაც ინონწყვილი, ე. ი. ჩაქცეული, ჩამეწყრილი (საადამიო).

**მიმახონი** – 1. ტყე, ხევი სურკის დას. კალთაზე (უფალკარი); 2. ღელე და ხევი, ზანაძგის მარჯვ. შენაკადი. მიმახონი იგივეა, რაც ინოხონი, ინორთელი, ე.ი. ჩავარდნილჩახევებული ადგილი (პატარა ზანა).

**მიმინოშ ოჭოფალი** „მიმინოს დასაჭერი" – ერქვა მინდორს ბუერის მთაზე. რესპ.: „ბანძიდან დღესაც მოდიან აქ მიმინოს დასაჭერად: აფართხალებენ ჩიტს, რომელსაც ბადე აფარია. მიმინო ბადეს ვერ ხედავს, ჩიტს დააფრინდება და ბადეში გაეხვევა" (კვაუთი).

**მინაიაშ ნოხორი** – სახნავი გირძეგას კალთაზე (ჯოლევი).

**მინანდარიშ ნოხორი** – საძოვარი დღურუს ნაპირას. მინანდარი ქალის სახელია (პატარა ზანა).

**მინაშ წყურგილი** – წყარო ჩაკაბულთან (საჩიქობავო).

**მინუცაშ ნოხორი** – სახნავი ლეშამათეში. მინუცა ქალის სახელია (მოხაში).

**მიონჩურაფუ//საორგიო** – ფართო მორევი ტეხურზე, სენაკ-მარტვილის საავტ. გზის ხიდთან. ამ მორევში იმართებოდა შეჯიბრება მენჩურაფაში. **მენჩურაფა** სპორტული ცურვის ერთ-ერთი სახეობაა: მდინარის ორივე ნაპირიდან ერთდროულად გადაეშვებოდნენ წყალში, შუა მორევში შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ, მოწინააღმდეგე ჩაეძირათ წყალში თავზე ხელის დაჭერით და მერე გაეგრძელებინათ ცურვა მეორე ნაპირამდე. ვინც პირველი მიცურდებოდა გამარჯვებულიც ის იყო. ორგია, ანუ მხარული, ცურვის ერთ-ერთი სახეობაა. იხ. საორგიო (კოტიანეთი).

**მირგატიაშ ღალგ** – ღელე, არჩაიაშ ღალის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი უშაფათთან (მეორე მოხაში, ლეგოგინე).

**მირგატიეფიშ ღალგ//ჩერტიშიშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი ლეტორჩინეში. იწყება სამირგატიოში (მოხაში).

**მირიანეშ კარობა** – ჭეჭყობი. იგივე ჟღები (ლეძაძამე).

**მისამამული** – სახნავი ლეცურასქუეში, ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**მისარიონკარი** – მისარიონის სალოცავი ლეცურუეში, სადაც ღვინჯილიების, ყურაშვილებისა და ჯოლოგუების საკულტო ადგილი ყოფილა (ფოცხო).

**მისარონი** – 1. ბორცვი, სასაფლაო ხანჯარისა და მირგატიაღალის გამყოფ სერზე, სოფ. მეორე მოხაშის საზღვართან. მისარონის გვერდით გადიოდა ძველი სამხედრო გზა ზუგდიდიდან ხონისაკენ (ფოცხო); 2. სახნავი, ნაეკლესიარი ვაკეზე, ჯიხირში. რესპ.: „უწინ სალოცავი ყოფილა. ფართო ლოდზე იყო აღმართული კაცის სახის მქონე მომცრო ლოდი. აქ დებდნენ ხურდა ფულს, ანთებდნენ სანთელს, დაიწერდნენ პირჯვარს, შესთხოვდნენ ჯანმრთელობას“. მისარონი (← მეისარი) წმ. გიორგის ეპითეტია. შდრ. ნ. აბაკელია: „მისარონი//მეისარონი იგივე მირსა//ნირსა უნ-

და ნიშნავდეს წმ. გიორგი მოისარს“ (აბაკელია, გვ. 300). ამ დასკვნას შეიძლება არ დავეთანხმოთ. მირსა იგივე მითრაა (გეჯეთი).

**მისარონიშ ოხვამე** – სასაფლაო საფაჩულიოში, კადარღალისა და მენჯღალის წყალგამყოფზე (დიდი ხორში).

**მიშაშ ნოხორი** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს (საშურღაიო).

**მიშველიათი** – უბანი მიშველიაშ სკურის ხეობაში. რესპ.: „მიშველიათი გვასალიების ერთ-ერთი შტოა. მიშველია ამ შტოს მეთაურის სახელია“ (შუა ხორში).

**მიშველიაშ სკური//მიშველიაშ ღალგ** – ღელე, სკურის მარჯვ. მდგენელი. ითვლება, რომ ესაა მთავარი სკურია. სათავეს იღებს სოფ. ციზეთის საზღვართან. გაედინება სოფ. ქვალონში (შუა ხორში).

**მიშველიაშ ღალგ** – ღელე. იგივე მიშველიაშ სკური (შუა ხორში).

**მიშველიეფიშ ნოხორი** – ერქვა სახნავს სოფლის დას. ნაწილში. მიშველია გვარსახელია (ახალსოფელი).

**მიჭკოტობა** – მორევი მდ. გურძემიაზე. მიჭკო პირსახელი ჩანს (კვაუთი).

**მიხაშ ნაკარუ** – სახნავი ნოცენის მარჯვ. მხარეს (მუხური).

**მიხაშ ნაობნეხუ** „მიხას ნავენახარი“ – სახნავი ლეხორეში. ბინეხი „ვაზი“ → ობინახე „ვენახი“ → ნაობნეხუ (უშაფათი).

**მიხაშ ნოხორი** – 1. მინდორი ცენტრ. გზის გვერდით (საშურღაიო); 2. საძოვარი საშარტაოში (პატარა ზანა); 3. ჩაის ფართობი სამირცხულაში (დიდი ხორში); 4. წყარო სოფლის დას. ნაწილში (საგუგუნავო).

**მიხაშ წყურგილე** – წყარო სოფლის დას. ნაწილში (საგუგუნავო).

**მიხაშ ჭალე** – სახნავი ლეფაციეში, მეტერიის ნაპირზე (ფოცხო).

**მიხეინოცონი//მიხერნოცონი** – სახნავი სოფ. ძიგიდერის საზღვართან. ყანის პატრონს ერქვა მიხეილი (ჯიხა).

**მიხერნოცონი** – სახნავი. იგივე მიხეინოცონი (ჯიხა)

**მიჯანა** – საძოვარი ლეგაბელიეში, ცივსა და მოხაშურს შუა, შემაღლებაზე (უშაფათი).

**მოდესიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საგაბეჩაში. მოდესი კაცის საკ. სახელია (დიდი ხორში).

**მონასტერი** – ქალთა მონასტერი. იგივე დედათა მონასტერყ (სენაკი).

**მონასტერიშ გოლა** – სერი მონასტერსა და ზედა სალომიოს შუა (სენაკი).

**მონია** – მდინარის მოსაბრუნი აბაშის რ-ნის საზღვართან, სადაც რიონი მკვეთრად უხვევს დასავლეთით. რესპ.: „წყარი მონიას ორთგდგ, იტრიალგდგ“. შდრ.: ს.-საბა: „მონიო – მდინარე წყნარი“; ალ. ქობალია: „**მონია** – მონიო, მდორე ტბორი; ადგილი, სადაც წყალი ნელი-ნელ ბრუნავს...“. ნ. ჩუბინაშვილი: „**მონიო** – მდოვრე ადგილი მდინარეში“ (სირიაჩქონი); 2. მორევი. იგივე რევიაშ ნაშქვიდუ (პირველი ნოსირი).

**მორგოშიაშ დიხა** – სახნავი კვატალონთან (პირველი ნოსირი).

**მოსასვანჯე** „შესასვენებელი“ – მინდორი კვარჩხიღალის მარცხ. მხარეს, გზა კლდეზე გადის (ბეთლემი).

**მოსულიერი** – ტყე ბულიაშ ღელეს მარჯვ. ფერდობზე. რესპ.: „ენუქი მოსულია გინოხორუე“. გვარი მოსულია სამეგრელოში ამჟამად არ დასტურდება. შდრ. კახეთში გავრცელებული გვარი მოსულიშვილი (საშურღაიო).

**მოხაში** – სოფელი მდ. გურძემიის ორივე ნაპირას. ესაზღვრება მეორე მოხაში, ფოცხო, ლეგოგინე-ნასაჯუ და ლეძაძამეს თემი. ადგ. ვარიანტი: პირველი მოხაში. რამდენიმე რესპოდენტის განცხადებით, მოხა ხორბლის ჯიში უნდა იყოს. შდრ.: ქართ. მახა : მეგრ. მოხა. ალ. ქობალია: „მოხაში – ჩამონაშალი, ჩამონამზღვრევი (კლდისა). მოხირისი; ნალეწი ქვით ნაშენი“ (ფოცხოს თ/ს).

**მოხაშური** – მდინარე, ხანჯარას მარცხ. შენაკადი ლეგაბელიეში. სათავეს იღებს სოფ. მოხაშის საზღვართან. მაშასადამე: მოხაში → მოხაშური. ამ შემთხვევაში -ურ სუფიქსს ჰიდროფორმანტის ფუნქცია უჩანს (უშაფათი).

**მოხირი** „ჩამორღვეული, ჩამოშლილი“ – 1. ბექობი საჯალაღონიოში, ხობისწყლის მარცხ. მხარეს (ეწერი); 2. კლდე ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. გაღმა სოფ. კვაუთში ჭალას ეწოდება მოხირჭალე (ლესაჯაიე); 3. ხობისწყლის ბექი, სადაც თავდება ბანკიშ ტყა (პატარა ზანა).

**მოხირიშ ჭალე** – ჭალა მოხირს ქვემოთ (ეწერი).

**მოხირჭალე** – სახნავი ტეხურის მარცხ. ჭალაში. თვით მოხირი კლდეა მდინარის გაღმა, სოფ. ლესაჯაიეში (კვაუთი).

**მუნაგონი** „მონაგონი“ – სახნავი ზანაძგის მარჯვ. ჭალაში. რესპ.: „გლეხს წაურთმევია ბატონისათვის. იმიტომ უწოდებიათ“(?). (ეწერი).

**მუნახეკა** „გადანაფხეკი“ – სახნავი ბათლომეშ ღალის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „წყარს აფუ გინორჩხილი“ (ზანა).

**მურზაყანიშ ნოხორი** – 1. მინდორი ღღურუს ნაპირას (პატარა ზანა); 2. სახნავი საფაჩულიოში. მურზაყანი პირსახელია (დიდი ხორში).

**მურზაშ ნოხორი** – 1. სახნავი სასირიოში, ტეხურის მარცხ. მხარეს. მურზა პირსახელია (შუა ნოსირი); 2. სახნავი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**მურზაშ ოჭყონე** – ტყე ნაშენში (ძველი სენაკი).

**მურღულიაშ ნოხორი** – სახნავი ხანჯარის მარჯვ. მხარეს. მურღულია გვარსახელია. სენაკის რ-ნში ცხოვრობს 173 სული. ს. ჯანაშიას ვარაუდით, გვარი მურღულია შესაძლოა სვანური მურღვლიანისაგან მომდინარეობდეს (ჯანაშია, 1959, გვ. 136). თუმცა არაა გამორიცხული, მეგრული **მურღულია** „ბუზარა; მოუსვენარი, აბეზარი“ ეპონიმის მეტსახელად ქცეულიყო (ფოცხო).

**მუხუიაშკარი** – მინდორი საძიმცესქუოში. რესპ.: „მუხუია იყო მომღერალი, პავლე ხურციას ბაბუა. მასზეა ნათქვამი ლექსი: „ტურა ღვიანს, ღვიანს, ღვიანს, მუხუიაშ კარსია, მუხუია ურაგადგ ჭიფესგ დო ბანსია“ (კვაუთი).

**მუხური** – სოფელი რიონისა და ცივის მარჯვ. ნაპირას (ზ. ჭალადიდის თ/ს).

**მუხური** „მხარე, კუთხე“ – სახნავი დღურუს მარჯვ. მხარეს, ქუაშის გვერდით. კუთხეა, ე.ი. განცალკევებული ადგილია (საადანაიო).

**მუხურიაშ ნოონი** – ერქვა მინდორს ოფაჩაფუში. მუხურია საკ. სახელია. ცვანა „ყანა“ → ნოცონი → „ნაყანევი“ → ნოონი (ახალსოფელი).

**მგკართბოგა** „მოსახვევის ბოგირი“ – გზათგასაყარი. სოფ. რეკის გზა უერთდება ხობ-სენაკის მაგისტრალს (რეკა).

**მგკონწყვილი** „ჩამოქცეული, ჩამომეწყრილი“ – სახნავი მეტერიის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**მგკოტახილი** „მოხვეული“ – მოსახვევი კლდეზე, ნოქალაქენის საზღვართან. გზა გაუყვანიათ რუსებს 1802 წელს. ამის ქვემოთაა ჯავახეთი (ბეთლემი).

## – ნ –

**ნააბანუ** – ფერდობი. იგივე ნაობანუ (კვაუთი).

**ნაადესუ//ადესონი** – სახნავი ტეხურის მარცხ. ჭალაში. ადესა ვაზის ჯიშია (პირველი ნოსირი) .

**ნააკოპგ** – ბორცვი ეკუსქურის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „სამამულო ომის დროს აქ ამოუთხრიათ აკოპები“ (რუს. окоп „სანგარი“ → მეგრ. აკოპი). (უშაფათი).

**ნაანგურუ** „ნააგურალი“ – 1. მინდორი სოფ. ისულის საზღვართან (ახალსოფელი); 2. სახნავი დათაშ ღალის მარჯვ. მხარეს. ნაანგურუ ის ადგილია, სადაც აგურს ამზადებდნენ (საესებუო).

**ნაარგუსუ** – მინდორი ზეგანზე, სოფლის სამხრ. ნაწილში. ტოპონიმი ნაარგუსუ სამეგრელოში სამგან დასტურდება (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 52), რაც გვაფიქრებინებს, რომ არსებობდა გვარი არგუსია. არგუსია დაერქმეოდა აგვისტოში დაბადებულსაც. ამის გარდა, საზამთრო შეშას, ჩვეულებრივ, აგვისტოში ჭრიდგენ (ასეთ ტყეს ზოგადად ეწოდება საარგუსო). (საადანაიო).

**ნაატკაცირუ** – მინდორი საჩარტიოში (ციზეთი).

**ნააფშილუ** – სახნავი ტეხურის ჭალაში. ამოსავალია აფშილა, აბშილა (სატომო სახელი) ან აფშილავა, აბშილავა (გვარსახელი). (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 54). (პირველი ნოსირი).

**ნააფხაზუ** – 1. სახნავი ლეხარებეში, ჯეგოლასთან (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. სახნავი ქებელის გვერდით. ამოსავალი ფუძე შეიძლება იყოს: ეთნონიმი აფხაზი ან გვარსახელი აფხაზავა (შუა ხორში).

**ნაბადა** – ტყე დიდტებიშ ღალსა და სკურდს შუა (10 ჰა). ნაბადა, როგორც მეტაფორული ნომენი, აღნიშნავს ტყეს, რომელიც ზევიდან (მთიდან, ბორცვიდან) შავად ჩანს (ლესაჯაიე).

**ნაბალოტგ//ნაპალოტგ** – ერქვა ტლაპოს ჭერეხთან. ახლა სახნავია. რუს. სიტყვა болото ზეპირი გზით შევიდა მეგრულში ორი ფორმით: ბალოტი//პალოტი (საოდიშარიო).

**ნაბამბუ** „ნაბამბარი" – 1. ფერდობი კუტალეთის გვერდით. გადმოცემით, ერთ დროს აქ ბამბა მოჰყავდათ (კოტიანეთი); 2. ბუჩქნარი ჭყონასთან, სოფ. ზანათის საზღვარზე (საბესელიო); 3. მინდორი ოკვაცეს მარჯვ. ნაპირას (საგაბესკირიო); 4. მინდორი ხუხულორთან (სკურია); 5. სახნავი ლეცურასქუეში (ფოცხო) და სხვ.

**ნაბარაკუ** – მინდორი ხორგიში. აქ მდგარა ბარაკი (რუს. барак → ქართ. ბარაკი). (გოლასკური)

**ნაბარგუ** – მინდორი შხეფის (ქ. სენაკი) საზღვართან. ნაბარგუ ის ადგილია, სადაც საქონელი იბარგებდა, ანუ ღამით წვებოდა. შდრ. ალ. ქობალია: „**ბარგა** – ბარგი; საქონლის დროებითი საბანაკო ადგილი, დაბარგების ადგილი სამწყემსურის გზაზე..." (საჩიქობავო).

**ნაბარზემუ//ნაბარძემუ** – ბარძემიშვილების უწინდელი საცხოვრისი ნოდაბარზენთან (ლეკოკაიე).

**ნაბარძემუ** – იხ. ნაბარზემუ (ლეკოკაიე).

**ნაბაღუ** – 1. ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ბაღი რე ჭიჭე ცუდე, ობაღილე, ჩხვერიშ ხულა" (ლეგოგინე); 2. ჯაგნარი, ფერდობი მენჯსა და საკირეს შუა (საჩიქობავო).

**ნაბედუ** – საძოვარი სოფ. ჯიხას საზღვართან, ონახუეშის ზემო წელის მარცხ. მხარეს. ბედია დას. საქართველოში პირსახელიცაა და გვარსახელიც. მაგალითად, სოფ. საჩიქობავოს საბედიო ბედიების უბანია (ლებაღათურე).

**ნაბერაღგ** – მინდორი ეკის მთაზე (საჩიქობავო).

**ნაბერაღი** – გორა. იგივე ბერაღი (საადამიო).

**ნაბერაღუ** – 1. ბორცვი, ტყელას უმაღლესი წერტილი. **ბერაღი** – ბაირაღი; დროშა; ეკლესიის დროშა. გადატანით: გეოდეზიური ანძა (ანძისთავი ქსოვილშემოვლებული, ჭოკია). (შუა ხორში); 2. მწვერვალი ბჟერის მთაზე, სოფ. აბედათის საზღვართან. აქაც აღმართულია ბერაღი – გეოდეზიური ანძა (კვაუთი).

**ნაბერზემუ** – მინდორი საბედიოში. ბერძენია, ბერზენია გვარსახელია (საჩიქობავო).

**ნაბერძენუ** – მინდორი საკინწურასქუოში (სენაკი).

**ნაბინეხუ** „ნავენახარი“ – 1. ბორცვი ბარბალეშის მარჯვ. მხარეს, საეჯიბიოში (სახარბედიო); 2. ფერდობი ეკუსქურის მარცხ. მხარეს (ეკი); 3. სახნავი საკანკაოში (შუა ხორში); 4. სახნავი. იგივე ნაგუნუ (მეორე მოხაში).

**ნაბოგირ(უ)** „ნაბოგირალი“ – სახნავი დიდღალის ნაპირას, ჭალადიდის საზღვართან (გოლასკური).

**ნაბოსელუ** „ნაბოსლარი“ – მინდორი ნიშიის მარცხ. მხარეს (ციზეთი, პატარა ზანა).

**ნაბოხჩუ** – ბორცვი, ტყე ოდოსკირესა და მიშველიაშ სკურს შუა. ამოსავალი ფუძე მეგრულში გავრცელებული სიტყვაა. შდრ. ო. ქაჯაია: ბოხჩა – ბოხჩა. ბოხჩა გილაბუ ორტყაფუს – ბოხჩა ჰკიდია სარტყელზე“, მაგრამ ტოპონიმის წარმოქმნის მოტივაცია?! (შუა ხორში).

**ნაბრულაში** – სახნავი გითოკირილიშ ღალუს მარცხ. მხარეს, დინოხონტების პირდაპირ (საადამიო).

**ნაბურთუ** – მინდორი საშარტაოში, სადაც უწინ საბურთაო ყოფილა (პატარა ზანა).

**ნაბურჭულუ** – ტყე სუღელოს ნაპირას, გვიმარეში. სავარაუდოა: ა. ბურჭული „ცული“ → ნაბურჭულუ „ნაცულარი, ცულით ნაკაფი“; ბ. ბურჭულაია (გვარსახელია) →

ნაბურჭულგ//ნაბურჭულ(უ) „რომელიც ბურჭულაიას ეკუთვნოდა; სადაც ბურჭულა ესახლა“ (ტყირი).

**ნაგაბელუ** – ტყე სალომაიოში. ენობრივი სტრუქტურის მიხედვით, ამოსავალია გვარი გაბელია (ლეკოკაიე).

**ნაგაბეჩუ** – სახნავი ლეშამათეში. გაბეჩავა გვარსახელია (ლეგოგიე-ნასაჯუ, მოხაში).

**ნაგარიჩუ** – სახნავი. იგივე ნაგარუჩუ (სენაკი).

**ნაგარუჩუ//ნაგარიჩუ** – სახნავი მენჯში, ცივის მარცხ. ნაპირას, რკინიგზის ხაზთან. გარუჩავა//გარიჩავა გვარსახელია (სენაკი, საგვარამიო).

**ნაგეჩუ//ოღეჯე** – სახნავი ცივის მარცხ. მხარეს, რეჭთან. ოღეჯე „საღორე“ გვიან შეერქვა. უწინ აქ ცივის ტოტზე ედგათ **გეჩა** – თევზის საჭერი ძარა (ეკი).

**ნაგვაძაბუ** – ტყე ლეგაბუნიეში. აქ უწინ გვაძაბია (გვარია) ესახლა (ლეკოკაიე).

**ნაგორდოუ//თემრაზიაშ ნაგორდოუ** – მინდორი ტეხურის მარცხ. ნაპირას. გორდოუ (← გორდოული) თევზის საჭერი მახეა ერთგვარი. რესპ.: „გორდოუ ჩხომიშ ოჭოფალი რე, ჭინუშ ღობირი. იშო მითილენდ ჩხომი და აშო ვაითართედგ“. ო. ქაჯაია: **„გორდოცუ** – გოდორყური; ვიწრობოლოიანი დაწნული მაღალი კალათა თევზის დასაჭერად, წააგავს გიდელს (კონუსის მოყვანილობისაა)“. იხ. კუნო. შდრ. ალ. ქობალია: **„გორდ(ო)ული** – მორკალული გოდორი; გოდოლი; კუნოს მსგავსი, გოდორივით დაწნული, ქვევრის მოყვანილობის თევზსაჭერი მოწყობილობა...“ (გეჯეთი).

**ნაგუნუ//ნაბინეხუ** – სახნავი ლემალანიეში, ფოცხოს საზღვართან. ნაგუნუსათვის ამოსავალია გვარსახელი გუნია. **ნაბინეხუ** „ნავენახარი“ (მეორე მოხაში).

**ნადადიანუ** – სერი სამატახერიოშ ღალის მარცხ. მხარეს (შუა ხორში).

**ნადამბუ** „ნადამბარი“ – ტბორი რიონის მარჯვ. ნაპირზე (ისულა).

**ნადანური** – სახნავი. იგივე რადანული (ფოცხო).

**ნადეთუ** – სახნავი მერსიოლეს მარცხ. მხარეს, საგიგიბერიოს პირდაპირ. გრძელდება საბჟალამდე (ძველი სენაკი, ზედა სორტა).

**ნადოხორგ** „ნასასახლარი“ – 1. ჩაის ფართობი არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე); 2. მინდორი ონახუეშის მარჯვ. მხარეს (საჩიქობავო).

**ნადოხორე** – მინდორი კურდღელიშ გოლაში (უშაფათი).

**ნადოხორუ** – 1. სერი მდ. კაუტიის მარჯვ. მხარეს, ჭითა ხარდანის სათავესა და საჯღანჯღას შუა. **ნადოხორუ** თავადის ნასახლარია (შუა ხორში); 2. გორა ჩაის ფართობით, ელიეფიშ სუკის ნაწილი, სოფ. საგუნიოს საზღვართან (კოტიანეთი); 3. სახნავი ლემალანიეში (მეორე მოხაში).

**ნადოხორუ//ჭილეფიშ ნადოხორუ** – საძოვარი მარაგანის მარცხ. მხარეს. ჭილა იგივე ჭილაძეა, ხოლო „ჭილაძეები იყვნენ პირველი თავადები ოდიშისა“ (ლამბერტი, 1991, გვ. 24). თავადის ნასახლარი არის ნადოხორუ და არა ნოხორი (საოდიშარიო).

**ნადუმუ//ნასხოდუ** – მაღალი გორა სოფლის ცენტრის დას-ით. რესპ.: „აქ იკრიბებოდა ხალხი, ეწყობოდა სხოდი, ანუ დუმა. ეკიდა ზარი და საჭირო დროს დარეკავდნენ ხოლმე, რითაც სოფელს უხმობდნენ ასისთავები და ოცისთავები“. შდრ. რუს. дума – ა. ფიქრი; ბ. სათათბირო; сход – ... ყრილობა (შუა ხორში).

**ნაერქუ** – ჭალა-საძოვარი ცივის მარცხ. ნაპირზე. ხალხ. მოტივაციები: ა. „ერქვანი დოტახუუ კოც“; ბ. „ხოჯის ელურქიებუ კოჩიშა“. სინამდვილეში: ქართ. იფქლი → მეგრ. ირქი → ნაირქი „ნაიფქლარი“ → ნაერქი (ლეგოგინე).

**ნავადაქარგ** – ფერდობი ჭყონიაღელოს მარცხ. მხარეს, უფალოხვამეს პირდაპირ. ვადაქარია გვარსახელია (უფალკარი).

**ნაზავოდგ** – ნახევარკუნძული მდ. შების ნაპირას, ნოღასთან (ფოცხო).

**ნაზავოდუ** – 1. მინდორი რიონის ნაპირას. აქ მდგარა „ზავოდი“, ანუ ხის სახერხი ქარხანა, რომელიც წყალზე

მუშაობდა. ზავოდი არყის სახდელსაც ერქვა (სირიაჩქონი); 2. მინდორი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (ჯიხა).

**ნაზარულუ** – ტყე ლეხორეში. ზარულუა გვარსახელია (უშაფათი).

**ნაზონა** „ნაზვენი“ – 1. მინდორი თემშარაშღალსა და სკურდს შუა (სირიაჩქონი); 2. ყორღანისებური შემაღლება მენჯის თავზე. რესპ.: „კუჩხიშ ნახევა რენია“ (საჩიქობავო).

**ნათისცემი//ნაცმერი//ივანე ნაცმერი** – მაღალი გორა, გალავნით შემოზღუდული, სოფ. საგუნიოს საზღვართან. შუაში დგას ეკლესია. აქვეა სასაფლაო. ეს გორა ეკის მთის ჩრდ.-დას. განშტოებაზეა, ეკის მთასა და გითოკირილიშ ღალუს შუა. ეკლესია ივანე ნათლისმცემლის სახელობისაა (საადამიო).

**ნათიფურე** – მინდორი ლეცეკვეში (ჯოლევი).

**ნათ(ი)ფურენი** – სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს. ამის პირდაპირ, ცივის მარცხ. მხარეს, არის ოთიფურე. **თიფუ** „თივა“ → **თიფუა** „თიბვა“ → **ოთიფურე** „სათიბარი“ → ნაოთიფურენი „ნასათიბარი“ → ნათფურენი (ეკი).

**ნათიფურუ** „ნასათიბარი“ – მინდორი საჩიქობაშ გოლაში. თიფი „თივა“ → თიფუა „თიბვა“ → ოთიფურე „სათიბარი“ → ნაოთიფურე „ნასათიბარი“ → ნათიფურუ (საჩიქობავო).

**ნათიცემელი** – სასაფლაო. ტეხურის მარჯვ. მხარეს იდგა ხის ეკლესია ივანე ნათლისმცემლის სახელობისა. მაშასადამე: ქართ. ნათლისმცემელი → მეგრ. ნათიცემელი (ქვედა სორტა).

**ნათიწყუ** – ღელე, პარკულის ზემო წელი (რეკა).

**ნათუნთერა** „ნადათვარი“ – სახნავი სკურეს მარცხ. მხარეს (პირველი ნოსირი) .

**ნათურქული** – სახნავი. იგივე თურქულე (საოდიშარიო).

**ნათხირგ** – სახნავი. იგივე თხირონა (კვაუთი).

**ნათხირუ** – 1. ვენახი აბანას მარცხ. მხარეს. **თხირი** „თხილი“→ ნათხირუ „ადგილი, სადაც თხილნარი იყო“ (ზედა სორტა); 2. სახნავი საბესელიოში (გახომელა).

**ნათხოლუ** – მინდორი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს. თხოლო „თხლე“. მოტივაცია გაურკვეველია (საცხვიტაო).

**ნათხორა//ნათხორაპიჯი** – სახნავი სკურიაწყარის მარცხ. ნაპირას. აქ მდინარის კალაპოტი გაუფართოებიათ ექსკავატორით. **თხორუა** „თხრა“ → **ნათხორა** „ნათხარი“.

**ნათხორაპიჯი** – სახნავი. იგივე ნათხორა (სკურია).

**ნათხორუ** „ნათხარი“ – არხი. ეკის მთიდან მიემართება ტეხურისაკენ (ძველი სენაკი).

**ნაისირუ** – 1. მინდორი მიმანწყვირთან. **ისგრი//ისირი** „ისლი“ → **ოისირე** „საისლე“ → ნაოისირუ → ნაისირუ „ნასაისლარი“ ან ისირი „ისლი“ → ნაისირუ „ნაისლარი“ (საადამიო); 2. მინდორი, ღელე გახომელას სათავესთან (გახომელა); 3. სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი); 4. ა. ჩაის ფართობი ლეცურუეში; ბ. სახნავი ხანჯარის ნაპირას (ფოცხო); 5. ბუჩქნარი საშურღულაიოშ ღალის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში) და სხვ.

**ნაისუ//ნაიცუ** – მინდორი ლეხუბუეში, უჩა ღალის მარჯვ. მხარეს (უშაფათი).

**ნაიცუ** – მინდორი. იგივე ნაისუ (უშაფათი).

**ნაიძუ** – ბორცვი, მინდორი გუდათრობასთან (ეკი).

**ნაკაზარმუ** – 1. სახნავი ლექუჩლორიეში. აქ პარკსაშრობი ფარდული იდგა. კაზარმასაც სწორედ მას უწოდებდნენ (ფოცხო); 2. სახნავი სოფლის დას. ნაწილში. რუს. Казарма → მეგრ. კაზარმა მნიშვნელობით მიესადაგა ბოსელს, ფარდულს, სასიმინდეს. ამ ადგილას კი კოლმეურნეობას ჰქონდა სასიმინდე (ახალსოფელი); 3. ჩაის ფართობი დღურუს მარცხ. მხარეს (პატარა ზანა); 4. ჩაის ფართობი საზარანდიოში. აქ, ჩაის პლანტაციაში, მდგარა ყაზარმა „ფარდული“ (ეწერი) და სხვ.

**ნაკაკა** – ტყე ჩხვიაღალის სათავესთან. **კაკუა** – ა. ნაყვა (მწვანილისა ქვასანაყში და სხვ.); ბ. კოდვა (წისქვილის ქვისა და სხვ.); გ. სასაზღვრო ხის დაჭდევება; დ. ხის შემოქერქვა (რათა გახმეს და ტყე ახოდ აქციონ). (ციზეთი).

**ნაკაკუ** – ბორცვი, წყარო ლებოკუჩეში. ნაკაკა „ხის დაჭდევება“ (საზღვრის აღნიშვნით ან სხვა მიზნით) → ნაკაკუ „ნაჭდევი“ (ბეთლემი, უშაფათი).

**ნაკამეჩევიშ ღალგ** – ღელე, საკვინოს მარჯვ. შენაკადი (საგვიჩიო).

**ნაკანტორუ** „ნაკანტორალი“ – სახნავი სახურციოში (ლეკოკაიე).

**ნაკანტორ(გ)** – მინდორი მოხაშურის მარჯვ. მხარეს. უწინ აქ ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის კანტორა მდგარა (უშაფათი).

**ნაკარტოფილგ** „ნაკარტოფილარი“ – მინდორი საჩიქობაშ გოლაში (საჩიქობავო).

**ნაკარუ** – 1. საძოვარი ლეტორჩინეში (მოხაში); 2. სახნავი როკონაში (პირველი ნოსირი); 3. ტყე გიძე ტყას გვერდით, სოფლის სამხრ. ნაწილში (საოდიშარიო); 4. ტყე ფოცხოს საზღვართან. **კარე** (← ქართ. კარავი) – მწყემსის ბინა; მწყემსის საცხოვრებელი, დროებითი ნაგებობა (მეორე მოხაში).

**ნაკარ(უ)** – ღელე, არახამიეფიშ ღალის ქვემო წელი. ერთვის ჭვერგელეს მარცხ. მხრიდან. კარე „კარავი; მწყემსის ბინა“ (კოტიანეთი).

**ნაკარუ//სენტიშ ნაკარუ** – ტყე ცივის მარცხ. მხარეს (ისულა).

**ნაკეკუ** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს. კეკუა გვარსახელია (ფოცხო).

**ნაკელა** – ბორცვი მეტერიის მარცხ. მხარეს. **კელუა** „კალოზე ლეწვა“ → ნაკელა „ადგილი სადაც ხორბლეული ილეწებოდა“. სხვა ვარიანტი: **ნაკელუა** „ნაკელის შეტანა ყანაში“ → ნაკელა „ნაკელშენატანი ადგილი“ (ფოცხო); 2. სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს, ლებარკალაიეში (ბეთლემი).

**ნაკ(ე)ლაში** – ტყე, ფერდობი ლეკორშიეში. ქართ. კევრი → მეგრ. კელი → კელუა „ლეწვა, კალოობა“ → ნაოკელაში → ნაკელაში → ნაკლაში. შდრ. ნაკელაშუ (უშაფათი).

**ნაკელაშუ** – 1. მინდორი ეკის მთაზე, ნაზერაღთან (სენაკი); 2. სახნავი სამატახერიოშ ღალის სათავესთან. ოკელაშე „ადგილი, სადაც ახალშეტეხილ სიმინდის ტარო-

ებს დაყრიან, რათა შემდეგ გაფურჩნონ“ → ნაოკელაშუ → ნაკელაშუ „ნასაკალოვარი“ (შუა ხორში)

**ნაკელებერი** – ვაკე ოდოსქირის მარჯვ. მხარეს, ნადუმუს ქვემოთ. რესპ.: „ცხენით კელგნდეს ჯვეშო“. ხომ არ ნიშნავს კელებუა კალოობას, კალოზე ლეწვას(?). (შუა ხორში).

**ნაკეხუა** – წყარო საკოდუოში (უფალკარი).

**ნაკიანიშ ნაკარუ** – მინდორი კითში. აქ იდგა სოფ. ნაკიანის (ჩხოროწყუს რ-ნი) კოლმეურნეობის საქონელი (ისულა, ახალსოფელი).

**ნაკილასუ** – 1. მინდორი კოტიანეთის სასაფლაოსთან. მე-19 საუკუნეში სამეგრელოში კლასი აღნიშნავდა სკოლას. მაშასადამე, ნაკილასუ ის ადგილია, სადაც იდგა კლასი, ანუ სკოლა (კოტიანეთი); 2. მინდორი ლეგაბუნიეში (ლეკოკაიე).

**ნაკინაშარუ** „ნარკინიგზალი“ – ნაგზაური ცივის მარცხ. მხარეს. აქ გადიოდა რკინიგზის ხაზი, რომლითაც XIX ს. მეორე ნახევარში ქვა გადაჰქონდათ ქ. ფოთში პორტის ასაშენებლად (აღწერილია გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში“). ქვა იყო განსაკუთრებული, უძლებდა ზღვის მლაშე წყალს. ნაკინაშარუ აღწევდა სახარბედიოსა და საწულეისკირიოს საზღვრებამდე (სენაკი, სახარბედიო).

**ნაკლასუ** – 1. მინდორი ცხაცხუგეტახილთან. კლასი „სკოლა“ → ნაკლასუ „სადაც სკოლის შენობა იდგა“ (უშაფათი); 2. სახნავი ეკუსქურის მარცხ. მხარეს (უფალკარი); 3. მინდორი საბარქაიოში (კვაუთი). შდრ. ნაკილასუ

**ნაკოლუ** – მინდორი ლეხარ(ე)ბეში. რესპ.: „კოლი („კალია“) აქ შემოსევია ყანას და სულ გაუნადგურებია“ (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ნაკუნუ** – სახნავი გურძემიის მარცხ. ნაპირზე. **კუნო** არის თევზის საჭერი მოწყობილობა, რაც აქ მდინარეში ყოფილა ჩადგმული. იხ. კუნო ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას ლექსიკონებში (მოხაში).

**ნაკუჩხური** – სახნავი მეტერიის მარჯვ. ჭალაში, ლეფაციეს დას-ით. ნაკუჩხური შეიძლებოდა დარქმეოდა სა-

მეკვლეოდ ნაჩუქარ მიწის ნაკვეთს. შდრ. ალ. ქობალია: „**ნაკუჩხური** – სამეკვლეო, მეკვლის მოტანილი“ (ფოცხო).

**ნაკუჭუ** – ტყე ლეკარტოზიეში. ნაკუჭუ ← კუჭავა (გვარია). (მეორე მოხაში).

**ნაკუჭუშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი ლეკუხონასთან. მოედინება ნაკუჭუდან, რაც მეორე მოხაშშია (მოხაში, მეორე მოხაში).

**ნალაგვანუ** „ნაქვევრალი“ – 1. სახნავი ნაჭილუს გორაზე. რესპ.: „აქ ტყე იყო და გლეხებს ქვევრები ჰქონდათ დაფლული, რათა ხუხუზებს (აბრაგებს) არ მიეგნოთ“ (საცხვიტაო); 2. ჩაის ფართობი საგვასალიოში, სკურიის მარჯვ. მხარეს (სკურია).

**ნალაკაცუ** – მორევი ეკუსქურზე. აკაცია (მეგრ. ლაკაცია) აქვე მდგარა (უფალკარი).

**ნალანგერუ** – 1. მინდორი გითოკირილთან, სადაც თურქეთთან ომის დროს რუსის ჯარი მდგარა (სენაკი); 2. ნაციხარი ხორიათზე. 1855 წ. ომის დროს აქ თურქებს ჰქონიათ „ლაგერი“. მაშასადამე, რუს. Лагерь „ბანაკი“ მეგრულში შემოვიდა ზეპირი მეტყველების გზით XIX ს-ში (ციზეთი).

**ნალარჩუ** – უბანი. იგივე ნატოჩუ (სენაკი).

**ნალაღუმუ** – ტყე აეროდრომთან, **ლაღუმი** – ნაღმი, დინამიტი (ტყირი, გოლასკური).

**ნალბახუ** – ფერდობი სალაკიოღალის სათავესა და ჭითა ხარდანს შუა. ლაბახუა (გვარსახელია)→ ნალაბახუ → ნალბახუ. სხვა ვარაუდი: **ლაბახა** – ღობეზე გადასასვლელი ადგილი → ნალაბახუ → ნალბახუ (შუა ხორში).

**ნალებუ** – 1. მინდორი ესაინგიესა და აბანაფერდს შუა (ზედა ნაქალაქევი); 2. საძოვარი ეკის მთაზე. **ლები** – შავი მიწა, ტალახი, რომელსაც იყენებდნენ ნაქსოვის შესაღებად (სახარბედიო); 3. ტყე დღურუს ხეობაში. რესპ.: ნალებუ ის ადგილია, სადაც უწინ იყო ლები ლია, ჭაობი (საშურღაიო).

**ნალევანჭალე** – მინდორი საბოხუოში, ტეხურის მარცხ. მხარეს. ტოპონიმისათვის ამოსავალია ტოპონიმი „ლევანჭალე“ (შუა ნოსირი, პირველი ნოსირი).

**ნალეკნოცონი** – სახნავი ცივის მარჯვ. მხარეს. **ლეკი** – შლამი, ლურჯი მიწა. **ნალეკი** ის ადგილია, სადაც უწინ ყანა იყო და შლამი შეჰქონდათ (სახარბედიო).

**ნალეკუ** „ნაშლამარი" – ვაკე-მინდორი მითოხურუიას ქვემოთ (სენაკი).

**ნალიმორი//ნალიმური** – ვაკე-ბორცვი ოდოსქირეს მარჯვ. მხარეს. რესპ. ვ. ღვამბერია: „ივანე ჯავახიშვილთან წავიკითხე, რომ ნალიმორი განთქმული იყო ოჯალეშით. გამიკვირდა, რადგან ვაზი აქ არ ხარობდა. სალხინოდან ჩამოვიტანე 80 ძირი ოჯალეში და დავრგე. მშვენივრად გაიხარა, თითო ძირი 200-200 მტევანს ისხამს. ამჟამად ნალიმორის ამ ნაწილს ოჯალეშსაც უწოდებენ". ალ. ქობალია: „**ნალიმორი** – წყალდიდობის შემდეგ დარჩენილი ტბორებიანი ადგილი". შდრ.: ნალიმარი, ნალიმერი – ნაომარი ადგილი (შუა ხორში).

**ნალიმური** – ვაკე, ბორცვი. იგივე ნალიმორი (შუა ხორში).

**ნალისგრგ** „ნაისლევი" – ბუჩქნარი ლესიგუეში (კვაუთი).

**ნამადენუ** – ფერდობი ზედა სალომიოში. მადენი იგივეა, რაც ქართ. მადანი (სენაკი).

**ნამანდარინუ** – 1. ბაღი მდ. ტეხურის მარცხ. მხარეს (გეჯეთი); 2. სახნავი ოხვამეფერდის დას. კალთაზე (ფოცხო); 3. სახნავი ჯიხირთან (პირველი ნოსირი); 4. ფერდობი სოფლის სასაფლაოსთან (კოტიანეთი).

**ნამარაგანგ** – საძოვარი სოფ. გაღმა ზანათის საზღვართან. აქ გადიოდა მდ. მარაგანი. 1937 წელს იგი არხში გადააგდეს და ტეხურს შეუერთეს (საოდიშარიო).

**ნამარაკუ** – 1. მინდორი საჭუბარიოში. აქ მდგარა **მარაკა** „ღამით თხისა თუ ცხვრის დასამწყვდევი ნაგებობა" (კოტიანეთი); 2. ჩაის ფართობი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს (სატყებუჩავო).

**ნამარანუ** „ნამარნევი" – 1. საძოვარი გუჩუთში (ჯოლევი); 2. ერქვა მინდორს ნაოჩუში (ისულა); 3. ჩაის ფართობი ლეცურასკუეში, ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**ნამაღაზუ** – 1. სახნავი საბოჯგუოში აქ იდგა კოლმეურნეობის მაღაზა „სასიმინდე“ (საესებუო); 2. ჩაის ფართობი ლეგაბელიეში (უშაფათი).

**ნამელუ** – მინდორი საგვიჩიოს დას. ნაწილში (საგვიჩიო).

**ნამენჯუ** „ნავეძარი“ – სახნავი ზანაძგის მარცხ. მხარეს (ზანა).

**ნამკურუ** – ხევი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**ნამჯარუ** – მინდორი საჩემიოში, სადაც იმართებოდა **ჯარალა//ნჯარალა** – სახალხო სეირნობა და ცეკვა-თამაში. მაშასადამე, ნანჯარუ → ნამჯარუ (გეჯეთი).

**ნანანუ** – ტყე საზარულუოში. ნანა(ვა) (გვარია) → ნანანუ ან ნანია „ნალია, სასიმინდე“ (ხშირად დგამდნენ ტყეში) → ნანანუ „სადაც ნალია იდგა“. აგრეთვე ნანია იდგმებოდა ღომის თავთავების გასაშრობად, წვიმისას საქონლის თავშესაფრად და სხვ. (უფალკარი).

**ნანასქუა//ცანასქუა//ნანეისქუაშ წყარი** – ჭა-წყარო გოკირილიშ ღალუს მარცხ. მხარეს. რესპ.: „ცანასქუა ბერი ყოფილა. იმას ამოუშენებია“ (საადამიო).

**ნანდეუ** – ტყე, ბორცვი მაღლაკის დას-ით. ნანდეუ „ნადევარი“ ზოგადად აღნიშნავს უძველეს გორა-ნამოსახლარს (საგვიჩიო).

**ნანეისქუაშ წყარი** – წყარო. იგივე ნანასქუა (საადამიო).

**ნანეფიშ ჭალე** – ჭალა. იგივე საკუპესქუო (ისულა).

**ნანიაჭვირი** – ღელე, ხეობა, საზღვარი სოფ. აბედათთან. მოედინება მეიაგურიდან. გაღმა არის იზდორეთი. **ჭვირი** „ნახანძრი, დამწვარი“; **ნანია** – ნალია, სასიმინდე (კვაუთი).

**ნანოშქვერუ** „ნანახშირალი“ – ერქვა ტყეს ოფაჩაფუსა და ფიცუს შუა (ახალსოფელი).

**ნანქარუ** – მინდორი ოფერწუეშ ღალის მარჯვ. მხარეს, დადიაშ მამულთან (კვაუთი).

**ნანწყვი** „ნამეწყრი“ – ფერდობები საქუჩლორიოში (ფოცხო); 2. ღრმა ტბა სააბშილაში, სოფ. ხორშის საზ-

ღვართან. წარმოქმნილია 1911 წელს მიწის ჩაქცევით (საგაბესკირიო).

**ნანწყუ** „ნამეწყრი, ჩანაქცევი“ – ფერდობი საკუჭაში, საკუჭაღალის მარჯვ. მხარეს (სენაკი).

**ნაობანუ//ნააბანუ** – ფერდობი ტეხურის მარცხ. მხარეს. იხ. აბანო. ცხადია: აბანა → ოაბანე → ნაობანუ (კვაუთი).

**ნაობინეხუ** „ნავენახარი“ – საძოვარი სახურციოში (ლეკოკაიე).

**ნაობ(ი)რეში** – მინდორი შვაღესა და საჭუბარიოს შუა, ეკლესიის ბორცვის ძირას. **ბირა** „სიმღერა“ → ობირეში „ადგილი, სადაც საღამოობით ახლომახლო მცხოვრებნი თავს იყრიდნენ და იმართებოდა მღერა, ცეკვა-თამაში“ → ნაობ(ი)რეში (კოტიანეთი).

**ნაობნეხუ** „ნავენახარი“ – ხეხილნარი, ფერდობი სუღირის მარცხ. მხარეს (ზანა).

**ნაოდუ** „ნაოდარი“ – მინდორი უნანგერეშის ჩრდ. ნაწილში, კვარჩხიღალის მარჯვ. მხარეს (კვარჩხიღალი, ზედა სორტა).

**ნაოისირუ** „ნასაისლარი“ – 1. სახნავი დღურუს ნაპირას (საგუგუნავო); 2. ტყე გურძემიის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი); 3. ბუჩქნარი ჭამურცხულას ნაპირას (შუა ხორში).

**ნაორტვინუ** „ნაბოსტნარი“ – სახნავი კიკაჩონაში (სენაკი).

**ნაორტინუ** „ნაბოსტნარი“ – სახნავი აბაშაჭალეში (ლებაღათურე).

**ნაოსხაპუ** – ბორცვი საკანკაოს აღმ. ნაწილში, ჯვარკართან. **სხაპუა** „ცეკვა, ცეკვა-თამაში“ → **ოსხაპუე** „რელიგიურ დღესასწაულებსა და უქმე დღეებში სოფლელთა თავშეყრისა და ცეკვა-თამაშის, გართობის ადგილი“ → ნაოსხაპუ (შუა ხორში).

**ნაოჩუ** – 1. ერქვა ტყეს ტეხურის მარჯვ. მხარეს, კითსა და რიონჭალეს შუა. იდგნენ მეჯოგეები. შემდეგ აქ გაშენდა ნაოჩუს რამის მეურნეობის ცენტრი. ოჩე „საბატონი ყანა; დადიანის ყანა“ → ნაოჩუ. „ნაოჩევარი“ (და არა ნავაცარი, როგორც განმარტებულია „სენაკის რაიონის ტოპო-

ნიმიაში“. იხ. ელიავა, 1989, გვ. 22, 40) ე.ი. ადგილი, სადაც უწინ ოჩე იყო (ისულა); 2. სახნავი საკილასონიოს საზღვართან (საოდიშარიო).

**ნაოჩუტყა** – ტყე ნაოჩუსთან, ოფაჩაფწყარის ნაპირებზე (ახალსოფელი, ისულა).

**ნაოხვამგ** „ნაეკლესიევი; ნასალოცავი“ – ფერდობი ნოტეხში (გახომელა).

**ნაოხვამგ//ქირსეშ ოხვამე** – ბორცვი, ნაეკლესიარი, სასაფლაო ლეკორშიეში, მაცხოვრის აღმ-ით. **ქირსეშ ოხვამე** „ქრისტეს ეკლესია, სალოცავი“. **ნაოხვამგ** „ნასალოცავი, ნაეკლესიარი“ (უშაფათი).

**ნაოხვამუ** „ნაეკლესიარი“ – 1. ბორცვი სკურეს მარცხ. მხარეს (საკილასონიო); 2. მინდორი ძუგუში. უწინ აქ მდგარა ეკლესია. წირვისას ღვამბაიები და ფიჩხაიები წაკიდებულან და ერთმანეთი დაუხოცავთ (გეჯეთი). 3. სახნავი. იგივე შქვითჰექტარიანი (საოდიშარიო); 4. ტყე ჭუბარიაშ გოლას აღმ. კალთაზე. დარჩენილია ნაგებობის ნაშთი (კოტიანეთი); 5. მცირე შემაღლება (ე.წ. ძუგუ, ანუ გორანამოსახლი, გაუთხრიათ არქეოლოგებს და ნაპოვნი მასალა ჩაუბარებიათ ფოთის მუზეუმში) ჯაფხენსა და პარკულს შუა (რეკა); 6. ბორცვი მეტერიის მარცხ. სერზე. გადმოცემით, აქ მდგარი ეკლესია დაუშლიათ და ქვა წაუღიათ ალერტის ასაშენებლად (კვაუთი) და სხვ.

**ნაოხვამ(უ)** – ბორცვი სახოფერიოსა და საკინწურაშვილოს შუა (სენაკი).

**ნაპალოტგ** – ერქვა ტლაპოს. იგივე ნაბალოტ (საოდიშარიო).

**ნაპარონგ** „ნაბორნალი“ – 1. მორევი და სახნავი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას, სოფლის ცენტრში (ბათარია); 2. სახნავი სასირიოში, ტეხურის მარცხ. ნაპირზე. რუს. пором ზეპირმეტყველების გზითაა შესული მეგრულში (პირველი ნოსირი).

**ნაპარონ(უ)** – მორევი მდ. ცივზე, მენჯთან (სენაკი).

**ნაპარონჭალე** – ტეხურის ჭალა ნაპარონთან. ამჟამად აქ საავტომობილო მაგისტრალის ხიდია გადებული (პირველი ნოსირი).

**ნაპარონჭალეშ ტყა** – ტყე ნაპარონჭალეში (პირველი ნოსირი).

**ნაპერელუ//ნაპერულუ** – სახნავი ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, ლეცეკვეს პირდაპირ. რესპ.: „პერულა ჩანდგ, ეთერზეთოვანი რე“ (ლეძაძამე).

**ნარაკიაშ ფერდი** – ფერდობი კაუტიის ხეობაში. ნარაკია გვარსახელია (შუა ხორში).

**ნარამუ** – 1. ბაღი ბოგორონში, ჯიხირსა და სათურქიოს შუა (გეჯეთი); 2. საძოვარი სოფ. ზანათის საზღვართან. უწინ აქ თურმე რამი მოჰყავდათ (საბესელიო); 3. საძოვარი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ქვედა სორტა); 4. სახნავი შხეფში, უწინდელი კოლმეურნეობის გამგეობის შენობასთან. რესპ.: „ერთ დროს აქ რამი დათესა კოლმეურნეობამ. მისგან აკეთებდნენ უხეშ თოკებს, ბაწრებს, სპირტსაც კი ხდიდნენ“ (სენაკი); 5. ხეხილნარი ჯიხირში (პირველი ნოსირი) და სხვ.

**ნარგი** „ნარგავი“ – სახნავი ლემალანიეში, სადაც ერთ დროს ხეები დაურგავთ (მეორე მოხაში).

**ნარგიშ ღალგ** – ღელე, ნოღაშ მეტერიის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ნარგსა და ნაცურუს შუა. გაედინება ფოცხოში (მეორე მოხაში).

**ნარინუ** – სახნავი. იგივე ნარონი (საადამიო).

**ნარიონ** „ნარიონალი“ – ღელე-ტბორი, სადაც უწინ გაედინებოდა რიონის ტოტი. იწყება ანდიათში. გადის საგვიჩიოში (სირიაჩქონი).

**ნარისუ** „ნარუსალი“ – 1. მინდორი ჯიხირში, ტეხურის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „რუსიშ ჯარი გებარგუდუა, თურქეფი გინურაცუდესგნგ თინწკგმა“ (გეჯეთი); 2. სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს. **რისი** „რუსი“ (პირველი ნოსირი); 3. მინდორი საჩალიგაოში. რესპ.: „აქ დაბანაკებულა რუსის ჯარი და მერე შემოსულა სენაკში“ (ბათარია); 4. ნაგზაური ცივის მარჯვ. ნაპირას. გზა რუსებს გაუყვანიათ (სახარბედიო) და სხვ.

**ნარონი** – 1. სახნავი მოხაშურის მარჯვ. ჭალაში (უშაფათი); 2. სახნავი ცივის მარცხ. ჭალაში, ჯაპკვათილის გვერდით (უფალკარი).

ნარმაშ კლასი – ერქვა სკოლას, რომლის დირექტორიც გვარად ნარმანია იყო (სენაკი).

**ნარონი//ნარინუ** – სახნავი ჭალაში, ცივის მარცხ. ნაპირზე, ზამანიორის პირდაპირ. რესპ.: „ათაქი რენია ორინჯიშ გინარინა. თიშენი ჯოხო ნარინუ" (საადამიო).

**ნარტიაშ ნოხორი** – სახნავი ლენიკოლესა და ლეშამათეს შუა. **ნარტია** „ნატრულა". ხშირად ერქმევა პირველ შვილს. შდრ. იმერული გვარი ნარტიაშვილი (იშვიათად გვხვდება სამეგრელოშიც). (ფოცხო).

**ნარტიაშ რობუ** – ხევი ლეჯოჯუეში. ნარტია პირსახელია (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ნარწუფუ** – ხევი ბათლომეშ ღალის სათავესთან, სოფ. საესებუოს საზღვარზე (ზანა).

**ნასაბჭუ** – მინდორი სოფლის ცენტრში, სადაც უწინ იდგა სას. საბჭოს შენობა (ზანა).

**ნასაკირუ ღელე** – ღელე. იგივე ტობაღელე (სენაკი).

**ნასამკითხველო** – ჩაის ფართობი მოხაშურის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „30-იან წლებში აქ ჰქონდათ ქოხ-სამკითხველო, სადაც სწავლობდნენ წერა-კითხვას. აქვე იწვევდნენ „სოზის" კრებებს" (უშაფათი).

**ნასამკიტანო** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს, მისარონთან. ძველად აქ, სამხედრო გზაზე, სამიკიტნო იდგა (ფოცხო).

**ნასანგუ** – ბორცვი სოფ. ზანისა და საშურღაიოს საზღვართან, სულირისა და ბულიაღელის სათავეებს შორის. სანგია ← სანკია ← სანიკია ← სანიკიძე (საშურღაიო).

**ნასანგურგ** – ჩაის ფართობი ახუთის საზღვართან. გადმოცემით, აქ აგურის ქარხანა იდგა. მაშასადამე: საანგურო „სააგურო" → ნასაანგურ → ნასანგურ (ფოცხო).

**ნასაპონუ** – ტყე ოფაჩაფუსა და ნაოჩუს შუა. ფიცუს ნაპირას. რესპ.: „აქ იყო ტყიდან გამოსასვლელი – მცირე შემაღლება, შესასვენებელი ადგილი, სადაც, ზოგი რესპოდენტის მტკიცებით, „საპონანდეს" ურემს (საპონუა „გასაპნვა". იგულისხმება ურმის ღერძის გასაპნვა). სინამდვილეში უწინ აქ ხარობდა მცენარე „**საპონელა** – ერთწლიანი

პატარა მცენარე ფურისულისებრთა ოჯახისა... წყალში დასრესილი ქაფდება“ (ქეგლ, 6). შდრ. ალ. ქობალია: „**საპო-ნოდიარე** – ბალახია ერთგვარი“. მეგრულში შესული ჩანს იმერული დიალექტიდან (ახალსოფელი).

**ნასაყარულგ** – გზათშესაყარი საარჩაიოში. ხშირად ეწყობოდა საყარაულო, რათა ქურდებს სოფლის საქონელი არ წაესხათ (უფალკარი).

**ნასაწონგ** – ფერდობი მიშველიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში).

**ნასაჯ(ა)უ** – სოფლის ნაწილი მეტერიის მარჯვ. მხა-რეს, ქვემო ფოცხომდე. საჯაია გვარსახელია (ლეგოგიე-ნა-საჯუ).

**ნასაჟენუ** – ტბორი სახუხუოში. წყალი ჩადგა ღრმა ორმოში, რომელიც დარჩა რკინიგზის ხაზის გაყვანის შემ-დეგ. რუს. Сажень → ქართ. საჟენი (სენაკი).

**ნასაჯუ** – სახნავი მეტერიის მარცხ. მხარეს, ლეგო-გიე-ნასაჯუს ნაწილი. საჯაია (გვარსახელია) → ნასაჯუ (ფოცხო).

**ნასედუ** – ჩაის ფართობი ბაღათურიეფიშ ღალის სა-თავესთან, უბან ლეკოკაიეში, სოფ. ბეთლემის საზღვარზე (ლეკოკაიე).

**ნასიბუ** – მაღალი ვაკე-ბორცვი ექუსკურსა და უჩა ღალს შუა. აქ ყოფილა სამი სოფლის მოსახლეობის თავ-შეყრის ადგილი. რესპოდენტთა განმარტებით, **სიბა** არის იგივე სიბაკარი – ლატანის კარი, ან გადასასვლელი ღობე-ზე. შდრ. ტოპონიმი „სიბაკარი“. შენიშვნა: სიბა, სიბაკარი ქართული ენის ლექსიკონებში (ქეგლი, ი. აბულაძე, ზ. სარ-ჯველაძე, ალ. ღლონტი) არაა შეტანილ-განმარტებული (იხ. განმარტება: ცხადაია, VI, 2012, გვ. 545-546). (უშაფათი).

**ნასიბღელე** – ღელე. იგივე ნასიმღელე (გეჯეთი).

**ნასილა** „სილადაყრილი“ – 1. ა. სახნავი ნისკურის მარჯვ. ნაპირზე. ბ. ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხა-რეს (ფოცხო); 2. სახნავი ხობისწყლისა და ღაჩირეს შე-სართავთან (ეწერი).

**ნასილაუ** – სახნავი ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, ღუ-ლაცვანას გვერდით. უწინ წყალდიდობისას ტეხური აქ სი-ლას ტოვებდა (სენაკი, ძველი სენაკი).

**ნასილა(ც)უ** – სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, რკი-ნიგზის ხიდს ქვემოთ (შუა ნოსირი).

**ნას(ი)ლახუ** – ტუნგის პლანტაცია ნისკურის მარცხ. მხარეს, ახუთის საზღვარზე. ტოპონიმი ადასტურებს, რომ არსებობდა გვარი სილახავა ან სილახია (შდრ. ტოპონიმი ნას(ი)ლახუ//ნაცილახუ – ბორცვი სოფ. ახუთში). (ფოც-ხო).

**ნასიმღელე//ნასიბღელე** – ღელე, ოფუჯეშ ღალის შენაკადი. მოედინება სოფ. ნოქალაქევიდან (გეჯეთი).

**ნასკოლ(უ)** – მინდორი საკინწურაშვილოში (სენა-კი).

**ნასულუ** – ჩაის ფართობი ტებღალის მარცხ. მხარეს, ნოჯიხენში. აქ ითესებოდა **სუ** – ჩვეულებრივი სელი. შდრ.: ქართ. სელ-ი : მეგრ. სუ//ფსუ „სელი“ : ლაზ. სულ- (იხ. ქე-ელ, 2000, გვ. 397-398) (ლეძაძამე).

**ნატახირა//ნატეხირა** „ნატეხურალი“ – წყარო ეკის მთის დას. კალთაზე. როცა ტეხური მოიმატებს, ეს წყაროც იმატებს და იმღვრევა. ეკის მთაზე ჯოხი ჩაუგდიათ და აქ გამოუტანია. რესპ.: „ტეხირშე აფუ თოლ შებული“ (სახარ-ბედიო).

**ნატებერა** „ნატევრალი“ – მინდორი ბჟერის მთის კალთაზე (კვაუთი).

**ნატებუ** „ნატევრალი“ – 1. საძოვარი ქვედა სალომი-ოში, ჩაის ფართობის სიახლოვეს (სენაკი); 2. საძოვარი ღორთოლის მარჯვ. მხარეს (ტყირი); 3. სახნავი რკინიგზის ხაზსა და ნარისუს შუა (ბათარია); 4. სახნავი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ჯაფხენსა და ჭითა ღელოს შუა (რეკა) და სხვ. მრ.

**ნატებუშ ღალგ** – ღელე, ჯაფხენჯის მარცხ. შენაკა-დი (რეკა).

**ნატეხირა** „ნატეხურალი“ – წყარო. იგივე ნატახირა (სახარბედიო).

**ნატეხირპიჯი** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირას (ნოსირი).

**ნატეხირუ** – ტბორი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (საოდიშარიო) .

**ნატეხგრძგა** – სახნავი ნატეხირის ნაპირას (საოდიშარიო).

**ნატკილა** – 1. მინდორი ღაჩირეს მარცხ. მხარეს (ეწერი); 2. სახნავი ლეღვინჯილეში. **ტკილი** – მერგელის ქანი, რომელსაც ყრიან ყანაში მიწის გასანოყიერებლად. ადვილად იშლება წვიმისა და მზის გავლენით. **ტკილუა** „ტკილის მოყრა"→ ნატკილა „ტკილმონაყარი". შდრ. ალ. ქობალია: **„ტკილუა** – ტინით, გაქვავებული შლამით განოყიერება" (ფოცხო); 3. სახნავი ლეშამათეში (მოხაში); 4. სახნავი მეტერიის მარჯვ. მხარეს (ლეგოგიე-ნასაჯუ) და სხვ.

**ნატობუ** „ნამორევალი" – საძოვარი ხობისწყლის მარცხ. მხარეს (ეწერი).

**ნატოჩუ//ნალარჩუ** – დასახლ. უბანი ფიცუსა და ტეხურს შუა. უწინ ტორჩინავები სახლებულან. რესპ.: „უფრო ადრე ტყე-ჯაობი ყოფილა, ლარჩვას ალაგებდნენ და იმით გადიოდნენ. ლარჩვა შუაგაპობილი ხეა". ალ. ქობალია: „ლარჩვი – საყავრე მორი; ნახლეჩი უკაპო და უტოტო ხისა" (სენაკი).

**ნატოჩუშ ნაკარუ** – საძოვარი რიონის მარჯვ. ნაპირის ჭალაში, სირიაჩქონის პირდაპირ (ისულა).

**ნატურული** – სახნავი სამატახერიოშ ღალის სათავესთან (შუა ხორში).

**ნაურემუ** „ნაურმალი" – ნაგზაური ლემალანიეში, ქვემო ფოცხოს საზღვარან (მეორე მოხაში).

**ნაურემგ** „ნაურმალი" – ტყე ლაკარდაშ ფერდთან. უწინ საურმე გზა ყოფილა (გახომელა).

**ნაფარდულუ** – მინდორი სოფლის ცენტრში (ზანა).

**ნაფაღუ** – სახნავი ლეკოკაიეს უბანში. ფაღავას ნასახლარია (ლეკოკაიე).

**ნაფაცერუ** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირას, ზუგუმდე. აქ, ტეხურის ტოტზე, ჩადგმული ყოფილა ფაცერი –

მოწნული ლასტი – თევზის დასაჭერი მახე (ნოსირი, საოდიშარიო).

**ნაფაცხუ** „ნაფაცხარი“ – 1. სახნავი საკუჭაში. რესპ.: „ტყე იყო. ბაბუა მიქელიჩამ 1855 წელს, თურქეთის შემოსევისას, აქ ფაცხა ააგო და ბავშვები დამალა“ (სენაკი); 2. ტყე ქუალონთან, ლებაღათურეს ქვემოთ (ზედა ნაქალაქევი); 3. ბორცვი წიფანის მარჯვ. მხარეს (მოხაში); 4. მინდორი საჯალაღონიოში. იხ. საჯალაღონიო (ეწერი); 5. ტყე, ბორცვი ცივის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე) და სხვ.

**ნაფაცხუ//საცხოდო** – მინდორი სოფლის ცენტრში, სადაც სას. საბჭოს შენობა იდგა. აქ იკრიბებოდნენ სოფლის საქმეზე სამსჯელოდ. ასეთ შეკრებას ეწოდებოდა „ცხოდი“. შდრ. რუს. сход „ყრილობა“ (გეჯეთი).

**ნაფერმუ** „ნაფერმალი“ – 1. მინდორი ჭვერგელეს მარჯვ. მხარეს, სადაც კოლმეურნეობის ფერმა იდგა (კოტიანეთი); 2. ჩაის ფართობი გურძემიის მარჯვ. მხარეს (კვაუთი); 3. ბორცვი მაღლაკონის მარჯვ. მხარეს (დიდი ხორში); 4. მინდორი ტეხურის პირას. აქ კოლმეურნეობის ფერმა იდგა (ძიგიდერი); 5. ტყე ლეტორჩინეში (მოხაში) და სხვ.

**ნაფირმუ** „ნაფერმალი“ – ხეხილი გირგოლეთის დას. კალთაზე (ზედა ნაქალაქევი).

**ნაფიცუ** – მდ. ფიცუს ნაკალაპოტარი. მდინარე შედიოდა ოფაჩაფუში და ფართოდ იშლებოდა. არხით შეუერთეს ტეხურს (სენაკი).

**ნაფოშტარი** „ნაფოსტარი“ – ტყე ლეხორეში. აქ საფოსტო გზა გადიოდა (უშაფათი).

**ნაფოშტუ** – მინდორი. იგივე ნაფოჩტუ (ფოცხო).

**ნაფოჩტუ//ნაფოშტუ** „ნაფოსტარი“ – მინდორი ლეცურუეში, მედანთან. რესპ.: „გადმოცემით, აქ რუსის ჯარი მდგარა. ძველი სამხედრო გზაც აქვე გადიოდა“. რუს. почта → მეგრ. ფოშტა, ფოჩტა (ფოცხო).

**ნაქართუ** – ჩაის ფართობი საგუგუნავოს საზღვართან. რესპ.: „გუგუნავებს აქ ჰქონიათ **ქართა** – საქონლის დასამწყვდევად შემოღობილი ადგილი“ (ეკი, საგუგუნავო, საცხვიტაო).

**ნაქარხანუ** – 1. ქვის კარიერი საადამიოშ გოლას კალთაზე, სადაც თლიდნენ საფლავის ქვას (საადამიო); 2. ქვის კარიერი ეკის მთის დას. კალთაზე. აქედან გაჰქონდათ ფოთში ქვა XIX ს-ის მეორე ნახევარში (სახარბედიო).

**ნაქაჯუ** – კლდე. იგივე ოქაჯე (საშურღაიო).

**ნაქაჯუშ ღალე** – ღელე, ცივის მარჯვ. შენაკადი. იწყება ნახუტურუში (საშურღაიო).

**ნაქერუ** „ნაქერალი“ – 1. მინდორი საადამიოშ გინაჯინუსთან (კვარჩხილალი); 2. სახნავი საგრიგოლიოში, დასახლებასა და აეროდრომს შუა (საგვარამიო); 3. ფერდობი გურძემიის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი).

**ნაქეჩა(რი)** – ტყე. იგივე ნაქეჩარუ (უშაფათი).

**ნაქეჩარუ//ნაქეჩა(რი)** – ტყე ლეკორშიეში (უშაფათი).

**ნაქვიშა ღალი** – ღელე, უჩაღელის მარჯვ. შენაკადი (გეჯეთი).

**ნაქობალუ** „ნახორბლევი“ – 1. მინდორი, ლაკარდაშ ფერდის ნაწილი. უწინ ქობალი „ხორბალი“ ეთესა (გახომელა); 2. საძოვარი საოჩიგაოსა და ჯიხირს შუა. ტყეში პატარა ადგილი გაუკაფავთ და ხორბალი დაუთესავთ. ამ ტყეს შემდეგ ნაქობალუ დარქმევია. ამჟამად იქ მინდორია (გეჯეთი); 3. სახნავი ჯიხირში (პირველი ნოსირი); 4. საძოვარი ახალსოფელში (სირიაჩქონი); 5. სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ლეძაძამე) და სხვ.

**ნაქობალე** „ნახორბლევი“ – 1. სახნავი სასირიოში, სადაც უწინ ითესებოდა ქობალი „ხორბალი“ (შუა ნოსირი); 2. მინდორი გურძემიის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი).

**ნაქორთუ** – ვენახი მაგდაზენის გვერდით. XIX ს-ში ქორთუ ეწოდებოდა ნებისმიერი ქართულენოვანი რეგიონიდან (გურია, იმერეთი) სამეგრელოში დამკვიდრებულს. **ქორთუა** გვარსახელიცაა (კოტიანეთი).

**ნაქორუ** – ერქვა ტყესა და ტბორს მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ამჟამად საძოვარია. ქორია მცირერიცხოვანი გვარია (სულ 20 სული საქ-ში. შდრ. იმერული ქორიძე). როგორც ისტ. საბუთებიდან ჩანს, XVI ს-ს დამდეგს რამდენიმე კომლი ქორია ცაიშსა და დარჩელში მცხოვრები, საეკლესიო ყმა იყო (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 141). (ტყირი).

**ნაქუჩულორუ** – ბუჩქნარი გურძემიის მარცხ. მხარეს, ლებარკალაიეში. ქუჩულორია გვარსახელია (ბეთლემი).

**ნაღალუ** – ღელე ტარჩენის მარჯვ. შენაკადი. იწყება ლესიგუეს დას. ნაწილში (კვაუთი).

**ნაღარუ** – ღელე, ფიცუშ ღალის მარცხ. შენაკადი სათავესთან. წყალი ღარზე ჩამოედინებოდა (სენაკი).

**ნაღეჯე** – სახნავი. იგივე ნაღეჯუ (სატყებუჩავო).

**ნაღეჯუ//ნაღეჯე** „ნაღორალი" – სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს (სატყებუჩავო).

**ნაღლამუ** – მორევი. იხ. ცომურიშჯინჯი (უშაფათი).

**ნაღუმოლგ** „ნაღომარი" – ღელე, ერთვის ფიჩორს სატივო ღალის შესართავს ქვემოთ (საგვიჩიო).

**ნაციდერი** „ნაყიდი" – მინდორი საგრიგოლიოში, აეროდრომთან (სენაკი).

**ნაციდერი დიხა** „ნაყიდი მიწა" – სახნავი ტეხურის ჭალაში (პირველი ნოსირი).

**ნაცუდუ** – 1. სახნავი ლეარზიანეში. (ლესაჯაიე); 2. ჩაის ფართობი ბერჯღანში. რესპ.: „ნაცუდუ ის ადგილია, სადაც **ცუდე** „სახლი" იდგა ან დგას უპატრონო, მიტოვებული, დაქცეული სახლი" (მოხაში).

**ნაცურუ** – ბორცვი ლემალანიეში. ნაცურუ ← ცურუა (გვარსახელი ყურუა). (მეორე მოხაში).

**ნაშარდენი** – სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს. შარდენი შევარდენია. პირსახელადაც დასტურდება (ბეთლემი).

**ნაშენი** – 1. სახნავი ლეჯოჯუეში (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. სახნავი ტეხურისა და გურძემიის შესართავს შიგნით (ბეთლემი); 3. ტყე ხანჯარის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ცანაფითა ნოჩე ჯვეშო დო თიშენი ნოჯოხობუე ნაშენი". ცანაფითა მართლაც ვაზის ჯიშია. ისხამს წვრილ, მოთეთრო, მცვივანა მარცვალს. გადაშენდა (ფოცხო); 4. ტყე-ფერდობები საჩიქობაშ ღალის ზემო წელზე, სოფ. საჩიქობავოს საზღვართან (ძველი სენაკი); 5. ტყე-ფერდობი ჯავახეთსა და ესაინგიეს შუა, აბანოს თავზე. **ნაშენი** – ნაშენი; ხეხილიან-ვენახიანი ადგილი (ზედა ნაქალაქევი) და სხვ.

**ნაშენ(ი) –** ტყე, ფერდობი დიდი შხეფის საზღვართან (საჩიქობავო).

**ნაშენიშ ქუჩა –** ქუჩა ნაშენთან (სენაკი).

**ნაშეფუ –** სახნავი ნაკაზარმუსა და ოფაჩაფუს შუა. **შეფა** „სეფა" → ნასეფუ (ახალსოფელი).

**ნაშინგ –** ჩაის ფართობი საბუკიოში. ნაშინ იგივეა, რაც ნაშენი (დიდი ხორში).

**ნაჩაგურენი –** ფერდობი სოფ. საგაბესკირიოს საზღვართან (შუა ხორში).

**ნაჩამურუ –** სახნავი ცივის ნაპირას. **ოჩამურე** „საცეხველი" → ნაოჩამურუ, „სადაც ოჩამურე იდგა" → ნაჩამურუ. სხვა ვარიანტი: ჩამური (= ოჩამურე) → ნაჩამურუ. რესპ.: „ოჩამურეთ ნოჩხვარუედეს ჩხვერს" (საცხვიტაო).

**ნაჩაჩიბუ –** ერქვა ტყეს საქაჩბაიოში, ჭითა ღელეს ნაპირას, გითოკირილს ქვემოთ. ჩაჩიბაია (გვარსახელი) → ნაჩაჩიბუ „ჩაჩიბაიას ყოფილი" (სენაკი).

**ნაჩერტკარუ//წისქვილკარი –** საძოვარი ტეხურის მარცხ. ნაპირას. ჩერტიშკარი „ჩელტისკარი" (ანუ კუტიკარი) ბოსტნის, საბატკნის პატარა კარია. ამ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, იგულისხმება საწისქვილო არხის გადასაკეტი კარი (ჯოლევი).

**ნაჩეხა –** 1. მორევი დღურუზე. ნაჩეხა, ნაჩიხა იგივეა, რაც ნაგუბი, საგუბარი (საგუგუნავო); 2. მორევი მდ. ცივზე. **(გო)ჩეხუა//(გო)ჩიხუა** „მდინარის გადაკედვლა ქვის ჯებირით" (ლეგოგინე); 3. სახნავი მდ. ცივის ნაპირას. **წყარიშ გოჩიხუა** „წყლის დაგუბება" → ნაჩეხა „ნაგუბარი" (საესებუო); 4. სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (ჯიხა); 5. მორევი მდ. ცივზე (საშურღაიო) და სხვ.

**ნაჩვარუ –** ტყე, ვაკე, ჩაის ფართობი მეტერიის მარჯვ. მხარეს, ლეშამათესა და ლეცურუეს შუა. რესპ.: „ჩვარა ნეძი გედგგდუა თექი". ჩვარა ნეძი გულცარიელი, ფშუტე კაკალია (ფოცხო)

**ნაჩიხა –** 1. მორევი ნოღაშ მეტერიაზე. **(გო)ჩიხუა** „დაგუბება" → ნაჩიხა „ნაგუბარი" (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. სახნავი გურძემიის ნაპირას (კვაუთი).

**ნაჩიხადუდი –** მორევი გურძემიაზე (კვაუთი).

**ნაჩიხაშდუდი** „საგუბრის თავი“ – მორევი ეკუსქურზე (უშაფათი).

**ნაჩორბაქუ** – არხი. იგივე ჩორბაქი (ტყირი).

**ნაჩორბაქუ** – ტყე, ხომლატყის ნაწილი. აქ არხის გაყვანაზე მუშაობდა ექსკავატორი „ჩორბაქი“. რესპ.: „ჩორბაქი დიხაშ მანთხორალი რდგ, ესკავატორი, ნოშქვერით მუშენდუ“ (ახალსოფელი).

**ნაჩხანჭუ** – მინდორი ჯვარკარის დას. კალთაზე. აქ ქეჯვარობის დღესასწაულის ბოლოს იმართებოდა **ჩხანჭობა** – ხის მოდრეკა წვერით მიწამდე; რესპ.: „**ჩხანჭი** არის თხილის ტოტი, მოხრილი, ფრინველის დასაჭერი მახე. **ჩხანჭობა** კი არის სპორტული შეჯიბრება: ერთი კაცი უნდა ასულიყო ხის წვერზე, ცალი ხელი უნდა ჩაევლო და მოედრიკა იგი, ძირს დაშვებულიყო და ფეხი მიწაზე დაედგა. ეს ხდებოდა მარტ-აპრილში. ერთი კაცი აიტაცა ხემ და იმსხვერპლა. ტარდებოდა **ქენჯვარობაც**, სადაც ხდებოდა ხის მოთხრა“. იხ. ჩხანჭუა და ჩხანჭობა ალ. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ (შუა ხორში).

**ნაჩხუბუ** „ნაჩხუბარი“ – ბორცვი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს, ქეჯვარის დას-ით (გახომელა).

**ნაცაბეკუ** – საძოვარი დღურუს მარცხ. ნაპირის ჭალაში. საბეკია (გვარი) → ცაბეკია → ნაცაბეკუ (საგუგუნავო).

**ნაცალა** „ნათიბი, ნაკაფი“ – 1. ჩაის ფართობი ლეჸურუეში (ფოცხო); 2. ვაკე-საძოვარი დადიაშ ნატახტუში, კოტიანეთის საზღვართან (უფალკარი).

**ნაციტრუსგ** – საძოვარი დიდი შხეფის საზღვართან. აქ ციტრუსოვანთა სანერგე ყოფილა (საჩიქობავო).

**ნაცმერი** – გორა. იგივე ნათისცემი (საადამიო).

**ნაცმერიშ სუკი** – მაღალი გორა, სადაც დგას ეკლესია ნათისცემი (საადამიო).

**ნაცხედუ** – ერქვა სახნავს საძიძიგუროშ გოლაში, ნახაჯუს გვერდით. ალ. ქობალია: „**ცხედი** – ...უმწიფარი, ჭყინტად დარჩენილი სიმინდი; უმწიფარი, გვიანი ნათესი“ (სენაკი, საგაბესკირიო).

**ნაცხენე** – ტყე. იგივე ოცხენეში (უფალკარი).

**ნაწალამონგ** – ტყე. იგივე წალამონი (სკურია).

**ნაწისქვილუ** „ნაწისქვილარი“ – 1. მინდორი გურძემიის ნაპირას (კვაუთი); 2. მინდორი ნოცენის მარჯვ. მხარეს. აქ ქარის წისქვილი მდგარა (მუხური); 3. ნაწისქვილარი ჭითა ღელოს ნაპირას (სენაკი); 4. სანავი ზანაძგის მარცხ. მხარეს, სოფ. ლესიჭინის საზღვართან (სატყებუჩავო); 5. ჭალა დღურუს ნაპირას (საგუგუნავო); 6. ხევი ნაღალუს ხეობაში (კვაუთი). ნაწისქვილუ ეწოდება აგრეთვე მიკროობიექტებს ძიგიდერში, ეწერში, ფოცხოში და სხვ.

**ნაწისქვილ(უ)** – 1. მინდორი ჯაფხენის მარცხ. ნაპირას (რეკა); 2. მორევი მდ. ცივზე (გოლასკური).

**ნაწისქვილუშ ღალგ** – ღელე. სათავეს იღებს ხეციაშ დოხორედან. ერთვის მდ. ფიცუს სოფ. ახალსოფელში (სენაკი).

**ნაწიფუ** – სათიბი ლეკორშიეში, უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. წიფე „წიფელი“ → ნაწიფუ „სადაც წიფელი იდგა“. მეგრულში ნაწიფუ ბალახიცაა ერთგვარი (ქრისტესსისხლა, იგივე ჯაშ ზისხირი). (უშაფათი).

**ნაწყურგილგ** „ნაწყაროვალი“ – ტყე, წყარო უჩა ღალის ნაპირას (გახომელა).

**ნაჭანუ** – ტყე ჭიჭე დღურუს მარჯვ. ნაპირზე. გადმოცემით ჭანიას ნასახლარია (საშურღაიო).

**ნაჭარხალ//ნაჭახალუ** „ნაჭარხლევი“ – სახნავი დაბალიასთან, ტეხურის მარცხ. ნაპირას (საოდიშარიო).

**ნაჭახალუ** „ნაჭარხლევი“ – 1. ჩაის ფართობი ხუფათის მარჯვ. მხარეს (ზედა ნაქალაქევი); 2. სახნავი. იგივე ნაჭარხალ (საოდიშარიო); 3. სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს (ნოსირი); 4. ტყე სანანოში (ბეთლემი).

**ნაჭვარა** „ნაკაფი“ – საძოვარი სოფ. ჭალადიდის საზღვართან (გოლასკური).

**ნაჭვარაშ ღალგ** – ღელე. გაედინება ნაჭვარადან (გოლასკური).

**ნაჭვი** „ნახანძრი“ – 1. ნატყევარი, ჩაის ფართობი მუხურჩისა და გეჯეთის საზღვართან (ძიგიდერი); 2. სახნავი ლეხაბურზანიეში, მეტერიის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე); 3. სახნავი საგუდაოში (პირველი ნოსირი); 4. ტყე საშარტაო-

ში, როკონასთან (პატარა ზანა); 5. ჩაის ფართობი ნატყევარზე, ბანძის თემის საზღვართან (გეჯეთი) და სხვ.

**ნაჭვიშ ღალგ** – ღელე, უჩა ღელეს მარჯვ. შენაკადი, სოფ. წყემის საზღვართან (გეჯეთი).

**ნაჭილაო//ნაჭილაუ** – მინდორი ტეხურის მარჯვ. მხარეს, რახვსა და რიონს შუა (ისულა).

**ნაჭილაუ** – მინდორი. იგივე ნაჭილაო (ისულა).

**ნაჭილუ** – გორა, ტყე გოკირილიშ ღალუსა და ცივს შუა, დობერასთან. გადმოცემით, ჭილავას ნასახლარია (საადამიო, საცხვიტაო).

**ნაჭკადური** – ჩაის ფართობი ლემალანიეში. ალბათ: ოჭკადურე „სამჭედლო" → ნაოჭკადური → ნაჭკადური (მეორე მოხაში).

**ნაჭკიდუ** „ნაფეტვარი" – 1. მინდორი ბათლომეშ ღალის მარჯვ. მხარეს, სადაც ჭკიდი („ფეტვი") ითესებოდა (ზანა); 2. სახნავი გურძემიის მარცხ. მხარეს. რესპ.: „აქ ითესებოდა რუს. „პშენო", რაც ორგვარია: დაბალჭკიდი და მაღალჭკიდი, ხოლო ჩხვერი იგივეა, რაც ღუმუშღუმუ" (ლესაჯაიე); 3. სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო); 4. სახნავი ხატმამულთან. აქ ითესებოდა ჭკიდიშ ჭკიდი „ფეტვი" (ბეთლემი); 5. ჩაის ფართობი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს (სატყებუჩავო).

**ნაჭკირა** „ნაკაფი" – ერქვა ტყე-ნაკაფს აეროდრომთან, ოპალინეს გვერდით (სენაკი, საგვარამიო).

**ნაჭუ** „ნაჭვავარი" – 1. სახნავი მეტერიის მარჯვ. მხარეს. ჭვე მეგრულში იგივეა, რაც ქართ. ჭვავი (ფოცხო); 2. ტყე საარზიანოში (ლესაჯაიე); 3. ჩაის ფართობი ხოჯასთან (ლეგოგინე).

**ნაჭუღალგ** – ღელე, გურძემიის მარცხ. შენაკადი. გაედინება ნაჭუდან (ლესაჯაიე).

**ნახარდამუ** – სახნავი. იგივე ნახარდანუ (ისულა).

**ნახარდანგ** „ნახარდნევი" – ტყე ნინუაშ ნოხორსა და მიკოტახილს შუა (გახომელა).

**ნახარდანუ** – 1. სახნავი ეკუსქურის მარცხ. მხარეს (ეკი); 2. სახნავი კინტირიაშ ჭალას გვერდით (საადამიო).

**ნახარდანუ//ნახარდამუ** – სახნავი სახუფერიოში, ტეხურის მარჯვ. მხარეს (ისულა).

**ნახახულგ** – სახნავი გუდათურონთან. დას. საქართველოს რეგიონებში ხახულია პირსახელია, სამეგრელოში კი, გადმოცემით, გვარსახელიც ყოფილა (ლეგოგინე).

**ნახაჯუ** „ნაცერცვალი“ – 1. ბორცვი მიშველიაშ სკურსა და საშურღულაიოშ ღალს შუა (შუა ხორში); 2. სახნავი მეტერიის მარცხ. მხარეს, ლეგოგიე-ნასაჯუს საზღვარზე (ფოცხო); 3. მინდორი სოფლის დას, ნაწილში, სოფ. ეკის საზღვართან (გახომელა); 4. მინდორი ტობაღელესა და ნაცხედუს შუა (სენაკი); 5. სახნავი დღურუს ჭალაში (საგუგუნავო); 6. სახნავი რიონის მარცხ. მხარეს (საგვიჩიო) და სხვ.

**ნახეკა** „ნაფხეკი“ – 1. სახნავი ზანაძგის მარცხ. ჭალაში, საკვირაიოში. „წყარიშ ნახეკა რე“ (ზანა, პატარა ზანა, ეწერი).

**ნახვამკარი** – ბორცვი ტეხურის მარცხ. მხარეს (ზედა ნაქალაქევი).

**ნახვეტა** „ნახვეტი“ – ფერდობი სუღირის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „წყარიშ ნახვეტა რე“ (პატარა ზანა).

**ნახოჯერი** „ნახარალი“ – საძოვარი ეკის მთაზე (სახარბედიო).

**ნახოჯ(უ)** – სახნავი საბებიოსა და ოისგრეკარს შუა. სავარაუდოა, ხარი „ხოჯი“ → ოხოჯე „სახარე“ → ნაოხოჯუ → ნახოჯუ (არაა გამორიცხული: ხოჯი → ნახოჯუ). (გოლასკური).

**ნახუნდუ** „ნახუნდარი“ – ერქვა ტყეს ცივის მარცხ. მხარეს. ამ ადგილას ედგათ ნადირის შესაპყრობი ხუნდი (ტყირი).

**ნახურანი//ნახურანუ** – ტყე, ფერდობი ნაცმერის გვერდით. რესპოდენტები: 1. გვარიდან უნდა მომდინარეობდეს; 2. „ხუროობაშე მეუჩამუნა“. **ნახურანი** „ხუროობის საზღაური“ (საადამიო).

**ნახურანუ** – ტყე-ფერდობი. იგივე ნახურანი (საადამიო).

**ნახური** – მდინარე. სათავეა ოგვარგვალეში, მერეს აღმ. ნაწილში. ჰგონიათ, რომ ეგაა კვარჩხიღალი, რომელიც ზემოთ იკარგება და აქ გამოდის, მაგდაზენთან. აქვე ნახური უხვევდა დასავლეთით, გადიოდა ძველ სენაკში და სოფ. ნოსირის პირდაპირ ერთვოდა ტეხურს მარჯვ. მხრიდან. ამჟამად მაგდაზენიდან არხით პირდაპირ ტეხურში ჩაედინება (კოტიანეთი, ძველი სენაკი, ქვედა სორტა, ზედა სორტა).

**ნახურპიჯი** – სახნავი ნახურის ნაპირას (ძველი სენაკი).

**ნახუტურუ** – 1. ბორცვი, ახალი სასაფლაო ოღუეშში, ძველი სასაფლაოს გვერდით. გახსნეს 30-იან წლებში. სასაფლაოს, რომელიც არაა მღვდლისაგან კურთხევამიღებული, ეწოდება ნახუტურუ. რესპ.: „ცალკე რე, პაპაშ ნაკურთხი ვარე. ოხვამე ვეგედგჷ. თიშენი რე ნახუტურუ. კურთხევა უღუდუ დო ზარს მუკაბუნუანდესჷნ, თინა რე სასაფლა“ (შუა ხორში); 2. სასაფლაო საქუჩლორიოში, უშაფათის საზღვართან. რესპ.: „წოხლე ნახუტურუ ცოფე, სასაფლა უკული დაარსეს, ჩქჷნი დროს“ (ფოცხო); 3. სასაფლაო სერზე. სოფლის ცენტრში არსებობს XX საუკუნის დამდეგიდან. გადმოცემით, ძველი ნაეკლესიარია (რეკა); 4. ჩაის ფართობი სახორაში. რესპ.: „ნახუტურუ არის უპატრონო მკვდართა, ხოლერით გარდაცვლილთა ან ბრძოლაში დაღუპულთა საერთო სასაფლაო, უკურთხებელი“ (ეწერი) და სხვ.

**ნაჯარგვალიშდუდი** – ბორცვი სოფ. ლესაჯაიეს საზღვართან. ნოჯიხენის გაგრძელებაა ჩრდ-დას-ით კინოხონამდე. როგორც ჩანს, ბორცვის კალთაზე იდგა ჯარგვალი – ძელური, მრგვალი მორებისაგან აშენებული ქოხი (ლეძაძამე)

**ნაჯარუ** – სახნავი, მეტერიის მარცხ. მხარეს, სოფ. ლეგოგიე-ნასაჯუს საზღვარზე. აქ იმართებოდა ჯარალა. რესპოდენტი თვლის, რომ ესაა ნაჯიხუ „ნაციხარი“ (ფოცხო).

**ნაჯახუ** – ბორცვი სოფ. ჯოლევის საზღვართან. ნაჯახუ ← ჯახუა (გვარსახელია). (ჯოლევი).

**ნაჯიხუ** „ნაციხარი“ – 1. ბორცვი აბანაშ წყარის სათავესთან (ზედა სორტა); 2. ბორცვი საელიოში (უფალკარი).

**ნაჯიხუ//ბულიშჯინჯი** – მაღალი ბორცვი ანდიათის დას-ით. წყლიანი არხითაა გარშემოვლებული. ბორცვი ჰგავს ხელოვნურს (სირიაჩქონი).

**ნაჯიხური** – ციხესიმაგრის ნანგრევები საქანთარიოში, ნახურის მარჯვ. მხარეს (ძველი სენაკი).

**ნაჯოგუ** „ნაჯოგარი“ – 1. სახნავი სკურეს მარჯვ. მხარეს (საბესელიო); 2. სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე, გინძე ტყასთან (ნოსირი).

**ნაჯოლგ** – ტყე დღურუს მარჯვ. ჭალაში. რესპ.: „ჯვეშო ჯოლათ მეუსერგელგდეს ჯა“ („ძველად ხეს ჭაპანით მოათრევდნენ“). ჯოლა „სათრიელი“ (საგუგუნავო).

**ნაჯოღორი** – ხევი გუგითთან. ამ ხევში ყრიდნენ მკვდარ ძაღლებს (დიდი ხორში).

**ნაჯუხურუ** – ჩაის ფართობი წყვირიშის მარჯვ. ნაპირიდან ლედემურიემდე. ჯუხური იგივე ჯიხურია, ე.ი. ხის კოშკი, ძელური ნაგებობა. შდრ. ს.-საბა: „ჯიხური – ხის კოშკი; მოდიდო სახლი გ(რ)ძელი“ (ფოცხო).

**ნაჯღარკუ** – საძოვარი საადამიოშ გოლაზე. ჯღარკავა აქ აძოვებდა საქონელს (საადამიო).

**ნესტორიაშ გამოქვაბული** – დუბე, ტყე ქვის გალავანშემოვლებული (სენაკი).

**ნესტორიშკარი** – ჩაის ფართობი კოლოპიაში (ფოცხო).

**ნესტორიშ მინდორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**ნექტარიშ ნოხორი** – სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**ნეძიშჯინჯი** „კაკლისძირი“ – 1. სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (საესებუო); 2. სახნავი სადავითაიოში (უფალკარი); 3. მინდორი ცივის მარცხ. ნაპირას (ტყირი).

**ნეძიჯინჯი** „კაკლისძირი“ – სახნავი ტეხურის ნაპირზე (საოდიშარიო).

**ნეძმუხური** „კაკლის კუთხე“ – 1. სახნავი მოხაშურის მარჯვ. მხარეს, ოძერეძუგასა და ნოჯოგენს შუა. რესპ.: „ნეძმუხური ახლომახლო სხვაცაა, კერძოდ სოფ. ზანათში“ (უშაფათი); 2. სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს, აპარტუმანის შესართავთან (საესებუო).

**ნეძობონა** – სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, ბაბალეკართან (შუა ნოსირი).

**ნეძობონი** – ვენახი სადუდუჩაოში. შდრ. ალ. ქობალია: „ნეძობა – კაკლის მოსავლის ჟამი“. ხომ არ ნიშნავს ნეძობონა ნიგვზებიან ადგილს? ორმაგი სუფიქსაცია ქართულ სიტყვაწარმოებაში არაა იშვიათი მოვლენა (პირველი ნოსირი).

**ნეძონა** „კაკლიანი; ნიგვზნარი“ – 1. ტყე ლეკარტოზიეში (მეორე მოხაში); 2. ფართო მინდორი რიონის მარჯვ. ნაპირზე, ცივისა და სუღელოს ნაპირებზე (ტყირი); 3. თუთნარი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ქვედა სორტა); 4. სახნავი ღელე გახომილას მარჯვ. მხარეს (გახომელა); 5. ტყე გურძემიის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი); 6. ტყე ლაქაშონის თავზე (პატარა ზანა) და სხვ.

**ნეძონი** „ნიგვზნარი“ – ჩაის ფართობი ზანაძგის მარცხ. მხარეს, ტროვანონის გვერდით (ეწერი).

**ნიკოიაშ ნოცუნი** – ტყე გაშფერდში (საჩიქობავო).

**ნიკოიაშ ნოხორი//ომანდარინე** – ტყე უჩა ღალის ხეობაში (გახომელა).

**ნიკოშ დოხორე** – ჩაის ფართობი ლებარკალაიეში, გურძემიის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ნიკო დადიანის (შალვა დადიანის მამის) ნასახლარია და ეკატერინე ჭავჭავაძე გაზაფხულობით ხშირად სტუმრობდა აქ“ (ბეთლემი).

**ნიკოშ ნოხორი** – მინდორი საგოგენიოში (შუა ხორში, დიდი ხორში).

**ნიკოშ ტები** – ტყე ზედა ნაქალაქევის საზღვართან. რესპ.: „ტები მედვალირი ტყა რე, აკორტყილი“. შდრ. ქართ. ტევრი (ლებაღათურე).

**ნიკოშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარცხ. შენაკადი (ლესაჯაიე).

**ნინუაშ ნოხორი** – მინდორი ოჭუბურესთან (გახომელა).

**ნინუაშ ხაბო** – ხევი. იგივე შქაშრახა (კოტიანეთი).

**ნინუეფიშ გოლა** – სერი, ჯოლიეფიშ გოლას ჩრდ. გაგრძელება (კოტიანეთი).

**ნინუეფიშ წყურგილი** – წყარო ჭვერგელეს მარცხ. მხარეს (კოტიანეთი).

**ნირსიოლე** – ღელე. იგივე მერსიოლე (ძველი სენაკი).

**ნისკური** – მდინარე. ზემო წელზე, სოფ. ახუთში, ეწოდება ოწყარიე (ფოცხო).

**ნისკურიშ ფერდი** – სერი ნისკურის მარცხ. ნაპირზე (ფოცხო).

**ნიტუშ ნოხორი** – მინდორი საკვირაიოში. ნიტუ პირსახელია (ზანა).

**ნიქური** – სახნავი ღალიჩას ორივე ნაპირას, განაკესა და ლემურის სამხრ-ით (ნოსირი).

**ნიშია** – მდინარე. სათავეა ფულარიაშ წყარი (ციზეთი).

**ნობაღლენი** – ტყე ხუფათის ხეობაში. **ბაღილე** „მცირე სამეურნეო ნაგებობა" → ნობაღლენი (ზედა ნაქალაქევი).

**ნობერგენი** – სახნავი საგოგენიოში. რესპ.: „ნოდალა უჩქუდეს დო ბერგით ხაჩქგნდეს". მაშასადამე: ბერგი „თოხი" → ბერგუა „თოხნა" → ნობერგენი „ნათოხარი" (შუა ხორში)

**ნობოდენი** – მინდორი ზანაძგის მარცხ. ნაპირას. იყო მარულა-თამაშობის ადგილი. მ. ჩუხუა: ქართ ბად-ე: მეგრ. ბოდ-ა. ე.ი. ნობოდენი თავდაპირველად ერქვა იმ ადგილს, სადაც უწინ ფრინველთა დასაჭერ ბადეს დგამდნენ (ციზეთი).

**ნოდაბარზენი** – მინდორი ლეგაბუნიეში, კვარჩხიღალის მარცხ. მხარეს, სადაც გადის საურმე გზა სოფ. ბეთლემისაკენ. უწინ აქ ბერძემიშვილები სახლებულან. დაბარზი „დარბაზი" → ნოდაბარზენი „ნადარბაზევი" (ლეკოკაიე).

**ნოდაბარზენიშ ღალგ** – ღელე, კვარჩხიღალის მარცხ. შენაკადი. იწყება ნოდაბარზენში (ლეკოკაიე).

**ნოკამეჩენი** „ნაკამეჩარი“ – ტყე საზღვარღალის მარცხ. მხარეს (საგვიჩიო).

**ნოკარენი** „ნაკარვალი“ – ტყე-მინდვრები ჯოლიეფიშ გოლას აღმ. კალთაზე. კარე (← კარავი) მწყემსის დროებითი სადგომი (კოტიანეთი).

**ნოკარენიშ წყურგულე** – წყარო ნოკარენში. გაედინება არახამიაშ რობუში (კოტიანეთი).

**ნომუნჩქვენი** „ნამაჩვარი“ – მინდორი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (გოლასკური).

**ნორაკიძეშ ნანოხორ** – სახნავი სოფლის დას. ნაწილში (საკილასონიო).

**ნოსირი** – სოფელი ტეხურის მარცხ. ნაპირსა და ღალიჩას შუა, გრძელდება სოფ. საოდიშარიომდე (ნოსირის თ/ს).

**ნოსიტინი** – სახნავი ეკუსქურის მარცხ. ნაპირას. წვეტივითაა შეჭრილი მდინარის ჭალაში (უფალკარი).

**ნოსკიღალგ** – ღელე. იგივე ნოსქეღალ (საგუგუნავო).

**ნოსტანი** – ტყე ოკვაცეს მარჯვ. მხარეს (საგაბესკირიო).

**ნოსქეღალ(უ)//ნოსკიღალგ //ნოწღალი** – ღელე, დღურუს მარცხ. შენაკადი. სათავეა ლუკაშ წყურგილე (საგუგუნავო, დიდი ხორში).

**ნოტეხი** – ფერდობი ღელე გახომილას მარჯვ. მხარეს, ჟვანურსა და დიდსუკს შუა. ნოტეხი „ნატეხი“, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ყანის, ტყის ნაწილს (გახომელა).

**ნოუღალი** – 1. სახნავი ჯიხირში, ტეხურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „შემაღლებული ადგილია. ძველად საურმე გზა გადიოდა, ხეხილნარიც იყო, შედიოდა გეჯეთის საბჭოში, მაგრამ ძველი სენაკის მეურნეობა ამუშავებდა. რესპ.: „თურქალაშ“ დროში სახელი რე, მარა მუშენი გიადუნ ვამიჩქგ“ (გეჯეთი); 2. ღელე ხეობით, ხანჯარის მარჯვ. შენაკადი უშაფათში. გაედინება სახუბუოსა და საქუჩულორიოს შუა (ფოცხო).

**ნოფაცხენი** – სახნავი საშურდაიოში, სამატახერიოშ ღალის მარცხ. ნაპირას (სკურია).

**ნოქალაქევი** „ნაქალაქევი“ – უბანი სოფლის ცენტრში. ტეხურის მარცხ. მხარეს, ხიდთან (ჯიხა).

**ნოქალაქევიშ გოლა** – მთა ეკის მთის დაბოლოება სოფ. ბეთლემსა და ნოქალაქევს შუა (ბეთლემი).

**ნოღაშ მეტერია** – მდინარე. იგივე მეტერია (ლეგოგიე-ნასაჯუ, ფოცხო).

**ნოღაშ ნაკარუ** – საძოვარი სკურდის მარჯვ. მხარეს. მარტვილის რ-ნის სოფ. ნოღის საქონელი იდგა (სირიაჩქონი).

**ნოცო** – ღელე, ტიბღალის ქვემო წელი. მოედინება სოფ. ლეძაძამედან. ერთვის ტეხურს ბეთლემში. მეგრული ნოცო იგივეა, რაც ქეგლ–ში დამოწმებული იმერულ-გურული ნოყო – პატარა, ლორწომოდებული მდინარე; გუბე, ტბორი, ჭოჭყო. იხ. აგრეთვე ალ. ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“ (ბეთლემი, ლეძაძამე).

**ნო(ც)ონი** „ნაყანევი“ – სახნავი სოფ. ზანათის საზღვართან (საოდიშარიო).

**ნოშკვიდი** – მორევი. იგივე ნოშქვიდუ (სენაკი).

**ნოშქვიდუ//ნოშკვიდი** – მორევი ტეხურზე, სასახოკიოს სამხრ-ით. რესპ. ა. სახოკია: „ოთხმოცი წლის წინათ მდინარეს კაცი გაუტაცნია. იგი ამ მორევში დამხრჩვალა“.

**ნოცენი** – ერქვა ღელეს, რომელიც იწყებოდა ხორგიშში, გაედინებოდა ცივი-რიონის პარალელურად და ერთოდა ციას, ცია კი – სანს. სავარაუდოა, რომ ნოცენი უნდა ყოფილიყო ცივის ტოტი. მაშასადამე: ცი → ნო-ცი-ენ-ი. შდრ.: ცგ – ა. თელა; ბ. პატარა თევზი (მუხური).

**ნოწვენიში** – მინდორი ოგვერეღალის მარჯვ. ōხარეს (საგვიჩიო).

**ნოწღალი** – ღელე. იგივე ნოსქეღალგ (საგუგუნავო).

**ნოჭაბაკენი** – ფართო ვაკე-ბორცვი აბაშისა და ონახუეშის შესართავთან. რესპ.: „ტურეფიში დო გერეფიში ჭაბაკელი ცოფე“. ჭაბაკუა „ტკეპნა“ (ლებაღათურე, ჯიხა).

**ნოჭადენი** – 1. სახნავი ლეხუბუეშ სუკის აღმ. კალთაზე, უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ჭადია საუცხოო

სოკო რე, ფართო დო მოჭითე, თაქი ნოჩქვე“ (უშაფათი); 2. სერი სააბშილაში. ნოჭადენი ის ადგილია, სადაც უწინ ჭადისჭადი ეთესა (საგაბესკირიო).

**ნოჭკერი** – სახნავი სკურეს მარჯვ. მხარეს. ნოჭკერი „ნაჭერი“ – ცალკე მდებარე მიწის ნაკვეთსაც აღნიშნავს (საბესელიო).

**ნოხორი** „ნასახლარი“ – 1. საძოვარი საბარქაიოში (კვაუთი); 2. მინდორი სერზე, დღვანასა და კოშურს შუა (ლეკოკაიე); 3. სახნავი სერზე, სანაჭყებიოში. იშვიათი ვარიანტია: გოგოჩი. რესპ.: „გოგოჩი სერის ზურგია“. ალ. ქობალია: „**გაგაჩი** – მთის შიშველი თხემი; უტყეო შიშველი ქედი; ხერხემალი“ (ეწერი); 4. ტყე ჩხარის ნაპირას, სატყეოს ზონაში (საწულეისკირიო); 5. ჩაის ფართობი ლეკუჭეში (ლეგოგინე) და სხვ.

**ნოხორიობა** „ნასახლარები“ – ნასახლარები ტეხურის მარჯვ. ნაპირას (ისულა).

**ნოხორიობა//ოხვამეკარი** – სახნავები საჩილაჩაოსა და საბარკალაიოს შუა, სოფ. წყემის საზღვართან. რესპ.: „-ობა თიშგურშენ ეკოცუნს, ათაქი მუთ ხალხი ქორენ, ეთექი ნოხორუე. ბრელი ნოხორი რე ნოხორიობა“ (პირველი ნოსირი).

**ნოხორიშ ღალე** – ღელე, ხაბაზეთიშ ღალის მარჯვ. შენაკადი (სენაკი).

**ნოჯიხენი** „ნაციხარი“ – 1. სათიბი ტარჩენის მარჯვ. ნაპირზე. დარჩენილია ციხე-სიმაგრის საძირკველი (ლებაღათურე); 2. ბორცვი ნოქალაქევიშ გოლას დას. ნაწილში (ბეთლემი); 3. სერი სოფ. ფოცხოს საზღვართან (ლეძაძამე); 4. გორა გურძემიის მარცხ. მხარეს (ლესაჯაიე).

**ნოჯოგენი** „ნაჯოგარი“ – მინდორი მოხაშურის ნაპირას აქ ერთ დროს ჯოგი ეყენათ (უშაფათი).

## – ჲ –

**ჲაკარდა** – ფერდობები, ბჟერის მთის სამხრ. კალთები. იხ. ლაკა(რ)და (კვაუთი).

— ო —

**ოატამე** „საატმე“ – ბუჩქნარი არახამიეფიშ ღალის სათავესთან (კოტიანეთი).

**ობამბე** „საბამბე“ – 1. ტყე-ფერდობი ლებალათურიეში, ნოჯიხენის კალთაზე (ბეთლემი); 2. საძოვარი. იგივე ძღვაკე (გეჯეთი); 3.  სახნავი ლეპიტახიეში (კვაუთი).

**ობამბუკე** „საბამბუკე“ – 1. სახნავი რიონის მარჯვ. ნაპირას, რახვის გვერდით, ტეხურისა და რიონის შესართავიდან 1,5 კმ-ზე (ისულა); 2. ხევი ნაჭილუსა და საკუჭას შუა, ეკუსქურის მარცხ. მხარეს (ეკი).

**ობარბალე//ბარბალეში** – ვაკე-ბორცვი ეკის გოლას დას. კალთაზე (სახარბედიო).

**ობატე** – ტყე ოფუჯეშ ღალის მარჯვ. მხარეს. ბატი – 1. ბატი (ფრინვ.); 2. ზაქი, კოზაკი (გეჯეთი).

**ობერგული** „სათოხარი“ – ტყე საჩემიოს აღმ. ნაწილში. შიგ მცირე-მცირე ნაკაფი ადგილები იყო, სახნავად მოუხერხებელი. ამიტომაც თოხით ამუშავებდნენ. ბერგი „თოხი“ → ობერგული „თოხით დასამუშავებელი“. ანტ. ოხოჯური (გეჯეთი).

**ობლიშონა** – ფერდობი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, ოხვამეკარამდე (საადანაიო).

**ობრეში** – ბორცვი ჯვეშ ლებარკალაიეში, საჯვარო ოხვამესთან. ყოფილა დღესასწაულებსა და უქმე დღეებში ხალხის თავშეყრის ადგილი. მაშასადამე: **ბირა** „ცეკვა-თამაში, მღერა-ლექსობა“ → ობირეში → ობრეში (ბეთლემი).

**ობულეშანი** – ხევი, ღელე ლეკორშიეში. **ობულე** „საბლე“, **შანი**  „მცირე ღელე“ (უშაფათი).

**ობუმეში** – ტყე სოფ. გალმა ზანათის საზღვართან. რესპ.: „ხოჯის უსქუანდეს აგაფას დო ხონგნგდეს, მანგარი დიხა რდგ“; „გგნძე კვეთა იციიდ დო ხოჯეფს გიობუნუანდეს“  **ბუმა** „შებმა (უღელში)“ → ობუმეში „შესაბმელი, შებმის ადგილი“ (საოდიშარიო).

**ობურღე** „საბუერო“ – ტყე, ხევი ლემალანიეში (მეორე მოხაში).

**ოგვარგვალეში** – 1. ჩანჩქერი კვარჩხიღალზე. **გვარგვალი** „ძლიერი დუღილი“ → ოგვარგვალე „წყლის დუღილის, თუხთუხის ადგილი“ (კვარჩხიღალი); 2. ჩანჩქერი ტეხურზე, აბანას ქვემოთ (კვაუთი); 3. წყარო. დიდ ლოდებზე გადადის. ითვლება ნახურის სათავედ, ე.ი. კვარჩხიღალი მთის იქით იკარგება მიწაში და ზაფხულობით აქ ამოდის (კოტიანეთი).

**ოგვერეღალგ** „საგველე ღელე“ – ღელე, სატივო ღალის მარჯვ. შენაკადი (საგვიჩიო).

**ოგილატე** – წყარო. იგივე ოგულატე (უშაფათი).

**ოგინე** „სახბორე“ – სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს. უწინ სახბორედ ყოფილა შემოღობილი (მოხაში).

**ოგორდე რობუ** „საბაყაყე ხევი“ – ხევი მიშველიაშ სკურის მარცხ. მხარეს, არჩილს ქვემოთ (შუა ხორში).

**ოგულატე//ოგილატე** – წყარო მოხაშურის მარცხ. მხარეს, ლეგაბელიეში (უშაფათი).

**ოდაფე** „დაფნარი“ – 1. ფერდობი საგიგიბერიოში (ძველი სენაკი); 2. ჩაის ფართობი საბჟალაში (ზედა სორტა).

**ოდიშარიეფიშ წყურგულე** – წყარო, ღელე. სათავეს იღებს საოდიშარიოში და ერთვის ტეხურს სასიმონიოში (საოდიშარიო).

**ოდიშარიეფიშ ნაწისქვილგ** – ნაწისქვილარი ღალიჩაზე, რჩქონთან (ნოსირი).

**ოდიშარიეფიშ წყურგულე** – ნაკადული. მოედინება საოდიშარიოდან და ერთვის ტეხურს სასიმონიოს ბოლოში (ნოსირი).

**ოდოსკირე//ოდოსქირე** – ღელე, ხეობა შუა ხორშში, სკურიის მარჯვ. შენაკადი. იწყება ნადუმუში, მაღლობზე. ამ ღელის ნაპირზე წყაროებია და იმათაც ოდოსქირეს უწოდებენ (შუა ხორში)

**ოდოსქირე** – ღელე, ხეობა. იგივე ოდოსკირე (შუა ხორში).

**ოზაკეში** „საქანელა“ – ბორცვი, კლდეები საარჩაიოშ ფაქვის სათავესთან. გადმოცემით, აქ, ციცაბო კლდეებში, ელიობა ღამეს თავს იყრიდნენ „მაზაკვალეფი“, ძლის ბო-

ლოებზე სხდებოდნენ და „უზაკუანდეს“, ე.ი. არწევდნენ, აქანავებდნენ, თითქოს აიწონა-დაიწონას თამაშობდნენ. შდრ. ალ ქობალია: „ოზაკაია – მოტორტმანე, მოქანავე; რყევადი; საქანელა; ძელზე გარდი-გარდმო გადებული ფიცარი, აიწონა-დაიწონას სათამაშო“. რედაქტორის ვარაუდი: „იქნებ ოზაკეში ← ოზაკუეში, ანუ ოზაკვალი??“ (უფალკარი).

**ოზერმახე** „საძმერხლე“ – ფერდობი, საბჟალაშ გოლას კალთა, სადაც გამოედინება მდ. კვარჩხიღალი. **ზერმახი, ზორმეხი** ძმერხლია (ზედა სორტა).

**ოზირი** – ღრმა ტბა დაბალთაზე. რუს. озеро „ტბა“ → მეგრ. ოზირი. უფრო ადრე ერქვა (და ბევრი ახლაც უწოდებს) „ოხარკალე, ფართო წყარი“ (სენაკი).

**ოთარეთურინოხორი** – სახნავი ოხვამეკარში. „ოთარე ნოჯოხობუე კოც, თიშ ნოხორი რე“. ოთარეთური ნიშნავს ოთარეს შთამომავლობას. ოთარეთურინოხორი „ოთარეს შთამომავლობის ნასახლარი“ (პირველი ნოსირი).

**ოთ(ი)ფურე** – სათიბი მაფაწყუს ნაპირას. თიფი „თივა“ → თიფუა „თიბვა“ → ოთიფურე „სათიბარი“ (სახარბედიო).

**ოთიფურე//სამარულო** – სახნავი გითოკირილიშ ღალუს მარჯვ. მხარეს, დობერამდე. ფართო ადგილი იყო და სამარულოდაც იყენებდნენ (საადამიო).

**ოთონეში** – ფერდობი სადავითაიოს თავზე, ეკის მთის აღმ. კალთაზე, საჩიქობავოს საზღვართან (ძველი სენაკი).

**ოთუნთე** „სადათვე“ – ტყე-ბორცი ცივის მარჯვ. მხარეს, სოფ. საგაბესკირიოს საზღვართან (სახარბედიო).

**ოთხირე** „თხილნარი“ – 1. ტყე ლეწითინძეში, მოხაშურის სათავესთან (უშაფათი); 2. ტყე საბჟალაში (ზედა სორტა); 3. სახნავი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს (საესებუო); 4. ჩაის ფართობი ლეჯოჯუეში (კვაუთი).

**ოთხირონი** – ტყე ოღალუეშში. ტოპონიმი წარმოქმნილია ორმაგი აფიქსაციით: თხირი „თხილი“ → ოთხირე „სათხილე“ → ოთხირონი „თხილნარი“ (მოხაში).

**ოინჭირე//ინჭირე** – ხევი სკურდის ნაპირას. **ინჭირე, ინჭირი** ანწლია (ლესაჯაიე, ლეძაძამე).

**ოისიმეშ ნაკაზარმუ** – საძოვარი ტებთან. გადაეცა სოფ. გეჯეთს (ჯიხა).

**ოისირე** „საისლე" – 1. ბუჩქნარი სოფლის დას. ნაწილში (ისულა); 2. ხეხილნარი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (ჯოლევი); 3. სახნავი სოფ. საზესელიოს საზღვართან (საკილასონიო).

**ოისირეშ ტყა** – ტყე საკინწურაშვილოში (სენაკი).

**ოისგმეშკარი** – ჩაის ფართობი სახუზუოში. ოისგმე (← ონისიმე) პირსახელია (ფოცხო).

**ოისგრე** „საისლე" – 1. ბუჩქნარი ბარგასა და საფაჩულიოს შუა (რეკა); 2. ბუჩქნარი ოკვაცეს მარცხ. მხარეს (საადანაიო); 3. მინდორი ხუხულორთან, სამატახერიოშ დალის მარცხ. მხარეს (სკურია); 4. ტყე გაშფერდის კალთაზე (საჩიქობავო); 5. მინდორი სოფლის დას. ნაწილში (ლეძაძამე).

**ოისგრეკარი** – მინდორი წკიპღელოს ნაპირას (გოლასკური, ტყირი).

**ოკათაფუ** „შესართავი, ხერთვისი" – ა. ონახუეშის მარჯვ. შენაკადი ლეკორშიეში; ბ. ცივისა და მოხაშურის შესართავი (უშაფათი).

**ოკათაფური** „ხერთვისი" – სახნავი ჭალაში, მეტერიისა და გურძემიის შესართავთან (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ოკათუეში** „შესართავი" – წყალთშესართავი, მოხაშურისა და ხანჯარის შეერთების ადგილი (ლეგოგინე).

**ოკამბეშე** „საკამეჩო" – საძოვარი ფერდობი საღვამბერიოში, ოდოსქირის სათავესთან (შუა ხორში).

**ოკარდილეში** – ღელე, ნახურის მარჯვ. შენაკადი ჭიჭე შხეფში. ქმნის ლუღიშჯინჯისა და ოჭუბურონას შეერთება საქანთარიოში. კარდილა სპილენძის დიდი ქვაბია, მაგრამ ეს ვერ აგვიხსნის სახელდების მოტივაციას (ძველი სენაკი)

**ოკარკალე** – წყარო ლეგოგიეს უბანში. **კარკალი** „რაკრაკი, კამკამი (წყლისა)" → **ოკარკალე** „საკამკამო, სა-

რაკრაკო; ადგილი, სადაც წყალი მირაკრაკებს“ (ლეგოგიენასაჯუ).

**ოკატუეში** – ბორცვი საჩიჩუოსა და ქეჯვარს შუა, უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ტყარ კატუეფი ნოხვედგ ტყას“ (გახომელა).

**ოკაწიე** „ხერთვისი“ – წყალთშესართავი, სადაც მდ. ცივს ერთვის მდ. ეკუსქური. რესპ.: „ჩვენც ვდაობთ და ვერ დაგვიდგენია, თუ რატომ დაერქვა ოკაწიე“. შდრ. ალ. ქობალია: „**ოკაწიმერი** – შესართავის, შერთვის, შედინების, შერწყმის ადგილი; ხერთვისი“. **ოკოწიმა** „სითხეთა ერთმანეთთან შერევა; ღელეთა შეერთება“ (ეკი).

**ოკებურე(ში)** – ტყე მონასტერთან. კებური იგივე ყებურია, ე.ი. ყვერბი, კერიის ქვა (სენაკი).

**ოკვატიე** „საიხვე“ – წყარო ეკუსქურის მარჯვ. მხარეს (უფალკარი).

**ოკვაცე** – 1. ღელე, ხეობა, მდ. ცივის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი სოფ. საადანაიოსთან. სემანტიკა და მოტივაცია ვერ დადგინდა (საგაბესკირიო); 2. ხევი, რომლის ნაპირებზეა ირემული, გაცხაბო, ოისგრე, ფოხუ, შანიორი, ჯოღორია(შ)მამული (საადანაიო).

**ოკიბოლღალი** „საკიბორჩხლე ღელე“ – ღელე. გადიოდა სოფ. გეჯეთში (ჯიხა).

**ოკირეში** „საკირისა“ – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში, სოფ. რზენის საზღვართან (ეწერი).

**ოკიცე** „საკეცე“ – 1. ფერდობი, საკეცე ქვის კარიერი რახის ძირას (კვარჩხიღალი); 2. ფერდობი საკუჭაღალის მარჯვ. მხარეს, ოხვამეფერდის პირდაპირ. რესპ.: „ოკიცეს კიცის თოლუნდეს ჭკგდიშ ოჭვალო“ (სენაკი); 3. ფერდობი ფარიშ გოლაში. რესპ.: „კიცის ეთმიორღვანდეს დო თოლგნდესგ კიცო, ანგურათ. ლამეთ ითოლუუდუ, გოსქგრგდგ დო იმანგარებუდუ“. ალ. ქობალია: „**კიცი, კგცი** – კეცი, თიხა, თიხის ჭურჭელი, კრამიტი“ (უფალკარი).

**ოკიცოლი** – ფერდობები სოფ. ეკის საზღვართან (გახომელა).

**ოკუჩხური** – ტყე, წყარო, ფერდობი ლესიგუეში. ალ. ქობალია: „**ოკუჩხური** – სამეკვლეო, საფერხებელი, ფერხისაი, ფერხული (იხ. კუჩხიშ ოსხაპური)". (კვაუთი).

**ოლაგვანე** „საქვევრე" – 1. მინდორი საღვამბერიოში, კაუტიის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში); 2. ღელე, ფაქვის ერთ-ერთი სათავე საარჩაიოში (უფალკარი).

**ოლაგვანეში** „საქვევრისი" – მორევი გურძემიაზე. იშვიათი ვარიანტი: წკურუნტია. რესპ.: „წკურუნტია რდგ თექი". წკურუნტია „უფსკრული, უძირო" (მოხაში).

**ოლაკვე** „სალეკვე" – ხევი, ესუკიაშ ღალის მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „ნარაკიები ამ ხევში ყრიდნენ ლეკვებს" (ციზეთი).

**ოლაკვეში** „სალეკვია" – ხევი საბარქაიოსა და ლეხაბურზანიეს შუა. უწინ ამ ხევში ყრიდნენ ლეკვებს. ამიტომაც დაერქვა (კვაუთი).

**ოლაკვეშიშ ღალგ** – ღელე. გაედინება ოლაკვეშიდან (კვაუთი).

**ოლანჯე** – ტყე სოფ. ძიგურის საზღვართან. **ლანჯი** „კოპიტი, იფანი" (საკილასონიო).

**ოლარჭემე** „სალერწამო" – ტყე საარჩაიოშ გოლაში (უფალკარი).

**ოლებე** – ტყე ნიშიის მარცხ. მხარეს. ო. ქაჯაია: „**ლები** – ლია; ჭაობის მოლურჯო ფერის რბილი მიწა, რომელსაც იყენებდნენ შინმოქსოვილი შალის შესაღებად" (ციზეთი).

**ოლებიე** „სალობიო" – 1. ბუჩქნარი საკოღუოში (უფალკარი); 2. ტყე, ფერდობი ეზარქუეში (ზედა ნაქალაქევი).

**ოლებიეშდუდი** – ტყე ოლებიეს თავზე (უფალკარი).

**ოლეკეში** – 1. ტლაპო მდ. ცივის ნაპირას. **ლეკი** „შლამი, ლამი, ლურჯი მიწა" → ოლეკე „საშლამე" → ოლეკეში „ადგილი, სადაც ლამი ან ლურჯი მიწაა" (საგაბესკირიო); 2. ჭეჭყობი სოფლის დას. ნაწილში, უჩა ღალის მარჯვ. მხარეს (გახომელა).

**ოლეჭყე** – ჭეჭყობი ლეგოგიეს უბანში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ოლისირე** „საისლე“ – სახნავი შხეფის ცენტრში, სადაც უწინ კოლმეურნეობის გამგეობა იყო (სენაკი).

**ოლონტყეში** „სალაფაო, სატოპელა“ – 1. ტყე საარჩაიოშ გოლაში (უფალკარი); 2. ტლაპო დიდსუკში (გახომელა).

**ოლონტყეშიშ მინდორი** – საძოვარი ჯოლიეფიშ გოლასა და ნინუაშ გოლას შუა (კოტიანეთი).

**ომანდარინე** „სამანდარინე“ – 1. ტყე. იგივე ნიკოიაშ ნოხორი (გახომელა); 2. საძოვარი საქაშზაძოს სამხრ.-დასით (დიდი ხორში); 3. სახნავი ლეხორეში (უშაფათი).

**ომანე** „ბუნაგი“ – ტყე-ფერდობი სოფ. ფოცხოს საზღვართან, გურძემიის მარცხ. მხარეს (ბეთლემი).

**ომანეშდუდი** – ბორცვი სოფ. ფოცხოს საზღვართან. ომანეს თავია (ბეთლემი).

**ომარქვალეში** – ფერდობები. მარქვალი (სოკოა ერთგვარი) → ომარქვალეში. რესპ.: „მარქვალიები ესახლნენ და გაწყდნენ. მერე ჩასულან გოგიები“. შენიშვნა: ო- პრეფიქსი გვარსახელს არ დაერთვის (ლესაჯაიე).

**ომენჯეში//ომინჯეში** – ხეობა, ღელე, უთუთიაშ წყარის შენაკადი. მოედინება ზედა ნაქალაქევიდან.. გაედინება ქარჩხაზსა და გუგუროს შუა (ლებაღათურე, ზედა ნაქალაქევი).

**ომენჯეშ ღალღ** – ღელე, უთუთიაშ წყარის შენაკადი (ლებაღათურე).

**ომინჯეში** – ხეობა. იგივე ომენჯეში (ზედა ნაქალაქევი).

**ომინჯეშ ღალღ** – ღელე. ორია ამ სოფელში: ერთი გადის ესაინგიედან და ერთვის აფხაზურენს ნაქალაქევის საზღვართან, მეორე კი მიემართება ეზარქუედან ლებაღათურეში (ზედა ნაქალაქევი).

**ომუმ(უ)ლეში** – ტყე, ხევი ლებარკალაიესა და ლეკირცხალიეს შუა. რესპ.: „ქილორი ნოხვენ თიშენ გეუდვალგნა“. ქილორი ხოხობია (ბეთლემი).

**ომუნჩქვე** „სამაჩვე“ – 1. სახნავი სუღირის მარცხ. მხარეს (პატარა ზანა); 2. სახნავი სოფ. საჯიჯაოს საზღვართან (ეწერი); 3. ტყე ლაფარონღალის მარჯვ. მხარეს,

საგაბესკირიოს საზღვართან (შუა ხორში); 4. ტყე ლეკაციეში (ფოცხო); 5. ჩაის ფართობი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს (საესებუო); 6. ჩაის ფართობი ტაბაკიის მარჯვ. მხარეს (კვაუთი).

**ომუნჩქვეროზუ** – 1. ტყე-ხევი. იგივე ომუნჩქვეში (მოხაში); 2. ხევი საშურღულაიოშ ღალის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში).

**ომუნჩქვეში** – 1. ტყე ცივის მარჯვ. მხარეს. მუნჩქვი „მაჩვი" → ომუნჩქვე „სამაჩვე" → ომუნჩქვეში „სამაჩვისი" (ეკი); 2. ხევი საკინწურაშვილოშ ფერდთან (სენაკი); 3. ტყე უჩა ღალის ხეობაში (გახომელა); 4. სახნავი ჩიქვანჭალესთან (კვაუთი) და სხვ.

**ომუნჩქვე(ში)** – 1. ტყე მენჯღალის მარჯვ. მხარეს (საადანაიო); 2. მინდორი ლეკორშიეში, მოხაშურის მარცხ. მხარეს, ეწათსა და ლაჯონას შუა (უშაფათი).

**ომუნჩქვეში//დიხაძუგურო** – ბორცვი ჯაფხენის მარცხ. ნაპირას (ბათარია).

**ომუნჩქვეში//ომუნჩქვეროზუ** – ტყე, ხევი ხანჯარის მარცხ. მხარეს, სკოლის დას.-ით (მოხაში).

**ონა(ნ)თხეში** „სამეოთხედო" – სახნავი ცივსა და ერაგიაშ ღალს შუა. XIX ს. საქართველოში თავადები და შემდეგში მემამულეები გლეხებს აძლევდნენ მიწას დასამუშავებლად. ამ მიწას ეწოდებოდა **საშელო** („თანაბარი წილისა"), თუკი მეპატრონე და დამმუშავებელი თანაბრად იყოფდნენ მოსავალს. მაგრამ თუკი მეპატრონე იღებდა მხოლოდ მესამედს, ასეთ ყანას ერქვა ონასუმორე „სამესამედო" და ა. შ. (სახარბედიო).

**ონანგერეში** – სერი. იგივე უნანგერეში (კვარჩხიღალი).

**ონარიე** – სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს. მრგვლადაა შეჭრილი მდინარის კალაპოტში. აქ წყალი მდორედ მოედინება. **ინარუუ** „ლივლივებს" → ონარიე „მონარნარე, ლივლივა". **ნარი** მცენარეცაა ერთგვარი, სარეველა, ორწლიანი. ტოპონიმი ონარიე, ონარია დასტურდება ზუგდიდისა და გალის რაიონებშიც (მოხაში).

**ონახვეში** – წყარო, მერგელის ქანში ამოჭრილი. აქედან ნაკადული გაედინება ნოდაბარზენში და ერთვის კვარჩხიღალს. იწყება სოფ. უშაფათის საზღვართან. **ნახუა** „რეცხვა“ → ონახვეში „რეცხვის ადგილი“ (ქალებს ღელეებზე ჰქონდათ არჩეული ადგილი რეცხვისათვის. ზოგ მათგანს კიდეც შერჩა შესაფერი სახელი). (ლეკოკაიე) და სხვ.

**ონახუეში** „სარეცხი ადგილი“ – 1. ღელე, ეკუსქურის მარჯვ. შენაკადი ლეშეროზიეში. სათავე აქვს ლეკორშიეში. **ონახუე** – რეცხვის ადგილი მდინარეზე, ძირითადად, ღრმა ადგილას (უშაფათი); 2. ღელე. სათავეს იღებს ეკის მთის სამხრ. კალთაზე. გადის ძველ სენაკში (საჩიქობავო); 3. ღელე, აბაშის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ზედა ნაქალაქევიდან. სათავეს იღებს გრიგოლეთიდან (ლებაღათურე); 4. მორევი გურძემიაზე (კვაუთი).

**ონდვეში** „ტლაპო, სატოპელა“ – ტლაპო ღაჩირეს მარცხ. მხარეს (ეწერი).

**ონოგურისი** – ისტორიული ციხესიმაგრე სამეგრელოში. ვარაუდობენ, რომ მდებარეობდა არქეოპოლისის მახლობლად. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, რომ ონოგურისი იგივე უნაგერაა (იხ.), მაგრამ მეორენი თვლიან, რომ ონოგურისი არის დაბალი ქედი, რომელიც იწყება თამაკონთან, გაჰყვება ტეხურის მარცხ. ნაპირს, ცეხეგოჯთან გადადის ტეხურის მარჯვ. მხარეს და გრძელდება დღევანდელ ქ. სენაკამდე. შდრ. გ. ელიავა: უნაგირა არის თამაკონისა და ნახუნაოს მთა ლებაჩედან სახარბედიომდე (ელიავა, 1977, გვ. 122). ბერძნული საისტორიო წყაროებიდან ცნობილია ე.წ. ონოგურისის ბრძოლა: 554 წელს ონოგურისის ციხის ირანულმა გარნიზონმა და შიდა ეგრისის ცხენოსანთა რაზმმა სასტიკად დაამარცხა ბიზანტიელთა 50-ათასანი ლაშქარი.

**ოპაინეშ ღელო** – ღელე. ერთოდა ფიცუს მარჯვ. მხრიდან. რესპ.: „წვიმის შემდეგ ფიცუ რომ გაიშლებოდა ოფაჩაფუში, იქ დახვდებოდა ღორთოლი“ (სენაკი).

**ოპა(ლ)ინე** – ერქვა ფართო ველს ფიცუს მარცხ. და მარჯვ. მხარეს, აეროდრომთან. პალური მაღალმოსავლიანი მიწაა. ალ. ქობალია: „პალური – პოვნიერი, პალაური (ერ-

თგვარი სათევზაო ადგილი... გაუვალი ტყე-ჭაობი“. რესპ.: 1. „ოპალინე რდგ, ხაია ჩანდგ, უქვინჯე, პალიასტომიცალი რდგ, კამბეჩის ვეგიარინედგ. ნანდული ოპალინე რდგ“; 2. „პალურ დიხა რენია, ჯგირი მოსავალი მიშუ, უჩა დიხეფი რდუ“ (ახალსოფელი, საგვარამიო, სენაკი)

**ოპრასკია** – მინდორი. იგივე ოპრასკიე (სენაკი).

**ოპრასკიე//ოპრასკია** „საპრასია“ – მინდორი ტეხურის მარჯვ. ნაპირას, სასახოკიოს სამხრ-ით. უწინ აქ ტყაშ პურასკია „ტყის პრასი“ ხარობდა (სენაკი).

**ოპ(უ)რასკიე** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე. აქ ხარობს ტყის პრასი, რომელსაც მეგრულში **ყვარიაშ პურასკია** ეწოდება (კვაუთი).

**ოპურასქიე** „საპრასია“ – სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს (საოდიშარიო).

**ოჟღებე** – ვაკე-ბუჩქნარი. იგივე ჟღება (ბეთლემი).

**ორგია** – ხერთვისი. იგივე საორგიო (ისულა).

**ორეკეში** – 1. მინდორი ლენარსიეში. რესპ.: „რიკ დო ლამფას ნოლაცაფუენა ჯვეშეფი“. ორეკალი, ორეკეში მეგრულში აღნიშნავს სარეკსაც და ზარის დასარეკ ადგილსაც (ჯოლევი); 2. ერქვა ფართო მინდორს შხეფში, სადაც სამცაცხვთან იდგა სამრეკლო. ზარის დარეკვისთანავე მთელი სოფელი აქ შეიკრიბებოდა ამა თუ იმ საქმის გასარჩევად. აქვე იმართებოდა ჯარალობა (სენაკი).

**ორზე//ერზო** – საძოვარი საფაჩულიოსა და ჭყონარას შუა. უწინ მუხნარი ყოფილა და ორზე ერქვა. ალ. ქობალია: „**რზამა** – დაგზნება, დანთება... **რზამილი** – დაგზნებული, დანთებული“; „**ორზე** – ცეცხლის შესანახი ადგილი; საგანგებო ცეცხლის დასანთები ადგილი“ (რეკა).

**ორმოცი** – ეკლესია, სასაფლაო „ნოქალაქევის ციხესიმაგრის“ ეზოში. ეკლესია ორმოცი წამებულის სახელობისა იყო. დღეობა აღდგომის მეორე დღეს იმართებოდა. აქ ჩატარდა გათხრები. ათარიღებენ V-VI საუკუნეებით (ჯიხა).

**ორპოტიკა** – ტყე, კუნძული, სადაც ქვაფონი ფიჩორთან შეერთებისას იყოფა ორ ტოტად. გურულში ორპოტიკა ნიშნავს ორკაპას, ორტოტას (სირიაჩქონი).

**ორტევანე –** სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**ორქოპიაშ ნოხორი –** სახნავი ჯვეშ ლებარკალაიეში, მარიანეთთან. ორქოპია← ოქროპირა (ბეთლემი).

**ორჩამუ –** სახნავი ვაკეზე, ცივისა და ოკვაცეს შესართავთან. ორჩუ „ერჩის, ედავება“ → ორჩამუ „სადავო“ (საგაბესკირიო).

**ორწუბელე** „საწურბლე“ – 1. სერი, ჩაის ფართობი სოფ. ბეთლემის საზღვართან (უშაფათი, ლეკოკაიე); 2. ჭალა ზანაძგის მარცხ. მხარეს (პატარა ზანა).

**ოსვანჯარი** „შესასვენებელი ადგილი“ – ფერდობი ეკის მთის დას. კალთაზე, სოფლის თავზე. ეკის მთის კალთიდან კალათებით სიმინდი ჩამოჰქონდათ და აქ შეისვენებდნენ, ტვირთს მოიხსნიდნენ (საწულეისკირიო).

**ოსქალე** „საფუტკრე“ – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**ოტიაშ დიხა –** მინდორი მაღალიაში (საოდიშარიო).

**ოტიაშ დოხორე –** ნასახლარი. იგივე დოხორე (სენაკი).

**ოტიაშ ნოხორი –** მინდორი საგიგიბერიოში (ძველი სენაკი).

**ოტია(შ)წყარი –** წყარო მირსიოლეს მარჯვ. მხარეს (ძველი სენაკი).

**ოტორი –** ღელე, ფიცუს მარცხ. შენაკადი საჟვანიოში. რესპ.: „ოტორი დაგუბებული წყალია“; სხვა რესპ.: „ოტორი რე დოხვილირი წყარი. ქიგიოჭვენსგ დო მეურცუ“; „ფარტე მეურცუ საბავშვო ბაღიწკგმან, თინას უძახგნა ოტორს დო აკიკათუუ წყარეფი ისულასგ დო რე ოხარხაჩე. ოტორი რე გაჩერებული წყარი, მეურცუნ თი წყარი ღალი რე“. შდრ. ალ. ქობალია: „**ოტორი** – უღრანი ტყე; ნატორი“ (ახალსოფელი).

**ოტოფუე** „სატოფე (ადგილი)“ – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ჭალაში, ღაჩირეს შესართავთან (ეწერი).

**ოტროღალგ –** ღელე ხეობით. იგივე ოტ(უ)რეღალ (ფოცხო).

**ოტურეღალგ –** ღელე, დღურუს მარცხ. შენაკადი სოფ. ეკის საზღვართან (საგუგუნავო).

**ოტ(უ)რედალგ//ოტროდალგ** – ღელე ხეობით, მეტერი-ის მარჯვ. შენაკადი. მოედინება სოფ. ნოღიდან. ტურა → ოტურე „სატურე" → ოტრე//ოტრო (ფოცხო).

**ოტურეში** „სატურისი" – 1. ტყე მეტერიის მარჯვ. მხარეს (კვაუთი); 2. ხევი ლეგოგიეში. ამ ხევში გაედინება ბახვაშ წყურგილე (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ოტურე ძუგა** – ტყე, ბორცვი მოხაშურის მარჯვ. მხა-რეს. ოტურე „სატურე", ძუგა „მცირე შემაღლება" (უშაფა-თი).

**ოტყობენჯი** „სამალავი" – ტყე ონახვეშის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „მღვიმე აქ არაა და არ ვიცი სად იმალე-ბოდნენ" (ლეკოკაიე).

**ოუშქურე** (← უშქური „ვაშლი") – სახნავი სალომა-იოში (ლეკოკაიე).

**ოუშქურე//უშქურიშჯინჯი** – სახნავი ლეხორეში, მო-ხაშურის მარცხ. მხარეს. უშქურიშჯინჯი „ვაშლისძირი", ოუშქურე „სავაშლე" (უშაფათი).

**ოფაღირე** – ფერდობი კვინორის ზემო წელზე. ეტი-მონის სემანტიკა და სახელდების მოტივაცია ვერ დადგინ-და (უფალკარი).

**ოფაჩაფუ** – 1. ტყე-ჭაობი სოფ. თეკლათის საზღვარ-თან, სადაც ამჟამად აეროდრომია. იყო ტყე-ჭაობი, დაბალი ადგილი. სენაკიდან მომდინარე წყლები ნაწვიმარზე აქ იშ-ლებოდა. **ფაჩაფი** „ფართოდ გაშლა, არევა" → ოფაჩაფუ „ადგილი, სადაც წყალდიდობისას ღელე ფართოდ იშლება" (ახალსოფელი, თეკლათი); 2. ვაკე-უბანი. იგივე ფაჩიათი (შუა ხორში).

**ოფაჩაფ(უ)წყარი** – ღელე. ოფაჩაფუდან გადიოდა სოფ. ისულაში (ახალსოფელი, ისულა).

**ოფერწე//ოფერწიე** – ტყე-ფერდობები ლეპიტახიეშ აღმ ნაწილში, ოფერწიეშ ღალის ხეობაში. თვლიან, რომ სა-ხელწოდება მომდინარეობს სიტყვა ფერწოსაგან, რაც ლო-კოკინაა (კვაუთი).

**ოფერწიე** – ტყე-ფერდობები. იგივე ოფერწე (კვაუ-თი).

**ოფერწიეშ ღალგ** – ღელე. სათავეს იღებს სასიგუო-
ში. გაედინება უჩაშონაში. ქვემო წელზე ეწოდება გაბუნი-
აშ ღალგ და ერთვის ტარჩენს (კვაუთი).

**ოფულეში** – ღელე, ხევი. იგივე ლოფუეში (კვაუთი).

**ოფუცხოლი** – 1. სახნავი ზანაძგის მარცხ. ჭალაში. რესპ.: „ფოცხვერტურა ნოხვე ჯვეშო". სინამდვილეში ოფუცხოლი ზოგადად აღნიშნავს ცუდ სასიარულო აღმართს, ფერდობს, სადაც აუცილებელია ბუჩქზე ხელის მოკიდება აღმართის დასაძლევად (სატყებუჩავო, ზანა); 2. ჭალა-ფერდობები ცივის ნაპირას, ეკუსქურის შესართავთან. რესპ.: „ფუცხოლუა – ა. „ჭიფე დიშქაშ შაყარუა. ცივისა და ეკუსქურის წყალი გადადის აქ წყალდიდობისას და ფიჩხს ტოვებს"; ბ. „მშრალი ადგილია და ამის გამო დარქმევია". ოფუცხოლი საერთოდ, ცუდი სავალი გზაა დიდ აღმართზე. მაგრამ არაა შეუძლებელი: ფუცხოლუა „ფიჩხის შეგროვება" → ოფუცხოლი „ადგილი, სადაც წვრილ შეშას აგროვებენ". შდრ.: ალ. ქობალია: „ფუცხოლი – ფუცხუნი, ფხაკუნი" (ეკი, საცხვიტაო).

**ოფუჯე** „საფურე" – 1. სახნავი უჩა ღალის მარჯვ. ნაპირას (გეჯეთი); 2. ღელე, ერთვის გობოგილს (მეორე მოხაში).

**ოფუჯეშ ღალგ** – ღელე, უჩა ღალის მარჯვ. შენაკადი (გეჯეთი).

**ოფუჯია** – ტყე-ხეობა. იგივე ოფუჯიე (მოხაში).

**ოფუჯიაშ ღალგ** – ღელე, გობოგილის შენაკადი. იწყება სოფლის ცენტრში (მოხაში).

**ოფუჯიე//ოფუჯია** „საფურე" – ტყე-ხეობა, სადაც გაედინება ოფუჯიაშ ღალ (მოხაში).

**ოფშალეში** – 1. ტყე ეკის მთაზე, სატყეოს ზონაში. ფშალო, ფშალა არის სვია (სენაკი); 2. ბუჩქნარი ეკის მთაზე (სახარბედიო).

**(ო)ქარიანე** – მინდორი დღურუს ჭალაში, ეკის საზღვართან, ჯიხას ძირას. რესპ.: „ჭალაა და ქარი სცემს" (საადანაიო, საგუგუნაო).

**ოქაჯე** „საქაჯე“ – კლდე ზანაძგის მარცხ. მხარეს. ოქაჯე ზოგადად აღნიშნავს საშიშ, კაცთათვის მოუვალ ან ძნელად მისასვლელ ადგილს (ზანა).

**ოქაჯე//ნაქაჯუ** – კლდე ცივის მარჯვ. მხარეს, ნაქაჯუშ ღალის სათავესთან (საშურღაიო).

**ოქაჯეშ ჭალე** – სახნავი ზანაძგის მარცხ. მხარეს, ოქაჯესთან (ზანა).

**ოქოთომური** „საქათმური“ – ტყე, ხევი საშურღაიოსა და ზაკალონს შუა. ქოთომი „ქათამი; ხოხობი; წეროსებური ფრინველი“ (უფალკარი).

**ოქროშენი** – სახნავი მდ. ცივის მარჯვ. ჭალაში (საადანაიო).

**ოქროწყარი** – წყარო ტეხურის მარცხ. მხარეს, შვადეში. რესპ.: „კარგი დასალევი წყალია. ამიტომ დაერქვა ოქროწყარი“ (ზედა ნაქალაქევი).

**ოღალუეში** – ხევი გურძემიის მარცხ. მხარეს. ოღალუეში არის საოღალუე, ე.ი. ადგილი, სადაც ტვირთი ზურგზე მოკიდებული მიჰქონდათ (მოხაში).

**ოღეჯე** – სახნავი. იგივე ნაგეჩუ (ეკი).

**ოღუეში** „საბუისა“ – 1. მღვიმე თაკადარში (საადამიო); 2. ბორცვი, სასაფლაო ოდოსქირეს მარჯვ. მხარეს. უწინ აქ ხის ეკლესია მდგარა (შუა ხორში).

**ოყარყალე(ში)** „საყიყინო“ – ტლაპო ხატმამულის დას-ით. რესპ.: „ირო ქვაბუ ინიყარყალგდგ“ (ბეთლემი).

**ოყაყალე** „საყიყინო“ – გუბე ხანჯარის მარცხ. მხარეს, სოფ უშაფათის საზღვარზე და სახნავი მეტერიის მარცხ. ნაპირზე (ფოცხო).

**ოყაყალეში** „საყიყინო“ – ტბორი საწურწუმიოში, გოჭყვადილის ნაპირას (გოლასკური).

**ოყაყალუ** – ტბორი დღურუს მარჯვ. მხარეს (საგუგუნავო)

**ოჯობრეში** – მინდორი ეკის მთის დას. ნაწილში. რესპ.: „ოჯოფარე რე, ამიტომაა ოჯობრეში“. **ოჯოფარე** „მოსავლიანი, ნაყოფიანი“ → ოჯოფარეში → ოჯოფრეში → ოჯობრეში (სახარბედიო).

**ოცოფურეში** – ხეობა დედათა მონასტრის გვერდით. ოცოფურე იგივეა, რაც ოცოფარეში, ე. ი. „ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი ადგილი“ (სენაკი).

**ოშაყარეში** „თავშესაყარი“ – ერქვა მინდორს ლეგაბელიეში, მიჯანასთან. აქ იყრიდნენ თავს ახლომახლო მცხოვრებნი რელიგიურ დღესასწაულებსა თუ უქმე დღეებში (უშაფათი).

**ოშორთალი** „ასი ქცევა“ – ტყე სანსა და ნოცენს შუა (მუხური, გოლასკური).

**ოშხურე კარე** „საცხვრე ბინა“ – ტაფობი, ბუჩქნარი ოდოსქირეს მარჯვ. მხარეს, სადაც ზამთრობით ცხვარი ეყენათ აჭარლებს (შუა ხორში).

**ოჩამურეში** – ღელე, ცივის მარცხ. შენაკადი. გაედინება ობამბუკეში. ოჩამურე საცეხველია. ოჩხვარუეც ეწოდება. ამ ღელეზე „წყარიშ ოჩხვარუე“ ყოფილა მოწყობილი (ეკი).

**ოჩე** – 1. სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს. ოჩე – ა.. „საბატონო. სადადიანო ყანა“; ბ. ფართო, მაღალმოსავლიანი ყანა (პატარა ზანა); ოჩე „საუფროსო“, როგორც სოციალური ნომენი, შუა საუკუნეებში აღნიშნავდა საბატონო, სადადიანო ყანას, ხოლო რადგანაც დადიანის ყანა იყო ფართო და ვრცელი, ნოყიერი, უხმოსავლიანი, ამიტომაც ოჩემ მიიღო მეორეული (სამეურნეო) მნიშვნელობა „ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი“ (ეკი); 2. სახნავი ცივისა და მოხაშურის შესართავის მარჯვ. მხარეს. საზიარო სოფ. ეკთან (უშაფათი).

**ოჩედიხე** – ფერდობი. მიშველიაშ სკურის მარჯვ. მხარეს. **ჩედიხა** „თეთრი მიწა → ოჩედიხე, ან ოჩეშ დიხა → ოჩედიხე (შუა ხორში).

**ოჩეღულა** – ჩაის ფართობი დათაშ ღალის მარჯვ. მხარეს. მოტივაცია: ოჩე „ფართო, ვრცელი ყანა“ ყოფილა. ღულა „მრუდე, მოხვეული“ (საესებუო).

**ოჩვამეში** – სათიბი ტარჩენის მარჯვ. მხარეს. „**ჩვამა** – ჩვამა, თევზიყლაპია“ → ოჩვამეში (ლებაღათურე).

**ოჩიგახეშ ნოხორი** – სახნავი ლეცეკვეში. ოჩიგახე ამ სოფელში გამოთხოვილი ქალია, გვარად ოჩიგავა (ჯოლევი).

**ოჩიტე//ოჩიტოლი** „საჩიტე (ადგილი)“ – ტყე-ფერდობები ეკის მთის წინა მხარეს, შხეფში (სენაკი).

**ოჩიტოლი** – ტყე-ფერდობები. იგივე ოჩიტე (სენაკი).

**ოჩოცორე** – ღელე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი. **ჩოცორო** – მცირე გუბე; წყალჩამდგარი ადგილი (სირიაჩქონი).

**ოჩუალეში** „სამალავი“ – ტყე ეკის მთაზე (სენაკი).

**ოჩხარჩხალე** – ჩანჩქერი გითოკირილიშ ღალუზე (საადამიო).

**ოჩხარჩხალეში** – 1. წყარო საქაჩბაიოში და ჩანჩქერი ტაიაშ ჩიხის ზემო წელზე, საკალანდარიშვილოშ ჯიხას ქვემოთ (სენაკი); 2. ღელე, ოფერწიეშ ღალის მარჯვ. შენაკადი (კვაუთი); 3. წყარო კიკილურში. გამოედინება ღარში და ჩაედინება მდ. მეტერიაში. ჩხარჩახალი „ჩხრიალი“ → ოჩხარჩხალე(ში) „წყლის საჩხრიალო; წყლის ჩხრიალის ადგილი“ (კვაუთი).

**ოჩხარჩხალეში/ოხარჩალეში** – ღელე. სათავეს იღებს მესხიშგას დას. კალთაზე, ხინჭკონასთან. ალ. ქობალია: „**ხარჩალი** – ჩხრიალი, ჩქეფა წყლისა“ → ოხარჩალე „ჩხრიალა, პატარა წყალვარდნილი, მცირე ჩანჩქერი“ (ჯოლევი).

**ოცინდალე//ბალოტი** – სახნავი ლანჯონის სამხრ. ნაწილში. იყო გაუვალი ჭაობი. რესპ.: „ონდვალე რდგ, ნალი ჩანდგ“. ცინდალი კნუტია. იხ. ბალოტი. შდრ. ალ. ქობალია: „ოცინდალე – კნუტების საბუდარი; კატის სახემიღებულ ავსულთა სამფლობელო; ცეროდენების, ჯუჯების სამყოფელი“ (მით.). (პირველი ნოსირი).

**ოციცუე** – ჩაის ფართობი საბაკურაძოში, დღურუს მარცხ. მხარეს რესპ.: „ციცუა წვრილმარცვლიანი სიმინდია. მომცროა და ციცქნა, საადრეო. აქ ითესებოდა“ (დიდი ხორში).

**ოციცუედალგ** – ღელე, ხეობა. დღურუს მარცხ. შენაკადი (დიდი ხორში).

**ოცხედელა** – ბორცვი ზედა სალომიოში, ნოხორიშ ღალსა და ხაბაზეთიშ ღალს შუა. ალ. ქობალია: „**ცხედი** – ჩრდილიანი, ტენიანი, ნოტიო... ჭყინტად დარჩენილი სიმინდი; უმწიფარი, გვიანი ნათესი“ (სენაკი).

**ოცხენეში//ნაცხენე** – ტყე ჭყონიაღელოს ხეობაში, სადაც თურმე ქურდები მალავდნენ მოპარულ ცხენებს (უფალკარი).

**ოცხიმურე** „რცხილნარი“ – 1. ტყე მოხაშურის ნაპირას (ლეგოგინე); 2. ტყე დაბურზალის მარცხ. მხარეს (საცხვიტაო).

**ოცხიმურე//ცხიმურონა** „რცხილნარი“ – მინდორი სერზე, სადადიანოს ჩრდ. ნაწილში. აქ გადიოდა გზა ძველი სენაკისაკენ და იყო დასასვენებელი ადგილი (ციზეთი).

**ოძერე ძუგა** „საძერო ბორცვი“ – ბორცვი მოხაშურის მარჯვ. მხარეს (უშაფათი).

**ოძილე** – სახნავი სუღირ-ზანაძგის შესართავთან. ოძილე – ჯილე, თევზის დარანი (პატარა ზანა).

**ოწალამე** – მინდორი ეკის მთაზე. რესპ.: „წალამი ცოცხივით მცენარეა. აქ ხარობდა“. ო. ქაჯაია: „წალამი იგივე შალაფაა. ვარიანტებია წაჲამი, წეამი“. ა. მაყაშვილი: „შალაფის“ მეგრულ ვარიანტებად ასახელებს: ბანჯარი, ბაჯარი, წალამი, კალამი“ (იხ. მაყაშვილი, 1991, გვ. 79). (სენაკი).

**ოწარწალეში** – ბორცვი კადარში, სადაც თითქმის ყოველთვის ქარი ქრის. **წარწალი** „ქარის წივილი, სივილი“ → ოწარწალე. რესპ.: „ქარი იწარწალგ დო ოწარწალეში ჯოხო“ (ეკი).

**ოწისქვილე** „საწისქვილე“– ჩანჩქერი საკუჭაღელის სათავესთან (სენაკი).

**ოწისქვილეშ წყურგილე** – წყარო ოწისქვილესთან (სენაკი).

**ოწიფურონე** – ტყე დღურუს ნაპირას. წიფური „წიფელი“ → ოწიფურე „წიფლნარი“ → ოწიფურონი (ორმაგი დერივაციით). (საგუგუნავო).

**ოწკინტალე** – ფერდობი საღვამბერიოსა და სკურიას შუა. წკინტალი რესპოდენტთა განმარტებით არის: პატარა

ტანის თევზი, ან პატარა ჩიტი ერთგვარი. გავრცელებულია გამოთქმა: „მუჭო წკინტალშა ქოგიგუნია ჩხვინდი“. ალ. ქობალია წკინტალ სიტყვის რამდენიმე განმარტებას იძლევა და ბოლოში აღნიშნავს: რომ წკინტალი ფრინველია ერთგვარი (შუა ხორში).

**ოწურბელე** „საწურბლე“ – 1. ტბორი ჭერეხში (საოდიშარიო); 2. ტბორი ფიჩორის მარჯვ. მხარეს (საგვიჩიო).

**ოწყარე** „წყლიანი ადგილი“ – ერქვა ტყე-ჭაობს სოფლის სამხრ. ნაწილში. ხარობდა ლაქაში, ხაია და დაბალი ხეები. ამჟამად სახნავია (გოლასკური).

**ოწყარეტყა** – ტყე ოწყარესთან. ოწყარეშ ტყა → ოწყარეტყა (გოლასკური).

**ოწყირობუ** – ხევი ზემიდორთან. აქ ხარობს წყიი „წყავი“. მაშასადამე: ოწყიეშ რობუ → ოწყირობუ (ბეთლემი).

**ოჭადარე** „საჭადრე“ – ტყე ნაცაბეკუსთან. ჭადარი ამჟამად არსად ჩანს (საგუგუნავო).

**ოჭაკინე** – 1. სახნავი ლეგოგიეს გზაზე (ლეძაძამე); 2. სახნავი მენჯღალის მარჯვ. მხარეს. ჭაკინი ჰოკეის მსგავსი თამაშია და ბურთის სათამაშო თავმოკაუჭებული ჯოხიც (იხ.. ქობალია, 2010). (დიდი ხორში).

**ოჭარკინეში** – ვაკე-მინდორი სერზე, გურძემია-ტეხურის წყალგამყოფზე. ოჭარკინე „ჭარკინის სათამაშო (ადგილი)“. (ლესაჯაიე).

**ოჭახაიშ ფერდი** – ფერდობი ხუფათის ნაპირზე. რესპ.: „უწინ აქ ეთესა ჭახაი „ჭარხალი“ (ზედა ნაქალაქევი).

**ოჭინუე** „საწნელე“ – ტყე ნაარგუსუსთან (საადანაიო).

**ოჭკადუ(რ)ეში** – ერქვა ყოფილ ჟდანოვის ქუჩის ნაწილს, სადაც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მჭედლები, გვარად შამათავები (სენაკი).

**ოჭკიდე** – ტყე, ხევი ლეკორშიეში, ოხვამეშ კარობის აღმ-ით. აქ „ჭკიდიშ ჭკიდი“ ითესებოდა (უშაფათი).

**ოჭნახონა** – ტყე, ხევი ს. ნოქალაქევის საზღვარზე. **ოჭნახჯ** საწნახელია. სახელდების მოტივაცია: ა. ხევი

ჰგავს საწნახელს; ბ. საწნახელისათვის ჭრიდნენ ხეს (უფალკარი, გახომელა).

**ოჭორთე** – ტყე ტეხურის მარცხ. ნაპირას. ამ ტყეში იჭრებოდა ჭორთი „ჭოკი, ლატანი“ (გეჯეთი).

**ოჭუბურე** „საწაბლე; წაბლნარი“ – 1. ტყე სურონასთან (კვარჩხიღალი); 2. ტყე ცაიშთან (გახომელა).

**ოჭუბურონა** – ღელე, ოკარდილეშის ერთ-ერთი მდგენელი. ჭუბური „წაბლი“ → ჭუბურონა „წაბლნარი“ → ოჭუბურონა (ორმაგი სუფიქსაცია). (ძველი სენაკი).

**ოჭყონე** – ტყე შხეფის ციხის ზემოთ. **ჭყონი** „მუხა“ (ამჟამად მუხა აღარ ჩანს) → **ოჭყონე** „სამუხე (ადგილი); მუხნარი“ (სენაკი).

**ოხაიე** – ჭაობი ხომლა ტყაში. რესპ.: „წყარი ინოდგგდგ, მარა ძუგა-ძუგათ ილინედგ“. ხაია ისლია ერთგვარი (ახალსოფელი).

**ოხარდანე** „სახარდნე“ – 1. ფერდობი, სახნავი მეტერიის მარჯვ. მხარეს და ხევი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო); 2. სახნავი სოფლის ცენტრ. გზასა და სასაფლაოს შუა (ლებაღათურე); 3. ტყე ძუგუს დას. კალთაზე, ფაქვის მარცხ. მხარეს (უფალკარი); 4. ტყე, წყარო მეტერიისა და ცივის შესართავთან (ლეგოგინე); 5. ფერდობი ოდოსქირეს მარცხ. ფერდობზე. ხარდანი ვაზის ჯიშიცაა და ვაზის ასაშვები მაღალი, ლატანგადებული სარებიც. ს.-საბა: „ხარდანი – სარიანი ვენახი“. ხარდანი ეწოდება ვაზის ასაშვებ ტალავერსაც“ (შუა ხორში) და სხვ.

**ოხარკალე** – ღრმა ტბა დაბალთაში. გადმოცემით, აქ იყო კარსტული ძაბრი, ქვას რომ ჩააგდებდი, ხარკალით (ე.ი. ხრიგინით) ჩადიოდა და ოხარკალე ამიტომ დარქმევია. მაგრამ შემდეგ წყლით აივსო, ტბად იქცა და ეწოდა **ფართო წყარი**, ხოლო ბოლოს, რუსების შემოსვლის შემდეგ – **ოზირი**. ახლანდელი მოსახლეობა სამივე სახელს უწოდებს. ზოგი რესპოდენტის მტკიცებით, ოხარკალეში აქ კლდესაც ეწოდება (სენაკი).

**ოხარკალეში** – კარსტული ჭა ლაკარდაშ ფერდში. ხარკალი „ხრიგინი, რაკუნი ქვაზე ან სხვა მაგარ საგანზე“ → ოხარკალეში „სახრიგინო, ხრიგინა“ (გახომელა).

**ოხარჩაია** „ჩხრიალა“ – ტყე, წყარო ლეკუჭეში (ლეგოგინე).

**ოხარხაჩე** – ტყე, ღელე ფიცუს მარცხ. მხარეს. რესპ.: „დოჭვენსგნგ თინწკგმა იხარხაჩუ, წყარეფი აკათუ ართიანს“. **ხარხაჩი** – წყლის ჩხრიალი. **ოხარხაჩე** – წყლის ჩხრიალის ადგილი; წყლის საჩხრიალო. იხ. ოტორი (ისულა).

**ოხაჯე** „საცერცვე“ – საძოვარი ლეხორეში (უშაფათი).

**ოხვამეკარი** – 1. ბორცვი ცივსა და მეტერიას შუა, სოფ. უშაფათის საზღვარზე (ფოცხო); 2. მინდორი, სასაფლაო ბჟერის მთის კალთაზე (კვაუთი); 3. საძოვარი რიონის მარჯვ. ჭალაში (ისულა); 4. სახნავი, სასაფლაო. გადასცქერის მდ. ცივის ხეობას (საადანაიო); 5. უბანი კარიეთსა და სოფ. საკილასონიოს შუა. აქ იდგა წმინდა გიორგის ეკლესია (შუა ნოსირი) და სხვ.

**ოხვამეკარი//ნაოხვამუ** – ბორცვი ლეკოკაიეს უბანში (ლეკოკაიე).

**ოხვამეკარი//ოხვამეფერდი** – გორა სოფლის სამხ-დას. ნაწილში (ზანა).

**ოხვამეფერდი** „სალოცავის ფერდობი“ – 1. გორა მეტერიისა და ხანჯარის წყალგამყოფზე და სახნავი მისარონკართან (ფოცხო); 2. ბორცვი საკუჭაღალის ნაპირას (სენაკი); 3. გორა წიფანასა და ნოღაშ მეტერიას წყალგამყოფ ბორცვზე. აქვეა ნაეკლესიარი „თარანგელოზი“ (ლეგოგიე-ნასაჯუ); 4. ფერდობი ეკის მთის დას. კალთაზე. მეგრულში ოხვამე აღნიშნავს ზოგადად სალოცავსაც, ეკლესიასაც და სასაფლაოსაც (სახარბედიო) და სხვ.

**ოხვამეშკარი** – 1. ბორცვი, სასაფლაო მაღლაკონსა და მენჯღალს შუა (დიდი ხორში); 2. სახნავი საბულიოში, წმინდა გიორგის ეკლესიის წინ (პატარა ზანა).

**ოხვამეშ კარობა** – 1. სახნავები ოხვამეკარს ქვემოთ (ფოცხო); 2. სახნავები საბულიოში. წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ადგილები. რესპ.: „კარი – ერთი ადგილია, კარობა კი – ბევრი“ (პატარა ზანა); 3. სახნავი. იგივე კარობა (უშაფათი).

**ოხვამეშ ფერდი –** ფერდობი ლეარზიანეში (ლესაჯაიე).

**ოხვამეშ წყურგულე –** წყარო. გადიოდა ოხვამეკარიდან და სოფ. საოდიშარიოში ერთვოდა მარაგანს (შუა ნოსირი. საოდიშარიო).

**ოხოჯე** „სახარე“ – სახნავი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (საესებუო).

**ოხოჯე//იარმუკა –** ერქვა მინდორს სოფლის ცენტრში, შემდეგ სტადიონად აქციეს. უწინ აქ საქონლის „იარმუკობა“ იმართებოდა (ძველი სენაკი).

**ოხოჯია –** სახნავი მენჯობისა და ერთი უსახელო ღელის შესართავთან. ხოჯი „ხარი“ → **ოხოჯე** „სახარე“ → ოხოჯეა → ოხოჯია (საგუნიო).

**ოხოჯინა –** სახნავი ცივის მარცხ. ნაპირზე, ლახუტონის პირდაპირ. რესპ.: „აქ, ტყეში, ხარები ღამე წვებოდნენ“. ოხოჯინა, როგორც ჩანს, იგივეა, რაც ოხოჯური – ხარით სახნავი მიწა, ე. ი. ვაკე-საყანე (სახარბედიო).

**ოხოჯინაშ ფონი –** ფონი ცივზე, ოხოჯინასთან (სახარბედიო).

**ოხოჯურე –** ვაკე-საძოვარი კვარჩხიღალის სათავესთან, სოფ. ბეთლემის საზღვარზე. **ხოჯი** „ხარი“ → **ოხოჯე** „სახარე (ადგილი); **ხოჯი** → **ოხოჯური** „ხარით სახნავი“ (ჩვეულებრივ, ვაკე). (უშაფათი).

**ოხოჯური** „ხარით სახნავი“ – 1. სახნავი ლემამულეში (ლეგოგიე-ნასაჯუ); 2. სახნავი ხანჯარის მარჯვ. მხარეს. შდრ. ოხაჩქური (ფოცხო); 3. მინდორი ჭყონღალის ნაპირებზე (ტყირი); 4. ტყე-საძოვარი ლეკირცხალიეში (ბეთლემი).

**ოჯალეში –** ტყე ნალიმორის ფერდობზე, ოდოსქირეს მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ოჯალეში ვაზის ჯიშია ერთგვარი, ისხამს სუფრის ყურძენს. მარცვალი თეთრია და მსხვილი, დამსკი პალჩიკს ჰგავს. სამი ძირი წამოვიღე იქიდან და ეზოში დავრგე“ (შუა ხორში).

**ოჯამპონი** „თუთნარი“ – ფერდობი საგვათუოში (ციზეთი).

**ოჯაპე** „სათუთე“ – 1. მინდორი საჭუბარიოშ გოლაში (კოტიანეთი); 2. სახნავი გურძემიის მარცხ. მხარეს (ბეთლემი); 3. სახნავი ჭყონორის გვერდით (რეკა).

**ოჯაპე//ჯაპონი** – სახნავი გურძემიის მარცხ. მხარეს (კვაუთი).

**ოჯი(ბი)რონი//ოჯირონა** – მინდორი სადავითაიოშ გოლაში. აქ რომ მოთოვდა, მეორე დღეს სოფელშიც მოვიდოდა თოვლი. რესპ.: „საქონელი აქ ხშირად წვება („ინჯირუუ“). ამიტომ დარქმევია ონჯირონი“. რესპოდენტები ვერ შეთანხმდნენ, რომელია სწორი ფორმა, ოჯირონი თუ ოჯიბირონი (ძველი სენაკი).

**ოჯირონა** – მინდორი. იგივე ოჯი(ბი)რონი (ძველი სენაკი).

**ოჯოღორე** „საძაღლე“ – 1. ხრამი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. აქ ხრამში მკვდარ ძაღლებს ყრიდნენ (უშაფათი); 2. ხევი ეზარქუეში (ზედა ნაქალაქევი).

**ოჯუმენე** – ღელე, გოჭყვადილის მარჯვ. შენაკადი. ითვლება ჯაფხინჯის შუა ტოტად. მოედინება სოფ. გოლასკურიდან. ჯუმენი, ჯუმენია „ჯიჯლაყა“. შდრ. ლაზ. ჯუმენი საჭმელი ბალახია ერთგვარი (მუხური).

## – პ –

**პავლეშ ნადოხორგ** – სერი ლენარსიეში (ჯოლევი).

**პავლეშ ნოხორი** – 1. ნასახლარი შხეფის ჩრდ. ნაწილში, სანინუოს გვერდით. აქ ესახლა პავლე სახოკია (სენაკი); 2. სახნავი ლექუჩლორიეში (ფოცხო); 3. სახნავი ლეხაბურზანიეში (ლეგოგინე); 4. სახნავი ნალბახუსთან (შუა ხორში); 5. სახნავი სასალაყაიოში (ბათარია).

**პავლეშ სურკი** – ბორცვი ლეგოგიესა და გურძემიაშ მეტერიას შუა (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**პანწყუ** – ხევი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. წვიმისას, ჩვეულებრივ, იმეწყრება. ჰგავს პაპანწყვილს. როგორც ჩანს, პანწყუ ← პაპანწყუ ← პაპანწყური. ე. ი. ღრმა და სა-

ხიფათო გუბე, ძნელად გასასვლელი, ჰგავს ჩანამეწყრს (ციზეთი).

**პანწყური//პაპანწყური** – ნამეწყრი ფერდობები ბულიაღელის მარცხ. მხარეს. რესპ.: „დასურო ეთექი პაპა დონწყვერე“. მღვდელმა ნადს ძაღლი დაუკლა და ნადს კი ასე დაუწყევლია: „პაპანწყვირო გინორთედასია.“ მღვდლის სახლკარი მართლაც ჩაძირულა“. პაპანწყვილი „გაუვალი ღრმა ტლაპო; გუბე ნამეწყრზე; მცირე ტალახიანი ტბორი“ (საშურღაიო).

**პაპანაშენი** – ტყე სადავითაიოში (ძველი სენაკი).

**პაპანწყვირი** – ტყე, ნამეწყერი ქეჯვარის დას-ით, კოტიანეთის საზღვართან. შდრ. ალ. ქობალია: „პაპანწყვილი//პაპანწყური – გაუვალი, ტალახიანი ადგილ, ნამეწყრალი (გადატ.)“. (გახომელა).

**პაპარზენი** – მონდორი ქედზე, ესაინგიესა და ჯავახეთს შუა (ზედა ნაქალაქევი).

**პაპაშ გიოლაფუ** „მღვდლის გადასავარდნი“ – კლდე სალომაიოში (ლეკოკაიე).

**პაპაშ ნოხორი** – ბორცვი ოდოსკირეს მარჯვ. მხარეს, ნალიმორის პირდაპირ (შუა ხორში).

**პაპაშ ნოხორი** „მღვდლის ნასახლარი“ – 1. ვენახი საარახამიოშ წყურგილეს მარჯვ. მხარეს (კოტიანეთი); 2. მინდორი ზედა სალომიოსა და ქალთა მონასტერს შუა (სენაკი); 3. სახნავი სანორაკიოში (ციზეთი); 4. სახნავი საარჩაიოში (უფალკარი); 5. ჩაის ფართობი სუღირის მარჯვ. მხარეს, იროდიშ კარობასთან (პატარა ზანა) და სხვ. მრ.

**პაპაშ ნოხორი//კირცხალიაშკარი** – სახნავი გუდურში. კირცხალია გვარსახელია (საოდიშარიო).

**პაპაშ ტობა** – მორევი ზანაძგაზე (სატყებუჩავო).

**პაპაშწყუ** – წყარო საბარქაიოში (კვაუთი).

**პართენიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი დათაშ ღალის მარჯვ. მხარეს (საესებუო).

**პართენიაშ წყურგილე** – 1. წყარო საზარანდიოში (ეწერი); 2. წყარო წიფანის მარცხ. მხარეს (მოხაში).

**პართენიშ ნოხორი** – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**პარიშ ნაცვანგ** – ტყე ზანაძგის ხეობაში (პატარა ზანა).

**პარკაიაშ ნაჭვარა** „პარკაიას ნაკაფი“ – ჩაის ფართობი ცამღალის ხეობაში (პატარა ზანა, დიდი ხორში).

**პარკაიაშ ნახვილა** – მორევი ზანაძგაზე. წისქვილის არხის სათავეა. ნახვილა „ნაგუბი“ (პატარა ზანა).

**პარკული** – ღელე, ჯვეშ ჯაფხენის მარცხ. შენაკადი. გაედინება ტყეში სოფ. ქვალონის მიმართულებით. პარკაია გვარსახელია. ამ გვარის სამკვიდროა ხორში (რეკა).

**პარმენაშ ნოხორი** – სახნავი მეტერიის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**პარმეშ ნოხორი** – ტყე ცენტრ. გზაზე. პარმე ← პარმენი (საშურღაიო).

**პატარა ზანა** – სოფელი მდ. ზანის მარცხ. ნაპირას, საზანოსა და საჯიჯაოს შუა. ესაზღვრება: აღმ-ით სოფ. ზანა, დას-ით საჯიჯაო, ჩრდ-ით – ზანა-ეწერი, სამხრ-ით – დიდი ხორში (ხორშის თ/ს).

**პატონსქუალეფიში ნოხორი** „ბატონიშვილების ნასახლარი“ – სახნავი ნახურის მარცხ. ნაპირას (ძველი სენაკი).

**პაჭაკური** – მდინარე, ცივის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ლესიჭინედან (საესებუო, სატყებუჩავო).

**პახვალაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საბუკიოში (დიდი ხორში).

**პახუშ დიხა** – ჩაის ფართობი ლეტორჩინეში (მოხაში).

**პახუშ ნოხორი** – სახნავი კოლოპიაში (ფოცხო).

**პელანგიაშ ნაშქვიდუ** „სადაც პელანგია დაიხრჩო – მორევი გურძემიაზე (მოხაში).

**პერტიაშ ნოხორი** – ფერდობები ჯიხაშ გოლაშ აღმ. კალთაზე (ჯიხა).

**პერტული** – სოფელი მენჯის თემის საკრებულოში, მდ. სკურიის მარცხ. მხარეს, ბათარიასა და ხორშს შუა. რესპ.: „შეძლებულ გლეხს, პეტრე გვასალიას მოუყვანია და დაუსახლებია აქ ხალხი“. პერტე პეტრეს ფონეტიკური ვა-

რიანტია. პერტული იგივეა, რაც ქართულში პეტრესი, პეტრესეული (მენჯის თ/ს).

**პეტრახანი** – წყარო საცხომარიოში (დიდი ხორში).

**პეტრეიაშ ნოხორი** – ნასახლარი საკინწურეისკუოში, მთის კალთაზე. აქ ესახლა პეტრედა კინწურაშვილი (სენაკი).

**პეტრეშ კარე** – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს (ლებადათურე).

**პეტრეშ ნაკარუ** – საძოვარი სოფ. ლეფოჩხუეს საზღვართან (ძიგიდერი).

**პეტრეშ ნაობნეხუ** „პეტრეს ნავენახარი" – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს (უშაფათი).

**პეტრეშ ნოხორი** – სახნავი ლეჭოჭუეში (ლეგოგინე).

**პეტრეშ ნოხორი** – სახნავი მდ. ცივის ნაპირას (საესებუო).

**პეტრეშ ფერდი** – ბორცვი კოლოპიაში (ფოცხო).

**პეტრეშ ჭალე** – სახნავი ეკუსქურის მარცხ. ნაპირზე (ლეკოკაიე).

**პეტრეჭალე** – სახნავი ზანაძგის მარჯვ. ჭალაში (ზანა).

**პეტრეჭაშ ნოხორი** – სახნავი სახორაში. პეტრე ჭაავას ნასახლარია (ეწერი).

**პეხუშ ნაყვანუ** – სახნავი ხორგიში (მუხური).

**პილაშ ნოხორი** – 1. საძოვარი ონახუეშის მარცხ. მხარეს (საჩიქობავო); 2. სახნავი ლემორცხულეში (ფოცხო); 3. ტყე საგაბელიოში (შუა ხორში).

**პილაშ წყურგილე** – წყარო ლემალანიეში (მეორე მოხაში).

**პიპურიაშ ნოხორი** – სახნავი საშურღაიოში. ესახლა პიპურია შურღაია (სკურია, საგაბესკირიო).

**პირველი თეკათი** – ერქვა სოფ. საგვარამიოს ცენტრალურ ნაწილს (საგვარამიო).

**პირველი მოხაში** – „მოხაშის" ადგ. ვარიანტი (მოხაში).

**პირველი ნაბიჯი** – ჩაის ფართობი სოფ. საესებუოს საზღვართან. რესპ.: „პირველი ნაბიჯი" ერქვა ამხანაგობას,

რომელმაც ამ სოფელში პირველმა გააშენა ჩაი XX ს. 30-იან წლებში“ (სატყებუჩავო).

**პირველი ნოსირი** – სოფელი ტეხურის მარცხ. მხარეს. უწინ ეს სოფელი შედიოდა ნოსირის სასოფლო საბჭოში მესამე ნოსირის სახელით (ძველი სენაკის თ/ს).

**პირველი ტყირი** – უბანი. იგივე სალაშქარა (ტყირი).

**პირტახიაშ ნოხორი** – მინდორი კვარჩხიღალის მარცხ. მხარეს. პირტახია გვარსახელია (ზეთლემი).

**პიტახიეფიშ სუკი** – ბორცვი ლესიგუესა და ჯოჯუეფიშ სუკს შუა (კვაუთი).

**პლატონიშ ჭალე** – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას (ეწერი).

**პოკროშ ნაცალა** – მინდორი საჭუბარიოშ გოლაში. **ნაცალა** „ნაკაფი, ნათიბი“. პოკრო პირსახელია (კოტიანეთი).

**პოკროშ წყურგილე** – წყარო კვარჩხიღალის ნაპირას. პოკრო მამაკაცის სახელია (კვარჩხიღალი).

**პოლკაშ ნოხორი** – საძოვარი ნავადაქარში, გითიშთან. პოლკა სირბილაძის ნასახლარია (უფალკარი).

**პრობკაშ ჯა** – ტყე-ნარგავები ეკის მთაზე. პრობკაშ ჯა („საცობის ხე“) ის მცენარეა, რომელიც აქ დარგეს XX ს-ის 30-იან წლებში (ძველი სენაკი, კვარჩხიღალი).

## – ჟ –

**ჟვაბონა** – ტყე-ჭანჭრობი საძიძიგუროს გოლაშ კალთაზე, ნაცხედუს გვერდით. ჟვაბუ „გომბეშო“ → ჟვაბონა „სადაც ბევრი გომბეშოა; გომბეშოიანი ადგილი“ (სენაკი).

**ჟვანიაშ ნაკარუ** – მინდორი რიონის მარჯვ. მხარეს. ჟვანია გვარსახელია (ისულა).

**ჟვანიაშ წყუ** – ღელე, ფაქვის მარცხ. შენაკადი საფარღალაში. მოედინება სიხუდან (უფალკარი).

**ჟვანოხორი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. ნაპირას. ჟვანოხორი ← ჟვანიაშ ნოხორი (ლეგოგინე).

**ჟვანური** – ტყე დიდსუკსა და სოფ. ეკის საზღვარს შუა. გ. ელიავა აღნიშნავს, რომ ჟვანური ვაზის ჯიშია.

არაა გამორიცხული. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვანური შეიძლება ნიშნავდეს ქვანიას (გვარსახელია) ნაქონს, კუთვნილს წარსულში (გახომელა).

**ქვანხეშ ნოხორი** – სახნავი სამაჭავარიანოში (უფალკარი).

**ქიმოენმუხური** „ზემო კუთხე“ – სოფლის ნაწილი ტეხურის ხიდიდან თუდოენ მუხურამდე (გახომელა).

**ქოლოთურეფი** – ნასახლარები ხინწკონაში. ქოლოთურეფი შუახორშელი გვასალიების ერთ-ერთი შტოა (პერტული).

**ქღება//ოქღებე** – ვაკე-ბუჩქნარი ლარესა და ტეხურს შუა ნოყოს ორივე მხარეს, ლებარკალესა და კიცხირაფონს შუა. დაბალი ნესტიანი ადგილია. ქღებაც სწორედ ამას აღნიშნავს. ალ. ქობალია: „**ქღები** – ჭენჭყობი, წყლიანი ადგილი; გუბე“; ო. ქაჯაია: „ქღები – ჭანჭრობი, ჭენჭყო, ჭონჭყო“ (ბეთლემი).

**ქღები//მირიანეშ კარობა** – ჭეჭყობი ტეხურის მარჯვ. ნაპირზე (ლეძაძამე).

## – რ –

**რადანული//ნადანური** – სახნავი მეტერიის მარცხ. მხარეს, ლესანაიეშ ოხვამეფერდის დას. კალთაზე (ფოცხო).

**რამაზიაშ ხაბო** – ხევი ხაბოშ წყარის ზემო წელზე. რამაზია ← რამაზი (საადამიო).

**რამიშ ჯიხა//ფაჩოსქუალეფიშ ჯიხა** – ნაციხარი უბადო მიკოლის გვერდით, საფაჩოსკუოს ფერდობზე, სოფ. ნოქალაქევის საზღვართან. აქ მიწა ეკუთვნოდა რამი ფაჩოშვილს (კოტიანეთი).

**რაქდენიშ ნაცვანგ** – ჩაის ფართობი უჩა ღალის ნაპირას (სატყებუჩავო).

**რატიაშ ტები** – ტყე სკურეს მარცხ. მხარეს. რატია მცირერიცხოვანი გვარია (238 სული საქართველოში). დამოწმებულია XVI ს-ის საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ.

449). შდრ. რატიანი, რატიშვილი, რატიაშვილი (წყემი, გეჯეთი, ძიგური).

**რახა** – 1. გორა ეკის მთაზე, საადამიოსა და კვარჩხიღალის საზღვართან. საგუნიო გოლას ნაწილია. რახა ქვიან ადგილს ეწოდება. შეიძლება აქა-იქ მოხნან კიდეც (საგუნიო, კვარჩხიღალი); 3. ხევი საბჟალაშ წყარის სათავესთან. ალ. ქობალია: „**რახა** – მაღალი ციცაბო კლდე; **რეხი** „ქვიანი ნიადაგი" (ზედა სორტა) და სხვ.

**რახვი//ჯვეშ ნარიონგ** – ჭალა რიონის მარჯვ. ნაპირზე, ფახურიშ ნაკარუსთან. უწინ წყალჩამდგარი ადგილი იყო, სადაც ჩალამ-კალამი და ჭილი ხარობდა. მერე დააშრეს (ისულა).

**რგვალტობა** „მრგვალი მორევი" – მორევი მდ. ცივზე (ლეგოგინე).

**რევიაშ ნაშქვიდუ** – მორევი. იგივე რევიაშ ნოშქვიდი (ქვედა სორტა).

**რევიაშ ნოშქვიდი//რევიაშ ნაშქვიდუ//მონია** „სადაც რევია დაიხრჩო" – მორევი ტეხურზე. რევიები სალიპარტიანოს აზნაურები იყვნენ. ივანე რევია დასახელებულია 1615-1620 წწ. ახლო ხანების საისტორიო წყაროში (იხ. სოსელია, 1990, გვ. 89). რევია იგივე რევიშვილია (ქვედა სორტა).

**რეკა** „ქვავნარი წყლისპირი" – 1. სოფელი სოფ. თეკლათსა და სოფ. მენჯს შუა, სოფ. ქვალონის (ხობის რ-ნი) საზღვართან. ცხოვრობენ გოგოლეები და ფაჩულიები. რესპ.: „ფაჩულიები მოსულან ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკადან და სახელიც მათ გადმოუტანიათ". დასახლება მხოლოდ ბორცვზეა (თეკლათის თ/ს); 2. საძოვარი, ქვავნარი ადგილი საჯღამაიოში, ტეხურისპირიდან 1 კმ-ზე. ალ. ქობალია: „**რეკა** – რიყე"; ო. ქაჯაია: „**რეკა** იგივეა, რაც რეყე, რეჭე, რეჭეკი, მდინარის ქვიანი და ქვიშიანი ნაპირი, რიყე, კრიახი" (გეჯეთი).

**რეკვაშ ნოხორი** – სახნავი საცხომარიოში (დიდი ხორში).

**რეკვაშ ტყა** – ტყე ლეჩურუეში. რეკვა(ვა) გვარია (სულ 295 სული საქართველოში, მათგან 67 სული სენაკის რ-ნში). (ფოცხო).

**რემაშ ტყა** – ტყე სოფლის აღმ. ნაწილში. რემა პირსახელია (ძიგიდერი).

**რეყე** „რიყე" – 1. რიყე და წყალმარჩხი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (საოდიშარიო); 2. საძოვარი. იგივე ჩქონი (ეწერი).

**რეჩხი** – 1. სახნავი სოფ. ზანის საზღვართან, მენჯიეკოხუს ტერიტორიაზე. რესპ.: „ქუამ დიხა რე დო რეჩხის უძახგნა თიშენი". ალ. ქობალია: „**რეჩხი** – ნიაღვრის მოტანილი ღორღი; ქვაღორღიანი ადგილი" (პატარა ზანა); 2. ტყე-ფერდობი. იგივე ფოცხო (უფალკარი); 3. ფერდობი, ქვავნარი ადგილი ერაგიაშ ღალის მარცხ. ნაპირას. რეჩხი „არის კრიახი; ქვავნარი, მდინარისპირა ქვიანი ადგილი" (მრავალგან ეწოდება სამეგრელოში). (საგაბესკირიო).

**რეჭი** – 1. სახნავი გურძემიის მარცხ. ნაპირას (ლესაჯაიე); 2. სახნავი ციშჭალეში, ჭველასთან. **რეჭი** – კენჭი, კენჭნარი, წვრილი ქვა-ღორღი (ეკი).

**რზენიაში** „ვაკისა" – ვაკე-მინდორი ჩოუთის თავზე (უფალკარი).

**რზენკოღონა** – ვაკე-ტყე კოღონაში ბორცვზე, ლებაღათურესა და ხომლაღალს შუა (ზედა ნაქალაქევი).

**რზენმუხური** – სახნავი, ნახევარკუნძული მდ. ცივის მარცხ. ნაპირის რკალში (საწულეისკირიო).

**რიონი** – დას. საქართველოს უდიდესი მდინარე. ერთვის შავ ზღვას ქ. ფოთთან. ქვემო წელზე ჩაუვლის სენაკისა და ხობის რ-ნების მრავალ სოფელს (რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, სამეგრელო).

**რიონპიჯი** „რიონისპირი" – საძოვარი რიონის ნაპირას (მუხური).

**რიონჭალე//დიდი ჭალე** – ჭალა მდ. რიონის მარჯვ. ნაპირზე (ისულა).

**რისიშ შარა** „რუსის გზა" – გზა, რომელიც საჩილაჩაოს უბნიდან გადის სოფ. ძიგურში. ოდესღაც აქ რუსის ჯარს გაუვლია მარშით (პირველი ნოსირი).

**რიშეშ ღალგ** – ღელე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი (საგვიჩიო).

**რობა** „ხევი“ – 1. ხევი ქვიშიის მარცხ. მხარეს, ლემორცხულეში (ფოცხო); 2. ხევი, ტყე ლემამულეში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**რობაში** – ხევი. მერედან ჩადის კვარჩხიღალში (კოტიანეთი).

**რობუ** „ხევი“ – 1. ხევი, სახნავი ლეღვინჯილეში (ფოცხო); 2. ხევი საარზიანოში (ლესაჯაიე); 3. ხევი სკურეს მარჯვ. მხარეს (საკილასონიო); 4. ხევი, დღურუს მარჯვ. შენაკადი (პატარა ზანა) და სხვ.

**რობუშდუდი** – სახნავი რობუს სათავესთან (პატარა ზანა).

**როგუში** – ხევი, ღელე ჩხერნას მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „დიდი ხევია და ამიტომ დაერქვა როგუში“ (საჩიქობავო).

**როკაიაშ ნოცუნი** – სახნავი კაუტიის ხეობაში (შუა ხორში).

**როკი** – მორევი მდ. ხანჯარაზე. **როკი** – ზეზეურად გამხმარი ხე ან მისი ტოტი; დაკორძებული ხე. შდრ.: ს.-საბა: „როკი – ხის შტოს ძირი“. როკი მეგრულში ძირითადად ნიშნავს მოჭრილი ხის ძირს (ლეგოგინე).

**როკია** – ბორცვი საშარტაოში. მუხის როკები იყო დარჩენილი (პატარა ზანა).

**როკონა** – 1. სახნავი საგამსახურდიოში (პირველი ნოსირი); 2. ტყე ჩხარის ნაპირას, სატყეოს ზონაში (საწულეისკირიო); 3. ჩაის ფართობი დღურუს მარცხ. მხარეს, სოფ. ეკის საზღვართან (საგუგუნავო); 4. ჩაის ფართობი დღურუს მარჯვ. მხარეს. რესპ.: „იყო მუხნარი. მოჭრეს ხეები ზუგდიდის რკინიგზის გასაყვანად. დარჩა როკები. ისიც ამოძირკვეს“ (საცხვიტაო); 5. სახნავი ტარჩენის მარჯვ. მხარეს (ლებაღათურე) და სხვ.

**როკონაშ წყურგილე** – წყარო როკონაში, დღურუს მარჯვ. შენაკადი (საცხვიტაო).

**როსტოიაშ ნოხორი** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს (საშურღაიო).

**როსტომიაშ ნოხორი** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**როსტომიშ ტყა** – ტყე გურძემიის ნაპირას (მოხაში).

**როსტოშ ნოხორი//სუსანიაშ ნოხორი** – მინდორი სანინუოში. ყოფილა როსტომ ბაღათურიას ნასახლარი. უყიდია სუსანა სახოკია-ბაღათურიას. ნასახლარს ორივეს სახელი შერჩენია (სენაკი).

**როსტოშ ჭალე** – სახნავი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს (საადანაიო).

**როსტოხანიშ ნოხორი** – ბუჩქნარი გურძემიის მარცხ. მხარეს (ბეთლემი).

**როხონღელე** „ლოდნარის ღელე“ – ღელე, ჩეღალის შენაკადი (გახომელა).

**რუსიშ ნოხორი** „რუსის ნასახლარი“ – 1. ჩაის ფართობი ლეცურუეში. გადმოცემით, აქ რუსი ესახლა (ფოცხო); 2. სახნავი სადაოსთან (პატარა ზანა).

**რშიმი//შრიმი** – კლდე ტეხურის მარცხ. მხარეს. ჩიქვანჭალეს გვერდით. რესპ.: „რშიმი იგივე ტკილია, წვიმისა და მზის შემდეგ იშლება“. შდრ. ქეგლ-, ტ. 8: „შირიმი (ქიზ., ფშ.) ცარცისმაგვარი ფაშარი ქვა“. ს.-საბა: „შირიმი (ძვ.) – ბუშტისა და თირკმლის ქვა“ (კვაუთი).

**რშიმიშ ტობა** – მორევი ტეხურზე, რშიმის ძირას (კვაუთი).

**რჩქონი** „კუნძული, ნახევარკუნძული“ – 1. კუნძული, ჭალა-საძოვრები ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. ალ. ქობალია: **„რჩქონა, რჩქონი** – მეჩეჩი, კუნძული, კუნძულიკა მდინარეში...“ (კოტიანეთი); 2. მინდორი ტეხურის მარცხ. ჭალაში. კოღონასა და აბანაჭალეს შუა (ზედა ნაქალაქევი); 3. სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. რჩქონი იგივეა, რაც ჩქონი, ე.ი. მდინარის კუნძული, მდინარის ნაპირი, რომელიც ზოგჯერ წყლით იფარება (ლებაღათურე); 4. სახნავი ტეხურის ნაპირას. რესპ.: „ნარჩქონა დიხა რდგ, ტეხურიშპიჯობა. უცის გინორჩქონგნდეს ოგაფა დო ხოჯით, ასე კარჩოვკას უწიინა“. სინამდვილეში რჩქონი არის კუნძული, ნახევარკუნძული (პირველი ნოსირი); 5. ჭალა-მინდორი ტეხურის ნაპირას, კოღონასა და აბანაჭალეს შუა (კვაუთი); 6. ჭალა-სახ-

ნავები ტეხურის მარცხ. ნაპირზე, სასიმონიოს ბოლოში. რესპ.: „ჭალე დიხას რჩქონუნდესია, ჭვარუნდესია დო კვალუნდესია საზღვარო“ (ნოსირი) და სხვ.

## – ს –

**სააბურჯანიო** – აბურჯანიების უბანი მდ. ცივსა და ეკუსქურს შუა, სოფ. უშაფათის საზღვარზე. რესპ.: „აბურჯანიები ხორგიდან არიან ჩამოსული: ოთხი ძმიდან ერთი იქ დარჩენილა, ორი აქ გაჩერებულა, მეოთხეს კი ფოთისკენ გაუწევია“. აბურჯანია ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია (372 სული საქართველოში. მათგან ფოთში – 80, თბილისში – 48, სენაკის რ-ნში – 46). (უფალკარი).

**სააბშილა//სააფშილა** – ერქვა აბშილავების უბანს ხორშისა და საგაბესკირიოს საზღვარზე. ძირითადი ვარიანტი ჩანს აბშილავა. XVIII ს-ის პირველი ნახევრის საეკლესიო საბუთში კი დამოწმებულია გვარი აფშილავა. საქართველოში დაფიქსირებულია 1748 სული აბშილავა და 206 სული აფშილავა. აბშილ//აფსილ სატომო სახელია (აფსილები და აბაზგები აფხაზთა წინაპარი ტომებია). საშ. საუკუნეების ისტ. წყაროებში დასტურდება ვარიანტები ამშინავა და ავშილავა (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 54). (საგაბესკირიო).

**საადამიო** – სოფელი ეკის მთის დას. კალთაზე. ესაზღვრება: სამხრ-ით – საწულეისკირიო, ჩრდ-ით – საგუნაო, დას-ით – საცხვიტაო და მდ. ცივი. აქაური ადამიების წინაპრები ხონიდან მოსულან. იქ კაცი მოუკლავთ და თავშესაფარი აქ უპოვიათ. საერთოდ კი გვარი ადამია დამოწმებულია XVII ს-ში შედგენილ ე.წ. მათხოჯის დავთარში (იხ. პალ, I, გვ. 69). (ეკის თ/ს).

**საადამიოშ გინაჯინუ** „საადამიოს გადასახედი“ – გორა ეკის მთაზე. ყოფს სოფ. კვარჩხიღალს სოფ. საადამიოსგან. იქ ეწოდება საადამიოშ გოლა (კვარჩხიღალი).

**საადამიოშ გოლა//საადამიოშ სუკი** – მთა, ეკის მთის ნაწილი საადამიოს თავზე (საადამიო).

**საადამიოშ სუკი** – მთა. იგივე საადამიოშ გოლა (საადამიო).

**საადანაიო** – სოფელი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირის ზეგანზე, საგუგუნავოსა და საგაბესკირიოს შუა. დაცარიელდა XX ს. 50-იან წლებში, ხოლო ამავე საუკუნის დამლევს დარჩენილი იყო მხოლოდ სამიოდე კომლი. გვარი წარმოქმნილია პირსახელ **ადანა**-ზე -ია სუფიქსის დართვით. გვარი დასტურდება „საცაიშლო დავთარში “ (1616-1621 წწ.), სადაც აღნიშნულა, რომ ადანაიას ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (ქსძ, III, გვ. 473). (ხორშის თ/ს).

**საალანიო** – ალანიების უბანი ღალჩის ნაპირას. მეგრულში ალანი სატომო სახელია (ყარაჩაელ-ბალყართა თვითწოდებაა, თუმცა ამ ეთნონიმს ოსებიც იჩემებენ. იხ. ბაღათურია, 1998, გვ. 39). ამის გარდა, ალანი მეგრულში აღნიშნავს, ერთი მხრივ, ძლიერს, მამაცს, უშიშარს, თავისუფალს (ყიფშიძე, 1994, გვ. 379), ხოლო მეორე მხრივ, – უცხოს, შემოხიზნულს: თუ მეცხვარე თავის ფარაში სხვის ცხვარს შეამჩნევს, იტყვის, ალანი შემორევიაო (ნოსირი).

**საალასანიო** – ალასანიების უბანი სათურქიოსა და საოჩიგაოს შუა. არაა გამორიცხული, ეპონიმის პირსახელი ალასანი ალმასხანის ან ალექსანდრეს ვარიანტი იყოს (გეჯეთი).

**საანგურო** „სააგურო“ – 1. სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ახალსოფელი); 2. სახნავი ცივის მარცხ. მხარეს, ოხოჯინასა და სასაფლაოს შუა (სახარბედიო).

**საანგურო ჭალე** – ჭალა ზანაძგის მარცხ. ნაპირას (ზანა).

**საანთიო** – ანთიების უბანი ცივის მარჯვ. მხარეს. ანთია ფართოდ გავრცელებული გვარსახელია. დამოწმებულია 1682 წლის შეწირულების წიგნში (ქსძ, III, გვ. 583). ანთიებს სწამთ, რომ მათი წინაპრები ყოფილან ანთიძეები გურიიდან (გურულში **ანთი** აღნიშნავს მწითურ კაცს და პირსახელადაც გამოიყენებოდა (იხ. უფრო ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 51). (საშურღაიო).

**საანთიოშ რობუ** – ხევი საანთიოში (საშურღაიო).

**საარახამიო** – არახამიების უბანი ეკის მთის აღმ. კალთაზე. მოეპოვება ძალზე მცირერიცხოვანი ვარიანტი **არაჰამია**. არაა გამორიცხული, ეპონიმის სახელი არახამ (და არაჰამ) ძველებრაული აბრაჰამის ვარიანტი იყოს (კოტიანეთი).

**საარახამიოშ ოლონტყეში** – ტლაპო საარახამიოში (კოტიანეთი).

**საარახამიოშ რობუ** – ხევი, ტყე. იგივე არახამიეფიშ რობუ (კოტიანეთი).

**საარახამიოშ ღალგ//არახამიეფიშ ღალგ** – ღელე. გაედინება საარახამიოდან (კოტიანეთი).

**საარახამიოშ წყურგილე** – წყარო, ნახურის მარცხ. შენაკადი. რესპ.: „საერთოდ ჩვენთან წყუ ეწოდება ჭას, ხოლო წყურგილე – წყაროს" (კოტიანეთი).

**საარზიანო//ლეარზიანე** – უბანი. იგივე ლეარზიანე. გვარისათვის ამოსავალი პირსახელი **არზი** არზაყანის შემოკლებული ფორმა ჩანს (ლესაჯაიე).

**საარჩაიო** – 1. არჩაიების უბანი სოფლის ცენტრალურ ნაწილში (გოლასკური); 2. ერქვა არჩაიების უბანს ეკის მთის კალთაზე, ზემო უფალკარში. გვარი არჩაია დასტურდება 1657-1660 წწ. საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 534). **არჩა** კოლხეთში გავრცელებული პირსახელია (უფალკარი).

**საარჩაიოშ გოლა** – მთა საარჩაიოს თავზე, ნოქალაქევისა და კოტიანეთის საზღვართან (უფალკარი).

**სააფშილა** – 1. აფშილავების უბანი ტეხურის მარცხ. მხარესა (კვაუთი) და უჩა ცურზენის სათავესთან, სოფ. ბიის საზღვარზე (ციზეთი); 2. ერქვა აბშილავების უბანს. იგივე სააბშილა (საგაბესკირიო).

**საათშილაშ ტყა//ხორიათიშ ტყა** – ტყე უჩა ღალის მარჯვ. მხარეს, სოფ. ქვალონის საზღვართან (ციზეთი).

**საბაბილუო** – ბაბილუების უბანი რიონის მარჯვ. მხარეს, საჭოჭუოსა და სახვიჩიოს შუა. **ბაბილუა** საქართველოში მცირერიცხოვანი გვარსახელია და ძირითადად სამეგრელოშია გავრცელებული. **ბაბილო** სირიული სიტყვაა (ნიშნავს „აჯანყებულს") და მისგანაა წარმოქმნილი

გვარსახელები: ბაბილუა და ბაბილოძე (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 325). მაგრამ შესაძლოა კოლხეთში გავრცელებული პირსახელები ბაბილა, ბაბილო სულაც „მამის“ აღმნიშვნელი „ბაბა“ სიტყვის კნინობითი ვარიანტიდან მომდინარეობდეს. გვარი ბაბილოვანი (ბაბილიანი) დასახელებულია ქვემო სვანეთის საისტორიო საბუთში, რომელიც XIV-XV სს. მიჯნაზეა შედგენილი (პალ, I, გვ. 230). შდრ. თანამედროვე გვარები: ბაბილაშვილი, ბაბილოძე (ძირითადად გურია-აჭარაში), ბაბლოვანი, ბაბლუანი (მუხური).

**საბაიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ცივის მარჯვ. მხარეს. საბაია მამაკაცის სახელია (საცხვიტაო).

**საბაკურაძო** – ბაკურაძეების უბანი სოფ. საგუგუნავოს საზღვართან. ირანულიდან შემოსული **ბაკურ** („ძე ღვთისა“) ძველი დროიდან ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. მრავალრიცხოვანი გვარი ბაკურაძე ძირითადად რაჭასა და იმერეთშია გავრცელებული, ხოლო სამეგრელოში იშვიათად გვხვდება (დიდი ხორში).

**საბარკალაიო** – ბარკალაიების უბანი სოფ. წყემის საზღვართან. რესპ. ვ. ბარკალაია: „შოტლანდიელები ვყოფილვართ. იქიდან ჩამოსულა ორი ძმა – მოგელი და ბაბუე. მე მოგელის მეხუთე თაობა ვარ“. მაგრამ გვარი ბარკალაია დასტურდება დიდი ხნით ადრე, კერძოდ XVIII ს-ის საეკლესიო საბუთში. მეგრულში **ბარკალა** ნიშნავს ბორძიკას, ბარბაცით მოსიარულეს, მაღალსა და აწოწილს, რაც ადვილად გადაიქცეოდა მეტსახელად, ხოლო შემდგომ გვარსახელის ამოსავალ ფორმად (პირველი ნოსირი).

**საბარქაიო** – ბარქაიების უბანი ბჟერის მთის ძირას. ბჟერის მთა აქ იწყება და უერთდება ნახუნაოს მთას მარტვილის რ-ნში. ბარქაია (ისევე როგორც ბაქრაძე) წარმოქმნილია პირსახელ ბაქარასაგან (არაბული **ბარაქ** → ქართული ბარაქა). სავარაუდოა ორი გზა: ა. ბაქარა → ბაქარაია → ბაქრაია→ ბარქაია; ბ. ბაქრაძე → ბარქაძე → ბარქაია (კვაუთი).

**საბარძემ(ი)სქუო** – ბარძემიშვილების უბანი გურძემიის მარჯვ. ნაპირიდან ლებოკუჩემდე და ლეკირცხალიემდე. ბარძემისქუა იგივე ბარძემიშვილია. წინაპრები ჩამოსუ-

ლან კახეთიდან. **ბარძემ, ბარძიმ** სპარსული სიტყვაა და ნიშნავს დიდს, მაღალს. გვარი ბარძემიშვილი შესაძლოა სულაც მეგრული წარმომავლობისა იყოს: იგი ძირითადად სამეგრელოშია გავრცელებული (სენაკის რ. – 62 სული, ზუგდიდის რ. – 21 სული). (ბეთლემი).

**საბაქრაძო –** ბაქრაძეთა უბანი სოფლის ცენტრსა და საგიგიბერიოს შუა. წინაპარი ხახუტა ბაქრაძე გადმოსულა რაჭიდან. რესპ.: „ჩვენი წინაპარი ხახუტა ბაქრაძე გადმოსულა რაჭიდან. ძველები კიდეც დადიოდნენ იქ მოსალოცავად". ბაქრაძე მრავალრიცხოვანი გვარია, მისი სამკვიდროა იმერეთი. სამეგრელოში იშვიათია (იხ. საბარქაიო). (ძველი სენაკი).

**საბაშ ტყა –** ერქვა ტყეს სოფლის აღმ. ნაწილში (ძიგიდერი).

**საბაწყუ –** წყარო მისარონის აღმ-ით (ფოცხო).

**საბებიო –** ბებიების უბანი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, ლაბახურის ნაპირებზე. ბებია (1362 სული საქართველოში) ძირითადად გავრცელებულია ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რ-ნებში, აგრეთვე ქ. ფოთში. 1621 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებულია საქუჩულორიოს მცხოვრები ბებია ოფიშხუა (იხ. ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 58). (თეკლათი, გოლასკური).

**საბედიო –** უბანი გაშფერდის აღმ. კალთაზე. სოფლის დას. ნაწილში. ესახლნენ ბედიები. ისინი ჩამოსულან აფხაზეთიდან და პირველნი დასახლებულან ამ არემარეში. დარჩა ერთი კომლი. **ბედა, ბედან, ბედანა, ბედე, ბედია** საქართველოში გავრცელებული პირსახელებია (საჩიქობავო).

**საბელქანიო –** ბელქანიების უბანი ტეხურის მარჯვ. ნაპირას. გადმოცემით ბელქანიები სოფ. ჯვარიდან ჩამოუყვანია კაცია დადიანს. რესპ. მ. ბელქანია: „ჩემი წინაპარი გუდუ აფხაზეთიდან (ახალი ბეცოულიდან) ჯვარში გამოქცეულა, რადგანაც კაცი შემოკვდომია. ჯვარიდან კი იგი დადიანს აქ ჩამოუყვანია. ჩვენს ძველებს შესაწირავი მიჰქონდათ ჯვარში. ერთხელ მეც წამიყვანეს". 1616-1621 წწ. შედგენილ ჯგალის ციხის გადამხდელთა შორის დასახე-

ლებულია გურმიხილა ბელქანია (ქსძ, III, გვ. 479). შდრ. ბელიქანაძეები (ცხოვრობენ გურიის სოფ. გურიანთაში). (კოტიანეთი).

**საბერაიო** – ბერაიების უბანი კაკუტიაღალის მარჯვ. მხარეს, საპაჭკორიოდან გამუთამდე. ბერაია მრავალგან არის დასახელებული XVIII ს-ის საეკლესიო საბუთებში. საერთოდაც, ბერა, ბერი შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული პირსახელებია (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 59). (ციხეთი).

**საბერიო** – ტყე-სახნავები ცივის მარცხ. ნაპირას, ბერიების უწინდელი უბნის ადგილას. XVII ს-ის მეორე ნახევრის საეკლესიო საბუთებში დასახელებული არიან საეკლესიო გლეხები – ქრისტეშია ბერია, ხიხუშა ბერია, ხახუტა ბერია (ქსძ, III, გვ. 349, 454). (საგვარამიო).

**საბესელიო** – 1. სოფელი რკინიგზის ხაზის ორივე მხარეს, აბაშის რ-ნის სოფ. ძიგურამდე (ნოსირის თ/ს); 2. ბესელიების უბანი ტეხურის მარჯვ. მხარეს, ხიდს ქვემოთ. გვარის წარმოქმნის გზა ასეთია: ბესარიონ → ბესა (შემოკლებული ვარიანტი) → ბესელი (მოფერებითი ფორმა) → ბესელია (გახომელა).

**საბოხუო** – ბოხუების უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს, სასიმონიოს გაგრძელებაზე. წარსულში აქ გადიოდა საქარავნო გზა. გვარის წარმოქმნის გზა: მეგრ. ბოხო „მსხვილი“ → ბოხო (მეტსახელი) → ბოხო-ა → ბოხუა (გვარსახელი). (შუა ნოსირი).

**საბოჯგუო** – ბოჯგუების უბანი სოფ. საშურღაიოს საზღვართან. გვარის წარმოქმნა: ბოჯგო (პირსახელი) → ბოჯგო-ა → ბოჯგუა (გვარსახელი). (ზანა, საესებუო).

**საბჟალა** – ბჟალავების უბანი საბჟალაშ წყარის ნაპირებზე. რესპოდენტ ტრიფონ ბჟალავას ბაბუა უტაია ჩამოსულა მარტვილის რ-ნის სოფ. ბარდიდან. მეგრ. **ბჟალა** „მზიანი, ნათელი, სახეგაბრწყინებული“ ეპონიმის მეტსახელი ჩანს (ზედა სორტა).

**საბჟალაშ გოლა** – სერი. იგივე აბანაშ ფერდი (ზედა სორტა).

**საბჟალაშ წყარი//უჩა ღელო//ჭკადუაშ წყურგულე** – ღელე, აბანაშ წყარის მარჯვ. შენაკადი (ზედა სორტა).

**საბუკიო** – ბუკიების უბანი ორივე ცამღალის ნაპირებზე, პატარა ზანის საზღვართან. გვარის სამშობლოა ხობის რ-ნი, სადაც მას კომლთა და სულთა რაოდენობით პირველი ადგილი უკავია (1378 სული) შდრ. მთელ საქართველოში – 2091 სული. „საცაიშლო გამოსავლის დავთარში“ (1616-1621 წწ.) დასახელებულია რამდენიმე საეკლესიო გლეხი, გვარად ბუკია (ქსძ, III, გვ. 438, 469). ბუკი, ბუკო კოლხური პირსახელებია (დიდი ხორში).

**საბულიო** – დასახლ. უბანი სოფ. ზანის საზღვართან. გვარი ბულია დოკუმენტირებულია XVII ს. პირველი ნახევრიდან. შდრ.: ბულავა, ბულიაშვილი (პატარა ზანა).

**საბურთალო** – მინდორი სკურიაწყარის მარცხ. მხარეს (სკურია).

**საგაბელიო** – გაბელიების უბანი საღვამბერიოს გაგრძელებაზე, სოფ. ქვალონის საზღვართან, კაუტიასა და ოდოსქირეს შუა. გვარი დასახელებულია XVI-XVII სს. საეკლესიო საბუთებში. გაბა, გაბე, გაბელ, გაბი, გაბილ სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელებია (ქსს, 1986; ცხადაია, 2000, გვ. 64). ს. ჯანაშია ამ გვარს აკავშირებს სვანურ გვარ გაბლიანთან (ჯანაშია, 1959, გვ. 42). (შუა ხორში).

**საგაბელიოშ ღალგ** – ღელე, უჩა ღალის მარცხ. შენაკადი (შუა ხორში).

**საგაბესკირიო** – სოფელი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, საადანიოსა და სახარბედიოს შუა. დას-ით ესაზღვრება სოფ. შუა ხორში. სოფელში დარჩა ათიოდე კომლი. წინაპრები მოსულან სოფ. კახათიდან. გაბე (პირსახელი) → გაბესკირი „გაბეს შვილი“ → გაბესკირია (გვარსახელი). (მენჯის თ/ს).

**საგაბეჩა** – გაბეჩავების უბანი ჭყოჭყოშ დღურუს მარჯვ. ნაპირას. **გაბეჩა** პირსახელ გაბეს მოფერებითი ვარიანტია (დიდი ხორში).

**საგაბუჩიო** – გაბუჩიების უბანი სოფ. ლეძაძამეს საზღვართან. გვარისათვის ამოსავალია გაბე ან გაბო (← გაბრიელ). (ლესაჯაიე).

**საგაგუო** – გაგუების უბანი უჩა ღალის ნაპირზე. გაგუა მრავალრიცხოვანი გვარია (საქართველოში 4526 სული, 99-ე ადგილი; სამეგრელოში – 33-ე ადგილი). გაგა, გაგუ, გაგული სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელებია (იხ. ქსს, 1986). (სატყებუჩავო).

**საგადელიო** – გადელიების უბანი ქ. სენაკის საზღვართან, ფიცუს ნაპირას. მდებარეობს თეკლათსა და აეროდრომს შუა. გადა კოლხეთში პირსახელია, ხოლო **გადელ** და **გადილ** მისი მოფერებითი ვარიანტებია, რომელთაც დართვია საგვარსახელო სუფიქსი – (ი)ა (ახალსოფელი).

**საგამსახურდიო** – გამსახურდიების უბანი ტეხურის მარცხ. ნაპირას. გამსახურდიები სამურზაყანოდან ძველ აბაშაში მიგრირებულან და იქიდან სოფ. ნოსირში ჩამოსულან. აქ მცხოვრები გამსახურდიები აზნაურები იყვნენ. პირსახელები გამსახურდი, გამსახურდა და გვარი გამსახურდია გვხვდება XVII ს. საეკლესიო საბუთებში (პალ, I, გვ. 597; ქსძ, II, 510). (პირველი ნოსირი).

**საგანგაო** – განგავების უბანი მდ. ცივის მარცხ. მხარეს, უშაფათის საზღვართან. განგავა ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში (სულ 77 სული, მათგან 55 ცხოვრობს ზანის თემის საკრებულოს სოფ. საესებუოში). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი განგა (საესებუო).

**საგარჩა//მაჟია ტყირი** – უბანი ცივის მარცხ. ნაპირას. გარჩა (← გარუჩავა) → საგარჩა „გარუჩავების უბანი“. XVII ს. საბუთში გვხვდება გვარი გარაუჩაც (პალ, 598) და გარეუჩაც (ქსძ, III, გვ. 76). (ტყირი).

**საგასვიანო** – ტყე ჩხვიაღალის სათავესთან. ესახლნენ გასვიანები. ეს გვარი (სულ 1102 სული), ძირითადად სვანეთში, ლეჩხუმსა და იმერეთშია გავრცელებული (ციზეთი).

**საგახოკიო** – უბანი გუნურის მარცხ. მხარეს. შდრ. გახოკია ← გახოკიძე (უფალკარი).

**საგეგენა** – გეგენავების უბანი ზედა სალომიოსა და მენჯის სანატორიუმს შუა. 1636 წელს ოდიშის მთავარ ლევან მეორე დადიანს მფარველობის თხოვნის წერილით სწორედ აზნაური გაბრიელ გეგენავა გაუგზავნია რუსეთის ხელმწიფესთან. გვარი დოკუმენტირებულია XVII-XVIII სს. რამდენიმე საეკლესიო საბუთში (იხ.: პალ, I, გვ. 613; ქსძ, III, გვ.: 648, 730, 766, 882). თავის მხრივ, პირსახელი გეგენა გავრცელებული ყოფილა იმერეთისა და გურიის თავად-აზნაურთა ოჯახებში (ჭუმბურიძე, 1999). (სენაკი).

**საგეგენო** – უბანი ჯიხირსა და სოფლის ცენტრს შუა. ესახლნენ აზნაური გეგენავები (გეჯეთი).

**საგელანტიო** – გელანტიების უბანი საგელანტიომენჯის სათავესთან. **გელა** პირსახელია. -ანტი, -ტი კნინობითობის სუფიქსებია. გვარის საწარმოებლად მას დართვია -ა სუფიქსი. შდრ. გერანტია (შუა ხორში).

**საგელანტიომენჯი** – ღელე, ხევი. საფირცხელაღალის მარცხ. შენაკადი (შუა ხორში).

**საგვათუო** – სერი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. ესახლნენ გვათუები. მცირერიცხოვანი გვარია (302 სული საქართველოში. მათგან სენაკის რ-ნში – 51 სული). 1904 წლის აღწერის თანახმად, ციზეთს მცხოვრები გვათუები აზნაურები იყვნენ (ციზეთი).

**საგვარამიო** – სოფელი ქ. სენაკის საზღვართან, მდ. ცივსა და ქ. სენაკს შუა. დას-ით ესაზღვრება სოფ. ტყირი, სამხრ-ით – აეროდრომი. XVIII ს-ის ერთ საეკლესიო საბუთში აღნიშნულია, „მართებს გორამებსა...“ (ქსძ, III, გვ. 349). მკვლევართა მოსაზრებით, გორამებში იგულისხმება გვარამიები. გვარამ, გუარამ საქართველოში ფართოდ გავრცელებული პირსახელია. შდრ. სვანური გვარი გვარამიანი (თეკლათის თ/ს).

**საგვასალიო** – 1. გვასალიების უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, სოფ. საგაბესკირიოს საზღვართან. შეუერთდა მენჯის სას. საბჭოს 1954 წელს (სკურია); 2. გვასალიების უბანი. რესპ. მ. გვასალია: „ვყოფილვართ აზნაურები,

გვარად გველესიანები სოფ. სვირიდან. სამ ძმას იქ თავადი მოუკლავს. გამოქცეულან. ერთი დარჩელში დამკვიდრბულა, მეორე – ანაკლიაში, მესამე კი აქ დარჩენილა. ჩვენი „ძველები“ სვირში დადიოდნენ მოსალოცავად“. სხვა გადმოცემა: „გვასალიები წარმომავლობით გველესიანები ყოფილან სოფ. ლესიანთხედან. იქიდან ჩამოსულან ხორში. იქ ჩვენს პაპის-პაპას რძლის შემცდენელი მღვდელი მოუკლავს, გაქცეულა და კორცხელში ეკლესიას შეჭკედლებია. შემდგომში დაოჯახებულა და გამრავლებულა“. გვასალია სამეგრელოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარსახელია (2014 სული, 32-ე ადგილი რეგიონში, სენაკის რნის გვართა შორის უკავია პირველი ადგილი, ხოლო ქ. ფოთში – მეორე). გვასალიების შტოგვარებია: ა. მიშველიათი (აქვთ უბანი მიშველიაშ ღალის ხეობაში); ბ. ძღირსკუალეფი (ესახლნენ ღობურსა და ნახაჯუს შუა); გ. ხუტნათი; დ. ჟოლოთურეფი (პერტულში); ე. ხვიჩათიათი (მენჯის სკურიაში)“. (შუა ხორში).

**საგვაძაბიო** – გვაძაბიების უბანი სუღირის მარჯვ. მხარეს. გვაძაბია აფხაზურ-მეგრული გვარი ჩანს. **გვაძა, გვაძი** კოლხური სახელებია. XVIII ს. პირველი ნახევრის საეკლესიო საბუთში დასახელებულია საეკლესიო გლეხი გვაძაბია (ქსძ, III, გვ. 771). (ზანა).

**საგვაძაბიოჭალე** – ჭალა-სახნავები ზანაძგის ნაპირზე (ზანა).

**საგვიჩიო** – სოფელი რიონის მარცხ. ნაპირას, სირიაჩქონის დას-ით ფიჩორამდე და ხობის რ-ნის საზღვრამდე. გვიჩია მცირერიცხოვანი გვარია – სულ 201 სული საქართველოში. საგვიჩიოში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი ათამდე კომლი. გვიჩიები თვლიან, რომ ისინი წარმოშობით სვანები არიან, გვარად გვიჩიანები. მამა-პაპანი კიდეც დადიოდნენ სვანეთში სალოცავად. გვარი დასტურდება XVII ს-ის საეკლესიო საბუთებში (იხ. ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 71). (ზემო ჭალადიდის თ/ს).

**საგიგიბერიო** – უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მერსიოლესა და მთას შუა. შუა საუკუნეების საეკლესიო საბუთების მიხედვით, გვარი გიგიბერია (და გეგებერია)

ფართოდაა გავრცელებული სამეგრელოსა და აფხაზეთში. გიგიბერი ნიშნავს „გიგის შვილს“, ხოლო გეგებერი – „გეგეს შვილს“ (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 71). (ძველი სენაკი).

**საგიგიბერიოშ გოლა** – მთა საგიგიბერიოს თავზე (ძველი სენაკი).

**საგირგალო** – უბანი. იგივე საგრიგალო (სენაკი).

**საგირგოლიო** – უბანი. იგივე საგრიგოლიო. გირგოლავა, როგორც გვარი, დამოწმებულია 1621 წლის საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 430), ხოლო ვარიანტი გირგოლაია გვხვდება 1657-1660 წწ. საბუთში (პალ, I, გვ. 666). შდრ. გირგოლეთი – სერი სოფ. ზემო ნაქალაქევში (უფალკარი).

**საგოგბასქუო** – გოგებაშვილების უბანი საკუპრეიშვილოს გვერდით. გოგბასქუა გოგებაშვილის ადგ. ვარიანტია და დამოწმებულია 1609 წლის ნასყიდობის წიგნში (პალ, I, გვ. 676). (პირველი ნოსირი).

**საგოგენიო** – გოგენიების უბანი სას. საბჭოს ცენტრის აღმ-ით. რესპ. შ. გოგენია: „ჩემი ძველები ყოფილან ქართლიდან და ბაბუაჩემი კიდეც დადიოდა იქ“. შდრ. გვარი გოგენაშვილი (შუა ხორში).

**საგოგენიოშ ღალღ** – ღელე, სამატახერიოშ ღალის სათავე. გაედინება ჭითა ხარდანში (შუა ხორში).

**საგოგინო** – გოგინავების უბანი სოფ. რეკის საზღვართან. შდრ. ლეგოგინე (სოფელი უშაფათის თემის საკრებულოში), სადაც აგრეთვე ცხოვრობენ გოგინავები (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 73). (თეკლათი).

**საგოგნასკუო** – უბანი უფალოხვამესთან. გოგნასკუა გვარ გოგინაშვილის არაოფიც. ვარიანტია. გოგინაშვილი კი დამოწმებულია XVIII ს-ის დამდეგის საისტორიო საბუთში (პალ., I, 689). (უფალკარი).

**საგოგოლო** – გოგოლების ერთადერთი კომპაქტური დასახლება სოფლის დას. ნაწილში, სერზე. გოგოლები, გადმოცემით, უკრაინელები არიან და აქ, ფაჩულიების უბნის განაპირა სერზე დამკვიდრებულან ორი საუკუნის წინათ (რეკა).

**საგოლობიანო** – ხეხილნარი ძუგუს კალთაზე, ფაქვასა და ბერღალს შუა. უწინ აქ გოლობიანების უბანი ყო-

ფილა. შდრ. იმერეთში გავრცელებული გვარი გოლუბიანი (უფალკარი).

**საგრიგალო//საგირგალო** – უბანი შხეფის აღმ. ნაწილში. ცხოვრობენ გრიგალავები. გვარის ადგ. ვარიანტი: გირგალა. თავის მხრივ, გრიგალავა ფართოდ გავრცელებული გვარის – გრიგალაშვილის მეგრული ვარიანტია. გრიგალაშვილი კი დამოწმებულია XVII ს. საბუთში (პალ. I, გვ. 720). (სენაკი).

**საგრიგოლიო** – 1. გრიგოლიების უბანი საფულარიოსა და სანარაკიოს შუა (ციზეთი); 2. გრიგოლიების უბანი ქ. სენაკის (ქვედა სალომიოს) საზღვართან. გრიგოლიათა წინაპრები სახლებულან სოფ. ქვიშანჭალაში, რიონისა და ცხენისწყლის შესართავის სიახლოვეს, საჭილაოს საფეოდალოში (საგვარამიო).

**საგრიგოლიო//საგირგოლიო//ლეგირგოლიე** – გრიგოლიების უბანი ზემო და ქვემო უფალკარს შუა, გუნურის მარცხ. მხარეს (უფალკარი).

**საგუგუნავო** – სოფელი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას, საადანიოსა და ეკს შუა. დას.-ით ესაზღვრება სოფ. დიდი ხორში. გუგუნა იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახებში გავრცელებული პირსახელია (ჭუმბურიძე, 1999). აზნაურიშვილი კაკო გუგუნავა დასახელებულია XV-XVI სს. მიჯნაზე დაწერილ საბუთში (პალ. I, გვ. 727; ცხადაია, 2000, გვ. 77). (ხორშის თ/ს).

**საგუდაო** – გუდავების უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს. გუდავა მცირერიცხოვანი გვარია, სულ 142 სული საქართველოში (მათგან 59 სული სენაკის რ-ში), ხოლო პირსახელი გუდა გვხვდება ჯერ კიდევ წყისის (VII ს.) წარწერაში. იხ. აგრეთვე: პალ, I, გვ. 728. (პირველი ნოსირი).

**საგულუო** – გულუების უბანი რიონის ნაპირას. გვარი დამოწმებულია 1621 წლის საბუთში. ამოსავალია კოლხური სახელი გულო (→ გულოა → გულუა). (საგვიჩიო).

**საგულუოშ ჩქონი** – კუნძული რიონზე (საგვიჩიო).

**საგუნიო** – სოფელი ეკის თემის საკრებულოს აღმ. ნაწილში, ეკის მთის კალთაზე. ესაზღვრება: ეკი, საადამიო,

კოტიანეთი, კვარჩხიღალი, უფალკარი. გვარი **გუნია** დამოწმებულია 1629 წლის საეკლესიო საბუთში (პალ, I, გვ. 741). (ეკის თ/ს).

**საგუნიოგოლა** – მთა, ეკის მთის ნაწილი სოფ. საგუნიოს თავზე, რახასა და საადამიოგოლას შუა (საგუნიო).

**სადადიანო** – დადიანების უბანი სოფ. საცხომარიოსა და ჭამურცხულას შუა, სოფ. საგუგუნავოს საზღვართან. „დადი აგრეთვე ძველი ქართული სახელია, რომელიც დღეს აღარ გვხვდება, შემონახულია დადიანის გვარში" (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 338). დადიანი XI ს-დან საგვარეულო წოდება იყო, მაგრამ XVI ს შუა წლებიდან ოდიშის მთავრის ტიტულად იქცა. ამიტომაც წერდა ვახუშტი: „დადიანობა არს არა გუარი, გარნა წესი ხელობისა" (ვახუშტი, 1973, გვ. 28). (დიდი ხორში).

**სადადიანო//დადიანიშ ნოხორი** – სერი კაკუტიაღალის მარცხ. მხარეს. აქ ესახლა გრიშა დადიანი. დღემდე დგას ძველთაძველი ცაცხვები. აქვეა ნაეკლესიარი „წმინდა გიორგიშ ოხვამე" (ციზეთი).

**სადადიო** – ერქვა ტყეს მდ. ცივსა და გოჭკადილს შუა. ამ შემთხვევაში სა- პრეფიქსი აღნიშნავს დადიანის საკუთრებას (გოლასკური).

**სადავითაიო** – 1. დავითაიების უბანი ეკის მთის ძირას, მირსიოლესა და მთას შუა (ძველი სენაკი); 2. დავითაიების უბანი ფაქვის მარცხ. მხარეს, საკოღუოს სამხრ-ით. XVII ს საბუთში ნათქვამია, რომ ივანე დავითაიას და მესტუმრია დავითაიას ემართათ აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა (ქსძ, III, გვ. 25). (უფალკარი).

**სადავითაიოშ გოლა** – მთა სადავითაიოს თავზე (ძველი სენაკი).

**სადამენიო** – ერქვა დამენიების უბანს საძიმცესქუოსა და სოფ. სამიქავოს შუა. **დამა, დამი** სვანეთში დაფიქსირებული სახელებია, დამენი კი მათი მოფერებით-კნინობითი ვარიანტი ჩანს (კვაუთი).

**სადაო** – სახნავი სოფ. ზანის საზღვართან. იყო საცილო ამ ორ სოფელს შორის (პატარა ზანა).

**სადაღალგ** – ღელე, სკურის მარჯვ. შენაკადი (შუა ხორში).

**სადუდუჩაო** – დუდუჩავების უბანი სოფ. ნოსირის საზღვართან, სკურეს მარჯვ. მხარეს. გვარი დუდუჩავა სენაკის რაიონში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია. დასტურდება XVIII ს. პირველი ნახევრის საეკლესიო საბუთში დუდუჩა ფორმით (იხ. ქსძ, III, გვ. 469). გვარისათვის ამოსავალია ლექსიკური ერთეული დუდუჩა „თავშავა", რაც, ერთი მხრივ, ყვავილის ეპითეტია ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნავს თმაშავა კაცს (პირველი ნოსირი, საკილასონიო).

**სადუდუჩაშ ტყა** – ტყე სკურეს მარჯვ. მხარეს (საკილასონიო).

**საელიო** – ჩაის ფართობი სოფ. უფალკარის საზღვართან. ელია ← ელიავა (უშაფათი).

**საელიო//საფაღავა** – უბანი გუნურისა და ეკუსქურის მარცხ. მხარეს. რესპ. ა. ელიავა: „ფაღავების ბაბუა ბასაია მარტვილიდან ჩამოსულა, აქ დასახლებულა და გამრავლებულა. ამჟამად მათ ყოფილ უბანში ელიავები ცხოვრობენ". „საცაიშლო დავთარში" (1616-1621 წწ.) აღნიშნულია: „მართებს ელიასა, აჭარელსა კაცსა..." (ქსძ, III, გვ. 646). XVII ს-ის ბოლო მეოთხედის საბუთში დასახელებულია მღვდელი გიორგი ელიავა (პალ. III, გვ. 119), ხოლო XVIII ს-ის საეკლესიო დოკუმენტებში – მიხილია ელიავა, აზნაური გოგი ელიავა, მოურავი წუწკუ ელიავა და სხვ. (იხ. ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 22). (უფალკარი).

**საესებუო** – 1. ესებუების უბანი სოფ. ძველი სენაკის საზღვართან (ქვედა სორტა); 2. სოფელი მდ. ცივის ორსავე მხარეს. აქ მცხოვრები ესებუები სალოცავად დადიოდნენ ან ხურდა ფულს აგზავნიდნენ ს. ჯვარში (ზანის თ/ს).

**საესებუო//საესებუო(შ)ჭალე** – სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს. სოფ. ლესიჭინედან გამოყოფს მხოლოდ ნაწისქვილუ (სატყებუჩავო).

**საესებუო(შ)ჭალე** – სახნავი. იგივე საესებუო (სატყებუჩავო).

**საეჯიბიო** – 1. ეჯიბიების უბანი მდ. ცივის ნაპირას. გადმოცემით, ეჯიბიები (საეკლესიო გლეხები) სახარბედი-

ოს პირველმოსახლენი ყოფილან (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 83). (სახარბედიო, ქ. სენაკი); 2. ყოფილი დასახლ. უბანი კურორტ მენჯთან (სენაკი). ეჯიბი არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „მოხელე, მეფის წინაშე მდგომი, ხელჯოხიანი...“ (ჩუბინაშვილი, 1984).

**საზარანდიო** – ზარანდიების უბანი ზანაძგის მარჯვ. მხარეს, სოფ. სატყებუჩავოს საზღვართან. გვარი უნდა მომდინარეობდეს სკვითური **ზარანდ** სიტყვიდან, რაც მოხუცს ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1987). შდრ. ს. მაკალათია: ზარავანდა პირსახელია ფშავში, რაც გვავარაუდებინებს, რომ ეს სიტყვა ნასესხებია: მაშასადამე: ზარავანდა → ზარავანდია → ზარანდია (ეწერი, ზანა).

**საზარანდიოშ ჭალე** – სახნავი ზანაძგის მარჯვ. ნაპირზე (ზანა).

**საზარანდიოჩაი** – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში (სატყებუჩავო).

**საზარელუო** – ზარელუების უბანი ზემო უფალკარში, უშაფათის საზღვართან. ზარელუა ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (სულ 22 სული საქართველოში). ვარაუდი: ზარელუა ← მზარელუა (137 სული საქართველოში, მათგან სენაკის რ-ნში – 58). (უფალკარი).

**საზღვარღალი//სანძღვარღალი** – ღელე, საკვინოს შენაკადი. საზღვარი ფოთის სატყეოსთან. სვანებს გაათხრევინეს ჯერან და პეხუია გვიჩიებმა. ერთვის საკვინოს ზღურზღულის დასაწყისთან (საგვიჩიო).

**სათარსქუო** – უბანი ეკუსქურის ორივე ნაპირას. ცხოვრობენ თათარაშვილები. ადგ. ვარიანტია თათარსქუა. მაშასადამე: სათათარსქუო → სათარსქუო (ჰაპლოლოგიით). (უფალკარი).

**სათევზაიო** – თევზაიების უბანი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ბათარიის საზღვართან. თევზაძე მრავალრიცხოვანი გვარია. სამტრედიის რ-ნში უკავია მეორე ადგილი. იქიდან ჩანან მიგრირებული აბაშისა და ხობის რ-ნებში. თევზაია მეგრული ვარიანტია, ოფიციალურ გვარად ქცეული. (თეკლათი).

**სათულაძო** – მიკროუბანი ზედა სალომიოში. თულაძე მცირერიცხოვანი გვარია, სულ 73 სული საქართველოში. მათგან სენაკის რ-ნში – 50. ერთი ვარაუდით, ამოსავალია თული „გოჭი", თუმცა საქართველოს სხვა რეგიონში დასტურდება პირსახელები თული, თულა (ქსს, 1986). (სენაკი).

**სათურქიო** – თურქიების უბანი ტეხურის მარცხ. ნაპირზე. თურქი მეგრულში სატომო-რელიგიური ნომენია და აღნიშნავს როგორც თათარს, ისე მაჰმადიანსაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება იქცეს მეტსახელადაც და გვარსახელადაც. შდრ.: თურქიშვილი, თურქიაშვილი (გეჯეთი).

**საინგიეფიშ ნოხორი** – სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში. საინგია იგივე სანიკიძეა (ძიგიდერი).

**საიფარდიო** – მინდორი ლემალანიეში (მეორე მოხაში).

**საკალანდარისკუო** – უბანი. იგივე საკალანდარიშვილო (სენაკი).

**საკალანდარიშვილო//საკალანდარისკუო** – კალანდარიშვილების უბანი ეკის მთის ძირას, საკინწურაშვილოსა და სახაჯალიოს შუა, რაც ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია. რესპ. ი. კალანდარიშვილი: „ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ გურიაში, სოფ. კვირიკეთში. იქიდან ერთი ბიჭი აქ მოსულა, მენჯელი სალაყაია მოსწონებია და ცოლად შეურთავს. მამას მოუკითხავს. უკანვე წაყვანა სდომებია თავისი ვაჟიშვილისა და ცხენზე შემოუსვამს. ტეხურს რომ გავიდნენ, ბიჭი ცხენიდან გადმომხტარა და ტყეში დამალულა, მამაპაპურ ოჯახში არ დაბრუნებულა. კალანდარიშვილები მისგან გამრავლებულან". გვარი დამოწმებულია XVII ს. საბუთში (პალ, II, გვ. 477). შესაძლოა, ამოსავალი იყოს სპარსულ-თურქული კალანდარი (← კალანტარი) „ციხისთავი". გვარის ადგ. ვარიანტია კალანდარისკუა. საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემით კი საკალანდარიშვილო სოფელია თეკლათის სას. საბჭოში (მოსახლეობა: 42 კ., 224 ს.). (სენაკი).

**საკალანდარიშვილოშ სასაფლა** – სასაფლაო. იგივე წმინდა გიორგიშ ოხვამე (სენაკი).

**საკალანდარსკუოშ ჯიხა** – კოშკი, ციხესიმაგრე საკალანდარისკუოში. შემოზღუდულია გალავნით (სენაკი).

**საკანკაო** – კანკავების უბანი სოფლის ცენტრიდან აღმ-ით, სოფ. საადანაიოს საზღვართან. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი კანკა (დასტურდება XVII ს. საბუთში. იხ. პალ, II, გვ. 480). (შუა ხორში).

**საკეკუო** – კეკუების უბანი სიხუში, კოტიანეთის საზღვართან, სოფლის აღმ. ნაწილში. ეს უბანი კეკუათა ერთადერთი კომპაქტური დასახლებაა (საგუნიო).

**საკემლარიო** – კემულარიების უბანი სასოფლო საბჭოს შენობასა და ჭითა ხარდანს შუა. კემლარია არაოფიც. ვარიანტია. 1904 წლის აღწერის თანახმად, ხორში მცხოვრები კემულარიები აზნაურები იყვნენ (შუა ხორში).

**საკვაშილა** – კვაშილავების უბანი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, სოფ. საშურღაიოს საზღვართან. გვარი ხშირია მარტვილისა და სენაკის რ-ნებში (საესებუო).

**საკვინო//საკვინოშ ღალვ** – ღელე, ფიჩორის ტოტი, ზღურზღულის შენაკადი. რესპ. „კვინორი ნოხვე“ (საგვიჩიო).

**საკვინოშ ღალვ** – ღელე. იგივე საკვინო (საგვიჩიო).

**საკვირაიო** – კვირაიების უბანი ზანაძგასა და სუღირს შუა. კვირა, კვირია, კვირიკა, კვირიკე კოლხეთში გავრცელებული სახელებია. შდრ. გვარი კვირიკაძე (ზანა, ეწერი).

**საკვირკველიო** – კვირკველიების უბანი ორეკეშთან (სენაკი) და სენაკ-ფოთის საავტ. გზაზე, სოფ. ქვალონის საზღვართან (გოლასკური). კვირკველია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია. გამოირჩევა ქვ. ჩხოროწყუ (62 კ.) და ჩხოროწყუ (40 კ.). XVII ს-ში გავრცელებული ყოფილა კუირკუეილია ფორმაც (იხ. პალ, II, გვ. 507). გვარს აკავშირებენ სვანურ გვარ კვირკველიანთან, რაც გვხვდება XVII-XVIII სს. სულთა მატიანეში (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 50, 102). იშვიათი საპასპორტო ვარიანტები: კვირკვილია (იმერეთი), კვირკვინია (ზუგდიდი), კვირკველია (სენაკი).

**საკვირკველიოღელე** – ღელე. გაედინება სახოფერიოდან და ერთვის ტეხურს ხიდს ქვემოთ (სენაკი).

**საკიზირიო** – კიზირიების უბანი სკურეს ნაპირას. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, აბაშასა და ნოსირში მცხოვრები კიზირიები აზნაურები იყვნენ (პირველი ნოსირი).

**საკილასონიო** – სოფელი ნოსირის თემში, სკურეს მარჯვ. ნაპირას. ესაზღვრება წყემი, საბესელიო, ნოსირი და შუა ნოსირი. უწინ კილასონიების უბნის სახელი ყოფილა. რესპ. გ. კილასონია: „ჩვენი წინაპარი ყოფილა ოტია კერესელიძე რაჭიდან. იქიდან გამოქცეულს აქ „ურწუმო ტყა“ უნახავს და თავი შეუფარებია. იქ, სადაც ამჟამად ჭადარჯინჯი ეწოდება, ჭადრის სამი ტოტი ჩაურჭვია მიწაში, ნაბდით გადაუხურავს და ღამე გაუთენებია. იმ ჭადრის ტოტებიდან ერთი შეფოთლილა და გაზრდილა... ეს ტყე დადიანებისა ყოფილა. კვამლით მიაგნეს. რა თქმა უნდა, დადიანებს მიენდო. ერთ დღესაც „შქვილ დო კოპულით“ შველი მოუკლავს და უჩუქებია ოტია დადიანისათვის, მას კი მიუცია ტერიტორია, რასაც ერთ დღეში დაივლიდა... ჩვენი „ძველები“ რაჭაში დადიოდნენ მოსალოცავად ან აგზავნიდნენ ორ-ორ შაურს და სანთელს, რომელიც იქ უნდა დაეწვათ. მიდიოდნენ 15 აგვისტოის. მერე თითო-თითო მანეთი გადაიხადეს და „ათაქ ქიმკიჭარეს დუდი თარანგელოზიშა“. გ. ბედოშვილის აზრით, გვარის თავდაპირველი ფორმაა კილა-ს-ან-ია, სადაც შთამომავლობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი -ან სუფიქსი დაერთვის პირსახელ კილა-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: კილა-ს-ან-ია → კილასონია (ა ხმოვნის დისიმილაციით. ბედოშვილი, 1997, გვ. 39). შდრ. კილავა, კილაძე (ნოსირის თ/ს).

**საკინწურასკუო//საკინწურაშვილო** – უბანი შხეფის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ეკის მთასა და სახოფერიოს შუა. კინწურაშვილი იმერეთსა და სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული გვარია. საკინწურაშვილოში ამ გვარის 50-ზე მეტი კომლი ესახლა და ამ დასახლებულ პუნქტს ერთ დროს სოფლის სტატუსიც ჰქონდა. ბოლოს მთიდან ბარად, საავტომობილო გზისპირებზე ჩამოვიდნენ. დარჩა მხოლოდ რამდენიმე კომლი. გადმოცემით, გორდიდან ჩამოსული სამი ძმა კინწურაშვილი, აქ ერთმანეთის ახლომახლო დასახ-

ლებულა და გამრავლებულან. გვარი ქმნის ორ შტოს და, შესაბამისად, ორ ქვეუბანს: **მიკოხონარეფი** „აღმოსავლელნი; იქითურნი“ და **მგკოხონარეფი** „დასავლელნი; აქეთურნი“. კინწურაშვილთა ერთი შტო ოფიციალურად ატარებს გვარ კინწურიას. კინწი კოლხეთში გავრცელებული პირსახელია, ხოლო კინწურა მისი მოფერებითი ვარიანტია. დასტურდება ვარიანტი კინწურეიშვილი: კინწურა → კინწურაიშვილი → კინწურეიშვილი (სენაკი).

**საკინწურაშვილო** – უბანი. იგივე საკინწურასქუო (სენაკი).

**საკირე** – ფერდობი სოფლის აღმ. ნაწილში, ძველი სენაკის საზღვართან (საჩიქობავო).

**საკირეშ გოლა** – სერი. დასცქერის ქ. სენაკის დას. ნაწილს (სენაკი).

**საკირეში** – გორა ზედა სალომიოში. აქ კირქვის საბადოა (სენაკი).

**საკირეშ წყარი** – ღელე, ნახურის მარჯვ. შენაკადი. მოედინება საქანთარიოდან (ძველი სენაკი).

**საკირტა** – კირტავების უბანი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას. ვარიანტია კილტავა (40 სული საქართველოში). ამოსავალი ჩანს მეგრული სიტყვა კირტი (კირტიშ ეჳოთამა „შარის ჩამოგდება“). **კირტა,** შარიანი კაცის ეპითეტი, შეიძლება პირსახელადაც ქცეულიყო. **კირი** პირსახელია სვანეთში. ხოლო **კირა** დაფიქსირებულია „ტბეთის სულთა მატიანეში“. არაა გამორიცხული, ამ სახელს დართოდა მოფერებითი ნიუანსის წარმომქმნელი -იტ სუფიქსი. მაშასადამე, არაა გამორიცხულია: კირი → კირიტი → კირიტავა → კირტავა (თეკლათი).

**საკირცხალიო** – კირცხალიების უბანი სოფ. ნოსირის საზღვართან. კირცხალი, კირცხალა ფიცხი და კერკეტი კაცის ეპითეტია მეგრულში, კირცხალია კი სენაკის რნში გავრცელებული გვარსახელია. XX ს. 80-იან წლებში სოფ. ძვ. სენაკში ცხოვრობდა ამ გვარის 5 კომლი, ნოსირსა და ლეძაძამეში ოთხ-ოთხი კომლი, ქ. სენაკში – 9 კომლი და სხვ. (პირველი ნოსირი).

**საკლასო** – ჩაის ფართობი ბულიაღელის მარცხ. მხარეს. **კლასი** XIX ს-ში აღნიშნავდა სკოლას. მაშასადამე, საკლასო იგივეა, რაც სასკოლო (საშურღაიო).

**საკოღუო** – კოღუების უბანი ფაქვის მარცხ. მხარეს, დადიაშ ნატახტუს აღმ. კალთის ძირას. რესპ.: „კოღუები გამოქცეულან სამურზაყანოს ილორიდან. ერთი ძმა აქ დამკვიდრებულა, მეორე – ნოქალაქევში, მესამე – სამტრედიაში (იქ კოღუაშვილებად იწერებიან). კოღუები ილორში დადიოდნენ მოსალოცავად მარიამობისა და აღდგომის მომდევნო კვირას. გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით მხოლოდ ამ მოსაზრების გამოთქმა შეიძლება: კოღო (მეტსახელი) → კოღოა → კოღუა (უფალკარი).

**საკოხიო** – დასახლ. უბანი საჯღამაიოს გვერდით. აქვე სასაფლაოსთან არის ეკლესია გოჭვილოხვამე//წმინდა გიორგიშ ოხვამე (გეჯეთი).

**საკულუო** – უბანი მდ. ცივის ნაპირას. კულუა მცირერიცხოვანი გვარია (სულ 122 სული საქართველოში, ძირითადად სენაკისა და ხობის რაიონებში). გვარი წარმოშობილი ჩანს პირსახელიდან: კულო → კულო-ა → კულუა (სენაკი, თეკლათი, მენჯი).

**საკუპესქუო** – უბანი ტეხურსა და საბარკალაიოს შუა. კუპესქუა გვარ კუპრეიშვილის ადგ. ვარიანტია. სამეგრელოში ჩამოსულან გურიიდან და ძირითადად სენაკისა და აბაშის რ-ნებში დამკვიდრებულან (პირველი ნოსირი).

**საკუპრეიშვილო** – კუპრეიშვილების უბანი ტეხურსა და უჩა ღალს შუა. რესპ.: „კუპრეიშვილების წინაპრები ყოფილა კუპრაძეები გურიიდან“. გვარის წარმოქმნის გზა: კუპრა → კუპრაიშვილი → კუპრეიშვილი (გეჯეთი).

**საკუპრესქუო//ნანეფიშ ჭალე** – ჭალა ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. კუპრესქუა გვარ კუპრეიშვილის ადგ. ვარიანტია (ისულა).

**საკუჭა** – 1. კუჭავების უბანი ცანასქურის ნაპირას, საჟვანიოს პირდაპირ (ეკი); 2. სერი გითოკირილიშ ღალსა და მენჯობას შუა. გრძელდება მდ. ცივის ნაპირამდე. ამ სერზე კუჭავები ესახლნენ. კუჭავა საქართველოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია. სამეგრელოში ამ

თვალსაზრისით გამოირჩევა სენაკის რ-ნი. გვარისათვის ამოსავალია მეტსახელი კუჭა „გაუმაძღარი“ → კუჭავა (გვარსახელი). შდრ. საისტორიო საბუთებში დადასტურებული კუჭაიძე, კუჭაშვილი, კუჭაძე (პალ, II, გვ. 545). (საგუნიო).

**საკუჭა(ო)** – ერქვა კუჭავების უბანს საკუჭაღალის სათავესთან, საგრიგალოს დას-ით (სენაკი).

**საკუჭაფერდი** – ფერდობები საკუჭაში (სენაკი).

**საკუჭაღელე** – ღელე. იწყება საკინწურაშვილოში და ერთვის რიონს მარცხ. მხრიდან (სენაკი).

**სალაკიო** – 1. ლაკიების უბანი სოფლის აღმ. ნაწილში. ამჟამად თითქმის დაცარიელებულია (შუა ხორში); 2. უბანი კოტოღალსა და ეკუსქურს შუა, სოფ. უფალკარის საზღვართან. სახლობენ გვარად ლაკიები (ლეკოკაიე).

**სალაკიოღალგ** – ღელე, სამატახერიოღალის მარცხ. შენაკადი. გაედინება ნადოხორუსა და საგოგენიოს შუა (შუა ხორში).

**სალაყაიაშ მინდორი** – მინდორი ქვედა სალომიოში. სალაყაია გვარსახელია (სენაკი).

**სალაშქარა//პირველი ტყირი** – უბანი სოფ. საგვარამიოს საზღვართან. ლაშქარა(ვა) (392 სული საქართველოში) → სალაშქარა „ლაშქარავების უბანი“ (აქ მკვიდრობს 43 კომლი ლაშქარავა). რესპ. ბ. ლაშქარავა: „ჩვენი „ძველები“ აფხაზეთიდან ყოფილან, გვარად ლაკირბაიები. ილორში წირვაზე დაუგვიანებიათ და მღვდლისათვის უთხოვიათ, ხელახლა დაიწყეო. არ დაუწყია... მოუკლავთ და აქ, ტყირში, დამკვიდრებულან. აქედან ილორში ფეხით მიდიოდნენ და შესაწირავი ხარი მიჰყავდათ. მეც ვყოფილვარ. პირსახელი ლაშქარა გვხვდება XVII ს-ის საბუთში (პალ, II, გვ. 558). ამავე სახელისაგან მომდინარეობს გვარები: ლაშქარაშვილი, ლაშქარაული, ლაშქარიშვილი (ტყირი).

**სალიპარტიანო** – საფეოდალო მარტვილისა და სენაკის რ-ნებში. „და არს ჭყონდიდიდან უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო“ (ვახუშტი, გვ. 777); „მერმე ლევან დადიანმან მისცა სალიპარტიანო და თჳსად მისანდობელ-ჰყო ფრიად“ (იქვე, გვ. 842). სოფელი სალიპარტიანო დაფიქსი-

რებულია დოკუმენტში „დავით დადიანის წყალობის წიგნი დგებუაძეებისადმი“, სადაც კონკრეტულად არის მითითებული: „ამას წყალობის სიგელსა გიბოძებთ თქუენ ქუეშევრდომსა ჩუენსა ჯვარის მაზრის სოფლის სალიპარტიანოსა შ-ა მცხოვრებთ“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლიპარიტი ბღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი ყოფილა. გვარი ლიპარტიანი სწორედ მისგან მომდინარეობს (სენაკის რ, მარტვილის რ.).(კეკელია, კურდღელია, ხარებავა, 2011, გვ. 60).

**სალიპარტიო** – ერქვა ლიპარტიების უბანს სოფ. რეკის საზღვართან. ლიპარტიები მრავლად ცხოვრობენ ზუგდიდის, ხობის, აბაშის რ-ნებში. გვარის არაოფიც. ვარიანტებია: ლეპარტია, ეპარტია, იპარტია (ბ.-მ. თქმის ზონაში). ლიპარტიები ირწმუნებიან, რომ წინაპრები ყოფილან ლიპარტიანები სვანეთიდან, იქ დღესაც მიჰყავთ შესაწირი მოზვერი. არაა გამორიცხული, გვარი წარმოქმნილიყო მეგრული პირსახელისაგან ლიპარიტი (ლიპარიტი → ლიპარიტია → ლიპარტია). (ბათარია).

**სალოლუო** – 1. სახნავები ოჯუმენეს მარცხ. ნაპირას (გოლასკური); 2. ლოლუების უბანი სოფ. საჯიჯაოს საზღვართან. გვარი ლოლუა დამოწმებულია XVII ს-ში შედგენილ წყალობის წიგნში (ქსძ, III, გვ. 881). ლოლა, ლოლო, ლოლოა კოლხეთში პირსახელებია (მაშასადამე: ლოლო → ლოლოა → ლოლუა). 1904 წლის აღწერის მასალებში ციზეთის მცხოვრებ ლოლუათა ერთი ნაწილი ჩაწერილა ლოლაშვილებად (ციზეთი).

**სალომაიო** – ლომაიების უბანი სოფ. ნოსირის საზღვართან (პირველი ნოსირი) და უჩა ღალსა და ეკუსქურს შუა. გვარი ლომაია მრავალგზის დასტურდება შუა საუკუნეების საეკლესიო-საისტორიო მასალებში (იხ. ქსძ, III, გვ. 415-419; პალ, II, გვ. 571). აღმოსავლური (კერძოდ ეგვიპტური) **ლიაბუ**,ბერძნულში შესულია ლეონ, ლევ, ხოლო იქიდან ქართულში ლომი, ლომა... ფორმებით (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 258). ამ სიტყვათაგან, რომლებიც პირსახელებად ქცეულან, წარმოქმნილა გვარები ლომაია, ლომია... თუმცა კი სე-

ნაკელი ლომაიები თვლიან, რომ მათი წინაპრები არიან ლომიძეები გურიიდან (ლეკოკაიე).

**სალომიო ჭალე** – სახნავი ზანაძგის ჭალაში (ზანა).

**სალომიო** – ერქვა სოფელს თეკლათის სას. საბჭოში, ქუთაის-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის ორივე მხარეს. ამჟამად ეს მაგისტრალი მას ყოფს ორ დიდ უბნად: **ზედა სალომიო** (რკინიგზის ხაზის ჩრდ-ით) და **ქვედა სალომიო** (რკინიგზის ხაზის სამხრ-ით). „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" 1930 წ. გამოცემის თანახმად, სოფ. სალომიოს მოსახლეობა შეადგენს 181 კომლს (847 სული). (სენაკი).

**სალუშაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი უჩა ღალის მარცხ. მხარეს. სალუშა ქალის სახელია (უშაფათი).

**სამალანიო** – მალანიების უბანი ეკუსქურის სათავესთან, ეკის მთის დას. კალთაზე (ლეკოკაიე) და სოფლის ცენტრიდან ციხე-გოჯისაკენ მიმავალ გზაზე. იხ. გადმოცემა გვარის უწინდელ საცხოვრისზე ლემალანესთან (ჯიხა).

**სამარულობჟუგუ** „სამარულოს ბორცვი" – ბორცვი ხუტუიავეს გვერდით. ამ ბორცვის გარშემო იმართებოდა მარულა (შუა ხორში).

**სამარჭო** – ჩაის ფართობი ლეცეკვეში, ტეხურის მარცხ. მხარეს. სამარჭო ვაზის ჯიშია. ნომენის წარმოქმნის გზა: სამაჭარო → სამაჭრო → სამარჭო (ჯოლევი).

**სამატახერიო** – მატახერიების უბანი სამატახერიოშ ღალის ნაპირას, საგოგენიოს ქვემოთ. მატახერია მცირერიცხოვანი გვარია (79 სული საქართველოში, მათგან 26 – სენაკის რ-ნში). **მატახერი** ხელობის აღმნიშვნელ ნომენი ჩანს. მეგრ. ტახუა//ტოხუა „მაგარი საგნის (ხის, ქვის) ამოჭრა, ამოკოდვა. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქვის ჩამურის (საცეხველის) ან სანაყის ამოკოდვა". ამ საქმის მცოდნეს შერქმევია მეტსახელი მატახერი „ამომკოდავი", საიდანაც წარმოიშვა გვარი მატახერია. 1905 წელს ხობში მცხოვრები მატახერიები აზნაურები იყვნენ (შუა ხორში)

**სამატახერიო(შ)ღალგ** – ღელე, საშურღულაიოშ ღალის მარცხ. შენაკადი (შუა ხორში, სკურია).

**სამაშა** – მაშავების უბანი ცივის მარცხ. მხარეს (სენაკი) და სოფ. რეკის საზღვართან (ბათარია). მაშავა მცირერიცხოვანი გვარია (სულ 210 სული საქართველოში, მათგან თითქმის ნახევარი – სენაკის რ-ნში). სავარაუდოა: მაშა → მაშავა. კოლხური პირსახელები მაშა, მაშუ მარუშან//მარშვან-ის შემოკლებული ფორმები ჩანს. მ. ქალდანი ერთმანეთთან აკავშირებს გვარებს მიშვ-ელ-ა-ძე, მეშვ-ელიანი, მაშ-ავ-ა (ქალდანი, 1980, გვ. 73).

**სამაჭავარიანო** – მაჭავარიანების უბანი ფაქვის მარჯვ. მხარეს, სადაც ამ გვარის 4 კომლი მკვიდრობს. როგორც ჩანს, მათი წინაპრები გადმოსულან იმერეთიდან, სადაც 3536 სული მაჭავარიანი ცხოვრობს (უფალკარი).

**სამეველოშანი** – ღელე სასიმონიოში. რესპ.: „კერძობაიაშ დროს ათაქი მეველეფი გეურდეს“ (ნოსირი).

**სამიანაკარუ** – საძოვარი ახალსოფლის დას-ით. სამია პირსახელია (სირიაჩქონი).

**სამიგინეიშვილო** – სერი მენჯღალსა და ცივს შუა. გვარის ძირითადი სამკვიდრო ჩანს აბაშის რ-ნი, სადაც აღნუსხულია მიგინეიშვილთა 474 სული. პირსახელი მიგინე გვხვდება XVII ს-ის პირველი მეოთხედის დოკუმენტში, საიდანაც ვიგებთ, რომ „მიგინეს შვილი პეპუ“ შეუწირავთ ბიჭვინტის მონასტრისათვის (ქსძ, III, გვ. 475). ზმნური ფორმა მიგინე, როგორც ჩანს, გასუბსტანტივებული და მეტსახელად ქცეულა. შდრ. გიგინეიშვილი (მრავლად არიან იმერეთსა და გურიაში). (საადანაიო).

**სამინდორიო** – სეხმინდორიას (იხ.) იშვიათი ვარიანტი (სახარბედიო).

**სამირგატიო** – 1. მირგატიების უბანი დათაშ ღალსა და სოფ. ზანას შუა, სოფ. სატყებუჩავოს საზღვართან. რესპ. ტ. მირგატია: „ჩვენი წინაპარი ბათულია მირგატია ჩამოსულა შონეთიდან. მისი შთამომავლები – ხუტუ, ლუსუე, ობიშხელა, ხილიე და სხვანი მოსალოცად დადიოდნენ სოფ. ჯვარში. აქ ხარს დაკლავდნენ, ჯვარში კი აგზავნიდნენ ხურდა ფულს, სანთელს, სხვა შესაწირს. ანდრია აფაქიძის ბაბუასთან, მარშალ ვარადებულ აფაქიასთან მინახავს საბუთი, რომ ლევან პირველმა დადიანმა, აჩუქა აფა-

ქიძეს ოთხი ოჯახი – ბახულია მირგატია, გულისკაკა ტყებუჩავა, ქრისტეშია ესებუა და დოხვადი ბოჯგუა“ (საესებუო); 2. მირგატიების უბანი მირგატიაშ ღალის მარცხ. მხარეს, მეორე მოხაშის საზღვართან. რესპ. დ. მირგატიას (77 წ.) ბაბუა საბაია, მოსულა სააფხაზოდან, დაქორწინებულა ლესიჭინელ ქალზე – აღათიაზე და გამრავლებულან (მოხაში).

**სამირცხულა** – მირცხულავების უბანი სოფლის ცენტრის აღმ.-ით, ჭყოჭყოშ დღურუს სათავესთან. „ქართული სამართლის ძეგლების“ XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში გვხვდება როგორც მირცხულავა (ერთგან), ისე მირსხულავა (ერთგან) და მისხულავა (ორგან). (იხ. ქსძ, III, გვ. 647, 648, 676, 770). ივ. ჯავახიშვილმა გვარი მირცხულავა დაუკავშირა მეგრულ სიტყვას მურიცხი („ვარსკვლავი“) და გვარი გაიაზრა როგორც „ვარსკვლავას შვილი“ (დიდი ხორში).

**სამსონიშ ჭალე** – ჩაის ფართობი კოლოპიის ნაპირას (ფოცხო).

**სამსოშ წყარი** – წყარო საკინწურაშვილოში (სენაკი).

**სამხედრო ცვანა//გიგოიაკარი** – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. სენაკიდან ჩამოსული სამხედრო მოსამსახურეები ამუშავებდნენ ამ ნაკვეთს. გიგოიაკარი კი უფრო ადრე ერქვა (ლებაღათურე).

**სანა** – ღელე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი სირიაჩქონთან. სირიაჩქონის ღელეები სწორედ სანას ერთვის (საგვიჩიო, სირიაჩქონი).

**სანა//სანაძგა//სანაშ ფარტე** – ღელე, ფიცუს მარჯვ. შენაკადი ღორთოლის შესართავს ქვემოთ. სათავეს იღებს ნატებუსა და სახეციოტყაში. რესპ.: „ფარტე რე დაბალი ადგილი, ნაჭვიმორი წყარი გოფაჩილი მეურცუნი, თინა რე ფარტე. კალაპოტი ვაუღუ“ (ტყირი).

**სანაკჭალე** – ჭალა ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. **სანაკი** ოიკონიმ სენაკის ვარიანტია (ძველი სენაკი).

**სანარაკიო** – საძოვარი კაკუტიაღალის მარჯვ. მხარეს, ნადოხორს ქვემოთ. **ნარაკია** გვარსახელია. ამტკიცებენ, რომ ისინი წარმოშობით ნორაკიძეები არიან (შუა ხორში).

**სანარსქუო** – ნაროუშვილების უბანი საავტ. ტრასაზე. ნაროუშვილი, როგორც გვარსახელი, მეგრული წარმომავლობისა ჩანს (საქართველოში აღრიცხული 915 სულიდან 500-ზე მეტი მკვიდრობს სენაკის, მარტვილისა და ჩხოროწყუს რ-ნებში). არაოფიც. ვარიანტია: ნარო(უ)სქუა და ნაროსქუა. ამასთანავე, **ნარო** მეგრულში პირსახელია. ვარიანტი ნაროშვილიც მხოლოდ სამეგრელოში გვხვდება (ახალსოფელი).

**სანაშ ფარტე** – ღელე. იგივე სანა (ტყირი).

**სანაძგა** – ღელე. იგივე სანა (ახალსოფელი).

**სანაჭყებიო** – ნაჭყებიების უბანი ზანაძგის მარჯვ. მხარეს, საკვირაიოსა და საზარანდიოს შუა. გვარი ნაჭყებია საქართველოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია (5757 სული, 58-ე ადგილი). სამეგრელოში ეს გვარი მე-9 ადგილზეა (3867 სული). გვარის ბუდეა ტეხურის მარჯვ. მხარეს მდებარე სოფლები (მარტვილის რ-ნი). გვარი დამოწმებულია 1621 წლის საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 413). დასტურდება ვარიანტები ლაჭყებია და ლაჭყეპია. ლეჩხუმსა და იმერეთში გვხვდება გვარები ლაჭყებიანი (55 სული) და ლაჭყეპიანი (140 სული). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლეჩხუმელი ლაჭყებიანების ძირი გვარია ნაჭყებია. ისინი დადიანთან კონფლიქტის გამო სოფ. ბანძიდან გადასახლებულან ლეჩხუმის სოფ. ტვიშში (იხ. თოფჩიშვილი, 1993, გვ. 15). (ეწერი).

**სანგიაშ ნოხორი** – ბორცვი გურძემიის მარჯვ. მხარეს. სანგია ← სანიგია ← სანიკიძე (ბეთლემი).

**სანდროშ ნოხორი** – მინდორი საგოგენიოში (შუა ხორში).

**სანი** – 1. ღელე, მდ. ჯაფხინჯის მარჯვ. ტოტი სოფ. ქვალონის საზღვართან (გოლასკური); 2. ღელე. გაედინებოდა ციასა და უჩა ღალს შუა. იყოფოდა ორ ტოტად: ერთი ერთოდა უჩა ღალს, მეორე კი ჩაედინებოდა ყორათის არხში (მუხური).

**სანინუო** – 1. ერქვა ნინუების უბანს ცანასქურის მარცხ. მხარეს (საგუნიო, ეკი); 2. ნინუების უბანი ფოცხოს საზღვართან (ბეთლემი); 3. ნინუების უბანი შხეფის ჩრდ. ნაწილში. სამხრ-ით ესაზღვრება სასახოკიო (სენაკი). **ნინო** ქალის სახელია, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ცნობილია ქალის სახელიდან მომდინარე გვარებიც. ამასთანავე, ნინუა პირსახელადაც გვხვდება (ქსს, 1986).

**სანძღვარღალგ** – ღელე. იგივე საზღვარღალ (საგვიჩიო).

**საო(ბ)შო** – ჭალა-სახნავები ხობისწყლის მარჯვ. მხარეს, სოფ. რზენის საზღვართან. რესპ.: „ერთად ამუშავებდნენ და იყოფდნენ". რუს: общий „საერთო, საზოგადო, საყოველთაო" → მეგრ. ობში „საერთო საკუთრება" (ეწერი).

**საოდიშარიო** – სოფელი ტეხურის მარცხ. მხარეს, მარაგანის ორივე ნაპირას, სადაც გადის ნოსირი-ზანათის გზატკეცილი. ესაზღვრება: ჩრდ-ით – სოფ. საბესელიო და სოფ. ნოსირი, დას-ით – სასიმონიო, აღმ-ით – ზანათი. საოდიშარიოს მცხოვრებნი „გერგობაზე" დადიოდნენ სუჯუნაკარში. რესპ. ვ. ოდიშარია: „ქარი მონგდეს უსაშველეთ დო თექი ღორონთს ოხვეწუდეს". ოდიშარიები გადმოსულან მარტვილიდან... სოფლის სალოცავი „წმინდა სტეფანა" მარაგანის მარჯვ. მხარესაა. ოდიშარი ნიშნავს ოდიშელს. -ა ტოპოფორმანტმა წარმომავლობა-სადაურობის სახელი გვარსახელად აქცია. საისტორიო წყაროებში დადასტურებულია როგორც საზოგადო სახელი ოდიშარი, ისე გვარსახელი ოდიშარია (ქსძ, III, გვ. 479). (ნოსირის თ/ს).

**საონთხო** „საოთხო" – საძოვარი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს, ლეკორშიეში. ოთხი კაცის საზიარო იყო (უშაფათი).

**საორგიო** – მორევი ტეხურზე. იგივე მიონჩურაფუ (ჯიხა, კოტიანეთი).

**საორგიო//ორგია** – ხერთვისი, რიონისა და ტეხურის შესართავი. ფართო მორევია, სადაც ხშირად იმართებოდა შეჯიბრი მხარულ ცურვაში. რესპ.: „ფართო წყარი რე, ბთქუანდით, ორგია ქიგუაშქვათია". ორგია ბერძნული სიტ-

ყვაა და მეგრულში ნიშნავს: 1. მანძილი გაშლილი ხელე-ბის შუათითების წვერებშუა; 2. მხარული ცურვა. შდრ. ალ. ქობალია: „**ორგია** – გაშლილი მკლავის სიგრძე; მხარული (ცურვის სახეობა)“. (ისულა).

**საორიო** „საჩრდილობელი“ – ტყე ეკის მთაზე (საწუ-ლეისკირიო).

**საოტკო** „საარყე“ – მინდორი საგაბელიოში. რესპ.: „მენშევიკების დროს არყის გამოხდა აკრძალული იყო და აქ, ტყეში, ხდიდნენ მალულად“ (შუა ხორში).

**საოცუჯა** – ერქვა ოკუჯავების უბანს კაკუტიაღალის ზემო წელზე. ოცუჯა(ვა) გვარ ოკუჯავას არაოფიც. ვარიან-ტია. თუმცა სავარაუდოა: **ცუჯი** „ყური“ → უცუჯა „უყურო, ე.ი. შეუსმინარი, გაუგონარი“) → ოცუჯა (მეტსახელი) → ოცუჯავა (გვარსახელი). (ციზეთი).

**საოჩიგაო//საოჩიგოშ დინო** – ოჩიგავების უბანი მდ. აბაშის ნაპირას. რესპ.: „ოჩიგავების შთამომავლები ხურდა ფულს აგზავნიდნენ ილორსა და ყულევში „გინაჩამუშა დო გითახვამუშა“. გვარის წარმომავლობის ხალხ. ეტიმოლო-გია: „ოჩიგავების წინაპრებს ბატონთან ყოველწლიურად მიჰქონდათ კოკა ღვინო და მიჰყავდათ თხა“. ერთხელაც რომ მოსულან ბატონთან, უთქვამთ: „ღვინი მოიღითია დო ოჩი თხა მოიცუნითია“. თხა თოკით ყოფილა გამობმული კოკის ყურს. გაუწევია და გაუტეხავს. ამიტომ დაურქმევი-ათ „ოჩი გა“. სამეგრელოში მოგზაურობისას ე. თაყაიშ-ვილს სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის კედელზე ამოუკითხავს გვარი „ოჩიგავა“ (წარწერას ათარიღებენ XV-XVI სს-ით). გადმოცემით, ეს ეკლესია აუშენებიათ აზ-ნაურ ოჩიგავებს და მათი სასაფლაოც აქვე ყოფილა. ვარი-ანტი ოჩაგავა (კალმის შეცდომა თუ არაა) გვხვდება 1733 წლის საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 732). (გეჯეთი).

**საოჩიგოშ დინო** – უბანი. იგივე საოჩიგაო (გეჯეთი).

**საპარკაიო** – დასახლ. უბანი მაღლაკონის მარცხ. მხარეს. შდრ. ქართული გვარები პარკაძე, პარკაშვილი, პარ-კაული (დიდი ხორში).

**საპაჭკორიო** – 1. ერქვა პაჭკორიების უბანს კაკუტია-ღალის ხეობაში, სოფ. ქვალონის საზღვარზე (ციზეთი); 2.

პაჭკორიების უბანი მდ. ცივის მარცხ. ნაპირას. გვარი პაჭკორია ქმნის მრავალ დასახლებულ უბანს სამეგრელოში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 120). დასტურდება შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში. გ. როგავას ეტიმოლოგია: პაპაშ ჭკორი „მღვდლის ყმა" → პაპაჭკორი → პაჭკორია (საცხვიტაო).

**საპენო** – მინდორი აეროდრომში, ღორთოლის ორივე ნაპირას (ტყირი, საგვარამიო).

**საპენოღელო** – ღელე, ღორთოლის მარცხ. შენაკადი (საგვარამიო).

**საჟვანიო** – 1. ერქვა ჟვანიების უბანს სოფლის დას. ნაწილში, მაღლობზე, სოფ. ეკის საზღვართან (საგუნიო); 2. უბანი ეკუსქურის მარჯვ. მხარეს, უშაფათის საზღვართან (უფალკარი); 3. უბანი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას (თეკლათი); 4. უბანი სოფლის ცენტრსა და ოფაჩაფუს შუა, ყოფილი ხეხილის მეურნეობის ტერიტორიაზე (ახალსოფელი); 5. უბანი ცანასქურის ნაპირას (ეკი). ჟვანია მრავალრიცხოვანი გვარია (3454 სული საქართველოში. სენაკის რ-ნში უკავია 31-ე ადგილი (362 სული). (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 121-122). ჟვანიები XVIII-XIX სს. მიჯნაზე ყოფილან საუფლისწულო აზნაურები (სოსელია, 1990, გვ. 97). გვარისათვის ამოსავალია ბერძნულიდან შემოსული საკუთარი სახელი იოანე (ივანე). თავდაპირველად მომხდარა თავკიდური ხმოვნის იოტიზაცია და შემდეგ პალატალიზაცია. ამ საკითხებს შეჰხებიან ნ. მარი, გ. ახვლედიანი, თ. გონაშვილი. გვარის წარმოქმნის დაზუსტებული სურათი ასეთია: იოანე → ჲოანე → ჟოანე → ჟოანეა→ჟუანია → ჟვანია (აფრიდონიძე, 1987, გვ. 254. აქვეა მოცემული სათანადო მოსაზრებათა დაწვრილებითი ანალიზი. 1904 წლის აღწერის მიხედვით ეკში, უშაფათში... მცხოვრები ჟვანიები აზნაურები არიან.

**სარდიშ ნაცუდუ** – ჩაის ფართობი. იგივე სარდიშ ნოხორი (ფოცხო).

**სარდიშ ნოხორი//სარდიშ ნაცუდუ** – ჩაის ფართობი ცივის მარჯვ. მხარეს, ახუთის საზღვართან. სარდი ← სარდიონი (ფოცხო).

**სარხინოშ ნაკარუ** – სამოვარი სოფ. ისულის საზღვართან აქ „კარე“ ჰქონდა სალხინოს კოლმეურნეობას (ტყირი).

**სასალაყაიო** – 1. სალაყაიების უბანი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირას, სოფ. თეკლათამდე. რესპ.: „ძველები მოსულან ოტობაიიდან სამი საუკუნის წინათ. თავდაპირველად დამკვიდრებულან ძონძირში, მერე მენჯსა და თეკლათში“ (იხ. გვარ სალაყაიაზე: ცხადაია, 2000, გვ. 124). (ბათარია); 2. სახნავები სოფ. რეკის საზღვართან, სათევზაიოს გვერდით. უწინ სალაყაიების უბანი ყოფილა (თეკლათი).

**სასახესქუო** – უბანი საკანკაოს დას-ით. ცხოვრობენ სახეიშვილები. რესპ.: „სახეიშვილები წარმოშობი ვართ სანებლიძეები ცაგერიდან. იქ ჩვენს წინაპარს – კურიკია სანებლიძეს, კაცი მოუკლავს და აქ ჩამოსულა. მისი შვილები იყვნენ შარაშია, ანჩიბაია, კვინჩაია... სახეიშვილების ერთი ნაწილი აქედან ოტობაიაში წასულა საცხოვრებლად“. კომპლექსი -ეი ცხადყოფს, რომ გვარსახელი სახეიშვილი სამტრედიის რ-ნშია გავრცელებული. სახესქუა ადგილობრივი არაოფიც. ვარიანტია (შუა ხორში).

**სასახოკიო** – სახოკიების უბანი შხეფის ჯიხასა და ტეხურისპირა ჭალას შუა, სოფ. ძველი სენაკის საზღვართან (სენაკი).

**სასერგიო** – სერგიების უბანი მანცხვარკარის ფერდობებსა და ნიშიას სათავესთან. გვარი სერგია დამოწმებულია 1569 წელს შედგენილ შეწირულების წიგნში და „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.). (იხ. ქსძ, III, გვ. 275, 440-443, 453). საერთოდ კი, პირსახელი სერგი ლათინურიდანაა ნასესხები და მისი კნინობითი ფორმა სერგია გვარსახელადაა ქცეული (ჭუმბურიძე, 2003, გვ. 199-200). (ციზეთი).

**სასიგუე** – უბანი. იგივე ლესიგუე. ჩვენი აზრით, გვარი მეგრული წარმომავლობისაა. სიგუა „დაბეგვა, ჩახეთქვა“ → *მსიგუ „მოჩხუბარი, უზომოდ მჭამელი“ → სიგუ (მეტსახელი) → სიგუა (გვარსახელი). (კვაუთი).

**სასიმანიო** – უბანი. იგივე სასიმონიო (ნოსირი).

**სასიმონიო//სასიმანიო** – სიმონიათა უბანი ტეხურის მარცხ. ნაპირას, საოდიშარიოს საზღვარზე. იშვიათად გა-

მოიყენება სოფ. ნოსირის მნიშვნელობითაც. გვარისათვის ამოსავალია ებრაული პირსახელი სიმონი (ნოსირი).

**სასირიო** – სირიების უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს, პირველი ნოსირის საზღვართან. აქ გადიოდა საქარავნო გზა და სასირიოსაც სოფლის სტატუსი ჰქონდა. სავარაუდოა: ძვ. ქართული **სირი** „ჩიტი" → სირი „მეტსახელი" → სირია (გვარსახელი). შდრ.: სვანურში სირი პირსახელია (შუა ნოსირი).

**სასოლომონიო** – მიკროუბანი სასიმონიოსა და ტეხურს შუა. გვარისათვის ამოსავალი პირსახელი სოლომონ ძველი ებრაულიდანაა შეთვისებული (საოდიშარიო).

**სატაბაღუო** – ტაბაღუების უბანი კაკუტიაღალის სათავესთან, ნაღუმუს ჩრდ-ით. ვარაუდობენ, რომ ტაბაღუას ფუძე ტაბაღ- უნდა იყოს დაკავშირებული ძველ აღმოსავლეთში ცნობილ ეთნონიმ ტაბახ-თან (მაისურაძე, 1981). გ. როგავას აზრით, ფორმა ტაბაღუა უცხოური წარმომავლობისაა და არა -უა დაბოლოებიანი კოლხური სახელი (როგავა, 1955, გვ. 6). (ციზეთი).

**სატივო ღელე//ურეკიშ ღელე** – ღელე, ზღურზღულის მარჯვ. შენაკადი. აქედან გაჰქონდათ ტივით ხეტყე პალიასტომის ტბაში და შემდეგ ფოთის სახერხ ქარხანაში (საგვიჩიო).

**სატყებუჩავო** – 1. სოფელი მდ. ზანაძგის ორივე მხარეს, სოფ. ლესიჭინესა და სოფ. ზანას შორის. აღმ-ით მდ. ცივია, დას-ით – სოფ. ეწერი (ზანის თ/ს); 2. უბანი სოფ. საშურღაიოს საზღვართან (ზანა). იხ. გვართან დაკავშირებით: „ლეტყებუჩე".

**საურიო** – მინდორი ოხოჯესთან, სადაც იარმუკობა იმართებოდა. გასაყიდი საქონელი ძირითადად ურიებს მოჰქონდათ. ურია „ებრაელი" (ძველი სენაკი).

**საფარღალა** – უბანი სოფლის დას. ნაწილში, იმანიორის კალთაზე. ფარღალავა მცირერიცხოვანი გვარია (228 სული საქართველოში). ვარაუდი: გვარისათვის ამოსავალია მეტსახელი ფარღალა//ფარხალა „ფარფატა, ფამფალა" (უფალკარი).

**საფარცვანიო** – ფარცვანიების უბანი სახუბლასა და საფარღალას შუა. ჩვენი ვარაუდი: ფარსმან → ფარცმან → ფარცვან → ფარცვანია (უფალკარი).

**საფაღავა** – უბანი. იგივე საელიო. გვარი ფაღავა დამოწმებულია XVII-XVIII სს-ის შეწირულების წიგნსა და მხატვრულ წარწერაში. ფაღავები იყვნენ თავადებიც და აზნაურებიც. იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ ფაღავა „იყო ორბელიანთა გვარისა, რომელიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ ფაღავაშვილებად წელსა 1271" (ბაგრატიონი, 1997, გვ. 130). ვახუშტი ბატონიშვილიც ფაღავას ასახელებს ოდიშის თავადთა შორის. გვარის წარმომავლობასთან დაკავშირებით მოსაზრებანი იხ. ცხადაია, 2000, გვ . 133 (უფალკარი). იხ. აქვე: საელიო//საფაღავა.

**საფაჩოსკუო** – ერქვა ფაჩოშვილების უბანს საარახამიოსა და ეკის მთის კალთებს შუა. ფაჩოსკუა ამ გვარის მეგრული ვარიანტია (კოტიანეთი).

**საფაჩულიო** – ფაჩულიების უბანი მენჯღალის ნაპირებზე (დიდი ხორში) და სერზე, სოფლის აღმ. ნაწილში. სოფელში მცხოვრები ფაჩულიები მოსალოცავად დადიოდნენ ილორში. მათი წინაპრები აფხაზებს გამოუდევნიათ ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკადან. აქ დამკვიდრებულებს მშობლიური სოფლის სახელიც გადმოუტანიათ (რეკა).

**საფაცერო ღალგ** – ღელე, ქვაფონის მარცხ. შენაკადი. ფაცერი, იგივე გეჩა, თევზის საჭერი წნული ღარია: უდგამენ მდინარის ტოტს. წყალი წნულში გადის და თევზი ზედ რჩება (სირიაჩქონი).

**საფერცხელა(შ)ღალგ** – ღელე, საზღვარი საგაბესკირიოსთან. გაედინება შუა ხორშის აღმ. ნაწილიდან საადანაიოსკენ (შუა ხორში).

**საფითურიო** – უბანი სოფლის ცენტრ. გზაზე. ფითურია ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (სულ 28 სული საქართველოში). ნაქალაქევის თემში ცხოვრობს ხუთი კომლი. წინაპრები ჩამოსულან ჯვარიდან. გვარად ყოფილან ფიფიები. სამი ძმიდან ერთი აქ დამკვიდრებულა, მეორე – ნაჯახაოში, მესამე – ილორში. გვარად მიუღიათ ფითურია (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 134). სავარაუდოა: ფითუ (პირსახე-

ლი) + -ურ (კნინობითობის სუფიქსი) → ფითურია (გვარსახელი). (გახომელა).

**საფილიო** – ფილიების უბანი ცივის მარცხ. მხარეს. მოსალოდნელია: ფილი, ფილა, ფილო... (პირსახელები სვანეთსა და კოლხეთში. იხ. ქსს, 1986) → ფილია (გვარსახელი). (სენაკი).

**საფოჩხუო** – უბანი სასოლომონიოს გაგრძელებაზე. გვარის ძირითადი ნაწილი (120 კომლი, 1996 წელს) ცხოვრობს მარტვილის რ-ნის სოფ. ვედიდკარში (ნოსირი, საოდიშარიო).

**საფრონტო** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს, ახუთის საზღვართან (ფოცხო).

**საფულარიო** – ფულარიების უბანი ნიშიასა და კაკუტიღალის წყალგამყოფზე, უწინდელ რვაწლიან სკოლასთან. შდრ. ფულარიანი (ძირითადად იმერეთში). რაჭველი ფრუიძეებისაგან ჩაწერილი გადმოცემით, მათი წინაპრები ყოფილან ფულარიები სამეგრელოდან. შდრ.: „ფულარია ფრუიძეების ერთი შტოა, სვანეთში გადასული და ფულარიანებად დაწერილი" (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 16). (ციზეთი)

**საქაბურზანიო** – ქაბურზანიების უბანი ლოფუეშის ნაპირზე. ქაბურზანია (ისევე როგორც ხაბურძანია) გვარ ხაბურზანიას ვარიანტია. უწინ ესახლნენ შორიახლო გორებზე, სადაც მათ ნასახლარს ეწოდება ლექაბურზანიე (კვაუთი).

**საქანთარიო** – ქანთარიების უბანი სოფ. საჩიქობავოსკენ მიმავალ გზაზე. რესპ.: „ქანთარიები სინამდვილეში ქავთარაძეები არიან და იშვიათად ასეც ვუწოდებთ". ვარაუდები: ქალანთარი//კალანტარი (აღმოსავლური სამოხელეო ტერმინი) „ციხისთავი, ქალაქის გამგებელი" → ქანთარი → ქანთარია; ჩვენი ვარაუდი: კანთი (მთისძირა სოფელი წალენჯიხის რ-ნში) → კანთარი „კანთის მცხოვრები" → ქანთარია (გვარსახელი). (ძველი სენაკი).

**საქაშბაძო** – ქაშიბაძეთა უბანი სოფ. საგუგუნავოს საზღვართან, ჭყოჭყოშ დღურუს მარჯვ. მხარეს. ქაშიბაძეთა წინაპრები მოსულან იმერეთიდან (დიდი ხორში).

**საქაჩბაიო** – უბანი საკინწურაშვილოს დას-ით, ეკის მთის ძირამდე. ქაშიბაია//ქაჩიბაია (გვარსახელი) → ქაჩბაია (ფონეტიკური პროცესი ანთროპონიმულ დონეზე). „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის" მიხედვით, ეს უბანი, როგორც სოფელი საქაჩიბაიო (28 კ., 124 ს.), შედიოდა თეკლათის სას. საბჭოში. გ. წულაიას აზრით, გვარი ქაშიბაძე ადიღეური წარმომავლობისაა (წულაია, 1989, გვ. 110). (სენაკი).

**საქაჩბაიოშ ღალე** – ღელე. გაედინება რკინიგზის სადგურთან და მიემართება აეროდრომისაკენ (სენაკი).

**საქირიო** – ქირიების უბანი ეკუსქურის მარცხ. მხარეს, სახუნჯუოს გვერდით, სოფ. საგუნიოს საზღვართან. **ქირია** ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია სამეგრელოში. როგორც ჩანს, **ქირი** „ქორი" იქცა მეტსახელად, ხოლო -ა სუფიქსის დართვით – გვარსახელად (შდრ. ქორიძე). (ეკი).

**საქოჩაქიო** – სახნავები სოფ. ჭალადიდის საზღვართან. ქოჩაქია ქოჩაკიძის (გვარსახელია) ადგ. ვარიანტია. 1904 წლის აღწერის მონაცემებით, თეკლათში მცხოვრები ქოჩაკიძეები აზნაურები ყოფილან. გვარს აკავშირებენ თურქულ სიტყვასთან ქოჩაკ-ი „მამაცი, თამამი" (გურგენიძე, ჯიქია, 1994, გვ. 20, 117). (გოლასკური).

**საქოჩაქიო ტყა** – ერქვა ტყეს ნოცენის ნაპირებზე (მუხური).

**საქუჩ(უ)ლორიო** – ქუჩულორიების უბანი. იგივე ლექუჩ(უ)ლორიე (ფოცხო).

**საღადალაძო** – ღადალაძეების უბანი ჭიჭე შხეფში. ღადალაძე მცირერიცხოვანი გვარია – სულ 41 სული საქართველოში. ამ -ძე დაბოლოებიანი გვარის სამშობლო სამეგრელოა. **ღადალა** ნიშნავს „მოღადავეს, ბევრი ლაპარაკის მოყვარულს" (ძველი სენაკი).

**საღვამბერიო** – ღვამბერიების უბანი სერზე, კაუტიასა და ოდოსქირეს შუა. რესპ. ვ. ღვამბერია: „ჩემი წინაპარი ყოფილა ღოღობერიძე ზესტაფონის მხრიდან. იქ მღვდელი მოუკლავს და, გამოქცეული, აქ დადიანს მიჰკედლებია. მე ვარ მეოთხე მოდგმა და არ მახსოვს, რომ იქ ვინმე წასული-

ყოს სალოცავად“. არაა შეუძლებელი: ღოღობერი „ღოღოს შვილი“ → ღვამბერიძე//ღვამბერია (შუა ხორში).

**საყურაშვილო** – უბანი. იგივე ლეცურასკუე (ფოცხო)

**საცურუო** – ცურუების უბანი ხორგიში. ცურუა ყურუას (გვარსახელი) ადგ. ვარიანტია. რესპ.: „ცურუები ყოფილან ყურაშვილები ლეჩხუმიდან, ოყურეშიდან. იწერებოდნენ ყურუებად. ახლა ყურაშვილებს ამჯობინებენ“. ვარაუდი: მეგრ. ცურუ „ყრუ, ხამი, გაუგებარი, უმწიფარი“ → ცურუა (მუხური).

**საცურუოსკარი//ვერხიშჯინჯი** – მინდორი მდ. ცივის ნაპირას, საცურუოს გვერდით (მუხური).

**საშარტაო** – შარტავების უბანი სოფ. საჯიჯაოს საზღვართან, სოფლის სამხრ. ნაწილში. ისტორიულად დოკუმენტირებულია სვანური პირსახელი შარტან, ე.ი. შესაძლებელია: შარტან → შარტა → შარტავა (პატარა ზანა).

**საშარტაშ დღურუ** – ღელე, დღურუს მარცხ. მდგენელი (საგუგუნავო).

**საშაფათო** – შაფათავების უბანი ჭიჭე შხეფში. 1621 წელს შედგენილ საეკლესიო გლეხთა დავთარში აღნიშნულია: „არის სენაკს შაფათაა, მართებს...“ (ქსძ, III, გვ. 413). ჭიჭე შხეფში მკვიდრობს ამ გვარის 11 კომლი. ვარაუდი: ქართ. შაბათა (ე.ი. შაბათს დაბადებული) → მეგრ. შაფათა → შაფათავა (ქსს, 1986). (ძველი სენაკი).

**საშეროზიო//ლეშეროზიე** – შეროზიების უბანი ეკუსქურის მარჯვ. მხარეს, სოფ. ლეკოკაიეს საზღვართან. საქართველოში ცხოვრობს შეროზიათა 1851 სული (ძირითადად ზუგდიდის, წალენჯიხის და სენაკის რ-ნებში). უშაფათში 1996 წელს მკვიდრობდა ამ გვარის მატარებელი 23 კომლი (უშაფათი).

**საშონიო** – შონიების უბანი ხანჯარის მარცხ. მხარეს. გვარ შონიას სამეგრელოში უკავია მეხუთე ადგილი (5210 სული). დასახელებულია XVI ს-ის რამდენიმე გუჯარში (ქსძ, III, გვ. 350, 433, 479). მეგრულში შონი (← სვანი) სატომო სახელია, მაგრამ მეტაფორულად აღნიშნავს ბრაზიანს, მოუხეშავს და, შესაძლებელია, მეტსახელადაც ქცეულიყო (ფოცხო).

**საშურღაიო** – 1. ერქვა შურღულაიების უბანს სოფ. საგაბესკირიოს საზღვართან (სკურია); 2. შურღაიების უბანი გუნურსა და ფაქვას შუა, სამაჭავარიანოს ჩრდ-ით (უფალკარი). 3. სოფელი მდ. ცივსა და ზანაძგას შუა. ესაზღვრება: ეწერი, ზანა, უფალკარი. გვარი შურღაია დასახელებულია XVI ს-ის საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, 349). არაა გამორიცხული: ქართ. შუღლაძე → მეგრ. შუღლაია → შურღაია. იქნებ შურღულაია → შურღაია? (ზანის თ/ს).

**საშურღაიოშ სასაფლა** – სასაფლაო ცივისა და ჭიჭე დღურუს გამყოფ სერზე. რესპ.: „ნახუტურუ ცოფე თექი დო უკული უკურთხებუ ეპისკოპოსის, ზუგიდიშე მუცუნაფუნა“ (საშურღაიო).

**საშურღულაიო** – შურღულაიების უბანი სოფ. სკურის საზღვართან, ლომურის აღმ-ით, საგოგენიოსა და საგვასალიოს შუა. „საცაიშლო დავთარში“ (1616-1621 წწ.) დასახელებულია გვარი შუღულაია (ქსძ, III, გვ. 443). არაა გამორიცხული: მეგრ. შურღულა „სულმრუდე“ (ეშმაკი, ცბიერი კაცის მეტსახელი) → შურღულაია. (შუა ხორში). შდრ. საშურღაიო.

**საშურღულაიოშ ღალგ** – ღელე, სკურიის მარჯვ. მდგენელი (შუა ხორში).

**საჩალანდრო** – ერქვა ბერთემ-ნოქალაქევ-სენაკის საჩალვადრო გზის მონაკვეთს. მასვანჯებუ სწორედ ამ გზაზე მდებარეობდა. სპარს. ჩა̄რვა̄და̄რ ქართულში შემოსულა ჩალვადარ ფორმით, ხოლო ქართულიდან მეგრულში – როგორც ჩალანდარი (ბეთლემი).

**საჩალიგაო** – ჩალიგავების უბანი სოფლის ცენტრიდან დას-ით, სოფ. ქვალონის საზღვრამდე (ბათარია) და შხეფის აღმ. ნაწილში (სენაკი). იქნებ: სვან. ჩარეგ (პირსახელი) → მეგრ. ჩალიგა.

**საჩარტიო** – ჩარტიების უბანი ზემო ბიის საზღვართან (ციზეთი).

**საჩახაიო** – ჩახაიების უბანი სოფ. სატყებუჩავოს საზღვართან. **ჩახა** მეგრულში პირსახელია. -ვა გვარს აწარმოებს (ზანა).

**საჩემიო** – 1. დასახლ. უბანი ტობაღელესა და საკუჭაღელეს შუა, ტეხურის მარცხ. მხარეს, საჩემიოშ გოლას კალთაზე. ჩემია გვარსახელია (სენაკი); 2. ჩემიების უბანი ტეხურსა და უჩა ღელეს შუა, სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ჩემა პირსახელია (ქსს, 1988).(გეჯეთი).

**საჩემიო(შ)გოლა** – მთა საჩემიოს უბნის თავზე, ჯიხას აღმ-ით. აქაა ტბა ოხარკალე//ფართო წყარი//ოზირი (სენაკი).

**საჩემიოშ მორთუ** – წყალტრიალა მორევი ტეხურზე, საჩემიოს უბანში. მართუ, მორთუ – მორევი, სადაც წყალი ბრუნავს, ტრიალებს (სენაკი).

**საჩეხი** – 1. ერქვა ტყეს ღალიჩის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „თე ტყას ჩეხუნდეს. ეთიშენი რე საჩეხი“ (ნოსირი); 2. მინდორი ღელე გახომილას სათავესთან (გახომელა); 3. სახნავი საკანკაოში. **საჩეხი**: ა. საქონლის სამწყვდევად შემოკავებული ადგილი; ბ. წისქვილის წყლის საგუბარი (შუა ხორში).

**საჩეხიშ ცხაცხუ** – ცაცხვი საჩეხში (შუა ხორში).

**საჩილაჩაო** – ჩილაჩავების უბანი სოფ. წყემის საზღვართან. სამ ძმა ჩილაჩავას გურძემში მღვდელი მოუკლავს. გამოქცეულან: ერთი აქ დამკვიდრებულა, მეორე – ზუგდიდში, მესამე კი – ოჩამჩირის რ-ნში. 1733 წლის საეკლესიო საბუთი გვამცნობს, რომ საწულეისქიროში მცხოვრები ჩილაჩავა ბიჭვინთისათვის შეუწირავთ „მისის ყოვლისფერიანად“ (ქსძ, III, გვ. 731). (პირველი ნოსირი).

**საჩინოშ ნაკარუ** – მინდორი კითში. აქ აძოვებდნენ სოფ. საჩინოს (წალენჯიხის რ.) კოლმეურნეობის საქონელს (ისულა).

**საჩინოშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლენიკოლესა და ლეშამათეს შუა. საჩინო პირსახელია (ფოცხო).

**საჩიქობავო** – სოფელი ეკის მთის სამხრ. კალთაზე. სამხ.-ით ესაზღვრება შხეფი (ქ. სენაკი), აღმ-ით – სოფ. ძველი სენაკი. ცხოვრობენ ჩიქობავები. ისინი თვლიან, რომ მათი წინაპრები იყვნენ ჩიგოგიძეები გურიიდან. სალოცავი იყო თარანგილოზი შხეფში. საეკლესიო გლეხი ბაძღუელა ჩიქობავა დასახელებულია 1758 წლის შეწირულების წიგ-

ნში. (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 152). ჩიქობავას აფხაზურ-მეგრულ გვარად თვლიდნენ. მაგრამ თ. გვანცელაძემ ცხადყო, რომ ჩიქვ- (შდრ. ქართ. ციქ) მოციქულის აღმნიშვნელი სიტყვაა (შდრ. მეგრ. ჩიქობავა – ქართ. ციქობავა, ციქობაძე (გვანცელაძე, 1997). (ძველი სენაკის თ/ს).

**საჩიქობაშ გოლა** – მთა, ეკის მთის აღმ. ნაწილი (საჩიქობავო).

**საჩიქობაშ ღალღ** – ღელე. საჩიქობავოდან ჩაედინება ჭიჭე შხეფში და ერთვის ნახურს მარცხ. მხრიდან (ძველი სენაკი).

**საჩიშ ტობა** – მორევი გურძემიაზე. საჩი კაცის სახელია (კვაუთი).

**საჩიჩუო** – ჩიჩუების უბანი ზემო უფალკარში, ს. უშაფათის საზღვართან (უფალკარი), სოფ. ეკის საზღვარზე (საგუგუნავო) და ტეხურის მარჯვ. მხარეს, საავტ. გზაზე (გახომელა). გვარისათვის ამოსავალი ჩანს სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელი ჩიჩო. ჩიჩუები ყოფილან თავადებიც და აზნაურებიც. საფეოდალო საჩიჩუო//საიჩუო XVII-XVIII სს-ებში მოიცავდა ტერიტორიას ჭანისწყლისა და ხობისწყლის ქვემო წელზე. გვარი არაერთგზის მოიხსენიება XVII-XVIII საუკუნეების საისტორიო წყაროებში (იხ. ქსძ, III, გვ. 643, 676; სოსელია, 1973, გვ. 299, 300-302). ი. ბაგრატიონი თვლიდა, რომ ჩიჩუები ჩიქოვანთა გვარის შტოა (გახომელა).

**საჩიჩუოშ ტყა** – ტყე საჩიჩუოში. საზიარო სოფ. ეკთან (საგუგუნავო)

**საჩხეტიო** – ჩხეტიების უბანი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, სოფ. გოლასკურის საზღვართან. გვარის წარმომავლობაზე გამოთქმულია ორი მოსაზრება: ა. ჩხეტია ← ჩხეტიძე (შანიძე, 1973, გვ. 139); ბ. ს. ჯანაშია: რაჭული ჩხეტიძე და მეგრული ჩხეტია მომდინარეობენ სვანური ჩხეტიანისაგან (ჯანაშია, 1959, გვ. 40). (თეკლათი).

**საცხვიტავო** – სოფელი ცივის მარჯვ. ნაპირიდან მდ. ღღურუმდე (საზღვარი სოფ. საგუგუნავოსთან). ზ.დ. 160 მ, სენაკიდან 15 კმ, ეკიდან 3 კმ. ესაზღვრება: სამხრ-ით – საწულეისკირო და საგუგუნავო, ჩრდ-ით და აღმ-ით – ეკი.

ოიკონიმისთვის ამოსავალია მცირერიცხოვანი გვარსახელი ცხვიტავა. მათი წინაპრები, გადმოცემით, ცხვიტარიები ყოფილან. უდავოა, რომ 1455 წლის საბუთში დასახელებული სხუიტავა იგივე ცხვიტავაა (მცირერიცხოვანი გვარი სამეგრელოში. სულ 294 სული). (ეკის თ/ს).

**საცხომარიო** – ცხომარიების უბანი კადარღალის სათავესთან, საქაშზაძოსა და საპარკაიოს შუა. გვარი ცხომარია დასახელებულია XVI ს. საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 349-350). ეტიმოლოგია: ცხუმი (იგივე სოხუმი) → ცხომარი „სოხუმელი" → ცხომარია (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 314-315). (დიდი ხორში).

**საძიმცესკუო** – ძიმცეიშვილების უბანი აბედათის საზღვართან, ბჟერის მთის ძირას. წარმომავლობა: ძიმისა → ძიმისაიშვილი (XVII-XVIII ს-ის საეკლესიო დოკუმენტში) → ძიმისეიშვილი → ძიმცეიშვილი (აფრიკატიზაცია ს → ც) → ძიმცესქუა (კვაუთი).

**საძიძა** – ფერდობები უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. ძიძავა გვარსახელია. შდრ. სვანური პირსახელი ძიძავ (ციზეთი).

**საძიძიგურო** – უბანი სანინუოსა და სასახოკიოს შუა. დარჩა მხოლოდ ორიოდე კომლი ძიძიგური. გვარი დასახელებულია XVI-XVIII სს. საეკლესიო საბუთებში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 158). (სენაკი).

**საძიძიგუროგოლა** – გორა. იგივე საძიძიგუროსუკი (სენაკი).

**საძიძიგუროსუკი//საძიძიგუროგოლა** – გორა ტობაღელესა და ჯიხაშ სუკს შუა (სენაკი).

**საწულაიო** – წულაიების უბანი ღელე გახომილას ნაპირებზე. წულაია მრავალრიცხოვანი გვარია (5091 სული საქართველოში). პირველად დოკუმენტირებულია 1616-1621 წწ. შედგენილ „საცაიშლო დავთარში" (ქსძ, III, გვ. 443). ამოსავალია პირსახელი წულა (გახომელა).

**საწულეისკირიო** – სოფელი ცივის მარცხ. ნაპირას, სახარბედიოსა და საცხვიტაოს შუა, ეკის მთის კალთაზე. სოფელში უმრავლესობას წულეისკირები ქმნიან. ადგილობრივი გვარია, აქვე ჰქონდათ ეკლესიაც. საისტორიო

წყაროებში გვხვდება ვარიანტები: წულაისკირი („წულაის შვილი“), წულესკირი, წულისკერი (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 160). (მენჯის თ/ს).

**საწურწუმიო** – მიკროუბანი უჩა ღალის ნაპირას. რესპ.: „ძმები წურწუმიები – ბათა, გვაჩი და სხვ. მოსულან ლეწურწუმედან. „თექი დუდი ვეჯუმალგნა დო მოლურთუმუნა ადგილიშ ოგორუშა ხორგიშა დო ერგეტაშა. თაქი უდამური ტყა ცოფე, მოწონებუნა დო ქუდუხორინუნა“. შესაძლებელია: მეგრ. წურწუმა „მაღალყელიანი თუნუქის ჩაიდანი“ → წურწუმა – ყელყარყარა კაცის ეპითეტი (შემდეგში მეტსახელად ქცეული). (გოლასკური).

**საჭატურიო** – ჭატურიების უბანი სოფლის ცენტრის სამხრ.-დას-ით, სკურიის სათავესთან. ჭატურია ჭანტურიას ვარიანტია, ხოლო ჭანტურიასათვის შესაძლებელია ამოსავალი იყოს XV-XVI საუკუნეების სვანურ ძეგლებში დამოწმებული „ჭანტურიანი“. გვარის ძირითადი სამკვიდროა სვანეთის სასაზღვრო სოფელი ჯვარი (იხ. ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 161-162). (შუა ხორში).

**საჭითა(ო)** – ჭითავების უბანი ზანაძგის ორივე ნაპირას. იყოფა: ზემო საჭითა(ო) – ზანაძგის მარცხ. მხარეს და ქვემო საჭითა(ო) – ზანაძგის მარჯვ. მხარეს. აქაური ჭითავები თვლიან, რომ მათი წინაპრები არიან ჭითანავები სოფ. ილორიდან (სამურზაყანო). XVII-XVIII სს. სამართლებრივ ძეგლებში დასახელებულია როგორც ჭითავა, ისე მჭითავა ფორმები (ქსძ, III, გვ. 480, 647). (დიდი ხორში, პატარა ზანა).

**საჭოჭუო** – ჭოჭუების უბანი რიონის მარჯვ. ნაპირზე. სამეგრელოში დაფიქსირებული პირსახელები ჭოჭია, ჭონჭია, ჭონჭო (იხ. ქსს, 1986) გვავარაუდებინებს ჭოჭო ვარიანტსაც: ჭოჭო → ჭოჭოა→ ჭოჭუა (მუხური).

**საჭუბარიო //საჭუბარიო(შ)გოლა//ჭუბარიეფიშ გოლა** – სერი ეკის მთის კალთაზე, სადაც უწინ ცხოვრობდნენ ჭუბარიები. ჭუბარია გვარ ჭუბაბრიას არაოფიც. ვარიანტია. ჭუბაბრია დასახელებულია 1760 წლის საბუთში (კაკაბაძე, II, 1760, გვ., 12). (კოტიანეთი).

**საჭყონდიდო** – ჭყონდიდლის სამწყსო. გადაჭიმული იყო მდ. ცხენისწყლიდან მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირამდე და მთიდან რიონამდე (ბერაძე, 1970, 45).

**სახაზინო ტყა** – ერქვა ტყეს მდ. ცივსა და ტეხურს შუა. წვდებოდა მდ. რიონამდე. არაბ. ხაზინა „სალარო“, „საჭურჭლე“ მეგრულში აღნიშნავს სახელმწიფო ქონებას (ფულს, სახნავს, ტყეს...). (ისულა).

**სახარბედიო** – სოფელი მდ. ცივის ორივე ნაპირას, საცხვიტაო-საგაბესკირიოსა და ბათარია-ქ. სენაკს შუა. ესაზღვრება დას-ით სკურია და პერტული. რესპ. ბ. ხარბედია: „ორი ძმა ხარბედია ლეხაინდრაოდან წამოსულა (იქ ბატონი მოუკლავთ) და აქ მთებს შეპფარებიან. შემდეგ დედათა მონასტერში ჩამოუყვანიათ და საეკლესიო გლეხები გამხდარან. ჩიჩუებს მათი „გაკოჩანება“ (დაყმევება) მოუნდომებიათ, მაგრამ დედათა მონასტერს ხელი შეუშლია, ქალები გაპკიდებიან და გაუგდიათ, ხინჭკონაში წიფლის ხეზე ჯვარი ამოუკოდავთ როგორც სასაზღვრო ნიშანი“. გვარის თავდაპირველი ვარიანტი ხარაბედია დამოწმებულია XVI ს-ის ბოლო მეოთხედის საბუთში. საისტორიო-საეკლესიო საბუთში სოფლის სახელწოდება სამი ვარიანტითაა დადასტურებული: სახარბედიო, სახარაბედიო და სახარაბედო (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 166). (ქსძ, III, გვ. 613, 568). (მენჯის თ/ს).

**სახასო** – სახნავი საშარტაოში. **სახასო** – სამეფო, სახაზინო, საბატონო; საკუთარი, სათავისო (პატარა ზანა).

**სახელაიო** – 1. დასახლ. უბანი ზედა სალომიოსთან (სენაკი); 2. ხელაიების უბანი მდ. ტეხურზე, ხიდსა და საბესელიოს შუა. სავარაუდოა: ხელაძე → ხელაია (გახომელა).

**სახეციო** – 1. ერქვა ტყეს გოჭყვადილის მარჯვ. მხარეს. აქ ესახლნენ ხეციები. ამჟამად სახნავია (გოლასკური); 2. ერქვა ხეციების უბანს ეკის მთის აღმ. კალთაზე. აქაური მცხოვრებნი ზედა სორტაში გადავიდნენ საცხოვრებლად (კოტიანეთი); 3. უბანი სოფ. კვარჩხიღალის საზღვართან, ეკის მთის კალთაზე. დასცქერის ზედა სორტას. ითვლება, რომ სამეგრელოში იშვიათი გვარი ხეცია მომდინარეობს მხეიძისაგან. იოანე ბაგრატიონი ოდიშის თავად-

თა შორის ასახელებს „მხეცია“-საც. შდრ. ა. შანიძე: მხეციძე → მხეიძე. შდრ. მეგრ. ხეცია“ (შანიძე, 1973, გვ. 119). (ზედა სორტა).

**სახვიჩიო** – ხვიჩიების უბანი სოფლის ცენტრში, რიონის მარჯვ. ნაპირზე. 1616-1621 წლების საბუთში დასახელებულია სამი საეკლესიო გლეხი გვარად ხვიჩია (ქსძ, III, გვ. 445, 466). ხვიჩა კოლხეთში გავრცელებული პირსახელია (ნიშნავს სახეგადიმებულს), ხვიჩია კი გვარიცაა და პირსახელიც. 1578 წელს შედგენილ დავთარში დასახელებულია შატმახაშვილი ხვიჩია (ქსძ, III, გვ. 285). (მუხური).

**სახმინდორია** – სეხმინდორიას (იხ.) იშვიათი ვარიანტი (სახარბედიო).

**სახორა** – ხორავების უბანი ხობისწყლის მარცხ. მხარეს. ჩხოროწყუს რ-ნთან საზღვარია ლაჩირე. გვარის ვარიანტი ხვარავა დასტურდება XVIII ს-ის პირველი ნახევრის საბუთში (ქსძ, III, გვ. 767). მეგრ. ხვარა, ხორა „მელოტი“ თავდაპირველად მეტსახელად ქცეულა, შემდეგ კი – გვარსახელის ფუძედ (ეწერი).

**სახორაო** – ხორავების უბანი რკინიგზის ხაზიდან სოფ. პერტულის საზღვრამდე (ბათარია).

**სახოფერიო** – ხოფერიების უბანი ტეხურის მარჯვ. ნაპირას, ახალსოფლის საზღვართან. ხოფერიების წინაპარი სუმონიკა ჩამოსულა სოფ. ლესადან. მის შთამომავლებს ერქვათ: ათაია (ათანასე), მარკოზი, ალექსანდრე. რესპ. ი. ხოფერია: „ჩვენი წინაპრები ლანჩხუთიდან ყოფილან. იქ კაცი შემოკვდომია სამ ძმას. ერთი მათგანი იქ დარჩენილა, მეორე აქ დამკვიდრებულა, მესამეს კი ზუგდიდისაკენ გაუწევია. ჩემი მამა-პაპანი ლანჩხუთში დადიოდნენ სალოცავად“. რესპოდენტმა ანეტა ხოფერიამ გაგვაცნო ე.წ. „მეჟევანიის“ საბუთები, რომელთაც შემოუნახავთ 15-მდე ადგილის სახელი. კერძოდ, აქ დასახელებულია: ბაბოს ნათიბი, ოსურე, ოჩალე, ტყის ყანა, ნატებუ, ბულიშჯინჯი, ნახარდანუ, გიძე მინდორი, ჯალონა, კარობა. სავარაუდოა: ხოფი (ხობის უწინდელი სახელწოდება) → ხოფერი „ხობელი“ → ხოფერია (გვარსახელი). (ისულა).

**სახოფერიო//სახუფერიო** – დასახლ. უბანი საკუჭა-ღელესა და საკალანდარისქუოს შუა. გვარის ძირითადი ოფიციალური ვარიანტია ხოფერია (სენაკი).

**სახუბლა** – ხუბულავების უბანი ფაქვის მარცხ. მხარეს. ხუბლა ← ხუბულავა (გვარსახელი). დამოწმებულია 1616-1621 წწ. დავთარში (ქსძ, III, 479). (უფალკარი).

**სახუბუო** – 1. უბანი. იგივე ლეხუბუე (უშაფათი); 2. ხუბუების უბანი მეტერიის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**სახუნწარიო** – ხუნწარიების უბანი მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს, სოფლის ცენტრის ჩრდ-ით. ხუნწარიების წინაპრები სოფ. უშაფათიდან მოსულან. გვარის წარმომავლობა: ხუნწი (სოფელი მარტვილის რ-ნში) → ხუნწარი „ხუნწელი" → ხუნწარია (გვარსახელი). შდრ. ხუნწელია (201 სული საქართველოში). (ახალსოფელი).

**სახუნჯუო** – ხუნჯუების უბანი ეკუსქურის მარცხ. მხარეს, საგუნიოს საზღვართან. გადმოცემა გვარ ხუნჯუას უკავშირებს ასევე მცირერიცხოვან გვარ ხუნჯგურუას (შდრ. მეგრულში ხუნჯგურუა „სქელი, დაბალი და მხრებაწურული"). შესაძლებელია, მეგრული ხუნჯ ფუძე ჩანდეს სვანურ პირსახელ ხუნჯარ-ში (ეკი).

**სახურციო** – 1. ხურციების უბანი სოფლის ცენტრ. გზაზე (ახალსოფელი) და ჩაის ფართობი სოფ. უშაფათის საზღვართან. უწინ აქ ხურციების სამოსახლოები ყოფილა. გვარი ხურცია დასტურდება XVIII ს-ის შუა წლების წყალობის წიგნში (ქსძ, III, გვ. 881). არაა გამორიცხული: იმერული „ხურციძე" → მეგრ. „ხურცია" (უფალკარი); 2. ხურციების უბანი სოფლის ცენტრსა და სალიპარტიოს შუა (ბათარია).

**სახურციო//ლეხურციე** – ხურცილავების უბანი სოფ. უფალკარის საზღვართან (ლეკოკაიე).

**სახუფერიო** – უბანი. იგივე სახოფერიო (სენაკი).

**სახუხიო** – ხუხიების უბანი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (კოტიანეთი).

**სახუხუო** – ხუხუების უბანი მდ, ცივის მარჯვ. მხარეს. გვარები ხუხია, ხუხუა, ხუხუნი უკავშირდება კოლხურ პირსახელებს – ხუხი, ხუხუ (იხ. ქსს, 1986). (სენაკი).

**სახუხუოშ ნაკინაშარგ** – დამბა-მიწაზვინული მდ. ცივის ნაპირას (მენჯი).

**საჯაიანო** – ერქვა ჯაიანების უბანს საფაჩოსკუოს გვერდით. ჯაიანები იყვნენ თავადებიც და აზნაურებიც (იხ. ვრცლად გვარის შესახებ: ცხადაია, 2000, გვ. 472). (კოტიანეთი).

**საჯაიაშ ნოხორი** – სახნავი ქვემო სორტის საზღვართან (ძველი სენაკი).

**საჯაიეფიშ ნოხორი** – სახნავი ახალსოფელში (სირიაჩქონი).

**საჯალაღონიო** – ჯალაღონიების უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ზუბის პირდაპირ. XIX ს-ში ივა და მისი ძმა დუდა ჯალაღონიები სოფ. სარაქონიდან აქ მოსულან და ფაცხა მოუღობავთ უნებართვოდ. მაია დადხესათვის მოუხსენებიათ. მაგრამ ივას მისი ხალხი კაჟის თოფით შეუშინებია. იმ ადგილს ახლა ნაფაცხუ ეწოდება (ეწერი).

**საჯანჯღაო** – უბანი შხეფის სამხრ.-აღმ. ნაწილში. ჯანჯღავა გვარსახელია. დარჩა ორიოდე კომლი. როგორც ჩანს: ჯანჯღა ← ჯღანჯღავა (სენაკი).

**საჯარო** – მინდორი მაღალში, რაც საოჩიგაოშია. აქ იმართებოდა ჯარობა (ჯარალა), ანუ ცეკვა-თამაში და გართობა (გეჯეთი).

**საჯვარო** – 1. ბორცვი გურძემიის მარჯვ. მხარეს, ლებარკალაიეში. ამ ბორცვზეა საჯვარო ოხვამე (ბეთლემი); 2. ერქვა ნიშს – ხის მცირე ნაგებობას მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, საგვარამიოში (თეკლათი).

**საჯვარო ოხვამე** – ნაეკლესიარი. იგივე ჯვარცმაშ ოხვამე (ბეთლემი).

**საჯვარო შარა** – ერქვა გზას, რომელიც ძვ. სენაკიდან გადადიოდა უნაგერას მთას და შემდეგ მიემართებოდა სოფ. ჯვარისაკენ, რაც წალენჯიხის რაიონშია (ძველი სენაკი).

**საჯინორიო** – 1. ერქვა ჯინორიების უბანს ჩხარის მარცხ. მხარეს (საადამიო); 2. ჯინორიების უბანი ძველი სენაკის საზღვართან. ჯინო, ჯინორი კოლხეთში გავრცე-

ლებული პირსახელებია. მათგან მომდინარეობენ გვარები ჯინორია და ჯინორიძე (ქვედა სორტა).

**საჯიქიო** – ჯიქიების უბანი სოფ. სკურიას საზღვართან. ჯიქია მრავალრიცხოვანი გვარია სამეგრელოში. უკავია XIII ადგილი (3617 სული). დასახელებულია XVIII ს-ის საეკლესიო საბუთებში (ქსძ, III, 397, 500). გამოთქმულია სამი ვარაუდი: ა. ჯიქი ცხოველის სახელია; ბ. ჯიქი სატომო სახელია; გ. ჯიქი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს: „აწოწილი, უშნოდ ამართული". შდრ. ალ. ქობალია: „ჯიქალი – ზორბა, ქედმაღალი; მოუდრეკელი"; ო. ქაჯაია: „ჯიქა, ჯიქალი – უშნოდ დიდი, ზურგა; ახმახი, აყლაყუდა" (პერტული).

**საჯოლიო** – 1. ერქვა ჯოლიების უბანს ეკუსქურის მარცხ. მხარეს (ეკი); 2. ჯოლიების უბანი რიონის მარცხ. ნაპირას, ფოთის სატყეოს საზღვართან, ჭალადიდის საგვიჩიოს პირდაპირ. იოანე ბაგრატიონი ოდიშის თავადთა ჩამონათვალში აღნიშნავს, რომ ჯოლა იყო თათრის ბეგი, რომელიც 1232 წელს მოინათლა და მეფემ ოდიშში მიუბოძა ადგილი (ბაგრატიონი, 1997, გვ. 132). ჯოლი კოლხეთში პირსახელია, ხოლო ჯოლია პირსახელიცაა და გვარსახელიც (საგვიჩიო).

**საჯოლიოშ ხაბო** – ხევი ეკის მთის კალთაზე (კოტიანეთი).

**საჯოლოგუო** – ჯოლოგუების უბანი უშაფათის საზღვართან. გადმოცემით, ჯოლოგუების ერთი ნაწილი სამურზაყანოდან ლტოლვილთა შთამომავალია (ფოცხო).

**საჯორჯი(კი)ო** – ჭალა უჩა ღალის მარჯვ. ნაპირზე. ჯორჯიკია გვარსახელია, დასტურდება XVII ს-ის საისტორიო წყაროებში. ხობის მოურავ ჯორჯიკიას მადლიერებით მოიხსენიებს ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა (გამბა, 1987, გვ. 120). გვარი ჯორჯიკია მოხსენიებულია XVII ს-ის წყალობის წიგნებში (ქსძ, III, გვ. 615, 881). ჯორჯი მეგრულში აღნიშნავს ზანტს. ჟორჯიკია მისი კნინობით-მოფერებითი ვარიანტია (ციზეთი).

**საჯოჯუო** – 1. უბანი. იგივე ლეჯოჯუე (კვაუთი); 2. ჯოჯუების უბანი. რესპონდენტი პ. ჯოჯუა: „ბაბუაჩემი ხუ-

ტუ ფოცხოდან ჩამოსულა და აქ დამკვიდრებულა. მის შვილებსა და შვილთაშვილებს ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ მიჰყავთ შესაწირი ხარი ფოცხოს ალერტში. იყვნენ მიმდინარე – 1984 წელსაც“. გვარი მრავალრიცხოვანია: 3858 სული საქართველოში (134-ე ადგილი) და 210 სული სამეგრელოში (26-ე ადგილი). სამეგრელოში ცნობილია პირსახელები ჯოჯო და ჯოჯუ (იხ. ქსძ, III, გვ. 731), რომელიც შეიძლებოდა ქცეულიყო გვარად (ახალსოფელი).

**საჯღამაიო** – ჯღამაიების უბანი ტეხურის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „სინამდვილეში ვართ ჯღამაძეები გორდიდან. იქ მოსალოცავად სამჯერ ვარ ნამყოფი“. გეჯეთს მცხოვრები ბაბუშია ჯღამაია და სანაია ჯღამაია დასახელებულია 1733 წელს შედგენილ ერთ საბუთში (ქსძ, III, გვ. 731). ალ. ქობალია: „**ჯღამა** – დაწინწკლული (კაბა), შუბლჭრელი პირუტყვი... ჯღამაია – ჯღამა; თოლიჯღამა „თვალჭრელი“ (გეჯეთი).

**საჯღანჯღა** – ჯანჯღავების უბანი საქანთარიოსა და ჭიჭე შხეფს შუა. შესაძლებელია გვარისათვის ამოსავალი იყოს **ჯღანჯღა** „ცხვირმიჭყლეტილი“ (ძველი სენაკი).

**სევერიაშ ნოხორი** – ტყე საარჩაიოში. სევერია ← სევერიანე (უფალკარი).

**სენტიშ ნაკარუ** – მინდორი. იგივე ნაკარუ (ისულა).

**სეხმინდორია** – მინდორი ეკიშ გოლას კალთის ძირას. სეხი კაცის სახელია. იშვიათი ვარიანტები: **სამინდორიო//სახმინდორიო** (სახარბედიო).

**სიბაკარი** „ლარტყისკარი“ – ტყე საოჩიგაოში, მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას. სიბაკართან დაკავშირებით იხ.: პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012, გვ. 545-546 (გეჯეთი).

**სიბისტროშ ოჩხარჩხალე** – ნაკადული ხირიშთან, ნოღაშ მეტერიის მარცხ. მხარეს. რესპ.: „სიბისტრო ომში დაიღუპა. ცხოვრობდა ამ ნაკადულთან. პასპორტში ეწერა სილიბისტრო“ (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**სიგუეფიშ ნოხორი** – მინდორი ნიშიის მარჯვ. მხარეს. სიგუა გვარსახელია (ციზეთი).

**სიკოიაშ ნაისირუ** – სახნავი ოდოსკურის მარცხ. ჭალაში, ნასაწონსა და ნალიმორს შუა. სიკოია პირსახელია (შუა ხორში).

**სიკოიაშ ნოხორი** – სახნავი ლეჭეში (მოხაში).

**სილოვანიშ ტყა** – ტყე მდ. ცივის ნაპირას (საესებუო).

**სილოვანიშ ციი** – მორევი მდ. ცივზე (საესებუო).

**სილოსიშ მინდორი** – მინდორი რიონის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „ერთ დროს აქ სილოსის კოშკები მდგარა" (სირიაჩქონი).

**სიმონიეფიშ ნაწისქვილგ** – ნაწისქვილარი ღალიჩაზე, სასიმონიოში (ნოსირი).

**სიმონიკაშ წყურგილე** – წყარო სააბურჯანიოში (უფალკარი).

**სინათლე** – ჩაის ფართობი სოფ. ლესიჭინეს საზღვართან. „სინათლე" ერქვა საკოლმეურნეო ამხანაგობას, რომელმაც აქ ჩაი გააშენა XX ს-ის 30-იან წლებში (სატყებუჩავო).

**სირიაშკარი** – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში. სირია გვარსახელია (სატყებუჩავო).

**სირიაჩქონი** – სოფელი რიონის მარცხ. ნაპირას. სამხრეთი საზღვარი მიუყვება მდ. სკურტს და ფიჩორს. დასით ესაზღვრება სოფ. საგვიჩიო. 1930 წელს სირიაჩქონში მკვიდრობდა 300 კომლი, 1984 წლისათვის კი მხოლოდ 30-ოდე ოჯახი იყო დარჩენილი. **ჩქონი** „კუნძული, ნახევარკუნძული". სირია გვარია (ზემო ჭალადიდის თ/ს).

**სიჭინაშ ნაკარუ** – ერქვა ტყეს სოფ. ძიგურის საზღვართან (საბესელიო).

**სიხუ** – ვაკე-სერი სოფ. ეკის საზღვრიდან ალმ-ით დადიაშ ნატახტუმდე. აქ მდებარეობს საკეკუო და საქვანიო. Sicu – ასეთი წარწერითაა აღნიშნული ეკლესია ტეხურისა და ცივის შუამდინარეთში არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე". გ. ელიავა ორგან ასახელებს ამ ტოპონიმს (ეკის სას. საბჭო): „სიხუ – უბანი, ფიცხი ზიგზაგოვანი ადგილი, ამიტომ ეძახიან სიხუს. საგუნიოს ცენტრი" (ელიავა, 1989, გვ. 87); „სიხუ – ადგ. გზისპირი იყო, ძველი

გზისპირი. ეს ადგილი საზანაკო იყო. აქ მგზავრები ისვენებდნენ. მოსაცდელი ადგილი იყო“ (იქვე, გვ. 86). (საგუნიო).

**სკვერმენჯი** – 1. გორა. იგივე სქვერმენჯი (სკურია); 2. ტლაპო გუჯარონის სათავესთან (საგაბესკირიო); 3. ჭეჭყობი საღვამბერიოში. წყალი მომლაშოა (შუა ხორში); 4. ჭეჭყობი სახორაში (ეწერი).

**სკვერმენჯი//სქვერმენჯი** „შვლის ვეძა“ – ჩაის ფართობი ნდღურუსა და მაღლაკონს შუა, სერზე. უწინ ტლაპო ყოფილა (პატარა ზანა).

**სკურდი** – მდინარე, გურძემიის მარცხ. შენაკადი საარზიანოს უბანში. მოედინება სოფ. გურძემიდან. სკურდი ← სკურდიდი (ლეგოგიე).

**სკურდი//სკურდღალღ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი (ლესაჯაიე).

**სკურდღალღ** – ღელე. იგივე სკურდი (ჯოლევი).

**სკურე** – 1. მდინარე სოფ. წყემის საზღვარზე. სათავე აქვს სოფ. გეჯეთში, გადის სოფ. ძიგურსა და გეჯეთში, ერთვის აბაშას მარჯვ. მხრიდან. რესპ.: „მდორეა და ამიტომ დაერქვა სკურე“ (პირველი ნოსირი, გეჯეთი, ძიგური); 2. მდინარე. სათავეს იღებს მესამე ნოსირში. გაედინება სოფ. ზანათში და ერთვის მდ. ტეხურს. რესპ.: „სკურე ტეხურის ტოტია და ისევ ტეხურს ერთვის მარცხ. მხრიდან“ (საბესელიო, საოდიშარიო).

**სკური** – უბანი მდ. სკურიის მარჯვ. ნაპირსა და ოდოსკურეს შუა. სკური, სქური ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიული ნომენია. აღნიშნავს ტყიან ხეობასაც და ამ ხეობაში მომდინარე ღელესაც (შუა ხორში).

**სკურია** – 1. მდინარე. იქმნება ხვიჩაჩიათური სკურიასა (მარცხ. მდგენელი), მიშველიაშ სკურისა (მარჯვ. მდგენელი) და სხვ. ღელეების შეერთებით. გაედინება სოფ. ქვალონში სოფ. სკურის გავლით. სათავეს იღებს ქვაბერიდან (ტყეა ციზეთის საზღვართან). (შუა ხორში); 2. სოფელი. აღმ-ით ესაზღვრება სოფ. საგაბესკირიო, დას-ით – სოფ. პერტული, ჩრდ-ით ხორში. შეუერთდა მენჯს XX ს. ორმოც-

დაათიან წლებში (მენჯის თ/ს). ალ. ქობალია: სკურია, სქურია – პატარა ღელე, ნაკადული.

**სკურიაღალუ** – ღელე. იგივე სკურიაწყარი (სკურია).

**სკურიაწყარი//სკურიაღალუ** – ღელე. იკრიბება საგვასალიოს უბანში და გაედინება ჯაფხენში. იყო საზღვარი ხობის რ-ნთან. იშვიათი ვარიანტი – სკურია (მენჯის თ/ს).

**სკურ(ტ)ი** – მდინარე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი გურიასთან (სირიაჩქონი).

**სლოვანიშ შეკებული** – ჩაის ფართობი სოფ. ეკის საზღვართან (საგუგუნავო).

**სლუჟი//ჩორბაქიშკარი** – მინდორი იმ ადგილას, სადაც არხი ჩორბაქი გადის მდ. ცივის ქვეშ და გვირაბით უერთდება ყორათს. თვით სლუჟი ეწოდება არხის გადასაკეტს (ტყირი).

**სოგრაშ ნაკარუ** – საძოვარი ახალსოფელში (სირიაჩქონი).

**სონჯი** – ტყე ლაბახურსა და ოჯუმენეს შუა. არაა გამორიცხული, სონჯი სუნჯის (: ქართ ცუარი) ვარიანტი იყოს (გოლასკური).

**სორტა** – სოფლების – ზედა სორტისა და ქვედა სორტის საერთო სახელი (ძველი სენაკის თ/ს). ალ. ქობალია: „**სორტა** – ხეობა, ხევი".

**სორტიელი** – ბორცვი ეკუსქურის მარცხ. მხარეს, სახუნჯუოში (ეკი).

**სოსელიაშ მინდორი** – მინდორი აბანაშ წყარის სათავესთან (ზედა სორტა).

**სოსრამიშ ნოხორი** – ერქვა სახნავს სოფლის დას. ნაწილში (ახალსოფელი).

**სოფიაშ ნოხორი** – სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**სოფრომიაშ ჩქონი** – სახნავი საშურღულაიოშ ღალის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში).

**სოხუმიშ ნოხორი** – სახნავი გითოკირილიშ ღალუს ნაპირას. რესპ.: „სოხუმი ერქვა ერთ ნაყმევს, აქ ესახლა" (საადამიო).

**სპირდოშ მენჯი** – ტლაპო-წყარო ზანაძგის მარჯვ. მხარეს სპირდო ← სპირიდონ (პატარა ზანა).

**სტელოშ ჭალე** – ჭალა-მინდორი დღურუს მარჯვ. ნაპირას (საგუგუნავო).

**სტეფანეშ ნანწყვი** – სახნავი საკინწურაშვილოში. რესპ.: „სტეფანეს აქ ყანა ჰქონია. ერთხელაც მოსულა და უნახავს, რომ ეს ადგილი 2 მეტრით იყო ჩაქცეული" (სენაკი).

**სტეფანეშ ოხვამე** – ეკლესია. იგივე სტეფა(ნე)წმინდა (უფალკარი).

**სტეფა(ნე)წმინდა//სტეფანეშ ოხვამე** – ეკლესია სამაჭავარიანოში (უფალკარი).

**სუკი** „სერი" – გორა, ტყე ბერნოხორსა და ლებაღათურეს შუა, კვარჩხიღალის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი).

**სუმოიაშ რობუ** – ხევი ლეტყებუჩეში (მოხაში).

**სუმონიშ ნოცონი** – მინდორი ქვაფონის მარჯვ. მხარეს. სუმონი ← სვიმონი

**სუმოშ ნაკარუ** – მინდორი რიონის ნაპირზე (ისულა).

**სუმოშ ნოხორი** – მინდორი სანინუოში. სუმო სახოკიას ნასახლარია (სუმო ← სვიმონ). სუმოია, სუმონი, სუმო პირსახელ სვიმონის შემოკლებული ვარიანტებია (სენაკი).

**სუმღალ** „სამღელე" – ტყე, ხევი, ღელე – ვალენტინაშ ღალის შენაკადი. სამი სათავე-მდგენელი ქმნის. ამიტომაა სამღელე (მოხაში).

**სუმწყუ** „სამწყარო" – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს, ლეცურასქუეს ქვემოთ (ფოცხო).

**სურკი** „ბორცვი, გორა" – 1. მაღალი გორა წიფანის მარჯვ. მხარეს, სოფლის ცენტრში (მოხაში); 2. სერი ფარიშ გოლასა და საჩიჩუოს შუა. იშვიათი ვარიანტი: **ცხენიშ გორგალი** (უფალკარი); 3. ვაკე-ბორცვი ლეხაბურზანიეში, ცივსა და მეტერიას შუა (ლეგოგინე).

**სურნა** – მინდორი ცივის მარჯვ. მხარეს. აქ უწინ სურო ხარობდა. მაშასადამე, სურო → სურონა → სურნა (საშურღაიო).

**სურონა** „სუროვანი“ – 1. ტყე, ხევი კვარჩხიღალის ზემოთში (საგუნიო); 2. ფართო ხეობა კვარჩხიღალის ჩრდ.-დას. ნაწილში (კვარჩხიღალი).

**სურონაშდუდი** – წყარო სურონაში (საგუნიო).

**სურუონი** „სუროვანი“ – ტყე ნიშიის მარცხ. მხარეს (ციზეთი).

**სუსანიაშ ნოხორი** – მინდორი. იგივე როსტოშ ნოხორი (სენაკი).

**სუსაშ ნოხორი** – 1. საძოვარი ზემო საჭითაოში (პატარა ზანა); 2. სახნავი სახუხუოში (სენაკი).

**სუსაშ ფერდი** – ფერდობი ზანაძგის მარცხ. მხარეს (პატარა ზანა)

**სუღელა//სუღელო** – ღელე. ცივის მარცხ. შენაკადი წკვიპღალის შესართავს ქვემოთ, ხორგიშის პირდაპირ. გამოედინება ნაოჩუდან (სოფ. ისულა), მიედინება დას-ით და უერთდება მდ. ცივს. ტეხურსა და ცივს შუა ყველა ღელე სუღელოს ერთვის. როგორც ჩანს, სუღელა//სუღელო ← სუმღელო „სამღელე“ (ტყირი, გოლასქური).

**სუღელო** – ღელე. იგივე სუღელა (ტყირი, გოლასქური).

**სუღირი** – 1. მდინარე. მოედინება სოფ. ზანიდან. შემოდის საკვირაოს უბანში და ერთვის ზანაძგას მარცხ. მხრიდან (ზანა, პატარა ზანა); 2. ღელე უჩა ღალის დას-ით. აბაშის ამრჯვ. შენაკადი სოფ. წყემში. უწინ მდ. აბაშის ტოტი ყოფილა (გეჯეთი, წყემი).

**სქვამკოჩიშ ნოხორი** – მინდორი კაკუტიაღალის მარჯვ. მხარეს, საპაჭკორიოში (ციზეთი).

**სქვერმენჯი** „შვლის ვეძა“ – 1. ჩაის ფართობი. იგივე სკვერმენჯი (პატარა ზანა); 2. ღელე, გურძემიის მარცხ. შენაკადი საარზიანოში (ლესაჯაიე); 3. ხეობა, ჩაის ფართობი სოფლის ცენტრსა და ლებოკუჩეს შუა (უშაფათი).

**სქვერმენჯი//სკვერმენჯი** – გორა სოფლის აღმ. ნაწილში, სოფ. საგაბესკირიოს საზღვარზე, ერთგან ვეძაა და საქონელი ეტანება (სკურია).

**სხულიშ ფერდი** „მსხლის ფერდობი“ – ფერდობი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**სხულიშჯინჯი** „მსხლისძირი“ – 1. სახნავი ლაბახურის ნაპირზე, სოფ. თეკლათის საზღვართან (გოლასკური); 2. მინდორი ლებაღათურიეში (ბეთლემი); 3. ჩაის ფართობი ცივის მარცხ. მხარეს (უფალკარი).

**სხულონა** – სახნავი. იგივე სხუნელა (საგუგუნავო).

**სხულონი** „მსხალნარი“ – ტყე შხეფის ჩრდ.-დას. ნაწილში (სენაკი).

**სხულუხიეფიშ ნაკარუ** –საძოვარი რიონჭალეში (ისულა).

**სხულწყუ** „მსხლის წყარო“ – სახნავი. იგივე ღვაითერი (საადამიო).

**სხუნელა** – ტყე საკოღუოში. რესპოდენტები სახელწოდებას უკავშირებენ სიტყვას სხული „მსხალი“ (უფალკარი).

**სხუნელა//სხულონა** „მსხალნარი“ – სახნავი დღურუს მარჯვ. მხარეს.. რესპ.: „ეთექი ნოსხუნუენა სიმინც“ (საგუგუნავო).

## – ტ –

**ტაბაკია** – მდინარე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი სოფლის ჩრდ. ნაწილში. მოედინება სოფ. მეორე კიწიიდან (მეორე გურძემის უბანია). ალ. ქობალია: „ტაბაკია – ბრტყელი, დაპრესილი; მცირე ტაბლა, მცირე გავაკება“ (კვაუთი).

**ტაგუშ ნოხორი** – 1. სახნავი სასალაყაიოში (ბათარია); 2. ხეხილნარი ლეხორეში (უშაფათი).

**ტაიაშ კურკუცი** – ბორცვი საარახამიოშ წყურგილეს მარჯვ. მხარეს. **კურკუცი, კურკუცა** – მცირე მრგვალთავა ბორცვი; მთის მრგვალთავა წვერი (კოტიანეთი).

**ტაიაშ ნოხორი** – სახნავი ზანაძგის მარჯვ. მხარეს. ტაია მამაკაცის სახელია (ეწერი).

**ტაიაშ ჩეხი** – მორევი საკვირკველიოღელეზე. ტაია კვირკველიას აქ დაუდგამს წისქვილი. რესპ.: „ჩეხი რე გინოხვილირი წყარი. ტაიაქ აკეთ წისქვილიშო“. მაშასადამე ჩეხი იგივეა, რაც ჩიხი, საჩიხე (სენაკი).

**ტარასიშ დობერა** – ფერდობები ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**ტარასიშ ნოხორი** – სახნავი მოხაშურის ნაპირას (უშაფათი).

**ტარიელიშ შეკებული** – ჩაის ფართობი საზუკიოში (დიდი ხორში).

**ტარიელიშ ძუგუ** – მაღალი ბორცვი საცხომარიოში (დიდი ხორში).

**ტარჩენი** – მდინარე, აბაშის შენაკადი, მოედინება აბედათიდან (ლებაღათურე).

**ტარჩენჭალე** – ჭალა-სახნავი ტარჩენის მარჯვ. ნაპირზე (ლებაღათურე).

**ტასიაშ ნოხორი** – სახნავი ფაჩიათში (შუა ხორში).

**ტატილოშ წყურგულე//წყურგულე** – ერქვა წყაროს რკინიგზის ხაზთან. ბოლოს თვალი დაეკარგა. ტატილო კაცის საკ. სახელია (საზესელიო).

**ტები** „ტევრი" – 1. ერქვა სახნავს უჩა ღალის ნაპირას, სადაც შემდეგ მოაწყვეს ტბორი (ჯიხა); 2. სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს, ფონღალთან (ლებაღათურე); 3. ტყე სკურიასა და ტობჩას შუა, რკინიგზის ხაზის ჩრდ-ით (პერტული).

**ტებიშ ტყა** – ტყე საკინწურაშვილოში (სენაკი).

**ტებიში** „ტევრისა" – ტყე საკუჭაში, ობამბუკესთან, კადარს ქვემოთ (ეკი).

**ტებიძგა** „ტევრისპირი" – 1. საძოვარი საჩემიოს აღმ-ით (გეჯეთი); 2. სახნავი საბარკალაიოში (პირველი ნოსირი).

**ტებღალი** – ღელე. იგივე ტებღელო (ლეძაძამე)

**ტებღელო//ტებღალი** „ტევრის ღელე" – ღელე. იწყება ლეარზიანეში (სოფ. ლესაჯაიე), საზღვარი ფოცხოსთან. გაედინება სოფლის ცენტრის გვერდით და ერთვის გურძემიას მარცხ. მხრიდან (ლეძაძამე).

**ტეხირი** – მდინარე. იგივე ტეხური (მარტვილის რ-ნი, სენაკის რ-ნი).

**ტეხირპიჯი** „ტეხურისპირი“ – 1. სახნავები ტეხურის მარჯვ. ნაპირზე (ძველი სენაკი); 2. სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირას (საოდიშარიო).

**ტეხირჭალე** – ჭალა-საძოვრები ტეხურის მარჯვ. ნაპირზე (ქვედა სორტა).

**ტეხური//ტეხირი** – მდინარე, რიონის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ეგრისის ქედიდან. სიგრძე 108 კმ. მთავარი შენაკადია მდ. აბაშა. ხეობის ზემო ნაწილში მდებარეობს კურ. ლებარდე (მარტვილის რ-ნი, სენაკის რ-ნი).

**ტეხურმორთუ** – წყალტრიალა მორევი ტეხურზე. აქ წყალი კლდოვან ქარაფს ეხლება და ტრიალებს (სენაკი).

**ტველეფა** – ტყე. იგივე ტოლოფა (ფოცხო).

**ტიბუღალგ** „თბილი ღელე“ – ღელე, ტეხურის მარჯვ. შენაკადი სოფ. ლეძაძამეს საზღვართან. გამოედინება საგაბუჩიოდან (ლესაჯაიე).

**ტიტიბური** – ვაკე-მინდორი ქალთა მონასტრის ქვემოთ, სადაც უწინ შხეფის მეურნეობის ცენტრი ყოფილა (სენაკი).

**ტიტიბურიშ წყარი** – წყარო ტიტიბურში (სენაკი).

**ტიხოშ ნოხორი** – საძოვარი ონახუეშის მარცხ. მხარეს. ტიხო პირსახელია (საჩიქობავო).

**ტკილონა** „ტკილნარი“ – 1. ფერდობი მეტერიის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ათაქი მწვანე ტკილს ეთმეჭოფუნა დო ორღვანა ცვანეფს“ (ფოცხო); 2. მორევი მდ. ცივზე. ტკილი მერგელის ქანია (ლეგოგინე).

**ტკილონი** – მორევი ლაქაშონასთან, ზანაძგაზე. **ტკილი** „ტკილი, მერგელის ქანი, ფიქალი“ გაქვავებული ორგანული ნივთიერებაა, რომელსაც დაანაწევრებენ და მიწაზე დაყრიან. მზისა და წვიმის შემდეგ იშლება და ყანას ანაყოფიერებს (პატარა ზანა).

**ტობანეძი** – სახნავი ზანაძგის მარცხ. ჭალაში. რესპ.: „ტობა ცურძენი რდგ დო ნეძის მებუდუ. უჩა ცურძენი რდგ“ (ზანა).

**ტობაღელე//ნასაკირუღელე** – ღელე. სათავეს იღებს შხეფის ციხის დას-ით, გაივლის სასახოკიოს და უერთდება ტეხურს საჩემიოში. ერთ ადგილას გუბდება და ქმნის ღრმა

მორევს. ამიტომაა ტობა ღელე „ღრმა ღელე“. ღელის პირას კირი იწვებოდა. ამიტომ ნასაკირუღელეც დაერქვა. ტობაღელეს მარცხ. მხარესაა უბნები – სასახოკიო და სანინუო (სენაკი).

**ტობაწყარი** – მცირე ტბა საქვანიოში (საგუნიო).

**ტობეში** – ტყე, ხევი ცივის მარჯვ. ნაპირზე. **ტობა** – ა. ღრმა წყალი; ბ. ტბა; გ. ჩავარდნილი ადგილი (საგაბესკირიო).

**ტობ(უ)ჩა** „ტბაშავი“ – ღელე, სკურიის მარცხ. შენაკადი ქვალონისა და თეკლათის საზღვართან. სათავეს იღებს სოფ. სახარბედიოში. ამ ღელის მიმდებარე ტყესაც ტობუჩას უწოდებენ (პერტული).

**ტობჩა** – მორევი მდ. ცივზე, ლეგაბელიესა და ლეხუბუეს შორის. ტობაუჩა „ტბაშავი“ → ტობჩა (უშაფათი).

**ტოლოფა//ტველეფა** – ტყე-თხმელნარი ხანჯარის მარცხ. მხარეს, უშაფათის საზღვართან (ფოცხო).

**ტორგონიშ წყარი//ტროგონიშ წყარი** – წყარო კაკუტიაღალის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „როგორც გამიგონია, ტორგონი თუ ტროგონი საკუთარი სახელი ყოფილა“ (ციზეთი).

**ტორონჯონა** – ტყე გურძემიის მარცხ. მხარეს. იშვიათი შემთხვევაა, როცა -ონა დაერთვის ცოცხალი არსების სახელს. ტორონჯი „მტრედი“. თუმცა ტორონჯი მტრედისფერ მიწასაც აღნიშნავს (კვაუთი).

**ტოტიაშ წყარი** – ღელე, დიდი ცამღალის ერთ-ერთი სათავე (დიდი ხორში).

**ტოტიშ ნოხორი** – სახნავი საკინწურაშვილოში. ტოტი, ტოტია, ტოტო პირსახელებია (სენაკი).

**ტოტო(შ)ნაკარუ** – ჩაის ფართობი ცივის მარჯვ. მხარეს, გოლუაფირს ზემოთ (საშურღაიო).

**ტოტუერი** – ტყე, სახნავი სოფ. ციზეთის საზღვართან (დიდი ხორში, ციზეთი).

**ტოხირე** – წყარო ჭითა ხარდანში, ბორსომთან. **ტოხირი** – ქვაკოდილი; კლდეზე სატეხით ამოკოდილი, ამოტეხილი ორმო, საიდანაც წყარო ამოდის ან ნაწვიმარზე დგება (შუა ხორში).

**ტრასა** – ჩაის ფართობი ცივის მარცხ. მხარეს. რესპ.: „აქ გზა არ გადის და მაინც ასე ჰქვია“ (ლეგოგინე).

**ტრიფოშ ნოშქვიდი** „სადაც ტრიფო დაიხრჩო“ – მორევი ზანაძგაზე (პატარა ზანა).

**ტროგონიშ წყარი** – წყარო. იგივე ტორგონიშ წყარი (ციზეთი).

**ტროვაინა** – ფერდობი. იგივე ტრომაინა (ბეთლემი).

**ტროვანონი** – ბუჩქნარი საკვირაიოში. რესპ.: „ტროვანი ვაზის ჯიშია. მაღლარი. აქ მოსწრებიან რამდენიმე ძირს. წვრილი, მჭიდრო და შავი მარცვლები აქვს“ (ზანა).

**ტრომაინა//ტროვაინა** – ფერდობი, ნავენახარი გურძემიის მარჯვ. მხარეს, ენწერფონთან (ბეთლემი).

**ტროფიშ ნოხორი** – ტყე მდ. ცივის ნაპირას. ტროფი ← ტროფიმე (საშურღაიო).

**ტრუბაშ ბოგა** – ხიდი ჭიჭე შხეფში, ქ. სენაკის საზღვართან, უსახელო ღელეზე, რომელზეც ჩადებულია ტრუბა (რუს. труба „მილი“) და გზა ზედ გადადის. ბოგა „ბოგირი“ (ძველი სენაკი).

**ტუმუიაშ ნოხორი** – სახნავი საღვამბერიოში. ტუმუია პირსახელია (შუა ხორში).

**ტუნელიშ წყარი** „გვირაბის წყალი“ – ღელე, ნახურის მარჯვ. შენაკადი. მოედინება საჩიქობავოდან. რუს. туннель „გვირაბი“ (ძველი სენაკი).

**ტურასაბანი** – ტყე, ღელე, გადის საკვინოდან და ერთვის ფიჩორს მარჯვნიდან. რესპ.: „ბავშვმა დაუძახა მამას, ტურამ საბანი წაიღოო“ (საგვიჩიო).

**ტურაშ ნაოხვამუ** – ერქვა ტურავების სასაფლაოს დაბალთაში (სენაკი).

**ტურაშ ომანე** „ტურის ბუნაგი“ – ხევი ღალნოხორის პირდაპირ (კვარჩხიღალი).

**ტურონი** – ტყე საცხომარიოში, კადარღალის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ოტურე რდგ“. -ონ სუფიქსის გამოყენების იშვიათი შემთხვევაა. გამოხატავს ცოცხალი არსების კონკრეტულ სიმრავლეს (დიდი ხორში).

**ტურუიაშ ნოხორი** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს. ტურუია მამაკაცის სახელია (საშურღაიო).

**ტურუშ ფერდი –** ფერობი ლენარსიეში (ჯოლევი).

**ტყაიცვანა** „ტყისყანა“ – სახნავი სოფ. ლეჟაჟამეს საზღვართან (ბეთლემი).

**ტყაუჩა** „ტყეშავი“ – 1. ჩაის ფართობი საგუნიოგოლაში, სოფ. კოტიანეთის საზღვართან (საგუნიო); 2. ტყე კვარჩხილალის მარჯვ. მხარეს. დაბურული ტყეა, მზე არ ჩანს. ამიტომაა „უჩა ტყა“ (კვარჩხილალი).

**ტყაშბოლო** „ტყის ბოლო“ – სათიბი ტებღალის ნაპირას (ლეჟაჟამე).

**ტყაშ ცვანა** „ტყის ყანა“ – სახნავი სასიმონიოში, ე.ი. პ. ნოსირის საზღვართან (საოდიშარიო).

**ტყაშდუდი** „ტყისთავი“ – მინდორი სახუბუოსა და საჯოლოგუოს შუა (ფოცხო).

**ტყებჩაშ ჭალე –** სახნავი მდ. ცივის ჭალაში. ტყებჩა ← ტყებუჩავა (გვარსახელია). (საესებუო).

**ტყელა –** 1. ერქვა ტყეს და უნაგირისებურ ჩადაბლებას ტყელაშ სუკზე, ქირსეშობაშ ოხვამესა და საჯვარო ოხვამეს შუა. ესაზღვრება უშაფათს. ამ სერს ეწოდება ტყელაშ სუკი. რესპ.: „ბრელი ტყა ჩანდგნ, თინა რე ტყელა“ (ბეთლემი, შუა ხორში); 2. ვიწრო და გრძელი ტყიანი სერი მდ. ცივისა და სამიგინეიშვილოს შუა. მიჰყვება მენჯღალის მარჯვ. მხარეს. მოემართება სოფ. შუა ხორშიდან. **რტყუალა** „ეკალ-ბარდისა და ბუჩქების ერთმანეთში გადახლართვა“ → (რ)ტყელი „ერთმანეთში გადახლართული ეკალბარდი და ბუჩქნარი“ → ტყელა (შუა ხორში, საადანაიო).

**ტყელაშ სუკი –** სერი გურძემიის მარჯვ. მხარეს, სოფ. უშაფათის საზღვართან. ამ სერზე დგას ქირსეშობაშ ოხვამე და საჯვარო ოხვამე (ბეთლემი).

**ტყირი –** სოფელი ცივის მარცხ. მხარეს, გოლასკურისა და ზემო ჭალადიდის პირდაპირ. ესაზღვრება: ჩრდ-ით – საგვარამიო, ალმ-ით ისულა, წვდება რიონისპირამდე. **ტყირი, ტყილი –** ერთმანეთში გადაწნულ-გადახლართული ჯაგნარ-ბუჩქნარი (თეკლათის თ/ს).

# – უ –

**უბადომიკოლგ** „ცუდი, სახიფათო, მარცხიანი გასასვლელი“ – 1. კლდე ჯოლაშ გოლას აღმ. კალთაზე. აქედან გადიოდა გზა სოფ. უფალკარის საარჩაიოს უბანში (კოტიანეთი); 2. კლდე ლაკვიშიაშ ნოხორთან (ბეთლემი); 3. ხრამი საარჩაიოში, კოტიანეთის საზღვართან. აქ გადის საცალფეხო ბილიკი (უფალკარი).

**უდუდე ღალგ** „უთავო ღელე“ – ღელე, წიფანასკურის მარცხ. შენაკადი (საგვიჩიო).

**უთუთიაშ წყარი** – ღელე, მდ. აბაშის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ზედა ნაქალაქევის საზღვრიდან (ლებაღათურე).

**უნაგერა** – მთა. იგივე ეკის მთა (სენაკი).

**უნანგერეში//ონანგერეში** – სერი კვარჩხიღალსა და სოფ. ძველ სენაკს შუა, სადაც ჩადაბლებაა უღელტეხილივით და ჯვარი-სენაკის ძველი გზა გადიოდა. უნანგერი „უნაგირი“ მეგრულში, როგორც მეტაფორული-ოროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს უღელტეხილს, ჩაღრმავებულ გადასასვლელს მთაზე, სერზე. ვახუშტის „აღწერაში“ რამდენიმეგზის არის დასახელებული და ლოკალიზებული (ზოგ შემთხვევაში უზუსტოდ) „უნაგირა, უნაგირას მთა“. წარმოვადგენ კონტექსტს: „უნაგირას... მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად“ (ვახუშტი, 1973, გვ. 18-19). (კვარჩხიღალი).

**ურა** – სახნავი მენჯღალის მარჯვ. მხარეს. უწინ აქ სათამაშო მინდორი ყოფილა (საადანაიო).

**ურეკიშ ღელე** – ღელე. იგივე სატივო ღელე (საგვიჩიო).

**ურთხელა** – ტყე ლეკუჭეში (ლეგოგინე).

**ურთხელონი** – ტყე ჭითა ღელოს სათავესთან. ურთხელი მეგრულშიც ურთხელს აღნიშნავს (სენაკი).

**ურიაშ კოლექტივი** – საძოვარი სოფ. ზანათის საზღვართან. აქ ებრაელთა დასახლება იყო (საბესელიო)

**ურიაშ წყარი** – წყარო აბანაშ წყართან. რესპ.: „ტუნკიჯგურა წყარი რე, ტყვიაცალო ალაძგ ქვარასგ. თიშენი თქუანა ურიაშ წყარი რენია“ (კვაუთი).

**უტაშ შეკებული** – ერქვა ტყეს ცამღალის ხეობაში (პატარა ზანა).

**უტაშ წყუ** – წყარო ცამღალის ხეობაში (პატარა ზანა) და წყარო, მაღლაკონის ერთ-ერთი სათავე (დიდი ხორში).

**უტიაშ წყარი** – წყარო სოფლის დას. ნაწილში. უტია პირსახელია (საგუგუნავო).

**უფალკარი** – სოფელი ეკუსქურსა და ჭყონიაღელოს შუა, უფალოხვამეს გარშემო. იყოფა: ზემო უფალკარი, ქვემო უფალკარი. საზღვარია საგრიგოლიო. სოფელს საბჭოთა პერიოდში ერქვა შრომისკარი (ეკის თ/ს).

**უფალოხვამე** – ეკლესია, სასაფლაო ეკუსქურსა და ჭყონიაღელოს შუა, ბორცვზე (უფალკარი).

**უჩი** „ყამირი“ – 1. ტყე ბარგას გვერდით (რეკა); 2. ჩაის ფართობი ნატყევარზე, წიფანის მარჯვ. მხარეს. შდრ. გურულ, იმერულ და რაჭულ დიალექტებში: **უყე** „ყამირი, დაუმუშავებელი, გაუტეხელი მიწა“ (ა. ღლონტი). (მოხაში).

**უშაფათი** – სოფელი მდ. ცივის მარცხ. ნაპირსა და სოფ. ლეკოკაიეს შუა. რესპ.: „თურქმა მოკლა მეგრელი სარდალი უშა (მიუთითებენ ადგილს სოფ. ბეთლემის საზღვართან, ოხოჯურში) და თქვა: „უშა ბათ“. ადგ. ვარიანტი შქა უშაფათი „შუა უშაფათი“ იმიტომ დარქმევია, რომ ამ თემში შემავალ ორ სხვა სოფელს – ლეგოგინესა და ლეკოკაიეს შუაა (უშაფათის თ/ს).

**უშქურიშჯინჯი** „ვაშლისძირი“ – 1. მინდორი საჩიქობაშ გოლაში (საჩიქობავო); 2. სახნავი. იგივე ოუშქურე (უშაფათი).

**უშქურონა** „ვაშლნარი“ – 1. სახნავი გურძემიის მარცხ. მხარეს (ბეთლემი); 2. ტყე სოფლის დას. ნაწილში (საადანაიო); 3. ჩაის ფართობი კოლოპიასა და ნისკურს შუა (ფოცხო).

**უშქურტობა** „ვაშლის მორევი“ – მორევი ტეხურზე (ჯოლევი).

**უშქურჯინჯი** „ვაშლისძირი“ – მინდორი მარაგანის მარცხ. მხარეს, წმინდა სტეფანეს აღმ-ით (საოდიშარიო).

**უჩა დიხა** „შავი მიწა“ – 1. სახნავი საბებიოში. აქვეა ჩედიხაც (თეკლათი); 2. ვენახი ჭვერგელეს მარჯვ. მხარეს (ქვედა სორტა); 3. სახნავი მოხირჭალეში (კვაუთი); 4. სახნავი საბებიოში (გოლასკური).

**უჩა დიხეფი** „შავი მიწები“ – სახნავები სოფ. წყემის საზღვართან (პირველი ნოსირი).

**უჩალური//ვამეხიშ გინაჯვილა** – სახნავი საქაჩბაიოში. რესპ. შ. ქაჩიბაია: „მიქელჩა ჩაჩიბაიას აქ მოუკლავს ვამეხ პატონსკუა, რომელიც ნადელის გადახდას ითხოვდა. მკვლელი დღე ორმოში იმალებოდა და ღამე თოხნიდა ყანას... ორი წლის შემდეგ დაიჭირეს“ (სენაკი).

**უჩა მენჯი** „შავი ვეძა“ – ღელე, ეკუსქურის მარცხ. შენაკადი. სავეკუოდან გადის საჟვანიოში და შემდეგ უფალკარში (საგუნიო).

**უჩა მენჯიშ დინოხონი** – ხეობა უჩა მენჯში. **დინოხონი** „ჩადაბლება, ჩახევება“ (საგუნიო).

**უჩა მენჯიშ წყარი** – წყარო უჩა მენჯში (საგუნიო).

**უჩა ოხარდანე** – მინდორი მიშველიაშ სკურის მარცხ. ნაპირას. უჩა ხარდანი ვაზის ჯიშია. ისხამს შავ ყურძენს (შუა ხორში).

**უჩა ტობა** „შავი მორევი“ – 1. მორევი მდ. ცივზე, სამი სოფლის – ზანის, უშაფათისა და ლესიჭინეს – საზღვართან (უშაფათი); 2. წყარო დიდი დღურუს მარცხ. მხარეს (საშურღაიო; 3. მორევი ხობისწყალზე (ეწერი).

**უჩა ტობაშ ტყა** – ტყე უჩა ტობასთან, დიდი დღურუს მარჯვ. მხარეს (საშურღაიო).

**უჩა ტყა** „შავი, დაბურული ტყე“ – ტყე სოფ. ტყირის საზღვართან (ისულა, ახალსოფელი).

**უჩა ღალე** „შავი ღელე“ – 1. ღელე სოფლის დას. ნაწილში. გაედინება სოფ. გეჯეთში (ძიგიდერი); 2. ღელე, დღურუს მარცხ. შენაკადი. საზღვარი ხორშის თემის საკრებულოსთან (საცხვიტაო); 3. ღელე, მდ. ცივის მარჯვ. შენაკადი საესებუოს საზღვართან (სატყებუჩავო); 4. ღელე. ოშორთალიდან გადის ჭალადიდში (გოლასკური); 5. ღელე.

ქვემო წელზე. კაუტიასთან შეერთების შემდეგ, ზოგნი ორივე სახელს უწოდებენ: უჩაღალგ, კაუტიაღალგ (შუა ხორში); 6. ღელე. გაედინება ლეხუბუესა და საშეროზიოს შუა. ერთვის მარჯვნიდან ეკუსქურს სოფ. უფალკარში (უშაფათი, უფალკარი) და სხვ.

**უჩა ღალგ//უჩა ღელე** – ღელე. გაედინება ოფუჯესა და ვერხონას შუა. სათავე აქვს სოფ. ნოქალაქევში. უერთდება სუღირს – აბაშის ტოტს სოფ. წყემის საზღვართან (გეჯეთი).

**უჩა ღალი** – ღელე, ტეხურის მარჯვ. შენაკადი. სათავეა აკაკიშ წყურგილე ომუნჩქვეშში, რაც სოფ. ეკის საზღვართანაა, საარჩაიოშ გოლაზე (გახომელა).

**უჩა ღალუ** „შავი ღელე" – ღელე, კვარჩხიღალას ერთ-ერთი სათავე-შენაკადი (კვარჩხიღალი).

**უჩა ღელე** – 1. ტყე საჟვანიოსა და ნასაპონუს შუა. მიწაა შავი და ამიტომ დარქმევია (ახალსოფელი); 2. ღელე. იგივე უჩა ღალ (გეჯეთი); 3. ღელე, სკურეს მარცხ. შენაკადი. იწყება ძიგურში (საბესელიო); 4. ღელე, ტყე სოფლის დას. ნაწილში (ისულა).

**უჩა ღელო** – 1. ღელე. იგივე საბჟალაშ წყარი (ზედა სორტა); 2. ხევი ტობაღელეს სათავესთან (სენაკი); 3. ღელე, სკურეს მარცხ. შენაკადი. იწყება ძიგურში (საბესელიო) და სხვ.

**უჩა ცურზენი** „შავი ყურძენი" – ხევი, ღელე საჩარტიოში, ერთვის უჩა ღალს (ციზეთი).

**უჩაშონა** – 1. სახნავი გითოკირილიშ ღალუს მარცხ. მხარეს. უჩაშონა ის ადგილია, სადაც მრავლადაა უჩაში („შავისა", ე. ი. შავი ყურძნის ჯიში). (საადამიო); 2. ხევი აბედათის საზღვარზე (ჯოლევი); 3. საძოვარი, ფერდობი საქაშბაძოშ განაპირას. უჩაში ვაზის ჯიშია. ისხამს შავ ყურძენს (დიდი ხორში); 4. სახნავი ლენარსიეში (კვაუთი) და სხვ.

**უჩაშონაშ ღალგ//გაბუნიაშ ღალგ** – ღელე. ზემო წელზე ეწოდება ოფერწიეშ ღალგ (ჯოლევი).

**უჩაშონაშ წყურგილე** – წყარო უჩაშონაში (დიდი ხორში).

**უჩუშ ნადიხუ** – სახნავი საკვირკველიოში (სენაკი).

**უჯოშ ნოხორი** – მინდორი ნიშიის მარჯვ. მხარეს. უჯო პირსახელია (ციზეთი).

## – ფ –

**ფაბრიკაშ ნადიხუ** – სახნავი მეტერიის მარცხ. ნაპირზე (ლეგოგინე).

**ფარახეში** – სახნავი გვიმარეშსა და ფიცუს შუა, აეროდრომის განაპირას (საგვარამიო).

**ფართო მინდორი** – საძოვარი რიონის მარჯვ. მხარეს, თოფურიაჭალეს ქვემოთ (ისულა).

**ფართო ფონი** – ფონი, მორევი მდ. ცივზე. აქ კრავდნენ ტივად ხეებს (გოლასკური).

**ფართო ღალგ** „ფართო ღელე“ – 1. ღელე, გოჭყვადილის მარჯვ. შენაკადი (გოლასკური); 2. ღელე. იგივე ფართო ღელო (სირიაჩქონი).

**ფართო ღელო//ფართო ღალ** – ღელე სკურტის მარჯვ. შენაკადი. გაედინება ახალსოფლიდან (სირიაჩქონი).

**ფართო წყარი** – ღრმა ტბა. იგივე ოხარკალე (სენაკი, საჩიქობავო).

**ფარიშ გოლა** – მთა, ეკის მთის ნაწილი, ნოქალაქევისა და ეკის საკრებულოების გამყოფი (უფალკარი).

**ფარნაოზიშ ნოხორი** – მინდორი დედათა მონასტრისა და ზედა სალომიოს გამყოფ სერზე (სენაკი).

**ფარნაშ ნოხორი** – სახნავი გაზე (უშაფათი) და ეკლესიასა და ნინუეფიშ გოლას შუა (კოტიანეთი).

**ფარნაშ ტობა** – მორევი ზანაძგაზე (პატარა ზანა).

**ფარნაშ ტყა** – ტყე სადავითაიოშ გოლაში (ძველი სენაკი).

**ფარჩხინოლი** – ვენახი საარახამიოშ წყურგილეს მარცხ. მხარეს, შვაღას პირდაპირ. რესპ.: „ფარჩხინოლი ფიცხი მიწაა“ (კოტიანეთი)

**ფაქვა** „მღვიმე; კლდის ნაპრალი“ – ღელე, ეკუსქუ-რის მარცხ. შენაკადი საფარღალაში. მოედინება საარჩაიო-დან (უფალკარი).

**ფაქვაშ ჭალე** – ფაქვის ნაპირები სამაჭავარიანოში (უფალკარი).

**ფაშუტიაშ ნოხორი** – ბუჩქნარი გურძემიის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი).

**ფაჩიათი//ოფაჩაფუ** – ვაკე, უბანი ხვიჩაჩიათური სკუ-რისა და მიშველიაშ სკურის შესართავთან, სადაც წყალ-დიდობისას ღელე იშლება და იტბორება. რესპ.: „თაქი იფაჩუუდუ ჟგრიხოლო სკური“. ფაჩიათი გვასალიების ერთ-ერთი შტოა... ოფაჩაფუ კი ის ადგილია, სადაც მდინა-რე იშლება (შუა ხორში).

**ფაჩოსქუალეფიშ ჭალე** – ჭალა-საძოვრები ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. შდრ. საფაჩოსკუო (კოტიანეთი).

**ფაჩოსქუალეფიშ ჯიხა** – ციხესიმაგრე. იგივე რამიშ ჯიხა (კოტიანეთი).

**ფაჩულიაშ ნანოხორი** – სახნავი სოფლის დას. ნა-წილში (საკილასონიო).

**ფაჩუშ წყარი** – წყარო დღურუს ხეობაში. ფაჩუ კა-ცის სახელია (საშურღაიო).

**ფაციაჭალე** – სახნავი მეტერიის მარცხ. ნაპირას. ფაცია ქალის სახელია (ფოცხო).

**ფაცხაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი უჩა ღალის მარჯვ. მხარეხ (უშაფათი).

**ფახუიაშ ნაკარუ** –საძოვარი რიონის ჭალაში (ისუ-ლა).

**ფედოსიაშ ნოხორი** – სახნავი ცხვიკიონში (უშაფა-თი).

**ფედოსიაშ ღალგ** – ღელე ნაღარუს მარცხ. შენაკადი (სენაკი).

**ფესნოხორი** – ჩაის ფართობი არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ფესი ქალს ერქვა“ (ლეგოგინე).

**ფილპეშ ნაოზუ** –სახნავი საბარქაიოში. ფილპე ← ფილიპე (კვაუთი).

**ფირდაშ აკაცონა** – აკაციის ტყე საარახამიოშ წყურგილეს მარჯვ. მხარეს (კოტიანეთი).

**ფიჩორი** – ღელე, ნახურის მარჯვ. შენაკადი. მოედინება საჩიქობავოდან. სათავე აქვს პრობკაშ ჯასთან (ძველი სენაკი).

**ფიჩორიშ ტყა** – ტყე ღელე ფიჩორის სათავესთან, საკირესა და დასახლებულ ნაწილს შუა. გადმოცემით, აქ ესახლა ფიჩორი ქანთარია. აქედან გაედინება ღელე ფიჩორი (საჩიქობავო, ძველი სენაკი).

**ფიჩორსარეკი** – ღელე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი. **სარეკი** ის ადგილია, სადაც მრეკავნი ნადირს ერეკებიან სახუნდრისაკენ. შდრ. ს-საბა: „**სარეკი** – ნადირთ მოსალალავი" (საგვიჩიო).

**ფიჩხერი** „ფიჩხაიასეული" – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე (ლებაღათურე).

**ფიცუ** – ღელე. სათავე აქვს ზედა სალომიოში, ეკის მთის კალთაზე. თეკლათში არ ჰქონდა კალაპოტი, ფართოდ იშლებოდა (იხ. ოფაჩაფუ). ერთი ტოტი ერთოდა სანაძგას და ქმნიდა ღალუჩას სოფ. ისულაში (არხით შეუერთეს მდ. ტეხურს); მეორე ტოტი გაედინება აეროდრომის შუაში, გადაჭრის უწინდელ ხეხილის მეურნეობას (სოფ. საგვარამიო), შემდეგ გაედინება მამულსა და ბინეხამს შუა და სოფ. ტყირში ერთვის ჩორბაქს (სენაკი, ახალსოფელი, ისულა, საგვარამიო, ტყირი).

**ფიცუშდუდი** „ფიცუსთავი" – წყარო ზედა სალომიოში, მდ. ფიცუს სათავესთან (სენაკი).

**ფიცხალური** – ჩაის ფართობი შებეს მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ფიცხე დიხა რე, მელჭვილი, გვიმარონა". მეორე მხრივ, სავარაუდოა: ფიცხალია (გვარსახელ ფირცხალავას ადგ. ვარიანტი) → ფიცხალური (ფოცხო).

**ფონდალი** – ღელე, საძოვარი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას (ლებაღათურე).

**ფოქვა** „მღვიმე, დარანი, გამოქვაბული" – გამოქვაბული კვარჩხიღალის სათავესთან. (კვარჩხიღალი).

**ფოქორი** – ბორცვი მდ. ცივის მარცხ. მხარეს, სოფ. ახუთის პირდაპირ (ფოცხო).

**ფოქორიშ რობუ** – ხევი, რომელიც ფოქორიდან ჩადის ცივის ჭალაში (ფოცხო).

**ფოცორა** – ტყე-ჭეჭყობი ცივის მარცხ. მხარეს, ლეხაბურზანიეში. რესპ.: „ფოცო დიხა რე, ჭყოჭყო დიხა; მუღურია დიხა ფხვიერი დიხა რე, უსარგებლო; პალური დიხა ჯგგრი მოსავლიანი დიხა რე; ხუდონდიხა აქ არ იციან" (ლეგოგინე).

**ფოშტაშ შარა** „ფოსტის გზა" – ნახიდარი მდ. ცივზე. XIX ს-ში რუსეთის ჯარის სამოძრაოდ გაშენებული. „შქა სამარგალოშ შარას" ზოგან „ფოსტაშ შარაც" ეწოდებოდა (ფოსტა ამ გზით გადაჰქონდათ). (სახარბედიო).

**ფოცხო** – სოფელი ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონების საზღვარზე. ადგ. ვარიანტ: ქვემო ფოცხო. რესპ.: „ფოცხვერტურა ნოხვე, ღიანსგნ თინა" (ფოცხოს თ/ს).

**ფოცხო//რეჩხი** – ტყე, ფერდობი სადავითაიოში, სოფ. საგუნიოს საზღვართან. უწინ აქ გადიოდა გზა ძველი სენაკისაკენ. რეჩხი ქვაღორღიანი ადგილია (უფალკარი).

**ფოცხოლეთი** – ტყე-ფერდობები ბაღათურიეფიშ ღალის სათავესთან, არაგვეთის გვერდით (ლეკოკაიე).

**ფოცხოშ მეტერია** – მდინარე. იგივე მეტერია (ფოცხო).

**ფოხვი** – ფერდობი მეტერიის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ჭიჭე გენთხაფილი ადგილი რე", ე. ი. მცირე დაქანების ადგილია. **ფოხვი** – ოღროჩოღრო ხევებითა და ღრანტეებით დასერილი ტყიანი ფერდობია. იხ. აგრეთვე ფოხუ (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ფოხუ** – ფერდობი ოკვაცეს მარჯვ. ნაპირას. **ფოხუ, ფოხვი, ფორხვი** – ოღროჩოღრო, ხევებითა და ღრანტეებით დასერილი ტყიანი ფერდობი. ალ. ქობალია: „**ფოხვი** – ფარღალა, დაფუტუროებული; **ფოხუ, ფორხუ** – დაფეხვილი, დახუთული" (საადანაიო).

**ფრიალე** „ვერხვი" – 1. ჩაის ფართობი სოფ. საგუგუნავოს საზღვართან (ეკი); 2. ჩაის ფართობი ხორშის საზღვართან (საცხვიტაო).

**ფრიალეში** – საძოვარი ცანასკურის მარცხ. მხარეს. ფრიალე ვერხვია (უფალკარი).

**ფრიალეჯინჯი** „ვერხვისძირი“ – სახნავი როკონაში, სადაც საჩრდილობლად ერთი ვერხვის ხე მდგარა, მეხმა დაარტყა და მიმოფანტა თურმე (პირველი ნოსირი).

**ფულარიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ბანკიშ ტყასთან (ეწერი).

**ფულარიაშ წყურგილე** – ღელე, მაღლაკონის მარცხ. შენაკადი (დიდი ხორში).

**ფულარხეშ ღალღ** – ღელე, ზანაძგის მარჯვ. შენაკადი. ფულარხე ამ სოფელში გამოთხოვილი ქალის – გვარად ფულარიას – „ახალი“ გვარსახელია (სატყებუჩავო).

**ფუნიკულორი** – ბორცვი სალომიოში. დასცქერის ქალაქს (სენაკი).

**ფუშუშკარი** – სახნავი გურძემიის მარჯვ. მხარეს. ფუშუ პირსახელია (მოხაში).

**ფუხურიანოხორი** – მინდორი აფხაზურენის მარჯვ. მხარეს. ფუხურია პირსახელია (ზედა ნაქალაქევი).

**ფშალონა** – ვენახი საარახამიოშ წყურგილეს მარჯვ. მხარეს. **ფშალი** „სვია“ → ფშალონა (კოტიანეთი).

## – ქ –

**ქაბურზანიაშ ტყა** – ტყე სოფ. ზედა ნაქალაქევის საზღვართან. ქაბურზანია გვარ ხაბურზანიას ვარიანტია (ლებაღათურე).

**ქაბურზანიეფიშ სუკი//ხაბურზანიეფიშ სუკი** – სერი სოფლის აღმ. ნაწილში, სახაბურზანიოში (კვაუთი).

**ქალონი** – ვაკე-საძოვარი ნანწყვის ქვემოთ, სალაკიოსა და საგაბესკირიოს შუა (შუა ხორში).

**ქალონიშ წყარი** – ღელე, სამატახერიოშ ღალის მარცხ. შენაკადი, საზღვარი სოფ. მენჯთან. მოედინება ნაწვიმარზე (შუა ხორში).

**ქანანწყუ** „ჩანამეწყრი“ – ნამეწყრი ფერდობები კოტოღალის მარცხ. ნაპირას, კათის პირდაპირ, სოფ. უფალკარის საზღვართან (ლეკოკაიე).

**ქანთარიაშ ნაინჭუ** – მინდორი სადავითაიოში. ინჭა „ჭა“ → ნაინჭუ „ნაჭავარი“ (ძველი სენაკი).

**ქარიანე** – მინდორი. იხ. ოქარიანე (საადანაიო, საგუნიო).

**ქარჩქალელე** – ღელე, ტეხურის მარცხ. შენაკადი ბეთლემის სკოლის პირდაპირ. იწყება ესაინგიესა და ზემო ებაღათურეს შუა (ზედა ნაქალაქევი).

**ქაუჩიაშ ნაჭოფა** „სადაც ქაუჩია დაიჭირეს“ – ტყე თემშარაღალის სათავესთან. რესპ.: „ყაჩაღი ქაუჩია აქ დაუჭერიათ“ (სირიაჩქონი).

**ქაუჩიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი. იგივე ქაუჩიაშ ჩაი (ეწერი).

**ქაუჩიაშ ჩაი//ქაუჩიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სახორასა და საზარანდიოს შუა. ქაუჩია მამაკაცის სახელია (ეწერი).

**ქაფანა** – ფერდობები ძაღუსა და ქოშურს (სახურციოში) შუა, სოფ. უფალკარის საზღვართან (ლეკოკაიე).

**ქაჩათი** – კლდე-ფერდობი ქაჩათიშ ღალის მარჯვ. მხარეს (ბეთლემი).

**ქაჩათიშ ღალგ** – ღელე, იაკოშ ღალის მარჯვ. შენაკადი. გაედინება ლებოკუჩესა და საბარძემსქუოს შუა (ბეთლემი).

**ქაჩხარი** – სერი საადამიოშ გოლას ჩრდ. ნაწილში. რესპ.: „ქაჩხარი რე უმეტაშო ქუალონი, ძღილონა, ჩხირკეფი ჩანს ქუალონს“ (საადამიო).

**ქაჩხატი//ქარჩხაბი** – ბუჩქნარი გაჯარის აღმ. კალთაზე. რესპ.: „ქაჩხარი ჯაგნარ-ბუჩქნარს ნიშნენს, ძიგირი დო ეიშ კოკა ჩანს“. შდრ. ო. ქაჯაია: „ქარჩხაპი – ქარიანი წვიმა“ (ჯიხა).

**ქაჯაიაშ ნოხორი** – საძოვარი სოფ. ლებაღათურეს საზღვართან (ჯიხა).

**ქაჯური** – სახნავი ლეპიტახიეში. ქაჯაია (გვარსახელი) → ქაჯური „ქაჯაიასეული“ (კვაუთი).

**ქებელი** – ღელე, ზანაძგის მარცხ. შენაკადი, საზღვარი სოფ. ციზეთთან. ზანაძგა იქვე ერთვის ხობწყარს (დიდი ხორში).

**ქებურიეფიშ ტყა** – ტყე ღაღანაშ ღალის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**ქეჯვარი** – ბორცვი კოტიანეთის საზღვართან. უჩა ღალის მარჯვ. მხარეს (გახომელა). შდრ. ალ. ქობალია: „ქეჯვარი – ჯვარ-სვასტიკა, ქიაჩის ჯვრის სალოცავი“ (გახომელა).

**ქვაბერი** – ხევი, ოდოსქირეს კალაპოტი ნალიმურს ქვემოთ (შუა ხორში).

**ქვაბიში** – 1. ვაკე, ვენახი ნახურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ძველები სულ იმას ამბობდნენ, ქვაბები ემარხაო ამ ადგილას“ (ქვედა სორტა); 2. მღვიმე. იგივე გამოქვაბული (საადამიო).

**ქვალონი** „ქვავნარი“ – საძოვარი საკუპრეიშვილოს აღმ-ით, ზუგუსთან (გეჯეთი).

**ქვარციელი** – ხევი, ღრმა და კლდოვანი, საკოღუოში, გორდიელის მარცხ. მხარეს. აქვს მაღალი ჩანჩქერი (უფალკარი).

**ქვატახტი** – მინდორი. იგივე ქუატახტი (პატარა ზანა).

**ქვაფონი** – ღელე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი. იწყება ლაუშ ნაკარუსთან და ერთვის ფიჩორს ოჩოცორეს შესართავს ქვემოთ (სირიაჩქონი).

**ქვაშხორი** – ერქვა რუსული მმართველობის დასახლებას ძველი სენაკის მახლობლად. ზ. ჭუმბურიძე (1987, გვ. 515): „ქვაშ(ი)ხორი „ქვის სასახლე“ (სენაკი). იხ. ახალხორი.

**ქვაჩითი** – სერი, საძოვარი სამიქავოს საზღვართან, მელაგურსა და ლემიქავეს შუა. ქვაჩი (პირსახელი) → ქვაჩითი (ჯგუფური ანთროპონიმი: ქვაჩის შთამომავლობა (კვაუთი).

**ქვაწყარი** – მინდორი საადამიოშ გოლაში. აქ ერთგან ქვაა ამოღრმავებული და შიგ ნაწვიმარი წყალი დგება (საადამიო).

**ქვედა თეკლათი//თეკლათი ქვედა** – ეწოდებოდა სოფელს (157 კ, 591 ს.) ქვედა თეკლათის სას. საბჭოში „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის მიხედვით. გადმოცემით, ლომიები აქედან გადასულან ზედა სალომიოში (სენაკი).

**ქვედა სალომიო** – უბანი რკინიგზის ტრასის სამხრ-ით სოფ. საგვარამიოს საზღვართან. იხ. სალომიო (სენაკი).

**ქვედა სორტა** – სოფელი ტეხურსა და ზედა სორტას შუა. სამხრ-ით ესაზღვრება ძვ. სენაკი, ჩრდ-ით – კოტიანეთი (ძველი სენაკის თ/ს).

**ქვემო კოტიანეთი** – სოფლის კუთხე, კოტიანეთის ბარის ნაწილი ტეხურსა და ეკის მთას შორის (კოტიანეთი).

**ქვემო საჭითა(ო)** – უბანი. იხ. საჭითაო (პატარა ზანა).

**ქვემო სორტა** – „ქვედა სორტას“ არაოფიც. ვარიანტი (ქვედა სორტა).

**უფალკარი** – სოფლის ნაწილი ეკისა და სა **ქვემო** გუნიოს საზღვრებთან (უფალკარი).

**ქვემო ფოცხო** – სოფლის სახელწოდება „ფოცხოს“ არაოფიც. ვარიანტი. იხ. ზემო ფოცხო (ფოცხო).

**ქვიშა** – 1. სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (ჯოლევი); 2. სახნავი მოხირჭალეში (კვაუთი).

**ქვიშია//შებე** – მდინარე, მეტერიის მარჯვ. შენაკადი ლებებიეში, ლესანაიესა და ლედემურიეს შუა. ნოღის მცხოვრებნი უწოდებენ შებეს, ფოცხოელები – ქვიშიას. ქვიშაა ბევრი (ფოცხო).

**ქვიშონა** „ქვიშიანი“ – სახნავი გუდურში (საოდიშარიო).

**ქილამდარი** – ტყე. იგივე ქილანდარი (ბათარია).

**ქილანდარი//ქილამდარი** – ტყე სოფ. პერტულის საზღვართან. ხალხ. ეტიმოლოგია: აქ მგელი მოუკლავთ. ეს მომხდარა ქელამ დღას („ცხელი დღე“) და ამიტომ დარქმევია. რესპ.: „ქილა არის ჩალამ-კალამის სასტვენი. მონადირე მურზა ფაჩულია რომ ჩასტვენდა ქილას, მაშინვე გამოჩნდებოდნენ მეზობლები და წავიდოდნენ მგლებზე სანადიროდ. მე მახსოვს, რომ ერთ დღეს, ეს იყო 1934 წელს, ფერმის ტერიტორიაზე ოთხი მგელი მოკლეს“ (ბათარია).

**ქირსეიაშ ნოხორი** – მინდორი ობამბუკეში. ქირსეია მამაკაცის სახელია (ეკი).

**ქირსეშ ოხვამე** „ქრისტეს სალოცავი“ – 1. ბორცვი, სასაფლაო. იგივე ნაოხვამ (უშაფათი); 2. ეკლესია, სასაფლაო. იგივე ქირსეშობაშ ოხვამე (ბეთლემი).

**ქირსეშ ოხვამე//ქრისტეშ ოხვამე** – ეკლესია ლეკარტოზიეში, ბეთლემის საზღვართან. ქირსე ქრისტეა (მეორე მოხაში).

**ქირსეშობაშ ოხვამე** – ეკლესია, სასაფლაო. იგივე იესო ქრისტე (ბეთლემი).

**ქირჩონა** – ჭალა ცივის მარჯვ. ნაპირზე, რკინიგზის ხიდს ზემოთ. რესპ.: „ქირჩი ჯოხო ტკილიან ადგილს“. შდრ. ო. ქაჯაია: „ქირჩონა – ღლეტია, გამტყავებელი (პიროვნება)//გაუმაძღარი“ (სახარბედიო).

**ქობულიერი** – ფერდობები საადამიოშ გინაჯინუს აღმ. კალთაზე. ქობულია (გვარსახელი) → ქობულიერი „ქობულიას კუთვნილი“ (კვარჩხიღალი).

**ქოიში** – ღელე, სახნავი სკურიის მარცხ. ნაპირზე, საზიარო სოფ. რეკასთან. ქოიში იგივეა, რაც ქოლოში (← ქოლო). ხალხ. ეტიმოლოგია: აქაურ ბიჭს შეყვარებული გაქცევია ტყეში. „სო ინტებუქია, იშენ ქოიშიინქია“, – დაქადნებია ვაჟი. ამის მერე დარქმევია ქოიში (ბათარია).

**ქოლო** „კოდი“ – წყარო ლემორცხულეში და სახნავი ლეცურასქუეში (ფოცხო).

**ქოლოკოდი** – წყარო საჭატურიოში (შუა ხორში).

**ქოლოში//ქოჲოში** – სახნავი ჯაფხენჯის მარცხ. ნაპირას, დიხაძუგუროს ჩრდ-ით. წყარო აქ ამჟამად აღარსადაა (რეკა).

**ქოლოშ წყარი** – წყარო ხანჯარის მარცხ. მხარეს, ტველეფასთან (ფოცხო).

**ქონოხორი** – სერი გუნურსა და ფაქვას შუა. გადმოცემით, ესახლა ქორთუ („ქართველი“ – იმერელი, გურული და სხვ). მაშასადამე, ქორთუშ ნოხორი → ქონოხორი (უფალკარი).

**ქოჲოში** – სახნავი. იგივე ქოლოში (რეკა).

**ქორთუნოცუნი** „ქართველის ნაყანევი“ – ტყე კაუტიის ხეობაში. ქორთუ „ქართველი“ ეწოდებოდა XIX ს-ში გუ-

რიიდან, იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან სამეგრელოში ჩამოსახლებულებს (შუა ხორში).

**ქორქიანოხორი** – ვენახი სადუდუჩაოში. ქორქია გვარსახელია (პირველი ნოსირი).

**ქორქიაშ ნაეზუ** „ქორქიას ნაეზოვარი" – სახნავი გუდურში (საოდიშარიო).

**ქორცხა(ნი)** – უტყეო სერი ხობისწყალსა და ნიშიის სათავეს შუა, მანცხვარკართან. რესპოდენტის განმარტებით, ქორცხანი უტყეო, ტიტველ ადგილს უნდა ნიშნავდეს (ციზეთი).

**ქოჩაქიაშ მინდორი** – ერქვა მინდორს რიონის მარცხ. ნაპირას. ქოჩაქია გვარ ქოჩაკიძის არაოფიც. ვარიანტია (მუხური).

**ქოჩაქიაშ ტყა** – ტყე ხორგიში (მუხური).

**ქოძიაშ ნოხორი** – ჯაგნარი ეკის მთის კალთაზე. ქოძია პირსახელია (სახარბედიო).

**ქოძირიაშ გინნალეფი** – კლდე. იგივე ქოძირიაშ გინნონთხეფი (სენაკი).

**ქოძირიაშ გინნონთხეფი//ქოძირიაშ გინნალეფი** „ქოძირიას გადანავარდნი" – კლდე ხომონს ქვემოთ. რესპ.: „ქოძირია ნინუა გადავარდნილა ამ კლდეზე და გადარჩენილა. ეს ქოძირია იყო უტუ მიქავას ჯარის მონაწილე. დამკვიდრდა შხეფის ახლოს ხომონში. ემალებოდა დადიანს"; სხვა გადმოცემა: ქოძირიაშ გინნანთხეფი ჩანჩქერია ტობაღელეზე: „აქ 20 მ სიმაღლიდან კლდეზე ჩანჩქერად ჩამოდის წყალი. ასი წლის წინათ ღამე ამ კლდეზე გადაჩეხილა ქვრივი ქალი, სახელად ქოძირია" (სენაკი).

**ქრისტეშ ოხვამე** – ეკლესია. იგივე ქირსეშ ოხვამე (მეორე მოხაში).

**ქრისტიშ ნოხორი** – სახნავი ლეშამათეში. ქრისტი პირსახელია (მოხაში).

**ქუაგელაფუ** „ქვის სავარდნი" – კლდე ესაინგიესა და აბანაფერდს შუა (ზედა ნაქალაქევი).

**ქუაგელაფუშ რობუ** – ხევი. ქუაგელაფუდან ჩადის აბანაფერდში (ზედა ნაქალაქევი).

**ქუაგელაფუშ ღალ** – ღელე ტეხურის მარცხ. შენაკადი (ზედა ნაქალაქევი).

**ქუალონი** „ქვავნარი“ – 1. ტყე ტეხურის მარცხ. მხარეს (ზედა ნაქალაქევი); 2. სახნავი სადუდუჩაოში (პირველი ნოსირი).

**ქუანატახა** „ქვანატეხი“ – ფერდობები კაკუტიაღალის სათავესთან (ციზეთი).

**ქუანოხორი** – ერქვა მინდორს შხეფში. აქ იყო ოტია ბატონიშვილის ნასახლარი (სენაკი).

**ქუარტკილი** „ქვაფიქალი“ – მაღალი კლდე სამაჭავარიანოში (უფალკარი).

**ქუატახტი//ქვატახტი** – მინდორი, ქვავნარი ადგილი სადაოსთან, სუღირის მარცხ. მხარეს. ტახტი მეგრულში აღნიშნავს ფართო ლოდს, რომელზეც შეიძლება დაჯდომა ან წამოწოლა (პატარა ზანა).

**ქუაში** „ქვისა“ – ჭალა დღურუს მარჯვ. ნაპირას (საადანაიო).

**ქუაჭკირი(ლი)** „ქვაჭრილი“ – კლდეები საადამიოშ გოლაში. რესპ.: „XIX ს-ში აქ კლდეებს ამტვრევდნენ ლაღუმით და ქვა ფოთში გაჰქონდათ“ (საადამიო).

**ქუთარიშ ფონი** – ფონი ტეხურზე, კიცხირაფონს ზემოთ (ჯოლევი).

**ქუთელიეფიშ ფერდი** – სერი კოლოპიასა და ცივს შორის (ფოცხო).

**ქუთლაშ წყურგილე** – წყარო სუღირის ხეობაში (ზანა).

**ქუთულაშ ოისგრე** – ბუჩქნარი ლაბახურის მარცხ. მხარეს. ქუთულა მამაკაცის სახელია (გოლასკური).

**ქუ(ლ)იცი** – ტყე ლეგოგიეში, მენჯის სათავესთან (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ქუნიერი** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირის ჭალაში. რესპ.: „აუარებელი სიმინდი მიშგ, დოქუნელი რდუ მოსავალით. ირფელი მიშგ. ჩხვერი ეჩი დღას დოქუნელო მიღუდესგ. სერით მუში ჭათ ბქუნუნდით, დღაშით გოფაბჩგნდით დო ვოხუმუანდით“. მე-18-ე ს-ის პირველ ნახევარში შედგენილ „შეწირულების წიგნში“ აფხაზეთის კა-

თალიკოსი გრიგოლი ასახელებს „ქუნიორი“ ფორმას. 1696-1742 წლებში დაწერილ წიგნში აღნიშნულია „ქუნიერი სასახლე თჳსის ციხითა და წყლითა და საყანითა ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის შეგვიწირავს“ (კაკაბაძე, I, 1921, გვ. 155). გ. ელიავას მოცემული აქვს ორი ვარიანტი – ქუნიორი (გეჯეთის სას. საბჭოს ტოპონიმთა ჩამონათვალში) (ელიავა, 1989, გვ. 65, 66) და ქუნიერი (ნოქალაქევის სას. საბჭოს მასალაში: იქვე, გვ. 112). ქუნიორთან დაკავშირებით გ. ელიავას რესპოდენტი ასეთ მოტივაციას წარმოგვიდგენს: „ვაზი ქუნიორი ყოფილა მაღლარზე მიშვებული“ (იხ. ელიავა, 1989, გვ. 65). ნ. ბუღაძე და ი. კეკელია გამოთქვამენ ორ ვარაუდს: ა. ქუნილი, ქუნირი აღნიშნავს „ბურვილს, მოსილს“. შესაძლებელია ტოპონიმის შინაარსი სწორედ დაბურული ადგილის, ხშირი ტყის ამსახველი იყოს; ბ. „სავარაუდოდ, სახელწოდება რაღაც მცენარის სიმრავლეს, ამ ადგილას მის ბლომად გავრცელებას უნდა ასახავდეს და ისეთივე წარმომავლობისა იყოს, როგორისაც კვადაცერა, ცხიმერა, წიფერა...“ (ბუღაძე, კეკელია, მხარეთმცოდნე, II, გვ. 8-9). (გეჯეთი, ძიგიდერი, ჯიხა).

**ქუნცონა** „ქაცვნარი“ – ბუჩქნარი ღელე გახომილას მარცხ. მხარეს (გახომელა).

**ქურდული** – სახნავი ტეხურის მარჯვ. ნაპირას, ლეხუხუნეში (ლესაჯაიე).

**ქუჩუაშ ნაკარუ** – ტყე ჭალადიდის საზღვართან. ქუჩუა მამაკაცის სახელია (გოლასკური).

**ქუჩუიაშ ნარტყი** – ერქვა ტყეს სოფ. დიდი ხორშის საზღვართან. შემდგომში აქ ჩაი გააშენეს. **ნარტყი** ერთმანეთში გადახლართულ-გადაწნული ტყეა, რომელშიც შესვლა თითქმის შეუძლებელია (პატარა ზანა).

**ქუჩუშ ნაისირუ** – მინდორი საარჩაიოსა და საჩიჩუოს შუა. ქუჩუ პირსახელია (უფალკარი).

**ქუცონა** „ქაცვნარი“ – 1. საძოვარი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ქვედა სორტა); 2. ჩაის ფართობი ლეღვინჯილიეში (ფოცხო).

# – ღ –

**ღაბურზალა** – ღელე, ხევი. იგივე ღაბურძალა (საცხვიტაო).

**ღაბურძალა//ღაბურზალა** – ღელე, ხევი, დღურუს მარცხ. შენაკადი ჯიხასთან. ღაბურძალა ← ღალბურძალა. შდრ. ქართ. ღელებოძალი „ორტოტა ღელე“ (საცხვიტაო).

**ღალ(ი)ჩა** – ღელე. იგივე ღალ(უ)ჩა (შუა ნოსირი, საოდიშარიო)

**ღალმუხური** – ღელე საესებუოს საზღვართან, ცივის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ოხვამეკარში. ღალმუხური ეწოდება სახნავსაც ცივისა და არჩილიშ ღალის შესართავთან (საესებუო, საშურღაიო, ზანა).

**ღალნოხორი** – ღელე, ხეობა. კვარჩხიღალის ერთ-ერთი სათავე შენაკადი (კვარჩხიღალი).

**ღალუ** – ღელე. იგივე გითოკირილიშ ღალუ (საადამიო).

**ღალ(უ)ჩა** – ღელე, რიონის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ოფაჩაფუდან, ყოფილი სანერგე მეურნეობის ცენტრიდან. რესპ.: „ღალგ მეურცუ დო შანი დოხვილირი რე, დინოხვილირი რე დო ოქვაბუე, ოტორი ვარდუ“. სხვა რესპონდენტები ამტკიცებენ, რომ ღალუჩა ჰქვია მას შემდეგ, რაც ოფაჩაფუში შეერთდებიან ფიცუ და სანაძგა (ისულა, ახალსოფელი).

**ღალუჩა//ღალ(ი)ჩა** – ღელე, მარაგანის შენაკადი. გაედინება საბოხუოდან და ერთვის ტეხურს მარცხ. მხრიდან სოფ. ნოსირში, ეჯიბურსა და ნასილაცუს შუა (შუა ნოსირი, საოდიშარიო).

**ღალწყარი** – ღელე, ნათიწყუს შენაკადი. გამოედინებოდა ბარგადან (რეკა).

**ღანჩირო** – ღელე, ფიჩორის მარჯვ. შენაკადი სანძღვარღალს ქვემოთ. იქნებ: ღალჩირე „ღელე-ჭაობი“ → ღანჩირო; შდრ. ალ. ქობალია: „**ღანჩო** – მდინარის აუზი ჭალითა და წვრილი განშტოებით“ (საგვიჩიო).

**ღარდა** – ტყე, ფერდობი ცივის მარჯვ. მხარეს (ეკი, საცხვიტაო).

**ღარი** – წყარო საკოდუოში. წყაროს ღარი ედგა (უფალკარი).

**ღარია** – წყარო საგანგაში, მდ. ცივის მარცხ. მხარეს. ღარი უდგას (საესებუო).

**ღარიწყუ** „ღარის წყალი“ – წყარო სააფშილაში. მოედინება ქალონიდან, რაც სოფ. ხორშშია (საგაბესკირიო).

**ღარუ** „ღარი“ – ღელე, წყარო სადავითაიოში, მერსიოლეს მარჯვ. შენაკადი (ძველი სენაკი).

**ღაღანა** – ტყე, ხეობა ლეშამათეში. რესპ.: „მშრალი ხეობაა. ამიტომაა ღაღანა“ (ფოცხო).

**ღაღანაშ ღალუ** – ღელე, მეტერიის მარჯვ. შენაკადი ლეშამათეში. იწყება ლენიკოლეში (ფოცხო).

**ღაჩირე** – მდინარე, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი სახორაში. საზღვარი ჩხოროწყუს რაიონთან. ღაჩირე ← ღალჩირე „ღელის ტლაპო“ ან „ღელე-ტლაპო“ (ეწერი).

**ღაჭაჭე** – ღელე, ტობჩას შენაკადი. იწყება სოფლის დას. ნაწილში. **ღაჭაჭია** „ცხრაფეხა, კიბორჩხალა“. რესპ.: „ჭიჭე წყარი მიღაჭაჭგ ირო, უსქგრაფუო“ (სახარბედიო).

**ღელე//წისქვილიშ წყარი** – არხი – ტეხურის ტოტი. გაივლის გეჯეთის ცენტრს და მიემართება სოფ. წყემისაკენ და ბოლოს ერთვის მდ. აბაშას (გეჯეთი).

**ღელო** – ღელე, ხეობა, ცივის მარცხ. შენაკადი. იწყება დედათა მონასტერთან (სახარბედიო).

**ღვაბუთი** – გორა ცენტრ. გზაზე, საშურღაიოს საზღვართან. ღვაბუს იტყვიან თქვლეფით მჭამელ კაცზე (შეიძლება ადვილად ქცეულიყო მეტსახელად). (ზანა).

**ღვაითერი//სხულწყუ//ღვაითი** – სახნავი საკუჭაოში, გითოკირილიშ ღალუს ზემო წელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „სხული რდუა ღვაითიში“ (?) (საადამიო, ეკი).

**ღვაითი** – სახნავი. იგივე ღვაითერი (საადამიო).

**ღვალური** – სახნავი. იგივე ღვაღური (გეჯეთი).

**ღვაღური//ღვალური** – სახნავი უჩა ღელესა და სუღირს შუა. რესპ.: „ღვამბერიას ნასახლარია და ამიტომ ეწოდება ღვაღური. იშვიათად ღვალურსაც იტყვიან“. სხვა განმარტება: „თექი ირფელი დოღვაღვილი რდუა“. შდრ.

ალ. ქობალია: „ღვალური – მდიდარი, მქონებელი“ (გეჯეთი).

**ღვენკელური –** წყარო ფაჩიათში, სკურის მარჯვ. მხარეს. ღვენკე (თუ ღვენკერია) მამაკაცის სახელია. ამ მამაკაცს აქ აბრაგების მიერ თავწაჭრილი კაცი უნახავს. ამიტომ დარქმევია. **ღვენკელია, ღვენკერია** გამხდარ-გაფიჩხული კაცის ეპითეტია (შუა ხორში).

**ღორთოლი –** ეწოდება ორ ღელეს: ერთი სათავეს იღებს ზგსხგრიშ გოლაში და ერთვის მდ. ცივს მარცხ. მხრიდან, საფილიოში, მენჯსა და სახუხუოს შუა. მეორე ღორთოლი გადიოდა ოპაინეში. იგი არხში გადააგდეს და შეუერთეს ცივს ქუთაის-ზუგდიდის საავტომობილო მაგისტრალის ხიდთან. ზემო წელზე ეწოდება ხაბაზეთიშ ღალ. საზიარო სოფ. თეკლათთან (სენაკი, ტყირი, საგვარამიო, თეკლათი).

**ღორთოლძგა –** სახნავი გვიმარეშში (ტყირი).

**ღორჯიელი –** ღელე, მაღლაკონის მარცხ. შენაკადი. მოედინება სალოლუოდან, საზღვარი საჯიჯაოსთან. რესპოდენტები სახელწოდებას აკავშირებენ ღორჯოსთან (თევზია ერთგვარი), თუმცა კი ღორჯო, ღორჯია (იშვიათად) მეტსახელადაც გვხვდება (დიდი ხორში)

**ღულაცვანა** „მრუდე ყანა“ – სახნავი ტეხურის ნაპირზე, ნასილაუსთან. ყანა მდინარის კალაპოტს ზიგზაგებით მიუყვება (სენაკი).

**ღურწკაიაშ წყუ –** წყარო, ნარგიშ ღალის სათავე (მეორე მოხაში).

**ღურჯუმი –** წყარო, ქვაღირის შენაკადი. სათავეს იღებს მელაგურში. რესპ.: „ღურჯუმს იტყვიან ტობა ადგილზე, უფსკრულზე“. შდრ. ალ. ქობალია: „**ღურჯუმი** – დაბურული, უსიერი ადგილი; დიდი სიღრმე, უფსკრული“ (კვაუთი).

**ღუღუნიშ ნოხორი –** სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

## – ყ –

**ყარაშ ნოხორი** – საძოვარი ზანაძგის მარჯვ მხარეს, ხიდთან (სატყებუჩავო).

**ყარაშ ფერდი** – ფერდობი ბათლომეშ ღალის მარცხ. მხარეს (ზანა).

**ყურნათი//კურნათი** – ტყე, ხეობა ყურნათიშ ღალის სათავესთან (ბეთლემი).

**ყურნათიშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი ლებარკალაიეში (ბეთლემი).

## – ც –

**ცაიში** – ხევი-ტაფობი საკილასონიოსა და მიკოტახილს შუა. ტყით იყო დაბურული. გზა-ბილიკი გადიოდა სოფ. ბეთლემში. **ცალი** „ყელი, კისერი" → ყალიში → ცაიში მეტაფორულად აღნიშნავს უღელტეხილს (გახომელა).

**ცვანაშ წყარი** „ყანის წყალი" – ღელე, სკურეს მარჯვ. შენაკადი (პირველი ნოსირი).

**ცვაშ მამული** – ტყე. იგივე კვაშ მამული (უფალკარი).

**ცვაშ მამულიშ წყურგილე** – წყარო ცვაშ მამულში (უფალკარი).

**ცომურიშჯინჯი** „ტყემლისძირი" – მორევი მდ. ცივზე (უშაფათი).

**ცურუაშონა** – ტყე ლეაგუეს სუკზე. რესპ.: „ყურუას გვარის კაცს აქ ჰქონია ყანა" (გახომელა).

**ცურული** – ჩაის ფართობი ნოღაშ მეტერიის მარჯვ. მხარეს. ჩაი გაშენებულია ცურუას (გვარია) ნაქონ მიწაზე (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ცურული ჩაი** – ჩაის ფართობი ცურუას ნასახლარზე (ფოცხო).

## – შ –

**შავდიაშ ნოხორი** – სახნავი ოხვამეკართან (ბეთლემი).

**შალამბერიაშ გოლა** – სერი, ეკის მთის განშტოება (სენაკი).

**შალამბერიაშ ეზო** – სახნავი ნოჭაბაკენში. შალამბერია გვარსახელია (ჯიხა).

**შალუშ ნოხორი** – ტყე ლეჭეში. შალუ „შალვას" შემოკლებული ფორმაა (მოხაში).

**შანი** – 1. ღელე სოფ. ნოსირის საზღვართან. რესპ.: „შანი ეწოდება დამდგარ წყალს, მხოლოდ ბაყაყი იცის ამ შანში" (საოდიშარიო); 2. ჭეჭყობი სკურეს მარჯვ. მხარეს. წყალდიდობისას ღელედ იქცეოდა (საბესელიო)

**შანიორი** – ფერდობი ოკვაცეს მარჯვ. მხარეს (საადანაიო).

**შარვანიშ ნოხორი** – სახნავი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. შარვანი პირსახელია.

**შარვანიშ ძუგუ** – ბორცვი საარახამიოშ რობუს სათავესთან (კოტიანეთი).

**შარტაშ ჭალე** – საძოვარი გურგინიონის ქვემოთ. შარტა ← შარტავა (გვარსახელი). (პატარა ზანა).

**შარუშ ნაკარუ** – მინდორი ძუგუში (ტყირი).

**შარუშ ნოხორი** – ტყე მენათში. შარუ მამაკაცის სახელია (საადამიო).

**შაქაშ ნოხორი** – ნასახლარი კაკუტიაღალის მარცხ. მხარეს, ტორგონიშ წყართან. შაქა მამაკაცის სახელია (ციზეთი).

**შებე** – მდინარე. იგივე ქვიშია (ფოცხო).

**შებეშ მეტერია** – მდინარე. იგივე მეტერია (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**შელეგიაშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი (მეორე მოხაში).

**შვაღა//შვაღე** – სახნავი დაბალ ადგილზე, უჩა ღალის მარცხ. მხარეს. რესპ.: „წყარამ ადგილ რე"; „შვაღე, ანუ შოღა, საერთოდ ჭეჭყობი ადგილია" (გახომელა).

**შვაღა//შოღა** – 1. სახნავები, დაბალი ჭეჭყიანი ადგილი საარახამიოშ ღალის მარჯვ. მხარეს (კოტიანეთი); 2. ტყე-ბუჩქნარი და ჭეჭყობი საჯღამაიოსა და საჩემიოს შუა, ნაქალაქევის თემის საზღვართან. რესპ.: „ჩოყო ადგილია, ანუ ჭეჭყობი. ამიტომაა შოღა“ (გეჯეთი).

**შვაღაშ წყურგილი** – წყარო შვაღაში (გეჯეთი).

**შვაღე** – 1. ჭალა, სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე. ტერიტორია დიდია, მიწა – შავი. რესპ.: „შვაღე დიხა რე, საპონიჯგურა, შოლირი რენ თინწკუმა ცენს“ (ჯოლევი); 2. სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, სოფ. ჯოლევის საზღვართან. რესპ.: „შვაღე ონწარე ადგილი რე“ (ზედა ნაქალაქევი); 3. სახნავი. იგივე შვაღა (გახომელა).

**შილაშკარი** – სახნავი საფაჩულიოში (დიდი ხორში).

**შოთაშ წყურგილე** – წყარო სამირგატიოში (მოხაში).

**შომეხეშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**შონური** – ტყე, ხევი საარჩაიოში, ფაქვის სათავესთან (უფალკარი).

**შორნობა** – ბუჩქნარი კუტალეთსა და თორდიელს შუა (კოტიანეთი).

**შოღა** – 1. ტყე-ჭეჭყობი. იგივე შვაღა (გეჯეთი); 2. სახნავები. იგივე შვაღა (კოტიანეთი); 3. სახნავები მერსიოლეს ორივე ნაპირას, საგიგიბერიოს უკან. რესპ.: „შუაში ღელე გადის. ამიტომაა შოღალ“; „შოღა ჰქვია სხვაგანაც, კერძოდ, ჩაის ფართობს ჭუხარიანიშ ღალის ორივე ნაპირას“ (ძველი სენაკი).

**შოშიაშ წყურგილი** – წყარო, ჩხვიაღალის მარცხ. შენაკადი. შოშია პირსახელია (ციზეთი).

**შრიმი** – კლდე. იგივე რშიმი (კვაუთი).

**შრომისკარი** – ერქვა უფალკარს საბჭოთა პერიოდში (უფალკარი).

**შუა ეკი//შქა ეკი** – სოფ. ეკის უწინდელი სახელწოდება (ეკი).

**შუა ნოსირი** – სოფელი ტეხურის მარცხ. ნაპირას (ნოსირის თ/ს).

**შუა ხორში** – სოფელი და ხორშის თემის საკრებულოს ცენტრი. მდებარეობს დიდ ხორშსა და სოფ. ქვალონს შუა. აღმ-ით ესაზღვრება სოფ. საგაბესკირიო და საადანაიო, დას-ით – სოფ. ნოჯიხევი (ხორშის თ/ს).

**შულაიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლეტორჩინეში (მოხაში).

**შულაიაშ ღალგ** – ღელე ლემალანიეში. ერთვის მირგატიაშ ღალს (მეორე მოხაში).

**შურღაიაშ გინაცვილა** „სადაც შურღაია მოკლეს“ – მინდორი საარჩაიოში, ნოქალაქევის საზღვართან (უფალკარი).

**შურღაიაშ ნოშქვიდუ** „სადაც შურღაია დაიხრჩო“ – მორევი ხობისწყალზე (ეწერი).

**შუტუშ ნოხორი** – ბორცვი ლეგაგუეში. შუტუ პირსახელია (გახომელა).

**შუშანიაშ ნოხორი** – სახნავი ლეგაბუნიეში. შუშანია გვარია (ლეკოკაიე).

**შქადობერა** – ტყე ლეგაბუნიესა და ლეხურციეს შუა (ლეკოკაიე).

**შქადოკე//შქათოკე** – ტყე-საძოვარი ნოქალაქევიშ გოლაზე, ნოჯიხენსა და ბერნოხორს შუა (ბეთლემი).

**შქა ეკი** – იგივე შუა ეკი (იხ.). (ეკი).

**შქათოკე** – ტყე-საძოვარი. იგივე შქადოკე (ბეთლემი).

**შქაიტები** – ტყე ფერდობზე, ლეგაგუეს შემოგარენში (გახომელა).

**შქაიფონი//შქაშფონი** „შუა ფონი“ – სახნავი ცივის მარცხ. მხარეს, ორ ფონს შუა (საადამიო).

**შქაიღალგ** – ღელე. იწყება საზარანდიოში და გადის პ. ზანაში (ეწერი).

**შქაიღალუ//შქაშღალ** – ღელე. იწყება სოფ. ლესიჭინეს საზღვართან და გადის სოფ. ეწერში (სატყებუჩავო).

**შქამამული//გიძე მამული** – სახნავი სუღირის მარცხ. მხარეს. შქა „შუა“; გიძე „გრძელი“ (პატარა ზანა).

**შქამანგარი** – სახნავი ფერდობზე, საშურღულაიოში. მანგარი „უსიერი ტყე“ (შუა ხორში).

**შქა ოთოკე** – ხევი, გზა ლეგაგუეშ სუკსა და ბაღათურიეფიშ სუკს შუა. ცურუაშონიდან აქ გაივლის გზა და მიემართება როკონისაკენ (სოფ. ეკი). რესპ.: „ყიარით მგნოღვენა გოგორე დო თოკი შქას გოხარცქე“. გოგორე მარხილია (გახომელა).

**შქარეკა** – კუნძული ტეხურზე. საერთოდ რეკა ქვიანი წყლისპირია (ჯიხა).

**შქასუკი** – სერი, გირძეგას გაგრძელება (ჯოლევი).

**შქატები** „შუა ტევრი“ – სახნავი ზანაძგის მარცხ. ნაპირზე, საკვირაიოში (ეწერი, ზანა).

**შქა უშაფათი** – სოფელი. იგივე უშაფათი (უშაფათი).

**შქაღალ** „შუა ღელე“ – ღელე, მენჯღალის შენაკადი. მოედინება ჯვარკადარიდან (საადანაიო).

**შქაშონე** – სახნავი სასიმონიოში. შქაშონე ← შქაშოცონე „შუა საყანე“ (ნოსირი).

**შქაშპალოტი** – საძოვარი მაღალიასა და ტეხურას შუა. რუს. болото → „ჭაობი“ → მეგრ. ბალოტი, პალოტი (იმავე მნიშვნელობით). (საოდიშარიო).

**შქაშრახა//ნინუაშ ხაბო** – ხევი ნინუაშ გოლას აღმ. კალთაზე. რახა – მაღალი, ციცაბო კლდე; ხაბო – ფლატე, ხრამი, ხევი. რესპ.: „რახა ეწოდება ქვავნარში თხელ ტყეს“. შდრ. ალ. ქობალია: „**რახა** – მაღალი, ციცაბო კლდე; სერი, ქვიანი ნიადაგი“. ნინუა გვარსახელია (კოტიანეთი).

**შქაშსურკი** „შუა სერი“ – სერი ლეარზიანეში (ლესაჯაიე).

**შქაშფონი** – სახნავი. იგივე შქაიფონი (საადამიო).

**შქაშღალგ** – ღელე. იგივე შქაიღალუ (სატყებუჩავო).

**შქაშშარა** „შუა გზა“ – გზა ტყეში. ნაქორუდან გადიოდა სუღელოში (ტყირი).

**შქერი** – სახნავი ჩხარის ნაპირას. ომამდე დაფნა იყო გაშენებული (მეგრულში შქერი დაფნასაც აღნიშნავს). (საწულეისკირიო).

**შქერწყარი** „შქერის წყალი“ – 1. წყარო გაშფერდში, ეკის საზღვართან. გაედინება მდ. ცივისკენ. რესპ.: „მართალო შქირუ რე, ფერო რე“ (საჩიქობავო); 2. წყარო საადამიოშ გოლაში, კვარაცხელიაშ ნოხორთან (საადამიო).

**შქვითჰექტარიანი//ნაოხვამგ** – სახნავი სოფ. ზანათის საზღვართან. შქვითჰექტარიანი „შვიდჰექტრიანი“ (საოდიშარიო).

**შხეფარეფიშ დიხა** – 1. სახნავი. იგივე შხეფიშ დიხა (ნოსირი); 2. სახნავი. იგივე შხეფიშ დიხა (ძველი სენაკი).

**შხეფი** – ერქვა სოფელს ქ. სენაკიდან 3 კმ-ზე, სენაკი-მარტვილის გზის მარცხ. მხარეს. შხეფის მთის თხემზეა აგებული და გადასცქერის სამეგრელოს ვაკეს შხეფის ციხე (მაკალათია, 1941, გვ. 315). შემდეგში ქ. სენაკის უბნად იქცა. ხალხური ეტიმოლოგია: „ტალახიან-გუბეებიანი ადგილი იყო და, რაც გაივლიდა, კაცი იყო თუ ურემი, შხეფებს ისროდა. ამიტომ დარქმევია“. XIX ს. დამდეგამდე ეს ციხე წარმოადგენდა დადიანთა რეზიდენციას (იხ. დაწვრილებით: ზაქარაია, 1960, გვ. 27-29). შხეფი, როგორც სოფელი სუჯუნის მაზრაში, დასახელებულია ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის ცნობარში. 1886 წელს კი ეს დასახლებული პუნქტი „შხეტი“ ფორმით (მოსახლეობა 229 კომლი, 1213 სული) შედის სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბნის თეკლათის სოფლის საზოგადოებაში. „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ ცნობარის (1930 წ.) მიხედვით, სენაკის მაზრის სენაკის რაიონის თეკლათის სას. საბჭოში სხვა 11 სოფელთან ერთად შედის შხეფიც (296 კომლი, 1432 სული). 1949 წლისათვის კი შექმნილია შხეფის სას. საბჭო, რომელშიც შედის ორად-ორი სოფელი – შხეფი და საკინწურაშვილო. მაგრამ ქ. ახალსენაკის ტერიტორიული გაფართოების შემდეგ შხეფი (ამჟამად ქ. სენაკის უბანი „დიდი შხეფი“) შეერწყა ქ. სენაკს, ხოლო „ჭიჭე შხეფი“ – სოფ. ძველ სენაკს. შხეფი ისტორიული სახელწოდებაა, პირველად მოხსენიებული 1733 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ „შეწირულების სიგელში“, სადაც აღნიშნულია: „შხეფს იმ საყდართან ბერდია დოხვადია შეწირული...“ (ქსძ. III, გვ. 731). ვახუშტი სამგან ასახელებს ამ სახელწოდებას როგორც შხეფი, ისე შხეთი ფორმებით: 1. „უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 777). შხეთი ფორმა დასტურდება ვახუშტის „მეორე ატლასშიც“

(1745 წ.); 2. „გურიელი გიორგი კუალად არა დასცხრა შურ-გებად გიორგი დადიანისად, მოიპარა ძე, მცირე ლევან, პა-ტიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა“ (იქვე, გვ. 819); 3. „და მოკუდა შემდგომად მეფე ლევან პატიმრობასა შინა შხეთს ციხესა შინა“ (იქვე, გვ. 821). სიტყვა „შხეფის“ სემანტიკა ცნობილია: „შხეფი – შხეფი, ზვირთი; შხეპლი, სხეპლი; შე-ტევები; სატეველა“ (ალ. ქობალია) , მაგრამ ეს ვერ გვიხ-სნის სახელდების მოტივს. ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: „შხეფი საბრძოლო მოედანია. შხაფა ნიშნავს მძვინვარებას, გააფთრებას, გესლიანობას. **იშხაფუუდუ** „გესლს ანთხევ-და“ (სენაკი).

**შხეფის ციხე –** შუა საუკუნეების ციხესიმაგრე სა-მეგრელოში, ქ. სენაკის მახლობლად. ეტყობა შემდგომი პე-რიოდების გადაკეთებათა კვალი. კარგადაა შემორჩენილი ორი კოშკი და გალავანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შხეფის ციხე არის იგივე „ციხესიმაგრე ონოგურისი“. ხში-რად იყენებდნენ საპატიო პატიმართა საპყრობილედ. აქ 1590 წელს ტყვეობაში გარდაიცვალა იმერეთის მეფე ლევა-ნი (ქსე, 11). ადგ. ვარიანტი: ჯიხა//შხეფიშ ჯიხა (სენაკი)

**შხეფიშ დიხა//შხეფარეფიშ დიხა –** სახნავი ტეხუ-რის მარჯვ. მხარეს, ნასილაუსთან (ძველი სენაკი).

**შხეფიშ ნაკარუ –** მინდორი სოფლის დას. ნაწილში. აქ შხეფის კოლმეურნეობის საქონელი მდგარა (მუხური).

**შხეფიშ უბანი –** ქალაქის ერთ-ერთი დიდი უბანი, იგივე დიდი შხეფი ძველი სენაკის საზღვართან (სენაკი).

**შხეფიშ ჯიხა –** ციხესიმაგრე. იგვე ჯიხა სენაკი).

**შხურნაცდიერი** „ცხვრის ფასად ნაყიდი“ – სახნავი (საცხვიტაო).

## – ჩ –

**ჩაგანაჩქონი –** ტყე ნაკამეჩევიშ ღალის ორივე ნაპი-რას. ჩაგანა(ვა) გვარსახელია (საგვიჩიო).

**ჩაგანური –** ფერდობები ალერტის საზღვარზე. ჩაგა-ნავა (გვარსახელია) → ჩაგანური „ჩაგანავასეული“ (ლეგო-გიე-ნასაჯუ).

**ჩაგუშ ნაწისქვილუ** – ნაწისქვილარი წიფანაზე (მოხაში).

**ჩაგუშ ნოხორი** – 1. სახნავი სააბშილაში (საგაბესკირიო); 2. ტყე წიფანის მარცხ. მხარეს (მოხაში).

**ჩაკაბული** – ფერდობი საკინწურაშვილოში, ძვ. სენაკის საზღვართან. რესპ.: „ჩაკაბული ბლის ჯიშია ერთგვარი“ (საჩიქობავო).

**ჩარტიაშ ოხვამე** – ნაეკლესიარი. იგივე მანცხვაროხვამე. ჩარტია მცირერიცხოვანი გვარსახელია (ციზეთი).

**ჩაქაშ ნოხორი** – სახნავი სახურციოში. ჩაქა პირსახელია (ლეკოკაიე).

**ჩაჩბაიაშ გოლა** – მთა სახარბედიოს საზღვართან (ძველი სენაკი).

**ჩე დიხა** „თეთრი მიწა“ – 1. სახნავი შვაღესა და ტეხურს შუა. რესპ.: „ ჩე დიხაშ ბერტი მუშით ვაცენს, ბერგით გიოტახანა“ (ჯოლევი); 2. ფერდობი წიფურწყარის გვერდით (საჩიქობავო); 3. სახნავი საგარჩას შემოგარენში (ტყირი); 4. სახნავი საგრიგოლიოში (სენაკი); 5. სახნავი სოფლის დასახლებასა და საპენოს შუა (საგვარამიო); 6. სახნავი უჩა ღელეს მარჯვ. მხარეს, შვაღის პირდაპირ (გახომელა) და სხვ.

**ჩელუღი** „თეთრი ლეღვი“ – ტყე, ფერდობი ჯვარკარის აღმ. კალთაზე, საადანაიოს გადასახედზე (შუა ხორში).

**ჩემიაშ ნოცონი** – ტყე ნაჭვის გვერდით. ჩემია გვარსახელია (გეჯეთი).

**ჩემნეფიშ ნოხორი** – სახნავი ცამღალის სათავესთან. ჩემინავა გვარსახელია (პატარა ზანა).

**ჩემნეფიშ წყუ** – წყარო ცამღალის სათავესთან (პატარა ზანა).

**ჩემური** – სახნავი სოფ. საოდიშარიოს საზღვართან. რესპ.: „ღუმუშღუმუ უჩანდეს დო თის ინაჩხვარანდეს“. როგორც ჩანს, ჩემური იგივეა, რაც ჩამური, ანუ ოჩამურე „საცეხველი“. ალ. ქობალიას განმარტებით, ჩემური ყურძნის ჯიშია (შუა ნოსირი).

**ჩეოდიარე** „თეთრი ბალახი“ – საძოვარი ფერდობზე, სოფ. ზედა ნაქალაქევის საზღვართან. რესპ.: „ჩე ოდიარე ბალახია წვრილი, თეთრზოლიანი, მაღალი, ჩე დუდელია აქვს და ფოთლებსაც საქონელი ეტანება“. ჩეოდიარე უროა (ა. მაყაშვილი). (ლებაღათურე).

**ჩეოხვამე** „თეთრი საყდარი“ – ნაეკლესიარი, სასაფლაო გზის პირას, საჩიჩუოში (გახომელა).

**ჩერტიში** – ჩაის ფართობი სამირგატიოში, მირგატიეფიშ ღალის ნაპირას, მ. მოხაშის საზღვართან. **ჩერტი** – ჩელტი, ლასტი, წნული (მოხაში).

**ჩერტიშიშ ღალგ** – ღელე. იგივე მირგატიეფიშ ღალ (მოხაში).

**ჩექვალონი** – კლდეები მაღლაკონის სათავესთან. ჩე ქუა „თეთრი ქვა“ → ჩექუალონი „თეთრქვიანი ადგილი“ → ჩექვალონი (პატარა ზანა).

**ჩეღელე** – ღელე გახომილას მარცხ. შენაკადი. იწყება ნაისირუსა და საჩეხში (გახომელა).

**ჩეღელო** – ღელე, სკურეს მარცხ. შენაკადი (საბესელიო).

**ჩეშონა** – 1. სახნავი ლევანჭალეში (პირველი ნოსირი); 2. ტყე-ფერდობი კაუტიის მარცხ. ნაპირზე. **ჩეში** – ვაზის ჯიშია, რომელიც თეთრ ყურძენს ისხამს, ჩეშონა კი ვენახია, სადაც ჩეშია გაშენებული (შუა ხორში).

**ჩეჩონა** – 1. საძოვარი ტეხურის მარჯვ. ნაპირას. ჩეში (ყურძნის ჯიშია) → ჩეშონა → ჩეჩონა (ქვედა სორტა); 2. ტყე კოღურის ფერდობზე, უჩა ღალის მარჯვ. მხარეს. (გახომელა); 3. ტყე ლებოკუჩეს აღმ. ნაწილში (ბეთლემი); 4. ტყე საბედიოში, გაშფერდზე. რესპ. „ათაქი ჩეში ცურძენს მუოჭიშე ართი ჯინც“ (საჩიქობავო) და სხვ.

**ჩეხი** – მორევი ტეხურზე. რესპ.: „ჩეხი ეწოდება წისქვილის არხის სათავე-საგუბარს“ (ახალსოფელი).

**ჩეჯა** „ალვის ხე“ – ქარსაფარი ზოლი სოფლის დას. ნაწილში. ჩეჯა „თეთრი ხე“ ალვის ხეა (ისულა, ახალსოფელი).

**ჩვაგერი** – სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ოჩორგალი რდჷ, ბერტეფს გიოჩორგანა, გიოტახანა, ოჩვა-

გალი ადგილი რდგ“. მაშასადამე: **ჩვაგუა** – ჩორკნა, ბლაგვი თოხის ჩარტყმა. ჩვაგერი – გაჩორკნილი; ბლაგვი თოხით გათოხნილი. შდრ. ო. ქაჯაია: **ჩვაგაფი** – ჩორკნა, ჩლუნგი რაიმეს ჩარტყმა, ჩანისკარტება. **ჩვაგუა** – ბლაგვი რამის ჩარტყმა, ჩაკორტნა, ჩანისკარტება (კვაუთი).

**ჩვამანიაშ ნოხორი** – ტყე ტეხურის მარცხ. მხარეს. ჩვამანია გვარია. ამ გვარის ძირითადი სამკვიდროა ნაქალაქევის თემი (15 კომლი). (ზედა ნაქალაქევი).

**ჩვაჩვაბონი** – 1. ერქვა მინდორს საგრიგოლიოსა და სალომიოს შუა. რესპ.: „ჭილი ნოჩანუე ინძგგრიშ საყალიონოცალი. თის ჯოხო ჩვაჩვაბია“. შდრ. ალ. მაყაშვილი: „დიდგულა... მეგრ.: თარხვანტია, თარხვანტიაშ ჯა, ხინთობალაშ ჯა, ინჭირაია, ჩვაჩვაბე, ჩვაჩვაბი...“ (სენაკი); 2. სახნავი ესათის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ჩვაჩვაბი ჯა რე, ჭითა კაკალი უღუ“. ალ. ქობალია: „**ჩვაჩვაბი** – თუთუბო, დუდგული“ (საგვარამიო).

**ჩირე** „ღრმა ტლაპო, საფლობი“ – ჭაობი ლეგაბელიეში, ცივის მარცხ. მხარეს, ამას ერთვის განგაშ ღალ (უშაფათი).

**ჩიტაიაშკარი** – ჩაის ფართობი ლეხაბურზანიეში. ჩიტაია გვარია (ლეგოგინე, ლებაღათურე).

**ჩიქვანჭალე** – სახნავი აბაშა-ტარჩენის შესართავთან. ჩიქვანი იგივე ჩიქოვანია (კვაუთი).

**ჩიქობაშ ნოხორი** – ერქვა სახნავს სოფლის დას. ნაწილში (ახალსოფელი).

**ჩიჩიხონი** – ტყე ეკის მთის ძირას. მეგრულში ჩიჩიხი იგივეა, რაც ქართულში ჩიხრიხი (ბამბისათვის კურკის გამცლელი ხის მოწყობილობა), მაგრამ სახელდების მოტივაცია უცნობია (სახარბედიო).

**ჩიჩუაშ ნოხორი** – სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, სასირიოში (შუა ნოსირი).

**ჩიჩუაშ ჭალე** – ჭალა-სახნავი მდ. ცივის ჭალაში (უშაფათი).

**ჩიჩური** – ბუჩქნარი ეკის მთის კალთაზე. როგორც ჩანს: ჩიჩუა (გვარსახელია) → ჩიჩური „რაც უწინ ჩიჩუას

საკუთრება იყო“. რესპ.: „ჩიჩიე ტყა რე, ბუჩქნარი, თიშენ გე-უდვალგნა“ (საწულეისკირიო).

**ჩორბაქი//ნაჩორბაქუ** – არხი ძუგუსა და კითიშ ტყას შუა, სადაც ცივი უერთდება რიონს მარჯვ. მხრიდან. რესპ.: „ჩორბაქი ერქვა იმ ექსკავატორს, რომელიც ამ არხს თხრი-და“ (ტყირი).

**ჩორბაქიშკარი** – მინდორი. იგივე სლუჟი (ტყირი).

**ჩოუთი** – ფერდობი საჩიჩუოსა და საარჩაიოს შუა, ზემო უფალკარში (უფალკარი).

**ჩუგორდი** – ტყე, ფერდობი მენჯღალის მარჯვ. მხა-რეს. ხალხ. ეტიმოლოგია: „ერთ კაცს გზაზე გორდი შეხ-ვედრია და უთქვამს ჩუ, გორდი“. გორდი ბაყაყია (საადანა-იო).

**ჩქონი** – 1. საძოვარი საჩემიოში, ტეხურის მარცხ. მხარეს, ქუნიერს ქვემოთ (გეჯეთი); 2. სახნავი რკინიგზის ხაზთან. რესპ.: „ჩქონი ეწოდება უხნავ მიწას, ყამირს“; „უხონუო დოსქგლადირ ადგილს უწიინა რჩქონს, ყამირს“ (რეკა); 3. ჭალა ზანაძგის მარცხ. მხარეს, სოფ. ზანას საზ-ღვართან (ეწერი); 4. ჭალა-სახნავები ტეხურის მარჯვ. ნა-პირზე (ბეთლემი). მაშასადამე: ჩქონი – კუნძული მდინარე-ზე, მდინარისპირა ნახევარკუნძული, რიყე-ჯაგნარი. შდრ. ს.-საბა: „ჩქონი – დაბალი ნაშე“.

**ჩქონი//რეყე** – საძოვარი ხობისწყლის მარჯვ. ნაპი-რას (ეწერი).

**ჩქონი//რჩქონი** „კუნძული, ნახევარკუნძული“ – სახნა-ვი ცივის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე).

**ჩქონი//ფარტე** – ტყე ფიჩორისა და სკურის შესარ-თავთან. ჩქონი არის კუნძული, ნახევარკუნძული, ჭალაკი მდინარესა და მის ტოტს შუა. რესპ.: „ტყას ფარტე ელაცუნს, ჭიჭე, ღალგჯგურა. ღალგ რე წყარი მეურსუნ თი-ნა. ფარტე რე ნაჭვიმორი წყარი დაბალ ადგილს, გგრძას ინოდგრთგ“ (სირიაჩქონი).

**ჩქონიშ მუხური** – საძოვარი რჩქონში. ტეხურის რკალშია მოქცეული (საოდიშარიო).

**ჩხაიძეშ მუხური** – 1. ვენახი აბანაშ წყარის მარცხ. ნაპირზე (ზედა სორტა); 2. სახნავი ჭვერგელესა და ნახურს შუა (ქვედა სორტა).

**ჩხარი** – 1. ღელე, ცივის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ეკის მთაზე, გამოქვაბულში. რესპ.: „მიჩხარჩხალ (ე. ი. მიჩხრიალებს) და ამიტომაა ჩხარი". ალ. ქობალია განმარტავს: „ჩხარი – ხელოვნურად ან ბუნებრივად შეთხელებული, გამეჩხერებული (ტყე, წყალი...); მეჩხერმტევნიანი ვაზის ჯიშიცაა ერთგვარი (იგივე ჩხარაზი...)". (საწულეისკირიო, საადამიო); 2. წყარო, ბუჩქნარი ეკუსქურის მარჯვ. მხარეს (ლეკოკაიე).

**ჩხარიშ წისქვილი** – წისქვილი ჩხარზე (საწულეისკირიო).

**ჩხარიშდუდი** „ჩხარისთავი" – წყარო, ჩხარის სათავე (საადამიო).

**ჩხარნა** – სახნავი ცივის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ბევრგან ამოჩუხჩუხებს წყალი და ამიტომაა ჩხარნა" (სახარბედიო).

**ჩხეიძეშ ნოხორი** – სახნავი საზარანდიოში (ეწერი).

**ჩხერნა** – ღელე, ფიჩორის მარცხ. შენაკადი (საჩიქობავო).

**ჩხეტიაშ ნაწისქვილუ** – ნაწისქვილარი ცივის ნაპირას (თეკლათი).

**ჩხეტხეშ ნაფაცხუ** – სახნავი სუღირის მარცხ. მხარეს. ჩხეტხე ჩხეტიას გვარის ქალია ამ სოფელში გამოთხოვილი (პატარა ზანა).

**ჩხეწყარი** „ცხელი წყალი" – სამკურნალო წყალი ტეხურის მარჯვ. მხარეს ვაკეზე, მუკოტახილისა და დიდამოკას ქვემოთ (გახომელა).

**ჩხვართილი** – სახნავი ცივის მარცხ. ნაპირსა და გზატკეცილს შუა (სახარბედიო).

**ჩხვიაღალგ** – ღელე, ზანაძგის მარცხ. შენაკადი. გაედინება სასერგიოდან (ციზეთი).

**ჩხორკონი** – ერქვა ტყეს. იხ. ბერჯღანი (მოხაში).

**ჩხოროწყუ** „ცხრაწყარო“ – ხევი, წყარო სანაჭყებიო-ში. წყარო რამდენიმე ადგილას ამოდის რესპ.: „თოლი უღუ ბრელი, თიშენ ჯოხო ჩხოროწყუ“ (ეწერი).

**ჩხოროწყუშ წყარი** – ღელე, ზანაძგის მარჯვ. შენაკა-დი საკვირაიოში. გადის ჩხოროწყუდან (ეწერი).

**ჩ(ხ)ოჩხათი** – ფერდობები ტეხურის მარცხ. მხარეს (ზედა ნაქალაქევი).

**ჩხოჩხათიშ ღალღ//ჩხოჩხათიშ წყარი** – ღელე, ტეხუ-რის მარცხ. შენაკადი (ზედა ნაქალაქევი).

**ჩხოჩხათიშ წყარი** – ღელე. იგივე ჩხოჩხათიშ ღალღ (ზედა ნაქალაქევი).

## – ც –

**ცაბუაშ ნოხორი** – ბორცვი მეტერიის მარცხ. მხა-რეს. ცაბუა ქალის სახელია (კვაუთი).

**ცაგურიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სუღირის მარცხ. მხარეს (პატარა ზანა).

**ცამთანა** – ხევი ლეხაბურზანიეში, მეტერიის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**ცამღალი** – ეწოდება ორ ღელეს. ორივე ერთვის მაღლაკონს მარჯვ. მხრიდან: ჭიჭე ცამღალი – ღელე სოფ. პატარა ზანაში; დიდი ცამღალი – ღელე სოფ. დიდ ხორ-ში. რესპ.: „მდებარეობაც მეტია და წყალიც“. ამიტომაა დიდი. სათავეა სოფ. გაღმა საჯიჯაოში (ხობის რ)“. **(რ)ცა-მი** თევზია ერთგვარი, პაწაწინა, ნაფოტა. ამ მდინარეში იცოდა (დიდი ხორში, პატარა ზანა).

**ცანასქუა** – წყარო. იგივე ნანასქუა (საადამიო).

**ცანასქური** – 1. მდინარე ეკუსქურის მარცხ. შენაკა-დი ოჩესთან. მოედინება სოფ. საგუნიოდან. ყოფს საკუჭასა და საჟვანიოს. ცანა ← ცანავა (გვარსახელია). (ეკი, საგუ-ნიო); 2. ღელე, ცივის მარცხ. შენაკადი ნაგეჩუსთან (უფალკარი).

**ცანაფითონი** – ჩაის ფართობი ხანჯარის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ცანაფითა ყურძნის ჯიშია. თეთრი, მაღლა-

რი, აქვს მჭიდრო მტევანი წვრილი, მცვივანა მარცვლებით“ (ფოცხო).

**ცანაშ ღელო** – ღელე. ლადნოცონიდან გადიოდა ნასაპონსა და კითში (ახალსოფელი).

**ცანდური** – სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ძველი სენაკი).

**ცარუშ ტყა** – ტყე მოხაშურის მარჯვ. მხარეს. ცარუ ქალის სახელია (ლეგოგინე).

**ცატუნიაშ ღალგ** – ღელე, გითოკირილიშ ღალუს ქვემო წელი. ცატუნია, მოხუცი ქალი, ესახლა აქვე, ამ ღელის ნაპირზე (საადამიო).

**ცაქულიაშ ნოხორი** – სახნავი მდ. ცივის ნაპირას. ცაქულია კარტოზიას ნასახლარია (საესებუო).

**ცაცმამული** – სათიბი ლებუსკაძეში (მოხაში).

**ცაცხვიშჯინჯი** „ცაცხვისძირი“ – ბორცვი ლეზარქუეში, სოფ. ზედა ნაქალაქევის საზღვართან (ჯიხა).

**ცეკვასქუაშ ჭალე** – სახნავი ტეხურის მარჯვ. ჭალაში, მიონჩურაფუსთან. ცეკვასქუა იგივე ცეკვაშვილია (მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში. სულ 147 სული. სენაკის რ-ნში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 18 პირი). (კოტიანეთი).

**ცენტიშ ნაკარუ//სენტიშ ნაკარუ** – მინდორი სოფლის დას. ნაწილში (ისულა).

**ცია** – ღელე, მოედინება სახვიჩიოდან და ერთვის სანს, რომელიც ჩადიოდა ყორათის არხში (მუხური).

**ციაში** – სახნავი ლეტორჩინეში, გურძემიის მარცხ. ჭალაში. მეჯოგე ცია (პირსახელია) აქ მდგარა თავისი საქონლით (მოხაში).

**ციგოჭკადილი** – ხიდი და უბანი მდ. ცივზე. იქცა სოფ. თეკლათის ცენტრად (თეკლათი).

**ცი(ვი)** – მდინარე, რიონის მარჯვ. შენაკადი სირიაჩქონის პირდაპირ. ადგ. ვარიანტი: ციი. ტყირისა და გოლასკურ-მუხურის გამყოფია. საზღვარი ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ახუთთან. სენაკის რ-ნში ამ მდინარის ნაპირებზეა განლაგებული სოფლები: ეკი, ლეგოგინე, საგაბესკირიო,

საგვარამიო, ბათარია, გოლასკური, საადამიო, ფოცხო და სხვ. მრ. (სენაკის რ-ნი).

**ციზეთი –** სოფელი ხობის რ-ნის (სოფ. ბია-საშონიოს) საზღვართან, შუა ხორშსა და პატარა ზანას შუა (ხორშის თ/ს).

**ციიმამული –** ერქვა საძოვარს ცივის ნაპირას. შემდეგ აქ სანერგე მეურნეობა იყო (ტყირი).

**ციპიჯი** „ცივისპირი“ – 1. საძოვარი მდ. ცივის ნაპირზე (მუხური); 2. სახნავი მდ. ცივის ნაპირზე (ბათარია).

**ციშ ნაწისქვილუ –** სახნავი ცივის ნაპირას (ფოცხო).

**ციშდუდი** „ცივისთავი“ – მინდორი, სადაც მდ. ცივი ერთვის რიონს (მუხური, ტყირი).

**ციშენწერი –** ჩაის ფართობი ცივის მარჯვ. მხარეს, სოფ. ახუთის საზღვართან (ფოცხო).

**ციშჭალე –** ჭალა მდ. ცივის მარცხ. ნაპირას (ეკი).

**ციძგა** „ცივისპირი“ – მინდორი ცივის ნაპირას (ტყირი).

**ციხეგოჯი** – ისტორიული ციხესიმაგრე ტეხურის მარცხ. მხარეს, მაღალ გორაზე, ამჟამინდელ სოფ. ჯიხაში (იხ.). აღნიშნულია ვახუშტის მეორე ატლასზე (1745).

**ცუნა –** ტყე კაკუტიაღალის მარცხ. მხარეს, სადადიანოს კალთაზე. ცუნა ამ ტყის პატრონი მამაკაცის სახელი ყოფილა. არაა გამორიცხული: ცურუ „სურო“ → ცურონა „სუროვანი“ → ცურნა → ცუნა (ციზეთი, შუა ხორში).

**ცუცონა –** ჩაის ფართობი ზანაძგის მარცხ მხარეს. ცგ „თელა“ → ცუონა. „თელნარი“ → ცუცონა (პატარა ზანა).

**ცქინტიში –** ფერდობი ცივის მარცხ. მხარეს (საადამიო).

**ცქიცქონა** – 1. სახნავი რიონის მარცხ. ნაპირას (საგვიჩიო); 2. სახნავი საკუჭასა და სოფ. საგუნიოს შუა. ცქიცქა ვაზის ჯიშია (ეკი).

**ცქუმუნტურიშჯინჯი** „ზღმარტლისძირი“ – ჩაის ფართობი სულორის ხეობაში (ზანა).

**ცქგცქონა** – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. მხარეს, საობშოში. „ცქგცქგ ჯოხო ჯას, უჩა კვარკვანტელა მიკოჩანდგ, ჭგფანა ფურცელამი, ზესქვი ჭკომუნდგ. ქუცის გუდუ. ასე ვაჩანს“ (ეწერი).

**ცხაიჯინჯი** – სახნავი ღელე გახომილას მარჯვ. მხარეს. რესპოდენტის ცნობით, აქ ცაცხვის ხე მდგარა. მაშასადამე, ცაცხვიშ ჯინჯი → ცხაიჯინჯი. მაგრამ შეიძლება სხვა ვარაუდიც: ცხალჯინჯი „ნეკერჩხლისძირი“ → ცხაიჯინჯი (გახომელა).

**ცხალბოგა** „ნეკერჩხლის ბოგირი“ – საძოვრები ჯაფხენის ორივე ნაპირას, ქვალონის საზღვრამდე (რეკა).

**ცხაცხუ** „ცაცხვი“ – ბორცვი ცივის მარჯვ. სერზე, სოფ. საშურღაიოსა და ზანის საზღვარზე (ზანა, საშურღაიო).

**ცხაცხუ//ცხაცხუშ ფერდი** – ბორცვი ესაინგიეში, დასცქერის ნაქალაქევს (ზედა ნაქალაქევი).

**ცხაცხუგეტახილი** „გადატეხილი ცაცხვი“ – 1. მინდორი ეკის მთაზე (ქ. სენაკი); 2. ბორცვი მოხაშურისა და უჩა ღალის წყალგამყოფზე (უშაფათი).

**ცხაცხუშ ფერდი** – ბორცვი. იგივე ცხაცხუ (ზედა ნაქალაქევი).

**ცხაცხუშჯინჯი** – ბორცვი საკვირკველიოში (სენაკი).

**ცხებურზანი** – ტყე. იგივე ცხიბურზანი (ლეკოკაიე).

**ცხემრონი** „რცხილნარი“ – ტყე საოდიშარიოსა და სასიმონიოს საზღვარზე (საოდიშარიო).

**ცხემურონი//ცხიმურონი** „რცხილნარი“ – ტყე, ბორცვი გურძემიის მარჯვ. მხარეს, მაღლობზე, ყურნათს ზემოთ (ბეთლემი).

**ცხენიშ გორგალი** „ცხენის ქედი“ – სერი. იგივე სურკი. რესპ.: „ცხენიშ გორგალს ქოგგ“ (უფალკარი).

**ცხენიში** – ეკლესია, სასაფლაო. იგივე წმინდა ცხენ(დ)ა (მოხაში).

**ცხენიშ ოშუმ(უ) წყარი** – ღელე. იგივე ცხენიშ წყარიშ ოშუმალი (ტყირი).

**ცხენიშ ოხვამე** – ეკლესია, სასაფლაო. იგივე წმინდა ცხენ(დ)ა (მოხაში).

**ცხენიშ წყარიშ ოშუმალი//ცხენიშ ოშუმ(უ) წყარი** – ღელე, ფიცუს მარცხ. შენაკადი. მოედინება აეროდრომიდან. რესპ.: „ფარტე მიშ, ღალიჯგურა რდგ დო თის ჯოხოდგ. გოლოფას თიშ მეტი წყარი ვაუღუდუ საქონელს". რესპ.: „აქ ჩვენს დროში ცხენსაშენი იყო, ეკუთვნოდა ისულას რამის მეურნეობას". ცხენიშ წყარიშ ოშუმალი „ცხენის წყლის დასალევი". ცხენიშ ოშუმ წყარი „ცხენის დასალევი წყალი" (ტყირი).

**ცხენსაბეკი** – ვაკე-ტყე საგვასალიოს მთავარ სერზე. რესპ.: „ცხენეფი გიბარგუუდუ დო გინჯირუუდუ"; „ცხენეფიშ ობაკეში ცოფე". მართლაც, საბეკი ის ადგილია, სადაც ქარ-წვიმიან ამინდში ცხენები წრეში დგანან (შიგნით თავმიქცეულნი) და მიწა იბეკნება კიდეც". შდრ. ალ. ქობალია: „**საბეკი** – ცხენების სადგომი" (სკურია).

**ცხენფუზონა** – ტყე-ხევი წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდ-ით (სენაკი).

**ცხერმენჯი** – ტყე სოფლის სამხრ.-აღმ. ნაწილში. **ცხერი** რცხილაა გურულსა და იმერულში (სახარბედიო).

**ცხვიკიონი** – 1. ტყე სოფ. ეკის საზღვართან, სადაც მოხაშურისა და მდ. ცივის შეერთება ქმნის კუთხეს. ცხვიკი „წვრილი, დაჩიავებული ხე". შდრ. ალ. ქობალია: „**ცხვეკი** – ფიჩხი, მეჩხერი ტყე, ცხვეკ ტყა – მეჩხერი ტყე; გამხმარი ბალახი" (საესებუო); 2. ტყე, ჩაის ფართობი უჩა ღალის მარცხ. ნაპირსა და საშეროზიოს შუა (უშაფათი).

**ცხვიტეფიშ ნოხორი** – სახნავი ობამბუკეს მარცხ. მხარეს, სოფ. ეკის საზღვართან. ცხვიტავა გვარია (საადამიო).

**ცხიბურზანი//ცხებურზანი** – ვაკე-ტყე ლეგაბუნიეში, ხოფეშის სათავესთან (ლეკოკაიე).

**ცხიმურიშჯინჯი** „რცხილისძირი" – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში.

**ცხიმურიშჯინჯი//ნაღლამუშ ჯინჯი** – მორევი მდ. ცივზე. აქ 65 კგ-იანი ღლავი დაუჭერიათ. ნაღლამუ „ნაღლავარი" (უშაფათი).

**ცხიმურონა** „რცხილნარი“ – 1. მინდორი სოფლის დას. ნაწილში (ლეძაძამე); 2. მინდორი. იგივე ოცხიმურე (ციზეთი) 3. ტყე ზანაძგასა და სუღირს შუა (პატარა ზანა); 4. ტყე საღვამბერიოში (შუა ხორში).

**ცხიმურწყარი** – ღელე, ღაბურძალის მარცხ. შენაკადი (საცხვიტაო).

**ცხოდი** – მინდორი სოფლის ცენტრში, ნაფაცხუსთან. რესპ.: „ძველად აქ იკრიბებოდა მთელი სოფელი. ამ შეკრებას ერქვა ცხოდი“ (← რუს. сход „ყრილობა. სოფლის კრება“). (გეჯეთი).

**ცხომია(შ)ღალგ** – ღელე. სათავეს იღებს ზისხირიშ გოლაში, გაივლის მენჯს და საფილიოში ერთვის მდ. ცივს მარცხ. მხრიდან (სენაკი).

## – ძ –

**ძაბუშ ტობა** – მორევი გურძემიაზე. ძაბუ (ერქვა ქალს), აქ დამხრჩვალა (კვაუთი).

**ძაკაიაშ ნოხორი** – სახნავი საზარანდიოში (ეწერი).

**ძაკაშ ნაწისქვილგ** – ნაწისქვილარი მდ. ცივზე. ძაკა მამაკაცის სახელია (ეკი).

**ძაკუშ ნოხორი** – სახნავი ლესანაიეში. ძაკუ მამაკაცის სახელია (ფოცხო).

**ძაკუშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი მირგატიეფიშ ღალის შესართავს ქვემოთ (მოხაში).

**ძაღუ** – ტყე, დავაკება სალაკიოში, სოფ. უფალკარის საზღვართან (ლეკოკაიე).

**ძეგვარი** – ჭალა-სახნავი გურძემიის მარჯვ. ჭალაში. რესპ.: „აქ ხარობს **ძეგვი** – ეკალ-ბარდი“ (კვაუთი).

**ძეკეშ ტობა** – მორევი ნისკურზე. ძეკე მამაკაცის სახელია (ფოცხო).

**ძერწონა** „ძეწნარი“ – 1. მინდორი რიონის ნაპირას (ტყირი); 2. საძოვარი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ქვედა სორტა); 3. ტყე საჩემიოში, ტეხურის მარცხ. მხარეს (გეჯეთი); 4. ტყე ჭალადიდის საზღვართან (გოლასკური) და სხვ.

**ძველი სენაკი** – სოფელი ტეხურსა და ეკის მთას შორის (ძველი სენაკის თ/ს).

**ძვირაშ ნაფაცხგ** – საძოვარი საბარქაიოში. ძვირა პირსახელია (კვაუთი).

**ძიგიდერი** – სოფელი ტეხურის მარცხ. ვაკეში, ჯიხა-სა და გეჯეთს შუა. აღმ-ით წვდება მდ. აბაშას. ადგ. ვარი-ანტი: ძიგუდერი (ნაქალაქევის თ/ს).

**ძიგირი** – მინდორი. იგივე ძიგური (საბესელიო).

**ძიგირონი** „ეკალბარდნალი" – ტყე ლეკირცხალიეში (ბეთლემი).

**ძიგუდერი** – სოფელი. ძიგიდერის არაოფიც. ვარიან-ტი (ძიგიდერი).

**ძიგური//ძიგირი** – მინდორი აბაშის რ-ნის სოფ. ძიგუ-რის საზღვართან. რესპ. ა. ბესელია: „ძიგირი რე ტყა ფა-ლაგეს. ხოლო ფალაგე არის დაბალი ეკალ-ბარდნალი და ჯაგნარი". შდრ. ალ. ქობალია: „**ძიგირი** – ეკალი, ეკალ-ბარ-დი; **ძიგური** – ჩირგვიანი" (საბესელიო).

**ძიგურიშ ტყა** – ტყე ძიგურთან (საბესელიო).

**ძიკაშ ნაწისქვილგ** – ნაწისქვილარი დღურუზე (დი-დი ხორში).

**ძიკიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მეტერიის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე).

**ძიკიშ ტობა** – მორევი მდ. ცივზე (საესებუო).

**ძიკიშ ჭალე** – სახნავი მდ. ცივის ჭალაში (საესე-ბუო).

**ძიმცესქუაშ წყარი** – წყარო საბარქაიოში აბედათის საზღვართან. ოლაკვეშის ერთ-ერთი სათავეა (კვაუთი).

**ძიმცესქუაშ წყურგილე** – წყარო საძიმცესქუოში (კვაუთი).

**ძონძირი** – სოფ. ახალსოფლის ძველი სახელწოდე-ბა. იშვიათი ვარიანტ ძონძერი. ალ. ქობალია: „**ძონძუა** – დაძონძვა, დახუნძვლა; **ძონძილი** – დაძონძილი, დახუნძლუ-ლი; მაკე საქონელი". მოტივაცია დასაზუსტებელია (ახალ-სოფელი).

**ძუგა** – შემაღლება სოფელსა და აეროდრომს შუა. ალ. ქობალია: „**ძუგა, ძურგა** – ზურგა; ბორცვი“ (საგვარამიო, ახალსოფელი).

**ძუგმაღალი** – ბორცვი. იგივე ძუგუ (ტყირი).

**ძუგუ** – 1. ბორცვი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. მეგრულში ძუგა, ძუგუ, ზუკა აღნიშნავს მცირე ბორცვს, შემაღლებას (საწულეისკირიო); 2. ბორცვი სახუბუოში, მეტერიასა და ხანჯარას შუა. რესპ.: „ეძუგურია რე, მაღალი“ (ფოცხო); 3. ბორცვი, ქორცხას უმაღლესი წერტილი. რესპ.: „ძველ დროში ნავის მისაბმელი ყოფილა“. ძუგუ, ზუგუ – ბორცვი, ამაღლებული ადგილი (ციზეთი); 4. საძოვარი საოჩიგაოში, აბაშის მარჯვ. ნაპირას, სეფიეთის საზღვართან. ძუგუ იგივეა რაც ზუგუ, ე.ი. ქვავნარი შემაღლება, მცირე ბორცვი (გეჯეთი); 5. სერი ბერღალსა და ფაქვას შუა. რესპ. „ძუგუ მცირე დაქანების ფერდობებიანი ბორცვია, სუკი კი უცბადაა ამაღლებული“ (უფალკარი).

**ძუგუ//ძუგმაღალი** – ბორცვი ხაიონსა და გირძე მინდორს შუა (ტყირი).

**ძუგუდია** – ტყე ეკის მთის კალთაზე, ცივის მარცხ. მხარეს, სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში (სახარბედიო).

**ძუგუშ ტყა** – ტყე ძუგუსა და კითიშ ტყას შუა (ტყირი).

**ძუკუშ საანგურო** – მინდორი ცივის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**ძუკუშ ტობა** – მორევი ქვიშიაზე (ფოცხო).

**ძურგაშ ნოჵონი** – ტყე ცივის მარჯვ. მხარეს, საადანაიოს საზღვართან. ძურგა პირსახელია. თუმცა კი ძურგა, როგორც ოროგრაფიული ნომენი, იგივეა, რაც ძუგა, ზურგა (საადანაიო, საშურღაიო).

**ძღერსკუალეფიშ ნოხორი//ძღირსკუალეფი** – მინდორი ლომურსა და ნახაჯუს შუა. ძღერსკუალეფი გვასალიების შტოა. აქ ესახლნენ. ძღერი (ძღირი) მათი ეპონიმის სახელია (შუა ხორში).

**ძღვაკე//ობამბე** – საძოვარი ტეხურის მარცხ. მხარეს, საჩემიოსა და საჯღამაიოს შუა. ძღვაკე ეწოდება მწირ ნიადაგს, ქვიანსა და მცირემოსავლიანს. რესპ.: „ოძღვაკაი დი-

ხა რდგ. უძღვაკუანსია ბერგისია თქუანა. ქუას ეიცოთანს“. **ობამბე** „საბამბე“ (გეჯეთი).

**ძღვიკნოხორი** – ტყე საზარულუოში. ძღვიკი პირსახელია (უფალკარი).

**ძღვირიშ ნოხორი** – სახნავი ლებუსკაძეში. ძღვირი მამაკაცის სახელია (მოხაში).

**ძღილონა** – ფერდობი საბჟალაში. ძღილი ჯაგრცხილაა. აქ ხარობს (ზედა სორტა).

**ძღინძღონა//ძღიძღონა** – მინდორი სოფ. ქვემო სორტის საზღვართან, ნახურის მარჯვ. ნაპირას. რესპ.: „წყარამ დიხა ცოფე. ოწყიწყინანსია თქუანა“ (ძველი სენაკი, ქვემო სორტა).

**ძღირთუა** – ფერდობი საშურღულაიოშ ღალის მარჯვ. მხარეს. რესპოდენტები თვლიან, რომ ძღირთუა გვარია. აქ მისი საცხოვრისი ყოფილა. ძღირთუა, როგორც გვარი ოფიციალურად არ დასტურდება (შუა ხორში).

**ძღირსკუალეფი** – მინდორი. იგივე ძღერსკუალეფიშ ნოხორი (შუა ხორში).

**ძღიძღონა** – მინდორი. იგივე ძღინძღონა (ქვედა სორტა, ძველი სენაკი).

## – წ –

**წალამონა//წელამონა** – საძოვარი ონახუეშის ნაპირას. საზიარო სოფ. ზედა ნაქალაქევთან. წელა, წელამი, წალამი იგივე შალაფაა (ლებაღათურე).

**წალამონი** – ვაკე-მინდორი კიკაჩონაში (სენაკი).

**წალამონი//ნაწალამონჷ** – ტყე საგვასალიოს აღმ. ნაწილში. რესპ.: „წალამი ლისგრჯგუა რე, ცუდეს ხოლო რთუნდეს თითჷ, კოჩიშ მამაღალა ირდუ. ისგრი შხვა რე. ოქოსალსჷ გჷ დო ჭიფე ღერი უღუ“ (სკურია).

**წალამონიშ ღალჷ** – ღელე. სქვერმენჯიდან გადის სოფ. საგაბესკირიოში და ერთვის მდ. ცივს (სკურია).

**წაჩხურა//წაჩხური** – წყარო ნასაჯუში, ღრმა ხევში. ცივია და წყალუხვი. შდრ. სოფლის სახელწოდება წაჩხუ-

რი და მდინარისა – წაჩხურა მარტვილის რ-ნში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**წაჩხური** – წყარო. იგივე წაჩხურა (ლეგოგიე-ნასა-ჯუ).

**წელამონა** – საძოვარი. იგივე წალამონა (ლებადა-თურე).

**წითლიძეშ ღალგ** – ღელე სანინუოში, გურძემიის მარჯვ. შენაკადი ენწერთან (ბეთლემი).

**წილოსკირიშ ნოხორობა** –სახნავი ლენარსიეში (კვა-უთი).

**წიმინდა ბარბალე** – ნაეკლესიარი, სასაფლაო ტე-ხურ-გურძემიის წყალგამყოფ სერზე (ლესაჯაიე).

**წიმინდა გიორგი//წმინდა გიორგი** – ნაეკლესიარი, სასაფლაო ტეხურ-გურძემიის წყალგამყოფზე (ლესაჯაიე).

**წინაგიორგიშ ოხვამე** „წმინდა გიორგის სალოცავი“ – 1. სასაფლაო ხანჯარის მარცხ. მხარეს (ლეგოგინე); 2. სასაფლაო სოფლის ცენტრში, მაღალ გორაზე (საგაბესკი-რიო).

**წინამძღვარი** – მინდორი გითოკირილის ხეობაში, კინტირიაშ ჭალესთან. რესპ. ვ. ადამია: „ერთ-ერთ ადამიას ქალიშვილი, რომელსაც ნადისთვის სადილი მიჰქონდა, ყურსალებს მოუტაციათ, ფოთში წაუყვანიათ და გაუყიდი-ათ. ამ მინდორში მოუსვენებიათ **წინამძღვრის ხატი** ილო-რიდან და გადაუციათ ის ყურსალი, იცოდნენ ვინც იყო. იგი იმალებოდა („იფულუუდუ“) და ამიტომ მისი შთამომავ-ლობისათვის „გოფულირი“ (დამალული) დაურქმევიათ“ (საადამიო, ეკი).

**წინატეხირი** – ტყე. იგივე ჭინატეხირი (გეჯეთი).

**წინწაიაშ ნოცონი** – ჩაის ფართობი ელაგირძესთან (საცხვიტაო).

**წირღვაშ წყუ** – წყარო ნაცალაში. წირღვავა გვარია (უფალკარი).

**წისქვიიკარი//წისქვილიშკარი** – მინდორი ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, სასახოკიოში (სენაკი).

**წისქვილიშკარი** –1. მინდორი ლაფარონიშღალის ნა-პირას (შუა ხორში); 2. მინდორი. იგივე წისქვიიკარი (სენა-

კი); 3. სახნავი ზანაძგის მარცხ. ნაპირზე, სოფ. ლესიჭინეს საზღვართან (სატყებუჩავო); 4. სახნავი ნატეხირპიჯში (ნოსირი); 5. სახნავი სკურიის ნაპირას (სკურია); 6. სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ლეძაძამე); 7. ჩაის ფართობი მოხაშურის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**წისქვილიშ კარობა** – ჭალა სუღირის მარცხ. მხარეს (პატარა ზანა).

**წისქვილიშ წყარი** – არხი. იგივე ღელე (გეჯეთი).

**წისქვილ(იშ)წყარი** „წისქვილის წყალი" – არხი, საზღვარი სოფ. გეჯეთთან (პირველი ნოსირი).

**წისქვილკარი** – 1. საძოვარი. იგივე ნაჩერტკარუ (ჯოლევი); 2. სახნავი ნატეხირპიჯში (შუა ნოსირი); 3. სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს (გახომელა).

**წისქვილკარობა** – სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ლესაჯაიე).

**წისქვილწყარი** – არხი მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს (კოტიანეთი).

**წიფა** – ტყე ქვაფონის სათავესა და რიონს შუა. წიფა იგივე წიფელია (სირიაჩქონი).

**წიფანა** „წიფლნარი" – მდინარე, გურძემიის მარჯვ. შენაკადი ხიდთან, რაც ცენტრალურ გზაზეა. მოედინება ლეგოგიე-ნასაჯუდან, სათავე აქვს წაჩხურაში. ჩაუვლის სოფლის ცენტრს (მოხაში, ლეგოგინე-ნასაჯუ).

**წიფანასკური/წიფანაღალ გ–** ღელე. ფიჩორის მარჯვ. შენაკადი. გადის წიფასთან (სირიაჩქონი, საგვიჩიო).

**წიფანაღალგ** – ღელე. იგივე წიფანასკური (სირიაჩქონი, საგვიჩიო).

**წიფურგეღულა** „გამრუდებული წიფელი" – ტყე ოგვერეღალის მარჯვ. ნაპირას (საგვიჩიო).

**წიფურწყარი** „წიფლის წყალი" – მინდორი გაშფერდში. რესპ.: „აქ ერთგან დიდი წიფელი იდგა და წყალი მის ღრმულში დგებოდა" (საჩიქობავო).

**წიწაშ ნოხორი** – სახნავი ლეკოკაიეს უბანში. წიწავა გვარია (ლეკოკაიე).

**წკ(ვ)იპღელო//წკიპღალი** „ვიწრო ღელე“ – ღელე, მდ. ცივის მარცხ. შენაკადი. ერთვის სუღელოს შესართავს ზემოთ. გაედინება ხაიონში (ტყირი).

**წკიპღალი** – ღელე. იგივე წკ(ვ)იპღელო (ტყირი).

**წკიპღელო** „ვიწრო ღელე“ – ღელე. ერთვის ოყაყალეშს. იქიდან კი გაედინება გოჭყვადილი (გოლასკური).

**წკირიშჯინჯი** – სახნავი სოფლის დას. ნაწილში. წკირი აკაციის მსგავსი მცენარეა, რუსულ აკაციასაც უწოდებენ. რესპ.: „წკირი – ქაცუამ აკაცია რე“. **წკირ** – სიტყვის ეს მნიშვნელობა მეგრულ ლექსიკონებში ჯერ კიდევ არაა დაფიქსირებული. შდრ. ფშაური წკირი – ტოტის წვერი, წვრილი ფიჩხი (საბესელიო).

**წკირიჯინჯი** – სახნავი ტეხურის პირას. წკირი ხემცენარეა ერთგვარი (საოდიშარიო)

**წკურუნტია** – მორევი გურძემიაზე. იგივე ოლაგვანეში. **წკურუნტია, წკვარამია** – ღრმა და ბნელი მორევი; უფსკრული. შდრ. ალ. ქობალია: „**წკვარამი** – წკვარამი, უფსკრული, კარსტული ჭა“; ო. ქაჯაია: „**წკვარამი, წკვარემი** – იგივეა, რაც წკვერემი: 1. წკვარამი; უფსკრული, ქვესკნელი; ჯურღმული; 2. ღრმა და ბნელი ადგილი, უკუნეთი; წკვერემი – იგივეა, რაც წკვარამი: უფსკრული; ქვესკნელი; წყვდიადი. **წკურუმი** – წკვარამი: ღრმა ადგილი მდინარეში; სიბნელე; ქვესკნელი; უფსკრული“ (მოხაში).

**წკუწკური** – ბუჩქნარი ოხვამეკარის აღმ. ფერდობზე (ფოცხო).

**წმინდა ანდრიაშ ოხვამე** – ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფლის ცენტრში (ახალსოფელი).

**წმინდა ბარბალა//ისულაშ ოხვამე//ცხენიში** – ნაეკლესიარი. უწინ ხის ეკლესია მდგარა (ისულა).

**წმინდა ბარბალაშ მინდორი** – მინდორი წმინდა ბარბალას ეკლესიასთან (ისულა).

**წმინდა გიორგი** – 1. ბორცვი ლენარსიეში (ჯოლევი); 2. ეკლესია, სასაფლაო ლებოკუჩეში. ამის ჩრდ-ით 1 კმ-ზე არის ქირსეშ ოხვამე, ხოლო იმის იქით, 1 კმ-ზე, – საჯვარო ოხვამე (ბეთლემი); 3. ნაეკლესიარი სოფლის ცენტრ.

ნაწილში (საკილასონიო); 4. ნაეკლესიარი, სასაფლაო. იგივე წმინდა გიორგი (ლესაჯაიე) და სხვ.

**წმინდა გიორგიშ ოხვამე** – 1. ეკლესია სადადიანოში (ციზეთი); 2. ეკლესია, სასაფლაო სახუხიოს დას-ით (კოტიანეთი); 3. ნაეკლესიარი მდ. ცივის მარცხ. მხარეს, საკულუოში (თეკლათი); 4. ნაეკლესიარი ოხვამეკარში (შუა ნოსირი); 5. ნაეკლესიარი, სასაფლაო მდ. ცივის მარცხ. ნაპირზე. აუშენებიათ ხარბედიებს (სახარბედიო); 6. ნაეკლესიარი, სასაფლაო საბულიოში, ჯიმუწყარის ხეობასა და მაღლაკონის სათავეს შუა (პატარა ზანა); 7. სასაფლაო საგიგიბერიოში (ძველი სენაკი); 8. სასაფლაო სადუდუჩაოს უბანში. აქვე იდგა ხის ეკლესია (პირველი ნოსირი); 9. სასაფლაო. იგივე გოჭვილოხვამე (გეჯეთი) და სხვ. მრ.

**წმინდა გიორგიშ ოხვამე//საკალანდარიშვილოშ სასაფლა** – სასაფლაო საკალანდარიშვილოში. დარბაზული ტიპს ეკლესია სასაფლაოზე დგას. თაღოვანი შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. კედლები დაბზარულია (სენაკი).

**წმინდა ივლიტეშ ოხვამე** – ნაეკლესიარი. იგივე წმინდა კვირკეშ ოხვამე (პირველი ნოსირი).

**წმინდა კვირკეშ ოხვამე//წმინდა ივლიტაშ ოხვამე** – ნაეკლესიარი სოფ. წყემის საზღვართან (პირველი ნოსირი).

**წმინდა სტეფანე** – 1. ნაეკლესიარი მარაგანის მარჯვ. ნაპირას (საოდიშარიო); 2. სასაფლაო ნაელესიარით სამაჭავარიანოში (უფალკარი).

**წმინდა ცხენ(დ)ა//ჭეფიშ ოხვამე//ცხენაშ ოხვამე // ცხენიში** – ეკლესია, სასაფლაო სოფლის ცენტრში, მაღალ გორაზე, რომელსაც სურკი ეწოდება (ოღალუეშის სათავისა და წიფანის გამყოფ სერზე). (მოხაში).

**წოწერიაშ დიხა** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს (ფოცხო).

**წულაძგა** – სახნავი რიონის მარცხ. მხარეს. წულა ← წულაია (საგვიჩიო).

**წუმოლუ** – მინდორი სოფ. უშაფათის საზღვართან. რესპ.: „წგმიშეს თექი ოსხაპუშა, შაყარუა რდგ“. წგმუულა

„სადმე ახლოს მისვლა“ → წუმოლუ „(რაიმე ადგილას) ახლოს მისასვლელი“ (უფალკარი).

**წუღელო** – ღელე. ცივის შენაკადი. იწყება ნაოჩუში. წუ – სელი, ნამჯა, ბზე (იხულა).

**წყარგელე//წყურგილე** „წყარო“ – წყარო, ღელე ტყეში, საკვინოს მარჯვ. შენაკადი (საგვიჩიო).

**წყვირიში** – ღელე. იგივე წყურიში (ფოცხო).

**წყურგილე** – 1. საძოვარი ბერღალის სათავესთან, სადავითაიოსა და დადიაშ ნატახტუს შუა (უფალკარი); 2. წყარო, ღელე. იგივე წყარგელე (საგვიჩიო); 3. წყარო. ერთადერთია კოლოპიაში (ფოცხო); 4. წყარო. იგივე წყურგულე (საადანაიო) და სხვ.

**წყურგილეკარი** – საძოვარი საძიმცესქუოში, ძიმცესქუაშ წყურგილესთან (კვაუთი).

**წყურგილეშ დაბალი** – საძოვარი სოფ. ჯიხას საზღვართან (ლებაღათურე).

**წყურგილეშდუდი//ხაჭაჭია** – ღელე, დიდი ცამღალის ერთ-ერთი სათავე. რესპ.: „ირო მეხაჭაჭანს წყარი“. ო. ქაჯაია: „**ხაჭაჭია** – კიბორჩხალა; პატარა ჭრელი ფრინველი“. ვარიანტი: ღაჭაჭია (დიდი ხორში).

**წყურგილეში** – ტყე ნოქალაქევის საზღვართან (უფალკარი).

**წყურგილეშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი სოფ. ლესიჭინეს საზღვართან (ეწერი).

**წყურგილეშპიჯი** „წყაროსპირი“ – სახნავი ტებსა და მიხერნოცონს შუა (ჯიხა).

**წყურგილიშ ღალე** – ღელე, ქარჩქაღელეს მარცხ. შენაკადი (ზედა ნაქალაქევი).

**წყურგულა//წყურგულე** „წყარო“ – 1. წყარო საჩემიოს უბნის თავზე, მთაგორიან ტყეში; 2. წყარო, ჭითაღელოს სათავე გითოკირილთან (სენაკი).

**წყურგულე** – 1. წყარო გუძიაშ ჭყონთან, ქვაფონის ნაპირას (სირიაჩქონი); 2. წყარო საჯღამაიოში (გეჯეთი); 3. წყარო. იგივე ტატილოშ წყურგულე (საბესელიო); 4. წყარო. იგივე წყურგულა (სენაკი) და სხვ.

**წყურგულე//წყურგილე** – წყარო სოფლის აღმ. ნაწილში (საადანაიო).

**წყურიში//წყვირიში** – ღელე, მეტერიის მარჯვ. შენაკადი ფოქორსა და ლედემურიეს შუა. წყური მეგრულში ნიშნავს წყალს, წყაროს, ხოლო წყუიში ვაზის ჯიშია ერთგვარი (ფოცხო).

**წყუშდუდი** „წყაროსთავი" – 1. სახნავი ივანეშ წყურგილესთან (კოტიანეთი); 2. წყარო არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**წყუში** „წყარო" – წყარო სასახესქუოში. შდრ. წყუ რგილი → წყურგილი „წყარო ცივი" (შუა ხორში).

**წგმანოხორი** – მინდორი საარჩაიოში. წგმა „წინა; წინ მდებარე" (უფალკარი).

## – ჭ –

**ჭა(ა)თურეფიშ წყურგილი** – ერქვა წყაროს ლეჭეში. ჭათური „ჭაავას შთამომავალი" (ლეკოკაიე).

**ჭადარეჯინჯი** „ჭადრისძირი" – ჩაის ფართობი უჩა ღალის მარჯვ. მხარეს, გეჯეთის საზღვართან (ძიგიდერი).

**ჭადარჯინჯი** „ჭადრისძირი" –1. სახნავი სკურეს მარჯვ. ნაპირას (საკილასონიო); 2. სახნავი ნოჭაბაკენში (ჯიხა).

**ჭალაგონა//ჭალაგუნა//ჯალაგუნა** – სახნავი ცის მარჯვ. ჭალაში. ძირითადი ვარიანტია ჯგერაგუნა//ჯგერეგუნა, რასაც ს. მაკალათია განმარტავდა როგორც „წმინდა აგუნას", რაც გურულ-მეგრულ მითოლოგიაში წარმართობისდროინდელი ღვთაებაა ფუტკრისა და მეფუტკრისა (საგაბესკირიო, საწულეისკირიო).

**ჭალაგუნა** – სახნავი. იგივე ჭალაგონა (საგაბესკირიო, საწულეისკირიო)

**ჭალე** – 1. საძოვარი ტეხურის მარცხ. ნაპირზე (გეჯეთი); 2. ჭალა დღურუს მარჯვ. ნაპირას (დიდი ხორში).

**ჭამურსხულონი** – ხევი. იგივე ჭამურცხულა (შუა ხორში).

**ჭამურცხულა//ჭამურსხულონი** – ხევი ტყელასა და ნაოსხაპუს შუა. გრძელდება სოფ. საგუგუნაოში. აქ „ჭანურსხული“ იყო გაშენებული. რესპ.: „ჭამურსხული შემოდის აგვისტოში. თეთრია და მრგვალი, არომატიული“. ჭამურცხული ← ჭამურსხული ← ჭანურსხული „ჭანური მსხალი“ (მსხლის ჯიშია). გ. ელიავა ხორშის სას. საბჭოს ტოპონიმთა ჩამონათვალში ასახელებს: „ჭაბურცხობა//ჭანურსხულონა „ჭანურ მსხალნარი“ (ელიავა, 1989, გვ. 60). „ჭაბურცხონა, რა თქმა უნდა, კალმის შეცდომაა“ (შუა ხორში).

**ჭანტურიაშ ტობა** – მორევი-საბანაო ტეხურზე (ისულა).

**ჭარდაში** – სახნავი, ნაცურუს აღმ. ფერდობი (მეორე მოხაში).

**ჭაქარა//ჭაქერა** – ტყე, ფერდობი ლებარკალაიეში, ტყელაშ სუკის აღმ. კალთაზე (ბეთლემი).

**ჭაქერა** – ტყე-ფერდობი. იგივე ჭაქარა (ბეთლემი).

**ჭახაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**ჭეჟიაშ ნაკარუ** – მინდორი რიონის ნაპირას. ჭეჟია გვარსახელია (ტყირი).

**ჭერეხი** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირზე. **ჭერეხი** მეგრულში, ისევე როგორც იმერულში, აღნიშნავს წვრილქვიანს, კენჭნარს, ხვინჭკნარს. შდრ. ქართ.: „ჭერეხი – რიყის ქვა“ (საოდიშარიო).

**ჭერეხობა** – ჭალა მარაგანის მარჯვ. ნაპირას (საოდიშარიო).

**ჭეფიშ ოხვამე** – ეკლესია, სასაფლაო. იგივე წმინდა ცხენ(დ)ა (მოხაში).

**ჭეჭეხი** „ქვიანი ადგილი“ – სახნავი ტარჩენისა და აბაშის შესართავთან (ლებაღათურე).

**ჭვათერი** – ჭალა, ჩაის ფართობი მოხაშურის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „სულ წყლით გაჟღენთილი ჭალაა და ამიტომ დაერქვა ალბათ ჭვათერი“. ჭვათანს „წვეთს“ → **ჭვათირი** – ნაჟური, ნაწვეთური; წვიმის წყლის ტბორი. შდრ. ოლა-ჭვათირე „საწვეთური“ (სახლის ირგვლვ მცირედ ჩაღ-

მავებული სადინარი, სადაც ეცემა სახურავიდან ნაწვეთი წყალი). (უშაფათი).

**ჭველა** – 1. სახნავი მდ. ცივის მარცხ. ნაპირას (საცხვიტაო); 2. სახნავი ცივის ჭალაში. **ჭველა** – მოზარდი ხე, ნორჩი ბუჩქნარი; ახალამონაყარი თხმელა (ეკი); 3. ბუჩქნარი ნოჭადენთან (საგაბესკირიო).

**ჭველონა** „ნორჩი თხმელნარი" – სახნავი ხანჯარის მარჯვ. მხარეს (ფოცხო).

**ჭველონი** – ბუჩქნარი გოჭყვადილის მარჯვ. ნაპირას (გოლასკური).

**ჭველოშანა** – ტყე. იგივე ჭოლოშანა (ბეთლემი).

**ჭვერგელე//ჯვერგელე** – მდინარე, ნახურის მარცხ. შენაკადი მაგდაზენთან. იკრიბება მერედან და ჭუბარიაშ გოლადან. იშვიათი ვარიანტი ჭვერგელი. რესპ.: „თენა რე ჭველა რგელი (ე.ი. „ნორჩი თხმელა დარგული"). ჭველა რგელი → ჭვერგელე ფონეტიკურად მისაღები ჩანს (კოტიანეთი, ქვედა სორტა, საგუნიო).

**ჭითა დიხა** „წითელი მიწა" – 1. ფერდობი საეჯიბიოდან დედათა მონასტერში მიმავალ გზაზე (სახარბედიო); 2. სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, საბოხუოში (შუა ნოსირი); 3. ფერდობი სოფ. ლებაღათურეს საზღვართან (ჯიხა).

**ჭითა კოდმე** – წყლისპირა ბექი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას (გეჯეთი).

**ჭითანური** – მინდორი კვარჩხილალის მარცხ. მხარეს. ჭითანა(ვა) → ჭითანური „ჭითანავას კუთვნილი" (ბეთლემი).

**ჭითასქუაშ სუკი** – გორა საჩარტიოში, სოფ. ზ. ბიის საზღვარზე. ჭითასქუა გვარ ჭითაშვილის არაოფიც. ვარიანტია (ციზეთი).

**ჭითა უშქური** „წითელი ვაშლი" – 1. სახნავი ზემო საჭითასა და საბულიოს შუა (პატარა ზანა); 2. ტყე ჩხვიაღალის მარჯვ. მხარეს (ციზეთი).

**ჭითა უშქურონი** „წითელი ვაშლის ბაღი" – ტყე არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**ჭითა ქუა** „წითელი ქვა" – საძოვარი ბუერის მთაზე, სამიქაოს თავზე, ერთგან წითელი ლოდი დევს (კვაუთი)

**ჭითა ღელო** – 1. ღელე ქოლიშში, ჯაფხენჯის მარცხ. შენაკადი. მოედინება სოფ. სკურიადან (რეკა); 2. ღელე, ცივის მარცხ. შენაკადი. წყალი მიწას აწითლებს (საადამიო, სენაკი).

**ჭითა წყარი** „წითელი წყალი" – ტბა ეკის მთაზე, სახარბედიოს საზღვართან (საწულეისკირიო, სახარბედიო).

**ჭითა ხარდანი** – ფერდობები სამტახერიოშ ღალის სათავესთან. რესპ.: „ჭითა ხარდანი „წითელი ხარდანი" ვაზის ჯიშია. დეკემბერშიც კი იყო ტყეში. შეცვალა ადესამ. აქედან გაედინება სამტახერიოშ ღალგ" (შუა ხორში).

**ჭითაშ ნოცუნი** – ჩაის ფართობი შქაიღალის ნაპირას. ჭითა ← ჭითავა (ეწერი).

**ჭითაშ ღელო** – ღელე, მაღლაკონის ერთ-ერთი სათავე საჭითაში (დიდი ხორში).

**ჭითაშანი//ჭითაშონა** – ღელე, ნოღაშ მეტერიის მარცხ. შენაკადი, საზღვარი სოფ. ალერტთან. **ჭითაშს** ვაზის ჯიშად თვლიან. ჭითაშონა ჭითაშის ბაღია (ლეგოგიენასაჯუ).

**ჭითაშონა** – ღელე. იგივე ჭითაშანი (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ჭილეფიშ ნადოხორუ** – საძოვარი. იგივე ნადოხორუ (საოდიშარიო).

**ჭინატეხირი//წინატეხირი** – ერქვა სახნავს ტყეში, ნაჭვიშ ღალის ნაპირას, აბაშისპირიდან აღმ-ით 1,5 კმ-ზე (გეჯეთი).

**ჭინიეფი** – სახნავი გუდურში. რესპ. „ძერწი ნოჩე დო ჭინუს ნოკვათუენა. ეთიშენი ჯოხონია ჭინიეფი". ჭინი „წნელი" (საოდიშარიო).

**ჭინჭერი** – სახნავი გურძემიის ორივე ნაპირას (კვაუთი).

**ჭიჭაათი** – ტყე, ბორცვი ლეკოკაიესა და უფალკარის საზღვარზე. ჭიჭა (პირსახელი. ეპონიმი) → ჭიჭაათი „ჭიჭას შთამომავლობა". ჯგუფური ანთროპონიმი იქცა მიკროოიკონიმად (უფალკარი).

**ჭიჭამურე** – ერქვა ტყეს სკურეს მარჯვ. მხარეს, ოხვამეკარის გვერდით. სახელწოდება გადავიდა სახნავზე. სემანტიკა და მოტივაცია გასარკვევია (პირველი ნოსირი).

**ჭიჭე ბეგი** – მინდორი. იხ. ბეგი (პატარა ზანა).

**ჭიჭე გარამი** – ტყე ბუერის მთაზე (კვაუთი).

**ჭიჭე გოთე** – 1. მინდორი ლადნოცონში. გოთე „მცირე სინათლიანი ველი ტყეში“ (ახალსოფელი); 2. მინდორი სოფლის ცენტრ. ნაწილში (ისულა).

**ჭიჭე დღურუ** – 1. ღელე, დღურუს შენაკადი სადადიანოში (დიდი ხორში); 2. ღელე. იხ. დღურუ (საშურღაიო).

**ჭიჭე კირდე** – კლდე დიდკირდეს გვერდით (საჩიქობავო).

**ჭიჭე ოლონტყეში** – საძოვარი საჭუბარიოშ გოლაში (კოტიანეთი).

**ჭიჭე ტები** – 1. ნატყევარი გაჯარსა და სოფლის ცენტრს შუა. ტები ტევრია (ჯიხა); 2. ტყე სკურდის მარცხ. მხარეს. შდრ. დიდი ტები (ლესაჯაიე).

**ჭიჭე ღალგ** – ღელე. იგივე ხაბოშ წყარი (საადამიო).

**ჭიჭე შხეფი** – სოფლის უბანი, ქ. სენაკის შხეფის უბნის გაგრძელება (ძველი სენაკი).

**ჭიჭე ჩქონი** – სახნავი ტეხურის მარცხ. ნაპირას. გვერდითაა დიდი ჩქონიც (ჯიხა).

**ჭიჭე ცამღალგ** – ღელე, ხეობა. იხ. ცამღალ (პატარა ზანა).

**ჭიჭე ჯოლო//ჯოლევი** – იგივე. ჯოლო. სენაკის რნის სოფ. ჯოლევის სახელწოდებისადგილობრივი ვარიანტი (ჯოლევი).

**ჭიჭიკოშ ნაკარუ** – საძოვარი სკურ(ტ)ის მარჯვ. მხარეს, გურიის საზღვართან (სირიაჩქონი).

**ჭიჭკოშ ნარტყი** – საძოვარი სუღირის მარჯვ. მხარეს. ჭიჭკო ← ჭიჭიკო. **ნარტყი, ნორტყი** – ერთმანეთში გადახლართულ-გადაწნული ტყე-ჯაგნარი (ზანა).

**ჭიჭური** – ტყე სოფ. ზედა ნაქალაქევის საზღვართან. არაა გამორიცხული: ჭიჭა „პირსახელი“→ ჭიჭური „ჭიჭასეული“ (ლებაღათურე).

**ჭკადუაშ წყარი** – წყარო მირსიოლეს მარჯვ. მხარეს (ძველი სენაკი).

**ჭკადუაშ წყურგულე** – ღელე. იგივე საბჟალაშ წყარი (ზედა სორტა).

**ჭოდონა** – 1. საძოვარი, ფერდობი ლეცეკვეში (ჯოლევი); 2. ტყე-ფერდობი ლეპიტახიეში (კვაუთი).

**ჭოინა** – საძოვარი. იგივე ჭოლნა (მოხაში).

**ჭოკნარიშ ნაკარუ** – საძოვარი სკურის მარჯვ. მხარეს. აქ სოფ. ჭოკნარის საქონელი ეყენა (სირიაჩქონი).

**ჭოლნა//ჭოინა** – საძოვარი ლეშამათეში, გურძემიის მარჯვ. მხარეს. ჭოლი „ჭილი" → ჭოლონა „ჭილნარი" → ჭოლნა//ჭოინა (ბ.-მ. თქმის გავლენა). (მოხაში).

**ჭოლონი** – სახნავი მაღაიაში, ნაფაცერუს თავზე. აქ ხარობდა ჭოლი „ჭილი" (საოდიშარიო).

**ჭოლოშანა//ჭველოშანა** – ტყე ლეკირცხალიეში. უწინ აქ ჭველა „თხმელა" ხარობდა (ბეთლემი).

**ჭორთონა** – ბუჩქნარი საკანკაოში, ნაჩხატუს გვერდით. **ჭორთი** – ნორჩი ხე, ახალამონაყარი; ჭოკი, ლატანი (შუა ხორში).

**ჭოღაშ ნაკარუ** – მინდორი ნოცენის ნაპირას. ჭოღა სოფელია ჩხოროწყუს რ-ნში (მუხური).

**ჭუბა(ბ)რიაშ ტყა** – ტყე მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს, სოფ. წყემის საზღვართან. შემდეგ აქ თევზსაშენი ტბორი გაუშენებიათ. ჭუბაბრია გვარსახელია (გეჯეთი).

**ჭუბარიახაბო** – ხევი ეკის მთის კალთაზე. ქართ. ხევი : მეგრ. ხაბ-ო (კოტიანეთი).

**ჭუბარიეფიშ გოლა** – სერი. იგივე საჭუბარიო(შ)გოლა (კოტიანეთი).

**ჭუბურონა** „წაბლნარი" – 1. ტყე სადავითაიოში (ძველი სენაკი); 2. ტყე საკინწურაშვილოგოლაში (სენაკი).

**ჭუბურჯინჯი** „წაბლისძირი" – ბუჩქნარი დაბალთაში (სენაკი).

**ჭუხარიანიშ ღალე** – ღელე, რომელიც გადის შოღაში (ძველი სენაკი).

**ჭყოიჯინჯი//ჭყონიშჯინჯი** „მუხისძირი" – მორევი ტეხურზე. მუხა არარსად ჩანს (გეჯეთი).

**ჭყონა** „მუხნარი“ – 1. ბუჩქნარი ფარიშ გოლას ჩრდ-ით (უფალკარი); 2. ტყე ჭალადიდის საზღვართან (გოლასკური); 3. ჩაის ფართობი კოლოპიასა და ნისკურს შუა (ფოცხო).

**ჭყონა//ჭყონიშჯინჯი** – სახნავი სოფლის დას. ნაწილში (საბესელიო).

**ჭყონარა//ჭყონორა** „მუხნარი“ – სათიბი სოფლის ცენტრსა და ჩქონს შუა. უწინ მუხნარი ყოფილა. ჭყონი „მუხა“ → ჭყონონა „მუხნარი“ → ჭყონორა (დისიმილაციით). (რეკა).

**ჭყონარეფი//ჭყონარეფიშ ნადიხუ** – მინდორი რიონის ნაპირზე. ჭყონი – სოფელი მარტვილის რ-ნში; ჭყონარეფი – ჭყონის მცხოვრებნი (ისულა).

**ჭყონარეფიშ ნადიხუ** – მინდორი. იგივე ჭყონარეფი (ისულა).

**ჭყონგინორთელი** „გადახრილი მუხა“ – მუხა და გზა, რომელიც ამ მუხის ქვეშ გადიოდა ნიშიაში (ციზეთი).

**ჭყონიაღელო** – ღელე, ეკუსქურის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება საჩიჩუოდან და საზარელუოდან. ჭყონია გვარსახელია (უფალკარი).

**ჭყონიშჯინჯი** „მუხისძირი“ – 1. მინდორი ლოგინიას ნაპირას (საგვიჩიო); 2. მორევი. იგივე ჭყოიჯინჯი (გეჯეთი); 3. სახნავი. იგივე ჭყონა (საბესელიო); 4. სახნავი საბარქაიოში (კვაუთი); 5. სახნავი ფშალონასთან (კოტიანეთი); 6. სახნავი ხორგიშში (მუხური); 7. ჩაის ფართობი ცივის მარჯვ. ფერდობზე (ფოცხო).

**ჭყონორა** – 1. მუხნარი სოფლის დას. ნაწილში (გახომელა); 2. სათიბი. იგივე ჭყონარა (რეკა).

**ჭყონტოშ ნოხორი** – სახნავი ლეშამათეში. ჭყონტო მამაკაცის სახელია (მოხაში).

**ჭყონღალე** „მუხის ღელე“ – ღელე, სანას მარჯვ. შენაკადი (ტყირი).

**ჭყონჯინჯი** „მუხისძირი“ – მორევი ტეხურზე და სახნავი ტეხურისპირა ჭალაში (პირველი ნოსირი).

**ჭყოჭყო** „ჭეჭყობი“ – 1. ტლაპო ჭითაღელოს ხეობაში. ჭყოჭყო, იგივეა, რაც ჭეჭყობი, ჭაობიანი ადგილი (სენა-

კი); 2. ჭეჭყობი გითოკირილიშ ღალუს მარჯვ. მხარეს (საადამიო); 3. ჭეჭყობი ლეტყეზჩეში (მეორე მოხაში); 4. ჭეჭყობი სადადიანოსა და სამირცხულას შუა. აქედან გადის **ჭყოჭყოშ დღურუ** – დღურუს მარჯვ. შენაკადი (დიდი ხორში).

**ჭყოჭყოშ დღურუ** – ღელე, ხეობა, დღურუს შენაკადი. გაედინება ჭყოჭყოდან (დიდი ხორში).

**ჭგფე შანი** – ხევი, ღელე ლეკორშიეში. შანი გრძლად ჩამდგარი წყალია (უშაფათი).

**ჭგფეშონა** – ტყე ლეგაბუნიეში. ჭგფე „წვრილი, ვიწრო" → ჭგფეში (ვაზის ჯიშია, ისხამს წვრილ მარცვალს) → ჭგფეშონა „სადაც ჭგფეშია გაშენებული". რესპ.: „არ აგერიოთ, ჭგფე შანი ვიწრო ნაკადულია სოფ. უშაფათში" (უშაფათი).

## – ხ –

**ხაბაზეთი//ხაბაზეთიშ გოლა//საკირე გოლა** – გორა ზედა სალომიოში. გადასცქერის სოფ. სახარბედიოს (სენაკი).

**ხაბაზეთიშ გოლა** – გორა. იგივე ხაბაზეთი (სენაკი).

**ხაბაზეთიშ ღალუ** – ღელე ზედა სალომიოში, ღორთოლის ზემო წელი. ერთვის მდ. ცივს (სენაკი).

**ხაბო** – 1. მაღალი კლდე ეწათსა და ომუნჩქვეშს შუა. ხაბო ხრამია (ქართ. ხევ-ი : მეგრ. ხაბ-ო). ო. ქაჯაია: „**ხაბო** – ხევი"; ალ. ქობალია: „**ხაბო** – ფლატე" (უშაფათი); 2. მშრალი ხევი თაკადარსა და ქაჩხარს შუა (საადამიო); 3. ტყე, კლდე სალაკიოში (ლეკოკაიე); 4. ფერდობები. რესპ.: „ხაბო რე მელე-მოლე გოლაფირი დო შქას გგშატახილი" (სახარბედიო).

**ხაბოშ ტობა** – მორევი ტეხურზე (საოდიშარიო).

**ხაბოშ წყარი//ჭიჭე ღალგ** – ღელე. გითოკირილიშ ღალუს მარცხ. შენაკადი (საადამიო).

**ხაბურზანიეფიშ სუკი//ქაბურზანიეფიშ სუკი** – სერი სახაბურზანიოში (კვაუთი).

**ხაბურზონა** – ვაკე-სახნავი გახომილას მარჯვ. ჭალაში, ოხარდანესთან. რესპ.: „ჯახიებს თუ ჯავახიებს აქ

ჰქონიათ ხაბურზაკის (საზამთროს) ბოსტანი. ბავშვობაში კიდევაც მომიპარავს“. გ. ელიავა ასახელებს ფორმას „ხაბუზონა“ (ელიავა, 1989, გვ. 111). (გახომელა).

**ხავტეკარი** – ბორცვი გურძემიის მარჯვ. მხარეს. კურნაოთსა და ხამნოხორს შუა (ბეთლემი).

**ხათალიონი//ხათალიორი** – სახნავები მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, უჩა ღალის ხეობაში (სატყებუჩავო, საშურღაიო).

**ხათალიორი** – სახნავები. იგივე ხათალიონი (სატყებუჩავო, საშურღაიო).

**ხაინდრაშ ნოხორი** – სახნავი ნალბახუსთან. ხაინდრა ← ხაინდრავა (შუა ხორში).

**ხაინდრაშ ტყა** – ტყე ჭიჭურთან (ლებაღათურე).

**ხაიონა** – ერქვა ჭეჭყობს მდ. ცივის მარცხ. მხარეს, სუღელოსა და წკიპლალის ნაპირებზე. ამჟამად სახნავებია. **ხაია** ისლისებური მცენარეა. ხარობს ჭაობში. გამოიყენებოდა სახლის გადასახურავად. ვარიანტი: მაისირაია (ტყირი).

**ხაიონაშ ღალღ** – ღელე, სუღელოს მარცხ. შენაკადი (ტყირი, გოლასკური).

**ხამნოხორი** – ტყე გურძემიის მარჯვ. მხარეს. ხამი პირსახელია (ბეთლემი).

**ხანჯარა** – ღელე, ნოღაშ მეტერიის//შებეშ მეტერიის შენაკადი, სათავეა მაძინიაწყუ ლემამულეში. გაედინება ფოცხოში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ხაპია** – უბანი სოფ. ბიის საზღვართან, ნიშიის მარჯვ. მხარეს. მე-20 ს-ის ოცდაათიან წლებში ხაპია უწოდეს ერთგვარ მიწის მხაპავ მანქანას, რომელიც კოლხეთში არხების გაყვანაზე მუშაობდა (ციზეთი).

**ხაპიაშ ჭალე** – ჭალა ხოხისწყლის მარცხ. ნაპირას (ციზეთი).

**ხარდანა** – მინდორი ლეპიტახიეში (კვაუთი).

**ხარდანამი** – ჭალა. იგივე ხარდანონი (პატარა ზანა).

**ხარდანონი** – 1. მორევი მდ. ცივზე. ხარდანი ერთგვარი ვაზის ჯიშია. ამ ჯიშის ვაზისათვის დარჭობილ

ჭიგოთა სიმრავლესაც ხარდანი ეწოდება (საშურღაიო); 2. სათიბი ტეხურის მარჯვ. მხარეს (ქვედა სორტა).

**ხარდანონი//ხარდანამი** – ჭალა ზანაძგის მარჯვ. მხარეს (პატარა ზანა)

**ხარებაშ ნოხორი** – ბორცვი წიფანას მარჯვ. მხარეს. ხარება ← ხარებავა (გვარსახელია). (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ხართაშ ნოხორი** – ტყე ხოროშანას ქვემოთ. ხართა პირსახელია (ბეთლემი).

**ხარტონიშ ღელე** – ღელე, კადარღალის მარჯვ. შენაკადი (დიდი ხორში).

**ხარჩალია//ხარჩალიაშ წყარი** – წყარო ოჩედიხესთან. ხარჩალი „ჩხრიალი" → ხარჩალია „ჩხრიალა, მოჩუხჩუხე" (შუა ხორში).

**ხარჩალიაშ წყარი** – წყარო. იგივე ხარჩალია (შუა ხორში).

**ხარჩილური** – სახნავი ლეჯოჯუეში. ხარჩილა(ვა)→ ხარჩილური (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ხასანიშ წყუ** – წყარო სოფ. საესებუოს საზღვართან. ბათლომეშ ღალის ერთ-ერთი სათავე (ზანა, საესებუო).

**ხატიშდიხა** „ხატის მიწა" – სახნავი ქუნიერის გვერდით (გეჯეთი).

**ხატიშკარი** – ტყე საჯვარო ოხვამესთან (ბეთლემი).

**ხატმამული** – მინდორი ერიშ ნოხორიშ ფერდობზე (კვაუთი).

**ხატმამული** – 1. მინდორი ნადუმუს აღმ. ფერდობზე. ხატმამული (← ხატის მამული) საერთოდ ეწოდება ეკლესიისათვის შეწირულ მიწას, საეკლესიო მამულს (შუა ხორში); 2. სახნავი საკალანდარიშვილოში, ალესიაშ ღალუს მარცხ. მხარეს. რესპ.: „ხატმამული არის ამა თუ იმ კონკრეტული ხატისათვის შეწირული მიწა, ტყე..." (სენაკი); 3. ტყე ლეკორშიეში, ოხვამეშ კარობის აღმ-ით (უშაფათი); 4. ერქვა სახნავს სოფ. ლეძაძამეს საზღვართან. სახელი გადავიდა აქ გახსნილ სასაფლაოზე (ლესაჯაიე); 5. სახნავი საფაჩულიოში, მენჯღალის ნაპირას (დიდი ხორში); 6. ტყე ოხვამეკართან (ლეკოკაიე) და სხვ. მრ.

**ხატმამულიშ წყურგილე** – წყარო ხატმამულში (სენაკი).

**ხაჭაპურძეშ ნაისირუ** – ბუჩქნარი ფაქვის მარჯვ. ფერდობზე. ხაჭაპურძე ← ხაჭაპურიძე (უფალკარი).

**ხაჭაჭია** – ღელე. იგივე წყურგილიშდუდი (დიდი ხორში).

**ხახუტაშკარი** – სახნავი ლემალანიეში (მეორე მოხაში).

**ხახუშ ნათხორა** „ხახუს ნათხარი“ – ღელე, ჯვეშ ნარიონის შენაკადი (საგვიჩიო).

**ხაჯარე** – სახნავი გურძემიის მარცხ. მხარეს, ლებარკალაიეში (ბეთლემი).

**ხეციაშ დოხორე** – ვაკე-ბორცვი საქაჩბაიოში (სენაკი).

**ხეციაშ ნადოხორუ** – მინდორი ეკის მთაზე, სენაკის გადასახედთან (სახარბედიო).

**ხეციეფიშ დიხა** – ერქვა სახნავს საგადელიოში, ფიცუს ნაპირას (ახალსოფელი).

**ხეხუნა//ხიხონა** – ფერდობები ცივის მარცხ. მხარეს, საპაჭკორიოში. ხიხვი ვაზის ჯიშია ერთგვარი (საცხვიტაო).

**ხეხუჯინჯი** – სახნავი მარიანანწყუს მარცხ. მხარეს, ზანათის საზღვართან. რესპ.: „ხეში დაღი მიკოხანტგდუა ჯას საზღვარო. თინა რე ხეხუ“. შდრ. ალ. ქობალია: „ხეხუ – ხელი (კნ.)... **ხეხუჯი** – ხელ-მხარი“ (საოდიშარიო).

**ხვარაშენი** – მინდორი საჩიჩუოში (უფალკარი).

**ხვიჩარუ(ლი)** – ბორცვი, ჩაის ფართობი ნისკურსა და კოლოპიას შუა, მეორე ლესიჭინეს საზღვართან (ფოცხო).

**ხვიჩაჩიათი** – უბანი მდ. სკურის მარცხ. ნაპირზე. ხვიჩაჩიათი გვასალიების შტოგვარია (პერტული).

**ხვიჩაჩიათური სკური** – ღელე, სკურის მარცხ. სათავე-შენაკადი. მოედინება სოფ. სკურიადან (შუა ხორში).

**ხიდა** – მაღალი ფერდობები ზანაძგის მარცხ. მხარეს. შდრ. ალ. ქობალია: „**ხინდა, ხგნდა** – ხინჯი, წიდა, რიოში, მწვირე, გამოქვაბულები, ხვრელები კლდეში. შიგ ჭინკები ბინადრობდნენ“ (პატარა ზანა).

**ხიდეშდუდი** „ხიდისთავი" – სახნავი ზანაძგის ნაპირას (ზანა).

**ხინწკონა** – სახნავი. იგივე მახარჭკინა (უფალკარი).

**ხი(ნ)წკონა** – საძოვარი, მცირე შემაღლება ჯაფხენის განაპირას. ხინწკი იგივეა, რაც ხინჭი, ე. ი. 1. წვრილი კენჭი; 2. კუნელი. აქ ერთგან წიფელს სასაზღვრო ჯვარი ჰქონია. ამიტომაც ხინწკონაში ტყეს **ჯვარწიფური** ერქვა (პერტული).

**ხინჭკონა** – ფერდობი მესხიშგას დას. კალთაზე, ოხარჩალეს სათავესთან, ლენარსიეში. რესპ.: „ხინჭკი ნოჩე". ხინჭკი კუნელია (ჯოლევი).

**ხირიში//ხგრგში** – ქვაცვენია ფერდობი ნოღაშ მეტერიის მარცხ. მხარეს, ლეგოგიეს უბანში, ჭითაშანთან. შდრ. ალ. ქობალია: „**ხირე (ხგრგ)** – ხრამი კლდოვანი ნაპირებით; **ხირეში** – კლდის ნაშალი, ღორღი" (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ხიშქუ** – ტყე კარობასა და ლადნოტეხს შუა (ისულა).

**ხიჩქუ** – ჭანჭრობი სოფ. გოლასკურის საზღვართან. რესპ.: „ხიჩქონა რე უსარგებლო, წყარამ ადგილი" (თეკლათი).

**ხიჭკონა** – სახნავი საჩემიოში. ხინჭკი – 1. კუნელი; 2. კენჭი, წვეტიანი ქვა (გეჯეთი).

**ხიჭუაშ ნოხორი** – სახნავი სუღირის მარჯვ. მხარეს. რესპოდენტთა აზრით, ხიჭუა შეიძლება იყოს პირსახელიც და გვარსახელიც (ზანა, პატარა ზანა).

**ხიხონა** – ფერდობები. იგივე ხეხუნა (საცხვიტაო).

**ხობაში** – წყარო, ნაკადული. იგივე ხოფეში (ლეკოკაიე).

**ხობეში** – წყარო კლდის ძირას, საზარულუოში, სოფ. უშაფათის საზღვართან. რესპ.: „სამკურნალო ეგონათ და ღარქვეშ ბანაობდნენ. კლდის ძირასაა, საზარულუოში, უშაფათის (ლეკოკაიეს უბნის) საზღვართან" (უფალკარი).

**ხობისწყალი//ხოპწყარი** – მდინარე წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა და ხობის რ-ნებში. სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზე. ერთვის შავ ზღვას სოფ.

ყულევთან. სიგრძე 150 კმ. მთავარი შენაკადები: ოჩხომური, ზანა, ჭანისწყალი, ცივი (ციზეთი).

**ხოზკაშ ნოხორი** – ტყე გაშფერდში. რესპ.: „ხოზკა ერქვა იმ კაცს, ვინც აქ ესახლა" (საჩიქობავო).

**ხომაშ ფონი** „ხურმის ფონი" – მორევი მდ. ცივზე. აქ გადიოდა ქ. სენაკისაკენ მიმავალი გზა (საშურღაიო).

**ხომაშჯინჯი** „ხურმისძირი" – წყარო გითოკირილში (სენაკი).

**ხომლა ტყა** „მშრალი ტყე" – ტყე ლადნოყონის დასით, სანაძგის ნაპირებზე (ახალსოფელი).

**ხომლა ღალჷ** – ღელე, ქუაგელაფუშ ღალის მარცხ. შენაკადი ნაწვიმარზე. გაედინება დიდმინდორიდან (ზედა ნაქალაქევი).

**ხომონი** „ხურმნარი" – ვაკე-მთა შხეფის ჩრდ. ნაწილში, ნაცხედუს გვერდით. ამ ადგილებში უწინ ველური ხურმა ხარობდა (სენაკი).

**ხოპწყარი** – მდინარე. იგივე ხობისწყალი (ციზეთი).

**ხორაშინა** – ტყე. იგივე ხოროშინა (ფოცხო).

**ხორგელი** – საძოვარი გურძემიის მარცხ. მხარეს. **ხორგუა** „დახერგვა, დახვავება" → ხორგელი „დახერგილი, დახვავებული". სახელდებული წყლისპირი ქვიანი ადგილია (მოხაში).

**ხორგიში** – უბანი მდ. ცივის მარჯვ. მხარეს, სოფ. გოლასკურის საზღვართან. ხალხ. ეტიმოლოგია: „თაქი გოჭყვადე ხალხი შქგრენაშე დო უკული ქგდახორგესია ოჭკუმალი". სხვა რესპ.: „ხორგით ცოფე ეშაკეთებული. ხორგი ჯაშ ჯებირი რე". „კარგი სახნავი ყოფილა". ალ. ქობალია: „**ხორგი** – ხერგი, ხერგილი, ყორე, ჯებირი; თევზის მოსამწყვდევი ნაგებობა". იგივე ავტორი: „ხორგიში – უხვმოსავლიანი, ნაყოფიერი ადგილი". ო. ქაჯაია: „**ხორგი**: ა. საზღვარი; დახერგილი რამ (მაგ. ქვა, ხე) საზღვრად გამოყენებული; ბ. ხის ან ქვის ღობე; ქვა-ღორღის ზვინი, ხერგი; გ. „საგანგებო ხერგილი მდინარეში თევზის დასაჭერად" (მუხური, გოლასკური).

**ხორგიში//კარობა** – ფართო სახნავი ვაკეზე, ცივსა და ეკუსქურს შუა. რესპ.: „სიმინდი დიხორგჷდუ, თიშენი რე

ხორგიში. უკული ათაქი საბჭო დო სკოლა გაშენეს, ხალხი იშაყარუუდუ დო კარობაქ ქიგიადუ. კარობა ხალხიშ ოშაყარუ ადგილი რე“. **ხორგი** – ხერგი, ხერგილი, ჯებირი, დახვავებული ქვა-ლოდი; მდინარეში გამართული სათევზაო ხერგილი (ეკი).

**ხორგონი** „ლოდნარი“ – სახნავი ლოდნარში, ტეხურის მარჯვ. მხარეს (ლეძაძამე)

**ხორია(თი)** – სერი უჩა ცურზენის მარჯვ. მხარეს, სოფ. ზემო ბიის საზღვარზე. ხორია პირსახელია (ციზეთი).

**ხორიაშ ტყა** – ტყე. იგივე სააფშილაშ ტყა (ციზეთი).

**ხოროშანა** – სახნავი ოხვამეკარის აღმ. კალთაზე, ქაჩათიშ ღალის მარჯვ. მხარეს. ხოროში, ხორა, ხორაში ატმის ჯიშია (ბეთლემი).

**ხოროშინა//ხორაშინა** – ტყე ხანჯარის მარცხ. მხარეს, ტველეფასთან (ფოცხო).

**ხორცორიგებუ** „ხორცის დასარიგებელი“ – ერქვა მინდორს ფიცუს მარცხ. მხარეს. ტყეში ნადირობის შემდეგ მონადირეები აქ იყოფდნენ ნანადირევს (სენაკი).

**ხორხოჩიშდუდი** – მორევი ტეხურზე. რესპ.: „იხორხოჩანდგ წყარი, ქუალეფს გინმიშგ, დაქანება უღუდგ დო თექი გითმიანთხუუდუ“. შდრ. ალ. ქობალია: „**ხორხოში** – ხორხოცი, ხარხარი“ (ლესაჯაიე).

**ხოფაში** – წყარო, ნაკადული. იგივე ხოფეში (ლეკოკაიე).

**ხოფეში//ხოფაში//ხობაში** – ვოკლუზი, ნაკადული. ორგანაა ამ სოფელში: ა. სოფ. უშაფათის მხარეს, ლეგაბუნიეს უბანში (ეწოდება აგრეთვე „ლეგაბუნიეშ ხოფაში“); ბ. სოფ. უფალკარის მხარეს, ლეკოკაიეს უბანში (ეწოდება „ლეკოკაიეშ ხოფეში“). ეს უკანასკნელი არის ეკუსქურის ერთ-ერთი სათავე საჩიჩუოს საზღვართან (ლეკოკაიე, უფალკარი).

**ხოჯა** – ბორცვი ჩაის ფართობით მოხაშურისა და ხანჯარის წყალგამყოფზე. რესპ.: „ხოჯა ხარივით მაგარი კაცის მეტსახელია საერთოდ“ (ლეგოგინე).

**ხოჯგინაცვილა** „ხარნაკლავი“ – სახნავი ლეხაბურზანიეში, მეტერიის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**ხოჯიელი** – მინდორი კაუტიის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში).

**ხუბნათხორა** – საძოვარი ცივის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „აქ საქოთნე-საქვევრე მიწაა. ხუბნაიები თხრიდნენ და მიჰქონდათ“. მაშასადამე, ხუბნაიაშ ნათხორა „ხუბნაიას ნათხარი“ → ხუბნათხორა (საცხვიტაო).

**ხუბნაიეფიშ ნოხორი** – სახნავი კვარჩხილალის მარცხ. მხარეს (ბეთლემი).

**ხურთონი** – ტყე სოფ. სახარბედიოს საზღვართან. რესპ.: „ხურთი მცენარეა ერთგვარი“. შდრ. ალ. ქობალია: „ხურთქი – ხვართქლა (მცენ.)“. ა. მაყაშვილი: „ხვართქლა – ... მეგრ. მაბგრა, მაბურა, დიხაში სურო, დიხაში ტუბუ, ბადაგია“ (საგაბესკირიო).

**ხურციაშ ჭალე** – სახნავი ცივის მარცხ. ნაპირზე (უშაფათი).

**ხურცილაშ ნოხორი** – ერქვა სახნავს სოფლის დას. ნაწილში (ახალსოფელი).

**ხუტნათი** – უბანი მიშველიათსა და ოდოსკურს შუა. რესპ.: „ხუტნათი გვასალიების შტოა. აქ ესახლნენ“ (შუა ხორში).

**ხუტუიავე(ლი)** – მინდორი, სამარულო ძუგუსთან. ვე „ველი“. ხუტუია პირსახელია (შუა ხორში).

**ხუფათი** – ხევი, ღელე, ტარჩენის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი მარტვილის რ-ნის სოფ. ჯოლევთან (ზედა ნაქალაქევი).

**ხუფერიეფიშ ჭალე** – ჭალა ტეხურის მარჯვ. ნაპირზე. ხუფერიების ბაბუა ქაუჩია სოფ. ეკიდან გადმოსულა (ისულა).

**ხუხიაშ ნოხორი** – სახნავი ჭითა ხარდანში. ხუხა, ხუხი პირსახელებია,ხოლო ხუხია, ხუხუა პირსახელებიცაა და გვარსახელებიც (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 171). (შუა ხორში).

**ხუხიეფიშ ღალგ** – ღელე, არახამიეფიშ ღალის მარჯვ. შენაკადი (კოტიანეთი).

**ხუხიეფიშ წყურგულე** – წყარო არახამიეფიშ ღალის სათავესთან (კოტიანეთი).

**ხუხუეფიშ მინდორი** – მინდორი მდ. ცივის მარცხ. მხარეს (სენაკი).

**ხუხუიაშ ნოხორი** – სახნავი ლენარსიეს აღმ. ნაწილში (ჯოლევი).

**ხუხულორი//ხუხულური** – ტყე-ფერდობი სამატახერიოშ ღალის მარცხ. მხარეს, საგვასალიოს სერზე. გადმოცემა სახელწოდებას უკავშირებს პირსახელ ხუხულიას. რესპ.: „ხუხულია ნოხორუე ეთექი“ (სკურია).

**ხუხულური** – ტყე-ფერდობი. იგივე ხუხულორი (სკურია).

**ხუხუნჭალე** – სახნავი ტეხურის მარჯვ. მხარეს. ხუხუნი გვარსახელია (ლესაჯაიე).

**ხგრგში** – ფერდობი. იგივე ხირიში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

## – ჯ –

**ჯაბახეთი//ჯავახეთი** – სერი, რომელზეც დგას „ციხეგოჯი“. ზოგი ასე უწოდებს ვაკე-უბეს ტეხურის მარცხ. მხარეს, ციხეგოჯსა და დიდამოკას შუა. უკავშირებენ ჯავახიებს ან ჯახიებს (გახომელა).

**ჯაბოკარი** – ერქვა მინდორს საფილიოში, მთავარანგელოზის ეკლესიის წინ (სენაკი).

**ჯაგოლა** – გოლა. იგივე ჯეგოლა (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ჯავახეთი** – სერი. იგივე ჯაბახეთი (გახომელა).

**ჯათუნიაშ ნოხორი** – მინდორი, სახნავი ეკუსქურის მარცხ. მხარეს (უფალკარი).

**ჯაიანეფიშ ნოხორი** – ვენახი, კოტიანეთის საზღვარზე (გახომელა).

**ჯაიანიშ ნოხორი** – ბორცვი ლეგოგიესა და გურძემიშ მეტერიას შუა (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ჯა(ი)ნაჯუხურუ//ჯანაჯუხური** – გორა გურძემიის მარჯვ. მხარეს, ლეტორჩინეში. ამ გორაზე ჯაიანის სასახ-

ლე მდგარა. მაშასადამე, ჯაიანიშ ნაჯუხურუ → ჯა(ი)ნაჯუ-ხურუ → ჯანაჯუხურუ (მოხაში).

**ჯაკობიაშ წყურგილე** – ღელე. გადიოდა ბერღალში. ჯაკობია გვარია (საოდიშარიო).

**ჯაკოიაშ ნაკარუ** – მინდორი კითში (ისულა).

**ჯაკუშ წყურგილე** – წყარო ვერხონაში. რესპ.: „ჯაკუ კილაბერიამ ამოაშენა. აუზი გაუკეთა და მილი შეუდგა" (გეჯეთი).

**ჯაკუშ წყურგილი** – წყარო ლენარსიეში (ჯოლევი).

**ჯალაგუნა** – სახნავი. იგივე ჭალაგუნა. ამოსავალია ფორმა ჯგერაგუნა „წმინდა აგუნა" (საწულეისკირიო).

**ჯალონა** „ტყე დიდრონი ხეებით" – ტყე კითსა და დიდ გოთეს შუა. ნაკვეთი დასახელებულია 1919 წელს შედგენილ „მეჟევანიის" საბუთში, რომელიც ინახებოდა ანეტა ხოფერიას ოჯახში (ისულა).

**ჯამლეთიშ ნოხორი** – აკაციის ტყე შხეფის (ქ. სენა-კი) საზღვართან (საჩიქობავო).

**ჯანაშ ნაკარგ** – საძოვარი ხაიონაში, სადაც ჯანა თოლორდავას საქონელი ეყენა (ტყირი).

**ჯანაჯუხური** – გორა. იგივე ჯა(ი)ნაჯუხურუ (მოხა-ში).

**ჯანტუშ ჯარგვალი** – მინდორი სურონასა და კვარ-ჩხიღალს შუა. ჯანტუ მამაკაცის სახელია, ჯარგვალი კი ჯარგვალია, ე.ი. მორებით ნაშენი ნაგებობა (კვარჩხიღალი).

**ჯაპანა** „თუთნარი" – 1. მინდორი ტეხურსა და სა-ბარქაიოს შუა (კვაუთი); 2. სახნავი ტეხურის ჭალაში (ძვე-ლი სენაკი).

**ჯაპკვათილი** „თუთა მოჭრილი" – სახნავი ცივის მარცხ. ჭალაში (უფალკარი).

**ჯაპონა** „თუთნარი" – 1. საძოვარი ტეხირჭალეში (ქვედა სორტა); 2. სახნავი ლენარსიეში (ჯოლევი); 3. სახ-ნავი სოფლის დას. ნაწილში (ისულა); 4. ტყე სოფლის დას. ნაწილში (გახომელა); 5. ჩაის ფართობი დღურუს მარცხ. მხარეს (საგუგუნავო); 6. ჩაის ფართობი ცივის მარცხ. მხა-რეს (ფოცხო).

**ჯაპონი** – სახნავი. იგივე ოჯაპე (კვაუთი).

**ჯაპშენი** – მინდორი კარობის გვერდით. გადმოცემით, აქ ერთ დროს ჯაპი „თუთა“ გაუშენებიათ (სახარბედიო).

**ჯარუბეგი** – საძოვარი შქაიდაის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ბეგი უნაყოფო ადგილია“. სხვა რესპ.: „აქ ჯარუ ჭითანავა ესახლა“ (ეწერი).

**ჯაფარეში** – მინდორი ჭყონიადელოს მარცხ. მხარეს. გადმოცემა სახელწოდებას უკავშირებს გვარ ჯაფარიძეს (უფალკარი).

**ჯაფარუ** – ჩაის ფართობი ლეყურასქუეში, ხანჯარის მარცხ. მხარეს. ჯაფარი (პირსახელია) ან ჯაფარიძე (გვარსახელი) + ული → ჯაფარული „ჯაფარისეული“ ან „ჯაფარიძის კუთვნილი წარსულში“ → ჯაფარუ (ფოცხო).

**ჯაფარული** – ტყე ოკვაცეს მარჯვ. მხარეს (საგაბესკირიო).

**ჯაფარძეშ ნოცონი** – საძოვარი საჩიჩუოსა და საარჩაიოს შუა (უფალკარი).

**ჯაფხენი** – ფართო ველი მდ. ცივის მარჯვ. ნაპირასა და ტობუჩის ორივე მხარეს. რესპ.: „ჯაფხენი ერთმანეთზე დალაგებული ხეებით გამართული ღობეა“. არაა გამორიცხული: ჯაპიშჯინჯი//ჯაპხენი → ჯაფხენი (პერტული).

**ჯაფხენპიჯი** – სახნავი ჯაფხინჯის ნაპირას, სოფ. ქვალონის საზღვართან (გოლასკური, რეკა).

**ჯაფხენ(ჯი)** – ღელე, საზღვარი სოფ. ქვალონთან (რეკა).

**ჯაფხინჯი** – ღელე. მოედინება სოფ. რეკიდან. იყოფა სამ ტოტად: მარჯვ. ტოტს ეწოდება სანი (სოფ. ქვალონის საზღვართან), შუა ტოტს – ოჯუმენე, ხოლო მესამე (მარცხენა) ტოტს სახელი არა აქვს. სამივე ერთვის უჩა ღალს. ამ ღელის ნაპირას ჯაფხინჯი სახნავსაც ეწოდება. იხ. ჯაფხენპიჯი (გოლასკური).

**ჯახაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი არჩაიაშ ღალის მარჯვ. მხარეს (ლეგოგინე).

**ჯახიაშ დიხა** – სახნავი ჯიხირში (პირველი ნოსირი).

**ჯგაბარიონი//ჯგემარიონი** – ბორცვი, სასაფლაო გურძემიასა და ტეხურს შუა ვაკეზე, დანგრეული ეკლესიით, გალავნით. ჯგემარიონი//ჯგემარიამი „წმინდა მარიამი“ (ბეთლემი).

**ჯგემა** – ხევი ლეგოგიეს აღმ. ნაწილში. ერთვის მეტერიას მარჯვ. მხრიდან. არაა გამორიცხული, ჯგემა ჯგემარიონის შემოკლებული ფორმა იყოს. (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ჯგემარიონი** – 1. ბორცვი. იგივეა, რაც ჯგაბარიონი (ბეთლემი); 2. გორა, ეკლესია, სასაფლაო ლეტყებჩეში. ჯგემარიონი (← ჯგგრი მარიამი) „წმინდა მარიამი“ (მეორე მოხაში).

**ჯგირელია** „წმინდა ელია“ – მინდორი, წყარო ეკის მთაზე, თაკადარსა და საჩიქობაშ გოლას შუა. **ჯგირი** „კარგი“ → ჯგირი „კეთილი“ (წარმართობისდროინდელი ეპითეტი, ღვთაება) → ჯგირი „წმინდა“ (გავრცელებული იყო კოლხეთში საერთო-ქართული ეკლესიის ჩამოყალიბებამდე). ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ კოლხური ჯგირელია შეერწყა ელია//ილია წინასწარმეტყველის კულტს. სათანადო ტაძრებს აგებდნენ მთის თხემებზე, სადაც ტარდებოდა ელი(ა)ობა 20 ივლისს (ძვ. სტ.): ეწყობოდა ღამის თევა, იკვლებოდა საკლავი, იშლებოდა საერთო ტრაპეზი, ტარდებოდა სპოტრული შეჯიბრებანი (საჩიქობავო).

**ჯგირელიაშ ნოჯონი** – ტყე გაშფერდში (საჩიქობავო).

**ჯეგოლა//ჯაგოლა** – გორა წიფანას სათავესთან, ნასაჯუში. უწინ ამ გორაზე უღრანი ტყე ყოფილა (ლეგოგიენასაჯუ).

**ჯეჯელაშ ნაკარუ** – სახნავი სოფ. ისულის საზღვართან. ჯეჯელა(ვა) გვარსახელია (ტყირი).

**ჯვარიშ ოხვამე** – სასაფლაო ლესიგუეში (კვაუთი).

**ჯვარიშდინორთელი** – ხევი სკურიის მარცხ. მხარეს. დინორთელი „ჩაღრმავებული, ჩახევებული, ჩაფერდებული ადგილი“. ჯვარიში ადგილის სახელწოდებაა (შუა ხორში).

**ჯვარიში** „ჯვარისა“ – 1. მინდორი ნაჭილუს თავზე. რესპ.: „აქ ჯვარი ესო და ტარდებოდა ჯარობა – ცეკვათამაში და გართობა. მეც მოვსწრებივარ“ (საადამიო); 2.

მინდორი საკუჭასა და კადარს შუა. აქ დაუსვენებიათ ხატი და გადაუციათ ყურსალები (ეკი); 3. მინდორი, რომელიც უწინ შეუწირავთ ნაცმერის ეკლესიისათვის, რაც საადამი-ოშია (საგუნიო); 4. ბორცვი ლომურის აღმ.-ით, ჯვარიშდი-ნორთელის სათავესთან (შუა ხორში).

**ჯვარკალამი** – ფერდობი შქაღალის სათავესთან (საადანაიო).

**ჯვარკარი** – მაღალი გორა, ნაეკლესიარი სოფლის აღმ. ნაწილში. სოფ. საგუგუნაოსა და საადანიოს გადასა-ხედზე (შუა ხორში).

**ჯვარცმაშ ოხვამე//საჯვარო ოხვამე** – ნაეკლესიარი, სასაფლაო ლებარკალაიეში, ტყელაშ სუკის სერზე, გურძე-მიის მარჯვ. მხარეს, აქედან ჩრდ-ით 1 კმ-ზეა ქირსეშ ოხ-ვამე (ბეთლემი).

**ჯვარწიფური** – ერქვა ტყეს ხინწკონასთან. ერთგან წიფელზე სასაზღვრო ნიშნად ჯვარი ყოფილა ამოჭრილი (პერტული).

**ჯვებეშ ნაჩაი** – ჩაის ფართობი ხორშის თ/ს საზ-ღვართან. ჩაის ფართობს ჯვებე უვლიდა (საშურღაიო).

**ჯვერგელე** – მდინარე. იგივე ჭვერგელე (კოტიანეთი).

**ჯვეშ ლებარკალე** – ბარკალაიების ყოფილი უბანი. მდ. გურძემიასა და სოფ. უშაფათს შუა. ბარკალაიები ჩა-მოსახლდნენ გურძემიის ნაპირებზე (ბეთლემი).

**ჯვეშ ნარიონგ** „ძველი ნარიონალი“ – 1. ტბორი რი-ონის მარცხ. მხარეს (საგვიჩიო); 2. ჭალა. იგივე რახვი (ისულა).

**ჯვეშ ნაფიცუ** – სახნავი ფიცუს ყოფილი კალაპო-ტის ნაპირებზე (ისულა).

**ჯვეშ ნაშოსგ** – ნაგზაური სოფ. წყემის საზღვართან. მიემართება ძიგურისაკენ. ფრანგ. chaussee → რუს.шоссе „გზატკეცილი“ → ქართ.-მეგრ. შოსე (საკილასონიო).

**ჯვეშ ჯაფხენი** – ნამდინარევი, სადაც ჯაფხენის ერთ-ერთი ტოტი მიედინებოდა (რეკა).

**ჯიმუწყარი** „მარილწყარი“ – ღელე, ღლურუს მარჯვ. შენაკადი. იწყება რუსიშ ნოხორთან (პატარა ზანა).

**ჯინორიაშ ნოხორი** – მინდორი ნათხორუსთან (ძველი სენაკი).

**ჯინჯიშ გინაჭკირა** „ძირში გადანაჭერი“ – ჩაის ფართობი საზარანდიოში. რესპ.: „აქ ჩაი გააახლეს ძირში მოჭრით“ (ეწერი).

**ჯირჩე** – სახნავი ლეშამათეში (ლეგოგიე-ნასაჯუ).

**ჯირჩონა** – ჩაის ფართობი ზანაძგის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ჯირჩე ჩანს, ხვარხვიშ ჯინჯიცალი უღუ, ირფელს ცვილგნს“. როგორც ცნობილია: ჯინჯი რჩე → ჯირჩე „ძირთეთრი“ იგივე უცუნაა, შხამიანი მცენარე (პატარა ზანა).

**ჯიხა** „ციხესიმაგრე“ – 1. გორა ცივის მარცხ. ნაპირზე. საზღვარი სოფ. ეკთან (საადანაიო); 2. სოფელი ტეხურის მარცხ. ნაპირიდან სოფ. ლებაღათურემდე. ესაზღვრება: ზედა ნაქალაქევი და სოფ. ძიგიდერი (ნაქალაქევის თ/ს); 3. გორა ცივის მარჯვ. მხარეს, ცივსა და დღურუს შუა, ეკის საზღვართან (საგუგუნავო).

**ჯიხა** – სოფელი ტეხურის მარჯვ. ნაპირას, ნაქალაქევის თემის საკრებულოს ცენტრი (ნაქალაქევის თ/ს).

**ჯიხა//ფაჩოსქუალეფიშ ჯიხა//რამიშ ჯიხა** – ციხესიმაგრე საფაჩოსკუოში (კოტიანეთი).

**ჯიხა//შხეფიშ ჯიხა//შხეფი** – მთაგორიანი ადგილი ქ. სენაკიდან 3 კმ-ზე, სენაკ-მარტვილის გზის მარცხ. მხარეს. შხეფის ციხე სწორედ ამ მთის წვერზეა გაშენებული, მისი უძველესი ფენა თარიღდება IV ს-ით. იგი „მაღალი მთის თხემზეა აგებული და გადასცქერის სამეგრელოს ვაკეს“ (მაკალათია, 1941, გვ. 305). XIX ს-ს დამდეგამდე აქ იყო დადიანთა რეზიდენცია (იხ. დაწვრილებით: ზაქარაია, 1960, გვ. 27-28). გადმოცემით (ისტორიიდანაც ცნობილია), აქ ჰყავდა დატყვევებული ლევან II დადიანს იმერეთის მეფე (სენაკი).

**ჯიხაიაშ ნაშქვიდუ** – ნამორევალი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში. ჯიხა ძლიერი, ჯმუხი კაცის ეპითეტია. ჯიხაია მცირერიცხოვანი გვარია (24 სული საქართველოში). შდრ. ჯიხაძე, ჯიხაშვილი (ციზეთი)

**ჯიხაფერდი** – ფერდობი, რომლის თავზეც დგას შხეფიშ ჯიხა (სენაკი, ძველი სენაკი).

**ჯიხაშ გოლა** – სერი ტეხურის მარცხ. მხარეს. ამ სერზეა ძველი ნაქალაქარი ციხეგოჯი (ჯიხა).

**ჯიხაშ ფერდი** – ფერდობები ჯიხაშგოლას აღმ. კალთებზე (ჯიხა).

**ჯიხახუტა** – ციხესიმაგრე ცივის მარჯვ. მხარეს (ხორში).

**ჯიხირი** – უბანი ტეხურის მარცხ. მხარეს, გეჯეთისა და პირველი ნოსირის საზღვარზე. „თურქების დროს“ აქ ჯიხა მდგარა, მაგრამ წყალს წაუღია. ჯიხირის უბანშია მისარ(ი)ონიშ (წმინდა გიორგიშ) ოხვამე (გეჯეთი, პირველი ნოსირი).

**ჯიჯავეფიშ ნოხორი** – სახნავი ახალსოფელში. ჯიჯავა მცირერიცხოვანი გვარია (სულ 52 სული საქართველოში). დასახელებულია XVIII ს-ის საბუთებში (ქსძ, III, გვ. 731-767) (სირიაჩქონი).

**ჯოგოშ წყურგილე** – წყარო სააბურჯანიოში. ჯოგო პირსახელია (უფალკარი).

**ჯოლევი** – სოფელი ტესურის მარცხ. ნაპირას. ესაზღვრება მარტვილის რ-ის სოფ. ჯოლევს. არაოფიციალური ვარიანტი: ჭიჭე ჯოლო//ჯოლო (ლეძაძმეს თ/ს).

**ჯოლიეფიშ გოლა** – სერი, ეკის მთის ნაწილი. ჯოლია გვარსახელია (კოტიანეთი).

**ჯოლოგუაშ დობერა** – სახნავი ხანჯარის მარცხ. მხარეს. ჯოლოგუა გვარსახელია (ფოცხო).

**ჯოლოგუაშ ნოჯუნი** – სახნავი ქვემო საჭითაში (პატარა ზანა).

**ჯორიშ ოკერკელეში** – ბორცვი. იგივე ჯორიშ ოკერკელუ (საადამიო).

**ჯორიშ ოკერკელუ//ჯორიშ ოკერკელეში** – ბორცვი ჩხარის მარჯვ. მხარეს. რესპ. ვ. ადამია: „გლახა ადგილშენი თქუანა, ჯორიშ ოკერკელეში რენია“. **კერკელი** „კოტრიალი“ → ოკერკელეში „საკოტრიალო“ (საადამიო).

**ჯორღია** – ფერდობი წმ. ბარბალეს ეკლესიის აღმ. კალთაზე, ტეხურის ნაპირას (ლესაჯაიე).

**ჯოტიაშ ნაისირუ** – ბუჩქნარი ბარგასთან. ჯოტია პირსახელია (რეკა).

**ჯოღორია(შ)მამული** – ბუჩქნარი ოკვაცეს ნაპირას. ჯოღორია პირსახელია (საადანაიო).

**ჯოღორიაშ ნოხორი** – მინდორი საგოგინაოშ ღალის მარჯვ. მხარეს (შუა ხორში).

**ჯოჯუაშ რობუ** – ხევი ლეგოგიე-ნასაჯუს საზღვართან. ჯოჯუა პირსახელია (მოხაში).

**ჯოჯუეფიშ ნოხორი** – 1. ტყე გურძემიის მარცხ. ნაპირას (ლესაჯაიე); 2. ტყე ქუნიერის აღმ-ით (ძიგიდერი).

**ჯოჯუეფიშ სუკი** – სერი ლეჯოჯუესა და ნაღალუს შუა (კვაუთი).

**ჯოჯუეფიშ ღალგ** – ღელე, გურძემიის მარცხ. შენაკადი ლეტორჩინეში. მოედინება ლეძაძამედან (მოხაში).

**ჯოჯხეშ ჭალე** – სახნავი მოხაშურის მარცხ. მხარეს. ჯოჯხე ← ჯოჯუა (უშაფათი).

**ჯუბუშ ნოხორი** – მინდორი ლეცეკვეში (ჯოლევი).

**ჯურუშ წყურგულე** – წყარო ნატეხირუსთან (საოდიშარიო).

**ჯუღელიშკარი** – სახნავი საფაჩულიოში. ჯუღელი პირსახელია (დიდი ხორში).

**ჯღამაში** – სახნავი ბანკიშ ტყის ნაპირას. აქ ესახლა ჯღამაია (გვარსახელია). (პატარა ზანა).

**ჯღანჯღეფიშ ნოხორი** – ტყე სახუხიოს დას-ით (კოტიანეთი).

**ჯღერკი** – ჩაის ფართობი ლეშამათეში. მეგრულში ჯღერკი აღნიშნავს ქვავნარ, მოუსავლიან მიწას (მოხაში).

**ჯღუჯღუშ მენჯი** – ღელე-ხევი, საგელანტიოშ მენჯის მარცხ. შენაკადი. ჯღუჯღუ მეტსახელია (საპასპორტო სახელია ნოდარი). მენჯი ვეძაა (შუა ხორში).

# ლიტერატურა

**აბაკელია, არქაული კულტები..., 1999** – ნ. აბაკელია, არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). ილია ანთელავას საერთო რედაქციით, თბილისი-ზუგდიდი, 1999.

**აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**აფრიდონიძე, 1987** – შ. აფრიდონიძე, ზანური ანთროპონიმიის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანიას ტიპის გვარების შესახებ); ონომასტიკა, I, თბ., 1987.

**ბაგრატიონი, 1997** – იოანე ბაგრატიონი, აღწერა სამეფოს თავად-აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.

**ბარდაველიძე, 1946** – ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარე), თბ., 1946.

**ბაღათურია, 1998** – ნ. ბაღატურია, თურქული სატომო სახელები ქართულ დიალექტებსა და ფოლკლორში (ყაზახი, ალანი): ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.

**ბედოშვილი, 2002** – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002.

**ბერაძე, 1970** – თ. ბერაძე, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა: „ძეგლის მეგობარი“, XXI, თბ., 1970.

**ბერძენიშვილი, 1990** – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

**ბოროზდინი, 1934** – კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1854-1867. მოგონებანი, ტფ., 1934.

**ბურჯანაძე, 1958** – შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-სამეგრელოს სამთავროებისა (1461-1770 წწ.), I, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.

**ბუღაძე, კეკელია, 2011** – ნ. ბუღაძე, ი. კეკელია, ტოპონიმ „ქუნიერის“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, „მხარეთ-

მცოდნე“, II (ონომასტიკური და საისტორიო მასალები), ქუთაისი, 2011.

**გაბელაია, 1996** – ი. გაბელაია, აბაშის ხეობის გვარსახელების ეთნოისტორიული საკითხები (სოფელ სეფიეთის მასალების მიხედვით): ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996.

**გაბელაია, 1998** – ი. გაბელაია, სოფელ ძველი აბაშის გვარსახელები (ეთნოისტორიული შესწავლის ცდა): ქართველური მემკვიდრეობა, II, 1998.

**გაგუა, 1890** – В. Гагуа, Селение Носири. СМОМПК, выпуск десятый, Тифлис, 1890 (გვ. 102-113)

**გამბა, 1987** – ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987.

**გვანცელაძე, 1999** – თ. გვანცელაძე, გვარსახელ ჩიქობავას ეტიმოლოგიისათვის (1999, ხელნაწერი).

**გითოლენდია, 2000** – თ. გითოლენდია, ჩემი სოფელი გეჯეთი. გაზ. „მახარია“, №1(16), თბ., 2000.

**გიულდ., 1962** – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, თბ., 1962.

**გრიგოლია, 1994** – გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994.

**გურგენიძე, ჯიქია, 1994** – ნ. გურგენიძე, მ. ჯიქია – თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბ., 1994.

**დაყოფა, 1930** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ტფ., 1930.

**დაყოფა, 1949** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1949.

**დაყოფა, 1987** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მეხუთე გამოცემა, თბ., 1987.

**ელიავა, 1988** – ნ. ელიავა, მახამ-კარამი: გაზ. „კოლხეთი“, №41, 5.04, 1988.

**ელიავა, 1989** – გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989.

**ელიავა, 1971** – გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, მეგზური, თბ., 1971.

**ელიავა, 1977** – გ. ელიავა, გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977.

**ვახუშტი, 1973** – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. იხ. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

**ზაქარაია, კაპანაძე, 1991** – პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი. ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991.

**ზაქარაია, 1988** – პ. ზაქარაია, შხეფის ციხე, გაზ. „კოლხეთი“, №15 (7401), 27. X. 1988.

**თაყაიშვილი, არქეოლოგიური... 1913-1914** – ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში: კრ. „ძველი საქართველო“, III, თბ., 1913-1914.

**თოფურია, 1990** – აკ. თოფურია, იყო ასეთი სოფელი, თბ., 1990.

**თოფჩიშვილი, 1993** – რ. თოფჩიშვილი, ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993.

**თოფჩიშვილი, 1997** – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.

**თოფჩიშვილი, 2003** – რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, I, მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა, თბ., 2003.

**იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები, 1953** – იმერეთის სამეფოს პოლიტკური საბუთები (1784-1810), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, 1953.

**ისტორიული დოკუმენტები... 1958** – ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), წიგნი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.

**კაკაბაძე, I, 1921** – ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფ., 1921. იგივე, II, ტფ., 1921.

**კეკელია, კურდღელია, ხარებავა, 2011** – ი. კეკელია, ე. კურდღელია, ი. ხარებავა, მასალები ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის: მხარეთმცოდნე, II (ონომასტიკური და საისტორიო მასალები), ქუთაისი, 2011.

**კეკელია, ოდიშარია, 2012** – ი. კეკელია, დ. ოდიშარია, სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2012.

**კეკელია, 2013** – ი. კეკელია, ნაქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), ქუთაისი, 2013.

**კვიმატი, 2001** – მამანტი კვირტია, კვიმატი, თბ., 2001.

**კობახიძე, 1987** – რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენელი ალ. კობახიძე, თბ., 1987.

**ლამბერტი, 1991** – დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.

**ლომოური, 1981** – ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევი). იხ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, არქეოლოგიური გათხრები (1973-1977)“, თბ., 1991.

**მაკალათია, 1980** – მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები გურიაში, კრებ. „გურია“, თბ., 1980.

**მაკალათია, 1992** – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992.

**მაისურაძე, 1979** – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები. სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბ., 1979.

**მაისურაძე, 1981** – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981.

**მასალები... 1964** – მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, პირველი წიგნი (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით). გა-

მოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964.

**მაყაშვილი, 1991** – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელები), თბ., 1991.

**მხარეთმცოდნე, II, 2011** – მხარეთმცოდნე, II (ონომასტიკური და საისტორიო მოამბე), ქუთაისი, 2011.

**მხარეთმცოდნე, III, 2013** – მხარეთმცოდნე, III (ონომასტიკური და საისტორიო მოამბე), ქუთაისი, 2013.

**მეუნარგია, 1939** – ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939.

**ოდიშარია, 2000** – ტ. ოდიშარია, ნოსირი, გაზ. მახარია, №3, თბ., 2000.

**ონიანი, 1979** – ჯ. ონიანი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1979.

**პალ** – პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, თბ., 1991; II, თბ., 1993; III, თბ., 2004.

**როგავა, 1955** – გ. როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის. ალ. წულუკიძის სახელობის ქსპი შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.

**სანებლიძე, 1890** – С.М. Санеблидзе, Сенакское сельское общество. СМОМПК, выпуск десятый, Тифлис, 1890.

**საქართველოს ისტორია... 2010** – საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი), ტ. I, რედაქტორი დავით მუსხელიშვილი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.

**საქართველოს... 1953** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, თბ., 1953.

**საქ. სსრ ტოპონიმია, 1987** – საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, თბ., 1987.

**სოსელია, 1990** – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები): I, თბ., 1973; II, თბ., 1981; III, თბ., 1990.

**ს.-საბა** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.

**ქალდანი, 1980** – მ. ქალდანი, -ელ//-ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში: იკე, ტ. XXII, თბ., 1980.

**ქაჯაია, I, II, III** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I (ა-ვ), თბ., 2001; II (ზ-ს), თბ., 2002; III (ტ-ჰ), თბ., 2002.

**ქობალია, 2010** – ალ. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964.

**ქეელ** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

**ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I-XI, თბ., 1975-1987.

**ქსს, 1986** – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986.

**ქსძ, III** – ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საქართველოს საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბ., 1970.

**ქ. ცხ., I, 1955** – ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

**ღლონტი, 1984** – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.

**ყანდაშვილი, 2000** – დ. ყანდაშვილი, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტება (საშვილიშვილო წიგნი), თბ., 2000.

**ყიფშიძე, 1994** – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

**შალამბერიძე, 1973** – გ. შალამბერიძე, ნოქალაქევი თუ ნაქალაქევი? იხ. ჟურნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, №3 (54), თბ., 1973.

**შანიძე, 1973** – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

**შანიძე, 1981** – აკ. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. შრომები, ტ. II, თბ., 1981.

**ჩუბინაშვილი, 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1961.

**ჩუბინაშვილი, 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

**ცანავა, 1981** – აპ. ცანავა, ძველი კოლხური ღვთაებანი და მათი ასახვა ფოლკლორში, იხ. „ეპიკური ჟანრები“, თბ., 1981

**ციხეგოჯი, 1984** – პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინიძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოჯი– ნაქალაქევი, თბ., 1984.

**ცხადაია, 1999** – პ. ცხადაია, -ობა სუფიქსის რეინტერპრეტაცია არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშნად ქართულისა და ზანურის დიალექტებში: ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების მეორე სამეცნიერო სესია, 1999 წლის 15-17 აპრილი. თბილისი-სიღნაღი, თბ., 1999.

**ცხადაია, 2000** – პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

**ცხადაია, 2007** – პ. ცხადაია, მასალები მეგრულის ლექსიკონისათვის (ზემო სამეგრელოს მიკროტოპონიმიის მიხედვით), I: ქართველური ონომასტიკა, III, თბ., 2007.

**ცხადაია, 2008** – პ. ცხადაია, ჰიდრონომენი ზანა კოლხეთის ტოპონიმიაში. იკე, XXVI, თბ., 2008.

**ცხადაია, 2011** – პ. ცხადაია, მირსა (მირსობა), მ(ე)ისარონი, ჯეგე-მისარონი სამეგრელოს ტოპონიმიაში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბ., 2011.

**ცხადაია, 2012** – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012.

**წულაია, 1989** – Г.В. Цулая, Грузины. Системы личных имен у народов мира, М., 1989.

**ჭანტურია, 1989** – აკ. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში: თსუ შრომები, 1989.

**ჭანტურია, 1999** – ს. ჭანტურია, ჭანტურიას გვარის ეტიმოლოგიის შესახებ, აია, 7, 1999.

**ჭითანავა, 2010** – დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010.

**ჭილაშვილი, 2001** – ლ. ჭილაშვილი, ტოპონიმიკური შენიშვნები, თბ., 2001.

**ჭუმბურიძე, 1987** – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.

**ჭუმბურიძე, 1993** – ზ. ჭუმბურიძე, გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაშვილის რედაქციით, თბ., 1993.

**ჭუმბურიძე, 1999** – ზ. ჭუმბურიძე, იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპური გამოცემა პროფ. ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 1999.

**ჭუმბურიძე, 2013** – ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით (ჩაბარებულია გამოსაცემად გამომცემლობა „არტანუჯში“).

**ხუხუა, 2007** – ო. ხუხუა, სანაკი თუ სენაკი? ანუ ვინ არიან სანიკები, სანიგები, სანიხები? „საჩინო“, № 4, მარტვილი, 2007.

**ხუხუა, 2009** – ო. ხუხუა, თარგამოსანნი და თარგამული. გაზ. „მარტვილი“, №8, 29, VIII, 2009

**ჯავახიშვილი, 1998** – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. XI, თბ., 1998.

**ჯანაშია, 1959** – ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959.

**ჯაჯანიძე, 1977** – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბ., 1977.

**ჯღარკავა, 1965** – შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თსუ შრომები, ტ. 113, თბ., 1965.

**ჰანი, 1909** – К. Гань, Опыт объяснения кавказскых географических названии. СМОМПК, 1909, вып. 40.

**Свод... 1893** _ Свод Статистических данных населении Закавказского края, извлечённых из посемейных списков, 1886 г., Тифлис, 1893.

# შემოკლებანი

**ადგ.** – ადგილობრივი
**ადმ.-ტერიტ.** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
**არაოფიც.** – არაოფიციალური
**აღმ.** – აღმოსავლეთი
**გაზ.** – გაზეთი
**დას.** – დასავლეთი
**დასახლ.** – დასახლებული
**ე.ი.** – ესე იგი
**ეტიმ.** – ეტიმოლოგია
**ე.წ.** – ეგრეთწოდებული
**ვარ.** – ვარიანტი
**ზან.** – ზანური
**თბ.** – თბილისი
**თ/ს** – თემის საკრებულო
**იხ.** – იხილე
**მარცხ.** – მარცხენა
**მარჯვ.** – მარჯვენა
**მდ.** – მდინარე
**მეგრ.** – მეგრული
**ჟურნ.** – ჟურნალი
**რესპ.** – რესპოდენტი
**რ-ნი** – რაიონი
**ს.** – 1. საუკუნე; 2. სული
**სს.** – საუკუნეები
**საავტ.** – საავტომობილო
**საკრ.** – საკრებულო
**სამკ.** – სამკურნალო
**სვან.** – სვანური
**სოფ.** – სოფელი
**ტფ.** – ტფილისი
**ქართ.** – ქართული
**ქ.** – ქალაქი
**შდრ.** – შეადარე
**წ.** – წელი
**წწ.** – წლები
**ხალხ.** – ხალხური

## სარჩევი

წინასიტყვაობა........................................................................................5
პირველი ნაწილი (საკრებულოები, სოფლები, რესპოდენტები) ..........................................................................7
1. სენაკის რაიონი. ქ. სენაკი..........................................................7
2. ახალსოფლის თემის საკრებულო..............................................12
3. გეჯეთის სოფლის საკრებულო...................................................17
4. ეკის თემის საკრებულო ..............................................................19
5. ზანის თემის საკრებულო ...........................................................28
6. ზემო ჭალადიდის თემის საკრებულო.......................................36
7. თეკლათის თემის საკრებულო...................................................44
8. ლეძაძამეს თემის საკრებულო.....................................................54
9. მენჯის თემის საკრებულო...........................................................66
10. ნაქალაქევის თემის საკრებულო ................................................75
11. ნოსირის თემის საკრებულო.........................................................83
12. უშაფათის თემის საკრებულო......................................................92
13. ფოცხოს თემის საკრებულო ........................................................98
14. ძველი სენაკის თემის საკრებულო ...........................................106
15. ხორშის თემის საკრებულო.........................................................120
მეორე ნაწილი (ტოპონიმთა სია).....................................................132
ლიტერატურა......................................................................................430
შემოკლებანი .......................................................................................438
სარჩევი..................................................................................................439

# პაატა ცხადაია


## სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII

## სენაკის რაიონი


Паата Цхадаиа


## Географические названия Самегрело, VII

( Сенакский район)

ტექსტის აკრეფა : დოდო შონია


გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge